


პდ. ნაფუნიაძე



ფიქიანი გზები

საქართველოს
კვ. ცენტრალური
კომიტეტის
გამომცემლობა
1973

„ფიქრიანი გზები“ პუბლიცისტურად, ჟურნალისტურად მოგვითხრობს ჩვენს თანამედროვეობასა და თანამედროვეებზე.

წიგნი ძირითადად დამყარებულია ავტორის მიერ მშობლიურ საქართველოში, მოძმე რესპუბლიკებში, სოციალიზმის ქვეყნებში, ევროპის, ამერიკის, აზიისა და აფრიკის ოცამდე სახელმწიფოში მოგზაურობის დროს მიღებულ შთაბეჭდილებებზე.

წიგნი მოგვითხრობს ჩვენი საუკუნის ბევრ გამოჩენილ ადაპიანთან შეხვედრაზე. მათ შორის არიან ლენინური გვარდიის რევოლუციონერები, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელები, კოსმონავტები, სამამულო ომის ვეტერანები, ხუთწლეულების გმირები, ლიტერატურისა და ხელოვნების საბჭოთა და უცხოელი მოღვაწეები.

წიგნში გამოყენებულია ისტორიული და ფოლკლორული მასალები.

„ფიქრიანი გზები“ გარკვეული თვალსაზრისით სივრცესა და დროში მოგზაურობის ნაყოფია. მასში თავმოყრილია ავტორის მიერ უკანასკნელი 10—15 წლის მანძილზე ქართულ და საკავშირო პრესაში გამოქვეყნებული ნარკვევები, ეტიუდები, პუბლიცისტური წერილები, რეპორტაჟები, სტატიები, ჩანახატები.

რედაქტორი ბივი ვარდოსანიძე

A 0733—089
 11—606 (02)—73

გზები რომ არ იყოს, არც შეხვედრები იქნებოდა. ხოლო შეხვედრების გარეშე გზებს ფასი დაეკარგებოდა.

ქურნალისტიკა ყოველდღიური ცხოვრების ფაქტების პოეზიაა. გზებისა და შეხვედრების პოეზია...

ქურნალისტური საქმის ერთ-ერთმა ქურუმმა მითხრა მოსკოვში: ჩემი ნება რომ იყოს, ქურნალისტის დიპლომს კი არ გავცემდი, არამედ სამოგზაურო კვერთხს, სამოგზაურო არგანს.

ქურნალისტი ხვალინდელი დღის საკუთარი კორესპონდენტიად ღღევანდებლობაში მოვლინებული.

ქურნალისტი მთელი ცხოვრების მანძილზე წერს ერთ... დიდ გაზეთს. ამიტომ ქურნალისტების ნაწერები, შეიძლება ითქვას, წიგნები კი არ არის. არამედ წიგნებად აკინძული გაზეთები.

არც „ფიქრიანი გზებია“, ალბათ, გამონაკლისი...

ეს არის წიგნად აკინძულა გაზეთი. ქურნალისტური ქანრებისა და თემების მოზაიკა.

გაზეთი კი ისევე მრავალწახანაგოვანია, როგორც ცხოვრება, ამიტომ ამგვარი „წიგნი-გაზეთის“ ერთ თემაზე ან ერთ ქანრზე დაფუძნება თვით ჩანაფიქრისთვის უთუოდ პროკრუსტეს სარეცელი იქნებოდა.

ამიტომ ვფიქრობთ, მოგვიტევენს მკითხველი, რომ მრავალქანროვანი და მრავალთემიანია ჩვენი „ფიქრიანი გზები“, მაგრამ სამაგიეროდ, ვიმედოვნებთ, რომ ერთი კაცის თვალითაა დანახული, ერთი გულითაა განცდილი, ერთი კალმითაა დაწერილი...

ამ წიგნის გვირგვინი — „ავრორას“ მეზღვაური იქნება ის თუ კარლ მარქსის ბადიში, ენგურისპირელი მეჩაიე თუ ბელგიის დედოფალი, ქართველი პედაგოგი თუ ამერიკელი მწერალი, ბაქოელი მენაფთობე თუ პოლივეუდის

კინოვარსკვლავი, ქართველი მწყემსი თუ ინდოეთის ელჩი, ციმბირელი მხატვარი თუ პარიზის ბალეტის პრიმა ბალერინა, სამურზაყანოელი რევოლუციონერი თუ კანადელ ინდიელთა ტომის ბელადი, ამერიკელი პოლისმენი თუ მოსკოველი კომპოზიტორი — სხვადასხვა მერიდიანებზე, სხვადასხვა დროსა და საუკუნეში ცხოვრობენ.

ყველა მერიდიანი თავისებურად საინტერესოა, მაგრამ ყველაზე საინტერესო აღამიანთა დაახლოების მერიდიანებია...

ასეთ მერიდიანებს არ იცნობს გეოგრაფია, მაგრამ ქეშპარიტი ჟურნალისტიკა ასეთ მერიდიანებზე იბადება.

ჟურნალისტი თავისებური მხვნელ-მთესველია, სიტყვებისა და ფიქრების გუთნისდღეა. მას ხომ მთელი თავისი დღე და მოსწრება „საგაზეთო პური“ მოჰყავს. ხალხს ტყუილად როდი უთქვამს: თეთრი ხნული, შავი თესლიო. ჩემი „ფიქრიანი გზები“ საგაზეთო პურია. ზოგი შოთია, ზოგი დედას პური, ზოგი თეთრია, ზოგი შავი, ზოგი იქნებ კუტია, ზოგს შეიძლება მარილიც აქლია, მაგრამ ყველა ერთ თონეშია გამომცხვარი, ერთ ნაღვერდალზე.

ამ წიგნში რამდენი ათასი სიტყვაა, იმდენი ათასი კილომეტრი გადავლახე ქარსა და წვიმაში, თოვლსა და ყინვაში, უდაბნოსა და ბალნარებში, ცასა და მიწაზე...

ქეშპარიტ ჟურნალისტს გონჯი სტრიქონიც ურჩევნია, როგორც იტყვიან, მთელს იმპერიებს.

სიტყვამ მოიტანა და ისიც ვთქვათ, რომ ეს წიგნი იწერებოდა ცაში, თვითმფრინავების სალონებში, ზღვაში, საოკეანო ლაინერების კაიუტებში, მიწაზე, ირმებშებმულ ევენკის მარხილში თუ მატარებლის ბორბლებზე მდგარ საცხოვრებელ ოთახებში, ევროპის კომფორტაბელური სასტუმროების ნომრებში და ციმბირის ტაიგაში, გეოლოგების კარავებში და ყამირ მიწებზე, ჩემი თაობის მიერ გავლებულ პირველი ხნულის კვალდაკვალ... შინ და გარეთ, სამშობლოში და უცხოეთში... აღბათ ამიტომ იქორწინა ამ წიგნის სტრიქონებში ფიქრმა და სიჩქარემ... ანუ დაიბადნენ ეს სტრიქონები და ახვევ ვტოვებთ მათ.

ყოველ სტრიქონში მოქცეული ფიქრი მოპოვებულია იმ ოფლის ფასად, რომლის შესახებ მშვენიერადაა ნათქვამი ერთ ჟურნალისტურ სიმღერაში, რომელიც ვანო მურადელმა შექმნა:

Трое суток не спать,
Трое суток шагать,
Ради нескольких строчек в газете.
Если б снова печатать,
Я бы выбрал опять
Бескопечные хлопоты эти.

ალბათ მხოლოდ ჟურნალისტების ჯილაგს ძალუძა გა-
ზეთში დასასტამბავი რამდენიმე ეფემერული სტრიქონის
გულისთვის ცხრა მთა გადალახოს, თუ საჭიროა, ცხრა
დღელამეზ უსმელ-უქმელმა და უძინარმა იაროს ცხრა სი-
ტყვიანი ან ცხრა სტრიქონიანი ამბის ჩამოსატანად.

ჟურნალისტები წერენ დღეების ბიოგრაფიებს.

დასანანია ის დღე, რომელსაც თავისი ბიოგრაფი არა
ჰყავს და ცუდია ის ჟურნალისტი, რომელიც დღეების
ბიოგრაფიას არ წერს...

ვერ დავეთანხმები იმ აზრს, რომ თითქოს გაზეთი
ერთ დღეს ცოცხლობდეს.

მართალია. გაზეთი ხშირად ერთი დღის ცხოვრებას
ასახავს, მაგრამ იმ დღის ცხოვრება განა მართო იმ დღე-
საა საინტერესო?!

ფიქრობ, დოკუმენტურობა ეფემერულობას არ უნ-
და ნიშნავდეს.

მე ჟრუანტელი მივლის ტანში, როდესაც „ივერიის“
გაყვითლებულ ფურცლებს ვეხები...

ეს იმიტომ, რომ ცხოვრების ცოცხალ დოკუმენტურ
სურათებს ვხედავ მის ფურცლებზე...

გაზეთი დოკუმენტია. მის დოკუმენტურობაშია მისი
ჯაღო და ფასი.

გაზეთი გარკვეული თვალსაზრისით ცხოვრების ერთი
დღის ფოტოგრაფიული სურათია. სურათი კი საინტერე-
სოა არა მართო მისი გადაღების დღეს, არამედ შემდე-
გაც...

ზოგჯერ „ჟურნალისტურ პროზას“ ბელეტრისტიკის
საზომებით უდგებიან. ეს, რა თქმა უნდა, გაუგებრობაა.

ჟურნალისტს თავისი საზრუნავიც ეყოფა.

მას კიანჭველასავით თავის წონაზე მეტი ტვირთი აქვს
აკიდებული და ათასი ცხოვრებისეული ფაქტიდან ისევ
როგორც ფუტკარი ათასი ყვავილიდან, წვეთ-წვეთად აგ-
როვებს „საგაზეთო თაფლს“, რომელსაც ყოველთვის
როდი აქვს ტყბილი გემო.

ჟურნალისტის ფეხსაცმლის ლანჩებზეა გაცვეთილი დედამიწის ყველა გზა და ბილიკი.

ჟურნალისტი მანქანის თუ მატარებლის ბორბლებზე ახვევს ათასობით კილომეტრს, ეცნობა ათასობით ადამიანის ბიოგრაფიას და საქმეს, რომ მერე ისინი ტელეტაიპის ან საბეჭდი მანქანის სტრიქონებად ჩამოასხას.

ცუდად ჩამოსხმულ სტრიქონს „ცივ სტრიქონს“ ეტყვიან ჟურნალისტები. თუ ჩემს წიგნში არის ცივი სტრიქონები, იმედი მაქვს მათ გამგებიანი მკითხველის გული გაათბობს...




**„რევოლუციურს. ჰმრ არ ნახულს,
ჰმრ არ გავტნილს...“**



● ოქტომბრის ცხესლით შობილნი.
ჰყვებოდა კრემლში აღგილის დედა.
„ავრორას“ თბილისელი მეზღვაური.
და, აჰა, აღმოსდა მზე! მარქსის ბა-
დიში — ფრადერიკ ლონგე, თქმუ-
ლება სერგო ორჯონიძეძეზე, ერთ-
ხელ ბუდიონის ლექსიაზე. ხო ში მი-
ნი — პოეტი. იმ საღამოს ველოდით
პასიონარიას. ლეგენდა ლუის კორ-
ვალანზე ● გაგარინის თანავარ-
სკვლავები — პირველი კოსმონავ-
გების საღამი საქართველოს. კოს-
მოსის მაგელანი, ნიკოლაევი და
კოპოვიჩი. ვარსკვლავთს მოსწყ-
და ვარსკვლავი .





ოქტომბრის ჭაჭხლით უმოგილნი

ჰყვებოდა კრემლში ადგილის დედა...

ფანჯარასთან უხმოდ მდგარი თმებდათოვლილი, ენერგიული მოხუცი ქალი გასცქერის კრემლის ჰალარა კოშკებს...

ადგილის დედა!...

რატომღაც ამ სიტყვებმა გამიელღვეს თავში.

ვინ იცის რა აგონდება ამ წუთს თავისი ზღვასავით ბობოქარ ცხოვრებიდან ელენე დიმიტრის ასულ სტასოვას, ძველ რევოლუციონერს, ბოლშევიკს, ილიჩის ერთ-ერთ თანამებრძოლსა და მეგობარს.

კარადებში ლენინის ვარდისფერყდიანი წიგნები... რევოლუციამდელი, სამოქალაქო ომისა და ადღგენითი პერიოდის ჟურნალები, გაზეთები, უნიკალური გამოცემები...

დუმილს ელენე დიმიტრის ასული არღვევს. მხცოვანი ბოლშევიკი ქალი იწყებს დიდ ბელადზე საუბარს.

ქანდაკი

— ილიჩი ნადეჟდა კონსტანტინეს ასულის მეშვეობით გავიცანი. კრუჰსკაია და მე ერთად ვმუშაობდით სკოლაში მასწავლებლად. ილიჩს უფრო დაეუახლოვდი 1905 წელს, როდესაც პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამაგზავნა ჟენევაში, თავისი აპარატის ტექნიკურ საქმეთა მმართველად. იქ ვლადიმერ ილიას-ძეს ჰყავდა თავისი ოჯახი — მეუღლე ნადეჟდა კონსტანტინეს ასული და დედა ელისაბედ ვასილის ასული.

ჟენევაში ჩასვლისთანავე ულიანოვების ოჯახს მივაშურე. ბინაში მარტო ილიჩი დამხვდა. დიდი სინარულით შემეგება. დაწვრილებით გამომკითხა პეტერბურგის, რუსეთის, ცენტრალური კომიტეტის ამბები. მერე უცებ ადგილიდან წამოიჭრა, ერთი წუთით

დამიცადეთო მთხოვა და გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ შემოიტანა ჩაი-
დანი და სუფრა გაშალა.

— თქვენ, ალბათ, გინახავთ ფილმი „ლენინი ოქტომბერში“,
— მოულოდნელად შემეკითხა ელენე დიმიტრის ასული. მე თანხ-
მობის ნიშნად თავი დაუვუქნიე.

გახსოვთ, ალბათ, ერთი ეპიზოდი, ლენინი რძეს რომ ადუ-
ლებს. ის რეჟისორის მოგონილი ფაქტი როდია. ლენინი ასეთი
უბრალო იყო ცხოვრებაში, — ამბობს ელენე დიმიტრის ასული, —
ახლა კი ისევ ქენევაში დავბრუნდეთ, — დიმილით უმატებს მსცო-
ვანი ქალი.

როცა ყველაფერი დაწვრილებით გამომკითხა რუსეთის ცხო-
ვრებაზე, ლენინმა ჩემთვის სრულიად მოულოდნელად წინადადება
მომცა მოხსენება გამეკეთებინა ქენევის რუსული კოლონიის წინა-
შე, — განაგრძობს სტასოვა. — მე ძალიან ვღელავდი, აუდიტორია
ჭრელი იყო: თავი მოეყარათ ბოლშევიკებს, მენშევიკებს, ესერებს
და ვინ მოთვლის კიდევ ვის. ჩემს მოხსენებაში მე შევებე ჩქიმთა,
ადვოკატთა, მასწავლებელთა ყრილობებს, ქენევაში ჩემი გამგზავ-
რების წინ რომ ჩატარდა რუსეთში. ლენინი პირველი მოვიდა ჩემ-
თან მოხსენების დამთავრების შემდეგ და მითხრა:

— მე მგონია თქვენგან უნდა დადგეს კარგი მომხსენებელი.
თქვენი პირველი ცდის მიხედვით მე ვხედავ, რომ თქვენ გააკეთეთ
უკეთესი მოხსენება, ვიდრე ორთოდოქსმა. ლენინი გულსხმობდა
აქსელროდს.

— ქენევაში მე პირველად მოვუსმინე ვლადიმერ ილიას-ძეს.
როგორც ორატორს, — განაგრძობს მსცოვანი რეგოლუცოინერი
ქალი, — მისი მოხსენება შეეხებოდა სამხედრო საკითხს. დღევან-
დელ დღესავით მახსოვს ის დღე, თუმცა მას შემდეგ 55 წელი გავი-
და. აუდიტორიაში ისხდნენ ჯენშევიკებიც და ესერებიც, მაგრამ
არც ერთი რეპლიკა, არც ერთი შეკითხვა არ ყოფილა. არა იმიტომ.
რომ ისინი ყველაფერში ეთანხმებოდნენ ლენინს, არამედ იმიტომ.
რომ რკინისებური იყო ლენინური ლოგიკის ძალა. რომლის შესახებ
აღფრთოვანებით წერდა ი. ბ. სტალინი თავის მოგონებებში ლენინის
შესახებ.

ლენინს უბრალოდ, ზედმეტი ექსტიულაციის გარეშე მიჰყავდა
პოლემიკა. ის აკეთებდა რამდენიმე ნაბიჯს ტრიბუნაზე. ხანდისხან
ხელს მოისვამდა შუბლზე, ხან ცერა თითს ილლიის ქვეშ ყილუტში
გაიყრიდა, სწორედ ისე, როგორც გორკი აღწერს ამას, ან მარ-
ჩვენას ასწევდა მალა, თითქოს სურდა საჩვენებელი თითის მეშვე-
ობით გაემსკვალა მთავარ აზრს მსმენელის გონება.

ქენევაში მე საშუალება მქონდა მომესმინა პლენარის გამოსვლა, — იგონებს რევოლუციონერი ქალი. — პლენარის შესანიშნავი ორატორი იყო. ლაპარაკობდა საზღვარგარეთულ მანერაზე, რადიკალიზაციას აქტიურულად, კარგად დახვეწილი დიქციით, ლამაზი ექსპრესიებით, მაგრამ მისგან ისეთი შთაბეჭდილება როდი რჩებოდა, როგორც ლენინის ორატორული ხელოვნებისაგან.

მე მახსოვს პლენარის ქრისტიანული, მაგრამ რაზე ლაპარაკობდა, აბოლუტურად არ მახსოვს, — უმატებს სტასოვა, — ლენინის სიტყვები კი მოგონებაში წარუშლელად აღმებეჭდა.

ბაუმანი

— საზღვარგარეთ ყოფნის დროს, ეს იყო 1905 წელს, — ამბობს სტასოვა, — ჩემთან მოვიდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი და შემეკითხა ცნობილი რევოლუციონერის ბაუმანის შესახებ.

მე მოვუყევი, თუ როგორ ვმუშაობდით მე და ბაუმანი ცენტრალური კომიტეტის ჩრდილოეთის ბიუროში, მოსკოვში. ასევე ვუამბე, თუ როგორ მოვხვდით ერთად ციხეში, თუ როგორ ვეხმარებოდით ამ ქედუხრელ რევოლუციონერს. როცა ის ცალკე იზოლაციაში იჯდა.

ამის შემდეგ ლენინმა თვითონ განაგრძო მოთხრობა ბაუმანზე, რადგანაც მე მისი ბედის შესახებ არაფერი ვიცოდი. ილიამა მითხრა, რომ ბაუმანი გაათავისუფლეს ციხიდან, მაგრამ „ჩორნოსოტენცებმა“ მოკლეს მაშინ, როცა იგი, ციხიდან გამოსვლის დღეს, სხვა პოლიტიკურ პატიმართა გაათავისუფლებლად მიდიოდა. ილიჩი დაწვრილებით მომიყვა ბაუმანის დასაფლავების შესახებ, მიაშინა სამგლოვიარო მიტინგზე ბაუმანის მეუღლის ნადიას გამოსვლის ამბავიც. მხოლოდ ამის შემდეგ მანახა ილიჩმა ინგლისური გაზეთი „ობსერვერი“, სადაც ეს ყველაფერი დაწვრილებით იყო აღწერილი.

რატომ მოიქცა ილიჩი ასე? იმიტომ, რომ მან იცოდა, ბაუმანი ჩემი კარგი მეგობარი იყო. არ უნდოდა ილიჩს, მეგობრის სიკვდილი მე გაზეთიდან გამეგო.

— სხვათა შორის, — თქვა სტასოვამ, — ბაუმანის დაკრძალვაზე წესრიგს ქართველ რევოლუციონერთა რაზმი იცავდა, რომელიც ერთ დროს მაქსიმ გორკის დაცვის ფუნქციასაც ასრულებდა.

მართვალნი რევოლუციონერი

— 1906 წელს ლენინი სტოკჰოლმის პარტიული ყრილობიდან დაბრუნდა და მუშაობდა რომელიღაც ნაწარმოებზე, სათაური ზუს-

ტად არ მახსოვს. ის შრომა მთელი თავისი მახვილით კადეტთა წინააღმდეგ იყო მიმართული.

მე პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დამავალა. — განაგრძობს სტასოვა, — დელეგატების სტოკჰოლმში ჩასვლისა ლს დაბრუნების ორგანიზაცია, აგრეთვე საზღვარგარეთ რევოლუციონერთა გაგზავნის ხელმძღვანელობა. იმ დროს ჩემთან მოდიოდა სამხრეთ რუსეთიდან, განსაკუთრებით ამიერკავკასიიდან, მრავალი პარტიული ამხანაგი, რევოლუციონერი, ზოგიერთი მათგანი საზღვარგარეთ იარაღის შესაძენად მიემგზავრებოდა, რადგანაც იმედი ჰქონდათ. რომ ისევ მოაწყობდნენ შეიარაღებულ აჯანყებას.

საზღვარგარეთ წასვლის მსურველთა შორის იყო, სსვათაშორის, ერთი ქართველი (სამწუხაროდ, არც გვარი და არც სახელი არ დამამახსოვრდა), — ამბობს ელენე დიმიტრის ასული. — ქართველმა ამხანაგმა თბილისში კადეტთა საქმიანობის შესახებ ბევრი საინტერესო ფაქტი და ეპიზოდი მომითხრო. ვიფიქრე ლენინს გამოადგება ქართველი ჰაბუკის მიერ მოახრობილი ფაქტები-მეთქი და ილიჩთან გავაგზავნე. არ გამიფრთხილებია. რომ ლენინთან მიდიოდა. კარგა ხნის შემდეგ დაბრუნდა ქართველი ჰაბუკი რევოლუციონერი და მისაყვედურა: რატომ არ მითხარი. თუ ლენინთან მგზავნიდიო მე კი ვუპასუხე: რომ გამეფრთხილებინე, შენ, ალბათ, მოხსენებას დაწერიდი, ოფიციალურად დაიქერდი თავს. ლენინს კი ადამიანთან ცოცხალი საუბარი უყვარს-მეთქი.

დიდად კმაყოფილი იყო ლენინთან შეხვედრით ქართველი რევოლუციონერი ჰაბუკი. მან სამხრეთული ტემპერამენტით მოუთხრო თურმე ლენინს თბილისში კადეტთა საქმიებზე. ის აღფრთოვანებული იყო დიდი ლენინის უბრალოებით.

ლენინი — აგიტატორი

— სიტყვა აგიტატორს ამ შემთხვევაში გადატანითი მნიშვნელობით არ ვხმარობ, — გვეუბნება ელენე დიმიტრის ასული. — მე მხედველობაში მაქვს ლენინის მუშაობა აგიტატორად პეტერბურგელ მუშა-რევოლუციონერთა წრეებში სტოკჰოლმის ყრილობის შემდეგ.

საქმე შემდეგშია. სახელმწიფო სათათბიროში არჩევნებთან დაკავშირებით პარტიის ცენტრალური და პეტერბურგის კომიტეტები ამომრჩევლებთან აგზავნიდნენ აგიტატორებს. მე მქონდა ორატორთა სია, რომლებსაც ვაგზავნიდით სააგიტაციოდ, მათ შორას იყო ლენინი.

მენშევიკები გაკვირვებითა და შურით მეუბნებოდნენ:

— შენ დიდი და მეტად თავმდაბალი ორატორი და აგიტატორი გყავს ლენინის სახით.

მენშევიკებს შურდათ, რომ მათ არ ჰყავდათ ისეთი ორატორი, როგორიც ლენინი იყო.

— და მართლაც, — ამბობს სტასოვა, — მე არ მახსოვს. რომ ჩემს მიერ დანიშნულ ადგილზე ლენინი არ მოსულიყოს (ჩვენ არალეგალურად ვმუშაობდით), მოხსენება არ წაეკითხოს.

არ ყოფილა შემთხვევა, რომ ლენინს დაგვიანებოდა მოხსენებაზე. მეორე დღეს ილიჩი აკურატულად, პუნქტუალურად ცხადებოდა დათქმულ ადგილზე და მაძლევდა ინფორმაციას, თუ რამდენი კაცი ესწრებოდა მის მოხსენებას, რა ხასიათის შეკითხვები მისცეს. ამას თან უმატებდა ნაკლოვანებებს, რომელიც გააჩნდა ორგანიზაციას, სადაც მას მოხსენების წაკითხვა მოუხდა.

ასე უფრთხილდებოდა პარტიული მუშაობის ნორმებსა და დისციპლინას დიდი ლენინი.

„დასასვენებლად არ მცალია!“

— ხშირად გაიგონებდით ამ სიტყვებს ლენინისაგან. ის მუდამ ზღვა საქმეებში იყო ჩაფლული. ღამეებს ათენებდა, არ ეძინა. განსაკუთრებით ასე დაძაბულად მუშაობდა ილიჩი 1917-1920 წლებში. — მე მაშინ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად ვმუშაობდი. — განაგრძობს სტასოვა. — ხშირად შირეკავდნენ ნაღვედა კონსტანტინეს ასული ან მარია ილიას ასული, რომ ილიჩი გათენებამდე მუშაობს და როცა ვეუბნებით დასვენების საჭიროებაზე. ხელს ჩაიქნევს და იტყვის: „დასასვენებლად არ მცალია“. საჭირო ზომების მიღებას მთხოვდნენ. მე მაშინ ვურეკავდი პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებს და გამოგვქონდა დადგენილება ლენინის შვებულების შესახებ. ასეთი დადგენილების პასუხად ლენინი უკმაყოფილოდ მეტყოდა ხოლმე: — როდის გვიბრძანებთ შვებულებაში წასვლას, ელენე დიმიტრის ასულს?

მაგრამ არ დაობდა. ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას უსიტყვოდ ემორჩილებოდა.

კლარა ცეტკინი

— მახსენდება, 1921 წლის მარტში გერმანიაში მოხდა აჯანყება. ამ საკითხთან დაკავშირებით გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში დიდი დავა და უთანხმოება იყო. და როცა მიღებულ იქნა ისეთი რეზოლუცია, რომელსაც ცეტკინმა წი-

ნალმდეგ მისცა ხმა, პროტესტის ნიშნად კლარა ცეტკინი ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან გამოვიდა. ცოტა ხნის შემდეგ ის გაემგზავრა მოსკოვის კომინტერნის მესამე კონგრესზე.

— იმ დროს მე გერმანიაში ვიყავი, — ამბობს ელენე დიმიტრის ასული, — და კომინტერნთან გერმანელი ამხანაგების მიმოწერა ჩემი მეშვეობით წარმოებდა. კლარა ცეტკინი მაშინ სცემდა „საერთაშორისო ქალთა ჟურნალს“. ამ ჟურნალთან დაკავშირებული მიწერ-მოწერაც ჩემი მეშვეობით ხდებოდა.

— ერთ-ერთ წერილში კლარა ცეტკინი მწერდა ლენინთან შეხვედრის შესახებ, — განაგრძობს ძველი ბოლშევიკი ქალი.

ლენინმა სასტიკად დაგმო თურმე კლარა ცეტკინის გამოსვლა ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან.

— ამ მოქმედებით, — უთხრა თურმე ლენინმა, — თქვენ ცენტრალური კომიტეტის, მთელი პარტიის ავტორიტეტი შელახეთ. პარტიის ცენტრალური კომიტეტი პარტიის საუკეთესო ადამიანთა კოლექტივია, თქვენ კი რა გააკეთეთ?

— როგორც წერილში იყო ხაზგასმული, — ამბობს სტასოვა, — კლარა ცეტკინმა პირობა მისცა ლენინს, რომ მომავალში ასეთ საკითხებს თავის ამხანაგებთან მოთათბირებინს გარეშე არ დაწყვეტდა

ლენინი დიდ პატივს სცემდა კლარა ცეტკინს, მაგრამ უხეში შეცდომების ჩადენას ის არავის აბატიებდა და მის დაუყოვნებლივ გამოსწორებას მოითხოვდა.

ზრუნვა პარტიულ ამხანაგებზე

— 1919-1920 წლებში ხშირად მოდიოდნენ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში ამხანაგები და მეუბნებოდნენ, — იგონებს სტასოვა, — ძერჟინსკი 24 საათი მუშაობს დღე-ღამეში, სერიოზულად შეირყეულ ჯანმრთელობას არ უფრთხილდება.

ერთხელ ვაცნობე ვლადიმერ ილიას-ძეს ამის შესახებ. ილიჩმა ნახევარი საათის შემდეგ დამირეკა:

— ფელიქს ედმუნდის-ძეს ეძლევა ორი კვირის შვებულება. გაემგზავროს ნაროფომინსკში.

ნაროფომინსკში იმიტომ აგზავნიდა ძერჟინსკის ლენინი, — განმარტავს სტასოვა, — რომ, ჯერ-ერთი, იქ იყო პოდმოსკოვიეში საუკეთესო მეურნეობა, რომელსაც შეეძლო შეუფერხებლად მოემარაგებინა პროდუქტებით ფელიქს ედმუნდის-ძე; მეორე — ნაროფომინსკში არ იყო ტელეფონი და ძერჟინსკი ვერ შეძლებდა საქმე-

ეებისათვის მოეკიდა ხელი. იცოდა ლენინმა ძერჟინსკის ხასიათი, ფელიქს ედმუნდის-ძეს შევებულეებაშიც არ შეეძლო უსაქმოდ ყოფნა.

მახსოვს მეორე შემთხვევაც. ლენინი ზრუნავდა იმისათვის, რომ ამხანაგ სტალინისათვის გამოეძებნა კარგი ბინა. მართალია, ამხანაგი სტალინი ცხოვრობდა კრემლში, მაგრამ მეზობლად ბინა ჰქონდა მრავალბავშვიან ოჯახს, და ლენინი ხშირად ამბობდა, რომ სტალინს, ალბათ, ღამე პატარა ბავშვების ტირილი არ ასვენებს და დღისით კიდევ მოზრდილ ყმაწვილთა ხმაურითა.

ასეთი გულისხმიერი იყო ლენინი, ასე ზრუნავდა ის პარტიულ ამხანაგებზე.

თავმდაბლობა

— ლენინი არაჩვეულებრივად თავმდაბალი იყო. ერთ-ერთი ანკეტის კითხვაზე „რომელ ენებს ფლობთ?“ ლენინი პასუხად წერს: „ცუდად ვფლობ ფრანგულს, ინგლისურს და გერმანულს, ძალიან ცუდად — იტალიურს“. მე შემიძლია ორიოდ ფაქტი მოვიყვანო ლენინის მიერ უცხო ენების ცოდნის შესახებ, — ამბობს ელენე დიმიტრის ასული სტასოვა.

1920 წელს, პარტიის მე-9 ყრილობის წინ, მოსკოვს ჩამოვიდნენ საფრანგეთის სოციალისტური პარტიის წარმომადგენლები მარსელ კაშენი და ფროს არი. საუბარი ჰქონდათ ლენინთან მათი პარტიის კომინტერნში მოღების შესახებ. ვლადიმერ ილიას-ძემ მომიხმო და მითხრა: „ელენე დიმიტრის ასულო, თქვენ ენები კარგად იცით, დამეხმარეთ თუ რომელიმე სიტყვა ვერ გავიხსენე“. მაგრამ რადგანაც ლენინმა კარგად იცოდა ფრანგული ენა. საათნახევრიანი საუბრის განმავლობაში მე სულ ერთხელ თუ ორჯერ მივეშველე.

მეორე შემთხვევა მახსენდება, — განაგრძობს სტასოვა. — ეს იყო 1920 წელს, კომინტერნის მეორე კონგრესზე. ლენინი გამოვიდა გერმანიის კომპარტიისა და იტალიელი მოღვაწის სერრატის კრიტიკით. სანამ გერმანიაზე ლაპარაკობდა, ლენინი გერმანულ ენაზე აკეთებდა მოხსენებას, როდესაც საკითხი შეეხო იტალიას, ილიჩმა ფრანგულ და იტალიურ ენებზე დაიწყო ლაპარაკი. ძნელია იმ ეფექტის გადმოცემა, რაც მოახდინა კრემლის დიდ სასახლეში შეკრებილ უცხოელთა წინაშე ლენინის მიერ უცხო ენების შესანიშნავმა ცოდნამ.

— ასე „ცუდად“ იცოდა ლენინმა ევროპული ენები, — დასძენს დიმილით ელენე დიმიტრის ასული.

— ეს კი უკვე თქვენ გეხებათ, ჟურნალისტებს, — ამბობს მსცოვანი რევოლუციონერი ქალი და თან იღიმება.

მასსოვს 1919-1920 წლებში ქალაქის დიდ ნაკლებობას განვიციდილით. „პრავდა“ იბეჭდებოდა ორ გვერდზე, ისიც მოყვითალო ფერის შესახვევ ქალაქზე. მასალები კი აურაცხელი მოდიოდა „პრავდაში“. ვ. ი. ლენინმა გასცა განკარგულება, არცერთი სტატია არ უნდა იყოსო 25 ნაბეჭდ სტრიქონზე მეტი. რა თქმა უნდა, ჟურნალისტებმა პირველად უკმაყოფილება გამოთქვეს, მაგრამ შერე აღმოჩნდა, რომ შესაძლებელია ლაკონურად წერა.

გარმანიაში, იოჰანეს ბახერთან ერთად...

— პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და კომინტერნმა გერმანიაში მიმავლინეს 1921 წელს. მე გამგზავრების წინ ვთხოვე ლენინს მოეცა ჩემთვის პრაქტიკული რჩევა-დარიგებანი.

— არავითარ ინსტრუქციას მე თქვენ არ მოგცემთ, — მითხრა ლენინმა, — მხოლოდ გახსოვდეთ, ჯერ ერთი, თუ იქ, გერმანიაში ყოფნის დროს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში უთანხმოება იქნება, ან თქვენ არ დაეთანხმებით რომელიმე პრობლემის გადაჭრას, გერმანელ კომუნისტებს ნუ დაუწყებთ თქვენი თვალსაზრისის კარნახს. სჯობს ურჩიოთ, რასაც თქვენ ფიქრობთ. მეორე, აუცილებლად იმუშავეთ პარტიის ძირეულ უჯრედებში. ამით თქვენ შეძლებთ შეამოწმოთ როგორ ღებულობს მასა გერმანიის კომპარტიის დადგენილებას და როგორ ასრულებს მას.

— მეც ასე მოვიქეცი, — ამბობს ელენე დიმიტრის ასული, — მე პარტიის ძირეულ უჯრედებში ვმუშაობდი ახალი გერმანიის ეროვნულ პროეტ იოჰანეს ბეხერთან ერთად. ი. ბეხერი მე გერმანიაში ჩემს პარტიულ სახელს „ჰერტას“ შეძახდა. ეს ჩვეულებად ექცა დიდ პროეტს და საბჭოთა კავშირში ემიგრაციაში ყოფნის დროსაც (1933-1945 წწ.) ელენეს ნაცვლად „ჰერტას“ ნიწოდებდა.

მე ლენინთან მუშაობის დროს, როგორც ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ყველაფერს ვაკეთებდი იძისათვის. რომ ვლადიმერ ილიას-ძე ოდნავ მაინც განმეტვირთა და არ მომეცდინა დიდი პოლიტიკური და თეორიული პრობლემებისაგან შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანი საკითხების გარჩევით, — ამბობს ელენე დიმიტრის ასული.

.. ზის მაგიდასთან თავის ბინაში ეს ჭაღარა მოხუცი ქალი, ბოლშევიკთა უძველესი პლეადის ერთ-ერთი მშვენიება. მისი ცხოვრება,

მჩქეფარე შემოქმედებითი მოღვაწეობა მაგალითია ხალხისა და რევოლუციის უმწიკვლო სამსახურისა.

ფანჯრიდან მოსჩანს, მდინარე მოსკოვის გაღმა კრემლის კოშკები, კოშკებზე ლალისფერი ვარსკვლავები, უფრო მაღლა, იმაზე მაღლა, სადაც ახლა ფანჯარასთან მოშრიალე ფანტელები იბადებიან, მიარღვევს სივრცეს დედამიწის თანამგზავრი...

— ბიიპ, ბიიპ! — იმის ეთერში მისი ხმა.

ეს მშვიდობისა და მეგობრობის ხმაა, რომელიც მსოფლიოს წვდება. მას უსმენს კოსმოსური შორეთიც...

და თქვენ ბედნიერი ხართ, ელენე დიმიტრის ასულო, რომ ლენინის ოცნებათა, თქვენს სანუკვარ ოცნებათა განხორციელებას მოესწარით.

მოსკოვი - თბილისი.

„ავრორას“ თბილისელი მეზღვაური

ბლოკს არ ჰქონდა ჯერ კიდევ დაწერილი თავისი „თორმეტი“, გალაკტიონი ჯერ არ ასულიყო გემ „დალანდზე“... ჯონ რიდი წერდა პირველ სტრიჯონებს წიგნისას „ათი დღე, რომელმაც შესძრა მსოფლიო“....

არც ბლოკი, არც გალაკტიონი, არც ჯონ რიდი არ იცნობდნენ მას, ამჟამად ოდნავ ბიბლიური სახის მოხუცს, მაშინ კი ჰაბუკ ვასილს... მაგრამ ყოველი სიტყვა, რომელიც ამ დღეებზე დაიწერა, მისი ბიოგრაფიაც არის, ყოველი სიტყვა, რომელიც კომუნისტზე დაიწერება, მასაც ეხება, თუმცა ის პარტიკის წევრი არ არის. ყველა ძეგლი მისი ძეგლია, და ამავე დროს მას არც ერთი ძეგლიც არ უდგას...

მოაბიჯებენ ერთად საუკუნე და მოხუცი და უკვდავების სიმღერას მღერიან...

დროს თავისი ნერვული ხელწერა დაუტოვებია მის მაღალ შუბლზე, ჰალარა და ნაოჭები დროის დინების ნაკვალევია მის სახეზე... წელში ოდნავ მოხრილა... საუბრის დროს ხშირად შეჩერდება, ფიქრობს... ასე მგონია, ამ წუთს რადიაციასავით გაივლის მოხუცის ტვინში დრო და მეხსიერების სარკეში ერთმანეთს ცვლიან საოცარი სურათები, რომელთა გაცოცხლებას რაფაელის ფუნჯი და მიქელანჯელოს საჭრეთელი სჭირდება...

თავად კი ისე უბრალოა, როგორც სიმართლე.

მეხსიერების სარკეში იცვლებიან სურათები.

ცხოვრება იყო ის დიდი რეჟისორი, რომელიც ხან მთავარ რო-

ლში, ხან კულისებში ათამაშებდა ვასილ მასლოვსკის... მაგრამ მას მუდამ ერთი ამპლუა ჰქონდა. ის ყოველთვის ადამიანის როლში გამოდიოდა...

სანკტ-პეტერბურგში, 27 წლით ადრე მანამდე, სანამ ლეგენდარული ათი დღე შესძრავდა მსოფლიოს, დაიბადა, როგორც ჩვეულებრივ იბადება ყველა, პატარა ვასია მასლოვსკი, მომავალი მეზღვაური, ინჟინერი, და, შეიძლება, ყველაზე თავმდაბალი კაცი.

სანკტ-პეტერბურგიდან ბოლოგოეში ჩავიდა პატარა ბიჭი, რომ გზების გაყვანა და ხიდების შენება ესწავლა. მუშაობდა პეტერბურგ-მოსკოვის ლარივით სწორ რკინიგზაზე და დასცინოდა ჩერჩეტ მეფეს, რომელმაც იმის პასუხად, თუ როგორ გაეყვანათ პირველი რკინიგზა რუსეთში, რუკაზე დადო სახაზავი და ლარივით სწორი ხაზი გაიყვანა იმპერიის ორ დედაქალაქს შორის; ხაზი იქ უხვევდა, სადაც მეფის თითს შემთხვევით წამოედო ფანქარი. როგორც გახაზა მეფემ, რკინიგზაც ისე გაიყვანეს პეტერბურგიდან მოსკოვამდე. ვასია მალე მიხვდა, რომ „ინჟინერ მეფეზე“ მეტი იცოდა ამ საქმისა... მაგრამ თავის თავს უმეორებდა ყოველთვის ძველი ფილოსოფოსის სიტყვებს: „მე ის ვიცი, რომ არაფერი არ ვიციო“.

ჰოდა, როცა იცის კაცმა, რომ ცოტა იცის, შეეცდება ნეტო ცცოდეს. ვასილიც სწავლობდა და აი, უკვე მოსკოვ-ყაზანის რკინიგზაზე მუშაობს. აქ ათი წლის შემდეგ ჩაისახება დიდი მოძრაობა. რომელსაც ლენინი თავის ერთ წიგნში „კომუნისმის ყლორტებს“ უწოდებს. იმ წიგნს მერე ოქროს ყდაში ჩასვამენ.

მაგრამ ეს ათი წლის შემდეგ მოხდება.

და ეს რომ მოხდეს, ჯერ საჭიროა ვასიამ ყუმბარა ესროლოს „ავრორადან“ ზამთრის სასახლეს...

ჯერჯერობით ვასილი უბრალო ტექნიკოსია და არაფერი იცის იმის შესახებ, რომ დედამიწის პირველი ხომალდის მეზღვაური ვახდება და ერთი იმათთაგანი, ვინც ათ დღეში მსოფლიოს შესძრავს...

მალე იგი ოკულოვკაში გადადის და რკინიგზის მკვირე ტოტი გაპყავს... მაგრამ მეფემ უწყება გამოუგზავნა მოქალაქე ვასილ ნიკოლოზის-ძე მასლოვსკის და არმიაში გაიწვია 1913 წელს.

მეფეს ომი უნდა.

ოშს საზარბაზნე ზორცი სჭირდება. მეფის აზრით. ვასია ზედგამოჭრილია ამ საქმისათვის.

მეხსიერების სარკეში მოხუცი ხედავს ჰაბუჯ ვასილ მასლოვსკის... ის ბალტიის ფლოტის მეზღვაურია... ქალიშვილები ვასილს ეძახიან ლამაზ მეზღვაურს კრეისერ „ოლეგიდან“. ყველას მიეტევება ინტიმური მოგონება, მით უმეტეს მოხუცს, რომელიც თავის სიჰაბუჯეს ელაციცება...

კრონშტადტში ვასილი ეუფლება საზღვაო ტექნიკას, ხუთი თი-
თვივით ისწავლა კრეისერის მოტორი...

არც აცხელეს და არც აცივეს. ვასილი რუსეთ-იაპონიის ომის
დროს, ცუსიმას გადარჩენილ ლეგენდარულ კრეისერ „ავრორაზე“
აიყვანეს მოტორისტად...

ცხოვრება ისე იყო დახლართული, როგორც გორდაას კვანჩი...
1914 წელი...

მსოფლიო იმპერიალისტური ომი...

მუშათა მოძრაობა...

კრეისერ „ავრორაზე“ ყველ: პარტივისციებით იხსენიებს ვასილ
მასლოვსკის სახელს... მუშები ვასილს პეტროგრადის საბჭოს დე-
პუტატად ირჩევენ...

ვასილი უკვე პოლიტიკური მოღვაწეა... და ყოველთვის, როცა
ნევის პროსპექტზე მიაბიჯებს, ახსოვს ბრძენი კაცის სიტყვები: რე-
ვოლუციონერის გზა ნევის პროსპექტი როდიაო...

აერცელებს პროკლამაციებს მატროსებს შორის, „ისკრის“ და
„პრავდის“ პოეტთა ლექსებს კითხულობს... ეცნობა მარქსის „კაპი-
ტალს“, ლენინის შრომებს, უსმენს ბოლშევიკ ორატორებს და
გრძნობს, რომ მის გონებაში სიბრძნის თესლმა გაიღვიძა...

თებერვლის რევოლუციამ განმწმენდი ქარიშხალივით იქუხა,
დაამხო მეფე. მაგრამ მუშებს იმედი ვერ გაუმართლა დროებითმა
მთავრობამ.

პროლეტარიატი იბრძოდა, ბურჟუაზია ხელისუფლებისკენ მი-
იპარებოდა... ვასილს თვალეები აეხილა, გაერკვა მოვლენებში და
შეუტია დროებითი მთავრობის პოლიტიკას ბოლშევიკური აგიტა-
ციით...

კერენსკიმ ჩასვა ციხეში. ექვს თვეს იჯდა ბრესტის საპყრობი-
ლეში მოქალაქე და რევოლუციონერი.

არც ეს ბნელიანი პრემიერია მეფეზე უკეთესიო, — იფიქრა ვა-
სილმა და რევოლუციური თეორიის უფრო ღრმად შესწავლას მიჰ-
ყო ხელი...

აშასობაში კრეისერ „ავრორას“ ექვსასი მეზღვაურიც არ იჯდა
გულხელდაკრეფილი. მათ მტკიცედ მოითხოვეს ვასილის განთავი-
სუფლება, და იკადრა კერენსკის მთავრობამ ამხანაგ ვასილის გაშ-
ვება ციხიდან.

მასლოვსკი რევოლუციის მორევში გადაეშვა. მიჰქონდა პროკ-
ლამაციები კრონშტადტიდან კრეისერზე, აერცელებდა პეტროგ-
რადის ქუჩებში ბოლშევიკურ ლიტერატურას. გაზეთებს.

დადგა 1917 წლის 24 ოქტომბერი... დღე, როდესაც თავდებო-
და კაცობრიობის პრეისტორია...

კრეისერი „ავრორა“ რევოლუციის დავალებით გავადა ნევაზე იმ ადგილას, სადაც ამჟამად გრანიტზე ამოკვეთილია გემორა-ლური დაფა.

გრიალით აისროლა ჭურვი ჰაერში...

ქოხმა ესროლა სასახლეს...

ვასილი იმ ისტორიულ დღეს „ავრორას“ მოტორისტი იყო და რევოლუციის მესიის — „ავრორას“ ყოველი ჭანჭიკის ხმაურს ყურს უგდებდა, როგორც საკუთარი გულის ძვერას...

ვასილი „ავრორას“ გემბანზე იდგა, როცა მაიაკოვსკის პომის მომავალი გმირი კითხულობდა ზამთრის სასახლეში: ჰეი, ვინ არის აქ დროებითი, გათავდა თქვენი დროო.

„ავრორას“ ხმა ესმე მსოფლიოს... კერენსკიმ ქალის ტანსაცმელი ჩაიცვა და გაქცევით უშველა თავს...

ასე გადაუხადა სამაგიერო ვასილმა დროებით პრემიერს.

„ავრორას“ ყუმბარის გასროლის ხმას დასაწყისი აქვს. მაგრამ არა აქვს დასასრული... ის ხმა რაკეტებმა აიტანეს მთვარეზე... ის ხენი ყოველდღიური ცხოვრების ჰიმნშია ჩართული, და ის კაცი. ვინც პირველ ხნულს გაავლებს მეზობელ პლანეტაზე, ისეთ ძველს დაუდგამს „ავრორას“ ექოს, რომ მთვარიდან დედამიწაზე ჩანდეს...

დიდი ამბები ჩვეულებრივად ხდება. ისროლა „ავრორამ“ ყუჩბარა. და ვასილ მასლოვსკი რევოლუციის ფორპოსტზე აღმოჩნდა.

დროშასავით წაიღო „ავრორას“ ექო ვასილმა ცხოვრების გზაზე. „ავრორას“ ექო ლეგენდარულ მეთერთმეტე არმიასთან ერთად ჩამოიტანა თბილისში ძველმა რევოლუციონერმა და დროშასავით აფრიალა საქართველოს მთებსა და გორებზე...

ეს იყო 1921 წელს... მანამდე კი დიდი ამბები მოხდა მის ცხოვრებაში. ბევრი რამ შეიძლება დაავიწყდეს ადამიანს. მაგრამ მისი სწოვნიდან არასოდეს წარიხოცება შეხვედრები დედამიწის ყველაზე უდიდეს მოქალაქესთან — ვლადიმერ ლენინთან. სამჯერ ნახა ვასილმა ლენინი. პეტროგრადში ქსეშინსკაიას სასახლესთან მოისმინა მან რევოლუციის დიდი ბელადის გამოსვლა. ფინეთის ვაგზალთან ჯავშნოსნიდან ლენინის მიერ წარმოთქმული სიტყვა კი თან წამოიღო ცხოვრების გზაზე. მაგრამ ყველაზე შთამბეჭდავი იყო ლენინთან შეხვედრა სმოლნში... ვასილი რევოლუციის შემდეგ კონტრრევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად მეზღვაურთა დამკრეულ ჯგუფებს ადგენდა. ერთხელ ლენინთან მივიდა სმოლნში და სთხოვა ტრანსპორტი და რესურსები. ლენინმა ყურადღებით მოუსმინა ვასილს, მერე თვითონ დარეკა კომისარიატებში და საპირო დახმარება დაუყოვნებლივ აღმოუჩინა.

სამი შეხვედრა ლენინთან სამი ეტაპი იყო მის ცხოვრებაში.
მერე დაიწყო სამოქალაქო ომის ფრონტები... კრილობა, შიმშილი, სიკვდილი ორ ნაბიჯზე...

კიროვისა და ორჯონიკიძის ლეგენდარულმა მე-11 არმიამ საქართველოში ჩამოიყვანა „ავრორას“ მეზღვაური.

კაცი, რომელმაც პირველი ხიდი ააგო, ალბათ ძალაღან კეთილი და ჭკვიანი კაცი იყო. ხიდში რაღაც ღრმა აზრია ჩაქსოვილი.

ვასილი ხიდის მშენებელია. მას გაჰყავდა გზები, რომ ძმობას და რევოლუციას ზედ გაეელო. ის აერთებდა თავისი ხიდებით ხალხებსა და ეპოქებს. ასე უბრალო და ასე ღრმა ფილოსოფიური აზრია ჩაქსოვილი გზის გაყვანასა და ხიდების აგებაში...

ვასილ მასლოვსკი სერგო ორჯონიკიძის პირადი დავალებით ხიდს აგებს მტკვარზე... ამ ხილით შემოდის მე-11 არმია და საბჭოთა ხელისუფლება თბილისში. ამ ხილით შემოდის თვით კომუნისტები საქართველოში.

ვასილი იგონებს რევოლუციის რაინდს სერგო ორჯონიკიძეს. რომელიც ვაგონში ცხოვრობდა. ყოველდღე მივდიოდი მასთან და ხიდის მშენებლობის მდგომარეობაზე ვუპატაკებდი.

ვასილი ერთ ხანს ბაქოში მუშაობს... ამიერკავკასიის მაგისტრალეებზე დამკვრელ სარემონტო მატარებელს თავაჯიკოს.

მერე თბილისში განაგრძობს სწავლას ვასილი პოლიტექნიკურ ინსტიტუტში...

ფეხით შემოიარა მთელი საქართველო... ხან ქუთაისში მუშაობს. ხან ფოთში, ხან სოხუმში...

რკინიგზის მშენებელმა ბოლოს საპაერო კიშკრებიც შეაბა საქართველოს...

1941 წლის 22 ივნისს დაიწყო დიდი სამამულო ომი. ვასილს ამ ცნობამ ქუთაისის აეროდრომზე მოუსწრო... ყოყმანის დრო არ იყო 53 წლის კაცი წერს განცხადებას და მიდის ფრონტზე...

მას რევოლუცია უბრძანებდა. რომ „ავრორას“ ექო ბერლინის კედლებამდე მიეტანა...

ეს იყო საუკუნის ტვირთი, სახალხო ტვირთი...

პირველი საბრძოლო ნათლობა ვასილმა კიევის მისადგომებზე მიიღო. ის საინჟინრო ნაწილებში მუშაობდა და იბრძოდა...

დრო წერდა მისი ბიოგრაფიის ახალ ფურცლებს, და ეს საუკუნის ბიოგრაფიაც იყო...

„ავრორას“ მეზღვაურმა შპრეე გადალახა და რაიხსტაგზე ეგოროვისა და ქანთარაის მიერ დროშის აღმართვის დღეს ბერლინში იყო...

ის ხიდებს აგებდა ავსტრიაში ღუნაიზე და ჩეხოსლოვაკიაში

ვლტავაზე, რომ ბერლინისაკენ მიმავალი გზები შეემოკლებინა... მისი ბიოგრაფიის ამაღელვებელი დღეების მოსაგონარია წითელი ვარსკვლავის ორდენი, რომელიც ვენაში გადასცეს, სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენი, რომელიც ოდერზე მიიღო. მედლები „ბერლინის აღებისათვის“, „საბრძოლო დამსახურებისათვის“, „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“ „კავკასიის დაცვისათვის“...

ომგადახდილ ვასილს მოხდილი ჰქონდა ვალი ხალხისა და სამშობლოს წინაშე... გულმა მაინც ვერ გაუძლო. საქართველოში ნავთობსაძიებელ სამუშაოებში იღებს მონაწილეობას. ნავთობს ეძებს ძველი იბერიის მიწაზე...

დღეს ვასილი პენსიაზეა. ბედნიერი ადამიანი, მამა და პაპაა. მისი ქალიშვილი სვეტლანა ბიბლიოგრაფია. მართლაც რომ სჭირდება ასეთი პროფესია ოქტომბრის ბიოგრაფიის დაწერას. შვილიშვილი სერგო სკოლაში სწავლობს, კოსმონავტობაზე ოცნებობს. მან უნდა მიიღოს პაპის ესტაფეტა და კიდევ უფრო შორს წაიღოს „ავრორას“ ექო... ამისათვის იბადება ადამიანი დღეს დედამიწაზე.

დგას „ავრორა“ ნევაზე... დედამიწის ყველა კუთხიდან მოდიან სხვადასხვა ხალხთა შვილები. მათ მოუთხრობენ იმ ადამიანებზე, რომლებმაც შესძრეს მსოფლიო.

ლენინგრადში „ავრორას“ მუზეუმში გვითხრეს, რომ თბილისში ცხოვრობს ლეგენდარული კრეისერის მეზღვაური ვასილ მასლოვსკი...

ოქტომბრის დღესასწაულის დღეს ამ კაცს თბილისში, აკაკის პროსპექტზე ვუთხარით პოეტის სიტყვებით: რაც დრო გავიდა, მისთვის გავიდა, რაც დრო გადარჩა, მისთვის გადარჩა.

ლეგენდიდან მოსული ადამიანები არ კვდებიან.

ლენინგრადი—თბილისი.

და, აჰა, აღმოჩნდა მზე!..

(ძველი რევოლუციონერის ნაამბობიდან)

...მოთვარიანი ღამე იყო, დამფრთხალი თეთრი ყახჩა აფრინდა მარაჰის ველიდან, მერე ლანდი გამოექცა ტყეს და თივის ზვინში დაიმალა.

„ვინ არის?“ — გაიფიქრა თედომ.

უცებ ზღვიდან სროლა მოისმია, მერე ცხენის თქარათქური და კაცის ყვირილი:

— არიქა, არ გაუშვათ!

ხმაზე იცნო თედომ ქანდარმი. ყველაფერს მიხვდა.

ნაბღის მოსასხამად შევარდ: ქოხში და იმავე წუთს კაკუნო მოესმა კარზე.

— მასპინძელო, მიშველეთ, მომდევენ, — თქვა აქლოზინკებულმა უცნობმა დამტვრეული ქართულით და ქოხის კარები შემოამტვრია.

თედო არ იცნობდა სტუმარს, მაგრამ პაპის ანდერძს იცავდა:

— კაცს თუ უკირს, დაუხარეო. ის იყო უცნობი ტანტკვეშ და მალა, რომ ქანდარმის ძახილი მოისმა:

— ჰეი, თედო, გააღე კარი!

თედოს დათვის ეძახდნენ მეტსახელად მთელ ოტობეში. თათებივით ხელები ჰქონდა, ბულა ხარს საყანწე რქაში ხელს ჩაავლებდა და კისერს მოუგრებდა, ბავშვობისას შუალამით წასულა სასაფლაოზე და არ შეშინებულა. ორი ყაჩალი დაახშირ თავს, კუდით ქვა უსროლინებია.

ახლა კი ოდნავ შეკრთა, ნაბაღი მოისხა, ხელში ყამა აიღო და კარისაყენ გააღაჯა:

— ვინა ხარ მანდ.

— კარი მხოლოდ ლაჩარსა აქვს დაკეტილი. გააღე! უტუთივარ, კრაქი აანთე.

— კრაქი არა მაქვს. რაჟ მოგიყვანა ამ შუალამისას...

— თედო, შენთან იმალება ხელმწიფის მტერი და ორგული.

— ასეთს არავის ვიცნობ, — იყო პასუხი.

— ტყუილია, ქოხი უნდა გავჩხრიკო.

— რაო, უტუთია, ჩემი არ გჯერა? ნამუსზე მიმადურთხე?

— თედო, ქოხი უნდა გავჩხრიკო-მეთქი.

— ჩემი ცოცხალი თავით ეს არ მოხდება, — თქვა თედომ და ალაყაფს გადმოაბიჯა, ნაბღის კალთა გაისწორა. და ქანდარმმა თვალი მოჰკრა როგორ ალაპლაპდა მთვარის შუქზე მოვერცხლილი ყამის თავი, გველის ფორმისა იყო იგი, საშიშარი და შემადრწუნებელი.

— განანებ, თედოია! — თქვა ქანდარმმა და ცხენი გაქუსლა უკან.

ქოხში თევზის სუნი იდგა და კატა კნაოდა, მეთევზემ სხენიდან ჩამოიღო სულგუნის ნახევარი და კეცზე გამომცხვარი მქადი კვანის ფოთლებში შეახვია.

— ეს საგზლად წაიღე, — უთხრა მან სტუმარს.

— გმადლობთ, ამხანაგო, ჩემს გამო უსიამოვნება შეგხვდათ.

— წითელი ხარ? — იკითხა მეთევზემ.

— წითელი ვარ, — იყო პასუხი.

...შულაპისას ნავი ჩემად მიცურავდა ჩალამ-კალამში, მეთევ-
ზემ გაიყვანა ჯიქი, ასე ეძახდნენ უცნობს, ბოლაზის მეორე მხარეს
და გზა დაულოცა.

ნიკოია ჯერ კიდევ ტახტზე იჯდა მაშინ. ჯიქი ლენინის პირადი
დავალებით იყო ჩამოსული საქართველოში და გემიდან აპირებ
„ფილიკით“ გადმოსვლისას შეამჩნია ჟანდარმმა.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა.

მთა მთას არ შეხვდება, თორემ კაცი კაცს ყოველთვის. ეს მეორე
შეხვედრაც ისევე მოულოდნელი იყო პეტროგრადის ცის ქვეშ, რო-
გორც ის პირველი, სამურზაყანოს ჩალამ-კალამში, შავი ზღვის პი-
რას. მეგობრები ერთმანეთს გადაეხვივნენ.

...ახლა თედო შეპყურებდა ჯიქს, ფარაჯიან არმიელს. პეტრე
დავიდოვს შაშხანა ეპყრა ხელში, ლოყაზე ნახმლევი აჩნდა, ფრონ-
ტისა იყო ალბათ, ლოყები ჩავარდნოდა და თვალები ოდნავ ჩასც-
ვივნოდა, მაგრამ პაქუა ცხვირი და ცისფერი თვალები ბავშვის
იერს აძლევდა ორმოც წელს მიღწეულ ქერა კაცს.

— ისევ ის დათვი ხარ, თედო, მხოლოდ ოდნავ გამხდარი, —
ეუბნებოდა ჯიქი მეგობარს.

ტყვიისფერი იყო ნევა.

თედო იცინოდა, ქალარაგარეულ ხუჭუჭ თმას ქუდქვეშ ისწო-
რებდა. კეხიან ცხვირზე მალიმალ ისვამდა ხელს, თათებში შაშხანა
ჩაებლუჯა და ერთ ნაბიჯს რომ გადადგამდა, ჯიქს ბარე სამი ნაბიჯის
გაკეთება სჭირდებოდა, ძმაკაცს რომ დასწყოდა.

— ციმბირში გადამასახლეს, ჯიქი. იქიდან ფრონტზე მიკრეს
თავი... დღეს კი „ყინულის სასახლე“ უნდა დავაყუმბაროთ, მერე
კი ჩემს ქოხს დავუბრუნდები. იცი, როგორ მენატრება, რას ვიფიქ-
რებდი, რომ გნახავდი, ჯიქი?

ჯიქი პასუხად იღიმებოდა.

ისააკის ტაძრის შპილი ორლესულს ჰგავდა. ჩრდილოეთის სუს-
ხიანი ქარი იმ ორლესულით ფატრავდა ღრუბლებს.

მეზღვაურებს ორთავიანი არწივისათვის ორივე თავი წაეცა-
ლათ და სანაგვე ყუთში აგდებდნენ იმპერიის გერბს.

მოედანზე მთვრალი ქვრქიანი ნიკოლოზის ძეგლს მუშტს უღე-
რებდა და ემუქრებოდა, ჩამოდი ცხენიდან, იმპერატორო, თორემ
ფეხით ჩამოგათრევო.

ქუჩაში ჯარისკაცების სიცილ-ხარხარი იდგა. წეროსფეხება ხმელ-
ქძელი ჯარისკაცი ყვებოდა:

— კერენსკის სასწრაფოდ ჩაუცვამა ბებიამისის კაბა...

— ხა-ხა-ხა! — იცინოდნენ ჯარისკაცები ..

— იმ კაბაში კერენსკი ისე დამსკავებოდა ქალს, რამ ერთ უცხოელს არაფერი იცოდა... დაუწყია...

წეროსფეხება კერენსკის პოზას იპერდა, ჯარისკაცები სიცილით იგუდებოდნენ.

კარებჩამტვრეულ კაფეზე ეწერა ოქროს ასოვნით „იმპერია“ და მერე გაკრული ხელით „გაუქმებულა“.

ისააკის ტაძარში ეპისკოპოსი ქადაგებდა:

— ღვთისმშობლის ხატები გარბიან პეტერბურგის ტაძრებიდან. ივერიის ღვთისმშობლის ხატი გაქცეულა მოსკოვიდან. ქრისტეს უგუნუნო შვილნო, გონს მოდიო, სანამ დროა, ხელი არ ახლოთ დროებით მთავრობას.

— კონტრაა! ჩამოაგდეთ! — იხუვლა ხალხმა.

მეგობრებმა გზა განაგრძეს. ასეთ სცენებს პეტროგრადის ყველა კუთხეში ნახვდა კაცი, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევიათ.

— თედო, როგორ ნახვდი ციხეში? — უცებ იკითხა ჩიქმა.

— ანეკდოტურ ამბავს შევეწირე.

ეს იყო რუსეთ-იაპონიის ომის დროს. ერთი უნიჰო გენერალი. ბედროხე ვიყავი.

— ომში, მეძროხე?

— პო, მეძროხე, ენერალს ფრონტზე ვაგონათ დაჰყავდა ქრული ძროხა. ახალი რაით აღუდებელი ყავა უყვარდა. ნამწყვდისარ კაცს ძროხის მოვლაში კინ მაჭობებდა. სულ მალე გენერალს ისე შეეკუყვარდი. თვალში რომ ჩავეჯიღნოდი, ხელს არ ამოისვამდა. ერთხელ. საუზმის შემდეგ, ცრემლნორთულა მოძიახლოვდა. თავისი ხელით წმიდა გიორგის ჯვარი ჩამომკიდა კისერზე და მითხრა:

— ეს შენ. ჩემო ფიოდორ, ჩემი „გენერალშას“, ასე ეძახდა თავის ძროხას, ჩინებულად მოვლისათვის.

სამურზაყანოში რომ დავბრუნდი, წმიდა გიორგის ჯვრის კავალერი ვიყავი და ყაენს არ ვაძლევდი სალამს. ერთ დღეს ქონის წინ ვზივარ. კრუხს თავისი ჯალაბი გაეყვანა ეზოში და ჰილუებს ეძებდა. უცბად, სად იყო და სად არა, ძერა გაჩნდა. ეძგერნენ ერთმანეთს კრუხი და ძერა, როცა კრუხთან მივირბინე, ბრმა ძერა ეგლოძირს და ფართხალებდა. შეშინებული მამლები ღობე-ყარეში იმალებოდნენ, კრუხი კი ისე ებრაძოდა ძერას. უცნაურმა აზრმა გამიელვა, შევევარდი ქოხში, დავავლე ხელი ჩემს წმიდა გიორგის ჯვარს და ქოხორა კრუხს კისერზე წამოვკიდე. მთელი სოფელი შემოვატარე.

მიჩივლეს. პოლიციამ ვამოძიძახეს, ბრალად დამდეს იმპერა-

ტორისა და სახელმწიფოს აბუჩად აგდება. აქაო და იმპერიის პირ-
ველი ორდენი გაამასხარავაო. დ: კომპერში ამოვყავი თავი.

— ეგ მართლა სასაცილოა, სამწუხარო რომ არ იყოს.

— ზოგი ქირი მარგებელია, — თქვა თედომ. ციმბირში ბოლ-
შევიკებს დავუახლოვდი. ადრე კოტივით ვერაფერს ვხედავდი,
დღეს ბევრი რამ მესმის, ნათელმხილველი გახვდი.

ნაშუალამევს ჭიქი და თედო ყაზარმებში დაბრუნდნენ. და რო-
დესაც დაიძრა ხალხის ნიაღვარი, ძაშხანით ხელში ბარიკადიდან
ბარიკადზე გადადიოდა თედო და არწივეული ყივილით უხმობდა წინ
აჯანყებულ ხალხს. ეცემოდა მედროშე. თედოს დაქრილი გაყავდა,
დროშას ჭიქი გაიტაცებდა წინ. ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდნენ ზამთრის
სასახლისაკენ.

მკერდში დაქრილი ქალარა მუშა სისხლით ღებავდა პერანგს
და ჯარისკაცს ეხვეწებოდა:

— ასწით ვით დროშა ეს სისხლიან: პერანგი და ზამთრის სა-
სახლეში ააფრიალეთ.

და მომაკვდავმა წამოიწყო „ინტერნაციონალი“... ცივი ჩრდი-
ლოეთის ქარი აფრიალებდა სისხლიან პერანგს კაბუჯი მეზღვაურის
ხელში.

იქეჟა. იქუხა. იელვა.

და თედომ თავისი თვალით დაინახა, როგორ ამოვარდა ნევიდან
მზისოდენა ვეებერთელა ცეცხლის ბურთი, გრიალით გააპო ჰაერი
და ზამთრის სასახლესთან გასკდა.

თედოს მოეჩვენა: თითქოს ბრინჯაოს ცხენმა დაიკიხვინა და
ძლივს შეიმაგრა თავი უნაგირზე პეტრე დიდმა.

ქვის ხვადი ლომები აღრიალდნენ.

— „ავრორას“ ყუმბარები სკდება სასახლეში, — თქვა მალა-
ქიტის დარბაზში ოქროსეპოლეტიანმა ადიუტანტმა, მაგრამ რომ
შიჰოიხედა, თვალეზს არ დაუჭერა. არავინ იყო... მერე თითქო საფ-
ლავიდან მოესმა ხმა:

— წყალი, წყალი მომიტანეთ.

ახლა შენიშნა ადიუტანტმა სახელმწიფოს მინისტრები: ვინ მა-
გიდის ქვეშ, ვინ სავარძლებს უკან მიმალულიყო და შიშისაგან ფე-
რი წასვლოდა.

— თუ ღმერთი გწამთ, ვინ გვიცავს ჩვენ, — იკითხა სათვალის-
ანმა მინისტრმა.

— ქალთა კორპუსი...

— ვაი, სირცხვილო, — თქვა მელოტმა მინისტრმა.

გარეთ კი ინგრეოდა ცა და იმპერია.

მეზღვაურების, მუშების, ფარაჯიანი გლეხების ნიაღვარი ატყ-

დებოდა ზამთრის სასახლეს. ნაფრონტალ და ნაკატორღალ თედოს დევის ძალა დაუბრუნდა ისევ...

— გაუმარჯოს რევოლუციას! წინ! — ყინულოვან ცივ ჰაერს აპობდა მკვექარე ხმა და ზამთრის სასახლეს აზანზარებდა.

ჯიქმა და თედომ მაშინ ნახეს ხელმეორედ ერთმანეთი, როცა ზამთრის სასახლე აღებული იყო და დაპატიმრებული დროებითი მთავრობის წევრები ჩამოჰყავდათ ოქროთი მოვარაყებულ კიბეებზე.

ასროლილი ქუდები ჰკერს ეხებოდნენ.

გრადებისა და თავადების ოლიმპოზე მუშები და ჯღებები მღეროდნენ „ინტერნაციონალს“.

ეკატერინეს ჰაერში ჩამოკიდული ბალის ფილოსოფოსთა გალერეაში ვოლტერი და დიდრო გაქვავებულიყვნენ.

გაჩერებულიყო იმპერიის მთავარი საათი.

ტყავის ქურქიანმა მუშამ დაკოჟრილი ხელებით მომართა საათი და ტიკ-ტიკ-ტიკ — ხელახლა დაიწყო დროის თვლა ძველმა საათმა.

რევოლუციური პატრული დადიოდა ქუჩებში. ყოველ საექვო პირს სმოლნისა და ზამთრის სასახლისაკენ გზა ჩაკეტილი ჰქონდა.

სანაპიროზე დადიოდა ჯარისკაცი ვედროთი ხელში, შიგ ფუნჯი და წებო ჰქონდა და ქალაღდებს აკრავდა კედლებზე.

— ლენინის დეკრეტი! — თქვა ვიღაცამ. და ვით დაჭრილი — წყალს. ვით მშიერი — არსობის პურს, ხალხი დაეწაფა მთავრობის დეკრეტს.

„ავრორამ“ პროექტორები მიანათა საღებავშეუმშრალ პლაცატს და ხალხმა ამოიკითხა სანუკვარი სიტყვები:

— პური!

— პური! — გრგვინვით იმეორებდა თითქოს სამრეკლო.

— მშვიდობა!

— მშვიდობა! — იქუხა ხალხმა.

— მიწა — გლეხებს!

— მიწა — გლეხებს! — იმეორებდა ხალხის ექო.

— ძალაუფლება საბჭოებს!

— ძალაუფლება საბჭოებს! — გრგვინავდა ხალხი.

ქუჩებში ტევა არ იყო.

უხმოდ მიდიოდნენ ერთხანს ჯიქი და თედო.

— რაზე ფიქრობ, თედო?

— ჯიქი, შენ არ იცი, მეთევზე და მწყემსი კი არა, მკვდელიც ვარ. მთვარეს ვუყურებ და სოფელი მახსენდება, ჩემი სამურზაყანო, ბორანი ენგურზე, ნისლი... მთვარე ნამგალს არა ჰგავს? ნეტა ისეთი ძალა მომცა, გამოვკვდო ვეებერთელა ჩაქუჩი და მთვარის

ნამგალს დაეუწყვილო. მთელი სამყარო დაინახავდა ჩაქუჩს და ნამგალს...

რიჭრაყი იდგა ნევაზე.

ხალხი მზის ამოსვლის მოლოდინში იყო

— მე ვხედავ მზეს! — იყვირა ვიღაცამ ისააკის ტაძრის გუმბათიდან.

საოცარი იყო. ხალხი ისე ელოდა დილას, თითქოს მზე პირველად ამოდიოდა ამ მითთა ქამის დროინდელ დედამიწაზე.

და, აჰა, აღმოხდა მზეც...

იზე მიგორავდა ცაზე და ყველა გახელილი თვალი მას უყურობდა...

ქურქიანი მუშებისა და ფარაჯიანი გლეხების, მოლაპლაპე ხიტების ჩრდილი ეცემოდა ზამთრის სასახლეებს.

მზე იყო წითელი და ვეებერთელა.

თედო ოფლს იწმენდა სახეზე, ჭიქთან ერთად ნიორს და გამხმარ პურს სკამდა და ისე იყო დაღლილი, თითქოს ამოდენა მზე ზურგით აეტანოს ცის კაბადონზე.

ლენინგრადი.

მარქსის ბაღიში — ფრედერიკ ლონგე

ფრედერიკ ლონგეს პიროვნება საინტერესოა არა მარტო იმით, რომ ის ფუნჯის ოსტატია. ფრედერიკ ლონგე მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლის კარლ მარქსის შვილისშვილის შვილია.

ეს ცნობილი ფრანგი მხატვარი სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მოწვევით ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში. პუშკინის სახვითი ხელოვნების მუზეუმში მოეწყო მისი ნამუშევრების გამოფენა.

ფრედერიკ ლონგეს ვთხოვეთ ორიოდ სიტყვით მოეთხრო თავისი ნამუშევრების შესახებ.

— მე პეიზაჟისტი ვარ. მოსკოვშიც ძირითადად პეიზაჟები არის წარმოდგენილი. ვცდილობდი გადმომეცა ჩემს ნაწარმოებებში ფრანგული პეიზაჟების პოეზია. თუ რამდენად შევძელი ეს, მნახველებმა განსაჯონ. ყველა ჩემი ნამუშევარი შესრულებულია თანამედროვე რეალიზმის და იმპრესიონიზმის პრინციპების ღაცვით, — გვიპასუხა მხატვარმა.

ჩვენს შეკითხვაზე, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა მასზე მისი გენიალური პაპის მოძღვრების საფუძვლებზე აშენებულმა სახელმწიფომ, ფრედერიკ ლონგემ გვიპასუხა:

— ეს საოცრებათა საოცრებაა. ეს არის ის, რაზეც ოცნებობდა კარლ მარქსი. მე ზედნიერად ვგრძნობ აქ თავს. მე ღრმად ვწამს, რომ გმირი საბჭოთა ხალხი ააშენებს კომუნიზმს. სიტყვები არ მყოფნის შთაბეჭდილებათა გადმოსაცემად.

მე საფრანგეთის კომუნისტური პარტიის წევრი ვარ. კომუნისტი ვარ, ამიტომ ჩემს თავს კომუნისტების პირველი სამშობლოს — სსრ კავშირის მოქალაქედაც ვთვლი. საფრანგეთში ცოცხლობს პარიზის კომუნის იდეები, დიდი მარქსის იდეები. აღრე თუ გვიან ისინი გაიმარჯვებენ.

ფ. ლონგემ მიაგებო, რომ მარქსის ექვსი ზადიში — პოლ, შარლ, მარსელ, რობერი, კარლ და თვითონ ცხოვრობენ საფრანგეთში.

— პარიზი ჩემი წინაპრების მშობლიური ქალაქია, — განაგრძო ფრედერიკმა, — ჩემი პაპა შარლ ლონგე პარიზის კომუნის გამოჩენილი მოღვაწეა. ჩემი დიდედა — ჟენი მარქსი — ჩემი დიდი პაპის — კარლ მარქსის უფროსი ქალიშვილი იყო. მე მხატვარი პეიზაჟისტი ვარ, მაგრამ ჩემი დიდი სურვილი ამჟამად ის არის, რომ შევექმნა კარლ მარქსის შემორჩალოური ადგილების ჩანახატების სერია. ეს ითქვა ათი წლის წინათ.

დღეს ეს სერია მზად არის და იბეჭდება მოსკოვსა და მსოფლიოს ბევრ სხვა ქვეყანაში. უფრო მეტიც, კანადაში ყოფნის დროს, გასულ წელს, „ექსპო-67“-ზე მე ვნახე ფრედერიკ ლონგეს მიერ შესრულებული მარქსის პორტრეტი.

ფრედერიკ ლონგემ აქტიური მონაწილეობა მიიღო მოსკოვში მარქსისა და ენგელსის მუზეუმის შექმნაში. პარიზიდან ჩამოიტანა მარქსის პირადი ნივთები, წერილები, საოჯახო ფოტოსურათები...

უფრო გვიან მუზეუმში მე ვნახე მარქსის ლექსები, რომლებიც საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადასცა მოსკოვის მარქსისა და ენგელსის მუზეუმს. საფრანგეთის კომპარტიას კი ლონგეს ოჯახმაც გადასცა მარქსის ლექსები.

აი ერთი მათგანი:

„ვინ თქვა სიმშვიდე შედგას

თვალეებში,

თუ სული იწვის ცეცხლის ალივით.

არ მწამს სიცოცხლე ბრძოლის

გარეშე.

თუ არ ვბობოქრობ ქარიშხალივით.

მწვაე, ხელოვნებავ. ოცნებავ ერთო,

შენ უმადლესო მადლო

ღმერთების.

მსურს ჩემს აზრსა ჯა გრძნობაში

ენტოს

ამ სამყაროს ხსნის სულისკვეთება.
ეკლიან გზას ნუ შეეუწინდებით,
და შმორის იქით შუქი იელვებს.
წავიდეთ მისკენი დაეპნოთ ბანაო,
ცხოვრების სუსხი, სიცარიელე.

ქაბუე მარქსს სწამს:

„თუ წინ ისწრაფვის, უხმობს
ოცნება,
ადამიანი უძლველია!“

ამ ლექსს გერმანულად და ფრანგულად კითხულობს ფ. ლონგე. მერე მან გაიხსენა ნაწყვეტები მარქსის ლექსებიდან „მევიოლინე“, „ღამის სიყვარული“, „სიმღერების წიგნი“, „სიყვარულის წიგნი“, აგრეთვე მარქსის სიკაბუეის დროინდელი დრამიდან და დაუმთავრებელი სატირული რომანიდან.

— მარქსს სხვა უფრო დიდი პისია ჰქონდა დედამიწაზე და პოეზია და მწერლობა ამიტომ დააწო, — თქვა ფ. ლონგემ.

— კარგი მხატვარი იყო ენგელსი. მე როგორც პროფესიონალი მხატვარი აღტაცებული ვარ: მისი ნამუშევრებით, რომლებიც მემორიალურ მუზეუმშია წარმოდგენილი. არც ლექსები დაეწუნება ენგელსს, — განაგრძობდა მარქსის ბადიში. გერმანიაში მარქსისა და ენგელსის მხატვრული ნაწარმოებები არაერთხელ გამოცემულა.

— მარქსი და ენგელსი უნივერსალური, ენციკლოპედიურად მრავალმხრივი გენიოსები იყვნენ, — რეზიუმე გაუკეთა საუბარს ფრედერიკ ლონგემ.

— თქვენი დამოკიდებულება აბსტრაქციონიზმისა და სხვა დეკადენტურ-მოდერნისტული მიმდინარეობებისადმი ხელოვნებაში?

— ჩემი აზრით, აბსტრაქციონიზმი და სხვა ულტრამოდერნიზმი მიმდინარეობა ხელოვნებაში და, კერძოდ, ფერწერაში განწირულია დასაღუპავად. ეს არ არის ხელოვნება, ეს არის მოდა, ინფექციად მოდებული დასავლეთში. ეს არის ესთეტიკის ნგრევა. მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკისათვის მიუღებელია ასეთი „ხელოვნება“.

— მაშინ როგორ გავიგოთ პიკასოს შემოქმედება?

ფრედერიკ ლონგემ გვიპასუხა:

— პიკასო, ეს მსოფლიო მნიშვნელობის მხატვარი, რთული მოვლენა ხელოვნების ისტორიაში. იგი ნოვატორი შემოქმედია. ბევრი რამ დაანგრია და ბევრი რამ შემატა ხელოვნებას და, კერძოდ, ფერწერასა და ქანდაკებას. ამჟამად, ჩემი აზრით, ის ხარკს ექსპრესიონიზმს უფრო უხდის, ვიდრე სხვა მიმდინარეობას. ზოგი რამ, რაც გაუგებარია დღეს თანამედროვეთათვის მის შემოქმედებაში, მომავალში გასაგები იქნება. პიკასო ხანდახან ლალატობს რეალიზმს.

რადგანაც უნდა აამოძრავოს ადამიანის გონება, შექმნას ფილოსოფიური ტილოები. პიკასო არა მარტო დიდი მხატვარია, დიდი მისტიფიკატორიც არის. ის დასცინის ბურჟუაზიას, ასულელებს მას თავისი „ტრიუკებით“ ფერწერაში, და ბრმა იარაღად იყენებს მას (ბურჟუაზიას) თავისი ხელოვნების პროპაგანდაში. ამით აიხსნება ნაწილობრივ, ჩემი აზრით, პიკასოს ზოგიერთი შეუსაბამობა ქეშმარიტ ესთეტიკასთან, რეალიზმის ესთეტიკასთან.

ჩვენ შევეკითხეთ ფრედერიკ ლონგეს, ეწვევა თუ არა მოკავშირე რესპუბლიკებს, მათ შორის საქართველოს.

კარლ მარქსის შთამომავალმა გვიპასუხა, რომ საქართველო ცინტერესებს მას და, როგორც კი შესაძლებლობა ექნება, დიდი სიამოვნებით ჩამოვა. პარიზში უნახავს ფრანგული ბალეტის ოსტატების მიერ განსახიერებული ბალეტი, „ვეფხისტყაოსნის“ მოტივებზე აგებული. ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი, სამწუხაროდ, ვერ ვნახე, მაგრამ ფრანგულ პრესაში აღფრთოვანებული რეცენზიები წავიკითხეო.

ფრედერიკ ლონგემ „კომუნისტში“ დასაბუქდად გადმოგვცა საქართველოს კომუნისტებისადმი მიძღვნილი ბარათი ფრანგულ ენაზე.

კარლ მარქსის შთამომავალი წერს:

„გთხოვთ გადასცეთ ჩემი ხალაში ამხანაგ ქართველ კომუნისტებს. ვუსურვებ მათ წარმატებებს ყველაზე სრულყოფილი საზოგადოების — კომუნისმის მშენებლობაში.

ფრედერიკ ლონგე.

1962 წლის 20 მარტი“.

*Salut aux
compagnons de la
France en leur
Lutte constante de
combats de la
liberté et de la
paix. Les Communistes
français vous envoient
leur Bienvenue fraternel*
Houguet
1962

ფრანგმა მხატვარმა გვითხრა, რომ საბჭოთა კავშირში ის შექმნის რამდენიმე ნაწარმოებს, რომ აინტერესებს შავიზღვისპირეთის რივიერა და მთები. საქართველო, ალბათ, ზედგამოჭრილია ასეთი პეიზაჟებისათვის.

ფრედერიკ ლონგემ გადმოგვცა „კომუნისტში“ დასაბეჭდად თავისი ორი პეიზაჟის „სენა ივრში“ და „სენა მონროში“ რეპროდუქციები.

რამდენიმე წლის შემდეგ მარქსის ბაღში, მხატვარი ფრედერიკ ლონგე კვლავ ჩამოვიდა მოსკოვში მარქსის იუბილეზე. მასთან ერთად პარიზიდან ჩამოვიდნენ მარქსის ბაღში — მოქანდაკე შარლ ლონგე, ადვოკატი და ჟურნალისტი, მორის ტორეზის თანამებრძოლი რობერ ლონგე, ინჟინერ-აგრონომი და სახელმწიფო მოღვაწე კარლ ლონგე...

კარლ მარქსის ბაღშივების ეს სია არასრულია!

კარლ მარქსის ბაღშივების სახელი მილიონია, ჩვენ ყველანი კარლ მარქსის ბაღშივები ვართ.

მოსკოვი.

თქმულება სერგო ორჯონიკიძეზე

ნახევარმთვარე ეკიდა ცაზე. სწორედ ისეთი, როგორც მინარეთების თავზე მინახავს, მხოლოდ კენტი ვარსკვლავი აკლდა.

აულში სიჩუმე დადიოდა ფეხაკრეფით.

მოხუცს ეძინა.

ხვალი ავაზები და მეწამული ჩამავალი მზე ესიზმრებოდა. ბიბლიურ წვერს ინგუშეთის ქარები უვარცხნიდნენ. თუმცა მოხუცი ყურანზეა გაზრდილი და ბიბლია რა მოსატანია. მე ის ასეთი წარმომიდგა: მალალი შუბლი, ზოჯა ნასრედინის თეთრი წვერი, დაღარული სახე და ნაოქები... სწორედ ისეთი, როგორც მექადან გამოქცეული მუჰამედი, შუა საუკუნეების ირანელი და არაბი დიდოსტატების მიერ დახატული.

მოხუცს ცალი ფეხი ლეგენდაში უდგას, ცალითაც ამ ქვეყანაზე დადის...

ძაღვები აყეფდნენ. მოხუცს გაედვიძა... ეს საქართველოდან მოსული სტუმარი, უთხრეს ჩემზე.

— აა, მელქისტანიდან. ჩეჩნურად მელქისტანი — მზის ქვეყანას ხიშნავს თურქე, (ასე ეძახიან საქართველოსაც) — თქვა მოხუცმა, და მე მომხედა. თითქოს წარსული მიმზერდა მოხუცის სახით. მისი

თეთრი წვერი დათოვლილი მწვერვალების ფონზე ჩემში იწვევდა ბიბლიური მოციქულის ასოციაციას.

— სალამ ალეიქუმ! — ყრუდ წარმოთქვა მოხუცმა, — გამიგონია, საქრისტიანოშიც სტუმარზე იტყვიან, ღვთის კაციაო, დაჯექ, მაჰმადის კაცი ხარ ჩვენთვის.

სუფრის გაშლა ბრძანა. არყით სავსე მცირე ჭიხვის რქა, აირანი და არჩვის ხორცი მოართვეს სტუმარს...

ყურს ვუგდებდი ჩეჩნურ-ინგუშურ ფრაზებს, და აქა-იქ ქართული სიტყვებიც მომესმა: ადათი, ქორი, ლომი, სალამი, შამფური, ფანდური... სიტყვათა ნათესაობა მრავალმეტყველია... საოცარიო სიტყვათა ბიოგრაფია.

მოხუცს ჰაჯი-შავდიქს ეძახიან. მუსლიმანურ სამყაროში ჰაჯს არქმევენ ისეთ კაცს, რომელიც ფეხით ჩასულა მექაში...

ჰო და ამ მოხუცზეც ამბობენ, რომ იგი რკინის ჯოხითა და რკინის ქალანდებით მექაში, ჩასულა, მისი ფეხსაცმლის ლანჩებზე გაყეთილა თურმე ქვეყნის გზები... მაგრამ ეს ლეგენდაა, სიმართლე კი ის არის, რომ ბევრი უნახავს, ბევრი სიბრძნე დაუგროვებია და ახლა, სიბერის ეამს, თავს მოხსნის მოხუცი სიბრძნის საკუროკლეს პეგათზე — თემის თავშესაყარზე და არიგებს როგორც ბაქალლო ოქროს, სიტყვას დაადებს ხალხში, როგორც მთესველი ხნულში თესლს, და მერე ხალხის გულიდან ამოდის სიბრძნის ხე...

კიდევ ამბობენ, რომ ჰაჯი-შავდიქ ენაკვიმატ ხოჯა ნასრედინს იცნობდაო, მაგრამ, მე ვგონებ, ესეც ლეგენდაა.

თვითონ ჰაჯი-შავდიქს რომ ჰკითხოთ, არც ახსოვს, მართლა იყო მექაში თუ ხალხის ნათქვამი დაიჯერა... შეიძლება იცნობდა ხოჯა ნასრედინსაც, მაგრამ არ ახსოვს.

ერთი რამ კი ნამდვილად ახსოვს.

მალა მთებში მოვიდნენ ადამიანები, ნახევარმთვარე ჩამოიღეს კიდან და მრგვალი მთვარე დაჰკიდეს... უფსკრულიდან ამოიღეს მეწამული ვეებერთელა მზე. ავიდნენ ბეშლამ-კორტზე (ასე ეძახიან ჩაჩნეთში მყინვარწვერს), ზურგით აიტანეს მზე ცაში და ვეებერთელა ჩაქუჩით მიაქედეს ცის კაბადონს.

— იყავნ სინათლე! — თქვენს, და განათდა მთები.

მერე ის ჩაქუჩი დაუწყვილეს ნამგალს და ისიც ცაში დაჰკიდეს... ჩეჩენს და ინგუშს მტრობის ხმალი წაართვეს და გუთანნი და კალამი მისცეს ხელში...

— ვინ არის ეს კაცი? — კითხეს მთებმა.

ღრომ უპასუხა:

— ეს არის ქართველი ბათირი სერგო ერეკინეზი — ღარიბთა და უპოვართ მეთაური.

არ ახსოვს ჰაჯი-შავდიქს, თვითონ შეთხზა ეს ლეგენდა, თუ სხვისგან გაიგონა... იქნებ მთებმა შეთხზეს ეს ლეგენდა, იქნებ ეს თქმულება თერგმა დაწერა. იქნებ მიწა, ხეები, ჰაერი, წვიმა უკარნახებდა მის მენსიერებას ამ სტრიქონებს, არ ახსოვს ჰაჯი-შავდიქს... მაგრამ თვითონ ლეგენდები, ახსოვს ქართველი ხალხის შვილზე, სერგო ერეკინეზე... და ახ ლეგენდებს მიყვება იგი ბიბლიური სიმშვიდით...

ჰაჯი-შავდიქის ნებით მზის ქვეყნიდან — საქართველოდან მოსული სტუმრის პატივსაცემად ხიკლის ხეობაში ტრიალებს შამფური ცეცხლზე და შიშინებს მცერიანი მწვადი. ადრე საქართველოდან ვაჟკაცების მოკრილი მკლავი მოჰქონდათ აქ და ბანზე ჰკიდებდნენ სწორედ ისე, როგორც ვაჟ აგვიწერს თავის პოემებში.

ეს იყო გუშინ.

დღეს კი...

ფანდურს აჩხაკუნებს ხევის პატრიარქი ჰაჯი-შავდიქ და ქართველ ერეკინეზე, სერგოზე მიყვება მითებს.

ასე იწყება ჩეჩნური ლეგენდა სერგო ორჯონიკიძეზე.

...მოვიდა სერგო მთებში, ჩეჩენმა და ინგუშმა ვაჟკაცებმა ძმობა შეჰფიცეს და უთხრეს: ჩვენ ვართ ისინი, ვინც დაიბადა ძუ მგლის მიერ ლეკვების დაყრის დამეს, გარიჟრაჟზე ხვალი ავაზების ღმუილში მოგვენათლეს ჩვენ, ჩვენ ქვებზე გავიზარდეთ და ქარი გვირწვედა აკვანს, ჩვენ ქარს მოვისხამთ ნაბღებად, ქვებს დავიგებთ ლოგინად, ოლონდ შენ გაგვიძებ. და თქვეს ცოლებმა: ჩვენ მოვიპირით ნაწნავებს, რომ თქვენი მშვილდება დავკიმოთ; როცა ქმრებს ბრძოლით დაღლილთ ჩაეძინებათ, ჩვენ ავლესავთ მათს მახვილებს; თუ ქმრებს დასპრან, ჩვენ გრძნეული სიმღერით შეეუხორცებთ კრილობას, ოლონდ შენ გაგვიძებ წინ, სერგო ორჯონიკიძე. ეს თერგი კი არა, ჩვენი ცრემლია მდინარედ დაძრული. ზღვა რომ მელნად იქცეს და ცა ქალადად, ვერ აიწერებოდა მაინც ჩვენი სიძულვილი და მრისხანება... გაგვიძებ, სერგო ერეკინე, და კბილებით დავხრავთ ფოლადს... და წარუძღვა სერგო ერეკინეზი მთიელებს და ამბობს ჩეჩნური ლეგენდა: მათათა მწვერვალებზე და უფსკრულთა თავზე შენ გამეხებულნი ლომივით ზობოქრობდი და გვიცავდი ბოკვერებს, ორჯონიკიძე; პირშავი მტრები ფრთამოტეხილი ყორნებივით იფანტებოდნენ, სერგო ერეკინე. შენ ქარბორბალა იყავ და მტრებს ღრუბლებივით ფლეთდი, ორჯონიკიძე! შენმა ჯიგიტებმა კავკასიონზე წითელი ღროშა აიტანეს, შენ მთებში მოიტანე ლენინის კანონი. ორჯონიკიძე. ნისლის ჭანდი იდგა და ცხენები თოფისწამლის სუნისაგან დამფრთხალნი ქიხვინებდნენ, შენი ჯიგიტები მათრახებს

წყვეტდნენ მტრების ზურგზე, ორჯონიკიძე; პარტიამ გამოგზავნა ჩეჩნებთან და ინგუშებთან და შენ უძლოდი მათ. პეი, თქვენ, სერგო ერეკინეზის ჯიგიტბო. შეხედეთ ხევებში გაფანტულა ნისლი, უნისლო მთები და ხევები არ დაივიწყებენ სერგო ორჯონიკიძეს, კლდეებს მკერდზე აწერიათ: ორჯონიკიძე.

პაჯი-შავდიქმა ფანდური გადადო და მთებს გახედა, თითქოს იმის შემოწმება უნდოდა, მართლა აწერია თუ არა კლდეებს სერგო ერეკინეზის სახელი.

თითქოს ინგუშეთის მიწის ხმა მესმოდა. ლაპარაკობდა მიწა პაჯი-შავდიქის პირით, მოხუცი მღეროდა ინგუშურ თქმულებას სერგო ორჯონიკიძეზე.

გრძელი თოკია კარგი, სიტყვა — კი მოკლე. მეც მოკლედ მოგიტხრობთ ქორ-კანტზე და ლომ-კანტზე (კანტი ინგუშურად ჰაბუკია) სერგო ერეკინეზზე. მან წაიყვანა მთიელები და ათასწლოვანი მუხების ჩეროებში დააბანაყა, მწვერვალებზე და ბილიკებზე კოცონებივით აანთო დროშები, ელვები დაიჭირა და კაჟიანი თოფების ფალიებზე გაკვესა. ნისლივით დაიძრნენ თეთრები სასაფლაოებიდან, მთიელებმა წინაპართა საფლავის ქვები იფარეს, თოფს ესროდნენ თეთრებს, ტყვია ცოტა ჰქონდათ მთიელებს, მაგრამ სამაგიეროდ ვაჟაკობა ჰქონდათ ქარბად მთიელებს. სერგო ერეკინეზი ღარიბთა ფარი იყო და მტრის ხმალს ხვდებოდა, სერგო ერეკინეზი — ხმალი იყო, რომელიც მტერს აბჯარს უფხრეწდა.

და დაამხეს ინგუშებმა სიბნელის საპეფო, მაგრამ იწილა ამ დროს გველივით ტყვიამ და თეთრთმიან ინგუშ პარტიზანს მოხვდა, სერგო ერეკინეზის საყვარელ მოხუცს. ტყვია მცირე იყო, კრილობა — დიდი. ხელში აიყვანა ინგუში მოხუცი სერგო ერეკინეზმა და კრილობა შეუხვია თავისი ჭელით, და შევარდნებს კვლავ გაუძღვა სერგო ერეკინეზი.

ფანდურის ხმა ისევ მიწყდა. მოხუცმა ყანწი ასწია და დაილოცა, სუფრაზე ჩეჩნური კერძი მოიტანეს, ნივრითა და ძმრით შეკაზმულა.

— ესეც საერთო გვაქვს კავკასიელებს — ნიორი, ძმარი, პილპილი — აბა უამისოდ ვერ გამოიკვერება კავკასიური ხასიათი, — თქვა მოხუცმა.

მოხუცს ყრუ ხმა ჰქონდა. თითქოს მეცხრამეტე საუკუნეში ლაპარაკობდა ვილაცა და ჩვენ ვუსმენდით მეოცეში... მაგრამ ეს ამბავი, რომელსაც ის ჰყვებოდა, მეოცე საუკუნისა იყო...

...ყუოთელმა მზემეცა დაიპყრო. დაკვნენ რტოები, გადახმა ბალახი, დაცვიდნენ მწვანე ფოთლები. მთებს მკერდში ჩაურქეს ხმლები დენიკინელებმა და მახვილის წვერით დაწერეს ქვებ-

ზე ბრძანება: „ყველა ინგუში დახოცეთ!“ ყეყეჩი გენერალი დენიკინი ტრაბახობდა მთებს დავფშენი, ინგუშეთის მიწას მარტო ჩემი ნაბლით დავფარავ, ყველა ინგუშს ჩემს ერთ მუქაში მოვაქცევო, ხარკს და ხარაჯას გადავახდევინებთო. ინგუშებმა უპასუხეს: — ჩვენ გვყავს სერგო ერეკინეზი, ჩვენი მუშტები მან ფოლადად აქციაო. და დაიძრა მთელი ინგუშეთი, ინგუშეთის მთებმა ფეხი აიდგეს. მთიელებს მთა არ სჭირდებოდათ საფარად, თვითონ იყვნენ მთების ფარი. როგორც გადამხმარ ველზე ლამაზი თეთრი ყვავილი, ასე ლამაზი იყო ამბოხებული ინგუშეთი. თეთრებმა გამოგზავნეს წერილი: ჩვენ მოვიყვანთ ტყვიის წვიმას და ცეცხლს წავუტყდებთ თქვენს სახლებს, ცოლებს ხარკებად დავისვამთ, ჩვილებს აკვანში დავახრჩობთ, ისეთ დღეს დაგაყრით, რომ ინგუშეთში ინგუშეთს დაეძებდეს ინგუში, თუ წითელ ბოლშევიკს სერგო ერეკინეზს არ მოგვცემთ. მთიელებმა ცივი უარი შეუთვალეს მტერს. დენიკინელებმა ერთად შეჰყარეს დედამიწის ყველა ზარბაზანი და ინგუშეთს დაუმიზნეს: თქვენს მთებს დავამსხვრევთ ან თქვენს სისხლში ჩავძირავთ მყინვარს. და უპასუხა ინგუშთა ჯამაათმა: — ჩვენ ძმათა მხოცველები არა ვართ. წინაპრის დაუწერელი კანონი — ადათი წმიდათაწმიდაა ჩვენთვის. სერგო ჩვენი ძმაა და სტუმარი. ინგუში მტრის ხელში არ ჩააგდებს სტუმარს.

— ჰეი, ინგუშნო! — თქვეს მოხუცებმა, — ვისაც ღონე გერჩით, აიღეთ თოფი და ხმალი და დაიცავით სერგო ერეკინეზი — ყველა ღარიბის ძმა. და მოისხა ხმალი, ხანჯალი და თოფი ინგუშეთის მთებმა და ეკვეთნენ მტერს. მათთან იყო მათი ძმა სერგო ერეკინეზი. შერე თურმე სერგო ნართებს ძმად გაეფიცა და ლეგენდებში დაემალა სიკვდილს.

მოხუცს არ ახსოვს, თვითონ შეთხზა ეს ლეგენდები თუ ხალხში გაიგონა.

ხალხი ამბობს, რომ ეს ლეგენდები ჰაჯი-შავდიქმა შეთხზა... ხალხმა უკეთ იცის.

ფანდური დადუმდა.

მე ვტოვებდი ჩეჩნეთ-ინგუშეთის მთებს. მთები დუმდნენ და სიზმარში თუ ლეგენდაში გადასულ ჰაჯი-შავდიქს ესმოდა როგორ ღრიალებდნენ ხვალი ავაზები.

მე ვტოვებდი ქისტეთს...

არა, მკლავი არ მოუჭრიათ ჩემთვის ქისტებს, მაგრამ გული იქ დამრჩა, ახალ ქისტეთში. მოვდიოდი და ვფიქრობდი: ნეტა შემეძლოს ვაჟა გავალვძიო და ეს ამბავი ვუამბო-მეთქი... საოცრება კი მოხდა: ძმობის გზა გადის კავკასიონზე.

ჩეჩნეთ-ინგუშეთი.

ერთხელ ბუდიონის ლაქციაზე...

არიან სახელები, რომლებიც რევოლუციამ ვარსკვლავით ააქიათა ჩვენს პოლიტიკურ ცის კაბადონზე.

არიან დიდი ადამიანები, რომლებიც კვალს ტოვებენ არა მარტო თავისი მოღვაწეობის ძირითად ასპარეზზე, არამედ მათი სახელი ყოველდღიური ცხოვრების, სრულიად მოულოდნელ სფეროებშიც იჩენს თავს.

ასე, მაგალითად, ცნობილია „ტოლსტოვკა“ — ლევ ტოლსტოის ხალათი.

ცნობილია „ბუდიონოვკა“ — სამოქალაქო ომისა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის პერიოდის ლეგენდარული მხედართმთავრის — ბუდიონის ძღვევამოსილი ლეგიონების კუნწულიანი და გრძელყურებიანი ქუდი, რომელიც პოეზიის, პროზის, კინოს, მუსიკის, ფერწერის დიდოსტატების ქმნილებებში ასახვისა და ხოტბას საგანი გახდა.

მ დღეს მოსკოვის უმაღლეს პარტიულ სკოლაში ხმა დაირხა:

— დღეს ბუდიონი გვეწვევაო.

სანამ ლეგენდარული მხედართმთავარი მოვიდოდა, მასზე შეთხზულმა ლეგენდებმა დაიარა ჩვენი პარტიული აკადემიის შენობა.

ლეგენდების ტალღას სამოქალაქო ომების სუნთქვა მოაყვა და ბოლოს თვითონ ბუდიონი გამოჩნდა...

გამოჩნდა თავისი არწივული, ყოვლისმომნუსხველი მხედრული მზერით, რომელიც ხმაღზე უფრო აკრთობდა რევოლუციის მტრის ლეგიონებს.

გვიახლოვდებოდა ბუდიონი და მასთან ერთად მოდიოდა სამოქალაქო ომის მრისხანე წლების სუნთქვა და ჩვენი ბავშვობის „ომობანას“ თამაშით სავსე რომანტიკული წლების უავლაგაუსვლელი სურათები.

„ომობანას“ თამაშის დროს, როგორც ყველა ბიჭუნას, მე ყოველთვის ბუდიონოველთა რაზმში მინდოდა ბრძოლა.

ხშირად, ბავშვურად, გულუბრყვილოდ ვფიქრობდი, სამოქალაქო ომის დროს რომ დავბადებულყავი, ბუდიონის ლეგენდარულ რაზმებში ბრძოლის ბედნიერება მერგებოდა-მეთქი.

თუმცა ვის არ უოცნებია ამაზე? ალბათ ყველა ბავშვს.

...იმ დღეს, როდესაც პირველად უნდა მენახა „ცოცხალი ბუდიონი“ — რევოლუციისა და სამოქალაქო ომის ეს ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული ფიგურა, გულუბრყვილოდ ვფიქრობდი იმაზე, რომ თუ ერთ ლაქციაში არ მეღირსა ამ დიდ მხედართმთავართან ბრძოლა, ხომ დიდი ბედნიერებაა, რომ ერთ პარტიულ ორგა-

ნიზაციაში, მოსკოვის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციაში ბუდიონთან ერთად რომ ვირიცხები-მეთქი.

...ბუდიონი ტრიბუნაზე ავიდა და ქორული მზერა ესროლა აუდიტორიას, თითქოს ბრძოლის წინ არმიას მოავლო თვალი; არმიას, რომელიც უნდა წაეყვანა წინ, ახალი სიძაღლის დასალაშქრავად.

ბუდიონმა დინჯად მოზომა აუდიტორია, ალესა ფრაზა და ტრიბუნიდან ჩიქურ გადავიდა შეტევაზე.

მართალია ძველ მხედართმთავარს ეტყობოდა, რომ სიტყვაზე უფრო ხმალი ემარჯვებოდა, მაგრამ მისი სიტყვა დამასკურ მახვილზე მჭრელი იყო მიანიც.

ასეთი სიტყვით ლესავდა ეს რევოლუციური ლეგიონების ხმა-ლსა და მახვილს.

...ბუდიონი ჰყვებოდა მამონტოვის წინააღმდეგ ბრძოლის ეპიზოდებს.

და გაცოცხლდნენ ისტორიის ფურცლები...

ბუდიონი ახსენებდა თუ არა ხმალს, ისე მოიქნევედა მარჯვენას, ძნელი იყო არ გეცნოთ მასში ხმლის მოქნევის დიდოსტატი. და მაშინ მისი თვალები კვესავდნენ უხილავ ნაპერწკლებს.

თუმცა ნაცნობ თემაზე ლაპარაკობდა ბუდიონი, მე ასეთი საინტერესო ლექცია იშვიათად მომისმენია.

ლექციის შემდეგ საიდანღაც ფოტოგრაფი გამოჩნდა და ათასი კაცი შეეცილა ერთმანეთს: ყველას უნდოდა ბუდიონის გვერდით მდგარიყო სურათზე.

როგორც ხშირად ხდება ეს ცხოვრებაში, ბევრი დარჩა კადრის გარეთ.

მე ბედმა გამიღიმა და ბუდიონის გვერდით აღმოვიჩნდი. შემთხვევით ვისარგებლე და ვუთხარი:

— თქვენი ლექცია მეტად საინტერესო იყო. მიყვარდა ხელოვნება, ხმლის მოქნევა მეტად ფასობდა ძველ საქართველოშიც... ამიტომ თქვენ მეტად პოპულარული ხართ საქართველოში.

— ქართველები მეტად მამაცი და მოხერხებული შეომრები იყვნენ ჩემს პოლკებში და მთელ საბჭოთა არმიაში. — თქვა ბუდიონმა და მერე დაუმატა: ბევრი გმირი ჯარისკაცი, ნიჭიერი მხედართმთავრები მოგვცა საქართველომ, — და თითქოს იმ კომრებს მიესალმებო, მაგრად ჩამომართვა ხელი.

ასე ართმევდნენ ალბათ ბრძოლებში ნაწრთობ ხელს რიგით ჯარისკაცებს ალექსანდრე ნეველი და გიორგი სააკაძე, ალექსანდრე სუვოროვი და პეტრე ბაგრატიონი, ყველა დროისა და ყველა ხალხის გამოჩენილი მხედართუფროსები.

ისეთი ხელით, როგორც ბუდიონის მარჯვენაა, შეიძლება უ-
არაოდ მარწუხში მოაქციო მთელი ლეგიონი.

ბუდიონის სახით ჩემს წინ იდგა ლეგენდარული და უძლევე-
ლი მხედართუფროსი და რაინდი, რომელშიც განსახიერებულიყო
ყველა რუსი ჯარისკაცის, ყველა საბჭოთა ჯარისკაცის ძალა.

ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე ღირსსახსოვარი წამი ჩემს ცხოვ-
რებაში.

როცა ჩემს მაგიდაზე დავყურებ სურათს, რომელზეც აღბეჭ-
დილია ბუდიონთან შეხვედრის მომენტი, სწირად ვფიქრობ ხოლმე,
რომ ჯერ კიდევ არ ვაფასებთ ფოტორეპორტიორის შრომას. ბოლოს
და ბოლოს ეს მხოლოდ მათ ძალუძთ, გოეთეს ფაუსტისა არ ყოს,
თქვან: — „მშვენიერი ხარ, შეჩერდი, წამო“ და, რაც მთავარია, შე-
უძლიათ „შეჩერონ წამი“.

იმ სურათზე არწივივით შემართული ბუდიონი დგას. მის ირ-
გვლივ ჩვენ ვღგავართ, სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები,
ბუდიონის თაობის ვაჟკაცების შეილიშვილები...

ჩვენ ყველანი ვილიშვით. ბუდიონი კი მხედრულ ფორმაში
დგას ჩაფიქრებული და ღრმა ფიქრში წასული იხედება საღლაც
შორს. უსასრულობანი...

ბუდიონი ჰგავს ვეებერთელა ბერძუნას, რომელსაც ვერავითარ
ქამთასვლა და ქარიშხალი ვერ ამოძირკვავს! მშობელა მიწიდან.
ჩვენ ვღგავართ მის გარშემო და ვგავართ შეფოთლილ რტოებს,
უყვადვი მუხის მარადმწვანე ფოთლებს, ამ მუხისა. რომელსაც არ
იციის რა არის ფოთოლცვენა...

მოსკოვი.

ხო ში მინი — პოეტი

გმირ ვიეტნამელ ხალხთან სოლიდარობის ერთთვისურის დღეებ-
ში ერთი ეპიზოდი გამახსენდა.

ივლიანი იდგა... მოსკოვში ჩასული სოფლელი მოსწავლე დიდი
თეატრის სცენაზე ბალეტ „გედის ტბას“ ვუყურებდი. მაშინ პირვე-
ლად ვნახე ხო ში მინი.

შესანიშნავ ბალერინას ვაღინა ულანოვას ხელოვნებამ მეტად
მოხიბლა პრეზიდენტი. მაყურებელთა დარბაზის გრაალში ხო ში მი-
ნი და კლიმენტ ვოროშილოვი მთავრობის ლოჟიდან სცენაზე ავი-
დნენ. ხო ში მინი ჰაბუქური ნაბიჯით გაემართა ულანოვასაკენ და
შუბლზე მამობრივად ეამბორა.

ვალინამ თავი ვერ შეიკავა. ცრემლი მოერიდა და თვითონაც
მამაშვილურად აკოცა ვიეტნამელი ხალხის ბელადს. მერე ხო ში

მინი მთელ დასს მიუბრუნდა, მიესალმა წაწყვეან სოლისტებს, კორ-
დებალეტის მსახიობებიც არ დარჩენი: უყურადღებოდ.

ერთხანს მსახიობები რაღაცას სთხოვდნენ ხო ში მინს. ის დუმ-
და, მერე ორიოდ ფრაზა წარმოთქვა ჯერ რუსულად, მერე ვიეტ-
ნამურად. ეს ხმა მაყურებელთა დარბაზში მყოფმა ვიეტნამელმა
სტუდენტებმა აიტაცეს.

ერთ ვიეტნამელ სტუდენტს ვკითხე, რა თქვა-მეთქი.

მან თავაზიანად მიპასუხა:

— მსახიობთა თხოვნით ორი სტრიქონი წაიკითხა თავისი ლექ-
სიდან!

— ლექსიდან? — გავიკვირვე.

— ჰო, ლექსიდან. — მკვეთრად გამოხატული აქცენტით მიპა-
სუხა ვიეტნამელმა და დაუმატა, — ძია ხო არა მარტო ხალხის ბე-
ლაღია, არამედ დიდი პოეტიც არის!

ვიცოდი, რომ ხო ში მინი გასაოცარი ბიოგრაფიის ადამიანი
იყო. ის მზარეულის თანაშემწისაგან რესპუბლიკის პრეზიდენტობამ-
დე ამაღლდა. ვიცოდი, რომ უნიჭიერეს ჟურნალისტად, პუბლიცის-
ტად და ორატორად ითვლებოდა, მაგრამ პოეტიც თუ იყო. არ
მეგონა.

— პოეტი და ბელადი! — ვავიმეორე ჩემთვის და რატომღაც
გამეხარდა...

— შენ ვინა ხარ? --- მკონხა ვიეტნამელია.

— ქართველი.

— მერე? ხო ში მინისა რა გიკვირს. სტალინიც ხომ წერდა
ლექსებს.

— თქვენ საიდან იცით?

— ჩვენ ყველაფერი ვიცით, რადგანაც ვიეტნამშიც ყველა წერს
ლექსებს, — თქვა სტუდენტმა და ისე გაიცინა, თითქოს ლოყა ყუ-
რებამდე გაეხა.

ლექსებს კარლ მარქსიც წერდა. ფართოდ ცნობილია ფრიდრიხ
ენგელსის ახალგაზრდობის დროინდელი ლექსები, პოემები, ნახა-
ტები. თითქმის რაღაც შინაგანი კანონზომიერებაა იმაშია, რომ დიდ
რევოლუციონერთა უმრავლესობა პოეზიას უხდიდა ხარკს.

დიდ თეატრში გატარებული იმ ღირსსახსოვარი საღამოდან
რამდენიმე წლის შემდეგ ხელში ჩამივარდა ხო ში მინის ლექსების
წიგნი „ციხის დღიური“. დიდხანს ვძებნდი ლექსს, რომლის ორი
სტრიქონი იმ საღამოს თეატრის მსახიობთა დასმა მოისმინა. მახ-
სოვს იმ ლექსში ლაპარაკი იყო ვარსკვლავზე. იქნებ ეს იყოს ლექსი
„უძილო ღამე“, რომელიც ხო ში მინმა ციხის საკანში დაწერა. აი
ისიც. გავბედე და ვთარგმნე:

ორჯერ ჩამოჰკრა საათმა ზარი,
არ შეძინება, მიხმობს ცინკარა.
სამჯერ ჩამოჰკრა,
ჰა, დაჰკრა ოთხიც...
შუალამეა ზმანებით სავსე...
ხუთჯერ დაჰკრა და ხუთქიმიანი
აჰა, გაბრწყინდა ვარსკვლავი ცაზე

მახსოვს, იმ ლექსში პოეტის მოვალეობაზეც იყო საუბარი. იქ-
ნებ ხო ში მინმა სხვა ლექსი გაიხსენა იმ ღამეს. თუნდაც აი ეს...
„სასკოლო ქრესტომათიის კითხვისას:“

აქ უმღერიან ვარდებს და ნუქებს,
ან მზე ვითა ჩანს შავ
ღრუბლებში, ან მთვარის ზოლი...
სხვა ლექსი გვინდა, რომ
ფოლადად აწრობდეს მუშებს,
პოეტი არის ქარისკაცი და წინამძღოლი.

იმ ღამეს დიდი თეატრის მსახიობებმა ხო ში მინი მიიღეს რო-
გორც მოძმე ხალხის ბელადი და იმავე დროს ხელოვნების ქურუში.
ოვაციებით გააცილეს იგი და ამით ერთხელ კიდევ გამოხატეს საბ-
ქოთა ხალხის დიდი სიყვარული მოძმე ვიეტნამელი ხალხისადმი.

სიმბოლურია, რომ დიდი სამამულო ომის დროს ხო ში მინის
მიერ დაწერილ ერთ-ერთ ლექსს ეწოდება „არ არის მშვიდობა ვიეტ-
ნამში!“ ამ მებრძოლ ლექსში არის ასეთი სტრიქონები:

„თუნდ მოკვდეთ, მაგრამ არა მონურად.
შრძოლის წითელი დრი-შა გაშალეთ!“

დღესაც ზარივით რეკავს ეს სტრიქონები ყველა ვიეტნამელის
გულში და მოუწოდებს ხალხს თავისუფლებისა და სოციალიზმის
გამარჯვებისათვის საბრძოლველად.

მოსკოვი.

იმ საღამოს ველოდით პასიონარიას...

მოსკოვში მცხოვრებმა ესპანელმა მწერლებმა ერთხელ ლიტე-
რატურული საღამო მოაწყვეს...

— შეიძლება თვითონ დოლორეს იბარერიც მოვიდეს საღა-
მოზე — მითხრეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარ-
ტიულ სკოლაში, ლიტერატურა და ხელოვნების კაადრაზე, რო-
ცა მო! აწვევი ბილეთებზე გადმოვიკუს.

ამ ცნობამ მეტად აგვალელვა.

პასიონარია...

ნუთუ ის მოვა, ესპანელ კომუნისტთა ლეგენდარული ბე-
ლადი...

იმ საღამოს ღვთაებრივი ტემპერამენტისანი ესპანური მხატვრუ-
ლი სიტყვა მეფობდა ლიტერატურის მოყვარულთა დარბაზში...

კითხულობდნენ ესპანეთის რევოლუციის ვეტერანები თავიანთ
ლექსებს და პროზას.

პასიონარია კი არ ჩანდა...

დარბაზში თითქოს ჩრდილი ჩამოწვა...

აქ იყვნენ ესპანელები, რომლებსაც წყუროდათ თავიანთი ბე-
ლადის ნახვა...

თავმჯდომარე განუწყვეტლივ ლეხულობდა წერილებს დარბა-
ზიდან.

ბოლოს ის ადგა და გამოაცხადა:

— პასიონარია დღეს ვერ მოვა!

ყველას გული დაგვწყდა.

ისე ველოდით იმ საღამოს პასიონარიას...

ამ დროს დარბაზიდან ადგა ვიღაც ახალგაზრდა ესპანელი კაბა-
ლიერო და სიტყვა ითხოვა.

მან წაიკითხა ლექსი — ექსპრომტი: „პასიონარია მუდამ ჩვენ-
თანაა!“

იქუხა ტაშმა.

ერთმა ნაცნობმა ესპანელმა პოეტმა მითარგმნა — ეს ჰაბუკი
აძაობს, რომ პასიონარია ამაღლის ხეობის, როგორც მზე ყოველ
კისკარზე... მზე ჩანს, თუ არ ჩანს, მაინც ვიცი, რომ ცაზეა. ასეა
პასიონარიაც. ის ჩანს, თუ არ ჩანს, აქ არის ახლა, ამ დარბაზში, და
იმავე დროს ის არის მადრიდშიც და ტოლედოშიც, ის არის
ყველგან, სადაც ესპანელ კაცს სჭირდება სიმართლე და სამართ-
ლიანობა.

მე ვხედავდი, რომ ესპანელებს პასიონარია ისე სჭირდებოდათ,
როგორც წვიმა სჭირდება უდაბნოს, როგორც ფრთები — გაფრე-
ნას, როგორც ტვინი — აზრს...

იმ დღეებში გავიცანი მოსკოვში მცხოვრები ესპანელი პოეტი
ხულო მატეუ... ის პირველ ნაბიჯებს დგამდა დიდ პოეზიაში. ჰა-
ბუკი ჰატეუ მუშაობდა მაშინ მოსკოვის ერთ-ერთ ქარხანაში.
ერთხელ იმ ქარხნის ლიტერატურული გაერთიანების აღმანახი მო-
პიტანეს. მახსოვს „პირველი შეხვედრა“ ერქვა. ამ წიგნში ხულო
მატეუს რამდენიმე ლექსიც იყო მოთავსებული.

ერთ მოსკოვურ გაზეთში დავსტამებ რეცენზია იმ აღმანახზე,

რომლის ფურცლებზე გამოქვეყნებულმა მატეუს ლექსებმა ჭეშმარიტი ესთეტიკური სიამოვნება განმაცდევინეს...

დღეს ხულიო მატეუს სახელი ცნობილია არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

კარგი იქნება: თუ მისი ლექსები ქართულადაც ამეტყველდება...

იმ ღამეს ხულიო მატეუს ელოდებოდა პასიონარიას... ელოდებოდა, როგორც ჭეშმარიტი ხელოვანი ელოდება ზეშაგონებს...

...მას შემდეგ რამდენჯერმე მოვუსმინე დოლორეს იბარურს სხვადასხვა აუდიტორიაში. ის ყოველთვის ცეცხლს ანთებდა ტრიბუნაზე! (ის ხომ თანამედროვეობის ერთერთი უნიკიერესი ორატორია!), მაგრამ არასოდეს დამავიწყდება ესპანელ ლიტერატორთა ის საღამო, რომელიც ასე იყო სავსე მოლოდინით და რომელსაც ასე აკლდა პასიონარიას სახე და სიტყვა...

ადამიანები იჯდნენ და ისე ელოდნენ, რომ თვალწინ წარმოშიდგა ივანოვის ცნობილი ტილო „გამოცხადება“...

...როცა სტალინგრადში ვარ, მუდამ რუბენ იბარურს ვიხსენებ. დიდ სამამულო ომში დაცემულ ესპანელ ვაჟკაცს, დოლორეს იბარურის ვაჟიშვილს.

ერთმა ესპანელმა მითხრა მოსკოვში:

— რუბენი ისე მოკვდა საბჭოთა მიწის დასაცავად, როგორც საბჭოთა ჰაბუკები კვდებოდნენ ესპანეთში ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში...

მე ვხედავდი ცრემლს ესპანელთა თვალებზე, როცა მოსკოვის ლიტერატურულ საღამოებზე ჟღერდა მიხეილ სვეტლოვის ლექსზე შექმნილი პოპულარული სიმღერა „გრენადავ, გრენადავ, გრენადავ, ჩემო!“...

...მე ისევ და ისევ იმ დაუვიწყარ საღამოს ვუბრუნდები. როდესაც ველოდით პასიონარიას...

იმ დარბაზში ბასკებიც იყვნენ, იბერიის ნახევარკუნძულიდან მოსული ვაჟკაცები...

როცა ბასკებს ვუშვარდი, რატომღაც დავით გურამიშვილის სიტყვები მახსენდებოდა:

„მოსკოვ-ქალაქს მზეს ველოდით...“

ამ სიტყვებში ქართველთა მოლოდინია გამოხატული.

ესპანელ პოეტთა ლექსებში იბერიის ნახევარკუნძულის ზალხთა მოლოდინი იყო ჩაქსოვილი.

ვუსმენდი მართლაც ღვთაებრივ ესპანურ ენას და ლომოხოსო-

ვი მაზსენდებოდა: ავბობენ, რომ კარლოს დიდი ღმერთთან ესპანურად ლაპარაკობდაო.

ესპანურ ლექსს, ერთი კრიტიკოსისა არ იყოს, მართლაც არ სჭირდება რითმა, ისეთი შინაგანი მუსიკა ახლავს სერვანტესის ენის ბუნებრივ ქლერადობას...

მოსკოვი.

ლეგენდა ლუის კორვალანში

შავი ზაფხული მოვიდა წლეულს პაბლო ნერუდასა და გაბრიელა მისტრალის ჩილეში.

სალვადორ ალიენდეს ესროლეს „ალიენდეს რძით“ გაზრდილმა უგუნურმა ჯარისკაცებმა...

საქმე ის არის, რომ ალიენდემ ჯერ კიდევ ომამდე შეძლო ჩილეში შემოეღო კანონი, რომლითაც ჩვილ ბავშვებს სახალხო მთავრობის დამხობამდე უფასოდ ეძლეოდათ რძე.

ღღეს ამ უფასო რძით გაზრდილმა ბიჭებმა არ დაინდეს „ჩილეს მამა“.

დასავლეთ ნახევარსფეროში მშვიდობიანი გზით არჩეულ პირველ მარქსისტ პრეზიდენტს ცამეტი ტყვია დაახალეს გულში.

გაუგონარი მამის მკვლელობა მოხდა ჩილეში...

მამის მკვლელებს კი ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამიწა ქალამნად.

ეს მათ უნდა თქვან პოეტის სიტყვები: „ჩააწყეთ რიგში ცამეტი ტყვია, ცამეტჯერ უნდა მოვიკლა თავიო!“

მაგრამ მათ არ ესმით ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე.

ერთ უბედურებას მალე მეორე მიემატა. ჩილეს ალიენდეს გამოსატირი ცრემლები არ ჰქონდა შემშრალი თვალებზე, რომ მოულოდნელად ჩაესვენა ლათინური ამერიკის პოეზიის დიდი მნათობი — პაბლო ნერუდა...

ჯერ კიდევ ჟღერდა მოცარტის რეკვიემი, როცა ახალი უბედურება დატრიალდა — შეიპყრეს კომპარტიის ბელადი ლუის კორვალანი.

ჩილეში გამეფდა ღამე, ჯვარცმა და სიკვდილი.

ხუნტის ჯურღმულებში იტანჯება ჩილეელი ხალხის ეროვნული გმირი, ლეგენდარული ლუის კორვალანი.

ერთხელ, ამ ათიოდე წლის წინათ, მოსკოვში ბედნიერი შემთხ-

ვევა მქონდა მომესმინა ჩილეს კომპარტიის ბელადისათვის. ის მოუთხრობდა მრავალრიცხოვან აუდიტორიას თავისი ხალხის რევოლუციურ ტრადიციებსა და პერსპექტივებზე.

ლუის კორვალანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობას ესწრებოდა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პარტიულ სკოლაში მოიწვიეს ლექციის წასაკითხად.

ტაშის გრიალში ტრიბუნაზე ავიდა ქაღარა, მაგრამ ანდების მთებსავით მუხლმაგარი და მკვრივი აგებულების მხედაკრული კაცი.

ლაპარაკობდა ესპანურად. სასიამოვნო ტემბრის ხმა ჰქონდა, იდეურ ბრძოლებში გამოწრთობილი ორატორის დახვეწილი მანერები და ეესტიკულაცია.

მოგვითხრობდა იმაზე, რომ 1922 წელს შექმნილ ჩილეს კომპარტიას იმედის თვალთ შეჰყურებდნენ ქვეყნის მშრომელები, რომ ჩილეს კომპარტიის მეთაურობით შეიქმნა სახალხო ფრონტი. რომ კომპარტიის გავლენით დაამყარა ჩილეს მთავრობამ დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან 1944 წელს.

კორვალანი ამბობდა იმაზე, რომ დიდი იყო კომპარტიის როლი ჩილეს შიურ ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიისათვის ომის გამოცხადებაში.

კორვალანი ფურცლავდა ჩილეს თანამედროვე მათიანეს, ის ჰყვებოდა ჩილელ კომუნისტთა პოპულარობაზე.

ომისშემდგომ წლებში სამი კომუნისტი შედიოდა ჩილეს მთავრობის შემადგენლობაში, — აღნიშნა მან და დასძინა: — ჩვენმა კომპარტიამ დიდი როლი შეასრულა ჩილესში და მთელ ლათინურ ამერიკაში დემოკრატიისა და პროგრესის განვითარებაში.

ამ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებზე დიდი ოსტატობით, მეტად საინტერესოდ ჰყვებოდა ლუის კორვალანი — ჩილეს კომუნისტთა მამად წოდებული რაინდი.

მომეჩვენა, ლაპარაკობდა არა პარტიის ლიდერი, არამედ თითქოს ენა აიდგეს კორდელიერებმა და ანდების მთებმა.

კორვალანის ხმა ხან ვულკანის ლავის ამოფრქვევას ჰგავდა, ხან წყნარი ოკეანის ტალღების ხმაურს; ხან მშვიდად იღვრებოდა, როგორც მთვარის შუქი ანდების თოვლიან მწვერვალებზე, ხან ბობოქრობდა, როგორც უკიდევანო ოკეანის წიაღიდან მოვარდნილო ქარიშხალი.

და მომეჩვენა, რომ მისი სიტყვებიც ჭარისკაცებივით იბრძოდნენ....

სიტყვები მისდევდნენ სიტყვებს, როგორც იდეურ ომში გაგზავნილი ჭარისკაცები...

დარბაზში იქრებოდა არა მარტო ესპანური სიტყვა, არამედ ჩილეს ინდიელთა ტომების მრავალენოვანი ეგზოტიკური ხმაურიც...

ყოვლისდამტევი და ყოვლისშემძლე მეჩვენა კორვალანის ცეცხლოვანი სიტყვა...

„სწორედ ასეთ სიტყვას შეუძლია აიყოლიოს მასები და სამკვდრო-სასიცოცხლო ომში გაგზავნოს“, — ვფიქრობდი ჩემთვის.

წინა დღით ჩილეს სოციალისტური პარტიის გენერალური მდივანი კარლოს ალტამირანო გამოვიდა იმ დარბაზში.

გავკადნიერდი და მაშინ პრეზიდენტში პატარა ბარათი გავგზავნე:

„ამხ. თავმჯდომარე! გთხოვთ გადასცეთ ამხანაგ გენერალურ მდივანს შემდეგი: ალტამირანო ქართულ სიტყვას „ამირანს“ მაგონებს. ამირანი კი ქართველთა პრომეთეოსია. ალტამირანო ნამდვილად ჰგავს პრომეთეს, რადგან თავისი ხალხისათვის ცეცხლის მოსატაცებლად იბრძვის ჩილეს კომპარტიის ბელად ლუის კორვალანთან ერთად...

— გაუმარჯოს ჩილელი ხალხის პრომეთეოსებს — კორვალანს და ალტამირანოს!“.

ლუქციის შემდეგ ალტამირანოს გადასცეს წერილობით შემოსული შეკითხვები, მათ შორის ჩემი ბარათი. მან გაიღიმა და თქვა:

— გმადლობთ. აუცილებლად გადავცემ ჩემს მეგობარსა და თანამებრძოლს ლუის კორვალანს.

არ ვიცი გადასცა თუ არა ამ პატარა ბარათის შინაარსი ალტამირანომ კორვალანს.

მაგრამ დღეს, როდესაც ჩილელი ხალხის ამ ორი ბელადის სიცოცხლე საფრთხეშია, როგორ მინდა ადამიანურად, გულწრფელად ყველა კეთილი ადამიანის გულისთქმა გადავცე კორვალანს, რომელიც ხუნტას შავბნელ ჯურღმულეებში იტანჯება, და ალტამირანოს, რომლის მისამართი არავინ უწყის.

დიახ, არავინ იცის, სად არის ამჟამად ლეგენდარული ალტამირანო.

ამას წინათ მსოფლიოს პრესას მოედო ცნობა, თითქოს სასიკვდილოდ დაჭრილი ალტამირანო სასწრაფო დახმარების მანქანაში გარდაიცვალა, სანამ ჰოსპიტალში მიიყვანდნენ...

მაგრამ პინოჩეტის ჯალათები კვლავ გამწარებით ეძებენ ალტამირანოს...

ყოველდღე აცხადებს ხუნტას რადიო ალტამირანოს გვარს იმათ შორის, ვასზეც დღედაღამი ნადირობს პინოჩეტის პოლიცია და არმია...

ეს გვინერგავს იმედს, რომ ალტამირანო ცოცხალია და იატაკ-ქვეშეთში განაგრძობს ბრძოლას. და თუ ცოცხალია, ის უთუოდ იბრძვის კორვალანის განთავისუფლებისათვის...

ან იქნებ პინოჩეტის პოლიციას ალტამირანოს აჩრდილისაც ეშინია?!..

მთელი მსოფლიო ჰქუხს: — ხელები შორს ლუის კორვალანისაგან!

გაუმარჯოს ჩილეელი ხალხის პრომეთეს ლუის კორვალანს!

მახსენდება ერთი თქმულება ლუის კორვალანზე, რომელიც ჩილეში შექმნეს თურმე ინდიელთა ტომებმა.

ეს ლეგენდა რამდენიმე წლის შემდეგ მიაშრო ერთმა ჩილეელმა სტუდენტმა, რომელიც მოსკოვის პატრის ლუმუმბას სახელობის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტში სწავლობდა.

ცხოვრობდა ჩილეში ერთი რაინდი, რომელიც თურმე ხალხის მარადიულ მზეზე ოცნებობდა. უნდოდა ჩილეში მზე არასოდეს არ ჩასულიყო. მაგრამ შეიპყრეს ერთხელ შავმა მტრებმა და ბნელეთის მოციქულთა ციხეში ჩაადგეს. ეგონათ, მტერს გაუსწორდნენ, მაგრამ, დახეთ საკვირველებას, ციხის კარი არ დაიკეტა. ჰაი აქედ, ჰაი იქით, მაგრამ ვერაფერი მოუხერხეს. ბოლოს ხმა ესმათ ბნელეთის მოციქულებს. ეს ციხე ალაპარაკდა:

— არ შემიძლია ჩემს საკანში ვტანჯო ადამიანი, რომელიც ცამდე მართალია.

გაიღო ციხის კარი და ლუის კორვალანი გაიქცა.

ისევ დაიჭირეს სისხლისმსმელმა ჯალათებმა ჩილეს იმედი და ახლა ფოლადის ბორკილების დადება მოუხდომეს. მაგრამ დახეთ საოცრებას: ახლა ფოლადის ბორკილები არ დაიკეტა. ბორკილებმა უღარუნი გაიღეს: ჩვენ უსამართლოდ დაჭერილ კაცს ხელ-ფეხს ვერ შევეუკრავთ...

...და კორვალანი მეორედ გაიქცა ციხიდან.

ბნელეთის მოციქულებმა ისევ დაიჭირეს და ახლა ოკეანეში ჩახრჩობა მოუხდომეს. ოკეანემ თქვა: არ შემიძლია უდანაშაულო ადამიანი გაეწიროს. ოკეანე უკუიქცა და კორვალანი ნაპირზე დატოვა.

მაშინ ჯალათებმა ცეცხლში დაწვა მოუხდომეს ლუის კორვალანს.

მაგრამ ცეცხლი ატირდა: უდანაშაულო ადამიანის დასჯა გულს მითუთქავსო, და ცეცხლი საკუთარმა ცრემლმა ჩააქრო.

მაშინ მოიტანეს თოკი და ჩამოხრჩობა მოუხდომეს, მაგრამ მარყუქი არ შეიკრა. თოკმა თქვა: უდანაშაულო კაცს არ ჩამოვახრჩობო.

მაშინ დააძვრეს ავტომატები ჯალათებმა და ტყვიამ დაუშინეს კორვალანს...

მაგრამ — კვლავ ჰოი, საოცრებავ! — ტყვიებიც ვერ იმეტებდნენ სასიკვდილოდ გულმართალ კაცს და პანტასავით ცვიოდნენ მის მკერდზე, ისე, რომ კანსაც არ უკაწრავდნენ... პირიქით, კორვალანის მკერდს ასხლელი ტყვიები უკან უბრუნდებოდა იმათ, ვინც ისროდა... და ასე გრძელდებოდა, სანამ არ ამოწყდა ჯალათების მთელი არმია.

მკვლევლებმა თვითონ ამოყლიტეს თავიანთი თავი.

მაშინ აიღო კორვალანმა თავისი სისხლიანი პერანგი, დროშასავით აღმართა ზეთისხილის ტარზე და „ინტერნაციონალის“ სიმღერა წამოიწყო...

და წამოდგა მთელი ჩილე... ვალპარაისოდან ვიდრე სანტ-იაგომდე, რომ გაეწმინდათ ქვეყანა ბნელეთის მოციქულებისაგან...

ასე დაამარცხა სიკვდილი კორვალანმა იმ ლეგენდაში, რომელიც არავინ იცის სად დაიბადა: ინდიელთა სამხრეთულ ტომში, რომელსაც არაუკანებს ეძახიან, თუ ჩრდილოეთის ინდიელებში. რომლებიც აიძვრას ამაყ სახელს ატარებენ.

ლეგენდა საშინელ სურათს ხატავს, მაგრამ უფრო საზარელია დღევანდელი ჩილეს სინამდვილე.

იქ, შორეულ სანტ-იაგოში, სიკვდილს ვაჟკაცურად ებრძვის დღეს ჩილელი ხალხის ეროვნული გმირი ლუის კორვალანი...

სანტ-იაგო... თარგმანში „წმინდა იაგოს“ ნიშნავს... რასაც უნდა ნიშნავდეს ეს — „წმინდა იაგო“ კათოლიკურ კალენდარში, იქ იმდენი უწმინდური ამბავი ხდება დღეს, რომ „წმინდა იაგო“ შექსპირის იაგოზე უფრო ვერაგი და მზაკვარი ჩანს...

სიკეთე და მშვიდობა სწყურია ჩილეს მიწას...

მალე გამოვა მთესველი ჩილეს ცოდვილ მიწაზე... იქ ხომ გაზაფხული მაშინ დგება, როცა ჩვენში შემოდგომაა.

სისხლის გემო ექნება წლეულს მოწეულ პურს ამ ტანჯულ ქვეყანაში, ადამიანის სისხლის გემო... სწორედ ისეთი, რომლის შესახებ ერთი პოეტი წერდა: „ძაღლის პურს ვკამთ, მეზობლებო, სისხლით არის გამომცხვარი“.

ამბობენ, პინოჩეტი, რომელმაც სისხლით მორწყა ჩილე, ერთ დროს სამხედრო კოლეჯში გეოგრაფიას ასწავლიდაო...

ვინც ოდნავ მაინც იცნობს ჩილეს გეოგრაფიას, იცის, რომ ამ ქვეყანაში არის ადგილები, სადაც 10—12 წელიწადს წვიმა არ მოდის... მაგრამ ნუთუ ეს იმის საბაბი უნდა იყოს, ბატონო პინოჩეტი, რომ ადამიანის სისხლით მორწყათ ეს გვალვიანი მიწა, როგორც ამას თქვენ აკეთებთ?

ვინც ოდნავ მაინც იცნობს ჩილეს გეოგრაფიას, მან იცის, რომ ჩილეში, ცეცხლოვან მიწაზე არის უმაღლესი მწვერვალი, რომელსაც დარვინი ჰქვია.

როგორ გგონიათ, რას შეიძლება ფიქრობდეს ევოლუციის თეორიის მამამთავარი ამ მწვერვალის სიმაღლიდან იმ უმსგავსობაზე, რომელსაც თქვენ სჩადიხართ დედამიწაზე, პირისისხლიანო პინოჩეტო?

თქვენი მოღვაწეობით ამტკიცებთ. რომ ადამიანი, რომელიც მაიმუნისნაირთა ოჯახიდან ადამიანობამდე ამაღლდა. შეიძლება თურმე ისევ მაიმუნად იქცეს.

თუმცა ეს რა ვთქვი?

თქვენ რომ მაიმუნი გიწოდონ, ეს მაიმუნების მიუტევებელი შეურაცხყოფა იქნებოდა უთუოდ.

თუმცა თქვენ ხომ მსოფლიოს პრესაში ოფიციალურად გეძახიან „ჩილელ გორილებს“.

საკვირველია, ასეთ შეურაცხყოფას აფრიკის ჯუნგლებში როგორ ითმენენ ეს პატიოსანი ცხოველები?

ვინც ოდნავ მაინც იცის ჩილეს გეოგრაფია, მან ისიც იცის, რომ „პერუს ცივი დინებაც“ უელის ჩილეს ნაპირებს.

მაგრამ ნუთუ ეს იმას ნიშნავს, პირისისხლიანო ბუნტისთავო, რომ ტროპიკულ ჩილეში თქვენი გულცივობის გამო „ახალი პოლიტიკური გამყინვარება“ უნდა დადგეს?

ვინც ოდნავ მაინც იცის ჩილეს გეოგრაფია, მან ისიც იცის, რომ ჩილეში ხარობს ერთი უცნაური ხე — არაუკარია.

სულდგმული, რომელიც მას მიეკარება, სასიკვდილოდ არის განწირული.

ამიტომ იმ ხეზე არ სხდებიან ფრინველები. ცოცხალი არსება მას სათოფეზე არ ეკარება. მას სიკვდილის ხეს ეძახიან.

თავის შხამში იხრჩობა მარტოობაში, ყველასგან ზურგშექცეული ხე — არაუკარია.

აი ეს შხამიანი ხე ხართ თქვენ, პირისისხლიანო პინოჩეტო, ჩილეს პოლიტიკურ ნიადაგზე აღმოცენებული.

ყველა პატიოსანი სულდგმული განვიდგათ და სათოფეზე არავინ გეკარებათ, რადგანაც თქვენ ხართ „სიკვდილის ხე“, ჩილეს პოლიტიკური ცხოვრების ბაღში შხამის სანთხევად ამოსული...

ვინც ოდნავ მაინც იცის ჩილეს გეოგრაფია, მან ისიც იცის, რომ ჩილეს მცირე მდინარეები თითქმის ვერ აღწევენ ოკეანემდე.

მხოლოდ პინოჩეტის მიერ დაღვრილი სისხლის მდინარეები ერთვიან წყნარ ოკეანეს და იმ მდინარეებში დაღუპულ ახლობლე-

ბსა და ნათესავეებს ეძებენ ჩილეს უბედური ქალები და ბავშვები....

მაგრამ ამაოდ.

ვერტმფრენებს გვამები ოკეანეში გააქვთ და იქ აგდებენ უძირო წყალში, რომ დანაშაულის კვალი დაფარონ.

ვინც ოდნავ მაინც იცის ჩილეს გეოგრაფია, მან ისიც იცის, რომ მიწისძვრებისა და მოქმედი ვულკანების ქვეყანაა ჩილე. მაგრამ ის სოციალური კატაკლიზმები და კატასტროფები, რომლებიც მოხდა უკანასკნელ ეშამ ამ ქვეყანაში, მიწისძვრებსა და ვულკანებზე უფრო არყევს ლათინურ ამერიკას. და ვერ გადურჩებით სოციალურ მიწისძვრებსა და პოლიტიკურ ვულკანებს თქვენ, სისხლისმსმელო პინოჩეტო!

ვინც ოდნავ მაინც იცის ჩილეს გეოგრაფია, მან ისიც იცის, რომ ევროპისათვის მაგელანმა აღმოაჩინა ჩილე.

დღეს რომ მაგელანს შეეძლოს საფლავიდან წამოდგომა, ის კვლავ დახურავდა ჩილეს და ხელმეორედ აღმოაჩენდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც თქვენგან, ხუნტის გარეწრებისაგან, გაწმენდა ამ ცოდვილ მიწას, პირსისხლიანო პინოჩეტო!

ვინც ოდნავ მაინც იცის ჩილეს გეოგრაფია, მან ისიც იცის, რომ ჩილეში ცხოვრობს გარეული კატა კოლოკოლო. ამ კატას ის თვისება აქვს, რომ ადამიანის ლეშით იკვებება.

თქვენ, ბატონო პინოჩეტო, ერთი უპირატესობა გაქვთ: თვით ჩილეს გარეული კატა კოლოკოლო არ იჭადრებს თქვენი ლეშით მუცლის ამოყორვას, რადგანაც თქვენ ისე ჰყარხართ, როგორც პატაგონური მყრალა¹.

ბოდლერი იტყოდა: რაღაც ლპება თქვენთან, ბატონებო, ცუდი სუნი მცემს.

დიახ, ცუდი სუნი სდის თქვენს პოლიტიკას, ბატონო პინოჩეტო!

ვინც ოდნავ მაინც იცნობს მსოფლიო ისტორიას. მან იცის, რომ ძველი სისხლიანი მეფეები და სულთანები იმ ბნელ შუა საუკუნეებში ათასობით ოქროს ჰპირდებოდნენ პროვოკატორებს, ოღონდ მათი მოწინააღმდეგის ადგილსამყოფელი ეცნობებინათ.

ბატონო პინოჩეტო, თქვენ იმ სისხლიან ტირანებსაც გადააქარბეთ. თქვენ გამოაცხადეთ, რომ ლუის კორვალანის გაცემისათვის ჯაშუშს ჯილდოდ ნახევარ მილიონ ესკუდოს მისცემდით და ამას ზევით. რაც ფული და ქონება აღმოაჩნდებოდა ლუის კორვალანს, სულ იმ მოღალატეს გადასცემდით, ვინც პოლიციაში დაასმენდა მას.

¹ ჩილეს ტყეებში გავრცელებული გარეული ცხოველია.

თქვენ 500.000 ესკუდოდ შეფასეთ კარლოს ალტამირანოს და კიდევ სხვა 15 პოლიტიკური მოღვაწის სიცოცხლეც.

ბატონი პინოჩეტი ეძებს იუდას და გასამრჩელოდ ჰპირდება არა „ოცდაათ ვერცხლს“, არამედ ნახევარ მილიონ ესკუდოს!

ეტყობა, მცირდება იუდეების ჯილაგი, რადგანაც მათი გასამრჩელო ასე იზრდება...

ამერიკა აქამდე იცნობდა ერთ უთავო მხედარს. დღეს ჩვენ ჩილეს მთელ უთავო მხედრობის ვხედავთ. ალბათ, ამიტომ ღირს ასე ძვირი ადამიანის მოკრილი თავი ჩილეში...

თქვენი დაგეშილი პოლიციელები ისე დაძრწიან, რომ მათი ყნოსვა მაგელანის გარეულ ძალს — კულპეოსაც შეშურდებოდა.

ამბობენ, როცა გენერალი პალასიოსი და კაპიტანი გალიარდო თავს დაესხნენ ვერაკულად ალიენდეს და ავტომატების ჭერით დაცხრილესო იგი, მკვდარი პრეზიდენტი მის ძალსაც შეეცოდა და საცოდავი წკმუტუნი მორთო თურმე პატრონის გვამთან... გამხეცებულმა პუტრისტებმა ძალღიჯ დაახრჩვეს, მხოლოდ იმიტომ, რომ პატრონის გვამთან ყმუოდა...

ასეა, ხუნტას მხეცობამ ადამიანი კი არა, ძალღიჯ აატირა... ამიტომ, ბატონო პინოჩეტი, თქვენს გენერლებს კაცმა ძალები რომ უწოდოს, ეს მათი შეურაცხყოფა კი არა, ქება იქნებოდა.

მაგრამ ჩილეს მამაცი ხალხი არ დაიჩოქებს. მისი ყოველი სიტყვა ჩილეს კაქტუსებზე უფრო იკბინება...

თქვენ ამოყლიტეთ, ბატონებო, ცეცხლოვანი მიწის ყველა მკვიდრი, მაგრამ ჩილეს ცეცხლოვანი სული მარად უქრობია.

თქვენ ვერასოდეს ჩააქრობთ იმ ცეცხლს, რომლითაც სუნთქავს ჩილეს კომპარტია და მისი ლეგენდარული ბელადი ლუის კორვალანი.

მე ვხედავ კორვალანის გიგანტურ ფიგურას, რომელიც აღმართულია ანდებს შორის, ვით ჩილეს ახალი მწვერვალი, მარად მიუწვდომელი ხუნტას საცოდავი ქონდრისკაცებისთვის... და ქუხს ჩილელი ხალხის ბელადი პაბლო ნერუდე: „ი უკვდავი ლექსით:

ჩემს სამშობლოში ციხეები სავსეა ხალხით. —
მართლმსაჯულება იქ ჯალათთა ხელშია ახლა.
მიუხედავად ყოველივე ამისა, მაინც —
მშობელ მიწაზე მე ღრმად მაქვს გადგმული ფეხები
და თავზე მეტად მიჰყარს ჩემი საწყალი მიწა.
ერთი სიცოცხლე კი არა და ასიც რომ მქონდეს,
ასივეს ერთად შევწირავდი სამშობლოს ჩემსას.
კიდევ ასჯერ რომ შემძლებოდა გაჩენა ქვეყნად —
იმავ მიწაზე ვისურვებდი შობას ასჯერვე.

მიწაზე, სადაც ოკეანის ნაჯარღობს ქართ,
სადაც ფოლადის რიხიანი ზარები რეკენ.
ნუ ფიქრობთ ჩემზე,
ვიფიქროთ ხალხზე.
კაცობრიობის მომავალზე ვიფიქროთ, ძმებო!
მუსიკა ჩვენი, პური ჩვენი, სიმღერა ჩვენი
მე არ მინდა რომ შეიღებოს უმანკო სისხლით.

ლუის კორვალანი ჩილეს მამაა.

ხელები შორს კორვალანისაგან, მამის მკვლელებო!

ხოვ არ გგონიათ ალიენდეა სისხლი შეგვრჩათ?

თუ ყრუ არა ხართ, უნდა გესმოდეთ, როგორ იძვრიან ვულკანები ჩილეს მიწაზე...

თუ ბრმა არა ხართ, უნდა ხედავდეთ, როგორ ჭდება იარაღში სახალხო ჯარი, ატაკაპის უდაბნოს ქვიშაზე უმრავლესი და წყნარი ოკეანის გრივალეებზე უძძლავრესი...

თქვენი ტახტი, ბატონო პინოჩეტო, რომელზეც თქვენ ზიხართ. ხიშტების წვერებზე დგას.

ჩილეს მიწა ირყევა... და საცაა ის ტახტი დაინგრევა... მაშინ თქვენ აღმოჩნდებით, ბატონო პინოჩეტო, იმ ხიშტების წვერზე...


ასეთია თქვენი პერსპექტივა.

ამას არც ფუტუროლოგის ნიჭი ესაქიროება და არც ნათელმხილველი.

ეს ცხადია და გარდუვალი.

ხელები შორს ლუის კორვალანისაგან!

არ დაგავიწყდეთ, რომ პრომეთეს ჰქვია ჩილურად კორვალანი...



გაგარინის თანაპარსკვლაველი

პირველი კოსმონავთების საღამო საქართველოს

ის დღე დაუფიქვარია.

1962 წლის 10 აპრილის მშვენიერი საღამო იდგა მოსკოვში.

მსოფლიოს დიდი პრესის ყურადღების ცენტრში იყო პირველი საბჭოთა კოსმონავტი იური გაგარინი. დედამიწის ყველა კონტინენტიდან მოსკოვში ჩამოსული რეპორტიორთა ჯარი დღედაღამ არ ასვენებდა ციურ გმირს. მსოფლიოს ყველა გაზეთი, რადიო, ტელევიზია ფართოდ აშუქებდა მის ცხოვრებას. ყველას უნდოდა პირადად შეხვედროდა კოსმოსის გმირებს ი. გაგარინსა და გ. ტიტოვს.

დავრეკეთ ჟუკოვსკის სახელობის საავიაციო აკადემიაში ველაპარაკებით გენერალ-ლეიტენანტ ნ. კამანინს.

— გაზეთ „კომუნისტიდან“ ვართ. კოსმონავტებისაგან ინტერვიუს აღება გვინდოდა.

გენერალ-ლეიტენანტი ყოყმანობს: — კოსმონავტები კორესპონდენტებმა უფრო დალაღეს, ვიდრე კოსმოსში ფრენამ.

იური გაგარინმა გაიგონა ჩვენი საუბარი.

— საქართველოდან არიან? შეხვედრაზე მოვიდნენ ამ საღამოს საბჭოთა არმიის ცენტრალურ სახლში.

ფოიეში ტევა არ იყო.

დრო ვიხელთეთ და გავესაუბრეთ კოსმოსის მპყრობელს.

მივულოცეთ კოსმონავტიკის დღე და საუკეთესო სურვილები ჯედავეციტ „კომუნისტის“ მკითხველებისაგან.

ი. გაგარინმა მადლობა გადაგვიხადა და გადმოგვცა გაზეთში დასაბეჭდად საპასუხო ბარათი. ამ დროს შემოგვიერთდა კოსმონავტი № 2 გ. ტიტოვი. — მეც მივესალმები საქართველოს, — თქვა გ. ტიტოვმა და ხელი მოაწერა ბარათს.

„გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს, საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელს, კოსმონავტიკის დღეს მოგესალმებით

თქვენ და გისურვებთ ახალ წარმატებებს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში.

ი. გაგარინი, ვ. ტიტოვი. 10. 04. 62^ა.

გერმანე ტიტოვი ვთხოვეთ ორიოდ სიტყვა ეთქვა კოსმოსში ადამიანის გაფრენის პირველ წლისთავთან დაკავშირებით.

— იური გაგარინის ტრიუმფალური გაფრენა, — თქვა კოსმონავტმა, — კოსმოსური ხანის განთიადი იყო. ეს იყო ჩვენი ხალხის ბრწყინვალე გამარჯვება. კიდევ უფრო უბრწყინვალე, ტრიუმფს შოუტანს კოსმოსური ხანის ხვალისდელი დღე კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ხალხს.

იური გაგარინმა დაუმატა:

— აღმოსავლეთიდან ჰუე ამოდის ბუნების კანონების ძალით, ხოლო კოსმოსური ხანის განთიადი აღმოსავლეთში დადგა საზოგადოების განვითარების კანონების მიხედვით. სოციალიზმმა ის სასტარტო მოედანი, საიდანაც საბჭოთა ხალხი უშვებს კოსმოსის მპყრობელ რაკეტებსა და ხომალდებს.

ღარბაზში შევხვდით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის წევრს, გამოჩენილ საბჭოთა მეცნიერს ა. ბლაგონ-რაგოვს.

მსოფიან აკადემიკოსს ვთხოვეთ გამოეთქვა თავისი აზრი კოსმონავტიკის დღის დაწესებასთან დაკავშირებით.

— ამერიკის შეერთებული შტატებიდან ერთ-ერთი კოლეგისაგან საანაღწლო დეპეშა მივიღე: „მოგილოცავთ ქრისტეს შობიდან 1962 წელს ანუ კოსმოსური ხანის მეორე წლის დაწყებას“. ვინ იცის, ოდესმე იქნებ მართლა დაიწყოს წელთაღრიცხვა კოსმოსური ხანის განთიადიდან...

კოსმოსში საბჭოთა ადამიანის გაფრენის პირველი წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო დაუვიწყარია;

საღამო გახსნა გენერალ-ლეიტენანტმა რ. კამანინმა.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა დოკუმენტური ფილმების — „პირველი რეისი ვარსკვლავებისაკენ“ და „ისევ ვარსკვლავებისაკენ“ სცენარების ავტორი ე. რიბაჩიკოვი. ის იყო გაგარინისა და ტიტოვის კოსმოსში გაფრენის ცოცხალი მოწმე. მან ბევრ საინტერესო დეტალზე ილაპარაკა.

იური გაგარინმა დაათვალიერა კოსმოსის დაპყრობის აღსანიშნავად მოსკოვში დასადგმელი მონუმენტის პროექტების გამოფენა. ხუმრობდა, მეტად ხალისიან განწყობილებაზე იყო...

იმ საღამოს ერთი ეპიზოდი გამახსენდა.

კოსმოსის მახვლანი

ეს იყო კოსმოსში მეორე კოსმონავტის გაფრენამდე.

იღვა აგვისტოს მცხუნვარე დღე.

მოსკოვიდან ზღვის პირას ჩასული სამი ჟურნალისტი სტუდენტი ვისვენებდით. ჰადრების ხეივანში ვკითხულობდით გერმანელ პოეტის კლაუს ვოლფის ლექსს „კოსმონავტი-1“. ავტორი წერდა: მე მწამს, კოსმონავტი № 2-იც საბჭოთა ადამიანი იქნებაო.

ენამ უყივლა გერმანელ პოეტს.

„— 1961 წლის 6 აგვისტოს 9 საათზე მოსკოვის დროით საბჭოთა კავშირში დედამიწის თანამგზავრის ორბიტაზე გაშვებულ იქნა კოსმოსური ხომალდი „აღმოსავლეთი — 2“.

ხომალდის „აღმოსავლეთ — 2“ პილოტია საბჭოთა კავშირის მოქალაქე კოსმონავტი მფრინავი, მაიორი ამხ. გერმანე სტეფანეს-ძე ტიტოვი“.

ლევიტანის ხავერდოვანი ხმა იღვრებოდა რეპროდუქტორიდან. ეს ხმა ესმოდა ლონდონს და პარიზს. ყუმბარასავით სკდებოდა ბროდვეიზე, ესმოდათ ოკეანეებში მიმავალ ხომალდებს და მეცხრე ცაში აკრილ საპაერო ლაინერებს, ნერჯიულობდა თეთრი სახლი და ვატიკანი და კანავერალის კონცხიდან აფრენილი რაკეტები პანტასავით ცვივოდნენ ოკეანეში.

ლაპარაკობდა მოსკოვი, ზეიმობდა წითელი მოედანი.

გერმანე ტიტოვი იპყრობდა კოსმოსს.

...წაპით თვალწინ დაგვიდგა წითელი მოედანი. კოსმონავტ № 1-ის ტრიუმფალური ჩამოსვლა დედაქალაქში. მავზოლეუმზე იური გაგარინი, მტრედით ხელში... თითქოს ეს იყო გუშინ. დღეს კი კოსმოსის მაგელანი № 2 მთარღევდა შორეულ სივრცეებს და მისი სახელი იყო გერმანე ტიტოვი.

დეპეშათა სააგენტოები, მსხვილი ბურჯუაზიული გაზეთები, მსოფლიოს რადიო და ტელევიზია მეორე კოსმოსური სიჩქარით მუშაობდა: მსოფლიოს ამცნობდა ახალი გმირის დაბადებას.

გული გეწყდებოდა, რომ არ ვიქნებოდით მოსკოვში აგვისტოს იმ დღეს, როდესაც ვარსკვლავთა მპყრობელი № 2 ტრიუმფით ამალდებოდა მავზოლეუმზე, მაგრამ თავს ვინუგეშებდით, იქნებ ბედმა გაგვიღიმოს და ოდესმე ინტერვიუ გამოვართვათ კოსმოსის მპყრობელსო.

პირველად კოსმოსის მაგელანს სკკბ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ უმაღლეს პარტიულ სკოლაში შევხვდით.

გერმანე დიდი სიამაყით ამბობდა იმის შესახებ, რომ ის გმირული ლენინური პარტიის აღზრდილია, რომ კომუნისტებს თითქოს

ზედად უწერიათ ყველაზე უდიდესი და სარკარო რევოლუციები მოახდინონ მსოფლიოში. პირველი უმაგალითო რევოლუცია, რომლითაც კომუნისტებმა მსოფლიო გააკვირვეს, მოხდა 1917 წლის ოქტომბერში, მეორე რევოლუცია, რომელიც იგავიმიუწვდომელი კაცობრიობის ისტორიაში, კომუნისტებმა მოახდინეს კოსმოსში. მე ვაპყობ,—განაგრძო გერმანე ტიტოვმა,— რომ პირველი კვალი კოსმოსში ჩემმა მეგობარმა კომუნისტმა იური გაგარინმა გააგლო. მე ასე ვფიქრობ, პირველი რევოლუცია მიწაზე რომ არა, მეორე რევოლუცია კოსმოსში წარმოუდგენელი იქნებოდა.

იქუხა ტაშმა.

ჩემ გვერდით ერთი ბულგარელი ჰაბუკი ეუბნება მეგობარ უცხოელს:

— ჩემს წარმოდგენაში გერმანე ტიტოვი ტიტანად მეხატებოდა, ეს კი ჩვეულებრივი ჰაბუკი აღმოჩნდა.

— ტიტანის ძალა მას ხალხმა შთაბერა. ხალხის ძალამ ააფრინა იგი ცაში და მანვე დააბრუნა დედამიწაზე.

ორიოდე თვის შემდეგ ცნობილ ამერიკელ მწერალს მიტჩელ უილსონს ვესაუბრებოდი. მან სხვათა შორის თქვა.

— მსოფლიოს ჰქონდა აქამდე შვიდი საკვირველება. ის, რაც გაგარინმა და ტიტოვმა გააკეთეს კოსმოსში, ყველა შვიდ საკვირველებას შვიდჯერ აღემატება.

ახალი წლის წინა დღეებში კორესპონდენტები დღე-ღამე არ ასვენებდნენ კოსმოსის კოლუმბს № 2-ს. ყველა კონტინენტის პრესა ცდილობდა მიეღო ინტერვიუ და კოსმონავტის საახალწლო მილოცვა.

ერთი უცხოელი ჟურნალისტი ჩიოდა, ორი კვირაა „ენადირობ“ კოსმონავტ № 2-ზე, მაგრამ ვერაფერს გავხდით. უუკოვსკის სახელობის საავიაციო აკადემიაში შევხვდით გერმანე ტიტოვს. გენერალ-ლეიტენანტი კამანინი აჩქარებდა, მაგრამ როდესაც გაიგო, რომ ვაზეთ „კომუნისტიდან“, საქართველოდან ვიყავით, სიამოვნებით გაგვესაუბრა. თავის სურათზე წააწერა ქართველი ხალხისადმი საუკეთესო საახალწლო სურვილები და გადმოგვცა ვაზეთ „კომუნისტში“ დასაბეჭდად, მერე დაუმატა:

— მშვენიერია საქართველოს რესპუბლიკა. მე მიყვარს იგი.

როდესაც გერმანე ტიტოვს ელაპარაკებით, გრძობთ, მის გულითადობას და გასაოცარ ადამიანურ მომხიბვლელობას.

პოლიუდის კინოვარსკვლავმა ქალმა კიმ ნოვაკმა მოსკოვში ინტერვიუს დროს, როდესაც ლაპარაკი ჩამოვარდა კოსმონავტებზე, შენიშნა:

— გერმანე ტიტოვი გასაოცარი ადამიანია: ის რომ კონომსახი-ობი ყოფილიყო, მსოფლიოში უპოპულარესი აქტიორი იქნებოდა.

კოსმონავტი № 2 მეტის მეტად გულისხმიერია. გაზეთ „კომუ-ნისტის“ ის ნომერი, რომელშიც მასთან ინტერვიუ იყო დაბეჭდილი, გადაუვუგზავნე გენერალ-ლეიტენანტ კაპანინის მეშვეობით კოსმო-ნავტს; გ. ტიტოვმა მადლობა გადაგვიხადა ყურადღებისათვის.

ერთხელ გერმანე ტიტოვს სხვათა შორის ვკითხე, საქართველო-ში თუ ყოფილხართ-მეთქი.

— რაძღენჯერმე, კოსმოსში გაფრენამდეო, — მიპასუხა მან და დაუმატა: როგორც კი მოვიცილი, ისევ მინდა ჩავიდე ზღვისპირეთსა და თბილისშიო.

მერე რუსთაველი ახსენა. „ვეფხისტყაოსანი“ ბევრგვობაშივე წა-ვიკითხეო. ბოლოს გრიბოდოვსა და ნინო ქავკავაძეზე ილაპარაკა.

გაგარინსაც ელოდნენ საღამოზე. როდესაც ვკითხეთ, სად იქ-ნება იური ალექსის-ძეო, ტიტოვმა გაიღიმა და თქვა:

— ქართული კერძები უყვარს. ალბათ რესტორანში იქნება. ეურნალისტებს ეს არის გაეჭვა. პრესა სულის მოთქმის საშუალებას-აც არ გვაძლევს.

იმ დღეს, კოსმონავტ № 2-ის ლეგენდარული გპირობის წლის-თავზე, გამახსენდა გერმანე ტიტოვის ზიტყვები:

— ძნელი იყო მოლოდინი. გულისფანცქალით მივაცილებდი სასტარტო მოედანზე 1961 წლის 12 აპრილს კოსმონავტ № 1-ს მაგრამ მთავარი წინაა. ჩვენ დიდი კოსმოსური მოლოდინის ეპოქა-ში ვცხოვრობთ...

ვინ იცის, იქნებ დღეს მოსკოვის ფართო ქუჩებში დადის კოს-მონავტი № 3, როგორც გერმანე ტიტოვი დადიოდა კოსმოსში გაფ-რენის წინ, და ოცნებობს შორეულ კოსმოსურ სივრცეებზე, — ვფიქ-რობდი იმ დღეებში... და აი კოსმოსში მალე გამოჩნდა კოსმონავტი № 3. მას მეოთხეც მოჰყვა...

ნიკოლაევი და პოპოვიჩი

ბედმა გამიღიმა და ერთხელ მოსკოვში შევხვდი მათ. შთაბეჭ-დილებები „კომუნისტის“ მკითხველებს გავუზიარე. მსოფლიო უკვე შეჩვეული იყო კოსმოსური ზენსაციური ამბების მოსმენას მოსკო-ვიდან. ტელეტაიპებს, რადიოტალეებს, ტელეგრაფის მავთულებს დედამიწის ყველა ენაზე, ყველა ქვეყანაში მიჰქონდა ვარსკვლავეთის დაპყრობის ახალი ამბები.

— შორს არ არის ის დრო, როცა მთვარის მტვრიან ზედაპირზე

ალიბეჭდება სკაფანდრიანი კოსმონავტების ნაფეხურები, — თქვა გ. კამანინმა, — ასე ფიქრობენ „კოსმონავტიკის მამის“ — ციოლკოვსკის შვილიშვილები პატარა იური, ვალერი და სერიოჟა. ანტონი ისინი ჩქარობენ. კოსმონავტიკის დღისათვის კოსმოსის შევარდნებს ი. გაგარინს გ. ტიტოვს, ა. ნიკოლაევს და პ. პოპოვიჩს მათ დეპეშა გამოუგზავნეს და სთხოვეს დროზე ჩაწერონ ისინი კოსმონავტთა სიაში, თორემ მერე გვიან იქნება, მათ კი ძალიან უნდათ მთვარეზე გაფრენა.

— რა ვქნათ, — თქვა ღიმილით კოსმონავტმა ანდრიან ნიკოლაევმა, — ესენი ჯერ ათი წლისანიც არ არიან, როდის დაიზრდებიან, მთვარეზე კი დღეს თუ არა ხვალ უნდა გავფრინდეთ...

— არა უშავს რა, — ჩაერია საუბარში პავლე პოპოვიჩი, — მთვარის გარდა მზეს სისტემაში პლანეტები გაჩა ცოტაა?

მეორედ კოსმონავტებს ვნუკოვს აეროდრომზე შევხვდი.

...უცხოელმა, რომელსაც შუბლზე ეწერა, რომ ბურჟუაზიული პრესის კაცი იყო, ღილს თითი დააჭირა და, როცა ტელევიზორის ცინფერ ეკრანზე მომღიმარე ქალიშვილი გამოისახა, აჩქარებით იკითხა:

— რიოს თვითმფრინავი მალე დაეშვება?

— ხუთ წუთში, მხოლოდ თვითმფრინავი რიო-დე-ჟანეიროდან კი არა, სან-პაულოდან მოფრინავს.

— მაშ, მას მოჰყვებიან კოსმონავტები?!

— დიახ.

— ეს იუნაიტედ პრესია, — მითხრა მოსკოვის რადიოს კორესპონდენტმა.

უცხოელი თავქუდმოგლეჯით დაეშვა კიბეებზე და საფრენი მოედნისაკენ გაეშურა.

მას უკან მიჰყვა ფოტოაპარატებით, მიკროფონებით, ავტოკალმებით, ბლოკნოტებით „თავით ფეხთამდე შეიარაღებული“ პრესა.

კოსმონავტებთან ინტერვიუს ციებ-ცხელუბამ მოიცვა აეროდრომი.

ბედმა გაულიმა ამ სტრიქონების ავტორს. გენერალ-ლეიტენანტმა კამანინმა ის საფრენ მოედანზე გაიყვანა კოსმონავტების პირისპირ. იწყება საინტერვიუო იგზიში. ჟურნალისტები „ცაიტნოტში“ არიან.

— ანდრიან გრიგოლის-ძევე, — ვეუბნებით კოსმონავტ № 3-ს, — მესამე კოსმოსური ჩიქარით გვიხდება მუშაობა, თქვენთან ინტერვიუ რომ ავიღოთ...

— არაფერია, — ხუმრობს კოსმონავტი № 4 პავლე პოპოვიჩი, — კოსმოსურ ერაში ვცხოვრობთ...

საუბარი ბრაზილიაში მიღებულ შთაბეჭდილებებს ეხება.

— სავსრეთ აშერაკაში გულთბილად მიგვიღეს. იქ ხარკს უხდთან საბჭოთა ხალხის გენიას, რომელმაც ცაში ააფრინა კოსმოსური ხომალდები, — თქვა ნიკოლაევმა.

— შთაბეჭდილებები იმდენია, რომ ძნელაა მათზე მოკლედ ისაუბრო, — ამბობს პოპოვიჩი, — ძალიან გულთბილად მიგვიღეს ბრაზილიაში.

საუბარში ბრაზილიის საელჩოს თანამშრომელ რაერია:

— ბ-ნმა ელჩმა გამოთქვა სურვილი კვლავ გვეწვიოთ საელჩოში. — უთხრა მან ციურ ძვებს.

კოსმონავტებმა მადლობით მიიღეს მიწვევა.

— საქართველოში თუ ყოფილხართ? — ვეკითხები კოსმონავტ ნიკოლაევს.

— არაერთხელ ვყოფილვარ საქართველოში. ბევრი ქართველი მეგობარიც მყავს, — ამბობს კოსმონავტი.

— შარშან, კოსმონავტის დღეს, იური გაგარინმა და გერმანე ტიტოვმა ბარათი გაუგზავნეს გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს. ჩვენ გვსურს ეს ტრადიციად იქცეს, — ვეუბნებით კოსმონავტებს.

— არც ჩვენ დაგრჩებით ვალში, — ამბობს ნიკოლაევი. კოსმონავტებმა დაწერეს ბარათი და გადმოგვცეს:

„თბილისი

გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს,

საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელს.

მოგილოცავთ კოსმონავტიკის დღეს. გისურვებთ წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობაში“!

— ბრაზილიური სუვენირიც გავგზავნოთ საქართველოში, — ამბობს პოპოვიჩი, — სად არის ჩენი პლასტმასის რაკეტა?

— ის ხომ ჩენი „ტუ-124“-ის პილოტს კონსტანტინე სობოლევს ვაჩუქეთ, — ამბობს ნიკოლაევი და განაგრძობს: — სობოლევმა რეისით სან-პაულო-მოსკოვი შეასრულა 6 მილიონი კილომეტრი ჰაერში. ეს მსოფლიოში მეორე მიღწევაა.

— 6 მილიონი, — ამბობს პოპოვიჩი, — ეს უფრო დიდი საოცრებაა, ვიდრე ნიკოლაევისა და ჩემს მიერ კოსმოსში განვლილი გზა.

სიტყვა ჩამოვარდა კოსმონავტთა რაზმზე.

— იური გაგარინი კოსმონავტთა ჯგუფის უფროსია. პავლე პოპოვიჩი კი პარტიული ორგანიზაციის მდივანი, — ამბობს კოსმონავტი № 3. ჩვენ ყველანი კვლავ გავდივართ წვრთნას, ვსწავლობთ სამხედრო-საავიაციო აკადემიაში, როგორც დეპუტატები ვეწევით საზოგადოებრივ მუშაობას. ჩემი მეგობარი პავლე პოპოვიჩი ამ დღე-

ებში კიევს გაფრინდება უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

კოსმონავტები „არღვევენ“ კორესპონდენტების „აღყას“.

დამშვიდობებისას ანდრიან ნიკოლაევი გვეუბნება:

— ჩვენ, კოსმონავტები, ვამაყობთ, რომ მეშახტის, რკინიგზელის, პოეზიის, პრესის, მშენებლის დღესთან ერთად არის კოსმონავტიკის დღეც. ეს იმას ნიშნავს, რომ კოსმონავტის შრომაც ისევე სჭირდება ჩვენს ხალხს, როგორც მუშის, პოეტის, ჟურნალისტის, გლეხის შრომა.

კოსმონავტები ტოვებენ აეროდრომს. მათი სტიქია კოსმოდრომები უფროა. მივდივართ ვნუკოვოდან და გვახსენდება იური გაგარინის სიტყვები:

— ვიცი, მალე დადგება დრო და „რაკეტა-ტაქსებიც“ გასეირნებთ კოსმოსში...

...მას შემდეგ კოსმონავტებს არ შეეხვედრიათ, თუმცა მათი არაერთი მსოფლიო ტრიუჟფის მოწმე ვიყავი. კოსპოსიდან სულ საახარულო ცნობები მოდიოდა. და აი ერთხელ...

ვარსკვლავეთს მოსწყდა ვარსკვლავი...

ის იყო პირველი გაზაფხული, რომელსაც დედამიწის პირველმა კოსმონავტმა ვერ შეხედა თავისი ლურჯი თვალებით.

იმ გაზაფხულზე დედამიწის ყველა როიალზე უკრავდნენ თეთრ რეჟიემს.

ყველა პოეტი გულში თხზავდა ხელთუქმნელ სულთათანას...

წამით თითქოს ორბიტაზე გაიყინა ყველა ვარსკვლავი, მოგვესმა ვარსკვლავთმომიერი მუსიკა... მერე თითქოს ყველა ვარსკვლავი წამით ამოძრავდა ცაზე, ორბიტები იცვალეს და ციური ცეცხლით ცას წააწერეს უკვდავ სახელი:

იური გაგარინი.

ამ სახელთან იყო დაკავშირებული ყველა ლეგენდის ახლომა, ყველაზე გაბედული ფიქრების ფრთაშესხმა...

მართლაც, რომ „ვარსკვლავეთს მოსწყდა ვარსკვლავი“...

ელერდა ოპტიმისტური რეჟიემი... დედამიწა გლოვობდა კაცობრიობის შეილს...

მე ავირჩიე ცაში ყველაზე ლამაზი ვარსკვლავი და იური გაგარინი ვუწოდე.

ლამაზო ბიჭო, იური გაგარინ!

ფრთებშებოლილო იკაროსო!

ისევ მოვიდა თორმეტი აპრილი... მახსენდება ის პირველი კოსმოსური გაზაფხული მოსკოვში, წითელ მოედანზე. პირველი ინტერვიუ შენთან. ჩემთვის წარმოდგენელია შენი სიკვდილი, ამიტომ როგორც ცოცხალს გესაუბრები.

გნახე პირველად და გითხარი, „კომუნისტისათვის“ სახელდახელო ინტერვიუ მინდა-მეთქი.

გაიცინე და თქვი: „კომუნისტი“ სერიოზული გაზეთია და ჰაიპარად დაწერილ ბარათს ვერ გაგატანო. მერე მაინც დაწერე და ციური სალამი უძღვენი ქართველ ხალხს.

ერთხელ გნახე მსოფლიოს კინოვარსკვლავთა შორის. შენ თქვი: სიტყვა კინოვარსკვლავში რაღაც კოსმოსური უღერს და ამდენად ბევრია საერთო კინოვარსკვლავებსა და კოსმონავტებს შორისო.

მომეწონა და წამომცდა: იური გაგარინი პოეტია-მეთქი.

გაიცინე და მიპასუხე: რუსთაველის ქვეყნიდან მოსულხარ და ასე იოლად ანიჭებ კაცს პოეტის სახელსო?

საბჭოთა არმიის თეატრთან გნახე ერთხელ. სალამოხანს შენი მხარბეკის ჩრდილი ეცეპოდა დედამიწიდან მთვარეს. ეს არ იყო პოეტური ჰიპერბოლა. ეს იყო შენი რეალური სახე, რომელმაც ჩემს თვალწინ გაიელვა.

შენ იმდენად აამაღლე ადამიანი, რომ მექელაიტისის თქმა: ხნულში ვდგავარ და ხელებით მიჭირავს მზეო, რეალურ სურათად წარმომესახა.

სადაც უნდა ეყოფილიყავი — ამერიკასა თუ ბებერ ვეროპაში, — კანადასა თუ ბულგარეთში, ავსტრია:სა თუ პოლონეთში, დანიასა თუ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. რუმინეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ყველგან მესმოდა შენი სახელი: — სოვეტიკ-გაგარინ!...

შენმა სახელმა მუნჯები ალაპარაკა.

ბრძებს თვალი აუხილა.

ყრუს სმენა დაუბრუნა.

მონრეალში ვნახე კოსმონავტ შეპარდის კაბინა ამერიკულ პაკილიონში. ერთმა ამერიკელმა ქალმა დამტვრეული რუსულით გვითხრა:

— ყველა ამერიკელი კოსმონავტი გაგარინის უმცროსი ძმა. მის ნაკვალევზე სწავლობსო ფრენას.

ერთმა აზიელმა, მკლავი გაგისინჯა კრემლის ყრილობათა სასახლეში — ნამდვილი ძებორციელია თუ არაო, და გიწინასწარმეტყველა:

— შენ ისეთი საქმე გააკეთე, კაცობრიობა ოდესმე შენი გმირობის დღიდან დაიწყებს ახალ წელთაღრიცხვასო, და თან დაუმა-

ტა: მე მგონი ეს გმირობა მოჰამედის გაქცევასა და ქრისტეს წამებზე მნიშვნელოვანია.

იური გაგარინ!

შენ იყავ კაცი, რომელმაც ერთ საათში შესძრა მსოფლიო. შენ ვარსკვლავთმცოდნეობით წერდი ეპოქის უკვდავების პოემას.

შენ მეტეორაგით გაიღვე ცაზე და ჩაქრი, რომ შემდეგ სამუდამოდ ანთებულყავ ცის კაბადონზე ბრწყინვალე ვარსკვლავად.

შენ მარად ჩაუქრობელი ვარსკვლავი ხარ კოსმოსის ტატნობზე;

შენ იყავი ადამიანი — დაბადებული იმისათვის, რომ ზღაპარი სინამდვილე გექცია.

შენ ლეგენდიდან მოხვედი და სიკვდილს ლეგენდაში დაემალე.

იური გაგარინი ცოცხალია. მე მას ვხედავ ყველა ბიკუნაში, რომელიც ხვალ მარსის მტერიან გზებს დაადგამს ფეხს.

მე ვხედავ საბჰოთა კოსმონავტების კოპორტებს, რომლებიც იპყრობენ მარსს, ვენერას, შორეულ უსახელო ვარსკვლავებს. კოსმოსის მაგელანები და კოლუმბები სტარტზე გადიან. ისინი შორეულ გალაქტიკებში აღმართავენ ჩვენს დროშებს.

ჩვენ კი კოსმონავტებს ისეთ ძეგლს დავუდგამთ, რომ მარსიდან ჩანდეს. ყველა ამ გმირობას ჩვენ ჩავიდენთ იური გაგარინის სახელით. მაშ რა დროს რეჟივიმია?

დაე, დედაბიწაზე ყველგან ქლერდეს ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონია...



ფილტვები და კთმენბუკები



● შეხვედრები საბჭოთა მწერლებ-
თან. ილია ერანბურგი, ტიციანი და
პაოლო. პაუსტოვსკი, კოლხეთი, ფა-
უსტი. ილია სელვინსკი, ჩუჩკები და
კავალარიძე. ფიქრები გიორგი ლე-
ონიძეზე, საქართველო ორმოცი პო-
ეტის თვალით. ● შეხვედრები ფუნ-
ჯის საბჭოთა ოსტატებთან. იბავ-
მიუწვდომელი სარინი. იქ, სადღას
გათენების მერიდიანის ახლოს ●
შეხვედრები საბჭოთა მუსიკის დი-
დოსტატებთან ● უცხოელი მწერ-
ლები. პოეტი, რომელის ხუნთაზე
ძლიერია. ვენახი, რომელის „მრის-
ხანების გზებებს“ ისხამს. საქარტ-
ველო და ამერიკელი პოეტი. კა-
ლაგი და ზეთისხილის რტო ● საზ-
ღვარბარეთელი მხატვრები. პერ-
ლუფ ზიდსტრუპი. რენატო გუტუ-
ჯო — კომუნისტი და მხატვარი.
● გარკსნიჟორას ღიმილი. ლუჩია
ჩიჩი — ბალანჩინის პირველი
მაცნე შრანგული ბაღების ორი
ვარსკვლავი ● მსახიობები. პოლ
რობსონი და ჭადრაკის ფილოსო-
ფია. პაეშანი „XX საუკუნის ვენერა
მილოსელთან“. მოურიც ფორ-
რანტარის დაუვინყარი დღე და სა-
ათი. იმა სუმაკი — ინჟური საოც-
რება ● საქმიანი შეხვედრები,





უახვედრები საბჭოთა მწერლებთან

ილია ერენბურგი, ტიციანი და პაოლო

ერთხელ ჩემს მეგობარ მოსკოველ ჟურნალისტს ვუთხარი: ილია ერენბურგისაგან ინტერვიუ უნდა ავიღო-მეთქი.

მან გაიცინა: — ეს ისევე წარმოუდგენელია, როგორც საავიაციო კატასტროფა ალექსანდრე მაკედონელის დროს: მოხუცს არ უყვარს ჟურნალისტები.

ილია ერენბურგი შეტად ორიგინალური მწერალი და კიდევ უფრო ორიგინალური და თავისებური ადამიანი, დიდი ერუდიციისა და დახვეწილი შინაგანი კულტურის ფენომენალური გამოვლინება იყო. თავისი განუშორებელი ჩიბუხით. ევროპული, მე ვიტყვოდი, დახვეწილი ფრანგი არისტოკრატის ეესტიკულაციით, ეს სუსტი აღნაგობის ადამიანი, მუდამ გულოვერივით ჩანდა სხვა ტალანტებს შორის ჩემს თვალთახედვაში. სიდაც უნდა შევხვედროდი მას, მოსკოვის ლიტერატორთა სახლში თუ საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სასახლეში, მწერალთა თუ მეცნიერთა შორის...

ერთხელ, მისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, როდესაც ქვეყნდებოდა მისი „ადამიანები, წლები, ცხოვრება“, სიდაც დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქართულ პოეტებს, მე ბედნიერება მქონდა შევხვედროდი მეოცე საუკუნის ამ ერთ-ერთ შესანიშნავ ადამიანს, როგორც ქართული გაზეთის მოსკოველი კორესპონდენტი.

ილია ერენბურგს საღამოს დავურეკე ბინაზე.

მოხუცის ოდნავ ხრინწიანი ხმა:

— კორესპონდენტი? — გაისმა კითხვა მავთულის ბოლოს და მეც კითხვის ნიშნად გადავიქეცი. ერთხანს დუმდა. ვიფიქრე, ახლა უარს იტყვის ინტერვიუზე-მეთქი, მაგრამ აი ისევ გაისმა დაღლილი და შორეული ხმა:

— საქართველოდან?

— დიახ, საქართველოდან! — ვუპასუხე მე და იმედი მომეცა. ისევ დუმილი. ვგრძნობდი, რომ საქართველო რომ არ მეხსენებინა. უფრო იოლად იტყოდა მოხუცი უარს.

— იცით, მე პარიზში მიეფერინავ ხვალ დილით, ახლა ბარგს ეკრავ, — თქვა მწერალმა და ვიგრძენი, რომ ეს უარის შესავალი იყო.

მაგრამ მე მაშინააღურად ჩავძახე ყურმილში სიტყვები ერთი ძველი წიგნიდან.

— ოჰო, „თალმუდი?!“ — გამოცოცხლდა მოხუცი.

— როგორ ხედავთ, ბატონო ილია გრეგოლის ძეგ.

ილიამ გაიცინა.

— საინტერესოა თანამედროვე ჟურნალისტი, რომელიც ამ უძველეს წიგნს კითხულობს...

ებრე თითქოს თავის მართლება დაიწყოს: მე ვორკოფობდი, მინდოდა მეთქვა, შეიძლება შესაფერად ვერ დაგხვდეთ-მეთქი, ხომ იცით. როცა ვასპინძელს ეჩქარება. ამიტომ ინტერვიუ იქნებ პარიზიდან დაბრუნების შემდეგ შემდგარიყო... ტიცინანისა და პაოლოს ტომის კაცი ჩემთვის უცნობიც რომ იყოს, სასურველი სტუმარია, — მომეჩვენა, თითქოს ეს სიტყვები ხმის კანკალოთ წარმოთქვა მოხუცმა.

— პარიზიდან დაბრუნების შემდეგ? — ალბათ ძალიან სასოწარკვეთით წამომცდა მე ეს ფრაზა.

ერენბურგმა ისევ გაიცინა და თქვა:

— არა. ბარემ ახლა მობრძანდით, გადადებული საქმე ხომ იცით...

„თალმუდმა“ თითქოს პაროლის როლი შეასრულა. ეს იყო თითქოს „სეზამ, გაიღე“...

...კარი ვიღაც ქალმა თავაზიანად გამიღო. ერენბურგი სავარძელში იჯდა თავის საწერ მაგიდასთან და როცა დამინახა, წამოდგა, მომესალმა, გაიღიმა, სკამზე მიმითითა.

— მაშ, თქვენ ძველ წიგნებსაც კითხულობთ? — თქვა მრავალმნიშვნელოვნად და ისევ გაიღიმა, — გაეშმაკდნენ ჟურნალისტებიც.

— იქნებ აკრძალული ილეთი ვიხმარე, ბატონო ილია, ინტერვიუს ასაღებად?! — მობოდიშებით ვთქვი მე.

— ო, არა, არა! პირიქით, ეს ყველაზე წმინდა ხერხია, — თქვა ილია ერენბურგმა, — ამას მე გეუბნებით, ყოფილი ჟურნალისტი.

— კი, მაგრამ ამ წიგნმა რით დაგაინტერესათ? — მითხრა ისევ

ერენბურგმა, სანამ მე ჩემს პირველ შეკითხვას მივცემდი, და წმინდა წიგნზე მიმითითა, რომელიც მის მაგიდაზე იყო.

— ის ჩემთვის, ისევე როგორც სხვა ამგვარი წიგნები, მხოლოდ მხატვრული ნაწარმოებია, — ვუთხარი მე, — ხომ არსებობს, მაგალითად, ბიბლესტიკა, როგორც მეცნიერება.

— კეშმარიტება ლაღადებს თქვენი ბაგეებით, — თქვა მოხუცმა და თავი საწერ მაგიდაში ჩარგო, — ეს წიგნი მსოფლიო კულტურის ერთ-ერთი საინტერესო ძეგლია, მაგრამ არაერთაა. „ალტჰემლი მხარე“, არაერთაა „ღვთისაგან რჩეული ერი“... ჩემი სამშობლო იქ არის, სადაც მე დავიბადე და სადაც მალეარეს მწერლად და თავისუფალ მოქალაქედ. ეს არის ჩემი კრედიტო. მე არ მიყვარს ენოვია, მრისხანე ღმერთი იყო მეტად... მაგრამ მიყვარს ჩემი ხალხი, ჩემი სამშობლო — საბჭოთა კავშირი.

— ილია გრიგოლის ძეგ. აცით, — წამოვიწყე მე.

მოხუცი სმენად იქცა.

სულ სხვა რამე მინდოდა მე. არხა და რატომღაც ვუთხარი:

— თქვენი სახელი და მამის სახელი ერთი დიდი ქართველი კლასიკოსის სახელისა და მამის სახელის იდენტურია.

მოხუცი ერთხანს ღუმდა.

— აა, ჭავჭავაძე, ვიცო... ეს პაოლომ და ლეონიძემაც მოთხრეს ერთხელ. ვფიქრობ მისი ნაწარმოებების თარგმანები დედნის დონეზე ვერ დგას. ვგრძნობ, რომ ის უფრო დიდია, ვიდრე თარგმანში ჩანს.

— ასეთი რამ მხოლოდ მწერლის ინტუიციას შეუძლია იგრძნოს, — გავიფიქრე ჩემთვის.

მესიამოვნა ერენბურგისეული დიდი ინტუიციის გამოვლინება ახალი ქართული ლიტერატურის კორიფეს ნაწარმოებთა მხატვრულ-ესთეტიკურ აღქმაში.

— მაგრამ ისიც საქმეა, ალბათ, ბატონო ილია გრიგოლის ძეგ, რომ მთარგმნელმა მწერლის ეს სიდიადე აგრძნობინა სხვა ენოვან მკითხველს.

ერენბურგმა, მოაუჩვენა, თითქოს უქმყოფილოდ შემომხედა:

— ეგ საკითხავია, ჩისი დამსახურებაა: მთარგმნელის თუ მკითხველისა, — თქვა მან.

— შეიძლება ეს ორიგინალის თავისებურებებითაც აიხსნებოდეს. მაგალითად, ჰაინე შედარებით იოლად ითარგმნება ყველა ენაზე, ვაჟა-ფშაველა კი, პირიქით...

— თქვენ გინდათ თქვათ ზოგიერთი პოეტის თარგმნა შეუძლებელია... — თქვა ერენბურგმა და გაჩუმდა.

შომეჩვენა, რომ მისი დუმილი არც თანხმობა იყო და არც უარყოფა.

საუბარი სხვა თემაზე გადავიტანე:

— რას გვეტყოდით ახალს ტიციან ტაბიძესა და პაოლო იაშვილთან თქვენი მეგობრობის შესახებ?

ერენბურგმა ვშვიდად მიპასუხა:

— ძველიც და ახალიც ამ მეგობრობის შესახებ მე ვთქვი ჩემს წიგნში „ადამიანები, წლები, ცხოვრება“. თუ ოდესმე სათქმელი კიდევ გამოჩნდა, ვისურვებდი, რომ ეს არა ინტერვიუს, არამედ სხვა ჟანრის საგანი ყოფილიყო...

— მათი სახეები დაუვიწყარია ჩემთვის, — პაოლო, ტიციანი, ლეონიძე, მანდელშტამი... პოეტებზე ბრწყინვალე თანავარსკვლავედი... მათ შორის მხოლოდ მე და ლეონიძე ვართ ცოცხალი.

ერენბურგმა მერე გიორგი ლეონიძის ბინაზე ახალი წლის შეხვედრა გაიხსენა, გიორგი ლეონიძეს პოლ ელუარი აქებდაო, დასძინდა, ელუარს ბევრი ლექსი ჰქონდაო დაწერილი სტალინზე, მაგრამ ლეონიძე უბადლოდ მიაჩნდაო ფრანგ პოეტს იმათ შორის, ვინც ამ თემაზე წერდა.

შერე დაუმატა — ამ თემაზე ბევრი წერდა... მეც ჩემი შეხედულება მაქვს ამ პრობლემაზე...

ერენბურგი ერთხანს დუმდა, მერე საწერ მაგიდაზე პარიზული „მონდისა“ და ლონდონური „ტაიმისი“ ნომრები ააშრიალა და საიდანთავად „ნიოიეს დოიჩლანდი“ გამოიტანა.

— აქ გერმანულ ენაზეა დაბეჭდილი ტიციანის ლექსი.

ჯაზეთი გავშალე და წავიკითხე ტიციან ტაბიძის ლექსი „...და ბელადობას, ტელმან, გავალუბს“ გერმანული თარგმანი (ამის შესახებ იმავე წელს დავსტამებ პატარა წერილი). მერე მოხუცმა, თითქოს რაღაც არ მისწონსო, დაუმატა:

— სხვა უკეთესი ლექსები აქვს ტიციანს...

— აი, მაგალითად, — თქვა მან და „ლექსი მეწყერი“ წამიკითხა. (ტიციანი ჰემშარიტი პოეტია, — დაუმატა მერე ფიქრში წასულმა.

— ხალა თუ წერთ ლექსებს? — ვკითხე ერენბურგს, — თქვენი ლექსები ისეთივე საინტერესო მოვლენაა ჩემი გაგებით, როგორც თქვენი პროზა და პუბლიცისტიკა.

— ლექსად მხოლოდ იმას ვწერ, რისი თქმა პროზად შეუძლებელია, თუ ასეთი სახის სათქმელი გაიჩნდა, ლექსს გოველთვინ დაეწერა... ლექსი, სუსტია თუ ძლიერი, მაინც ლექსია, თუ ისაა ნააქვამი ლექსით, რაც უამლექსოდ არ შეიძლებოდა თქმულიყო... ზოგიერთ არტისტს ლექსის წერა არასერიოზულად საქმიე ჰქონია. ბევრი არამკითხველ ახლაც მიჩივებს, სჯობს პროზად წერთ, უკეთ გამოგდითო... სულელუბი... — აღშფოთებას ვერ ფარავდა ერენბურგი, — რა არის

კარგი და რა არის ცუდი, ეს არც თუ ისე იოლი პრობლემაა. ერთ გენოსს, მაგალითად, შექსპირი არ მოსწონდა... სწორად გამიგეთ, როცა ლექსზე ვლაპარაკობ, პოეზია, ლიტერატურა მაქვს მხედველობაში და არა გეშეფტმახერობა.

— თქვენი სახელი, ბატონო ილია გრიგოლის ძეგ, დაკავშირებულია მსოფლიო კულტურის ბევრ იჯავმიუწვდომელ ტიტანთან, როგორცაა თუნდაც პიკასო მხატვრობაში, პოლ ელუარი პოეზიაში...

ამ სახელების ხსენებაზე ერენბურგი შესამჩნევად გამოცოცხლდა.

— ხვალ პარიზში ვიქნები. ვნახავ პიკასოს...

თითქოს მე კი არ მიპასუხა. შორეულ სახეებს გამოესაუბრა მწერალი. და მერე უცებ, რატომღაც პიკასოს ნაცვლად მის მიერ ტაბუდადებულ თემაზე, ისევ მის მეგობარ ქართველ პოეტებზე ალაპარაკდა:

— პაოლო მე პარიზში გავიცანი ჯერ კიდევ რევოლუციამდე. მერე დაუმატა: პაოლოს მეტად აინტერესებდა პიკასო.

ერენბურგი ერთხანს ჩუმად იყო, მერე თქვა:

— იცით, ერთხელ ტიციანი დამპირდა, რომ ნამდვილ ცისფერ ყანწს მაჩუქებდა პოეტური ორდენის „ცისფერყანწელების“ მიმართ ჩემი სიმპათიური დამოკიდებულების გამო. ლაპარაკია პოეზიის სიუხვის ყანწზე და არა ღვინიან ყანწზე. მერე დაფიქრებულად წარმოთქვა:

— ცისფერი ყანწი... ეს სურვილი და დაპირება ბევრ სხვა დიდ დამიანურ ფასეულობებთან ერთად თან წაიღო ტიციანმა აჩრდილთა სამყაროში.

მე წარმომიდგა თვალწინ რეალურად ტიციანის ცისფერი ყანწი ერენბურგის წყნარ ბინაში ათას ეგზოტიკურ საგანს შორის... ცისფერი ყანწი, რაც რეალურად, ალბათ, არასოდეს არ არსებულა.

— ბოქემა და პოეზია—აი, რა გვაკავშირებდა ჩვენ: მე, ტიციანს, პაოლოს, პიკასოს, ელუარს... ხელოვნება, აპოლონის საკურთხეველი... ო, ღმერთო ჩემო, რა ბევრი ვიყავით ჩვენ, და რა ბედნიერი?! მერე გულდაწყვეტილმა დაუმატა: — რა ცოტანი დავრჩით...

ერთხანს სიჩუმემ დაივანა ერენბურგის ბინაში. ისევ მასპინძელი ალაპარაკდა:

— ტიციანი და პაოლო დიდი ევროპული კულტურის პოეტები იყვნენ და მე მაოცებდნენ თავიანთი ნიჭით... ისინი პატივს შემატებდნენ რომელიც გნებავთ თანამედროვე ერის პოეზიას. თვით ფრანგულენოვან პოეზიასაც, რომლის შედევრების კეთალშობილური დალი მუდამ აჩნდა მათ სულს და ლექსს, ყველაზე ცხოვლად. ქართუ-

ლის შემდეგ... დაუვიწყარია მათთან შეხვედრები, თბილისის ბოჰემა, ფიროსმანი, ვერის ბალები, აბანოები და, ასე გასინჯეთ, მექსიკელები) კი, რომელთა შესახებ პუშკინიც კი წერდა.

ამ დროს ქალის ფიგურა გამოჩნდა კარებში:

— ხვალ პარიზის თვითმფრინავი ადრე მიფრინავს...

— ო, ეს ქალები... თქვა ერენბურგმა უკმაყოფილოდ...

მე ვიგრძენი, რომ დროა წავიდე, დავემშვიდობე მოხუცს.

— გმადლობთ, — მითხრა ერენბურგმა.

მე გაოცებით შევხედე.

— ბატონო ილია, ეს მე უნდა გითხრათ მადლობა.

— მე მადლობას გეუბნებით, რადგანაც ამ საუბარმა გააცოცხლა ჩემს სულში მეგობრებზე შორეული სახეები.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა...

ისევ ამაფორიაქა ჩემი ძველი ჩანაწერების გადაკითხვამ და კვლავ გაცოცხლდა ჩემს წინ ილია ერენბურგის ადამიანური სახე...

დე, მომიტევეთ წმინდა აჩრდილებმა, რომ მე მეჩვენება, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, თითქოს ტიციანის ის ცისფერი ყანწი, საესე არა ღვინით, არამედ პოეზიით, ხელში მიჭირავს ერენბურგის წყნარ და მშვიდ ბინაში და ეს წერილი კი არ არის, არამედ დიდი ტალანტების მოსაგონარი სადღეგრძელო. გაუწაფავი, მაგრამ გულწრფელი კაცის მიერ ნათქვამი, და ტიციანის ცისფერი ყანწიდან მათ მოსაგონრად ზედაშედ ვაქცევ მათივე პოეზიის ქეშმარიტ ღვინოს აპოლონის წმინდა საკურთხეველზე.

მომიტევეთს მკითხველმა, თუ ეს ისევე წარმოუდგენელია, როგორც „საავიაციო კატასტროფა ალექსანდრე მაკედონელის დროს“... მაგრამ ეს ყველაფერი დიდმა მოკრძალებამ და სიყვარულმა მათქმევინა.

მართალია, ერენბურგს ჰქონდა სუსტი მხარეები და შეცდომებიც, მაგრამ დიდი ადამიანების სუსტი მხარეებიც საგულისხმოა.

პაუსტოვსკი, კოლხეთი, ფაუსტი...

ამას წინათ გამოჩენილი რუსი მწერლის პაუსტოვსკის მშვენიერ ქართულ თარგმანს რომ ვკითხულობდი, ერთი ღირსშესანიშნავი ეპიზოდი გამახსენდა.

სტუდენტობისას მოსკოვში შემთხვევა მქონდა შევხვედროდა კოლხეთის მხატვარ-მემატიანეს კონსტანტინე პაუსტოვსკის.

აი როგორ მოხდა ეს.

მაშინ მოსკოვის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტ-

ზე ვსწავლობდი; ლექსიკოლოგიაში პროფესორმა საკურსო შრომის თეზად სირჩია ამელო „ქართული ლექსიკის ელემენტები კ. პაუსტოვსკის მოთხრობა „კოლხიდაში“ და მათი მხატვოულ-ემოციური ფუნქცია ნაწარმოებში“, ალბათ, იმიტომ, რომ იცოდა, საქართველოდან, კოლხეთიდან ვიყავი.

როცა ყველა სტუდენტმა თავისი თემა აირჩია, პროფესორი ჯგუფს მოგვიბრუნდა და გვითხრა:

— თუ რამე სიძნელეებს წააწყდეთ, ან იგრძნოთ შინაგანი მოთხოვნილება შეხვდეთ მწერლებს, რომელთა ნაწარმოებების ლექსიკოლოგიური განხილვაც იკისრეთ, შეგიძლიათ მიმართოთ მწერალთა კავშირს, დაადგინოთ მწერალთა კოორდინატები და ესაუბროთ მათ. ჯერ არ მახსოვს შემთხვევა, რომ რომელსამე მწერალს სტუდენტი გაეწილებინოს...

...როცა კონსტანტინე პაუსტოვსკის „კოლხიდა“ სულმოუთქმელად ერთხელ კიდევ გადავიკითხე და რამდენიმე კითხვა ჩამოვწერე ჩემთვის, მწერალს ბინაზე დავურეკე.

ვერც ბინაზე, ვერც აგარაკზე პირადად მწერალს ვერ დაველაპარაკე. ბოლოს მასთან შეხვედრის იმედიც კი დავკარგე.

და აი ერთხელ მოსკოვში, ლიტერატორთა სახლში, გერცენის ქუჩაზე რომ მდებარეობს, სრულიად შემთხვევით ვნახე კონსტანტინე პაუსტოვსკი, „კოლხეთის“ და „შავი ზღვის“ ავტორი, რომელიც წლების მანძილზე ცხოვრობდა საქართველოში — თბილისში, სოხუმში, ბათუმში.

მომავალი შეხვედრის დრო დავთქვიო და რამდენიმე დღის შემდეგ მწერალმა თავის ბინაზე მიმიღო.

— მიყვარს კოლხეთი და ყველა ქართველი, — თქვა მწერალმა და ღიმილით შემეგება, — ჩემი ცხოვრების მრავალი საუკეთესო წელიწადი იქ გამიტარებია. ბევრი გულთბილი სტრიქონი ვუძღვენი ამ საოცარ ქვეყანას და მის შესანიშნავ ადამიანებს. თუმცა მთავარი სათქმელი, ასე მგონია, ჯერ არ მითქვამს...

— თქვენი წიგნები ისევე ამშვენებს კოლხეთს, როგორც ძველი ელადის მითები ამ უძველეს მხარეს, — წამომცდა ანაზნად ის ფრაზა, რომელიც პირველად მომადგა ენაზე.

— ო, ეს ალბათ ქართული გულუხვობა ალაპარაკდა თქვენში. — თქვა მწერალმა და ისევ გაიღიმა.

— პატივცემულო კონსტანტინე! ხომ ვერ გაიხსენებო პირველი იმპულსს, რომელმაც გიბიძგათ კოლხეთის ძველი და მარად ახალი თემებისათვის მოგეკიდათ ხელი?

მწერალმა კვლავ გაიღიმა და მერე თითქოს მოგონებებში ჩაიძირა.

— იცი, კოლხეთი მე შევიყვარე ჩემი შემოქმედების ადრეულ ეტაპზე, ეგზოტიკისა და რომანტიკის მაძიებლობის პერიოდში, „ოტ-როს საწმისის“ გამო, მაგრამ ეს მხოლოდ პლატონური სიყვარული იყო. ჩემს გრძნობებს ხორცი შეასხა... — თქვა მწერალმა და ერთხანს გაჩუმდა.

— პომეროსმა? — ვერ მოვითმინე, რადგანაც პაუსტოვისკის მოთხრობის „კოლხეთის“ ბოლო თავის საბელწოდება „ფეხშიშველა ოღისეები“ გამახსენდა.

— არა, გოეთემ, — თქვა მწერალმა მშვიდი ტონით.

— გოეთემ? — გამიკვირდა, რადგანაც ვისზე არ უწერია სტატიები, მოთხრობები და რომანები კ. პაუსტოვისკის, მაგრამ ყველაზე ნაკლებად სწორედ გოეთეს წააწყდებით მის ნაწერებში.

— დიახ, გოეთემ, — თქვა მწერალმა და გამოცდელად შემომხედა.

უცებ ვერ გავიხსენე გოეთეს გიგანტური შემოქმედებიდან ისეთი რამ, რომ კოლხეთთან ყოფილიყო ასე დაკავშირებული.

თუმცა, როგორ არა!

— „პრომეთეოსი“?! — ვეკითხები მწერალს აღტაცებით.

— „ფაუსტი“! — მშვიდად ამბობს ის.

— „ფაუსტი“?! —

— დიახ, „ფაუსტი“... აბა, გაიხსენეთ ყველაზე კულმინაციური მომენტი ამ უდიადესი ნაწარმოებიდან.

— „მშვენიერი ხარ. შეჩერდი, წამო!“ — იმ სტუდენტის ტონით მივუგე, რომელსაც გამოცდაზე ნაცობი საკითხი შეხვდა.

— დიახ, დიახ, — თქვა მწერალმა და წიგნის თაროდან „ფაუსტი“ გადმოიღო, დინჯად გაშალა და ჩანიშნულ ადგილას რუსულად დაიწყო კითხვა: — Мгновенно, ты прекрасен! остановись! როდის წარმოთქვამს ამ სიტყვებს ფაუსტი? — ჯერ თითქოს მე შემიკითხა მწერალი, მაგრამ მერე გადაიფიქრა, თვითონ უპასუხა: — როდესაც ადამიანები ქაობს აშრობენ...

ახლა კი მივხვდი, თუ რას გულისხმობდა რუსული სიტყვის დიდოსტატი, როდესაც კოლხეთის ქაობების დაშრობის შესახებ შექმნილ თავისი ნაწარმოებების იმპულსად გოეთეს „ფაუსტს“ ასახელებდა.

ეს მართლაც დიდებული შინაგანი კავშირი იყო!

მწერალი კითხულობდა გოეთეს,

„ფაუსტი“:

დიდი ქაობი გადაშლილა აქ მთების ძირში,
შხამავს ყველაფერს, დავიპყართ რაც ასე ძნელად,
წვლის გადაგდება ამ მხარიდან, დაშრობა მისი;

დაგვირგვინებს ჩემს დიდ საქმეს უკანასკნელად.
მე აღმოვეჩენე მილიონებს აქ თავშესაფარს,
სად თავისუფალ შრომით ყველა იცხოვრებს ლაღად.
ამწვანდებიან საამურად მინდორ-ველები,
აღამიანიც და პირუტყვიც ეწევა ლუნას.
აქ გახდებიან გორაკები მათი მცველები,
არ მოაკლებენ გამბედავ და მშრომელ ხალხს შევლას.
აქ შეიქმნება თვით სამოთხის სადარი მხარე“...

მწერალმა წიგნი დახურა.

— რას იტყვით, ა? თითქოს გოეთე კოლხეთს აღწერდეს „ფაუსტში“. რამდენად ემთხვევა გოეთეს ეს ადგილი ისტორიული კოლხეთის სინამდვილეს, არა?!

მე გაოცებული ვუყურებდი მწერალს.

კ. პაუსტოვსკიმ ისევ განაგრძო „ფაუსტის“ კითხვა:

„შეპყრობილი ვარ მე ამ აზრით და ამ მიზანით.
უკანასკნელი სიტყვა არის ეს კაცთა სიბრძნის:
თავისუფლების და სიცოცხლის ღირსი ის არის.
ვინაც ყოველდღე, განუწყვეტლივ ამისთვის იბრძვის“.

მწერალმა აქ ისევ შეწყვიტა კითხვა და შემომხედა, თითქოს სურდა შეემოწმებინა, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე გენი-ალური გოეთეს ამ ადგილმა იმ სიტუაციაში.

და მერე ასე დაასრულა „ფაუსტის“ კითხვა:

„სწორედ ეს მქონდა საწადელი: დახსნილ მიწაზე
რომ თავისუფლად მოფუსფუსე მენახა ხალხი.
მაშინ ვეტყობდი ამ ლალ წამს ამოდ:
— მშვენიერი ხარ, შეჩერდი, წამო!“

მართლაც დიდებული იყო ის წამი, როდესაც პირველად კონსტანტინე პაუსტოვსკის ბინაზე ვიხილე თითქმის თვითონ პაუსტოვსკის თვალებით მის მიერვე აღმოჩენილი ახალი კოლხეთის, გოეთეს და ფაუსტის შინაგანი დიალექტიკური კავშირი.

ვერ მოვითმინე და, შეიძლება ეს უტაქტობაც იყო, მაგრამ უნებლიეთ ვთქვი:

— Паустовский по-фаустовски ведет разговор о Колхиде....

მწერალმა ჭერ არაფერი თქვა, მერე მრავალმნიშვნელოვნად გაიმეორა:

„ფაუსტოვსკი“... და მიაჩერდა შორეთს. დიდხანს ეყო ასეთ პოზაში.

ვერ გავიგე, ენიშნა მისი გვარის „პაუსტოვსკის“ კალამბრული მსგავსება რუსულ სიტყვასთან „ფაუსტოვსკი“, თუ არ ესაიშოვნა. ერთხანს ჩაფიქრებული იჯდა, მერე თქვა:

— იცით, ფაუსტი მუშტს ნიშნავს, — და საუბარი უეცრად სხვა თემაზე გადაიტანა.

ანტერესებდა, როგორი აზინდებათ საქართველოში — კოლხეთში, რა არის ახალი თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ფოთში, ქუდადიდში, სამტრედიისში, ნატანებში... ვიცოდი, რომ იმ ადგილებში მას დიდხანს უცხოვრია, ამიტომ ისინი აინტერესებდა განსაკუთრებით.

დიდი ყურადღებით მისმენდა.

მერე ახსენა ფიროსმანი, ის „კოლხიდაში“ ბეჩოს სახით გამოვიყვანეო, — მითხრა მწერალმა.

ამ გაზაფხულზე ევროპაში მოგზაურობისას, საფრანგეთში, ერთ ზღვისპირა სოფელში სიმონა სინიორეს და ივ მონტანის ვილის გვერდით მიჩვენეს ერთი ქველბური ბოჰემური რესტორანი, რომელშიც ახალგაზრდა პიკასო სადილობდა თურმე და ხშირად, როცა ფული არ ჰქონდა მხატვარს, რასაც დახატავდა სადილობის ქამს. იმას უტოვებდა რესტორნის პატრონს დანახარჯის ფასად. დღეს პიკასოს ეს ნახატები რესტორანშივეა გამოფენილი და დიდი მოგება მოაქვს რესტორნის პატრონისთვის.

ხებრე მედუქნეებს ნახარჯს პიკასოსავით ფულის ნაცვლად ნახატებით უხდიდა ფიროსმანი. ეს კარგად აქვს აღწერილი კ. პაუსტოვის თავის „კოლხიდაში“.

იქ, ევროპის ლავეარდოვან სანაპიროზე, საფრანგეთში კვლავ გაიელვა ჩემს წინ კონსტანტინე პაუსტოვისკისთან იმ შორეულმა შეხვედრამ, გოეთემ, ფაუსტმა, კოლხეთმა და ფიროსმანმა...

ალბათ, იმ გახსენებამ ამალგინა დღეს ხელში კალამი და გააღვიძა ჩემში კონსტანტინე პაუსტოვისკის კეთილი, ადამიანური, თუ გნებავთ, ფაუსტური სახე.

ილია სელოვინსკი, ჩუქჩები და კავალერიიძე

მოსკოვში ჩემთან ერთად ერთი ჩუქჩი სტუდენტი სწავლობდა. უცნაური სახელი ერქვა — ჩაიფურგინი. ამბობდნენ, რომ ის „რობინზონ კრუზოს“ თარგმნიდა რუსულიდან ჩუქჩურად.

ერთხელ შემიჩნდა: ილია სელოვინსკის საიუბილეო ლიტერატურულ საღამოზე წავიდეთო, მერე საიდანღაც ორი მოსაწყვევი ბართი მოიტანა და სულ მალე გერცენის ქუჩაზე, ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში აღმოგჩნდით.

ილია სელვინსკი მეფობდა იმ საღამოს პოეზიის მეჯლისზე.

აქ იყვნენ საბჭოთა პოეზიის უდიდესი ქურუმები, ყველა თაობის მგოსნები.

ახალგაზრდა პოეტმა რობერტ როუდესტვენსკიმ, რომელიც მაშინ პირველ ნაბიჯებს დგამდა დიდი პოეზიის სარბიელზე, ბრწყინვალე ლექსი უძღვნა ილია სელვინსკის.

და ის ლიტერატურული საღამო უცებ ილია სელვინსკის დიდ ბენეფისად იქცა. ბობოჭრობდა დარბაზი ილია სელვინსკის პოეზიით. ტრიბუნაზე იდგა ეპოპეა „უღიალავეჭინას“, ლექსად დაწერილი რომანის „პუშტორგის“, ხუთაქტიანი ისტორიული ტრაგედიის „რაინდ იოანეს“, ღრმა ფილოსოფიური ლირიკული ლექსების სახელგანთქმული ავტორი.

ილია სელვინსკის ტაშის გრიალით შეხვდა აუდიტორია და თითქმის ერთი საათი არ უშვებდა ტრიბუნიდან. ავადმყოფი მწერალი ქაბუკური ენერგიით კითხულობდა ლექსებს. პოეზიის საღამოს დასასრულს კულისებში შევხვდი დიდ პოეტს.

ილია სელვინსკისთან საუბარი დავიწყეთ მისი ტრაგედიის „უბკა—თეთრი დათვის“ ერთ-ერთი მთავარი გმირის არსენ კავალერიძის გარშემო.

მისი ტრაგედიის პერსონაჟი, არსენ კავალერიძე, ჩუქჩეთში, უკიდურეს ჩრდილოეთში მომუშავე პარტიის რაიკომის ქართველი მდივნის იშვიათი სახეა საბჭოთა ინფერლობაში. ი. სელვინსკი ხატავს არსენ კავალერიძეს, როგორც მაღალინტელექტუალურ, დიდი კულტურის, შეუდრეკელი ენერჯის ქართველ კომუნისტს, რომელიც პარტიის დავალებით ამ საუკუნის 30-იან წლებში მრეწველ მონადირეთა კოლექტიურ მეურნეობებს აყალიბებს ჩუქჩეთში, ებრძვის კულაკურ ელემენტებს და ამერიკელ კონტრაბანდისტებს და დივერსანტებს, რომლებიც ჩრდილოეთის ხალხებთან საბჭოების ხელისუფლების წინააღმდეგ აწყობდნენ მტრულ გამოხდომებსა და ძირგამომთხრელ საქმიანობას.

ტრაგედიაში ერთმანეთს ეჯახება პარტიის რაიკომის მდივნის, ქართველ არსენ კავალერიძის, ამერიკული გემის „ლუდი ბლეს“ კაპიტნის და ჩუქჩი კულაკის ჩაივურგინის საზოგადოებრივი და პირადი ინტერესები.

მაგრამ ტრაგედიაში კონფლიქტის განვითარების მთავარი შედეგი მაინც უმკას, ამ თითქმის პირველყოფილი ადამიანის ახალ ადამიანად გარდაქმნის პროცესის დიდოსტატური ჩვენებაა.

ტრაგედიის მოქმედება იშლება ჩუქჩეთის ისტორიის გზაგასაყარზე.

— კვო ვადის? — ვიდრე ჰხვალ, ჩუქჩეთო? ასე იდგა საკითხი ამ საუკუნის 30-იან წლებში.

ამერიკული თუ საბჭოთა გზა? — რომელი უნდა აერჩია ამ უკიდურეს ჩრდილოეთში მცხოვრებ მცირერიცხოვან, მაგრამ მამაც და ამტან ხალხს?!

ქართველი არსენ კავალერიძე ჩუქჩეთში სოციალიზმის გამარჯვებისათვის თავგანწირვით მებრძოლი კომუნისტის რელიეფურად გამოკვეთილი მხატვრული სახეა.

— ვინ არის არსენ კავალერიძის პროტოტიპი? — შევეკითხე ილია სელვინსკის.

— არსენ კავალერიძე კრებითი სახეა. მე ბევრი ქართველი მეგობარი მყავდა და მყავს. მათ შორის ძველი რევოლუციონერები, სამოქალაქო ომისა და რეკონსტრუქციის ეპოქის გმირები. ყველა მათგანმა მომცა თითო შტრიხი ამ სახის გამოსაძერწად.

მე მინახავს ქართველი რევოლუციონერები ციმბირში, ქართველი მეთევზეები კამჩატკასა და ჩუკოტკაში, და ასე გასაჩვენო. ქართველი მხატვარი ჩრდილოეთ პოლარულ წრესთან... მე მუდამ მაოცებდა ამ სამოთხის სადარი ქვეყნიდან, საქართველოდან ჩრდილოეთში გადაკარგული ქართველი კომუნისტების ვაჟკაცობა, შემართება, გამბედაობა, მათი ბედი. მათ ამ დიდ ადამიანურ თვისებებს მე მხატვრული ხარკი გადავუხადე არსენ კავალერიძის სახის შექმნით. თუ რამდენად გამომივიდა მისი სახე, დე, მკითხველმა განსაჯოს.

ტრაგედიაში „უმკა—თეთრი დათვი“ არის ერთი მეტად საინტერესო ეპიზოდი: ჩუქჩ უმკას ოჯახში სტუმრად მისული ქართველი არსენ კავალერიძე იმ მიზნით, რომ უფრო იოლად აიყოლიოს ჩუქჩები საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში, ჩუქჩთა ეროვნული ტრადიციებისადმი პატივისცემის ნიშნად, მძალ გაეფიცება უმკას—ჩუქჩ მონაღირეს, რადგანაც ასეთია უმკას სურვილი. მძალ გაფიცვა კი—რასაც ჩუქჩები „ტუმგეტუმს“ ეძახიან, მეტად თავისებური ტრადიციაა. მძალ შეფიცულებს ყველაფერი საერთო აქვთ. მათ შორის ცოლებიც საერთოა. მაგრამ ეს არ იცოდა კავალერიძემ და მის გაოცებას საზღვარი არა აქვს, როცა ღამით უმკამ თავისი ცოლი ტინტინი ძალად ჩაუწვინა ლოგინში. იუცხოვა ქართული ოჯახის ტრადიციებზე გაზრდილმა კავალერიძემ ეს ჩუქჩური ჩვეულება, მაგრამ უმკამ ეს შეურაცხყოფად მიიღო: როგორ თუ ჩემს ცოლს არ კადრულობ ლოგინში ჩასაწვენადო და იარალისკენ წაიღო ხელი. სხვა რა გზა იყო, კავალერიძე დათანხმდა და ის ღამე თავის ჩუქჩი მძაღნაფიცის ცოლთან „გაატარა“. მაგრამ გავიდა ხანი და ერთხელ უმკამ სამაგიერო მოთხოვა, მძაღნაფიცს უთხრა: შენს ცოლთან — ნინასთან დამაწვინეო. ასეთია ჩუქჩური მძაღნაფიცვის რიტუალი, ადათი. ჩუქჩის

ასეთი წინადადების გამო ცალკერძ არსენ კავალერიძე გადაირიჟ ცალკერძ კიდევ მისი ცოლი — ნინა, მაგრამ ისეთი კრიტიკული მომენტი იყო, რომ უმკას გადაკიდება მთელი ჩუქჩეთის გადაკიდებას უღრიდა და...

მე გავკადნიერდი და ვკადრე ილია სელვინსკის:

— თქვენ ქართული ხასიათი სწორად ვერ აღგიქვამთ. კავალერიძე უმალ თვითონ მოკვდებოდა, ვიდრე ცოლს ჩუქჩს დაუთმობდა.

— მერე და განა დაუთმო? შემეპასუხა ტრაგედიის ავტორი.

— კი მაგრამ ერთ ოთახში დატოვა კავალერიძემ თავისი ცოლი, მისი დადნაფიცო ქალი და უმკა, რომელიც ნინასთან ჩუქჩური ტრადიციის მიხედვით ღამით გატარების უფლებას მოითხოვდა?!

ამაზე სელვინსკიმ მიპასუხა:

— ვინც კარგად დააკვირდება ამ ეპიზოდს ტრაგედიაში, მიხვდება, რომ კავალერიძემ კი არ დათმო ცოლი, არამედ ნახევრად გაველურებულ ჩუქჩ მონადირეში ადამიანი გააღვიძა. უმკამ ხომ ხელი არ ახლო ნინას.

— კი მაგრამ...

— არავითარი „კი მაგრამ“ — კავალერიძე უდიდესი ფიზიონომისტი და ფსიქოლოგია. მან ჯერ აუხსნა უმკას, რომ ჩუქჩური ძმადნაფიცობა ცოლის დათმობას მოითხოვს, მაგრამ ქართული ადათი — კრძალავს. უმკამ, ამ ნახევრად დათქმა და ნახევრად კაცმა, არ დააბიჯა ფეხი ქართული ოჯახის ადათს შორეულ ჩუქჩეთში. ეს ხომ კავალერიძის გამარჯვებაა, ეს ხომ ქართულ ადათის გამარჯვებაა! და კავალერიძემ ეს გააკეთა არა პიანტოლეტიტ, რომელიც ჭიბეში ედო, არამედ ფსიქოლოგიური იარაღით, რომლითაც დაამორჩილა უმკაც და მთელი ჩუქჩეთიც.

ამაშია კავალერიძის სიღიადე.

ან გაიხსენეთ როგორი დიდი ადამიანური, ქალური თავდადება ჩანს რუსი ქალის მალიაშა ვანინას საქციელში.

ვანინას შეეშინდა ვაითუ უმკამ ნინას მიმართ ძალა იხმაროსო უმკას ეხვეწება: ნინას ხელს ნუ ახლებ. თუ გინდა მე შეურაცხმყავიო. ესაა მეგობრობისათვის საკუთარი პატიოსნებისა და უბიწოების მსხვერპლად შეწირვის იშვიათი მაგალითი.

— დიან, თქვა სელვინსკიმ, ასეთია თავგანწირვა ახალი ტიპის ქალისა, ვანინა მზად არის საკუთარი პატიოსნება გაწიროს, ოღონდ თავის მეგობარ ქალს — ნინა კავალერიძეს ოჯახი არ დაუნგრეოს, სიყვარული არ დაამსხვრიოს. მას უყვარს არსენა, მას მთელ „არსენალს“ ეძახის. ო, ეს რთული ფილოსოფიაა... საკმარი-

სია ეს ეპიზოდები ვულგარულად აღვიქვათ, ანდა „თვალებით ვიზრუშოთ“ და ამ მშვენიერი ფილოსოფიიდან არაფერი დარჩება ამიტომ მე გამგებ მკითხველს ყოველთვის ჩემს თანაავტორად ვთვლი.

თქვენ იცით, რომ თანაავტორად ყველა არ გამოდგება.

ილია სელვინსკის აქვს შესანაშნავი ლექსი „კაპიტანი წურწუშია“. მე ვკითხე პოეტს თუ როგორ დაიწერა ის.

— ეს ლექსი მრისხანე 1941 წელს დავწერე სევასტოპოლში, ღამით, — მითხრა პოეტმა. — როცა ჭარისკაცების წინაშე ვკითხულობდი ამ ლექსს, ერთხელ მკითხეს: კი მაგრამ სევასტოპოლი ხომ შენიღბული იყო და ღამე შუქი არსად ანათებდა, ლექსებს როგორ წერდიო. მე ვუპასუხებდი: მეგობრებო, ეს მართალია, მაგრამ ამ ლექსს მე ვწერდი იმ ხანძრის შუქზე, რომელსაც გმირი მფრინავი წურწუშია ანთებდა ბომბებით ფაშისტების ზურგში... ისეთ ხანძარს აჩენდა ქართველი მფრინავი წურწუშია რუმინეთში, რომ იმ ხანძრის ალი სევასტოპოლის ღამეს ანათებდა. თითქოს მეუბნებოდა ქართველი გმირი: აჰა, პოეტო, გაგინათე ღამე და შენც ლექსები წერეო.

ამ სიტყვების შემდეგ ტაშს მიკრავდნენ მეომრები.

ცოტა ხანს ჩაფიქრდა სელვინსკი.

— ეჰ, ის ხელები, მაშინ ტაშს რომ უკრავდნენ, დღეს ვინ იცის სად მარხია, — მწუხარედ თქვა პოეტმა.

მერე თავისებური ბოხი ხმით წაიკითხა ერთი სტროფი ლექსიდან — „კაპიტანი წურწუშია“:

წურწუშია ამ სახელმა
ბტერს გაუბო გული...
ო, ის ცეცხლის ღმერთი არის
და ქუხილის სული.

აქ ცოტახანს შეჩერდა სელვინსკი. არ ვიცი ლექსი დაავიწყდა თუ რამე ძლიერმა მოგონებამ წაართვა მეტყველების უნარი. მერე, თითქოს გონს მოეგოო, კითხვა განაგრძო:

თუმც კორტნიან ფაშისტები
და ყორნები ჭარად.
მაინც მეფობს წურწუშია
ცაში, ორბის დარად.

ისევ შეისვენა სელვინსკიმ და მისი ჩქარი სუნთქვა მომესმა. გული ღალატობდა პოეტს.

როცა სელვინსკი ამ ლექსს კითხულობდა საბჭოთა კავშირის გმირ წურწუშიაზე, მე მახსენდებოდა ერთი სამურზაყანოელი ხალ-

ხური მელექსე, რომელიც ჩემს ბავშვობაში ჩემს სოფელში შაი-რებს თხზავდა წურწუშიაზე.

ფიქრებიდან პოეტის ხმამ გამოიყვანა.

— 1942-1943 წლებში კავკასიის ფრონტზე ვიბრძოდი, — თქვა ი. სელვინსკიმ, — იმ დროს უთარგმნე ალიო მაშაშვილის ლექსი „გორი“.

მერე ხელი ჩაიქნია:

— ო, ბევრია, ბევრი მოსაგონარი. ერთი სიცოცხლე მართო ქართული შთაბეჭდილებების აღწერას უნდა. ადამიანი კი ასე ცოტას ცოცხლობს, — ნაღვლიანი ღიმილით დაუმატა სელვინსკიმ და გამომეშვიდობა.

მას შემდეგ იღია სელვინსკი არ მინახავს, მაგრამ მუდამ მიდგას თვალწინ მისი ფართო, სედიანი და მრავლისმეტყველი თვალები. რომლებიც თავის გუგებში თითქოს მთელი სამყაროს მოქცევას ლამობდნენ...

დღეს სელვინსკი ცოცხალი აღარ არის, მაგრამ მისი პოეზია ჰგავს მუდამ კარლია სახლს, სადაც მარადიულ სიკეთეს დაუვანებია.

ფიქრები გიორგი ლეონიძეზე...

ლეონიძეს ერის გულში უდევს ბინა...

ხალხური

გიორგი მხენელ-მთესველს ნიშნავს, გეორგია — საქართველოს ლეონიძე ლომის ბოკვერად იკითხება. (შდრ. ლეონ-ლომი). მაშასადამე, გიორგი ლეონიძე საქართველოს ლომია. დიახაც, რომ ქართული პოეზიის ლომია გიორგი ლეონიძე. ასე ადეკვატურად შეერწყა ერთმანეთს დიდი მგოსნის სახელისა და გვარის ორთოეპიული ჟღერადობა და ამ სახელითა და გვარით აღნიშნული პოეზიის ფილოსოფიური არსი. ეს ადეკვატურობა გ. ლეონიძის უნატიფესი პოეზიის ფორმისა და შინაარსის ადეკვატურობასაც გვაგონებს.

გიორგი მხენელ-მთესველს ნიშნავს. ქართული პოეზიის ყამირს იშვიათად ჰყოლია ისეთი გუთნისდღედა, ისეთი მხენელ-მთესველი, როგორიც გიორგი ლეონიძეა.

რა გენიალურად ჩაუქსოვია მაინც დედა-ბუნებას პოეტის გვარისა და სახელის ჟღერაში მისი შემოქმედების მნიშვნელობაც ერის კულტურის ისტორიისათვის.

ერთხელ დალოცვილ სოფელ პატარძელში ყოფნის დროს ექსპროვანტად წამომცდა:

კახეთის ზერებში აღარ ბინდდება,
უცხო რამ შუქი ანათებს ციდან.
ნათლის სვეტებად გზებზე ბრწყინდება
პატარძელი და ნინოწმინდა.
ქარში ჩურჩულებს ვენახი ძველი
და ჩანს სოფელი ვაზს ჩახვეული,
ქართული ლექსის ხატი და რთველი —
მზე-პატარძალი — პატარძელი.
აქ მომიყვანა ბედის აფრებმა
მე აქ მიხმობდა სული გრძნეული.
პატარძელი — გედის აფრენა,
ლექსის ვენახი — პატარძელი.

ზოგლა ერთხანს დუმდა. მერე თქვა:

გედი გალაკტიონია. ჩემი ლექსის სიმბოლო კი ხოხობია.

ლეონიძეთა გვარის გერბსა და სხვა ჰერალდიკურ ნიშნებს მე არ ვუცნობდი. მგონი არც არსებობს ასეთი რამ, მაგრამ არსებობს ლეონიძისეული ლექსის ერთ-ერთი ჰერალდიკური ნიშანი — უმშვენიერესი ფრინველთა შორის — ხოხობი. მით უმეტეს, რომ თვითონ ავტორმა შეარჩია ეს ფრინველი თავისი ლექსის სიმბოლოდ.

სხვათა შორის, დიდ გოეთეს ჰქონდა საკუთარი ჰერალდიკური ნიშანი. მასზე მრავალქიმიანი ვარსკვლავებია გამოყვანილი.

„ლამე ივარიისა“

პეტრიწონის საპანეჲი

1966 წლის პაპანაქება ზაფხულში ბულგარეთში სტუმრად ჩასულმა პეტრიწონის (ბაჩკოვოს) გრილ სავანეს შეეფარე თავი. იქ შემთხვევით გავიცანი გიორგი ლეონიძის ბულგარულ ენაზე მთარგმნელი ნიკოლაი კინჩევი. მისი შესანიშნავი მთარგმანები 1965 წელს გამოეცა სოფიის გამომცემლობას „ნაროდნა კულტურას“.

პეტრიწონში მიიხრეს, რომ მის სავანეებში ხშირად დადიოდა ბულგარელი პოეტი ნიკოლაი კინჩევი, რომელმაც ივანე ვაზოვისა და ხრისტო ბოტევის ენაზე აამეტყველა ქართული სიტყვის ჯადოქრის გ. ლეონიძის ლექსები.

პეტრიწონში ქართული სული ტრიალებს. აქ უფრო იოლია ქართული პოეტის ამეტყველება ბულგარულ ენაზე... აქ შრიალებენ ქართული ვაზები „რქაწითელი“ და „საფერავი“... ქართული ფილოსოფიის სულიც აქ ტრიალებს. ასე მგონია ბაჩკოვოს შემოგარენში დღესაც უხმოდ დადის პეტრიწის ლანდი...

ბულგარეთი საოცრად ჰგავს საქართველოს.

ქ. ვარნიდან, სადაც უურნალისტთა საერთაშორისო სახლში ვისვენებდი, პეტრიწონამდე ვიმგზავრე გზებით, რომლებიც გასაოცრად მაგონებდა კახეთის სანახებს. „რქაწითელისა“ და „საფერავის“ ზვრები, ქვიციკირის სახლები, მარნები, ჩუქურთმიანი აივნები, შავტუხა გოგო-ბიჭები... პეტრიწონი.. და მის გრილ სავანეში გიორგი ლეონიდის ლექსების წიგნი...

„ღარილიდან გადაეარდნო
ხაზარეთისკენ მისცურავს წერო“..

მივითხავდა ბულგარელი პოეტი ქართველი მგოსნია ლიროკულ შედევრს და იღუმალების ბურუსში ეხვეოდა „ივერიის ღამე“ პეტრიწონის სავანეში.

მგოსნის დიდი გული

ხუთიოდე წლის წინათ პოლონური გაზეთის „ეჩე ვარშავის“ რედაქციაში ყოფნის დროს ვნახე ძველი ნომერი იმ გაზეთისა, სადაც დაბეჭდილი იყო გ. ლეონიდის ლექსი „ვარშავის ნანგრევებზე“.

პოლონელმა უურნალისტმა თქვა:

— ლეონიძე ქართველი პოეტია, მაგრამ ვარშავის კირზე პოლონელივით წერს. ამიტომაც დავბეჭდეთ ეს ლექსი.

ჩვენს პოეტს დიდი და კეთილი გული ჰქონდა. ლეონიდის გული მიცვევიჩისა და შოპენის გულის სატიკივარსაც იტევდა.

პოეტის ნიჭი — ამერიკელ ინდიელთა ტომის ბელადს

ამერიკის კონტინენტზე მოგზაურობის დროს სტუმრად მიგვიყვანეს ინდიელთა რეზერვაციაში; ამერიკელ ინდიელთა ერთ-ერთ ტომის ბელადს ნიაგარის ჩანჩქერის ახლოს. სოფელ კატანავაგაში ედგა ტახტი გვაჩვენეს ინდიელთა ცეკვები, სიმღერები, გაგვაცნეს თავიანთი ზნე-ჩვეულებანი. ბოლოს ინდიელთა ბელადი მომიახლოვდა და მაჩვენა ტომის დროშა, რომელზეც სხვადასხვა სამკერდე ნიშნები იყო მიკრული. ეტყობა სუვენირების გაცვლა უნდოდა. ჯერ ვინაობა მკითხა.

— ჯორჯია? სოვეტიკ! აა! სტალინი! — დაასვენა ბოლოს. მერე რატომღაც პროფესია მკითხა: — ლიტერატორი ვარ! — ვუპასუხე მე. მაშინ ტომის ბელადმა გრძელი მონოლოგი წაიკითხა — ფრაგმენტი ჰენრი ლონგფელოს პოემიდან „სიმღერა ჰაიავათაზე“ და მთხოვა როპელიმე ქართველი მწერლის წიგნი ან სურათი მეჩუქებინა.

მე ბედზე გიორგი ლეონიძის ლექსების პატარა წიგნი აღმომაჩნდა, ვაჩუქე იგი. ტომის ბელადი დედნანს დააცქერდა ქართულ წიგნებს და მგოსნის პორტრეტს. მერე თქვა:

— არწივული გამოხედვა აქვსო მგოსანს და კეთილი სახე. მას აღაპიანური ლექსები ექნებაო. ასე ამოვიკითხა ინდიელთა ტომის ბელადმა ლეონიძის სახეზე მისი პოეზიის შინაარსი. შემდეგ წიგნი აიღო და ტომის დროშის გვერდით შეინახა ყველაზე საპატიო ადგილას.

ასე დარჩა ჰენრი ლონგფელოს სამშობლოში ლეონიძის ქართული წიგნი.

თეთრი დეჰანი და „ფიროსმანი“

სიციოცხლის უკანასკნელ წლებში გიორგი ლეონიძე მუშაობდა პოემაზე „ფიროსმანი“. ერთხელ თეთრ ღუქანში, სუფრაზე ზეპირად წაგვიკითხა ნაწყვეტი ამ პოემიდან. ყოველ სტრიქონს და სიტყვას ექვის თვალთ უყურებდა, წონიდა, თითოეული მსმენელის აზრს კითხულობდა. საოცარია, მთელს ევროპაში გახმაურებული პოეტი დამწყებ და ახალგაზრდა ლიტერატორებთან თითქოს თავს გამოცდაზე გრძნობდა. ეს ალბათ მხოლოდ დიდი ტალანტების თვისებაა: უდიდესი პასუხისმგებლობა მკითხველის წინაშე..

ფიროსმანზე ფანტიკურად იყო შეყვარებული და ხუმრობით ამბობდა, რომ თეთრ ღუქანზე გადისო გზა ფიროსმანის ბოჰემისაკენ.

„არ დაგავიწყდე“

იმ საბედისწერო ზაფხულს უცხოეთიდან ვბრუნდებოდი და, როგორც კი ფეხი დავადგი საბჭოთა მიწას, ხელში უმალ „პრავდა“ ავიღე. თავზარი დამეცა. მგოსნის სახელი, რომელსაც საასპარეზოდ დედამიწაც კი არ ყოფნიდა, უღმობელ სიკვდილს ორკვადრატანხვირიან ჩარჩოში მოემწყვდია გაზეთის ბოლო გვერდზე...

მგოსნისათვის მომქონდა სახსოვრად პეტრიწონიდან თეთრი ყვავილი „არ დაგავიწყდე“... ქუდმოხდილი და მუხლმოდრეკილი ავედი მთაწმინდაზე და პეტრიწონის სავანეში დაკრეფილი თეთრი ყვავილები დავაყარე პოეტის თბილ სამარეს...

პეტრიწონში დაკრეფილი ვარდები დამკვნიარყო, მაგრამ მარად უტკნობია ის ვარდები, რომელიც ქართული პოეზიის უკვდავ ბღნარში ააყვავა იგავმიუწვდომელმა მგოსანმა გიორგი ლეონიძემ.

საქართველო ორმოცი პოეტის თვალით

უკრაინული ლიტერატურის დეკადის ქრონიკები

გურამიშვილის ნაკვალევზე...

პირველი დღე

გზათა შორის უმშვენიერესია საქართველოს სამხედრო გზა!
წარმოიდგინეთ ორმოცი პოეტის თვალთ დანახული ეს სილამაზე!

ზედაზნის ქედებზე მიცურავენ ღრუბლის ფთილები. „ნისლო
ფიქრია მთებისა“ — უკრაინული აქცენტით აღ-პარაკდა ვილაცაში
პაუა...

ორი არაგვის შესაყართან პირველყოფილი პოეტური ხილვის
ჟიჟინა აღმოხდა დმიტრო კოსარიკს: — ათი პომეროსი, ათი რუსთა-
ველი, ათი შევჩენკო თუ დახატავდა ამ სილამაზეს!

ერთმა მთიულმა ხალხურმა მთქმელმა წაიკითხა მაიაკოვსკის
ირაკლი აბაშიძისეული თარგმანი:

„მე ვიცი:
უმღერდნენ
ედემს და სამოთხეს,
შავრამ თუ
ლექსავდნენ ოცნებით.
აღბათ
საქართველო
ედემად გამოჰყევს,
მასზე თუ
გალობდნენ
მგოსნები“.

გუშინ ჩვენს თვალწინ დაიბადა მთიულური ლეგენდა იმაზე, თუ
როგორ შეხვდა ორმოცი უკრაინელი და ქართველი პოეტი საქართ-
ველოს მთებში გაცოცხლებულ შოთა რუსთაველსა და ტარას შევ-
ჩენკოს, დავით გურამიშვილსა და ლესია უკრაინკას... აქვე, ანანურის
ციხის კედლებთან ჩაფიქრებულ მიხაილო სტელმაზანს გონებაში თუ
ზედაზნის ქედებიდან არაგვის ხეობაში შთაგონებით მომზირალ
ოლეს გონჩარის უბის წიგნაკში იბადებოდა ძმობის დაუწერელი
წიგნის მომავალი ფურცლები...

უკრაინელმა პოეტებმა და მწერლებმა იმოგზაურეს მარ-
შრუტით კრწანისი-თბილისი-მცხეთა-საგურამო-ფასანაური-თბი-
ლისი.

— ეს გეოგრაფიული მარშრუტი კი არა, პოეზიაში მოგზაურო-
ბა იყო, გზა კი არა, ლირიკული პოემა იყო — თქვა პოეტმა ოლექ-
სა ნოვიცკიმ.

სტუმრებმა ნახეს თბილისის სანახები. მცხეთაში ირაკლი აბაშიძემ და გიორგი ლეონიძემ უკრაინელ თანამოკალმეებს დაათვალიერებინეს სვეტიცხოველი. ი. აბაშიძემ უამბო სტუმრებს პალესტინაში შოთა რუსთაველის პორტრეტის პოვნის შესახებ. ერეკლე მეორის საფლავთან სვეტიცხოველში იმპროვიზებული დეკლამაციით წამოცდათ ბესო ჟღენტს, სერგი ქილაიას, კონსტანტინე ლორთქიფანიძეს ნაწყვეტები პუშკინის, ლერმონტოვის, ბარათაშვილის ლექსებიდან, რომლებიც იქვე გააგრძელეს უკრაინელმა პოეტებმა.

...წიწამულის გზაზე ჩერდება „ვოლგების“ წყება, უკრაინელი და ქართველი პოეტები პატივს სცემენ საქართველოს სულიერი მანის — ილია ჭავჭავაძის ხსოვნას. ილიას მოკვლის ადგილას თალხისფერ გრანიტს მუხლმოდრეკით პირველად ბაგეს ახებს უკრაინაში დავით გურამიშვილის საფლავის მპოვნელი, ქართული კულტურის გულმართალი მეგობარი დმიტრო კოსარიკი... ირაკლი აბაშიძე მოუთხრობს სტუმრებს ილია ჭავჭავაძის ცხოვრებაზე. ჩანაწერებით ივსება ი. ვირგანის, ა. იურენკოს, ი. ზბანაცკის უბის წიგნაკები..

აგერ წინამძღვრიანთ კარი... პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი გალაკტიონის ლექსებს უკითხავს უკრაინელ პოეტებს.

საგურამო... ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი ყვაილებითა და ღიმილით შეეგება დიდი კობზარის ქვეყნიდან მოსულ სტუმრებს, ოლექსა ნოვიცკი პოეტ კარლო კალაძეს უზიარებს მის მიერ ამ მუზეუმში ლიტერატურულ შრომაში გატარებულ დღეთა შთაბეჭდილებებს... მუზეუმის ახალ ექსპონატებს შორის არის ილია ჭავჭავაძის წიგნები უკრაინულ და რუსულ ენებზე, რომლებიც ახლახან გამოიცა კიევსა და მოსკოვში.

გიორგი ლეონიძემ უკრაინელი სტუმრები მიიწვია დავით გურამიშვილის ნასახლარის დასათვალიერებლად. როგორც ცნობილია, დავით გურამიშვილის ნასახლარი იპოვნა პოეტმა-აკადემიკოსმა გიორგი ლეონიძემ. აქ, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის მახლობლად, განზრახულია გახსნან დავით გურამიშვილის მემორიალური მუზეუმი. ამ საქმის ენთუზიასტია პოეტი გ. ლეონიძე. უკრაინელი მწერლები და პოეტები დიდი ინტერესით გაეცნენ დავით გურამიშვილის ცხოვრების უტყვე რელიკვიებს... უკრაინის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ოლეს გონჩარი და საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი ირაკლი აბაშიძე საუბრობენ უკრაინელი და ქართველი ხალხების ლიტერატურული ურთიერთობის ტრადიციებზე.

პოეტი მორის ფოცხიშვილი ნიჭიერ ახალგაზრდა უკრაინელ პოეტებს ივან დრაჩსა და ვიტალი კოროტიჩს აძლევს წიგნს „სიბრძნე

სიყვარულისა“, რომელშიც მოთავსებულია მათი ლექსების მის მიერ შესრულებული თარგმანები. უკრაინელ სტუმრებს აძლევენ დეკადასთან დაკავშირებით გამოცემულ უკრაინელ ავტორთა 18 წიგნს, რესპუბლიკურ გაზეთებს.

დეკადას დღეებში თბილისში ჩამოვიდა უკრაინელ კინემატოგრაფისტთა ჯგუფი. მის შემადგენლობაში არიან რეჟისორები მ. ლევჩუკი, ს. ფარაჯანოვი. მსახიობები ნ. ნაუმი, ლ. კადოჩნიკოვა და სხვები. ამ დღეებში შედგება ს. ფარაჯანოვის ფილმის „დავიწყებულ წინაპართა აჩრდილების“ ჩვენება. ფილმში მონაწილეობს საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ს. ბალაშვილი.

გუშინ საღამოს უკრაინელი პოეტები და მწერლები ცისფერ ეკრანთან სტუმრად მიიწვია პოეტმა-აკადემიკოსმა ირაკლი აბაშიძემ. სტუმრებმა წაიკითხეს თავიანთი ნაწარმოებები. უკრაინელი და ქართველი პოეტების ტელევიზიაში გამოსვლით ფაქტიურად დაიწყო საქართველოში დეკადის პროგრამით გათვალისწინებული ნაწარმოებების გაცნობა.

დღეს დეკადის მონაწილენი კახეთში მიემგზავრებიან.

პოეტური შემოდგომა ალაზნის ველზე მეორე დღე

ალაზნის ველზე ბარაქიანი შემოდგომაა. აქ ახლა ორი რთველია: მადლიან ზვრებში თავს იწონებს ქართული ყურძენი, დამწიფებულან მხატვრული სიტყვის მტევნებიც. ფრესკების ღიმილით, ჩუქურთმათა სიმფონიებით, ლაღი ქართული სიტყვით, მხურვალე გულით შეეგება კახეთი უკრაინულ მწერლობის ჯარისკაცებს.

— ვისაც კახეთის ზვრების ოქროს სილამაზე არ უნახავს, ნუ დაიკვებნის, საქართველოს ვიცნობო, — ამბობს პოეტი დმიტრო პავლიჩკო. — განა შეიძლება აქ ცხოვრობდე, ამ დამათრობელი სილამაზით ტყებოდე და ძარღვებში პოეტური სისხლი არ გიჩქედეს?!

დღეს, უკრაინული და ქართული მწერლობის ყველა გზა, როგორც ასეთ შემთხვევაში ამბობენ, ალაზნის ველისაკენ მიემართება.

ორმოცი პოეტი და მწერლის კეთილი ნაკვალევი რჩება კახეთას გზაზე. ეს გზა, რომლის მარშრუტია თბილისი-საგარეჯო-სიღნაღი-გურჯაანი-თელავი-წინანდალი, თავის ნაყოფიერ კვალს დატოვებს ჩვენი სტუმრების შემოქმედებაში.

ამ საზეიმო ლიტერატურული ლაშქრობის მონაწილენი პირველად შეჩერდნენ საქართველოს სახალხო პოეტის გიორგი ლეონი-

ძის მშობლიურ სოფელ პატარძელში. ქართველი პოეტი თავის უკრაინელ კოლეგებს აცნობს სოფლის ისტორიას. აგერ უძველესი ტაძრის, ქართული ხუროთმოძღვრების საუკეთესო ძეგლის — ნინოწმინდის ნანგრევები...

მიკოლა ბაჟანი გაპყურებს პატარძელის მიდამოებს, ვინ იცის, ეგება ამ დროს პოეტის გულში იბადება ახალი ლექსი საქართველოზე, ქართველი მშრომელი. ადამიანის მოუღლე მარჯვენაზე.

ყვავილების ზღვითა და მზის ღიმილით შეხვდა საგარეჯო სტუმრებს. გაიმართა დიდი ლიტერატურული დილა, რომელიც გახსნა საგარეჯოს საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის პირველმა მდივანმა და უკრაინელ მწერალთა დელეგაციის ხელმძღვანელს, ლენინური პრემიის ლაურეატს ოლეს გონჩარს საჩუქრად გადასცა ნაბადი და კახური ქული.

უკრაინელ მწერალთა სახელით სსრ კავშირის გმირმა, მწერალმა იური ზბანაცკიმ საგარეჯოელებს საჩუქრად გადასცა ტარას შევჩენკოს ბიუსტი, „კობზარი“, შევჩენკოს ნახატების ალბომი და განაცხადა, რომ იგი არის კიევის 87-ე საშუალო სკოლის მოსწავლეთა „ელჩი“ საგარეჯოელ მოსწავლეებთან, რომლებსაც სამეგობროდ იწვევენ კიეველი მოზარდები.

...სიღნაღი—კახეთის გადასახედი!

ჩაფიქრებული გაპყურებს ალაზნის ველს ვადიმ სობკო. იგი იარაღით იცავდა კავკასიის მისადგომებს დიდი სამამულო ომის დროს...

ისევ გზა. აი თელავიც — კახეთის გული.

დიდი ლიტერატურული საღამო გაიმართა თელავის სახელმწიფო თეატრის შენობაში. ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან ს. ჰილანია, მ. ბაჟანი, კ. კალაძე, ვ. კოროტიჩი, კ. ლორთქიფანიძე, დ. პავლიჩკო, ი. ნონეშვილი და სხვები. ახალგაზრდა თელაველი პოეტი ა. სპარსიამვილი სტუმრებს მიუძღვნის თავის ლექსს.

მზე, გული და აოუზია...

შესამე და მეოთხე დღე

პოეზიის რთველი იდგა კახეთში ორ დღეს. წინანდალში უკრაინელმა სტუმრებმა დაათვალიერეს ალექსანდრე ჰავჭავაძის სახლ-მუზეუმი. ივან დრაჩი კითხულობს გრიბოედოვის ლექსს ალაზანზე. ნოდარ გურეშიძემ საპასუხოდ წაიკითხა ნაწყვეტი შევჩენკოს „კავკასიიდან“. ვადიმ სობკომ შენიშნა: — უკრაინელთათვის კავკასიის პოეტური აღმოჩენა ტარას შევჩენკოს ეკუთვნისო. დიმიტრი კოსარიჩი ჩააფიქრა ირაკლი აბაშიძის „პალესტინა, პალესტინამ“.

მან თქვა: ფასანაურსა და წინანდალში ცრემლები მომადგა, როცა ქართულ „მრავალუამიერი“ მოვისმინე... ალბათ ასე მღეროდა დავითი შორეულ ზუბოვკაში... წინანდლის მუზეუმს ვასილ კოზაჩენკომ გადასცა შევჩენკოს ბიუსტი. მიკოლა ბაჟანს წინანდალში მთავრად ნაბადი და კახური ქუდი.

თელავი... სტუმრებმა ნახეს ლესია უკრაინკას მემორიალური ადგილები, დაათვალიერეს თელავის ისტორიული მუზეუმი. ქალაქი გრემში გ. ლეონიძემ ოლეს გონჩარს უჩვენა უნიკალური ფრესკები და ჩუქურთმები.

ყვარელი — დიდი ილიას აკვანი, ვარდებით და ღიმილით შეეგება უკრაინული სიტყვის ოქრომჭედლებს. ოლეს გონჩარმა თარგმნა ილიას „ყვარლის მთებს“... ეს ლექსი უკრაინულ ენაზე მოწყდა მწერლის ბაგეს...

ილიას სახლ-მუზეუმის ეზოში მოეწყო ლიტერატურული დილა. ყვარლის საწარმოო სამმართველოს პარტკომის მდივანმა სიტყვით მიმართა ბევრფას სტუმრებს. ირაკლი აბაშიძემ თქვა: როდესაც ვფიქრობდით ვისი აკვანი ან ვისი საფლავი გვეჩვენებინა სტუმრებისათვის, ვთქვით პირველ რიგში საქართველოს სტუმარმა უნდა ნახოს შოთას და ილიას აკვანი. და აჰა, დღეს აქ ვართ, სადაც დიდი ილიას აკვანი დაირწა.

ახალგაზრდობის სახელით სტუმრებს გულთბილად მიესალმა გულცინა გელაშვილი.

ო. გონჩარმა მუზეუმს გადასცა შევჩენკოს „კობზარი“ და ილიას მოთხრობების წიგნი უკრაინულ ენაზე. წიგნზე ავტოგრაფს ტრევებს დეკადის ყველა მონაწილე.

გაიხსენეს უკრაინელი ლიტერატურის კლასიკოსი მ. კოციუზინსკი, რომელმაც სხვა თექვსმეტ უკრაინელ მოღვაწესთან ერთად ილიას მისასალმებელი ადრესი გამოუგზავნა 1892 წელს იუბილეზე, რომლის ჩატარება ნეტემ აკრძალა.

პ. ზაგრებელნიმ ილია შეადარა მწვერვალს, რომელიც უთვალავ მწვერვალთა შორის ცისკენ აღმართულა და ყოველი მხრიდან მოჩანს.

კ. ლორთქიფანიძემ წაიკითხა შევჩენკოს ლექსის („ნეტავი კიდევ“) თარგმანი. ი. ნონეშვილმა წარმოთქვა გულთბილი სიტყვა და წაიკითხა ლექსი მეგობრობაზე.

ი. დრაჩმა თქვა: ყვარელში, სადაც პოეზიის მზე ანათებს, მზეზე უნდა წავიკითხოთ ლექსი და მსმენელებს გააცნო თავისი ნაწარმოები „პოეზიის და მშვიდობის მზეს“.

ჯ. ჩარკვიანმა ილაპარაკა ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობაზე.

ი. ვირგანმა ნაჩუქარი კახური ქული დაიხურა და დამსწრეთ მიმართა ლექსით „მებრძოლის სიკვდილი“.

მიკოლა ბაქანმა პოეტური შთაგონებითა და მკერმეტყველურად ილაპარაკა უკრაინელი და ქართველი ხალხების პოეზიაზე. სიტყვით გამოვიდა მუზეუმის დირექტორი ი. ბეროშვილი.

უკრაინელმა და ქართველმა მწერლებმა ყვარელში დაათვალიერეს დიდი ქართველი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმი. მათი განსაკუთრებულს ყურადღება მიიქცია კ. მარჯანიშვილის მოღვაწეობამ კიევის, პეტერბურგისა და მოსკოვის თეატრებში.

ლენინური პრემიის ლაურეატი მიხაილო სტელმახი მოჯადობულია ყვარლის ზღაპრული სანახაობით: სიტყვა საქართველო ჩემთვის ისე მახლობელი გახდა, — ამბობს მწერალი, — როგორც მზე და გული...

წინაკლდეში სტუმრები მიიწვიეს უნიკალური მიწისქვეშა მარჯის სანახავად. სტუმრებმა გასინჯეს ტკბილი მაჭარი, ჯაშნიკი მოხადეს ახალ ღვინოს, ნახეს კახური ჩურჩხელების დამზადების ხელოვნება.

ვადიმ სობკოსა და მიხაილო სტელმახს ყვარელელებმა უძღვნეს ნაბდები, ყველა სტუმარს აჩუქეს სამახსოვრო სუვენირები. უკრაინელმა მწერლებმა კი მასპინძლებს უძღვნეს ტარას შეეჩენკა ის იუბილეს აღსანიშნავი სამკერდე ნიშნები და წიგნები.

ყვარელმა სიმღერებით გააცილა ძვირფასი უკრაინელი სტუმრები.

დეკადის მეოთხე დღეს მასპინძლობდა თბილისი. სტუმრები ეწვივნენ თბილისის მუზეუმებს, სადაც გაეცნენ ქართულ ფერწერას, გრაფიკას, ქანდაკებას, ოქრომკედლობის შედეგებს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში მოეწყო გულთბილი შეხვედრა ქართველ მეცნიერებსა და უკრაინელ მწერლებს შორის.

შეხვედრა გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ნ. მუსხელიშვილმა. სიტყვები წარმოსთქვეს ირ. აბაშიძემ, გ. ლეონიძემ, მ. ბაქანმა, აკადემიკოსმა ალ. ბარამიძემ, მწერლებმა ლ. ნოვიჩენკომ, კ. გამსახურდიამ.

გ. ლეონიძემ დააყენა საკითხი „მეგობრობის მატრიანის“ გამოცემის შესახებ. მას მხარი დაუჭირა ლ. ნოვიჩენკომ და ილაპარაკა იმ დიდ წვლილზე, რომელიც შეიტანეს უკრაინულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობაში მ. ბაქანმა, პ. ტიჩინამ, მ. რილსკიმ, ი. აბაშიძემ, კ. გამსახურდიამ, გ. აბაშიძემ, ბ. ჟღენტმა, ს. ჭილაიამ და სხვებმა.

41-ე სკოლაში კლუბის „წიგნის მეგობრის“ გახსნაზე იყვნენ პოეტები ი. ნონეშვილი, ო. იურენკო, ი. ვირგანი.

დიდი ლიტერატურული დილა მოეწყო თბილისის პუშკინის სა-სკოლოს პედაგოგიურ ინსტიტუტში. შეხვედრა გახსნა ინსტიტუტის რექტორმა დ. ჩხიკვიშვილმა. სიტყვებით გამოვიდნენ ირ. აბაშიძე, პრორექტორი სამეცნიერო ნაწილში შ. კანკავა; სტუდენტმა ს. ფედორენკომ წაიკითხა ირ. აბაშიძის ლექსების თარგმანები. უკრაინულ ენაზე სტუპრებს მიესალმა სტუდენტი ე. გურაბაშვილი.

გულთბილი სიტყვა წარმოთქვა მწერალმა ი. ზბანაცკიმ, რომელიც ამჯერად კიევის გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მეგობრობის ელჩად მოგვევლინა.

დ. პავლიჩკომ ილაპარაკა იმ დიდ სიყვარულზე, რომელიც ი. ფრანკოს აკავშირებდა საქართველოსთან, წაიკითხა ლექსები.

დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ ტრიბუნაზე მიკოლა ბაჟანს. მის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ ოთხჯერ გამოვიდა კიევში. 9 ოქტომბერს შ. ბაჟანს 60 წელი უსრულდება. უკრაინელი პოეტი საქართველოში შეხვდება ამ ბედნიერ თარიღს. შ. ბაჟანმა წაიკითხა ნაწყვეტები დ. გურამიშვილის „დავითიანიდან“ უკრაინულ ენაზე.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში მიიწვიეს ახალგაზრდა პოეტები დ. პავლიჩკო, ი. დრაჩი და ვ. კოროტიჩი. მოეწყო შეხვედრა შემოქმედებით ახალგაზრდობასთან.

კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ უჩვენეს კიევის დოქტენკოს სახელობის კინოსტუდიის ახალი ფილმი „დავიწყებულ წინაპართა აჩრდილები“.

სალამოს მწერალთა კავშირის კლუბში გაიმართა დიდი ლიტერატურული საღამო.

სალამო გახსნა ირ. აბაშიძემ. დიდი პროფესიული საუბარი გაიმართა ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხებზე. სიტყვები წარმოთქვეს ო. გონჩარმა, ვ. კოზაჩენკომ, შ. მრეველიშვილმა, დ. შენგელაიამ, შ. ბაჟანმა, გ. ლეონიძემ, შ. სტელმახმა, კ. ლორთქიფანიძემ, გ. აბაშიძემ, ხ. ბერულავამ, კ. კალაძემ, ი. ნონეშვილმა, ი. ზბანაცკიმ, ვ. სობკომ. მათ სიტყვებში ქლერდა ძმობისა და მეგობრობის უკვდავი ჰიმნი.

უკრაინელმა მწერლებმა ქართველ კოლეგებს გადასცეს ტარას შევჩენკოს ბიუსტი, „კობზარი“, ლექსი „ანდერძი“ მსოფლიოს 44 ენაზე ცალკე წიგნად გამოცემული.

სალამი, რევოლუციის ძარიშხალავ!

მეხუთე დღე

— უკრაინაში რომ არ დაგებადებულიყავი, საქართველოში დაბადებას ვინატრებდიო, — თქვა დიდმა უკრაინელმა პოეტმა „რევოლუციის ქარიშხალამ“ (როგორც მას უკრაინაში უწოდებდნენ), ლესია უკრაინკამ.

უკრაინელი მწერლები მთიულეთისა და კახეთის სანახების ხილვის შემდეგ სურამისაკენ მიემართებიან.

პოეზიის რთველმა ქართლსა და იმერეთში გადმოინაცვლა.

ისევ მცხეთა, არაგვი და მტკვარი.

ჯვარი — ქართული ხუროთმოძღვრების შედეგრი.

მიხაილო სტელმახი და ოლეს გონჩარი მოჯადოებულნი უცქე-რიან ამ დიდებულ სანახაობას.

უკრაინელი პოეტები კითხულობენ მიხეილ ლერმონტოვის ლექსებს.

რევაზ თვარაძემ სვანური ქუდი აჩუქა ივან დრაჩს. იგი ჯ. ჩარკვიანს მიუბრუნდა და ღიმილით ეუბნება, ხომ ნამდვილი სვანი ვარო. პოეტ რევაზ მარგიანს ესაუბრებიან უკრაინელი პოეტები და მწერლები, რომელთა წიგნები დეკადასთან დაკავშირებით გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნებამ“ გამოსცა. იმართება საქმიანი საუბარი გამომცემლობის მომავალ გეგმებზე. უკრაინული და ქართული ლიტერატურების პროპაგანდის საკითხებზე.

მიკოლა ბაჟანი ლაპარაკობს შესანიშნავ მოქანდაკე თამარ აბაკელიაზე, რომელმაც შექმნა ლესია უკრაინკას პირველი ძეგლი საპკოთა კავშირში.

სურამი. უკრაინული პოეზიის ერთ-ერთი უბრწყინვალესი მუზის სავანე.

ირაკლი აბაშიძე სტუმრებს ლესია უკრაინკას ბიბლიოთეკა-მუზეუმში შეუძღვა. დმიტრო პავლიჩკო ამბობს:

— ლესია უკვდავია, როგორც უკვდავია საქართველოს მთები. როგორც ვერავითარი ძალა ვერ დაძრავს ამ მთებს, ისე ვერავითარი ძალა წინ ვერ აღუდგება უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობას.

იქ, სადაც თავისი გედის სიმღერა თქვა ლესია უკრაინკამ, დღეს თამარ აბაკელიას ხელით გამოქერწილი ბრინჯაოს ძეგლი დგას.

კარლო კალაძე კითხულობს ლექსს ლესიაზე. შემდეგ ლ. უკრაინკას ძეგლთან იმართება ხალხმრავალი მიტინგი, რომელსაც ესწრებიან ხაშურის რაიონის და ახლომახლო სოფლების მშრომელნი, მოსწავლე ახალგაზრდობა.

მიტინგს ხსნის საწარმოო სამმართველოს პარტკომის მდივანი. სიტყვას ამბობს ბიბლიოთეკა-მუზეუმის დირექტორი ი. ავდიშვილი. დეკადის მონაწილეებს უკრაინულ ენაზე მიესალმა სურამის კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. გურჯიანი.

სურამელი კოლმეურნეები ეჯიბრებიან ლესიას მშობლიური სოფლის კოლმეურნეობა „უკრაინას“, რომელიც ეიტომირის ოლქის ნოვგოროდ-ვოლინსკის რაიონში მდებარეობს. ამ დღეებში უკრაინიდან მოვლიან კოლმეურნეთა დელეგაციას. ამას წინათ სურამელებს უკრაინელთა თვითმოქმედმა დრამატულმა წრემ უჩვენა ლესია უკრაინკას პიესა „ტყის სიმღერა“.

უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, კრიტიკოსმა ლ. ნოვიჩენკომ ლესიასადმი მიმართული გულში ჩამწვდომი სიტყვა წარმოთქვა:

— ყოველ ნაბიჯზე გვხვდებოდი საქართველოში, დაო ლესიავე, — ამბობს იგი, — დიდება ამ ცას და ამ მიწას, სადაც შენი გედის სიმღერა ითქვა. ის შენი უკვდავების სიმღერად იქცა. მადლობა ქართველ ხალხს, რომელიც ასე სათუთად ინახავს თავის გულში შენს წმინდა სახელს, — რევოლუციის ქარიშხალავე! ივანე ფრანკომ კარგად თქვა შენზე, ლესიავე, შენ ყველაზე ვაჟაკი პოეტი ხარო.

გულთბილი და ხატოვანი, მადლიანი ქართულით მიესალმება დეკადის მონაწილეებს ახალგაზრდობის წარმომადგენელი ნ. ქიმიჩიძე.

ლესია უკრაინკას ძეგლთან მხურვალე სიტყვას ამბობს კრიტიკოსი ბესარიონ ჟღენტი. იგი ლაპარაკობს ზოგადსაქაციობრივ იდეებზე, პატრიოტიზმზე და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებაზე, რომელიც ასე ახასიათებს უკრაინელი პოეტი-ქალის შემოქმედებას.

უკრაინელმა მწერლებმა ბიბლიოთეკა-მუზეუმს გადასცეს ტარას შევჩენკოს „კობზარის“ დიდი საიუბილეო გამოცემა, რომელზეც თავიანთ ავტოგრაფებს ტოვებენ დეკადის მონაწილენი.

ბიბლიოთეკა-მუზეუმში არის სპეციალური განყოფილება: „უკრაინული მხატვრული სიტყვის ოსტატები — ბიბლიოთეკა-მუზეუმს“. აქ შენახულია შაქსიმ რილსკის, პავლო ტიჩინას, მიკოლა ბაეანის, ოლეს გონჩარის, მიხაილო სტელმახის და სხვა თვალსაჩინო უკრაინელი მწერლების წიგნები ავტორთა ფაქსიმილებით. დღეს ამ მდიდარ კოლექციას ახალი ექსპონატი მიემატა.

დ. პავლიჩკომ თავისი ლექსების წიგნი უსახსოვრა ბიბლიოთეკა-მუზეუმს.

ყვაილებით, სიმღერით, ღიმილით გააცილეს სურამელებმა ძვირფასი სტუმრები.

გზა ქუთაისისაკენ მიდის...

აკაკის ჩანგის უღერითა და გალაქტიონის პოეზიის ეშხით შეეგება სავარდო და სამაისო ქუთაისის დეკადის მონაწილეებს.

— ეს მთები, ეს მზე, ეს ველები, ეს პეიზაჟები — ყველაფერი წემოდის ჩემს შემოქმედებაში, — ამბობს მიხაილო სტელმახი. — მე ჩემს ადრინდელ რომანებში დამიხატავს ქართველთა სახეები, მაგრამ მათაკოვსის თქმისა არ იყოს, კვლავ ვალში ვარ ამ ცისა და მიწის წინაშე.

„ვოლგების“ წყება შედის პოეზიისა და მუზების ქალაქში — ქუთაისში. უკრაინელი მწერლები იხსენებენ ქართველი პოეტების ლირიკულ ლექსებს იმერეთზე, ქუთაისზე, ლაპარაკობენ ხელმადლიანი დავით კაკაბაძის ტილოებზე და კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარზე“...

იხარეთ-ოდიშის გზაზე

მეაქვსე დღე

ქუთაისი გავდა პოეზიის მტევნებით დახუნძლულ ვაზს.

კეკელუცმა ქალაქმა თავისი მშვენიერებით შოაჯადოვა უკრაინული ხატოვანი სიტყვის მკედლები.

დეკადის მეხუთე დღის ბოლოს ქ. ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა დიდი ლიტერატურული საღამო.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თამაჯლომარის შესავალი სიტყვა რომ დასრულდა, სტუმრებს ცოცხალი ყვავილების თაიგულები მიართვეს.

ოლეს გონჩარი გულთბილად მიესალმება პოეზიისა და მუზების ქალაქის მშრომლებს. გამოდიან საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების მდივანი დ. კვიციანიძე, პოეტები გ. სამხარაძე და ზ. კუხიანიძე.

სტუმრებს უკრაინულ ენაზე მიესალმა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის მასწავლებელი ლ. კრავჩენკო.

შთაგონებული სიტყვა წარმოთქვა პოეტმა-აკადემიკოსმა მიკოლა ბაეანმა.

ტრიბუნაზე ადიან ივანე დრაჩი, ვიტალი კოროტიჩი, დიმიტრი პავლიჩო. სტუმრებს მხურვალედ მიესალმა და უკრაინულ ენაზე ქართული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხებზე ილაპარაკა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა ირაკლი აბაშიძემ.

ქუთაისელებმა სტუმრები მოხიბლეს ქართული სიმღერების ეშ-

წით. გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდა სსრ კავშირის სახალხო არტისტი პეტრე ამირანაშვილი.

დეკადის მეექვსე დღეს უკრაინელი მწერლები ეცნობოდნენ „ქუთაისის მატერიალური კულტურის ძეგლებს.“

გელათი. უკრაინელ სტუმრებს ქართული კულტურის ამ შესანიშნავ ძეგლზე მოუთხრობენ ქართველი მწერლები. იგავმიუწვდომელმა არქიტექტურამ, საოცარმა ფრესკებმა და უნიკალურმა მოზაიკამ წარუხოცელი შთაბეჭდილება მოახდინა უკრაინული კაზმული სიტყვის ოსტატებზე.

ლენინური პრემიის ლაურეატი ოლეს გონჩარი ამბობს:

— ჩვენ ვმოგზაურობთ არა მარტო სივრცეში, არამედ დროშიც. საუკუნიდან გადავდივართ საუკუნეში. საინტერესო წიაღსებლებს ვახდენთ ქართული კულტურის საგანძურში.

უკრაინის მწერალთა კავშირის მდივანი ვ. კოზაჩენკო აღტაცებულია გელათის აკადემიის ისტორიით.

— ვუყურებ ამ მთებს, — ამბობს დ. კოსარიკი, — და მგონია, რომ აღამიანი ნამდვილად უყვდავია. ვინც ამ ბუნების წიაღში დაიბადა, მართლაც რომ არ შეიძლება პოეტი არ იყოს.

პოეტ-აკადემიკოსს მიკოლა ბაჟანს იტაცებს მოთხრობა ხვამლის მთებზე, სადაც ძველი ლეგენდის მიხედვით პრომეთეოსი იყო მიჯაჭვული.

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ლ. ნოვიჩენკო ამბობს:

— უნდა გამოგიტყდეთ, გაცეხული ვარ ქართული მატერიალური კულტურის ძეგლებით, თქვენი ქართული სიმღერებით, მდიდარი ქართული პოლიფონია მართლაც საოცარი მოვლენაა მსოფლიო მუსიკალურ ფოლკლორში.

საბჭოთა კავშირის გმირი, პროზაიკოსი იური ზბანაკი ესაუბრება ქართველ კოლეგებს, ახსენებს თავისი მოთხრობების პროტოტიპებს — ქართველებს, რომლებსაც იგი ომის დროს შეხვედრია საკონცენტრაციო ბანაკებში, მტრის ზურგში პარტიზანული მოძრაობის დროს.

— მე არ მიკვირს, რომ ისინი ასე შეუდრეკელნი და სულიერად ისე მაღალნი იყვნენ, როგორც ეს მთები.

გელათში ძვირფას სტუმრებს გულთბილი შეხვედრა გაუმართეს წყალტუბოს მშრომელებმა.

გზა კოლხეთის ზღვისპირეთისაკენ მიემართება.

ზუგდიდის გზაზე ყვავილებს თითქოს ფეხი აუდგამთ და შესახვედრად გამოსულანო. ვარდებისა და ახალგაზრდობის ღიმილი იფრქვევა ირგვლივ.

ზუგდიდის რაიონში უკრაინელ სტუმრებს პირველნი შეეგებნენ დაბა ხობის პიონერ-მოსწავლეები და კოლმეურნე მშრომელები.

ზუგდიდი ყვავილების დიდ თაიგულს ჰგავს. ქალაქის მთავარ მოედანზე თავი მოუყრიათ მშრომელებს — მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, მოსწავლე ახალგაზრდობას.

სახელდახელო მიტინგზე შეკრებილთ სიტყვით მიმართავს ირაკლი აბაშიძე.

დიდი მიტინგი იმართება ზუგდიდის სტადიონზე, სადაც ქალაქის მშრომელთა სახელით საპატიო სტუმრებს მხურვალედ მიესალმა გაზეთ „მებრძოლის“ რედაქტორი ი. ქორთუა.

სტუმრები ათვალეირებენ ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს. აოცებთ მისი ექსპონატები.

გულთბილი გამოთხოვება, გულთბილი ვაცილება. გზა სოხუმისაკენ მიემართება.

დაუვიწყარი შეხვედრები. აფსნი.

მეშვიდე დღე

სვანეთის შორეული თოვლიანი მთებისა და აყვავებული ახალი კოლხეთის პეიზაჟებმა მოხიზლეს ჩვენი სტუმრები.

ენგურთან სტუმართმოყვარე ოდიშელებმა დაულოცეს გზა უკრაინელ მწერლებს სოხუმისაკენ.

სოხუმში ძვირფას სტუმრებს გულთბილად მიესალმებიან პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივნები, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, პარტიის სოხუმის ქალაქკომის პირველი მდივანი. სიტყვას ამბობს აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ი. თარბა.

საოლქო გაზეთების „აფსნი ყაფშის“, „საბჭოთა აფხაზეთის“, „სოვეტსკაია აბხაზეთის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულია ტარას შევჩენკოს „ანდერძის“ დიმიტრი გულიასეული თარგმანი, ნაწყვეტი ოლეს გონჩარის „ტრონკადან“, მ. ბაჟანის, მ. რილსკის, პ. ტიჩინას, მ. სტელმახის, ვ. სოსიურას, ა. მალიშკოს, ო. ნოვიცკის, ვ. კოროტიჩის, ი. ნეხოლას, ნ. ნაგნიბედას ლექსები.

ამას წინათ აფხაზურ ენაზე გამოიცა ტარას შევჩენკოს ლექსებისა და პოემების კრებული, რომელთა თარგმანები ეკუთვნით დ. გულიას, ბ. შინკუბას, ი. თარბას, ლ. კვიცინიას, ქ. აგუმაას, ალ. ჯონუას, ტ. ჯონუას და სხვებს.

სტუმრებმა „ამრაში“ მოუსმინეს უკრაინულ, ქართულ, აფხაზურ და რუსულ სიმღერებს. იქვე ჰაშნიკი გაუსინჯეს „ჩხავერს“. „ოჯალეშ“, და „ლიხნის“, შემდეგ დაათვალეირეს სოხუმის ღირს-

შესანიშნაობანი, ყვავილებით შეამკეს აფხაზეთის სახალხო პოეტის დ. გულიას ძეგლი.

სოხუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მოეწყო შეხვედრა დეკადის მონაწილეებთან. შეხვედრა გახსნა ი. თარბამ.

სიტყვას ამბობს უკრაინის მწერალთა კავშირის მდივანი ვ. კოზაჩენკო:

— მეგობრობის ენა გულს ენაა, ამიტომ მას თარგმნა არ სკირდება. სადაც არ უნდა ვყოფილიყავით ჩვენ, ყველგან თან გვდევდა თქვენი სტუმართმოყვარე ხალხის კეთილი ღიმილი. საქართველო — ეს არის დიადი მეგობრობის ქვეყანა, როგორც მზის სხივი ნამის წვეთში, ისეა არეკლილი თქვენს ბარაქიან მიწაზე ხალხთა დიადი მეგობრობის შუქი.

ი. აბაშიძე მხურვალედ მიესალმება უკრაინელ მწერლებს და მადლობას უხდის აფხაზეთის ასსრ ხელმძღვანელ ორგანოებს და მშრომელებს დეკადის მონაწილეთა გულითადი მიღებისათვის.

მიკოლა ბაქანი კითხულობს შოთა რუსთაველის გენიალური პოემის უკვდავ სტრიქონების უკრაინულ ენაზე.

მისასალმებელი სიტყვით გამოდის აფხაზი კრიტიკოსი ხ. ბლაჟა.

— შავი ზღვის ტალღები — ამბობს მ. სტელმახი, — სიყვარულით მიესალმებიან საქართველოსა და უკრაინის ნაპირებს. ჩვენ ძალიან ახლოს ვცხოვრობთ. პოეზიის ფრთებით შეგვიძლია ყოველთვის მოვინახულოთ ერთმანეთი. დღეს მე, მართალია, გტოვებთ, ნივდივარ, მაგრამ თან მიმაქვს თქვენი დიდი სიყვარული.

დეკადის მონაწილეებს გულთბილად მიესალმება აგრეთვე სოხუმის მე-14 საშუალო სკოლის დირექტორი ტ. მალიგინა, მწერალი კ. ლორთქიფანიძე კითხულობს ნაწყვეტს ტ. შევჩენკოს პოემა „ტარასის დამედან“.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან ი. ვირგანი, გ. გუბლია (იგი კითხულობს მ. სტელმახის ლექსს აფხაზურ ენაზე), კ. კალაძე, კ. ჩაჩხალია, დ. პავლიჩკო, ჯ. ჩარკვიანი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ი. გორდიენკო, ვ. ანქვაბი, გ. კერესელიძე, ა. ჯონუა.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა შ. ლაკობამ დამსწრეთ გააცნო აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით პოეტ-აკადემიკოსის მიკოლა ბაქანის აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ. შეხვედრის მონაწილენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ ამ ცნობას.

იუბილარს მხურვალედ ულოცავენ ი. აბაშიძე, მ. ჩიქოვანი, ბ. ქლენტი, ს. ჭილაია... ფეხზე ახდგარი მთელი დარბაზი...

დასასრულ სიტყვას ამბობს მ. ბაქანი.

სოხუმიდან გზა დურიფშისაკენ მიდის. ამ ერთ-ერთ ულამაზეს და უმდიდრეს სოფელში დეკადის მონაწილეები შეხვდნენ კოლმეურნე მშრომელებს, სოფლის ინტელიგენციას, მოსწავლე ახალგაზრდობას. საღამოს სოფლის კულტურის სახლში გაიმართა დიდი ლიტერატურული საღამო.

ვისაც არ უნახავს აფხაზეთი, იგი არც იცნობს მთელ საქართველოს — ასე უმღერიან პოეტები აფხაზეთს. ჭეშმარიტად სწორი ნათქვამია. — შენიშნა ოლეჟსა ნოვიცკიმ, როცა უკრაინული ლიტერატურის დეკადის მონაწილენი აფხაზეთ სოფელ დურიფშიდან კურორტ გუდაუთში მიემგზავრებოდნენ.

ახალი ათონი. ირაკლი აბაშიძე სტუმრებს უჩვენებს ივერიის მთას. უამბობს მათ დიდი რუსი პროლეტარული მწერლის ჰაქსიმ გორკის მოთხრობა „ადამიანის დაბადებაზე“, რომელიც აქ, აფხაზეთში გზის მშენებლობის დროს დაიწერა.

— დეკადის მეშვიდე დღე, — ამბობს ოლეს გონჩარი, — მიკოლა ბაქანის იუბილედ იქცა.

სოხუმიდან ამერიკაში გაფრენის წინ მიხაილო სტელმახმა მიულოცა უკრაინულ: „აბაშოთა პოეზიის პატრიარქს დაბადების სახელოვანი სამოცი წლისთავი.“

სასტუმრო „აფხაზეთის“ ჰოლში, შემდეგ სოფელ მერხეულში, მდინარე მაჰარას ნაპირებზე პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივნებმა იუბილარს მიართვეს ეროვნული ორნამენტებით მოკედილი ქამარ-ხანჯალი სამახსოვრო წარწერით და სხვა სუვენირები. ოლეს გონჩარს გადასცეს ოქროსფრად მოსირმული თეთრი ყაბაღაზი.

აფხაზმა მწერლებმა იუბილარს უმღერეს აფხაზეთი სიმღერები და აჩუქეს მშობლიური პოეზიის ანთოლოგია. სახელდახელოდ მოწყობილ მიკროფონთან ახალგაზრდა უკრაინელი პოეტები დმიტრო პავლიჩკო, ივანე დრაჩი და ვიტალი კოროტიჩი ასრულებენ მათ მიერ საგანგებოდ შეთხზულ სიმღერას, მიძღვნილს იუბილარი-სადმი.

პოეტ-აკადემიკოს მიკოლა ბაქანს მიესალმებიან და ულოცავენ ი. აბაშიძე, ბ. ქლენტი, ს. ჭილაია, რ. მარგიანი, კ. კალაძე, ჯ. ჩარკვიანი, ი. თარბა, ა. ჭონუა, შ. აკობია, მ. გვასალია. იუბილარს ისინი უძღვნიან დაფნისა და თაიგულის ყვავილებს, ზეთისხილის რტოს.

მერხეულიდან მანქანების კოლონა ბრუნდება სოხუმში. ნავსადგურში სტუმრებს ელოდება თეთრი გემი „კომეტა—1“.

მერვე დღე.

„კომეტა“ ბათუმისაკენ „შიფრინავს“.

„კომეტის“ კომფორტაბელურ კაიუტ-კამპანიაში მიმდინარეობს ცხოველი სჯა-ბასი უკრაინელ და ქართულ ლიტერატურათა ურთიერთობის საკითხებზე. კულტურულ განძეულობათა ურთიერთგაცვლის საკითხებზე საუბრობენ აბაძიძე და ოლეს გონჩარი. ს. ჭილაია და ბ. ულენტი ესაუბრებიან ვ. კოზაჩენკოს ქართული და უკრაინული საბჭოთა კრიტიკა მდგომარეობაზე.

ახალგაზრდა ქართველი პოეტები ახალგაზრდა უკრაინელ პოეტებს ესაუბრებიან მ. მაკვარიაანის, ა. კალანდაძის, თ. და ო. ჭილაძეების, გ. გეგეკორის, ტ. ჭანტურიას, ვ. ჯავახაძის და სხვათა შემოქმედებაზე.

რ. მარგიაანი სვანეთის შორეული პეიზაჟებით მოხიბლულ სტუმრებს მოუთხრობს სვანური კომეების არქიტექტურაზე და მშვენიერ სვანურ ლეგენდებზე...

ბათუმის ნავსადგურში ქალაქის მშრომელებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს უკრაინული ლიტერატურის დეკადის მონაწილეებს.

უკრაინელ მწერლებს ნავსადგურში შეხვდნენ პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს, პარტიის ბათუმის რაიკომისა და ქალაქკომის მუშაკები, მწერლები გრ. აბაშიძე, პ. ლორია, ფ. ხალვაში, ნ. მაღაზონია, გ. სალუქვაძე, ა. შერვაშიძე, მ. ვარშანიძე და სხვანი.

ბათუმში უკრაინული დეკადის მონაწილეებმა დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი.

სიყვარულის დიდ გზაზე

მეცხრე დღე

დეკადის მერვე დღის დამაგვირგვინებელი აკორდი იყო უკრაინული ლიტერატურის დიდი საღამო, რომელიც აჭარის ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ სახლში გაიმართა.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელმა მდივანმა ფ. ხალვაშმა.

— დეკადა არის არა მარტო მწერლობის, არამედ ჩვენი ხალხების ძმობა-მეგობრობის ნათელი დადასტურება, — თქვა თავის მისასალმებელ სიტყვაში აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ლ. დავითაძემ.

ოლეს გოსხაოი ლაპარაკობს დეკადის დიდ მნიშვნელობაზე. როგორც უკრაინელი და ქართული მწერლობის უფრო დაახლოებისა და უთითოეთქვენიოს განმტკიცების მიღავრ ფაქტორზე.

დეკადის დიდ კულტურულ მნიშვნელობაზე ლაპარაკობენ აგრეთვე ი. აბაშიძე და ა. კილაია ისინი მუშავალეუ მიესალმებიან მიკოლა ბაეანს, მისი დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით.

ი. აბაშიძე ამბობს, რომ საქართველოს ისეთ გულითად მეუბნათა შორის, როგორც არიან ნ. ტრაიშვილი, ნ. ხაბოლოცკი, ა. დიდუფელი, ნ. შოლოხოვი და სხვანი, ჩვენ სიამაყით ვაძენენებთ მიკოლა ბაეანის სახელს.

აქარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიკოლა ბაეანი დაჯილდოებულია აქარის ასსო უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

სიტყვას ამბობს იუბილარი მიკოლა ბაეანი.

— თავის დროზე აკაკიმ თქვა, მშობლიური ენისა და ხალხის საიყვარული ტარას შევიჩენკოსგან ვისწავლეო. მე სიამაყით შემოიღია განვაცხადო, რომ თქვენგან, თქვენი ხალხისაგან, ქართველი ხალხისაგან ვისწავლე მშობლიური ენისა და მშულის სიყვარული. და თუ ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობის დიდი ტარის ასაშენებლად ერთი აგური მეც მიმიტანია, ეს იმიტომ რომ, შეუდამ მივდიოდი ჩვენი სახელოვანი ადამიანების მიერ წარსულში კავალული გზით.

შემდეგ ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან გ. აბაშიძე, კ. ლორთქიფანიძე, ო. ნოვიცკი, კ. კალაძე, ი. დრაჩი, დ. პავლიჩკო, გ. სალუქვაძე, მ. ვარშანიძე, ვ. კოროტიჩი, ნ. მალაზონია, ი. ვირგანი და სხვები.

სალამო მთავრდება კონცერტით.

მეცხრე დღეს დეკადის მონაწილეები გაეცნენ ბათუმის ლიონ-შესანიშნაობებს. იყვნენ საზღვრისპირა სოფელ სარფში, სადაც შეხვლნენ სარფის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მშობლებს.

ამ ულამაზესმა ქართულმა სოფელმა მოიბღლა უკრაინელი სტუმრები.

უკრაინელმა მწერლებმა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გადასცეს სამახსოვრო საჩუქრები — ტარას შევიჩენკოს საიუბილეო პრინჯაოს მედალი და წიგნი, რომელშიც დიდი კობზარის ცნობილი ლექსი „ანდერია“ დაბეჭდილი მსოფლიოს ხალხთა 44 ენაზე.

საოფიდან დაბრუნების შემდეგ უკრაინელი მწერლები იყვნენ

ბათუმის ბოტანიკურ ბაღში, ქობულეთის № 1 საშუალო სკოლის მოსწავლეებთან, რომლებსაც საჩუქრად დაუტოვეს ტარას შევჩენკოს თხზულებათა კრებული.

სტუმრად მახარაძეში

მეათე დღე

მახინჯაურიდან გურიის ულამაზეს სოფელ შრომამდე გზა პოეზიაში მოგზაურობას ჰგავდა. სოფლის თავში ძვირფას უკრაინელ სტუმრებს ქართული პურ-მარილით შეხვდნენ სოფელ შრომის კოლმეურნეობის პირველი ბრიგადის წევრები... ისმის ქართული სიმღერა, უკრაინული ლექსი, ზეცა გაჰყვითა ცისფერმა, ლურჯმა, წითელმა შეშხუნებმა... მასპინძლების თხოვნით ი. აბაშიძემ ცაში აუშვა რაკეტა სტუმრების პატივსაცემად.

სტუმრებს ესალმებიან თეთრწვეროსანი მოხუცები გერასიმე ბოლქვაძე, მათე კვაჭანტირაძე და სხვები. გულბილი სიტყვით მიწათთავს სტუმრებს სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე მ. იობაშვილი... მშრომელებს მიესალმნენ ირ. აბაშიძე, გრ. აბაშიძე, ს. კილაია, კ. ლორთქიფანიძე, მ. ბაჟანი, კ. კალაძე, ჯ. ჩარკვიანი.

ადგილობრივმა რადიოკვანძმა სოფელს მოჰტინა სტუმრების ჩამოსვლის ამბავი. მთელმა შრომამ მოიყარა თავი სოფლის ცენტრისაკენ მიმავალ გზაზე... ამ დღეს გურიის ყვავილები ფიანდაზდ გაუშალეს გზაზე ძვირფას სტუმრებს...

ეს ბუნებრივია, მახარაძის რაიონის სოფელი შრომა და კოლმეურნეობა „საქართველო“ უკრაინაში, გენიჩესკის რაიონში უამრავ მოთხედი საუკუნე ერთმანეთს ეჯიბრებიან და მეგობრობენ.

სოფლის ცენტრში ცეკვავს ახალგაზრდობა. სტუმრებს ირჩევენ, საბატიო პიონერებად და წითელ ყელსახვევებს უკეთებენ. უკრაინელმა მწერლებმა შეამკეს სერგო ორჯონიკიძის ძეგლი, რომელიც სოფლის ცენტრში დგას.

პოეტმა ირ. აბაშიძემ წარუდგინა უკრაინელი მწერლები სოფლის მშრომელებს, შემდეგ უკრაინელ სტუმრებს გააცნო კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. ორაგველიძე, სახელგანთქმული მეჩაიუ ტ. ჩხაიძე და სხვები.

სტუმრებმა სოფლის ცენტრში დაათვალიერეს უკრაინელ და ქართველ კოლმეურნეთა მეგობრობის ამსახველი სტენდები.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მ. ორაგველიძემ მიკოლა ბაჟანს დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით კოლმეურნეთა სახელით სამი მოვერცხლილი თასი უძღვნა.

სტუმრებს მშრომელებმა სამასსოცრო სუვენირები აჩუქეს.

დეკადის მონაწილეებმა შრომის კოლმეურნეებს უსახსოვრეს ტარას შევჩენკოს ბრინჯაოს საიუბილეო მედალი და „კობზარი“.

მშრომელებმა გ. ლეონიძე და მ. ბაქანი საპატიო კოლქეურნეებად აირჩეს.

გვიან ღამით სტუმრები მახარაძიდან თბილისს დაბრუნდნენ, სადაც აპოთეოზს მიაღწია დეკადამ.

მას აქეთ ბეგრმა წყალმა ჩაიარა დნებრსა და მტკვარში, მაგრამ ეს ღღეები სამარადეამოდ შევა ქართულ-უკრაინულ ძმობის გაუხუნარ მატინეში...

1964. 5-14 ოქტომბერი.

ხმა დაღესტნის მთებიდან...

ერთხელ რასულ გამზათოვის ოჯახში...

აღამიანის ბუნება ასეთია: უნდა სულ სიკეთის მაცნე იყო, მაგრამ ათასში ერთხელ ავი ავბაეიც განიოვრევა მოვლენათა ჭაბუკში... ასეთია ცხოვრება.

ეს იყო იმ დღეებში, როცა შეწყდა საქართველოს სახალხო პოეტის აკადემიკოს იოსებ გრიშაშვილის მგზნებარე გულისცემა...

თაღბი ჩაიცვა ქართულმა ლექსმა...

ასე მგონია მოიწყინეს მთაწმინდის ვარდებმაც, ძველმა თბილისმა...

„კომუნისტის“ რედაქციაში განუწყვეტლივ მოდიოდა დეპეშები და წერილების ნაკადი ჩვენი დიდი პაპშობლას ყველა კუთხიდან.

იმ დღეებში მე დამეჯალა ხმა მიმეწვდინა დაღესტანში ქართული ლექსის მეგობრებისათვის და გადამეცა ეს სამწუხარო ამბავი.

მიწყვი ასე სტოდნიათ ჩვენს წინაპრებს. ასეთ უამს ყველაზე აზლობლებს და ნათესავებს დააყენებდნენ ფეხზე ნუგეშის საცემად.

დაღესტანი ჩემთვის უწინარეს ყოვლისა რასულ გამზათოვი და მისი ფილოსოფიური ლირიკაა. ამიტომ პირველად რასულ გამზათოვის ბინის ნომერი ავკრიფე.

მეგონა რასულის ხმას გავიგონებდი, მაგრამ უცებ ქალის ხმა გაისმა ყურმილში.

— რასულ გამზათოვის ბინაა?

— დიახ, გამზათოვის ბინაა, — მიპასუხა ქალის ხმამ მახაჩყალიდან.

— ბატონი რასული გვინდოდა...

— რასული მწერალთა კავშირში იქნება. იქ დარეკეთ...

ერთხანს ვკოკმანობდი: ვაითუ იქნებ იქაც არ იყოს რასული? მერე ვიფიქრე, ალბათ სჯობს მის მეუღლეს ახლავე გადავცე ეს ამბავი-მეთქი.

მე თბილისში დამთავრებული არ მქონდა შავი ამბავის მოყოლა, რომ იმავე წამს მავთულის მეორე ბოლოს ქალას წამ შეიცხადა მგოსნის სიკვდილი.

ერუანტელმა დამიარა ტანში: პირველად მესმოდა ჩემს სიცოცხლეში თუ როგორ წუხდა დაღესტნელი ქალი ქართველი კაცის გარდაცვალებას. ავარელი ქალი თითქოს დასტიროდა უახლოესი ნათესავის დაღუპვას.

ვისაც ოდნავ მაინც თვალი გადაუვლია დაღესტან-იაქართველოს ურთიერთობისათვის, ის მიხვდება, თუ რას ნიშნავს ეს წუხილი ქართველი კაცისათვის.

მართლაც, რამდენი რამ შეიცვალა კავკასიაში?!

ბოლოს რასულ გამზათოვს დაველაპარაკე.

მან ახლოს მიიტანა გულთან ეს ამბავი და კავკასიურად, კარბი გრძნობებით გამოხატა თავისი გულისწუხილი: დეკემას ვაზოვგზავნი, თვითონაც ჩამოვალ თბილისს.

ზოცა დაღესტანზე ვფიქრობ, უწინარეს ყოვლისა დავით გურამიშვილი მახსენდება. მაშინაც გამიელვა აზრმა: ნეტა, ერთი წამოაჯენა დავითიანის ავტორი და ეს დიალოგი მოასმენინა-მეთქი.

მერე იაკობ გოგებაშვილის სახემ იელვა. გამახსენდა მისი უკვდავი შედეგები „იავნანამ რა ჰქმნა?!“.

მართლაც და როგორ დავუახლოვდით ხალხები ერთმანეთს, როგორ დავემობილდით და ავმალდით? ლხინიც საერთო გვაქვს და კირიც.

ადრე, ბნელ საუკუნეებში ერთმანეთს ვწვავდით, ვატყუებდით და ვყიდდით. იმ დღეს კი დაღესტნის მთებიდან ნუგეშისცემა ისმოდა.

მართლაც და „ხალხთა ძმობამ რა ჰქმნა?!“.

ქართველი პოეტის ქალიშვილის აკვანზე იავნანას მღერის ლეკი. ამაზე დიდი საოცრება რა უნდა გვაჩვენოს დრომ?

მარიჯანის მუხა სამურზაყანოში

უმჯობესია თავიანი სვე მუხის ტყეს წმინდას.

გოათე

ხეებს ადამიანებივით თავიანთი ბიოგრაფია აქეთ — თავისი სიცოცხლის დასაწყისი და დასასრული. რომ შემეძლოს, ყველა ნა-

მეხარ მუხაზე დაწერდი ნეკროლოგს, როგორც ცოცხალი არსების დაღუპვაზე. მუხა ხომ ტყეთა მეფეა, ბუნების გვირგვინია, ერის სიმბოლოა...

ამას წინათ მეხმა ბორძალი ტყორცნა ერთ სამურზაყანულ ბერმუხას და ისიც სანთელივით დაიწვა. გული დამწყდა. მე ძალიან მიყვარდა ის მუხა.

ვისაც უმოგზაურია ძველი სამურზაყანოს სოფელ შეშელეთში, ნახავდა ბერმუხას, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები მარჩანის მუხას ეძახდნენ.

ალბათ, არც ერთ ენგურისპირელ წარმართს ისე არ შეუსისხლხორცებია საღვთო ხეებისადმი სიყვარული. ხეების კულტის ეპოქაში, როგორც მარჩანის მუხის მიმართ იყო კრძალვითა და რიდით აღესილი მთელი სოფელი.

შეშელეთის ბერმუხას ცნობილმა ქართველმა მწერალმა ქალმა მარჩანმა უძღვნა მშვენიერი ლირიკული ლექსი.

აი როგორ იხსენებს ამ ლექსის შექმნის ამბავს ამ სტრიქონების ავტორისადმი გამოგზავნილ ბარათში მსცოვანი პოეტი ქალი მარჩანი.

„ზუსტად ოცმა წელმა გაირბინა იმის შემდეგ, რაც მე დაწერე „შეშელეთის მუხა“.

ზაფხული იყო. მწერალთა კავშირმა დაგზავნა ბრიგადები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ჩვენს ბრიგადაში ოთხი მწერალი ვიყავით: ალიო მირცხულავა, დემნა შენგელაია, ანდრო თევზაძე და მე.

პირდაპირ გალში გავემგზავრეთ. სასტუმროში მოგვათავსეს. აქედან მანქანებით მივიღოდით სხვადასხვა სოფლებში. ზოგის სახელი დამავიწყდა, და ვერც ჩემმა ამხანაგებმა ვერ გაიხსენეს.

მახსოვს. აჩიგვარა, ოტობაია, რუხი და განსაკუთრებით შეშელეთი.

ჩვენ იქ ვიყავით 25 ივნისს, რაც დაემთხვა ჩემი დაბადების დღეს. დემნა იჭდა ჩემს გვერდით. შემატყო მოწყენილობა და შემეკითხა:

— რატომ ხარ ცუდ გუნებაზე? მე ჩავჩურჩულე:

— დღეს ჩემი დაბადების დღეა, სამოცი წელი შემისრულდა. დემნამ ჩაიცინა და დასტოვა მაგიდა. მე გამიკვირდა. ცოტახნის შემდეგ ლამაზი თაიგულით დაბრუნდა და განაცხადა:

დღეს თურმე მარჩანის დაბადების დღე ყოფილა და აბა, განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთო.

მე უფრო შევწუხდი. დაიწყო სიტყვები და სადღეგრძელოები:

და ამ განცდებმა ეს ლექსი შემძინა. ჩემი დაბადების დღე უნა-
სი' დაბადებამ დადაიხარდა“.

1970 წელს მარიჯანის სალევნლო მუხა ცხელი ტექსტით და-
წვა.

საგრამ, ვინა თქვა მუხის სიკვდილი... ახას წინათ გულს სიხა-
რული მოფიხსა, როცა მუხების ასალი ნაყოფი ვისივე ათოჯანის
ბერძენის ალაგას.

შეშლეთლებს ნორჩი მუხებისათვის მარიჯანის ნუსათა კო-
რომი შეურქმევიათ. აღრე სოფელში მარიჯანის მარტო ერთი მუხა
ყო. ახლა მარიჯანის მთელი მუხნარი შრიალებს. და სოფლის სოხ-
ჩნი მონდომებით უვლიან საყვარელი პოეტი ქაჯის ბეიჯანს.

საღამო ბით, როცა სამურსაქანის ც. ვარკელავეზით მოიქე-
დება და ნახი ზღვაური ამრიალებს სორჩ მუხათა ფოთლებს, თიან-
ქოს ხმა იღუქალი კათხელობს ცინა და მიწის თანხმებით. მარიჯა-
ნის ლირიკულ სტრიქონებს შეყვლება ბერძენისე. იონიკული ას-
ლა მხოლოდ მგოსნის სტრიქონებში ამრიალება თავის მარადმწვანე
ტოტებს. ხმა იღუქალი მარიჯანის ბაგეებით მეტყველებს.

**შეშლეთში მუხა შეგვხვდა, აზიდული ცამდე —
ეხ, ვინ მოსთელია ია უნახავს, მიახრები რამდენს!
მუხა ენახე გოლიათი, დაბურული, მისაჯრი.
არ ეტყობა ეამთა სრბოლა, წუხილი და ქაერი.
შრიალებდა დიდი მუხა, აზიდული ცამდე;
ვუკაქრდი და ვნატრობდი: ნეტავ მუხას ვგაუღა!**

ამ სტრიქონების დაწერას (ამოღებელია ლექსიდან „შეშლეთ-
თის მუხა“) და იმ მშვენიერ შეშლეთურ საღამოს პოეტი ანდრო
თევაძე ასე იგონებს:

„შეშლეთში მინდორზე იღვა შესანიშნავი. მხრებგაშლილი ას-
წლოვანი მუხა. რომლის სიმბოლიკა ლექსებში დიდი შთაგონებით
აეღვარდა. მთვარიან ღამეში დიდხანს ვიდექით იმ მუხის ქვეშ
და ემხიარულობდით... ამ შემთხვევამ შთაგონა მარიჯანს. დაეწერა
მისი შესანიშნავი ლექსი „შეშლეთის მუხა“. შემდეგ პოეტი დას-
ძენს, „ქალბატონო მარიჯან, შეშლეთის მუხაზე მოგონება დაძეწე-
როს თქვენი ასი წლის იუბილეზეც“.

მუხა მზერაძელობის და უკვდავების სიმბოლოა.

მარად შრიალებდეს მარიჯანის მუხათა კორომი ქართულ სო-
ფელ შეშლეთში...

ვერ მოერევა წელთა მემლი. ვერა, მუხასა...

მუხა პოეზიაა და მე მზად ვარ ამ წმინდა ქართულ ხეებს წარმარ-
თივით ვცე თაყვანი...

იმრიალეთ. ივუჯუნეთ. უქუბო!

ბიორგი გულია

არაბეთის მიწაზე, ქაიროს მახლობლად, გიზეში, პირამიდების ჩრდილში ერთმა არაბმა გოგონამ მკითხა: საბჭოთა მწერალ გიორგი გულიას რომან „ფარაონ ეხნატონის“ გარდა კიდევ რა ნაწარმოებები აქვსო დაწერილი. გამიხარდა, რომ გიორგი გულიას რომანებს იცნობენ არაბეთში.

სიამოვნებით ჩამოვთვალე მწერლის ორ დიდ ტრილოგიაში შემავალი ნაწარმოებები: „გაზაფხული საკენში“, „კეთილი ქალაქა“ და „კამა“, რომლებმაც შეადგინეს მწერლის პირველი ტრილოგია. „საკენელი მეგობრები“ და „ფარაონი ეხნატონი“, „ათენელი კაცი“ და „სულა“, რომლებიც ქმნიან მწერლის მეორე ტრილოგიას.

ჩამოვთვალე და თვითონაც გაკვირვებული დავრჩი გიორგი გულიას შემოქმედებითი ნაყოფიერებით.

ერთ მწერალს მარტო ეს ორი ტრილოგიაც ეყოფა. მაგრამ გიორგი გულიას ნიჭი და კალამი მეტად უხვია: მას შექმნილი აქვს აგრეთვე ისტორიული რომანი „მორევი“, რომანი მეცნიერთა ცხოვრებიდან „სანამ დედამიწა ბრუნავს“..., აგრეთვე მოთხრობები „შავი მტრები“, „თეთრი ღამე“, „წაბლის სახლი“ და მრავალი სხვა.

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ დაამთავრა მწერალმა რომანი მიხეილ ლერმონტოვზე. ამჟამად უკვე დასასრულს უახლოვდება რომანი „თქმულება ომარ ხაიამზე“...

მარტო მისი ნაწარმოებების ბიბლიოგრაფია შეადგენს ერთი სქელტანიანი რომანისოდენა წიგნს.

მწერალი გიორგი გულია სახელმწიფო პრემიის ლაურეატია და საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, იგი აფხაზური მწერლობის, მთელი ახალი აფხაზური კულტურის ფუძემდებლის დიმიტრი გულიას ვაჟიშვილია.

არაბმა გოგონამ მადლობა გადამიხადა. ის აღმოჩნდა ერთი იმ ეგვიპტელი გოგონათაგანი, რომლებიც რუსულ ენას სწავლობენ და მკვიდრო კავშირი აქვთ საბჭოთა კულტურულ ცენტრთან ქაიროში. თავისუფალ დროს კი, რუსული ენის უკეთ დაუფლების მიზნით, საბჭოთა დელეგაციებს თარჯიმნობას უწევენ.

— გიორგი გულია სიტყვის ფარაონი ყოფილა. — თქვა არაბმა გოგონამ და გაიცინა.

გულიას შედარება ფარაონთან პირველად პარადოქსად მეჩვენა. მაგრამ როცა რამდენიმე თვის შემდეგ მოსკოვში ვნახე ჰედური ხელოვნების რუსი ოსტატების მიერ შესრულებული გულიას პორტრეტი — შარკი, რომელზეც გიორგი გულია თავისი რომანის გმირის ფარაონ ეხნატონის სამკაულებით და ატრიბუტებითაა გამოსახული,

გამიკვირდა: აი თურმე როგორ დაემთხვა ერთმანეთს რუსი მხატვრებისა და არაბი გოგონას ჩანაფიქრი-მეთქი.

იქ, ეგვიპტეში, ანუ როგორც ძველი მეგვიპტელნი ეძახდნენ თავიანთ ქვეყანას — კემის მიწაზე, ლამაზ არაბ გოგონას გუთხარი, რომ გოორგი მხვენელ-მთესველს ნიშნავს (ის მხატვრული სიტყვის ყანაში ხნავს და თესავს), გულია — ვულს, ხოლო თვითონ მწერალი „აფსნიდან“, ანუ „სულის ქვეყნიდან“ არის მეთქი.

— სად არის ეს სულის ქვეყანა? — იკითხა არაბმა გოგონამ.

— საქართველოში, ძველი კოლხეთის მიწაზე... იმ ქვეყნიდან იყვნენ მამლუქები.

გოგონამ გაიღიმა და თქვა: ვიცოცხლე ეს ქვეყანა. როცა ეგვიპტიდან მოსკოვში დავბრუნდი, გოორგი გულიას ვეწვიე.

გოორგი გულიას ოჯახში კანარის ჩიტი მღეროდა. მღეროდა ტკბილი ხმით, გულში ჩამწვდომად, ლამაზად. გალობდა ჩიტი შორეული ზღვებისა და კუნძულების მელოდიას და ისე ბედნიერად გრძნობდა თავს გალიაში, თითქოს არც იცოდა, თუ რა არის თავისუფალი ნაევარი უსაზღვრო სივრცეში...

სადღაც კანარის კუნძულებთან მიაჩრდევდა სივრცეს გემი „დიმიტრი გულია“...

— მ კანარის ჩიტკა რატომღაც ის არაბი გოგონა გამახსენა.

მასპინძელი უქეიფოდ იყო. სოხუმში გაცივებულყო. ბოდიშობდა, დიასახლისი ინსტიტუტშია წასული, საცაა დაბრუნდებო. მაგრამ მას არ უცდიდა, აფხაზურ სტუმართმოყვარეობას იჩენდა, მაგიდაზე საიდანღაც აფხაზური „ფსოუს“ გვერდით ინგლისური ვისკი გაჩნდა, მას აჯიკა მოჰყვა, ქართული ჩაი, ფრანგული, ბურგუნდული ღვინო...

სანამ გოორგი სამზარეულოში საქმიანობდა, მე ვათვალისწინებდი მწერლის ბინას, რომელიც სურათების გალერეას ან ხელოვნების მუზეუმს უფრო ჰგავდა, ვიდრე ჩვეულებრივ მოსკოვურ ბინას.

კედლებიდან იმზირებოდნენ სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა ხალხების მწერლების სურათები...

...როდესაც გოორგი გულიას ოჯახის კარები შევაღე, ინგლისელი მწერალი ჯოზეფ კონრადი გამახსენდა.

მსოფლიო ლიტერატურის ისტორია იცნობს არაერთ მწერალს, რომელიც მაღალმხატვრულ პროზაულ თუ პოეტურ ნაწარმოებებს არა მშობლიურ, არამედ სხვა ენაზე ქმნიდა. ასე, მაგალითად, გოლზუორთის მეგობარი, გამოჩენილი ინგლისელი მწერალი ჯოზეფ კონრადი პოლონელი იყო წარმოშობით. პოლონელი ჰაბსბურგული ტეოდორ კონრად კოჟენიოვსკი, მომავალი ინგლისელი მწერალი, ბავშვობიდან ყველა სხვა ენაზე, მათ შორის მშობლიურ პოლონურ-

ზე უკეთა ფრანგულ ენას ფლობდა, მაგრამ ინგლისურად წერდა მის ბრწყინვალე ნაწარმოებებს.

კონრადი ინგლისურ მწერლობას პოლონური თარგმანებით გაცნობო. ხოლო შემდეგ შექსპირის ენაზე შექმნა ისეთი ნაწარმოებები, რომ ინგლისურმა და მსოფლიო კრიტიკამ ერთხმად აღიარა დიქსონის. კოლინზის, ბრაუნინგის და სხვა გამოჩენილ და ცნობილ მწერალთა ტრადიციების ნოვატორ გამგრძელებლად დიდ ინგლისურ ლიტერატურაში.

თვალწინ წარმომიდგა ქაბუცი ჯოზეფ კონრადი, რომელმაც ზღვაში. გემბანზე აჩვენა თავისი პირველი რომანი („ოლმეიერის კაპრიზი“ (1893 წ.) „ფორსაიტების საგის“ შუბლდადაუნულ ავტორს — გოლზუორთა. ამ პირველ ქმნილებას მოჰყვა მისი რომანები „ხანავი გემ“ „ნარკიადან“, „ლორდ ჯიმი“, „საბნელის გული“. „ნესტრომი“. „საილუმო აგენტი“, „დასავლეთის თვალებით“. „კამარკეზა“. „მოთხრობები „საკაბუცი“, „ზღვისა და ხმელეთის მოთხრობები“ და სხვა.

ახლათ. გასაგებია. რატომ გამოიღვა თვალწინ გიორგი გულიას რომანი გამოჩენილი ინგლისელი მწერლის კონრადის სახემ.

გიორგი გულია ჯოზეფ კონრადივით იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს ლიტერატურაში. ის წერს არა აფსახურად. არა მშობლიურ ენაზე, არამედ მისთვის მეორე დედაენაზე — რუსულ ენაზე.

გიორგი გულიად. აფსახურად. კავკასიური სტუმართმოყვარეობით ტრიალებს სუფრასთან.

ჩემს წინ ახლა გამოჩენილი ფრანგი მწერლის ეულიენ გრინის სახემ იღვჯა. ეულიენ გრინი დედით ინგლისელია. მამით ამერიკელი. თვითონ გამოჩენილი ფრანგი მწერალია. ავტორი ისეთი რომანებოსა და მოთხრობებისა. როგორც: „მონ-სინიორ“, „ადრიენა მუზიურა“. „ვიზიონერი“. აგრეთვე დრამატული ქმნილებებიც: „სანსრეტი“. „მეტერი“. „ჩრდილი“ და ა. შ.

საფრანგეთში სპეციალური პრემიაჲ კი არსებობს არაფრანგულთის. რომლებიც ფრანგულ ენაზე ქმნიან მხატვრულ ნაწარმოებებს.

...გიორგი გულიამ კიდევ დაუმატა სუფრას აფსახური კერძები. კათვალერებ მწერლის ბინას და ვფიქრობ: კი მაგრამ. რაღა კონრადი და გრინი მახსენდება. ავიღოთ თუნდაც ინგლისელი მწერალი ქალი — თამარ დრაგაძე. ის ხომ შექსპირის ენაზე წერს. თუმცა თვითონ სისხლით და ხორციით რუსთაველის ტომისაა... ან გიორგი შარვაშიძე, ის ხომ აფსახი იყო, მაგრამ ქართულად. რუსულად და ფრანგულად წერდა ლექსებს, პიესებს, ესაუბრებ?

...გიორგი გულია ჩაის ასხაჲს ფინჯანში, აფსახურ და აღმოსავ-

ლურ ტკბილელს ალაგებს, კვლავ ბოდის იხდის, რომ. მეუღლე შინ არ არის, დღეს ლექციები აქვს ინსტიტუტში და თვითონ ეწევა ღიასახლისის და მამასახლისის უღელს ერთდროულად...

...მწერლის ბინა, ისევე როგორც მო'ი სტილი და ხელწერა. არასოდეს არ ჰგავს სხვა მწერლის ბინას. ბარე ორასიოდე საბჭოთა და უცხოელი მწერლის ბინაში ვყოფილვარ და საკუთარი გამოცდილებით ვიცი ეს მარტივი ქემშარტება. მართლაც. რომ სტილი — ეს არის ადამიანი.

გიორგი გულია მიამბობს მწერალ ჰერბერტ ქემოკლიძის შესახებ.

— ქართველმა მკითხველმა შეიძლება ვერც გაიხსენოს ასეთი მწერალი — ჰერბერტ ქემოკლიძე, — ამბობს გიორგი გულია. — მაგრამ ასეთი მწერალი არსებობს. ის ქართველია, მაგრამ რუსულად წერს. ის იმერკავკასიაში, ტუთაშეში დაიბადა. სწავლობდა ლენინგრადის უნივერსიტეტში. ახლა „მოლოდაია გვარდია“ სცემს ჰ. ქემოკლიძის მოთხრობების წიგნს „გაზაფხულის მოლოდინში“. მე ვწერ წინასიტყვაობას ამ წიგნისათვის...

რატომღაც გიორგი გულიას „გაზაფხული საკენში“ გამახსენდა. გასაგებია, რატომ შეარჩია გამომცემლობამ არჩევანი გიორგი გულიაზე. ბევრს არ შეუძლია გიორგი გულიაზე უკეთ იცოდეს ბუნება, შემოქმედებითი ლაბორატორია და სამყარო იმ ქართველისა. ვინც რუსულ ენაზე წერს პროზაულ ნაწარმოებებს.

ჰერბერტ ქემოკლიძის ხსენებაზე უცებ პოეტ ბულატ ოყუჩაფას სახემ გამოანათა... ის ხომ ქართველია, საქართველოს კომკავშირის ერთ-ერთი მშენებლისა და გმირის შვილი. რომელიც პუშკინის ენაზე ქჰნის თანამედროვე რუსული პოეზიისა და პროზის შესანიშნავ ნიჭუმებს. მართალია მისი გზა ყოველთვის იქით არ მიდის. საიზაე დრო ეძახის. შეცდომები მოაღის. მაგრამ იმედია. რევოლუციონერი მამის გზას არ დაჟარგავს შვილი როგორც იტყვიან, გზა — ნაგზევზე. წყალი — ნარწყულზე...

გიორგი გულია შენიშნავს:

— მამაჩემზე დიდი ხატი მე არ მეგულება. მის საფლავს კი ქართველი მოქანდაკის გ. რუხაძის საკრეთელით გაცოცხლებული ხატება შევინის. ეს სიმბოლურია. მამას ძეგლი დაუდგა აფხაზმა ხალხმა. ქართველმა ხალხმა, საბჭოთა ხალხმა...

მე დავწერე წიგნი „მოთხრობა მამაზე“. მე. შვილის გრძნობება სიტყვით გადავიტანე ქალაღზე. გ. რუხაძემ კი საკრეთელით მარმარილოში გააცხადა ხალხის გულის ნადები...

მწერლის სამუშაო ოთახი მთუხუმს ჰგავს. სადაც ერთად მოწყურია თავი სხვადასხვა დროისა და სტილის ნამუშევრებს — ქანდა-

კებას, ქედურ ხელოვნებას, ფერწერას, მუსიკას, პოეზიას, პროზას
ოთახში საღებავები და ესკიზები იქცევა ყურადღებას.

— ილია გლაზუნოვი იყო. ჩემს პორტრეტს ხატავს, — თქვა გი-
ორგიმ. — ნახევარ საათს მაწვალა და მერე სადღაც გაქრა. არ მიყ-
ვარს, როცა ჩემს პორტრეტს ხატავენ. ადრე, ათი წლის წინათ
დახატა კიდევ ერთი სურათი. ისიც წაიღო, ჩარჩოში ჩავსვამ და
მოგიტანო. არც სურათი ჩანს და არც თვითონ, — ღიმილით ამ-
ბობს გიორგი.

იქვე გლაზუნოვის სურათების რეპროდუქციების დიდი კრე-
ბული იდო გლაზუნოვის წარწერით „მეგობარ მწერალ გიორგი გუ-
ლიას მიაჩნდა ბრწყინვალე ნიჭის თაყვანისმცემლის ილია გლაზუნო-
ვისაგან. 1973 წ.“

— გლაზუნოვი, ჩემის აზრით, ერთ-ერთი უნიკიერესი რუსი
მხატვარია, — შევნიშნე მე.

— უნიკიერესი და უორიგინალურესი, — ამბობს გიორგი გუ-
ლია და შემდეგ განაგრძობს: — აი, ოჩიაურის ორი ნამუშევარი,
ეს ქედური ხელოვნების შედეგებია. ჩემი მეგობარი ოჩიაურა
ერთ-ერთი უბრწყინვალესი ოსტატია ქედური ხელოვნებისა, —
თქვა გიორგი გულიამ.

— აი კიდევ ერთი ჩემი ქართველი მეგობრის — ირაკლი თოა-
ძის ნახატი, — ამბობს გიორგი გულია.

ქართველ მხატვარს დაუხატავს გიორგი გულიას მშვენიერი პორ-
ტრეტი.

ჩემს ქართველ მეგობართა შორის არის მხატვარი სამსონ ნა-
დარეიშვილი, — ამბობს გიორგი.

მისი ნამუშევრებიც ჰკიდია გიორგი გულიას ბინაში.

— ეს კი ჩემი ავტოპორტრეტი, — თქვა გიორგი და ერთ-ერთ
ნახატზე მიმითითა, — რვა წლის ვიყავი, როცა ეს დახატე.

იმ დღეს პირველად გავიგე, რომ გიორგი გულია არა მარტო
პროზაიკოსი, არამედ მხატვარიც ყოფილა.

— ვხატავდი სიკაბუკეში, — თითქოს დანაშაულში გამოტყდაო,
ისე თქვა გიორგიმ. ჰკაბუკი გულიას სხვა ნახატებიც ეკიდა კედელზე.
მათ შორის დიდი რუსი მსახიობის კაჩალოვის პორტრეტიც
იყო.

— ხატვას მასწავლიდა ოლგა ლიშევა. ახლა ნოვოდევჩის მო-
ნასტრის ეზოში მარხია. — ნაღვლიანად თქვა გიორგიმ. მერე ისევ
ავტოპორტრეტს მიუბრუნდა:

— ნახეთ როგორი ქალამნები მეცვა ფეხზე, წინდები კი დედა-
ჩემის მოქსოვილია.

გიორგი გულიას მსახიობის ნიჭიც დაჰყოლია. როცა ის კითხუ-

ლობს საყუთ.რ იუმორესკებს, თავს ერთი აქტიორის თეატრში გრძნობთ.

გიორგი ბრწყინვალედ განასახიერებს ნაზიმ ჰიქმეთს, კონსტანტინე სიმონოვს, კოსმონავტ შატალოვს, ბევრ ევროპელ მწერალს, რომოიბსაჲ ის შეხვედრია და რომელთა შესახებ მას ზეპირი იუმორისტული მოთხრობები შეუქმნია.

აი ნამდვილი თეატრიც.

კედელზე ჰკიდრა აფიშა, რომელიც იუწყება, რომ მოსკოვში დაიდგა სპეჩაკალი „მთიელი რაინდისა და მისი ძმების თავგადასასვალი“. ეს სპექტაკლი აფხაზური ხალხური ფოლკლორის მოტივებზეა შექმნილი და დაიდგა მოსკოვში ერთი აქტიორის თეატრში. ავტორები არიან გიორგი გულია და სემიონ ლიპკინი.

ს. ლიპკინი აფხაზური მწერლობის დიდი მეგობარია. მან არაერთი აფხაზი მწერლის ნაწარმოები აამეტყველა პუშკინის ენაზე.

მწერლის ბინაში ხელოვნების მუზეუმის მეუფება წამით დაარღვია ისტორიის მუზეუმ — კლიომ.

საუბარი მწერალმა ისტორიის მამაზე ჰეროდოტეზე გადაიტანა და ბევრი საინტერესო დეტალი გაიხსენა მისი თხზულებებიდან.

ის ბევრს წერს კოლხეთზე და ბევრი რამ დღესაც სარწმუნოა. ჰეროდოტეს მეცნიერულად და კრიტიკულად უნდა წაკითხვა და აღქმა.

— ჰეროდოტეს ისტორიის მამას უწოდებენ. ივანე ჭავჭავაძის საქართველოს ისტორიის მამაა, დიმიტრი გულია — აფხაზეთის ისტორიისა. — შენიშნავს გიორგი.

— ქართველ მეცნიერებთან, მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან მეგობრობის, ძმობის და თანამშრომლობის პირად მაგალითს მძლევედა მამაჩემი — დიმიტრი გულია, — მითხრა გიორგინ.

— ივანე ჭავჭავაძის მემგობრობდა მამაჩემი. მახსოვს საუბრები ამ დიდ ქართველ მეცნიერთან ბორჯომსა და თბილისში, მის ბინაზე მამაჩემთან ერთად.

მამაჩემი დიმიტრი გულია დიდი თავყვანისმცემელი იყო ივანე ჭავჭავაძისა. დიმიტრი აღშფოთებულ იყო იმის გამო, რომ მას, საქართველოს ისტორიის მამამთავარს. ზოგჯერ ავიწროვებდა ზოგიერთი დილეტანტი.

ერთხელ. როცა ივანე ჭავჭავაძის ვიყავით სტუმრად, ივანემ უთხრა მამაჩემს:

— დიმიტრი, მეტად გამიხარდა თქვენი მოსვლა. ყველამ ღამივიწყა. ჩემი მოწათფები თუ მომაკითხავენ ზოგჯერ.

გიორგი გულიამ ბევრი ეპიზოდური გაიხსენა ი. ჭავჭავაძის ცხოვრებიდან და დაუმატა:

— მე არასოდეს დამავიწყდება ივანე ჯავახიშვილის — ამ უდიდესი, გიგანტი მეცნიერის სახე. მე მიყვარდა და მიყვარს ის, როგორც ადამიანი და როგორც მეცნიერი.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა გულიას ბინაში. მერე გიორგიმ ფანჯარასთან მიმოყვანა და ერთ ბინაზე მიმოთითა: — აი ეს იყო ჰიქმეთის ბინა. ნაზიმ ჰიქმეთის ბინა ჩანს გიორგი გულიას სახლის ფანჯარიდან.

— ნაზიმი ხშირად იყო აფხაზეთში, იყო გაგრაში. რიწაზე... მას თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით აქ, ნოვოპესჩანისა ქუჩაზე... მისი მეუღლე. თურქის ქალი. და 16 წლის ვაჟიშვილი მემედ ჰიქმეთი ახლა პოლონეთში ცხოვრობენ... ნაზიმის ბინაში მისი თანაავტორი ერთი მწერალი ქალი ცხოვრობს.

მერე უცებ საუბრის თემა შეცვალა გიორგიმ.

— მახსოვს ერთხელ ცნობილი ინგლისელი მწერალი პრისტლი აყო ჩვენს ოჯახში, სოხუმში. ეს იყო ომის შემდეგ. დიმიტრი გულიამ ის თბილად მიიღო. აფხაზეთში ყველაზე საინტერესო დოკუმენტი პრისტლის მოგზაურობისა გახლავთ მ. ლაქერბაის ცნობილი ნოველა პრისტლისა და ასწლოვანი აფხაზი მოხუცის შესახებ.

პრისტლიმ აქო, თურმე, აფხაზი მწერლები. მას შემდეგ ინგლისური ენციკლოპედიები საკმაო ყურადღებას უთმობენ აფხაზურ მწერლობას.

...ახალგაზრდა დიმიტრი გულიასა და მისი მეუღლის სურათები ჰკიდია კედელზე.

— აფხაზურ მწერლობაში დღეს ვის გამოაჰყოფდით? — შევეცდით გიორგი გულიას.

— ჯუმა ახუბას, მუშნი ლასურის, ალექსი გოგუას. მუშნი ლასურისამ „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნა აფხაზურად. ახლა აფხაზურ ენაზე ორი თარგმანი გვაქვს „ვეფხისტყაოსნისა“, — თქვა გიორგიმ.

— თანამედროვე აფხაზურ ახალგაზრდულ ლიტერატურაში ნიკიერი მწერალი ბევრია. მაგრამ ეს სამეულო განსაკუთრებული ნიკითაა დაჯილდოებული, — დაუმატა გიორგიმ.

— აფხაზურად თუ დაგიწერიათ რამე? — ვეკითხები გიორგის

— არაფერი, — ამბობს გიორგი, — აფხაზური არ ვიცი იმდენად, რომ მხატვრული ნაწარმოები შევქმნა. ეს მეტად სამწუხაროა, მაგრამ არ ვიცი და რა ვქნა?!

ამ საუბარში ვაყავით, მწერლის მეუღლე. რომ დაბრუნდა ინსტიტუტიდან. პირველი, რაც ლამაზმა დიასახლისმა გვიჩვენა. გიორგის რელიქვიები იყო.

— შექსპირის სახლის ერთი ნაფორტი იწაფება ჩვენს ბინაში. — შესაუბრება გიორგის შეუღლე.

— ეს სტრეტფორდ-ფავონიდან ჩამოვიდნენ. — თქვა. გულის-
გან. — შექსპირის შემორიადღურ სახლს აუცნობებდნენ. ხანაც ტყვეობა
ცვიოდა. ერთ ინგლისელ მუშას ეუღხარო. ერთი ნაფორტი რომ
წაგიღო, რა იქნება-მეთუი. მას გაიღიმა და წაიღეო — მიიხრა.

ასე მეგონა. მთელი სამეფო. მთელი იმეტი-ნეთი მაჩუქა იმ მუ-
შას. მუშამ კი არა. მეფე ღირსა, ამბობს გიორგი გულია.

— ეს კი რაჟია კალიზებუის ერთი ტყეა. — ამბობს მწერლის
შეუღლე. — ეს კიდევ ეგვიპტის პირამიდების ერთი ნატეხია...

კოლხური ბრინჯაის ცულიც ვნახე გულის ბინაში.

როცა ეგვიპტურ რელიქვიებს ვათვალიერებდით. ესაუბრა მწერ-
ლს — თამბაქოს მოსაწევი ეგვიპტური აპარატი.

საუბარი ჩამოვარდა არაბეთზე.

— გიორგი გულია ღიფი კავარის ატყა ეგვიპტესთან. არაბული
კულტურის ცნობილ მოღვაწეებთან.

— ვიცნობ ეგვიპტის არაბული ლიტერატურის კლასიკოსს ტა-
ლუის ელ-ხაყის. ის 76 წლისაა. მაგონა ტანუერი ენერგიით ემ-
სახურება არაბულ კულტურას. ესაუბრა „ალ-აზაშიში“ („პირამიდე-
ბი“) თანამშრომლობს, — თქვა გიორგიმ და მერე დაუმატა: ეგვი-
პტელი მხატვრებიდან კი მხოლოდ ვიცნობ სულაჰ თაჰირს.

მერე გიორგიმ სულაჰ თაჰირის სამი სურათი მაჩვენა. რომლე-
მაც მის ბინაში ეკიდა. თაჰირის სურათები მოღერწია სურ-
ათითაა შექმნილი.

— ის „არაბ ბიკასოს“ გვაგონებს. — თქვა გიორგიმ და ბევრი
გაიხილი გაიხსენა ეგვიპტეში ამსწინ-მღელი მოგზაურობიდან.

— მოლაპარაკება გვქონდა ეგვიპტე — ისრკ შორის კულტურულ-
ლი ურთიერთობის პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებზე.

შემდეგ გიორგიმ მაჩვენა საბჭოთა მხატვრების ნამუშევრები,
რომლებიც მის ბინაშია თავსაყრილი.

თურმე რუს მხატვრებს, ცოლ-ქმარ კალიტანაოვებს შეუქმნიათ
გიორგი გულის ქედური პორტრეტები. საოცრად შთაშვებდა-
განუგებოებელი ეგვიპტური კოლორიტითაა შექმნილი ეს ნაწარ-
მოებები.

იქვეა ფარაონ ეხნატონის — გულის ამავე სახელწოდების რო-
მანის პერსონაჟის ქედური პორტრეტი. იმავე ავტორების მიერ
შესრულებული.

შემდეგ ენციკლოპედიებმა მიიპყრეს ჩემი ყურადღება მწერ-
ლის ბინაში. გამახსენდა მაიერის გერმანული ენციკლოპედია, სა-

დაც მოთავსებული იყო სტატია დიმიტრი და გიორგი ჯულიეზის შესახებ.

ამის შესახებ ამ ათიოდე წლის წინ დავსტამებ სტატია აფხაზურ ჟურნალ „ალაშარაში“ — „აფხაზური კულტურის საკითხები გერმანულ ენციკლოპედიურ ლიტერატურაში“.

იმ სტატიას ვიცნობო, მითხრა გიორგიმ.

მერე საუბარი ბრიტანეთის ენციკლოპედიურ ლიტერატურაზე ჩამოვარდა. გიორგი გულიაზე ბევრს წერენ ბრიტანეთის ენციკლოპედიური გამოცემები. მის რომანებზეც ქვეყნდება რეცენზიები ინგლისურ პერიოდიკაში.

მწერლის მეუღლე მისი ნაწარმოებების ბიბლიოგრაფიას აღგენს.

— ეს არის ის წერილები, რომლებიც პრესაში გამოქვეყნდა გულიას შემოქმედებაზე, მე მათ ვაგროვებ, — თქვა მწერლის მეუღლემ.

მე რატომღაც პენრიკ იბსენის მეუღლე გამახსენდა, რომელიც ასე ზრუნავდა იბსენზე, ხელს უწყობდა მას შემოქმედებით მუშაობაში. უქმნიდა მყუდრო სამუშაო განწყობილებას. ეს გახსენება შეიძლება შემთხვევითი იყო, მაგრამ, ვფიქრობ, არა უადგილო.

სანამ გამოვეთხოვებოდე, გიორგი გულიას ვაძლევ რამდენიმე შეკითხვას იმ რომანებზე, რომლებიც ჯერ მკითხველს არ მიუღია.

— დავამთავრე რომანი „ლერმონტოვის სიცოცხლე და სიკვდილი“. ამ რომანში ბევრი ადგილი ეძღვნება საქართველოს, ჟურნალი „მოსკვა“ აქვეყნებს ამ რომანს.

ახლა ვმუშაობ რომანზე „თქმულება ომარ ხაიამზე“. მე ვნახე შუა აზიაში ხაიამის მემორიალური ადგილები. ვიყავი ბუხარაში, გერგეში, სამარყანდში. ვოცნებობ ირანში წასვლაზე, ირანის ქალაქ ნიშაპურში, სადაც დაიბადა და გარდაიცვალა დიდი ხაიამი, მინდა თაყვანი ვცე ამ დიდი პოეტს, ასტრონომრს, მათემატიკოსისა და ფილოსოფოსის აკვანს და საფლავს.

შემდეგ საუბარი შეეხო ისევ საქართველოს და აფხაზეთს.

— თუ არ შევებრძოლეთ კუთხურობას, „ძმა-ბიჭობას“ და სხვა ასეთ ანტიპოდებს, გავგიჟირდება სიმართლის და სამართლიანობის ბოლომდე მიყვანა — თქვა გიორგი გულიამ და დაუმატა:

— კარგი ხმები მესმის საქართველოდან, აფხაზეთიდან. მე ეს მახარებს, კარგია, თუ წესრიგი დამყარდება. უნდა გაიწმინდოს ავგიას თავლა.

ერთხანს ჩაფიქრდა მწერალი, მერე დაუმატა:

— მე, როგორც ყველა მწერალი, კემშარიტების მაძიებელი ვარ და ამ გზაზე შეიძლება კაცმა ყოველთვის მეყვსეულად ვერ იპო-

უოს სწორი გზა. ამისათვის ისე კი არ უნდა გავკიცხოთ კაცი, რომ საერთოდ გზის ძებნაზე აიღოს ხელი. ქირღვა არავითარი არგუმენტი არ არის. მთავარია ფაქტების ლოგიკა.

ქეშმარიტება დალადებდა მწერლის ბაგეებზე.

კეთილად ვეთხოვები მწერალ გიორგი გულიას ოჯახს.

დაფა ჰკიდია დერეფანში, აქ გულიების ოჯახის ახალი თაობა შეცადინებებს.


— ვინ იქნებიან ისინი? — ვეკითხები ცოლ-ქმარ გულიებს.

— არაფერს ვაძალებთ მათ. ვაცადოთ ბუნებას. მან უკეთ იცის ვისგან ვინ უნდა დადგეს, — აზობს გიორგი.

ისევ მღეროდა კანარის ჩიტი გიორგი გულიას მყუდრო ბინაში...

კეთილი ფიქრებია და შთაბეჭდილებებით სავსე ვტოვებდი მწერლის სავანეს კეთილ ქალაქში...

ქაირო-მოსკოვი-თბილისი.



შეხვედრები საჯარო ფუნჯის ოსტატებთან

იგავნიუხვდომელი სარიანი

ირევანში როგორც კი ჩავალ, პირველად რუთათელის ქუჩაზე გავივლი. მერე დავით სასუნელის ძეგლს ვნახავ. ხელს შევახებ მატენადაიანის ჰალარა კედლებს და ფოლიანტებს, მერე კი გულში მიპიწევს სარიანის სახლ-მუზეუმისაკენ...

იქ სარიანის საოცარი სამყარო მელიოდება.

იგავნიუხვდომელი სარიანი....

ე ვამბუობ, რომ მისი თანამედროვე ვიყავი და ვარ. სარიანი ხომ უკვდავია.

XX საუკუნის უდიდეს ოსტატებს შორის ბრწყინავს მისი სახელი.

ვარპეტი უწოდა მას ხალხმა.

მე ეს ბევრჯერ მინანავს, მაგრამ გასაუბრება მხოლოდ ერთხელ ვაპებდე...

ზიბლიური სახე ჰქონდა მოხუცს, რომლის ხელოვნება მის სიკაცს ლემწვე იქნა აღიარებული კლასიკად.

ის ფერწერის ნამდვილი ღმერთი იყო.

მე ვკითხე ვარპეტს:

— ზატონო მარტიროს, ვინ მოგწონთ ფუნჯის ქართველ ოსტატთა შორის?...

— დიდოსტატი ლადო გუდიაშვილი. განუმეორებელი მხატვარი, — თქვა სარიანმა.

— მწერლებიდან?

— ზუთაებრივი კონსტანტინე გამსახურდია...

შისი ხმა თითქოს ოლიმპოდან მოისმოდა.

— ბატონო მარტიროს! მე ვნახე თქვენს ნამუშევრებს შორის სომხური წარმოშობის დიდი ამერიკელი მწერლის უილიამ სარო-ანის პორტრეტი. მომიტყვევით, მაგრამ საოცრად ჰგავს ერთმანეთს სარკიანი და საროიანი... ერთი გვარი ხომ არ არის?

→ აბა, რა გითხრათ. ეს ეტიმოლოგების საქმეა, — თქვა მსკ-ვანმა ვარპეტმა და ფიქრებს მიეცა. — საროიანი ჩემი ბეგობარია.

— ეს მცირე სხვაობა იმით ხომ არ არის გამოწვეული. ბატონო მარტიროს, რომ, როგორც აპხიზენ ხუმრობით. ინგლისურად ზირმინგემი იწერება. მანჩესტერი იკითხება. ალბათ. ორთოეპიასა და ორთოგრაფიას შორის არსებული დიდი სხვაობის ბრალია.

მარტიროსმა არაფერი თქვა.

ოდნავ გაიღიმა. არ ვიცი მომეჩვენა. თუ მართლა გაიღიმა.

მერე. თითქოს სხვათა შორის, დაუმატა:

— მთავარია, რომ საროიანი დიდია. გვარს რა მნიშვნელობა აქვს...

მე შინაგანად არ ვეთანხმებოდი მარტიროსს. ჩემთვის სულ ერთი არ არის, მაგალითად. ჰენრიხ და თომას მანები ძმები არიან თუ არა! მაგრამ გაჩუმება ვარჩიე. სიტყვას ხომ არ შევკადრებდი გენიოსს.

ცნობილია, რომ ახალგაზრდობაში სარკიანი ბევრს მოგზაურობდა უცხოეთში, განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, ამან თავისი კვალი დააჩნია მის ქმნილებებს.

— ბატონო მარტიროს! მე მივაქციე ყურადღება, რომ თქვენს რამდენიმე ნაწარმოებს ეწოდება „კონსტანტინეპოლის ძაღლები“. რით აიხსნება თქვენი ასეთი ყურადღება ამ თემისადმი?

მარტიროსმა ერთი შემომხედა, თითქოს გაუკვირდოდა ასეთი უცნაური კითხვა, და სხვათა შორის თქვა:

— ალბათ ბევრი ძაღლია კონსტანტინეპოლში...

მართლაც სარკიანის „კონსტანტინეპოლის ძაღლების“ სხვადასხვა ვარიანტები ჰკიღია სომხეთის სურათების ეროვნულ გალერეაშიც. დიდი მხატვრის მუზეუმის საღ-ნებშიც...

იმ წუთს სარკიანი გაჰყურებდა არარატს, საოცარი და მრავლისმეტყველი ღუმილით.

ვარპეტიც ისეთივე ჰაღარა იყო, როგორც ეს ბიბლიური მწვერვალი...

სარკიანი და არარატი...

სომხეთის ორი ჰაღარა მწვერვალი მთელი თავისი სიდიადით აღმართულიყო ჩემს თვალწინ.

ჲა მე ვინანე, რომ მხატვარი არ ვიყავი, და რომ არ შემეძლო იმ საოცარი ხილვის ტილოზე ფუნჯით გაცოცხლება...

კონსტანტინეპოლის იმპერიის ფარგლებშია დღესაც არარატი...

— მზერას ვიზა არ სჭირდება. ის არწივივით თავისუფალია, — თქვა მარტიროსმა.

— კჲ, „კონსტანტინეპოლის ძაღლები“, — გავიფიქრე ჩემოვის.

ალბათ დიდი მხატვრის გონებაში ერთმანეთს ცვლიდნენ აპოკალიპსური ხილვები და ჩვენებები...

— არაფერია, ყმაწვილო, მსოფლიო ბიბლიურ წარღვნას გადურჩა ეს არარატი, — თითქოს ფიქრებიდან გამოერკვა დიდი მხატვარი. — ლოკალურ წარღვნებს მით უფრო გადაეურჩებოდა...

მე ისევ „კონსტანტინეპოლის ძაღლებს“ ვათვალისწინებდი...

ერთმა ერევენელმა ხელოვნებათმცოდნემ მითხრა:

— მარტიროს სარიანი ხელოვნების ის არარატი, რომელსაც სომხურმა მხატვრობამ რეალიზმის ნოეს კიდობანი მიაბა, რომ მოდერნიზმის და ფორმალიზმის წარღვნას გადარჩენოდა...

...ეჩმიაძინში ერთმა სომეხმა მხატვარმა თქვა:

— არის ორი სომხეთი. ერთი ის, რომელიც რეალურად არსებობს, და მეორე ის, რომელიც მარტიროს სარიანმა შექმნა უკვდავი ფუნჯით.

მარტიროს სარიანი დიდი მწვერვალია.

მწვერვალები კი შორიდან უკეთ ჩანან...

მარტიროს სარიანი მარადიული მწვერვალია — ახალი სომხეთის ახალი არარატი...

ერევანი—ეჩმიაძინი—თბილისი

იქ, სადაც გათენების მერიდიანის ახლოს...

ჩვენი სამშობლო ისე დიდია, რომ ყოველი დილა თერთმეტჯერ თენდება კურილიის კუნძულებიდან საარემამდე.

მზე რომ მზეა, ისიც ვერ ახერხებს ერთბაშად ამხელა ტერიტორიის განათებას.

ის თერთმეტჯერ ათენებს ყოველ დილას.

იმ წელს გადავწყვიტე დამეწერა რეპორტაჟების წიგნი — „ქვეყანა, სადაც თერთმეტჯერ თენდება“ ამიტომ გავფრინდი სახალინზე და კურილიის კუნძულებზე, რომ გათენების მერიდიანიდან დამეწყო ჩემი წიგნის პირველი სტრიქონი.

...იმ ზამთარს დიდი თოვლი მოვიდა სახალინზე. ირმიანი მარხი-

ლები არ ჩანდნენ, არც ძალებშებმული მარხილები ჩანდნენ თოვლში, რომელსაც პირველი სართულის სიმაღლემდე აეწია იუჟ-ნო-სახალინსკის ქუჩებში.

ნივხები ამბობდნენ, ასეთი დიდთოვლობა არც გვახსოვს და არც გაგვიგონიაო.

ჰე ერთ პატარა სასტუმროში ვცხოვრობდი, რომელიღაც ძველი შენობის გვერდით. რომელსაც აქა-იქ ეშმაკის დაღივით აჩნდა აპონურის იეროგლიფების ნაკვალევი.

ძოხდა ისე, რომ იმ წელს ერთი თვის თუ თვენახევრის განმავლობაში შემოვიარე მთელი საბჭოთა კავშირი. ჩავფრინდი ყველა მოკავშირე რესპუბლიკის დედაქალაქში. ვნახე ცხელი შუა აზია და ცივი ციმბირი. ბალტიისპირეთი. კავკასია, უკრაინა. ყაზახეთი, მოლდავეთი და კუნძულ საარემადან კუნძულ სახალინს ჩავადღიე.

პარტო იმ ერთი მოგზაურობის აღწერას უნდა ერთი სიცოცხლე...

ვიჩექი ჩემს მყუდრო ნომერში და ნანახს და განცდოლს წიგნით ვფურცლავდი გონებაში.

ჩემს ფანჯარას ხუთივე ქიმიტ ეხებოდნენ წყნარი ოკეანის მსხვილი და აღმასივით ბრჭყვიალა, სახალინის თოვლის ფიფქივიფცივი ვარსკვლავები.

და უნებურად ვფიქრობდი იმ ქართველებზე, რომლებმაც თითქმის დღემიწის ნახევარსფერო გადმოლახეს, დატოვეს კავკასია, გადმოიარეს ციმბირი და შორეული აღმოსავლეთი და აქ, სადღაც გათენების მერიდიანის ახლოს დაიდეს ბინა... ხომ უნდა იყო რაღაც საოცარი ძალა, რომელიც წარმართავს ადამიანთა ასეთ მიგრაციას და ფერისცვალებას.

ციმბირში მე ვნახე აკადემიკოსი ილია ვეკუა. მაშინ ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის რექტორი იყო. მასზე ციმბირელი სახალხო მუქმელები ლეგენდებს თხზავდნენ. ის იყო სტუდენტური ფოლკლორის გპირიც.

სახალინზე ორი ქართველის გვარი ვავიგონე: მანტკავა და ნადიბაიძე.

ვერ ჩავუსწარი სიცოცხლეში შორეულ აღმოსავლეთის მეთევზეთა ლეგენდარულ თავკაცს — ნადიბაიძეს. მისი სახელი უკვე ლეგენდებში იყო გადასული, ჩრდილოეთის მცირე და დიდი ხალხების ლეგენდებში.

მაგრამ სახალინზე გამახარა ცნობილი ქართველი მხატვრის გივი მანტკავას წარმატებამ.

ერთმა ნივხმა გაიკვირვა: ვინ გითხრათ, რომ მანტკავა ქართი

ლი მხატვარია, მანტკავა ნივხების დიდი ეროვნული მხატვრობის ფუძემდებელიაო.

ვისაც ერთხელ მაინც უნახავს გ. მანტკავას პოეტური ფერწერული ტილო „ნივხური სიყვარული“, ის მიხვდება, თუ რა გრძნობა აღაპარაკებდა იმ ნივხს.

ეს ტილო ნივხების სიყვარულის: პაშნია, მანტკავასეული განუწერებელი მანერით შექმნილი.

იუჯნო-სახალინსკში მაჩვენეს მრავალი წიგნი, რომელიც დიდი სიყვარულით, დიდი ოსტატობით დაუსურათებია გივი მანტკავას. ეს ნამუშევრები წიგნის ილუსტრაციის დარგში შექმნილი კემშარითი შედევრებია. მათ შორის აღსანიშნავია .გ. სანგის „მარილიანი შხეფები“, ა. მანდრიკას „ჩემი კურილია“ და მრავალი სხვა.

გივი მანტკავას ფერწერული ეპოპეა „სახალინის წარსული და აწმყო“ საბჭოთა ხელოვნების კემშარითი შენაძენია.

ცნობილია, ი. ერენბურგს მოსწონდა მანტკავას ნამუშევრები.

სახალინზე მოღვაწე შესანიშნავი ქართველი მხატვრის გივი მანტკავას ნამუშევრების რეპროდუქციები ბევრ უცხოურ ჟურნალსა და გამოცემაში გამოქვეყნდა.

აღსანიშნავია ჩეხოსლოვაკიის პერიოდიკის როლი გივი მანტკავას ნამუშევრების უცხოეთში პროპაგანდის საქმეში. ჩეხებმა თითქმის პირველებმა გაუკაფეს გზა უცხოეთში გივი მანტკავას მადლიანი ნიჭის ნამოღვაწევს.

არ შეიძლება ერთხელ ნახოთ და სამუდამოდ არ დაგრჩეთ მესსიერებაში გივი მანტკავას მიერ ცნობილი რუსული ხალხური სიმღერის „ბეჟალ ბროდიაგა ს სახალინას“ თემებზე შექმნილი მხატვრული ტილო.

— ეს ნაწარმოები თავისი პოპულარობით და მაღალმხატვრობით თვით იმ ფოლკლორულ შედევრსაც სჯობნის. — მითხრა ერთმა რუსმა ჟურნალისტმა, რომელიც სახალინზე მოღვაწეობს.

სახალინელები ამყობდნენ იმით, რომ მათ კუნძულზე ცხოვრობს დიდი პოტენციის მხატვარი გივი მანტკავა.

სახალინზე მრავალი ერის წარმომადგენლები ცხოვრობენ. ერთნაირი სიყვარულით აღაპარაკებდა გივი მანტკავაზე ყველა: რუსი თუ ბელორუსი, კორეელი თუ ნივხი, ნენეელი თუ ჩუქჩი. ებრაელი თუ იაკუტი.

იუჯნო-სახალინსკში ადგილობრივ მცხოვრებთათვის კორეულ რხაზეც გამოდის გაზეთი. მის რედაქციაში მაჩვენეს რამდენიმე ნომერი, სადაც კორეელი ხელოვნებათმცოდნეები და ჟურნალისტები მაღალ შეფასებას აძლევენ გივი მანტკავას შემოქმედებას. გამოქვეყ-

ნებული იყო მისი ნაწარმოებების რეპროდუქციები და სტატუები
ბის იემოქმედებაზე.

— გვი მანტკავა ჩაწვდა სახალისის სულს, აქაური ადამიანის
ს.ს.ი.ს.ს. და ბეხეის. კილორის. ეთნოგრაფი.ს. სახალინელთა
ცხოვრება დაინახა ღრმა ანალიტიკოსის თვალთ და მეტად ორიგინალური
მხატვრული პალიტრით გამოგვცა ყოველივე ეს, — თქვა
სახალისელ მწერალთა თავკაცმა. ციობილმა მწერალმა ა. ააქიშოვამ.

იქვე ვსაუბრობდით გვი. მანტკავ. შე და სახალინელ მხატვრებზე.
ზე. სახალინელ, კამიტკულ და ჩუკოტკულ მწერალთა შემოქმედებაზე
და ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ჩვენ მწერლის
მკუდრო ბინაში კი არ ვისხედით. არამედ დიდი გემის კაიუტაში და
ეს ვეებერთელა სახლი თითქოს ნელა შეცურდა წყნარ ოკეანეში.

ძეორე დღეს სახალინის ახალგაზრდული გაზეთის რედაქციაში
შევიხვე. გამოირკვა. რომ იქ მუშაობდა გვი მანტკავა მეუღლე.

გვი საქართველოდან ჩამოსულ უცხოებებსაც გულითად შე-
გაბრებებით ხვდება. — მოთხრა მხატვრის მეუღლემ და თავაზიანად
მასწავლა გზა გვის სახელოსნოსკენ.

დიდხანს ვსაუბრობდით გვი მანტკავას სახელოსნოში. იუენო-
სახლისკში. გვიმ გაიხსენა თბილისის სამხატვრო აკადემიაში გა-
ტარებული წლები. მეგობარი მხატვრები. დედა-საქართველო...

შევეთვრე სახლის. თქვა მან. მშობლიური მიწის
სიყვარულის ამ საშორეზე განცდას აქვს თავისი რომანტიკა და
პოეზია... ალბათ. იდევე დიდხანს დაჯობებო აქ...

გვი მანტკავას სახელოსნოში ენახე მისი რამდენიმე დაუმთავ-
რებელი ნამუშევარი. მათ შორის იყო ერთი უდავოდ გრანდიოზული
ჩანაფიქრი: მსოფლიოს ყველა დროსა და ყველა ხალხის გენი-
ოსთა სახეები იმზირებოდნენ ტილოდან... მხატვარი რაღაც ფილო-
სოფიურ ქვეყნებს ეძებდა მათი ჰარმონიული შერწყმისათვის.


მაშინ იმ ტილოს სახელწოდება არ ჰქონდა. არ ვიყო რა დაარქვა
მის გვი მანტკავამ პერე. მუშაობის დასასრულს...

მოვფრინავდი ციმბირის თავზე. ილუმინატორიდან ჩანდა თი-
თქმის ნახევარი პლანეტა და ფიქრობდი მანტკავას იმ დაუმთავრე-
ბელ ტილოზე. ალბათ. ეს არის სახე მიწისა, დედამიწისა. ჩვენი
პლანეტისა. კაცობრიობისა...

კაცობრიობას თავისი საუკეთესო შვილების სახე აქვს.

...სახალინზე. იქ, სადღაც გათენების მერიდიანის ახლოს, იდ-
ვწის ქართველი მხატვარი გვი მანტკავა იმ ახალ მერიდიანებზე
გააქვს ქართული ნიჟისა და ქართული მიწის შუქი და სითბო.

იუენო-სახლისკი-თბილისი.



შახვედრები საბჭოთა მუსიკის დიდოსტატებთან

არამ ხაჩატურიანი — ქართული მუსიკის
ტრფიალი

ოთარ თაქთაქიშვილის „მხირი“ და არამ
ხაჩატურიანის პასუხი კანადელუბს

ბრინჯაოს ჩაიკოვსკი ჩაფიქრებულა... ფუნჯით გაცოცხლებული ულანოვა ღიმილს ჰფენს ოთახს. პრაკოფიევი თითქოს მუსიკას თხზავს... მზით ავსებს ოთახს სარაანის ნახატები... სომხეთის მთები... აგერ კოჯორიც. ვინ დახატა ნეტაუ?

დუმან ბეთპოვენი და მოცარტი, შოპენი და შუმანი. დუმან ლეგენდად და ბრინჯაოდ ქცეული გენიოსები. აგერ შოსტაკოვიჩის სურათი.

სადა ვართ? სურათების გალერიაში? არა.

არამ ხაჩატურიანის ბინაში ვართ, მოსკოვში.

— აბა რით ჰგავს რიმსკი-კორსაკოვს თაქთაქიშვილი? — კითხულობს გამოჩენილი კომპოზიტორი და თვითონვე უპასუხებს: რა თქმა უნდა, ორივე თავისთავადი, ორიგინალური კომპოზიტორია. ცდებიან, ათასჯერ ცდებიან ბატონი კრიტიკოსები, — ღიმილით ეუბნება მის წინ მჯდომ ქალიშვილს არამ ხაჩატურიანი.

ლამაზი ქალიშვილი მოსკოვის რადიოს კორესპონდენტია. ხაჩატურიანი მას ინტერვიუს აძლევს. ეს ინტერვიუ არ შედგებოდა,

ოთარ თავთაქიშვილი კანადაში რომ არ წასულიყო და იქ არ გას-
ცნობოდნენ მისივე ღირიჯობით მის სიმფონიურ პოემა „მწირს“.

„ო. თავთაქიშვილის „მწირმა“ დიდი გამოხმაურება ჰპოვა კა-
ნადაში. კრიტიკოსების ერთმა ნაწილმა „მწირი“ შეაფასა როგორც
ახალი სიტყვა მუსიკაში, მაგრამ სხვა ნაწილი კრიტიკოსებისა იმ
აზრისაა, რომ „მწირი“ არ არის ნაბიჯი წინ, არამედ მობრუნებაა
რიმსკი-კორსაკოვისაკენ“, — წერს კანადის რადიოკორპორაცია
მოსკოვის რადიოში ა. ხაჩატურიანის სახელზე გამოგზავნილ წერი-
ლში. „მისტერ ხაჩატურიან, — ნათქვამია წერილში, — გთხოვთ გა-
წოთქვით თქვენი თვალსაზრისი ამ საკითხზე“.

აი რა უპასუხა „მისტერ ხაჩატურიანმა“ კანადის რადიოს.

— „მუსიკაში ნოვატორობის საკითხი რთული საკითხია. ეს
ცალკე ლექციების, შეიძლება ითქვას, წიგნების თემაა. მე გაკვრით
ვიტყვი. თანამედროვე მუსიკა კონკრეტული, ნათელი, სკულპტურუ-
ლად გამოკვეთილი, თვალთ დასანახი და, ასე გასინჯეთ, წასაკითხი
უნდა იყოს. თუ ეს განმარტება უცნაურად მოგეჩვენოთ, შეიძლება
სხვა დროს გავაკეთო კომენტარები.

ო. თავთაქიშვილის, ამ ნიჭიერი საპკოთა კომპოზიტორის, მუსი-
კა მე ჰეშმარიტად თანამედროვე მუსიკად მიმაჩნია. დიდმა რუსმა
კომპოზიტორმა რიმსკი-კორსაკოვმა აღმოსავლური ფოლკლორის
შემოქმედებითი გამოყენების გენიალური ნიმუშები მოგვცა. ეს
ფაქტი უდავოა. მაგრამ ასევე უდავოა უნიჭიერესი კომპოზიტორის.
ოთარ თავთაქიშვილის ორიგინალობა აღმოსავლური ფოლკლორის
დამუშავებისას სიმფონიურ პოემა „მწირში“, და არა მარტო ორი-
გინალობა, არამედ ნოვატორობაც. „მწირის“ მუსიკა როდი ჰგავს
რიმსკი-კორსაკოვის „შეპერაზადას“ დაწერის ეპოქის მუსიკას, ეს-
წვენი დღეების მუსიკაა, თანამედროვე მუსიკა. თუ ეს ჰეშმარიტება
ვერ გაიგეს, მით უარესი ამერიკელი და კანადელი კრიტიკოსები-
სათვის. ერთხელ კიდევ ხაზს ვუსვამ — „მწირი“ არ არის მობრუ-
ნება რიმსკი-კორსაკოვისაკენ, ეს არის ნოვატორული მუსიკა, ჩვენ-
დღეების მუსიკა“.

მოსკოვის რადიოში გვითხრეს, რომ კანადამ გადასცა ამერიკელ
მსმენელებს არამ ხაჩატურიანის პასუხი.

„სხოვრახის ფურცლები“

მეორე შიხვედრა არამ ხაჩატურიანთან ანდრია ბალანჩივაძის
მუსიკის გამო მოხდა.

ქართულმა მუსიკალურმა კულტურამ ახალი თვალსაჩინო გა-
მარჯეება მოიპოვა — მოსკოვის დიდი აკადემიური სახელმწიფო

ოეატრის სცენაზე დადგა გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის ადონა ბალანჩივაძის დაღუპული „ცხოვრების ფურცლები“ (ლიბრეტო რსფსრ სახალსო არტისტის პროფესორ ლ. ლავროვსკისა).

დედაქალაქის პრესა გამოესმაურა სპექტაკლს.

გაზეთ „იზვესტიას“ ყოველკვირეული დასატება „ნედელა“ წერდა: „ლორეული დღეებში, რომლებითაც იხსნება და იხურება ბალეტი, ფრონტის სურათი, პეროიკული სამგლოვიარო მავლელობა, უსახელო და უკვდავ ჯარისკაცთა პლასტიკური რეკვიემი, ფინალის ვარიაციები ბრწყინვალეა“.

ა. ბალანჩივაძის „ცხოვრების ფურცლები“. კრიტიკოსთა აზრით ჩვენი დროის ადამიანებზე შექმნილი ამალელებელი ეპოპეა.

გადავავლოთ თვალი ბალეტის სიუჟეტს.

ომის კრილობებმოშუშებოლი, აღორძინებული სიყვარული ზღვის პირას ზეიმობს ახალგაზრდობა. აქ ვეცნობით ბალეტს გმირებს — სევასტოპოლის ბრძოლების მონაწილეს ანდრიას და მის ქალიშვილს ნინოს. ანდრიას დაღუპული მეგობრის შვილს — გიორგის და გიორგის დედას — თამარს.

ზღვისპირა ბალში თამარის მოგონებაში გადაიშლება განვლილი ცხოვრების ფურცლები.

...სიყვარულის ჰომნი. თამარისა და მისი სატრფოს გიორგის (თამარის შვილი მამის სახელს ატარებს) შეხვედრა. სიჭაბუკის დაუვიწყარი დღეები...

...შრომის ჰომნი. მეზადურები ზეიმობენ შრომაში მოპოვებულ გამარჯვებას. გიორგი — პირველი მეზადური დიდ სიხარულს განიცდის: თამარის მოხუცმა მამამ საზეიმოდ გამოაცხადა თამარისა და გიორგის დაწინდვა. სიხარული მტრედივით აფართხალდა გულში, მაგრამ...

...იქუხა მენება და თამარისა და გიორგის სიყვარულს დაემუქრა საშინელი ურჩხული — ომი. თამარი აცილებს საყვარელ ადამიანს ფრონტზე.

...თვალწინ იშლება შესანიშნავი ბატალური სცენები. ანდრია და გიორგი იბრძვიან სევასტოპოლის მისადგომებთან. გულგანგმირული გიორგი სიკედილის წინ ანდრიას გადასცემს საბრძოლო დროშას და თამარის ნაჩუქარ თეარ მანდილს. გმირულად ჟღერს სევასტოპოლის განთავისუფლების პეროიკული მელოდიები.

...გადაიშალა მოგონების კიდეე ერთი ფურცელი, თამარმა გაიგო შემამარწუნებელი აშბაეი: გიორგი მტრის ტყვიამ განგმირა. ზღვისპირა კლდეზე აიჭრება თამარი. თითქოს ცხოვრების არსი უნდა ამცნონ შორეულმა ჰორიზონტებმა.

— ღირს სიცოცხლე ამ ქვეყნად, ფიქრობს თამარი, ღირს იმი-
ტომ, რომ თავისი პირშო გიორგი მამის ღირსეულ შვილად აღ-
ზარდოს.

...თამარი გაპოერკვა მოგონებიდან, მზე და სევასტოპოლის
ვარდები, ომი თითქოს არც ყოფილა. პირშოს და სარძლას ღიმი-
ლი. ჟღერს სიყვარულისა და სიცოცხლის ჰიმნი. ნეფეა გიორგი
დედოფალი ნინო და, როგორც ოცი წლის წინათ, თამარი და გი-
ორგი, დღეს ქაბუკი გიორგი და ქალწული ნინო ერთმანეთს სიყ-
ვარულს ეფიცებიან. ზეიმი, მშვიდობისა, სიცოცხლისა და სიყვარუ-
ლის ზეიმი დგას მიწაზე.

სპექტაკლის შემდეგ ვესაუბრეთ სსრ კავშირის სახალხო არ-
ტისტს, მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორს, გა-
მოჩენილ საბჭოთა კომპოზიტორს არამ ხაჩატურიანს.

აი რა გვითხრა მან:

ანდრია ბალანჩივაძე თვალსაჩინო საბჭოთა კომპოზიტორია.
ამ უაღრესად ეროვნულმა კომპოზიტორმა გამოიმუშავა ისეთი მუ-
სიკალური ენა, რომელიც ერთნაირად გასაგებია როგორც ქართვე-
ლი, ისე სხვა ხალხებისათვის.

როგორც ყველა ხალხის მუსიკამ, ასევე ქართულმა მუსიკამაც
განიცადა ეთნოგრაფიული ჩარჩოების მსხვრევისა და ზოგადკაცობ-
რიულობაზე, ფილოსოფიურ განზოგადოებაზე ამაღლების პრო-
ცესი. ამ პროცესში ერთ-ერთი მთავარი როლი კომპოზიტორ ა. ბა-
ლანჩივაძესაც ეკუთვნის.

ასეთ ფიქრებში ვიყავი გართული, — ამბობს არამ ხაჩატურიან-
ნი. — სპექტაკლზე რომ მივდიოდი დიდ თეატრში, — ბალეტი
ბრწყინვალეა, — დასძენს იგი და განაგრძობს:

„ბალეტის მუსიკა შესანიშნავია. — მუსიკა ისეა დაწერილი.
რომ მისი მოსმენა სასიამოვნოა. უსპექტაკლოდაც. ა. ბალანჩივაძის
მუსიკის ხარისხი მაღალია, ბალეტის მრავალი ფურცელი ნამდვილად
სიმფონიური მუსიკაა, მისთვის დამახასიათებელი ქეშმარიტი სიმ-
ფონიზმის ელემენტებით. მუსიკალური სახეები ნათელი და ოს-
ტატურად გამოძერწილია. ბალეტი ინსტრუმენტირებულია უმაღლეს
დონეზე.

ბალეტი „ცხოვრების ფურცლები“ ქეშმარიტად თანამედროვე
მუსიკით არის დაწერილი, მისი მუსიკა თანამედროვეა ემოციურო-
ბით. გამომსახველობით, ეროვნული კოლორიტით, ღრმა შინაარ-
სით.

„ცხოვრების ფურცლები“ მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე
დადგმულ ბალეტებს შორის ერთ-ერთი საუკეთესოა, მოსკოველმა
მაყურებელმა ძალიან გულთხილად მიიღო იგი“.

ჩვენ კითხვაზე, თუ რომელი გმირი მოეწონა ყველაზე მეტად, გამოჩენილმა კომპოზიტორმა გვიპასუხა:

— რა თქმა უნდა, თამარი და მისი შემსრულებელი, სსრკ სახალხო არტისტი რაისა სტრუჩკოვა-ლაფაური. მუსიკაც, ქორეოგრაფიაც და შესრულებაც ამ როლისა გასაოცარ სიმალღებზე დგას. ძალიან მომეწონა გიორგის როლში არტისტი მ. ლეიპაც.

დასასრულს არამ ზაჩატურიანმა გვითხრა: — ძალიან მინდოდა ამ ბალეტზე თვითონ დამეწერა რეცენზია, მაგრამ ამჟამად დიდ თეატრში დგამენ ჩემს ბალეტს „სპარტაკს“, ამიტომ ძალიან მოუცლელი ვარ. მიულოცეთ „კომუნისტის“ ჰკითხველებს ჩემი სახელით ქართული მუსიკალური კულტურის ეს გამარჯობა.

როგორც მოსკოვის პრესამ აღნიშნა, „ცხოვრების ფურცლებში“ დიდი თეატრის საბალეტო დასის პირველხარისხოვანი ვარსკვლავები მონაწილეობენ.

მოსკოველმა მაყურებელმა გულთბილად მიიღო არა მარტო კომპოზიტორისა და მთავარი როლების შენსრულებლების. არამედ მთელი დასის, ბალეტმეისტერ-დამდგმელის. რსფსრ სახალხო არტისტის ლ. ლავროვსკის, დირიჟორის, რსფსრ დამსახურებული არტისტის ე. სვეტლანოვის, მხატვარ ვ. დორიერის ნამუშევარი.

ეს იყო ქართული მუსიკის ახალი დიდი გამარჯვება.

მოსკოვი—თბილისი.

ჯიხვებზე ნადირობა იალბუზის კალთებზე...

იმ ზაფხულს პირიქითა კავკასიაში „ენადირობდი“... გამოჩენილ ადამიანებზე. ვეძებდი „საგაზეთო პურს“.

ვანო მურადელი კი ჯიხვებზე ნადირობდა ყაბარღოს ?თიანეთში. იალბუზის კალთებზე...

ყაბარღოელმა კუნაქმა მონადირეებმა საჯიხველში ამიყვანეს: თუ ვანო მურადელს ვერ ვნახავთ, ცოცხალ ჯიხვებს მაინც გაჩვენებთო.

— ვანო მურადელი ხშირად ჩამოდის ყაბარღოში. მას შემდეგ, რაც მოსკოვის დეკადაზე ყაბარღო-ბალყარეთის მხატვრული კოლექტივები წარმატებით გაიყვანა. ყაბარღოში მურადელი სასურველი კუნაქი გახდა, — მითხრა ერთმა მონადირემ.

ზოგი ხეობა ფეხით მოვიარეთ. რამდენიმეს ვერტმფრენით გადავუარეთ და ბოლოს ნაერძალ ტყეებში ჩაკარგულ მონადირის სახლში აღმოვიჩნდით.

ყაბარღოელმა ტყის მცველებმა გვითხრეს: ვანო მურადელი ამ

დილით ყაბარდოელ მწერლებთან და მინისტრებთან ერთად ნალჩიკს გაფრინდაო.

სალამოვდებოდა, ვერტმფრენი კი მეორე დღემდე არ იქნებოდა. სხვა რა გზა იყო, ღამე იქ უნდა გამეთია, მონადირის სახლში.

...მთვარე ამოვიდა და ვერცხლისფერ შუქში გარკვევით ჩანდნენ საქართველოს მთების და მწვერვალების სილუეტები ყაბარდოს მიწიდან.

პირს იქითა კავკასიაში უნდა გამეტარებინა ის ღამე...

— სვანეთი აგერაა, — მითხრა ერთმა ყაბარდოელმა მონადირემ, — ყაბარდოს არწივები სვანეთის მთებში ჩეკავენ მართვებს. სვანეთის არწივები კი აგერ, ყაბარდოში იკეთებენ ბუდეს...

მთვარის ვერცხლისფერი შუქი იღვრებოდა იმიერკავკასიის მწვერვალებზე...

პოეტური, რომანტიკული საღამო იდგა იალბუზის მთიანეთში. ყაბარდოელმა მონადირეებმა სუფრა გაშალეს „ნარზანის იღუზე“, რომელიც ორიოდუ ნაბიჯზე იყო ტყეში ჩაკარგული მონადირის სახლიდან.

— ეს ჭიხვი ვანოპ მოკლა. მურადელმა, — თქვა ერთმა ყაბარდოელმა მონადირემ, — სანწვადე სუკები ჩვენც გვიძღვნა.

— დიდი კომპოზიტორია და კიდევ უფრო დიდი ადამიანი, — თქვა ერთმა ყაბარდოელმა.

— ვანო მურადელი აქ, ყაბარდოს მთებში, ჭიხვებზე ნადარობდა და თან ოპერას წერდა...

— მაშ, კაცო. — სიტყვა ჩამოართვა მეორემ, — ოპერას „გიორგი სააკაძე“ ჰქვია, აი. გახსოვს კინოში ბათირი სააკაძე...

— გიორგი სააკაძე? — ვაკოთხე მე. — მაშ, მურადელი წერს ოპერას „გიორგი სააკაძე“?

ამის მოსასმენად დიხატა. რომ ღირდა ამ ყაბარდოს ღრანტებელსა და ხეობებში უსაზმნო ხეტიალი. გავიფიქრე ჩემთვის.

ნარზანის ველი ახლა კიდევ უფრო ღამაში მეჩვენა. მთვარეს შოვევრცხლა არე-მარე. ჰირდაპირ მწიანე მდელოზე მწიან გულიდან შადრეგანივით მოჩუხჩუხებდნენ ნარზანის ქაელები და მუხის და წიფლის ნაკვერცხლებზე შიშინებდა მურადელის ნანადირევი ჭიხვის მწვადი...

მეორე დღეს მურადელს ნალჩიკშიც ვერ ჩავუსწარი.

ჩვენი შეხვედრა რამდენიმე კვირის შემდეგ შედგა დედაქალაქში.

მოსკოვში შევხადით ცნობილ საბჭოთა კომპოზიტორს, სახელმწიფო პრიზიის ლაურეატს ვანო მურადელს და ვკისაუბრეთ მას მოძვეალ შემოქმედებითს გეგმებზე, უკანასკნელ ხანს შექმნილ ნაწარმოებებზე.

— დიდმა თეატრმა დასადგმელად მიიღო ჩემი ახალი ოპერა „ოქტომბერი“, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ბოზოქარ დღეებზე მოგვითხრობს, — გვეუბნება კომპოზიტორი. — ჩემთვის ეს ოპერა ძვირფასია იმიტაც, რომ მასში მუსიკის ენითა და მუსიკალური პალიტრით გამოვძიერწე რევოლუციის გენიალური ბელადის დიდი ლენინის სახე. ოპერის რეპეტიციები უკვე მიმდინარეობს.

ჩვენს შეკითხვაზე, თუ რომელი თავისი უკანასკნელი ნაწარმოები მიაჩნია უფრო სრულყოფილად, კომპოზიტორმა გვიპასუხა:

— მე მგონია. ერთ-ერთი ასეთი ნაწარმოებია „ბუხენვალდის დაფდაფი“. როგორც გადმომცეს, — განაგრძო კომპოზიტორმა, — მას ნთელს ევროპაში და მის ფარგლებს გარეთაც მღერიაან. ომის შემდგომ წლებში მინდოდა დამეწერა ჰიმნი მშვიდობაზე, ლირიკული და ამავე დროს ისეთივე პუბლიცისტურად ჟღერადი, როგორც რულიუს ფუჩიკის სიტყვებია: „აღამიანებო, იყავით ფხიზლ-დ!“ დიდხანს ვერ ვიპოვნე საჭირო ლექსი, სიმღერა, რომელიც რამდენიმე წელიწადს მაწვალებდა და ბორგავდა მკერდში, ორ საათში დაიწერა, როგორც კი საჭირო ლექსს მივაგენი. ეს იყო პოეტ სობოლევის „ბუხენვალდის დაფდაფი“.

ვანო მურადელს ვთხოვე ორიოდ სიტყვა ეთქვა თავის მომავალ შემოქმედებითს გეგმებზე.

— ამჟამად ჩემი მთავარი მიზანია შევექმნა სახალხო ოპერა „გიორგი სააკაძე“, მე ქართლის შუაგულში — გორში დავიბადე. სააკაძის მშობლიური ნოსტე ჩემს მშობლიურ აკენად მიმაჩნია, — გვეუბნება იგი. — ოპერა „გიორგი სააკაძით“ ერთგვარი ვალი მინდა მოვიხადო მშობლიური კუთხის წინაშე, — განაგრძობს ვანო მურადელი. მართალი გითხრათ, გამიძნელდა ოპერაზე მუშაობა. დიდხანს ვწერდი „გიორგი სააკაძის“ პირველ მოქმედებას. ძალიან აკადემიური გამოვიდა. ჩემი „გიორგი სააკაძე“ მინდა იყოს ისეთივე ხალხური. ჟღერადი და ფართო მასებებისათვის გასაგები, როგორიც არის ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“, ამიტომ გადაწყვიტე შოვარო ქართლი, ერთხანს ვიცხოვრო ნოსტეში, შევკრიბო და ჩავიწერო ქართული ხალხური მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშები, რომელთაც ოპერაზე მუშაობის დროს გამოვიყენებ.

დასასრულ, ვანო მურადელმა გვთხოვა გადავცეთ ვაზეთ „კობუნისტის“ მკითხველებს, მუსიკის ქართველ მოყვარულებს მისი საუკეთესო სურვილები.

მას შემდეგ ბერმა წყალმა ჩაიარა ყაზარდოში.

ვანო მურადელი ისე წაეიდა ჩვენგან. რომ ვერ მოსწრო შე-
ცნა ოპერა „გიორგი სააკაძე“...

ყაზარდოში კი ტყის მცველები და მონადირეები ისევე ელო-
ნათა გამოჩნდება ვანო მურადელი, მონადირებს ჭიჭიბებსა და
დეიბებს. ჭიჭიბებს დასოცავს იალბუზის კალთებზე. მერე დაკდება
მუზის კუნძზე ან მონადირის სახლს აივანზე. ან შეყვანს. ხაჯარდოვან
„სარზანის ველზე“ და დაასრულებს თავის ოპერას „გიორგი სააკა-
ძე“...

ამას წინათ შემოსვევით. გავლით აფოქნდი იმ მხარეში. ერთი
ტყის მცველი ვნახე. მე ვიცანა. მან ვერ გამისესნა. ამ ცოდნოდა
მურადელის დაოუპეის ამბავი.

ისევე ელოდა.

მეც არ ვუთხარი. რომ ვანო აღარ არის ცოცხალი...

კაცი იმედით ცხოვრობს. რაზე უნდა აუცერელებინა ვანოს
„მურადელი მოსუცი“ თქნა. მ.ს. სეოა. რომ იანო ცოცხალია და
სადაღე ჩამოვა. და მოსუცი უკანასკნელად აპირებს ჭიჭიბებზე ნაღობო-
ბას იალბუზის მთიანეთში...

რად უნდა წავართვა ამის რწმენა იმ მოსუცს?

დაე. ელოდოს იმ დალოცვილ დღეს, რომელზეც დიქრი ასეთ
სიამოვნებას ანიჭებს მას.

ქაბაძე-ბაქრაძე.

ის მუსიკალური გაზაფხული

ფრაგმენტები დღიურიდან

მარიანე გოგლიძე-მდივანი

ეს იყო მოსკოვში ამ ათიოდე წლის წინათ. მანის მშენიერი
დღეები იდგა.

პ. ჩაიკოვსკის სახელობის მეორე საერთაშორისო კონკურსის
პიანისტთა მესამე ტური უცხოელ მუსიკოსთა უმაგალითო ინტე-
რესს იწვევდა. კონსერვატორიის დიდ დარბაზში. სადაც მიმ-
დინარეობდა პიანისტთა გამოსვლა. უფრო მეტი ყაჩაღი სრეპარი
იყო. ვიდრე მოსკოვილი. უკრავდა ქართველი პიანისტი მარიანე გო-
გლიძე-მდივანი. აი პრესის ლოქაში ზის ფრანგულ გაზეთ „ლიბერა-
ლიზის“ მოსკოველი კორესპონდენტი ვიქტორ საჰარი. ჩვეულო-
ბისამებრ უცხოელი კორესპონდენტები მხოლოდ თავიანთ თანაშე-
მაშულებთა გამოსვლებს ესწრებიან. დღეს ფრანგი არ მონაწილეობს

კონკურსში. გაზეთ „ლიბერასიონს“ კი მაინც აინტერესებს დღევანდელი კონცერტი. საქმე ის არის, რომ მარინემ, როგორც მუსიკოსმა, დიდი ტრიუმფალური აღიარება ჰპოვა საფრანგეთში. მარგარიტა ლონგისა და ჟაკ ტიბოს სახელობის კონკურსზე, სადაც მან უმაღლესი ჯილდო მოიპოვა. მაშინ „ლიბერასიონი“ წერდა — „მარინე გოგლიძე-მდივანი პირველობის პალმის ღირსია“. ახლაც კმაყოფილია ფრანგი კორესპონდენტი.

მუდამ საქმიანი ამერიკელი კორესპონდენტები „ნიუ-იორკ ტაიპსიდან“ და „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნიდან“, რომლებიც თავიანთი თანამემამულის რთი ვინსენტ ბოგასის მოსასმენად მოვიდნენ, მოხიბლა ქართველმა პიანისტმა თავისი ოსტატობით.

მარინე გოგლიძე-მდივანმა ვირტუოზულად შეასრულა პროკოფიევის მესამე კონცერტი და ჩაიკოვსკის პირველი კონცერტო ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის. კონკურსის მესამე ტურის პირობების შესაბამისად მარინე გამოვიდა მოსკოვის სახელმწიფო ფილარმონიის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად. ორკესტრს დირიჟორობდა რსფსრ დამსახურებული არტისტი კ. კონდრაშინი. დარბაზმა ქუხარე ტაშით გააცილა პიანისტი სცენიდან.

წარმატებით გამოსვლა მარინეს ერთ-ერთმა პირველმა მიულოცა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა თ. ბუაჩიძემ.

მარინესთან მიდის ჟიურის წევრი, ფრანგი მუსიკოსი მ. ლონგი, „შესანიშნავია, მომილოცავს“, — აღტაცებით ეუბნება იგი. მარინე ფრანგულ ენაზე ესაუბრება უცხოელ მეგობარს. მარინეს წარმატებას ულოცავენ აგრეთვე ჟიურის წევრი საბჭოთა პიანისტი ლ. ობორინი და სსრ კავშირის სახალხო არტისტი ი. კოზლოვსკი, მხატვარი ლ. გოვოროვი, რომელმაც მოსმენის დროს დახატა პიანისტის პორტრეტი.

ფოიეში საუბრობენ კომპოზიტორები ალ. მაჟუვარიანი და დ. ცაბალევსკი. „მშვენიერია, დიდებულა“, — ამბობს ქართველი კომპოზიტორი და დასძენს: „ასეთია ჩემი კოლეგების აზრიც“. მარინეს ულოცავენ უცხოელი მეგობრები.

კონსერვატორიის დიდი დარბაზის პირველი ამფითეატრის მარჯვენა ფრთა, რომელიც ტრადიციულად კონკურსის მონაწილეებს აქვს დათმობილი, ხალხით იყო გაჰყვანილი. ასეთი რამ იშვიათად ხდება. მარინეს გამოსვლა ყველას აინტერესებდა. დიდი გულისყურით უსმენდა მის გამოსვლას კონკურსის საპატიო სტუმარი ბელგიის დედოფალი ელისაბედიც.

საბჭოთა და უცხოეთის პრესა დიდ ყურადღებას უთმობდა კონკურსის მიმდინარეობას.

ბევრს წერდა ქართველ პიანისტთა ოსტატობაზე პ. ჩაიკოვსკის

სახელობის მეორე საერთაშორისო კონკურსის პრეს-ცენტრის პრეს-ბიულეტენი რუსულ და ინგლისურ ენებზე.

პრეს-ბიულეტენი, რომელშიც თანამშრომლობდნენ საბჭოთა და მოსკოვში აკრედიტებული უცხოელი კორესპონდენტები, დიდ ყურადღებას უთმობდა ელისო ვირსალაძესა და მარინე გოგლიძე-მდივანს. პრეს-ბიულეტენის მე-8 ნომერში დაიბეჭდა საუბარი ცნობილ საბჭოთა პიანისტ ვ. მერქანოვთან. მისი აზრით მარინემ გვიჩვენა „პიანისიმის ფართო მასშტაბი, ქვემარტივ არტისტიზმი“.

პრეს-ბიულეტენში გამოქვეყნდა გაზეთ „იზვესტიის“ მუსიკალური მიმომხილველის საინტერესო სტატია, რომელშიც განხილული იყო ქართველ პიანისტთა გამოვლენები მე-2 ტურში. ავტორი მაღალ შეფასებას აძლევდა მარინეს ოსტატობას, მის ნიჭს, აღნიშნავდა, რომ იგი დიდი მასშტაბის პიანისტია. ამასთან კრიტიკულად არჩევდა მარინეს მიერ ლისტის სონატის სი-მინორის შესრულებას. ამ ნაწარმოების შესრულება, — წერდა ა. ზოტოვი, — მუსიკის დიდ ოსტატებსაც კი უჭირთ.

ელისო ვირსალაძე

აი რას ამბობდა მერქანოვი ელისოზე: „შესანიშნავი ნიჭით ბრწყინავს მთლად ახალგაზრდა ელისო ვირსალაძე, ეს არის საოცარი და ნათელი ტალანტი, რომელშიც შეხამებულია ტემპერამენტი, ნათელი ფანტაზია, შესანიშნავი ოსტატობა. მე გამახარა ავტორის ჩანაფიქრში მისმა ღრმად ჩაწვდომამ (მაგალითად, პროკოფიევის მე-2 სონატაში)“.

ელისო ვირსალაძის უკანასკნელ გამოსვლაზე (მე-2 ტურში) პრეს-ბიულეტენში ვკითხულობთ: „სცენაზეა ელისო ვირსალაძე. დარბაზი მოჯადოებული უსმენს. ქალიშვილი უკრავს არაჩვეულებრივი სიფაქიზით, დიდი შთაგონებით. ძლიერი ეფექტით და არტისტულად ასრულებს იგი ლისტის „ესპანურ რაფსოდias“. ქუხს ტანი. დარბაზი ხარკს უხდის ახალგაზრდა არტისტის გასაოცარ მომხიბვლევლობას“.

მსოფლიოს მუსიკალური ახალგაზრდობის უდიდესი პაექრობა, რომელიც ერთ თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა „მსოფლიოს მუსიკალურ დედაქალაქში“ — მოსკოვში, 1962 წლის 7 მაისს დამთავრდა.

კონკურსის მონაწილე მსოფლიოს 33 ქვეყნის სახელმწიფო დროშები ამაყად ფრიალებდნენ მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის შენობის წინ, რომლის ფასადზე რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე გაკეთებული წარწერები გვამცნობდნენ, რომ 9. ვლ. აღფინძი

მოსკოვში ჰყვოდა მსოფლიოს მუსიკალური გაზაფხული. აქ ერ-
აქანეთს ეცილებოდნენ ჩვენი დროის ახალგაზრდა ხელოვანნი.

მოსკოვის მუსიკალური გაზაფხულის დიდი თაიგული უკანასკ-
ნელი ვარდებით შეამკო ელისო ვირსალაძემ.

მთავრობის ლოქაში იძყოფებოდა კონკურსის საპატიო სტუ-
დარი ბელგიის დედოფალი ელისაბედი.

კონკურსატორიის დიდ დარბაზში იყვნენ მუსიკალური მსოფ-
ლიოს ვარსკვლავები. ბევრი საბჭოთა და უცხოელი სტუმარი.
კონკურსის პრეს-ცენტრის ხელმძღვანელი ცნობილი საბჭოთა პიანისტი ა. მედვედევი ხუმრობით ამბობდა: — მუსიკის თბილისელი ჰოყვარულები, როგორც ჩანს, არ ჩააორჩებიან ფეხბურთის გულშე-
მატიყერებს. ნახეთ, რაძდენი თბილისელია დარბაზში!.. მართლაც
რსეთი შთაბეჭდილება იყო, თათქოს ნახევარი თბილისი მოსკოვში
ჩამოსულიყო.

არა მარტო თბილისი და მოსკოვი, არამედ მთელი მუსიკალური
მსოფლიო უსმენდა მაშინ ელისო ვირსალაძეს. ახალგაზრდა ქართ-
ველმა პიანისტმა კემმარიტი არტისტიზმით და დიდი ვირტუოზუ-
ლობით შეასრულა შუმანის კონცერტი ლა-მიზორი და ჩაიკოვსკის
პირველი საფორტეპიანო კონცერტი. ელისო საკონცერტო პროგ-
რამას ასრულებდა მოსკოვის სახელმწიფო ფილარმონიის სიმფონი-
ურ ორკესტრთან ერთად. ორკესტრს დირიჟორობდა რსფს რესპუბ-
ლიკის დანსახურებული არტისტი კ. კონდრაშინი.

ელისომ კემმარიტად მოიხილა დარბაზი. ერთმა უცხოელმა
კორესპონდენტმა, რომელაც თავისი თანამემამულის მოსასმენად
შოვიდა, სთქვა — ვირსალაძე დიდი მასშტაბის პიანისტია. იგი ამო-
ჩავალი ვარსკვლავია მუსიკაში.

ვირსალაძემ გამოავლინა ავტორთა ჩანაფიქრში ღრმად ჩაწე-
დომის უნარი. ნაწარმოებთა ორიგინალური აღქმა. გასაოცარი
ტექნიკით და პიანისტის შესანიშნავი ტალანტით მოხიზლა მოსკო-
ველი და უცხოელი მსმენელები — შენიშნა ქურნალ „სოვეტსკაია
მუზიკას“ კორესპონდენტმა.

შუმანისა და ჩაიკოვსკის ნაწარმოებების შესრულების შემ-
დეგ დარბაზი „ბრაუოს“ შექმნილებით და მხურვალე ოვაციით
ეგებებოდა ქართველ პიანისტს. ასეთი იშვიათი წარმართა
ბევრს არ რგებია კონკურსზე. ელისოს. პროგრამის პირველი ნაწი-
ლის შესრულების შემდეგ, მიართვეს ყავილების დიდი თაიგული.
ეს პირველი შენთხვევა იყო კონკურსზე. საკონკურსო კონცერტო
კრანსლიარებული იყო საკავშირო რადიოთი და მოსკოვის ტელევი-
ზიით.

ელისო ვირსალაძის გამოსვლით დაახურა მსოფლიოს მუსიკა-

ლური ახალგაზრდობის დიდი ფორუმი. კონკურსის ეიურის წევრებს, კონკურსის საპატიო სტუმრებს, გამოჩენილ საბჭოთა მუსიკოსებს ვესაუბრეთ ქართველ პიანისტთა ოსტატობაზე, მათ გამოსვლებზე კონკურსში.

ლენინური პრემიის ლაურეატმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა არამ ხაჩატურიანმა თქვა — მშვენიერია მდივანი, ვირტუოზულია ვირსალაძე. საქართველოს შეუძლია იამაყოს ასეთი პიანისტებით.

ეიურის წევრმა გამოჩენილმა საბჭოთა კომპოზიტორმა დ. კაბალეუსკიმ განაცხადა — ვირსალაძისაგან ბევრს მოველოდით, მაგრამ მან ყოველგვარ მოლოდინს გადააქარბა.

წარმატებით გამოსვლა მხურვალედ მიულოცეს ელისოს პიანისტთა კონკურსის ეიურის ვიცე-თავმჯდომარემ ფრანგმა მუსიკოსმა დე გონტო ბირონმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ი. კოზლოვსკიმ, კომპოზიტორმა ალ. მაჭავარიანმა, ამერიკელმა პიანისტმა სიუზინ სტარმა და სხვებმა.

გვიან ღამით გაიმართა პიანისტთა კონკურსის ეიურის სხდომა. ხოლო შემდეგ ეიურის თავმჯდომარემ ემილ გილელსმა გამოაცხადა გამარჯვებულთა სახელები.

პირველი პრემია მოიპოვა ჯონ ანდრუ ჰოვარდ ოგდონმა (დიდ ბრიტანეთი).

მეორე პრემია მიენიჭა სიუზინ სტარს (აშშ).

მესამე პრემია — ელისო ვირსალაძეს (სსრკ).

მეოთხე პრემია — მარინე გოგლიძე-მდივანს (სსრკ).

მეხუთე პრემია — ვ. კამიშოვს (სსრკ).

შექვესე პრემია — ა. ნესადკინს (სსრკ) და ქრისტიან ბიიო. (საფრანგეთი).

ეიურიმ კონკურსის საპატიო დიპლომებით დააჯილდოვა დ. სახაროვი (სსრკ), რომი ვინსენტ ბოგასი (აშშ) და ჟან ბერნარ პომიე (საფრანგეთი).

ზეიმით დამთავრდა ახალგაზრდა მუსიკოსთა დიდი პაექრობა — მოსკოვის მუსიკალური გაზაფხული. სასიხარულო და საამაყო, რომ ქართველმა პიანისტებმა ელისო ვირსალაძემ და მარინე გოგლიძე-მდივანმა დიდი გამარჯვება მოიპოვეს. ეს არა მარტო მათი, არამედ მთელი ქართული საფორტეპიანო სკოლის დიდი გამარჯვებაც არის.

მოსკოვე

ლიმილით მოთხრობილი ამბავი

ეს მოხდა მუსიკოს-შემსრულებელთა ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსზე, მოსკოვში, ამ ათიოდე წლის წინათ.

იმ წელს მისი უდიდებულესობა ბელგიის დედოფალი ელისაბედ მეორე — მუსიკის ცნობილი მეცენატი ჩამობრძანდა მოსკოვში, როგორც კონკურსის საპატიო სტუმარი, მაგრამ ჩემთვის, როგორც მოსალოდნელი იყო, სავიზიტო ბარათი არ გამოუგზავნია.

სად მე და სად დედოფალი?! მე ხომ მხოლოდ ჟურნალისტი ვიყავი. ასეთ შემთხვევაში ჟურნალისტები, მუჰამედისა და მთის გავისა არ იყოს, თვითონ მიდიან დედოფალთან ინტერვიუს ასაღებად.

რას იზამ, როცა მთა შენთან არ მოდის?!

„ელისაბედ II და ელისო III“, — ჩაენიშნე ჩემს უბის წიგნაკში და მე, გელათის სამონასტრო ყმა-გლეხების შორეული შთამომავალი და სამურზაყანოელი აზატების ძვილი, ისე ვცახელ ბელგიის ტახტის გვირგვინოსანს, თითქოს სუპერგიგანტი სახელმწიფოს ტახტის მემკვიდრე პრინცი ეყოფილიყავი.

გზადაგზა პათეტიკურად ვიმეორებდი პოეტის ცნობილ სტრიქონებს:

«У советских собственная гордость,
На буржуев смотрим с высота».

მეც ზევდიან დავყურებდი დედოფალს (ქანდარაზე ვიჭეკი).

შაინც ვღელავდი. ფერი არ მედო სახეზე.

მეშინოდა, არ წამომცდენოდა ფრაზა:

— „ამხანაგო ბელგიის დედოფალო“ ან რაღაც სხვა ამის მსგავსი „მკრეხელობა“ არ ჩამედინა და დიპლომატიური ეთიკეტი არ დამერღვია.

ჩემს მღელვარებას ისიც აძლიერებდა, რომ დედოფალს ახლდნენ „უკვდავნი ამა ქვეყნისანი“ — დიმიტრი შოსტაკოვიჩი, არამხატვრიანი, ემილ გილელსი და სხვა დიდი და მცირე ვარსკვლავები.

მაგრამ ყველაფერი კარგად მიდიოდა.

შესანიშნავი სიტყვა „ამხანაგი“ დროებით გადავივიწყე (რომელი ჩემი ამხანაგი იყო ბელგიის დედოფალი?!) და სულ „თქვენო უდიდებულესობავ!“, „თქვენო ბრწყინვალეობავ“ — მეკერა ენაზე.

ისე, კაცმა რომ თქვას, მე უფრო ელისო ვირსალაძეს ვეძებდი ინტერვიუს ასაღებად და არა ელისაბედ II.

მაგრამ ხდება ხოლმე — 18 წლის გოგოს ეძებ და ხელში სამოცი წლის დედოფალი შეგრჩება.

ძთავარია ასეთ ჟამს მომენტი არ გაუშვა ხელიდან.

— თქვენო აღმატებულებაჲ, — ვამბობ მე და ჩემივე ხმა მაკრთობს.

ეტყობა ძალიან ხმამაღლა მომივიდა. დედოფალმა იმწამსვე მომაქცია ყურადღება.

— თქვენო უდიდებულესობაჲ, როგორ მოგწონთ ელისო ვირსალაძის საშემსრულებლო ოსტატობა?

გვირგვინოსანმა ოდნავ გაიღიმა.

ეტყობა ასეთი მოწყალე ღიმილი დედოფლისა ერთ იმპერიად ღირდა, როცა ის 18 წლისა იყო, მაგრამ ერთ გლახა ჯუჯა სახელმწიფოდ ახლაც ღირს, — გავიფიქრე მე, და როგორც გერმანელები იტყვიან, „ყურად გადავიქეცი“.

— როცა ელისო უკრავს, მე თავს ვგრძნობ საოცრებათა ქვეყანაში... — მოვისმა დედოფლის ხმა და მე მოკრძალების წიშნად თავი იმდენად დაბლა დავხარე, შემეშინდა ძველქართული „თავ ყანის ცემა“ არ გამომსვლოდა და შუბლით იატაკს არ დავჯახებოდი.

სანამ თავი აეწიე, დედოფალი უკვე სხვის კითხვებზე იძლეოდა პასუხს.

მაგრამ ფარ-ხმალი არ დავყარე, იხტიბარი არ გავიტეხე და ისევ შევეკითხე ბელგიის დედოფალს:

— რა აზრისა ხართ კონკურსის მონაწილე სხვა ქართველ პიანისტ ქალთა საშემსრულებლო ოსტატობაზე? (მხედველობაში მყავდა მარინე გოგლიძე-მდივანი და ციალა კვერნაძე).

კვლავ მოწყალედ გადმომხედა დედოფალმა და განეხვნენ ბაგენი მისნი:

— ფრიად მომეწონა თქვენი პიანისტები. მეტად მუსიკალურნი არიან. ისინი ამჟღავნებენ მუსიკოს-შემსრულებელთა თვითმყოფადი სტილის ელემენტებს.

ინტერვიუ დაუყოვნებლივ გადმოვეცი ტელეგრაფით თბილისში.

ბელგიის დედოფალთან საუბარი ძალიან მოკლე აღმოჩნდა და გაზეთ „კომუნისტში“ სულ ასიოდე სტრიქონი ექირა. მაგრამ ასწელსაც რომ ვიცხოვრო, არასოდეს დამავიწყდება ის დღე და საათი, როცა მეორედ შევეკითხე დედოფალს:

— თქვენო უდიდებულესობაჲ, ელისოს მესამე ადგილზე განოსვლის გამო ელისო III -ეს ეძახიან ჟურნალისტები. თქვენ რო-

გორ ფიქრობთ. ეს ნამდვილი დედოფლების წოდების ხელყოფა ხომ არ იქნებოდა?

— ელისო III? — გაიღიმა დედოფალმა, — კარგია ელისო, მართლაც მუსიკის დედოფალია... შეიძლება მას დედოფლური სახელი მივცეთ — ელისო III.


— ელისო III იქცევა ელისო I-ად, — თქვა ამ დროს ერთმა ევროპელმა ჟურნალისტმა, — ამით განსხვავდებიან მუსიკის დედოფლები ტახტის დედოფლებისაგან.

ახლა მისი ნათქვამი.

დღეს ელისო III კეშმარიტად ელისო I გახდა.

...და როდესაც ჩემი პატარა ბიჭი მთხოვს ძილის წინ ზღაპრის მოყოლას, მე მას ვუყვები ჯადოსნურ ზღაპარს იმაზე, თუ როგორ აქცია ფორტეპიანომ დედოფლად ერთი შეხედვით სულ უბრალო პატარა გოგონა ელისო, რომელსაც არა აქვს მეფის გვარი, მაგრამ მუსიკაში არამც თუ დედოფალი, ნამდვილი მეფეა.

და მისი, ალბათ, ყველა დედოფალს შურს დედამიწაზე.



უხუთელი მწერლები

პოეტი, რომელიც ხუნტაზე ძლიერია...

პაბლო ნერუდა

საოცრად დინამიურია XX საუკუნე. როცა ამ სტატიის წერა დავიწყე. პაბლო ნერუდა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ჯერ კიდევ სცემდა ჩილეში პოეტის მგზნებარე გული, რომელიც მთელ სამყაროს იტევდა, და ვიდრე დავამთავრე ამ სტრაქონების წერა. ტელეტაიშმა ქვეყნის კიდედან — ჩილედან შავი ამბავი ძოიტიანა, პაბლო ნერუდა გარდაიცვალა...

ჩილეში. ამ შორეულ ქვეყანაში. სადაც ისტორიამ სულ ახლახან გაითამაშა ისეთი სისხლიანი ტრაგედია. რომლის მსგავსი არც ესაჩილეს და არც შექსპირს — ძველი და ახალი ტრაგედიების მსოფლიო მამებს. — სიზმარშიც არ მოლანდებიათ. არსებობს ერთი პატარა ადგილი. რომელსაც ეგზოტიკური სახელი — ისლა ნეგრა ჰქვია...

ისლა ნეგრასკენ არის დღეს მიპყრობილი მსოფლიოს მზერა...

ისლა ნეგრა ქართულად შავ კუნძულს ნიშნავს...

შავი ღრუბლები ჩამოწვა დღეს ისლა ნეგრაზე...

აქ, წყნარ ოკეანეში ჩაკარგულ კუნძულზე, ერთ თეთრ სახლში ცხოვრობდა პაბლო ნერუდა — თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი პოეტი.

ამ თეთრი სახლის ირგვლივ ანდების პიტალო და მკაცრი, შიშველი კლდეებია. რომლებსაც ეხეთქებიან წყნარი ოკეანის მრისხანე ტალღები.

წყნარი ოკეანე სულაც არ არის წყნარი და ამიტომ პოეტის ბინა ოკეანის მარადიული ხმაურით არის ყოველთვის სავსე... აქ ხის

ქანდაკეების და ზღვის ნიჟარების ეგზოტიკურ სამყაროში, ზღვის ქარების მარადიულ ქროლვასა და ზღვის ფრინველების ჟივილ-ხივილში იზადებოდნენ ნერუდას ლექსები, რომლებმაც ზღვის რომანტიკულ ფრინველებზე — ალბატროსებზე უფრო შორს ისწავლეს ფრენა და ხომალდებზე უკეთ — ტალღების გაბობა და გადალახვა.

ნერუდას ურთომო, თავისუფალი ლექსები თითქოს მათი ავტორის თავისუფლებისკენ მარადიულ სწრაფვას გამოხატავენო. ოკეანის ტალღებივით ეფინებიან მსოფლიოს ნაპირებს...

ისლა ნეგრაზე ქმნიდა თავის გრანდიოზულ პოეტურ ეპოპეას პაბლო ნერუდა — ავტორი ისეთი ნაწარმოებებისა, როგორიც არის „საყოველთაო სიმღერა“ და „ესპანეთი — გულში“, „კუბის პიშნები“ და „დაე გაიღვიძოს ტყის მჭრელმა“, „ვეროპის ვენახები“ და ტრიპტიხი სტალინგრადზე („სიყვარულის სიმღერა სტალინგრადს“, „სიყვარულის მეორე სიმღერა სტალინგრადს“, „სიყვარულის მესამე სიმღერა სტალინგრადს“).

პაბლო ნერუდა წერდა: „მე დავიბადე, რომ ქებათა ქება მეთქვა სტალინგრადისათვის“.

ის არაერთხელ ყოფილა, საბჭოთა კავშირში. ხოლო მისი ერთ-ერთი საინტერესო ლექსი „სტალინი“ ქართულ ენაზე თარგმნა გამოჩენილმა პოეტმა ილო მოსაშვილმა და გაზეთ „კომუნისტში“ გამოაქვეყნა ჯერ კიდევ 1951 წელს.

უფრო გვიან ნერუდას ლექსები ქართულად თარგმნეს და მის პოეზიას ქართველი მკითხველის გულისაკენ გზა გაუხსნეს მუხრან მაჭავარიანმა, არჩილ სულაკაურმა, მორის ფოცხიშვილმა, გივი ძნელაქემ და სხვა ცნობილმა ქართველმა პოეტებმა.

ქართულად გამოიცა ნერუდას წიგნები „ლექსები“ და „საყოველთაო სიმღერა“. მის შემოქმედებას ბევრი საინტერესო წერილი უძღვნეს გურამ ასათიანმა, კარლო ქილარჯიანმა, გურამ გოგიშვილმა და სხვ.

შევითვისეთ და შევიყვარეთ საქართველოში პაბლო ნერუდას გასაოცარი, ფილოსოფიური სიბრძნით სავსე და ჰუმანიზმის უკვდავი შუქით გამთბარი პოეზია.

..და უცებ მოიღრუბლა პოეზიის ცა. შავი ამბები მოვიდა შავი კუნძულიდან...

რეაქციის შავმა ღრუბლებმა დაფარეს ჩილე და დიდ ოკეანეში ჩაკარგული პატარა თეთრი სახლიც ისლა ნეგრაზე...

არა მარტო ევროპა, მთელი მსოფლიო შეაწუხა ნერუდას ბედმა. უკანასკნელი დღეების მანძილზე მსოფლიოს რადიოსადგურები შეშფოთებით კითხულობდნენ: სად არის პაბლო ნერუდა? მაგ-

რამ, როგორც დიდი ილია ჭავჭავაძე იტყოდა — არსაიდან ხმა, არსით ძახილი...

არავინ არაფერი იცოდა პაბლო ნერუდას შესახებ.

ეტყობა, ხმასაც ატუსაღებენ პინოჩეტის ხუნტის ჟალათები... ადამიანის ხმასაც.

მაიაკოვსკი ამბობდა: თუ მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე აღმოჩნდა ჩემი ლექსები, მას ძებნა უნდა დაუწყოს მტერმა, როგორც საშიშ იარაღს.

მაიაკოვსკი ასე ფიქრობდა: მისი ლექსები, თუ ისინი ნამდვილი ლექსებია, მტრისათვის საშიში უნდა ყოფილიყვნენ, ვითარცა ნაღმები.

ჩილე დანაღმული იყო ნერუდას ლექსებით... კომუნისტ პაბლო ნერუდას მეტროპოლი ლექსებით, რომლებიც ვულკანური ლავით აქუნთქავენ...

ნერუდას ლექსებზე უფრო საშიში იარაღი არაფერი ეგულება ჩილეში ხუნტისთვის პინოჩეტის.. ამიტომ არავის ეეჭვებოდა. რომ ზენტა ანგარისს გაუსწორებდა ნერუდას. და, სამწუხაროდ, ჯამართლდა ეს ვარაუდი.

ევროპამ შარშან პაბლო ნერუდას ნობელის პრემია მიანიჭა.. უფრო ადრე მას მიენიჭა ლენინური პრემია ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის.

და აი ჩილეში გაუგონარი ტრაგედია დატრიალდა.

მსოფლიო ეძახდა თავის რჩეულს:

— სადა ხარ, პაბლო?..

მაგრამ დუმდა ყველა და ყველაფერი.

ცნობილი მწერალი პარიზიდან მოითხოვდა:

— მიეცით სიტყვა პოეტის მეუღლეს მათილდა ნერუდას. მე სხვას ვერავის ვერ დავუჭერებ. მსოფლიომ არაფერი იცის პაბლო ნერუდას შესახებ.

მწერალს ეშინოდა, რომ მატრლდას არავინ მისცემდა სიტყვას პირისისხლიანი პინოჩეტის რეჟიმის პირობებში. მით უმეტეს, დასძენდა ფრანგი მწერალი, — რომ ორტენსია ბუსი დე ალიენდეს თავისი მეუღლის ნეშტიც კი არ აჩვენეს, ისე დამარხეს პრეზიდენტი, ვით კერძო პირი.

მწერალი ჩილეს მდგომარეობას ადარებს ინდონეზიაში მომხდარ — „გრძელი დანების ღამეებს“, როცა XX საუკუნის ბარბაროსებმა კომუნისტების თავის ჭალებით მოკირწყლეს კუნძულ იავის ყველა გზა.

პაბლო ნერუდას მეგობარი მწუხარედ დაჰყურებდა პარიზში, თავის ბინაში იმ სკამს, რომელზეც იჯდა პაბლო ნერუდა, იმ სა-

წოლს. რომელშიც იწვა პაბლო ნერუდა, იმ მაგიდას, რომელზეც
ლეკაეზა წერდა პაბლო ნერუდა, და მოითხოვდა ებსნათ ხუნტაა
სისხლიანი რეჟიმის კლანჭებიდან პაბლო ნერუდა — ჩილეს ჩი-
რალდანი.

ხუნტამ ანდების მთაგრეხილებზე უფრო მაღალი კედელი შე-
მოავლო ჩილეს, რომ კაცობრიობამ არ დაინახოს ის ბარბაროსუ-
ლი სისხლისღვრა. რომელსაც ადგილი აქვს ჩილეში.

მაგრამ სიმართლეს ისეთი ფრთები აქვს, რომ ანდები რა არის.
ევერესტის მწვერვალზე მაღლაც ძალუძს ფრენა...

და. აჰა ევროპაშიც მოფრინდა ქვეყნის კიდედან პირველ
ცნობები...

ხუნტილთავეა აუგუსტო პინოჩეტიმ ამ დღეებში ინტერვიუ მი-
ცა ფრანგ ჟურნალისტ ბერნარო როზოს.

ეს ინტერვიუ ტელეფონით მიმდინარეობდა, ხუნტის მეთაურს.
ეტყობა. თავისი ბუნაგიდან გამოსვლისა ეშინოდა. ფრანგმა ჟურ-
ნალისტმა ხუნტის მეთაურთან ინტერვიუს დროს აღნიშნა. რომ
მსოფლიო პრესაში გავრცელდა ცნობა, თითქოს სანტ-იაგოში სამო-
ქალაქო ბრძოლების დროს დაიღუპა ნობელის პრემიის ლაურეა-
ტი. ჩილეს ეროვნული პოეტი პაბლო ნერუდა. სხვა ცნობის თანა-
ხმად, თითქოს პოეტმა ვერ გადაიტანა ჩილეში მომხდარი ტრაგე-
დია და გარდაიცვალა.

ამის პასუხად ხუნტისთავმა განაცხადა:

„არა. ნერუდა არ მომკვდარა, ის თავისუფალა. ის სარგებ-
ლობს მოძრაობის სრული თავისუფლებით, თუ შეიძლება ლაპა-
რაკი ასე მიხრწნილი და ავადმყოფი ადამიანის მოძრაობის თავი-
სუფლების შესახებ. ჩვენ არავის არ ვკლავთ და, თუ ის მოკვდე-
ბა. მოკვდება ბუნებრივი სიკვდილით“.

ამ პასუხის ქვეტექსტში ჩანს ნამდვილი სოლდაფონური ლაპა-
რაკი პოეტის სიკვდილზე.

მსოფლიომ იცის, რომ ჩილეში დაიღუპა ათეულ ათასობით
ჩილეელი პატრიოტი. რა ფასი აქვს ამ ფონზე პინოჩეტის განცხადე-
ბას. „ჩვენ არავის არ ვკლავთ“.. ეს ცინიზმია და ყოველივე ადა-
მიანურის აბუჩად აგდება.

სისხლისმსმელი გენერლის გულგრილობით ლაპარაკობს პინო-
ჩეტა ნერუდაზე, თუ ის მოკვდება, ბუნებრივი სიკვდილით მოკვდე-
ბაო.

გენერლებს პოეზიაზე უჭირთ ლაპარაკი, თორემ სიკვდილი მ-
თი ხელობაა.

მეორე კითხვაზე, თუ სად არის ამჟამად პაბლო ნერუდა, პუტ-
ჩისტმა გენერალმა უპასუხა: „ის თავის სახლშია, ისლა ნეგრაში.“

მას საკმაოდ დიდი კარმიდამო აქვს. ნერუდა საარგებლობს ჩვენი ნერული პატივისცემით. ჩვენ ყველანი ვაფასებთ მას, რადგან ის „ეროვნული პოეტია“.

რა შეიძლება ითქვას ამ პასუხზე?

პირსესხლიანი გენერალი ცდილობს ჰუმანური ადამიანის როლი გაითამაშოს. მაგრამ მგელი ცხვრის ქურქშიც არ მოიშლის ძგლობას.

ერთმა მწერალმა თქვა:

როგორი განცხადებებიც უნდა გააკეთონ მკვლევებმა ან იმით, ვინც ცდილობს დაფაროს მასობრივი ხოცვა-ჟლეტა. არ შეიძლება დუმილი იმის ირგვლივ, რაც ხდება ჩილეში...

ამბობებულა მსოფლიოს სინდისი... ფეხქვეშ არის გათელილი სასართლიანობა, კანონი. კონსტიტუცია. ხალხის ნება და ცივილიზაციის მონაპოვარი... მაგრამ ცდება ხუნტა, როცა ფიქრობს. რომ ნერუდას სიკვდილი მას გაუადვილებს: დაუსჯელ პარპაშს ჩილეს არწახე.

პაბლო ნერუდას პოეზია არის ის ძალა, რომელიც პირსესხლი-ხუნტას ტანკებზე და რეაქტიულ ბომბდამშენებზე უფრო ძლიერია.

ნერუდას პოეზიის ფეთქებად ძალას შეუძლია დაანგრის ხუნტას არმია.

აჲ, გენერლები ბატონობენ ბომბით. ხოლო პოეტები გენერლებზე იმარჯვებენ ლექსით... პოეტები საფლავიდანაც შიშის ზარს აკვირან თავით ფეხთამდე შეიარაღებულ არმიებს...

უძლეველია პოეზია. რადგან მას მხეცშიც შეუძლია გაადვილოს ადამიანური საწყისები. ან არაადამიანური შიში და ძრწოლა ადამიანური ძალის მიმართ.

პაბლო ნერუდას მსოფლიო უწოდებს „ჩილეს სინდისს“. გენერალ პინოჩეტის სურდა ჩილეს სინდისი პატიმრობაში ჰყოლოდა.

მაგრამ რა უნდა იყოს ამაზე დიდი უგუნურება?

სიმართლისა და სინდისის ციხე ვის გაუგია? ასეთი ციხე ბუნებაში არ არსებობს.

რა საცოდავად გამოიყურება კაცუნა გენერალი პინოჩეტი პოეტ პაბლო ნერუდას გიგანტური ფიგურის წინაშე!

მე რამდენიმეჯერ მინახავს ტრიბუნაზე პაბლო ნერუდა და მომისმენია მისი ღვთაებრივი ესპანური სიტყვა და ლექსი.

მე მომისმენია მასზე მოგონებები, მოგონებები კი არა, ბრწყინვალე წველები, ილია ერენბურგის, კონსტანტინე სიმონოვის, ნაზიმ ჰიქმეთის მიერ მოთხრობილი...

არა, პაბლო ნერუდა არ მომკვდარა!

მე ასე წარმომიდგენია პაბლო ნერუდა:

წყნარ ოკეანეში ჩაკარგულ კუნძულზე ჰქუხს და ბობოქრობს ის კალარა პრომეთეოსი...

ბორკილის დაღება მას უგუნურმა გენერლებმაც კი ვერ შეჰბედეს, რადგან შეუძლებელია პოეზიას ბორკილი დაადო...

პოეტს სიკვდილის წინ ერთი გოჯი მიწა მოუხაზეს საცხოვრებლად გონებაჩლუნგმა გენერლებმა, მაგრამ მათ ავიწყდებოდათ, რომ პაბლო ნერუდას პოეზია უნაპიროა, მას მსოფლიოც არ ჰყოფნის საასპარეზოდ.

ხუნტის გენერლები თავს იტყუებდნენ. მათ ტყვეობაში ჰყავდათ არა პაბლო ნერუდა, არამედ მოქალაქე ნეფტალი რიკარდო რიეის. პოეტი პაბლო ნერუდა მთელი კაცობრიობის შვილია, ის მარად თავისუფალი და მარად ცოცხალია. მისი დაპატიმრება არავის ძალუძს.

ხუნტები მიდიან და მოდიან, მაგრამ რჩება ჩილე და მისი თავისუფლებისმოყვარე ხალხი. მაშასადამე, მარადყამს, საუკუნეებში დარჩება პაბლო ნერუდას უკვდავი სახელი.

მისი პოეზია — ეს არის კაცობრიობის საყოველთაო სიმღერა.

1948 წელს, ახსოვს მატიანეს, ჩილეს სენატში სენატორმა პაბლო ნერუდამ წარმოთქვა მგზნებარე სიტყვა, რომლის ექო დღემდის გუგუნებს ჩილეს დაბომბილი პარლამენტის თაღებქვეშ. ის ხმა ხუნტას ბომბების ხმაურმაც ვერ ჩაახშო.

ნერუდამ იმ სიტყვაში, რომელსაც მთელი ჩილე უსმენდა. პრეზიდენტ გონსალეს ვიდელას კომპარტიის აკრძალვის გამო სამშობლოსა და დემოკრატიის მოღალატე უწოდა.

ნერუდამ ისეთი სილა გააწნა მაშინ პრეზიდენტს, რომ მისი ლაწანი ოკეანის გაღმიდან ევროპაშიც კი გაიგონეს.

ეტყობა, იმ მაგიურმა სილამ სამხედრო დიქტატორ პინოჩეტის ოცდახუთი წლის შემდეგაც აუწვა ლოყა.

ნერუდამ ის სილა არა მარტო ვიდელას, არამედ ჩილეს ყველა რეაქციონერ პრეზიდენტს წინასწარ გააწნა, ერთხელ და სამუდამოდ ყველას, იმათაც, ვინც მომავალში მოვიდოდა.

იმ აქციის შემდეგ ნერუდა, როგორც ცნობილია, გაიქცა ჩილედან და სამი წელი ემიგრაციაში იყო.

პაბლო ნერუდა იმ წლებში წერს ბრწყინვალე ლექსს — „შენ, რეკაბარენ — ჩილეს მამა ხარ!“ ეს ლექსი ეძღვნება ჩილეს კომპარტიის დამაარსებელს და ბელადს ლუის რეკაბარენს.

ნერუდას ლექსებს „ესპანეთი — გულში“ სანგრებში ბეჭდავდნენ ჯარისკაცები მრისხანე 1936 წელს. ნერუდას ლექსებს ტყვიას

ესროდნენ ფრანკოს ჯალათები 1937 წელს, მაგრამ ვერ მოკლეს მისი ლექსი.

იმ წლებში ნერუდა ჩილეს რესპუბლიკის კონსული იყო ესპანეთში.

1942 წელს ჩილეს კონსული მექსიკაში პოეტი პაბლო ნერუდა მეხიკოს ქუჩებში პროკლამაციებით აკრავს თავის ლექსებს სტალინგრადზე.

ფაშისტები ტყვიას ესვრიან ნერუდას ლექსებს ევროპაში. მაგრამ ვერ კლავენ...

მეშახტეთა სენატორი, კომუნისტი პოეტი პაბლო ნერუდა 1943 წელს ქმნის მონუმენტურ პოემას „საყოველთაო სიმღერა“. ეს არის ლათინური ამერიკის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი ჰიმნი.

ნერუდას პოეზიას ვულკანს ადარებენ.

ღიახ, ეს არის მარადიული, მებრძოლა პოეზიის ჩაუქრობელი ვულკანი, რომლის მრისხანე ცეცხლი წალეკვით ემუქრება ყოველ ბოროტებას დედამიწაზე.

ნერუდას პოეზიას ოკეანეს ადარებენ.

ღიახ, ეს არის მარადიული, უკიდევანო ოკეანე. რომელიც წარღვნად არის მოვლენილი დედამიწაზე ყოველგვარი ბოროტების წარსახოცად.

ამიტომაც თრთის პინოჩეტის ეფემერული ხუნტა ამ მარადიული ცეცხლოვანი ვულკანისა და გრანდიოზული საშიშარი ოკეანის წინაშე.

როგორც ვხედავთ, ბევრი მიზეზი არსებობდა იმისათვის, რომ დიდი პოეტი „ბუნებრივი სიკვდილით“ მომკვდარიყო ხუნტის დიქტატურის პირველსავე დღეებში...

ჰალარა პრომეთეოსი — პაბლო ნერუდა ზევიდან დაჰყურებს ამ საცოდავ ეფემერიდებს...

საუკუნეებში იცოცხლებს კომუნისტი პოეტის პაბლო ნერუდას უკვდავი სახელი.

წყნარი ოკეანის წყლებში ჩაქარგულ შავ კუნძულზე ქარიშხლებს შეხლილი პატარა თეთრი სახლი იმედის შუქივით უნათებს გზას ჩილეს მრავალტანჯულ ხალხს და იმ შუქის ელვარება მარადიულია, როგორც ანდების პიტალო კლდეთა მრავლისმეტყველო დუმილი და მათი დაუოკებელი ლტოლვა ახალი სიმალეებისაკენ...

ახალი ვულკანის ამოფრქვევით იმუქრებიან ანდების ცაა შებჯენილი მწვერვალები.

მოსკოვში ბედნიერება მქონდა რამდენიმეჯერ 'შევხვედროდი თანამედროვეობის ერთ-ერთ გამოჩენილ პოეტს და ღრამატურგს, ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის საერთაშორისო პრეპიის ლაურეატს, მგზნებარე თურქ კომუნისტს ნაზიმ ჰიქმეთს.

ერთი შეხვედრა ყველაზე მეტად დამაშახლოვრდა ნაზიმ ჰიქმეთთან.

ეს იყო მწერალთა საკავშირო ყრილობაზე.

— ბატონო ნაზიმ! (მინდოდა მეთქვა ნაზიმ-ეფენდი. მაგრამ გადავიფიქრე, რომელი ეფენდი? ჩემს წინ კომუნისტი მწერალი იდგა, ბართალია, ფაშის შორეული შთამომავალი. მაგრამ მაისც კომუნისტი სულით და ხორციტ!) მოგწონთ გოეთე?

ნაზიმ ჰიქმეთმა გაიცინა და თქვა. რომ მას მოსწონს გოეთეს „ფაუსტა“ და „დასავლურ-აღმოსავლური ღიჳანი“. და რაიც იცის, თუ რატომ ვეკითხები ამას.

— განსაკუთრებით მომწონს ის ლექსი, სადაც ნათქვამია, რომ

უნდა გამოვტყდეთ! აღმოსავლელ პოეტთა ფაში
მეტია ვიდრე დასავლეთთა პოეტთა დასის.

ეს ისე თქვა ჰიქმეთმა. თითქოს ვილაკას, მესამე პირს ნიშნის მოგებით ელაპარაკებო. ის უხილავი „მესამე“ არსად ჩანდა.

— მე აღმოსავლელი პოეტი ვარ. თუცა მეტად მიყვარს ევროპა და სტამბულშიც აზიურ ნაწილს ევროპული მირჩევნია ბავშვობიდან. მაგრამ მე აღმოსავლელი პოეტი ვარ, — ისევე გაიქეორა ჰიქმეთმა. თუცა ჩემს გულში ერთად ეტევა მთელი კაცობრიობა და დასავლეთის ქეშმარიტი პოეტები მიყვარს. ისევე როგორც აღმოსავლეთის პოეტები. მე თაყვანს ვცემ მათ გენიას.

მრავალი წლის შენდეგ, როცა სტამბულში მოვხვდი, ჰიქმეთი ჰახანდებოდა და ევროპულ სტამბულს უდიდესი ინტერესით ვათვალიერებდი. მაგრამ იქ ჰიქმეთის სახელის ხსენებაც არ შეიძლება.

ერთხელ ბაქოში, ქალაქში. რომელიც ანე უყვარდა ჰიქმეთს, იმ მწერალთა საკავშირო კონფერენციაზე მოვხვდი. რომლებიც წერენ საწართლებრივი აღზრდის თემებზე. იქ სიტყვითაც მომიხდა გამოხვლა. როცა ავედი ტრიბუნაზე, ნაზიმ ჰიქმეთი წარმომიდგა თვალწინ. თითქოს მისი მომღიმარი ფიგურა შუა დარბაზში იდგა, იღიმებოდა და მკარნახობდა გოეთეს სტრიქონებს:

1 გოეთე. „დასავლურ-აღმოსავლური ღიჳანი“
(„ჰიქმეთ-ნამე“).

... აღმოსავლეთის პოეტთა უსი
მეტია, ვიდრე დასავლეთის პოეტთა დასის!

მე ვიმეორებდი ამ სტრაქონებს. დარბაზში ტანა ქვბლა

ტამს უკრავონენ გოგოთს და ჰიქმეთს...

ჰიქმეთი აშობდა, რომ ბაქო არის ქალაქი, სადაც მას შეუძლოა
უთარქინანოდ ელაპ: რაკის თავის მშობლიურ თურქულ ენაზე ახერ-
ბაიჯანელენს...

მოსკოვში, ინტერვიუს დროს ხუმრობით ვუთხარი ჰიქმეთს:

— გოეთე არა მარტო გენიალური პოეტი. არამედ დიდი ფუტუ-
როლოგიც ყოფილა.

— რატომ? — თქვა ჰიქმეთმა ბავშვური გულწრფელობით.

— თქვენ დაბადებულნი არ იყავთ, ხოლო მან იკრძა, რომ
ქვეყნად ასი წლის შემდეგ მოვიდოდა დიდი პოეტი ჰიქმეთი და თა-
ვის „დასავლურ-აღმოსავლურ დივანში“ წინასწარ მთელს წიგნს
უძღვნა მას „ჰიქმეთ-ნამეს“ სახელწოდებით.

ჰიქმეთმა გაიციანა.

ასე გულწრფელად იცინიან მხოლოდ პოეტები და ბავშვები...

მერე ჩემს მიერ მიწოდებულ მისი ლექსების წიგნზე ავტოგრაფა
დამიტოვა და მწერალთა ყრილობის მონაწილეთა შორის გაუჩი-
ნარდა.

ერთხელ საიუბილეო საღამოზე, რომელიც მოსკოვის ლიტერა-
ტორთა ცენტრალურ სახლში მოეწყო პოეტის დაბადებიდან 60
წლისთავის აღსანიშნავად, მთელმა მსოფლიომ მიულოცა პოეტი
ბედნიერი დღე. იმ საღამოს ჰიქმეთმა ტრიბუნიდან რუჟულად თქვა
თურქული აქცენტით: — უპირველეს ყოვლისა მე ვარ ადამიანი. მე-
რე კომუნისტი, მერე პოეტი და შემდეგ კი თურქი. ზოგადკაცობრი-
ულს, კომუნისტურს ჰიქმეთი ეროვნულზე, ეთნოგრაფიულზე მაღ-
ლა აყენებდა. იგი იყო მსოფლიოს მოქალაქე და ამავე დროს ეროვნუ-
ლი თურქი პოეტი, რომლისთვისაც საბჭოთა კავშირი მეორე სამ-
შობლო გახდა.

— ჩემი სამშობლო იქ არის, სადაც თავისუფლებათა! — თქვა ერ-
თხელ ნ. ჰიქმეთმა.

— თურქეთი ჩემი ღედაა! — აშობდა პოეტი, — მაგრამ ის ცი-
ხედ აქციის ჩემთვის და თავისუფლებისმოყვარე ყველა ადამიანისათ-
ვის. არ არსებობს უფრო რეაქციული პოლიცია, ვიდრე თურქეთში.
აბალგაზრდული საუკეთესო წლები ჰიქმეთმა ციხეში გაატარა.

დაუვიწყარია ნაზიმ ჰიქმეთის გამოსვლა სსრ კავშირის მწერალ-
თა მესამე ყრილობაზე მოსკოვში, კრემლის სასახლეში. რეაქციონე-
რი თურქი ეურნალისტი პრესის ლოქიდან გავიდა, როდესაც ნ. ჰიქ-
მეთმა განაცხადა:

— ძვირფასო საბჭოთა მწერლებო! მე ძალიან ვწუხვარ, რომ დღეს ამ ყრილობაზე არ შემიძლია წარმოვთქვა სიტყვა თავმდავლი სოციალისტური თურქეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მწერალთა კავშირის სახელით. მაგრამ იმედი მაქვს, რომ დადგება დრო და ამ ტრიბუნიდან ამ მისიასაც შევასრულებ!

მგზნებარე მებრძოლი და კომუნისტი ნ. ჰიქმეთი ცოცხალი არ არის, მაგრამ ვინ თქვა პოეტის სიკვდილი? მარად დარჩა მისი ცეცხლოვანი თურქული ლექსი.

ერთხელ ნიკოლოზ ტიხონოვმა თქვა ლიტერატურულ საღამოზე მოსკოვში: ფრედერიკ ჟოლიო კიურიმ ყველაზე ძნელ მომენტში, როცა მსოფლიო მშვიდობის საბჭომ ვერ მოძებნა ურთულესი პრობლემის გადაწყვეტის გზა, ყველაფერს თავი დაანება და ნაზიმ ჰიქმეთის ლექსების დეკლამირება დაიწყო თურმე:

„მე თუ არ დავიწვი,
შენ თუ არ დავიწვი,
მაშ ვინ გაანათებს ბნელს?!...“

დოლორეს იბარური... თანამედროვეობის დიდ მოღვაწეთა და მწერალთა მთელი კოჰორტები იმეორებდნენ ჰიქმეთის ცეცხლოვან სტრიქონებს, როდესაც უჭირდათ.

ჰიქმეთი მხნეობას ჰმატებდა მათ.

მოსკოველ სტუდენტებს, მოსკოვში მცხოვრებ ჟურნალისტებს დიდად გვაძნევებდა, რომ ჩვენს მეზობლად მოსკოვში ნოვოპესჩან-ნაიას ქუჩაზე ცხოვრობდა დიდი მწერალი ნაზიმ ჰიქმეთი.

ჩვენ თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით ჰიქმეთს. დააბიჯებდა ჩვენს შორის ეს გოლიათი ადამიანი.

ის დაიწვა, ის აენტო როგორც სხივი თურქეთის ცხოვრების ჯანლში, ის ანათებდა და ანათებს, რომ გაფანტოს ომის ღრუბლები...

ნაზიმ ჰიქმეთს უყვარდა საქართველო.

— საქართველო ათას ერთი ღამის ზღაპარია! — თქვა ჰიქმეთმა ერთ-ერთ ლიტერატურულ საღამოზე.

ნაზიმ ჰიქმეთის ლექსებმა თვალისმომპრეოდ გაიელფეს საქართველოს პოეტურ ცის კაბადონზე.

ჰიქმეთი მოკვდა, მაგრამ მისი საქმე და სახელი უკვდავია...

თითქოს კვლავ ჩამუშანის ყურში მისი უკვდავი სტრიქონები:

მე მკერდში თხუთმეტი დანა მაქვს გაჩრილი,
თვალეში თოფების ლულები მიცქერენ...
თუმც მტრების ხელებით მძიმედ ვარ დაპირილი, —
გული კი მაინც ძვრს
და მუღამ იძვრებს!..

აჩნია კრილობა მკერდს თხუთმეტ ადგილას,
თხუთმეტჯერ დაფლითეს ეს გული დალატიო.
დარწმუნდნენ,
რომ იგი არ კვდება ადვილად, —
ეს გული მაინც ძვერს,
იძვერებს მარადის!..
მოედო ხანძარი მკერდს
დაკრილს,
გათელილს,
დაიმტერა დანები,
სიციოცხლე ბრუნდება...
გული კვლავ ფართქლებს, ვით დროშა წითელი,
ეს გული ისევ ძვერს
და არ დადუმდება!!!

ჰიქმეთის გული უკვდავია...

ვენახი, რომელიც „მრისხანების მკვანებს“ ისხამს...

ჯონ სტეინბეკი

შსოფლიო ლიტერატურის ორასტომიან ბიბლიოთეკაში, რომელიც ამჟამად გამოდის მოსკოვში, შევიდა ამერიკელი მწერლის ჯონ სტეინბეკის „მრისხანების მტევნები“ — XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ამერიკული რომანი. ეს ქმნილება იყო მისი ავტორის აღმაფრენის უმაღლესი მწვერვალი.

ვიეტნამის ომის საკითხში მისი პოზიცია კი — მისი დაცემის ყველაზე უმაღლესი წერტილი.

უცნაურია ხილვათა და ასოციაციათა პირველი წყაროები. ყოველთვის, როდესაც კუს დავინახავ. ან დათვის, ამერიკელი მწერალი ჯონ სტეინბეკი წარმომიდგება თვალწინ. თუმცა ამაში არის ჭარბეული კანონზომიერებაც. ვისაც მეოცე საუკუნის უმნიშვნელოვანესი ამერიკული რომანი ჯ. სტეინბეკის „მრისხანების მტევნები“ წაუკითხავს, არ შეიძლება არ მოაგონდეს კუ, რომელიც მთელს რომანს გაივლის, როგორც მწერლის ერთ-ერთი მხატვრული სახე — სიმბოლო.

მიბობდავს კუ ჩრდილოეთიდან დასავლეთის შტატებისაკენ.

მე მქონდა შემთხვევა შევხვედროდი რეპორტიორის ბლოკნოტით ხელში მისტერ სტეინბეკს მოსკოვში, მას შემდეგ, რაც (ჰემინგუეის ტრაგედიის მერე) ის ამერიკის შეერთებული შტატების პირველ მწერლად აღიარეს.

სტეინბეკს დაწერილი ჰქონდა უკვე თავისი უკანასკნელი უმ-

ნიშნულთაგანისი რომანი „ზამთარი ჩვენი მღელვარებისა“; რიხთა-
ვისაც მას ნობელის პრემიაც მიაკუთვნეს...

— „მის მოკუტულ თვალს და სმენად ქცეულ ყურებს ალბ.თ-
არაფერი გამოეპარება“, — გაიფიქრე უნებლიედ და დრო რომ
არ დაშეკარგა, მყისვე საქმეზე გადავედი.

— „იქარტველი ჟურნალისტი გახლავართ. ნება მიბოძეთ რამ-
დენიმე შეკითხვა მოგკეთ.“

— „ჯორჯია? — გაიხეოდა მან და ცალი თვალი მოკუტა, ფრიალ
სასიამოვნოა. ე. ი. ორივენი ამერიკელები ვართ?“

მე ვიგრძენი ჰასუხის ორპლანიანი ქვეტექსტი. აშშ ერთ-ერთი
შტატი და საქართველოს ინგლისურ სახელწოდებათა იდენტუ-
რობის ბანალური შედარების იქით. ოდნავ გამოკრთოდა ირონია...

— რომელია თქვენი გაზეთი?

— „კომუნისტი“.

არც ეს ესიაშოვნა სტეინბეკს. მაგრამ არ შეომჩნია. მისი ანტი-
კომუნისტური ფიზიონომია ჩვენი საუბრიდან 5 წლის შემდეგ განსა-
კუთრებით ნათლად გამოვლინდა ვიეტნამის ომთან დაკავშირებით.
ის იყო დიდი მწერლის სულის მეფისტოფელური ფენომენოლოგია.
დიდების მწვერვალიდან მორალური სიკვდილის უფსკრულში გადა-
ხვება. მაგრამ სტეინბეკი რჩება იმიტომ, რომ მან შექმნა „მრისხანე-
ბის მტევნები“ და „ზამთარი ჩვენი მღელვარებისა“... ეს ნაწარმოე-
ბები განსაზღვრავენ მის ადამიანურ სახეს, ხოლო ვიეტნამის ომში
ამერიკელ ბარბაროსთა მოქმედების აპოლოგია — მის დემონურ
სახეს.

მაგონდება მწერლის ერთი მოთხრობის სათაური „ერთი მუჟა-
ოქრო“...

ერთ მუჟა ოქროდ ხომ არ მიჰყიდა ბოლოს სული სტეინბეკმა
მეფისტოფელს?!

როგორც ცნობილია. ტალანტი ანტიკურ ეპოქაში ოქროს ფუ-
ლის ერთეული იყო. ამიტომ, როცა მცხმის ფრაზა „სტეინბეკის ტა-
ლანტი“ უპირველეს ყოვლისა მახსენდება ოქროს ფული...

მაგრამ ეს იყო მერე. ჩვენი საუბრის დროს კი მასწი ფაუს-
ტური საწყისები სქარბობდა.

სტეინბეკმა ერთხელ კიდევ შემომხედა გამომცდელად. ცალი
თვალი მოკუტა და მკითხა:

— რით დაინტერესა ქართველი ჟურნალისტი ჩემმა პიროვნე-
ბამ?

— ეს ბუნებრივია, მისტერ სტეინბეკ, საქართველო ვაზის ქვეყა-
ნა და გვიანტერესებს სტეინბეკის ვენახს კვლავ ასხია თუ არა
„მრისხანების მტევნები“?

სტეინბეკმა იგრძნო ქარაგმა, გამომცდელად შემომხედა.

— ბლომად ასხია. ისევე როგორც საქართველოს ვაზებს. მე კიყავი საქართველოში 1947 წელს, მაშინ ვნახე თქვენი ვენახები.

— მაგრამ ხომ შეიძლება დადგეს „ზამთარი მღელვარებასა“ სტეინბეკის „მრისხანების მტევნებით“ დახუნძლულ ვენახში? ცვლავ შევაპარე მე. შით უმეტეს, რომ თქვენმა კოლეგამ, უილიამ საროიანმა, რამდენადაც ვიცი, უკვე დაწერა მოთხრობა „ზამთარი ვენახში“.

სტეინბეკმა ისევ უცნაურად შემომხედა და მისივე ნიჟარა

— ზამთრის დადგომა ბუნებას კანონია. მაგრამ იწამს, რომ არ არსებობს ბუნებაში სეტყვა. რომელმაც ჩემი ვენახის დანიანკა შეედლოს.

მე მჯერა, რომ ყოველ შემოღობაზე დაიწეება ღვინო ჩემს ვენახში.

მე არ დავწერ მოთხრობას ზამთრისა და ვენახის თემაზე. მაგრამ რაც შეეხება უილიამ საროიანს, მისი რეკომენდაციით ვპირებ ვენახს სომხეთი.

და სიცილით დაუმატა: როგორც ხელ ვთ. მე ავრონომიასა და შევენახეობა-მეოცინეობაში ვერკვევი.

მაგრამ, რამდენადაც ვიცი, მისივე სტეინბეკი, ამირი ელივი ვისკის უფრო ეტანებიან. ვიღოც ღვინოს? ცვლავ ე.ლიან შეიძინავს ვიძლევი.

— მე მაინც მიმაჩნია, რომ „ქეშმარიტება ღვინოშია“. — თქვა სტეინბეკმა და დაუმატა ღიმილით — საქართველოში არ გამიჭირდება თანამოაზრეების მოქებნა.

— რა დაგამახსოვრდათ საქართველოში პირველად ყოფნის დროს, მისტერ სტეინბეკ?...

— შეხვედრა ქართველ მწერლებთან. ქართველი ქალებისა და შამაკაეების სილამაზე... ნიუ-იორკში ვნახე თქვენი საუცხოო ბალეტრი. (როგორც ყველა ევროპელი და ამერიკელი სტეინბეკიც ქართულ ბალეტს ეძახის სუხიშვილისა და რამიშვილის ანსამბლს).

ეს საუბარი შედგა 1963 წლის გვიან შემოღობაზე. მერე სტეინბეკი თბილსს ეწვია.

თბილისში სამახსოვრო შეხვედრების შემდეგ მალე დაიწყო სტეინბეკის მზის ჩასვენება. სტეინბეკი დაადგა პენტაგონის ქება-დიდების გზას და, როგორც სამართლიანად შენიშნავდა ჩვენი დროის უდიდესი ფრანგი ჟურნალისტი და პუბლიცისტი ანდრე ვიურმსერი, სტეინბეკის მორალური სიკვდილი უფრო დასანანი იყო, ვიდრე პრეზიდენტის მკვლელობა.

სტეინბეკის მორალური დეგრადაციის წლებში მე მომიხდა ამერიკის კონტინენტზე ყოფნა.

მე თვითონ ვნახე, თუ როგორ გადასცემდნენ სტეინბეკის გაფრენას ვიეტნამის ფრონტზე ამერიკული ვერტმფრენით, როგორ ხარობდა სტეინბეკი, როცა მის სახელზე პირველი ზალპი დაუშინეს ამერიკელმა პირატებმა ვიეტნამელ პარტიზანებს. მათი ხელები მან ვიოლონჩელისტ კალზასის ხელებს შეადარა! (ნუთუ ასე შეიძლება დაეცეს დიდი ადამიანი?!)

ასე აღმოჩნდა მოწინააღმდეგე ბარიკადებზე სტეინბეკი.

სტეინბეკის გარდაცვალების თარიღად ამერიკულ და ინგლისურ ცნობარებში აღნიშნულია 1968 წელი.

ეს შეცდომაა, ბატონებო! სტეინბეკი მოკვდა უფრო ადრე. ის მოკვდა როგორც მწერალი და მოქალაქე, უფრო ადრე, ვიდრე ბიოლოგიურად მოკვდებოდა, ჯერ კიდევ 1966 წელს, როდესაც ვიეტნამელ პარტიზანებს დაუშინა 105 მილიმეტრიანი ჰაუბიცი. ეს სცენაც მე ვნახე ნიუ-იორკის ტელევიზიის ერთ-ერთი გადაცემის დროს. ნაგრამ მე ისიც მახსოვს, რომ მან უფრო ადრე ფაქტიურად ატომური ბომბი ესროლა ამერიკის შეერთებულ შტატებს, როცა გამოაქვეყნა რომანი „მრისხანების მტევნები“.

ჯონ სტეინბეკის ბომბი უფრო ადრე გასკდა, ვიდრე ნამდვილ ატომურ ბომბს გამოიგონებდნენ.

მოხდა საოცრება: სტეინბეკი და მისი რომანები ერთმანეთის საწინააღმდეგო ბარიკადებზე იბრძვიან: „...“

რომანები ებრძვიან ავტორს.

აღზევებული სტეინბეკი — მწერალი ებრძვის დაცემულ სტეინბეკს — მოქალაქეს. ეს შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ ბურჟუაზიულ სამყაროში.

მორალური სიკვდილიან კაობში ჩაიძირა ერთ დროს მორალური სისპეტაკის მწვერვალზე აღზევებული პიროვნება — ჯონ სტეინბეკი.

სტეინბეკის ტრაგედია კიდევ უფრო დაამახინჯა ამერიკის ისედაც ტრაგიკული სახე.

მაგრამ მისი საუკეთესო რომანები „მრისხანების მტევნები“ და „ზამთარი ჩვენი მღელვარებისა“ განაგრძობენ დამოუკიდებელ ცხოვრებას და იბრძვიან ჩვენს ბარიკადებზე. მოხუცი სტეინბეკის ნების საწინააღმდეგოდ და მათ ხმას ვერასოდეს ვერ ჩაახშობს 105 მილიმეტრიანი ჰაუბიცი სტეინბეკისეული საბედისწერო გასროლა..

სტეინბეკის კუ ისევ მიცოცავს ამერიკის მტვრიან გზაზე, როგორც ჭეშმარიტების გზაზე მიმავალი მიცოცავი ემპირიკოსის სიჭ-

ბოლო, მე ასე აღვიქვამ მას დღეს და იმ კუს ბებრული, დამცინავი თვალები კვლავ გამპოლავად იმზირებთან სივრცეში...

და მაინც ჰყვავის ვენახი, რომელიც „მრისხანების მტევნებს“ ისხამს ამერიკაში.

თითქოს ამაზე უთქვამს ბრძენ ქართველს, ხილი იხილე, მე-ბაღეს რას კითხულობო...

საქართველო და ამერიკელი პოეტი

რობერტ ფროსტი

ამას წინათ ამერიკული პოეზიი! ზვიად გამსახურდიასეულმა თარგმანებმა დიდი ესთეტიკური სიამოვნება განმაცდევინა.

როცა ამ მაღალმზატვრულ თარგმანებს ვკითხულობდი, თვალწინ წარმომიდგა შეხვედრა XX საუკუნის ერთ-ერთ დიდ ამერიკელ პოეტთან, რობერტ ფროსტთან, რომლის ბრწყინვალე ლექსები შესანიშნავად უთარგმნია ზვიად გამსახურდიას.

...ეს მოხდა მოსკოვში, ამ ათიოდე წლის წინათ.

იმ წელს, ზაფხულის მიწურულსა და შემოდგომის დამდეგს საქართველოში იმოგზაურა რობერტ ფროსტმა, რუსი მწერლის ალექსეი სურკოვისა და ერთი ამერიკელი პროფესორის თანხლებით. ის იყო საქართველოს შ.ვი ზღვისპირეთის კურორტებზე — გაგრა-სა და ბიჭვინთაში.

დაბრუნდა თუ არა მოსკოვში, ტელეფონით დავუკავშირდი პოეტს.

— ბატონო ფროსტ, როგორ მოგეწონათ საქართველო?

— ოო, საქართველო მართლაც ზღაპრული ქვეყანა ყოფილა. გაგრა და ბიჭვინთა საქართველოს კალაფორნიაა.

— კალიფორნია?! არა ბატონო ფროსტ, იქნებ კალიფორნია „ამერიკის კოლხიდა!“ — ვუთხარი დიდ ამერიკელ მწერალს.

— ოლ რაიტ! — იცინის ამერიკელი პოეტი, — კალიფორნია „ამერიკის კოლხიდაა!“ ქედს ვიხრი კოლხიდის — კაცობრიობის ცივილიზაციის ამ უდიდესი აკვნის წინაშე.

მე მაშინ არ ვიცოდი, რომ ფროსტი კალიფორნიიდან იყო, არც ის ვიცოდი, რომ პოეტი ავად გამხდარა საქართველოში, მაგრამ ამაზე სიტყვაც არ დაუძრავს.

— ხომ არ აპირებთ დაწეროთ ლექსები საქართველოზე, ბატონო ფროსტ?

პოეტი დუმდა. მერე უცებ თქვა:

— მე წინააღმდეგი ვარ ეგრეთ წოდებული „გეოგრაფიული

პოეზიისა“, როცა პოეტის წიგნის სარჩევით მოზარდს შეუძლია ესაოუ ის მხარე შეისწავლოს. მე ანალიტიკური პოეზიის ქომაგი და ქუოუმი ვარ, მაგრამ, ვნახოთ, შეიძლება ვულალატო ჩემს ჩვეულებას...

— მე ბუნების და სოფლური იდილიის შვილი ვარ. ჩემი სალანი საქართველოს ფერმერებს (ფერმერებს გლუხებს ეძახდა ფროსტი). მე ვნახე შორიდან მათი პლანტაციები, მომეწონა.

რატომღაც მჯერა, რომ ფროსტმა უმღერა საქართველოს და მის არქივში ინახება ლექსები საქართველოზე.

რობერტ ფროსტი სულაც არ ჰგავდა ჩემს წარმოდგენაში ჩაოკალიბებულ რაფინირებულ ამერიკელ ჯენტლმენს. ის უბრალო, თაემდაბალი და თითქოს ოდნავ დაბნეული კეთილი მოხუცის შთაქეპდილებას ტოვებდა.

იმ დროს ჯერ კიდევ საკმაოდ ბუნდოვანი იყო წარმოდგენა თანამედროვე ამერიკულ პოეზიაზე, მათ შორის, რა თქმა უნდა, რობერტ ფროსტის ლექსებზეც.

— ფერმერი, გლუხი პოეტიაო, — ასე ახასიათებდნენ მას.

ლიტერატურულ წრეებში იმასაც აჰბობდნენ, რომ ფროსტი არის ხალხური პოეზიის ნიადაგზე წარმოშობილი პოეტური ფეოლომენი, რომელიც ბოლორითმოვანი კლასიკური ლექსის აპოლოოეტია და ფაქტიურად ემიჯნება მოდერნისტულ პოეზიასო.

ბევრს ეს ისე ესმოდა, რომ თითქოს ფროსტის ლექსის თარგოენა შესაძლებელი ყოფილიყო ხალხური ლექსის სავერსიფიკაციო არსენალითაც კი.

რობერტ ფროსტის ზვიად გამსახურდიასეული ქართული თარგოენები თანამედროვე ლექსის კულტურის დონეზე დგას და გაროეული სინათლე შეაქვს ამ რთულ საკითხშიც.

შეიძლება ეს იმითაც აიხსნას, რომ დღეს ჩვენ გაცილებით ნეტი ინფორმაცია გავგაჩნია ამერიკულ მწერლობაზე. მათ შორის ამერიკულ პოეზიაზე. მაგრამ ეს არ არის გადამწყვეტი. ჩემი აზრით, აქ მთარგმნელის ნიჭი და ესთეტიკური გემოვნებაა მთავარი ფაქტორი.

...ვიდრე ტელეფონით საუბარი შედგებოდა, ფროსტს რამდენიმე დლით ადრე პირადად შევხვდი. ამის შესახებ პატარა წერილიც დაისტამბა მაშინ.

მოსკოვის უცხოეთის ლიტერატურის ბიბლიოთეკაში ვუსმენდი ფროსტს.

ქალარა ამერიკელ პოეტს ხელში ეჭირა ლექსების ტომი და შთაგონებით კითხულობდა ინგლისურ ენაზე თავის ნაწარმოებებს.

ქართველი კაცი მის პოეზიაში იპოვის ბევრ ისეთ მოტივს, რაც მას მინდობსაღ გაახსენებს და გენიალურ ვაჟასაღ, თუმც ეს ასოცია-
ცია მეტად პირობითია.

გერმანელები იტყვიან. ყველა შედარება მოიკოქლებსო. შეიძ-
ლება ჩემი შედარებები ორივე ფეხით მოიკოქლებენ და ხელოვნე-
რობის შთაბეჭდილებას ტოვებენ. მაგრამ ფაქტია, რომ როცა
ფროსტი ვუპაჟენდი, ვაჟაზე და მინდიაზე ვფოქრობდი ძალაუნე-
ბურად.

შეიძლება ეს გასაგებოცაა!

ჩემთვის გენიალური ვაჟა არ შეიძლება იყოს „ქართველი
ფროსტი“. მაგრამ ფროსტი „ამერიკელი ვაჟა“. თუნდაც იმიტომ.
რომ ფროსტი ბუნების მგოსანია. თუმცა ბუნების მგოსნები ხში-
რად იმდენად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. რომ მათი შედარე-
ბა ძნელია.

პარადოქსია. მაგრამ ფაქტია. რომ ფროსტის ლექსები ავტორის
შიერ ჩემთვის ნაკლებად მისაწვდომ ინგლისურ ენაზე წაკითხული
უფრო მეტ ემოციებს იწვევდა ჩემში, ვიდრე მათი თარგმანები
ათასწილად უფრო ნაცნობ ენაზე.

ეს ალბათ თარგმანის ხარისხითაც იყო გამოწვეული!

როცა ფროსტი კითხულობდა თავის ლექსებს ინგლისურად.
მათი პირველქმნილი პოეტური მომხიბვლელობა, მათი მუსიკალობა
ახალ სამყაროს გადაშლიდა მსმენელის წინაშე.

ლექსს ფროსტის სახე ჰქონდა და ფროსტს კიდევ თავისი ლექ-
სისა. ასე ავსებდნენ ერთმანეთს ლექსი და ადამიანი, ფიზიკური არ-
სება და სულიერი უხორციო ქმნილება...

ეს იყო საოცარი ხილვის წუთები.

ფროსტის ლექსი ისევე განუმეორებელია. როგორც ფროსტის
ადამიანური პროფილი...

— მისტერ ფროსტი! — შევეკითხე მსოფიან პოეტს, — კრიტი-
კოსები ამბობენ. რომ თქვენი პოეზია აღმოცენდა ინგლისური კლასი-
კური ლექსის ნიადაგზე. რა როლი შეასრულა დიდმა ინგლისურმა
პოეზიამ თქვენს შემოქმედებაში? შეიძლება თუ არა ხილული მიჯ-
ნის გავლება თქვენი შემოქმედების ინგლისურ და ამერიკულ საწ-
ყისებს შორის?

ფროსტმა ერთი ამწონ-დამწონა თავიდან ფეხებამდე და თქვა

— ეს იმპროვიზებული ინტერვიუს კა არა და სამეცნერო
ტრაქტატის თემაა.

მერე ცოტა ხანს დუმდა.

ალბათ, არ უნდოდა ჩემი გაწბილება.

მგოსნის დაღარულ სახეზე თითქოს უხილავი შინაგანი შუქი გამოსხივდა და მოულოდნელად სწრაფად ალაპარაკდა:

— მე ვიტყვოდი მოკლედ: ჩემი პოეზია, დიახაც, რომ აღმოცენდა ინგლისური კლასიკური პოეზიის ნიადაგზე, მაგრამ ჩემი ლექსი ამერიკულია და მე ვწერ არა ინგლისურ, არამედ ამერიკულ ენაზე...

ყურს არ დავუჯერე.

პირველად მესმოდა ტერმინი: — „ამერიკული ენა“.

ყველა წრეში, რომელსაც ლიტერატურასა და ფილოლოგიაში ჯანსწავლის პრეტენზია აქვს, ტერმინ „ამერიკულ ენას“ ლაფსუხად ჩათვლიან.

აქ კი XX საუკუნის ამერიკული პოეზიის ერთ-ერთი მოგვი ხმარობდა ამ ტერმინს.

უფრო გვიან გერმანულ ლიტერატურულ ჟურნალებში მე ხშირად წავეწყდომივარ ფრაზას „თარგმანი ამერიკულიდან“... და ყოველთვის მახსენდებოდა რობერტ ფროსტი, XX საუკუნის დიდი ამერიკელი პოეტი.

თუმც ამ ტერმინმა — „ამერიკული ენა“ — ქართულსა და რუსულში ჭერაჭერობით ფეხი ვერ მოიკიდა, მაგრამ ფაქტია, რომ იგი დამკვიდრდება მომავალში.

რობერტ ფროსტს ვკითხე:

— ძირითადად, რამდენადაც ვიცი, თანამედროვე ამერიკელი პოეტები მოდერნისტულ ლექსს უხდიან ხარკს, თქვენ კი ამ საერთო დინების საწინააღმდეგოდ მიდინხართ. რით არის ეს გამოწვეული?

ფროსტმა გაიღიმა.

— ეს ტრადიციული კითხვაა. ევროპაში ხშირად მეკითხებიან ამის შესახებ. რადგანაც თქვენი კითხვა ტრადიციული აღმოჩნდა, წება მიბოძეთ, მეც ტრადიციულად გიპასუხოთ სტრიქონებით ჩემი ლექსიდან „დასავლეთისაკენ მიმდინარე ნაკადული“.

„ნეტავ რას ფიქრობს,
დასავლეთის მხარეს რომ მიდის,
აღმოსავლისკენ არ მიდიან
სხვა მდინარენი,
ოკეანესთან შესართავად?
აღბათ ნაკადულს
აქვს რამე რწმენა — ან,
ჩვენსავე, წინააღმდეგობა
თუ ამოქმედებს...“

მე მადლობა გადავუხადე მგოსანს დეკლამაციისათვის. და მაინც მივეცი უფლება ჩემს თავს შევეკითხოდი:

— მაინც რაჭბატონო ფროსტ, რწმენა თუ წინააღმდეგობა?

— ერთიც და მეორეც, — თქვა ფროსტმა, — ეს რთული საკითხია. და ბოლოსდაბოლოს თქვენთვის სულ ერთი არ არის, მეტრადიციულ ლექსს დავეწერ, ურითმოს თუ მოდერნულ-ექსტრავაგანტურს, მთავარია, თქვენ იგრძნოთ პოეზია...

— თქვენი პოეზია ფილოსოფიური რანგის პოეზიაა. გვითხარით, ბატონო ფროსტ, რომელ ფილოსოფიურ სისტემაზეა იგი დაფუძნებული?

ფროსტმა გაიცინა:

— ჩემს ფილოსოფიას პოეტური ქეშმარიტება ეწოდება და ის არავითარი „იზმის“ ფარგლებში არ ეტევა. თუმცა „იზმები“ მეტად მოდაშია დასავლეთში და, თუ ვინმეს მაინცდამაინც უნდა გამოხატოს ის, ეს იქნება, თუ გნებავთ, ფროსტიზმი.

ახლა მე გამეცინა

— რა არის ფროსტიზმის ძირითადი შინაარსი?

ფროსტმა მეტად სერიოზული სახე მიიღო. ეტყობოდა ამ კითხვაზე გაცემულ პასუხს ის მეტად დიდ როლს ანიჭებდა. და მან თქვა:

„არსებობს ძალა, რომელიც
თვით შვის სელას წარმართვს,
ეს არის ბიჭი სათავისაკენ
უკუგდებისა,
საწინააღმდეგოდ დინებისა,
რომელშიც ჩვენ ვართ,
დინების ხარკი, მიტანილი
სათავისაღმი, —
აი რა არის ბუნებაში
ჩვენი საწყისი
და ჩვენი არსიც უმთავრესად.“¹

დანარჩენ კითხვებზეც ფროსტი კვლავ თავისი ლექსების სტრიქონებით მიპასუხებდა.

ისიც ახსენა, ძველ წიგნებში სადღაც წამიკითხავს, რომ კავკასიაშიც ცხოვრობდნენო ამორძალები. ხომ არაფერი გაუგონია ამის შესახებ ქართველ ჟურნალისტსო, აინტერესებდა.

როგორც შემეძლო, ვუამბე, რაც კი ძველ ბერძნული თუ ბიზანტიური წყაროებდან გამეგონა ამის შესახებ.

— ამორძალები მე ვახსენე ჩემს არა ერთ ლექსში. მათ შორის „დასავლეთისაკენ მიმდინარე ნაკადულშიც“, — ფიქრიანად ჩაილაპარაკა მოხუცმა.

¹ რ. ფროსტის ლექსების თარგმანები ეკუთვნის ზ. გამსახურდიას.

მე ვგრძნობდი, რომ ფროსტი ეძებდა რაღაც საერთოს ქართულ ლინამდვილესთან და ვერა პოულობდა.

მე რუსთაველი ვახსენე. სამწუხაროდ, ფროსტი მას არ იცნობდა.

ბოლოს ამ საერთოს ძებნა ბალანჩინის ბალეტის ქებით დაამთავრა. ფროსტმა აქო ბალანჩინი. ის ამერიკის სიამაყეაო.

მერე უყებ საათს დახედა და თქვა:

— „ჩვენი საწუთროს უყუსვლაა საათის წინსვლა“. — ბოლოში მოიხადა. რომელიღაც შესვედრაზე მაგვიანდებაო და ინტერვიუ დამთავრდა.

მე მოვდიოდი ქუჩაში და თავში მიტრალელებდა ფროსტის ერთი ფრაზა:

— „შვის უყუსვლაა — წინსვლა ისევ ნაკადულისა“.

და ვფიქრობდი ჩემთვის: რა უცნაური ხალხია ეს ამერიკელები, რა თავისებურად ესმით მზეც და საწუთროც და ყველფერი ამ ქვეყანაზე...

მზე და საწუთრო... ამერიკელი პოეტის თვალათ.

ახლა ხშირად ვკითხულობთ ამერიკელი მწერლების ნაწარმოებებს. რაც უფრო მეტი პროგრესული ამერიკელი პოეტის აზრები ვაიელებს ინფორმაციის ოკეანეში, მით უკეთესია ხალხების ურთიერთგაგებისათვის.

გენერლები ბომბებით იპყრობენ მსოფლიოს. პოეტები — ლექსით.

გაუმარჯოს პოეზიის ცეცხლში მოქცეულ მსოფლიოს.

გული მწყდება, რომ იმ დროს მოსკოვში არ მქონდა ხელთ წვიად გამსახურდიას ქართული თარგმანები, რათა რობერტ ფროსტისთვის წამეკითხა... ეს გავიფიქრე და გამეცინა:

— რა უცნაური ფიქრი და სინანული არ მოუვლას კაცს. არა?

მანინც მენანება, რომ ფროსტი უკვე ცოცხალი აღარ არის... ოუმც ბევრ რამეში მას ვერ დავუთანხმებთ. კი მაგრამ ეს რა ვთქვი? პოეტის სიკვდილი ვინ თქვა?

ქვეშარიტი პოეტი უყვდავად. რადგანაც მისი ლექსის ყოველი თარგმანი მისი გაცოცხლებაა, მისი მეორედ დაბადებაა.

ამჯერად თითქოს მე ვნახე მეორე ფროსტი. ეს ის ფროსტია, ის კეთილი მოხუცი პოეტი, რომელიც ასე ბავშვურად, მიაძიკოვით ილიმებოდა მოსკოვში. და იმავე დროს ის სსვსა, ის გადმოქართულებული ფროსტია, ახლად დაბადებულნი.

ამერიკელი პოეტი კოლხურ კოშკში ხელნეორედ იწვია ქართული პოეტური აზროვნების წიაღში.

პოეტის თარგმნა მოარგმნელის ქიშპობაა ლექსის ავტორთან.
დედაპოეტთან.

...საით მიედინება მაინც ფროსტის დასავლეთისაკენ მიმდინა-
რე ნაკადული?

მე ვფიქრობ,

უკვდავებისაკენ.

ასეთია პოეტური შედეგების თვისება.

მადლობა ზვიად გამსახურდიას, რომ მეორედ მაჩვენა დიდი
ამერიკელი პოეტი...

გარდასულ სულთა და სახეთა გაცოცხლება მხოლოდ ჭეშმარიტ
ნიჭს ძალუძს...

შეხვედრა შორეულ მერიდიანზე

მიტჩელ უილსონი

ამერიკელ მწერალს მიტჩელ უილსონს შემოვლილი აქვს თითქ-
მის მთელი მსოფლიო.

ევროპისა და ამერიკის უდიდესი ოტელების მყუდრო ნომ-
რებში იწერებოდა მისი რომანები „ცხოვრება ბურუსში“, „ძმა
ჩემი — მტერი ჩემი“, „დევი მელორი“, რომლებიც შემდეგ მთელმა
მსოფლიომ გაიცნო.

„შეხვედრა შორეულ მერიდიანზე“ ამერიკელმა მწერალმა მიტ-
ჩელ უილსონმა საბჭოთა კავშირში დაწერა და ხელნაწერი გადასც-
უყურნალ „ინოსტრანნაია ლიტერატურას“ რედაქციას. რომანი თითქ-
მის ერთდროულად დაიბეჭდა საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შე-
ერთებულ შტატებში.

რომანში ავტორი ასახავს საბჭოთა და ამერიკელი მეცნიერე-
ბის მუშაობას ატომური ფიზიკის დარგში

ქართველი მკითხველის განსაკუთრებულ ინტერესს მიტჩელ
უილსონის რომანი იმიტაც იწვევს, რომ მასში ამერიკელი
პროზაიკოსი ეხება საბჭოთა საქართველოს ცხოვრებას. რომანის
ერთ-ერთი გმირი, ახალგაზრდა ქართველი მეცნიერი გელოვანი
ავტორს თბილად აქვს დახატული.

უილსონის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ კარგად ჩასწვდენია
ქართული ხასიათის თავისებურებას და რელიეფურად გადმოუცია
იგი რომანში. რომანის ავტორი მოწინააღმდეგეა ქართული სტუმარ-
მოყვარეობით, აგვიწერს სახელდახელო ლხინს მთის შორეულ სო-
ფელში, სადაც მთელს ქართველები, ავტორის თქმით, მკვერამეტყ-

ველურ სადღეგრძელოებს წარმოთქვამდნენ საბჭოთა ხალხისა და ამერიკელი ხალხის მეგობრობის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის სა-
დიდებლად. ამერიკელი მწერლის გაოცებას იწვევს ის, რომ კოლ-
მეურნე ქართველები უფრო მჭევრმეტყველები იყვნენ, ვიდრე სა-
პასუხო სადღეგრძელოების ავტორი — ამერიკელი მეცნიერი.

მიტჩელ უილსონს რამდენიმე შტრიხით დახატული აქვს რო-
მანში თბილისის პეიზაჟები, ქართველი მფრინავი, რომელსაც, ავ-
ტორის თქმით, ა:ლ:ეტური ტანი ჰქონდა!.. რომანში აღწერილია
ქართული ქალაქი მთაში — კანაური, სადაც საქართველოს სსრ
მეცნიერებათა აკადემიის სადგურ-ლაბორატორიაში მეცნიერულ
მუშაობას ეწეოდნენ ამერიკელი, რუსი და ქართველი ფიზიკოსები.

ამჟამად მიტჩელ უილსონი მოსკოვში იმყოფება.

სასტუმრო „ნაციონალში“ დაუბრუნებთ.

— მისტერ უილსონი ბრძანდებით?

— დიახ.

— ინტერვიუ გვინდოდა.

— აა, მობრძანდით, მობრძანდით. სამწუხაროდ, ბევრი დრო
არა მაქვს.

უილსონმა საბეჭდ მანქანას თავი დაანება და მოგვესალმა.

პირველი შეკითხვა:

— რაზე მუშაობთ, მისტერ უილსონ?

— ახლა ვებეჭადვი ნაწყვეტს კნოსცენარიდან „შეხვედრა
შორეულ მერიდიანზე“. ამჟამად საბჭოთა კავშირში კულტურის სა-
მინისტროს მოწვევით ჩამოვედი. ჩემი რომანის მიხედვით გვინდა
დავდგათ ფილმი საბჭოთა და ამერიკელ კინომოღვაწეთა მონაწი-
ლეობით.

— სცენარში თუ დარჩება რომანის გმირი გელოვანი და იწარ-
მოებს თუ არა მოქმედება საქართველოში?

— დეტალებზე ლაპარაკი ძნელია, მაგრამ მე მგონია ფილმში
ნაჩვენები იქნება საქართველოც და გელოვანიც, — მიპასუხებს
ამერიკელი მწერალი.

ჩვენს კითხვაზე, ჰყავს თუ არა პროტოტიპი გელოვანს, ავტორ-
მა უარით გვიპასუხა: მე ვიცნობ რამდენიმე ახალგაზრდა ქართველ
ფიზიკოსს, მაგრამ პროტოტიპი არც ერთი არ არისო.

ჩვენ ვაცნობეთ მიტჩელ უილსონს, რომ საქართველოში აპო-
რებენ ამ რომანის თარგმნას.

— დიდად მოხარული ვიქნები. თუ ქართულ ენაზე გამოვა „შეხ-
ვედრა შორეულ მერიდიანზე“. სხვათა შორის ეს რომანი ამჟამად
თოთხმეტ ენაზე ითარგმნება, — თქვა უილსონმა.

ამერიკელმა მწერალმა ტკბილად მოიგონა საქართველოსა და

ჭომხეთში გატარებული დღეები, ქართული „პიკნიკები“ მშვენიერ-
ააო, ღიმილით დაუმატა.

ჩვენს შეკითხვაზე, ამჯერად ჩამოვა თუ არა საქართველოში,
შიტჩელ უილსონმა თქვა:

მე მინდა წილად მხედეს ასეთი ზედნიერება. მაგრამ არ ვიცი,
როგორ წავა სცენარზე მუშაობის საქმე. ისე კი საქართველოში აუ-
ცილებლად ჩამოვალ. ჟერჯერობით კი ჩემგან ეს პატარა ბარათი გა-
დაეცით ქართველ მკითხველებს, — გვითხრა და გადმოგვცა ინგ-
ლისურ ენაზე წერილი:

To the Reader of *P.*

Amara

„On Tbilisi Khamant“

ზე რომ აღნიშნული უნდა

ქართული ენა

ზე და ქართული ენა

W. H. Wilson

1962

„თბილისში გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს. მიიღეთ ჩე-
ში სალაში და საუკეთესო სურვილები, დაე კეთილად აგიხდეთ ყვე-
ლა ნატვრა.

შიტჩელ უილსონი.

მოსკოვი. 1962.

ერთმანეთს დავემშვიდობეთ.

საბეჭდი მანქანა ისევე აკაკუნდა.

„ნაციონალის“ მყუდრო ნომერში იწერება სცენარი „შეხვედრა
შორეულ მერიდიანზე“.

კუმო კუპერტი

ვენის ტყეში, რომლის ხსენებას მუდამ ახლავს შტრაუსის მუ-
სიკის სურნელება, ერთ-ერთ ძველ კაფეში, სადაც გადმოცემის
თანახმად ბეთჰოვენს უყვარდა ხბოს ბივშტექისის მირთმევა და

ზედ კიქა თეთრი რეინვეინის დაყოლება, ცნობილმა ავსტრიელმა კომუნისტმა პუბლიცისტმა გეორგ აუერნა, რომელიც გაზუთ: „ფოლკსშტამეში“ მუშაობს, გადმომცა ავსტრიელი პოეტისა და მთარგმნელის ჰუგო ჰუპერტის ტელეფონის ნომერი.

ვენის სასტუმრო „იმპერიალიდან“ დაფურეკე ჰუგო ჰუპერტს ბინაზე. პოეტს მეტად ესიამოვნა საქართველოდან ვენაში ჩასული მგზავრის ხმა.

როცა ქართული ლექსიკონი ამოეწურეთ, რუსულად ვისაუბრეთ, ბოლოს გერმანულზე გადავედით.

ჰუპერტმა თავის ბინაში მიმიწვია, მაგრამ როცა გაიგო, რომ ვენას რამდენიმე საათის შემდეგ ვტოვებდი, მეტად შეწუხდა.

მისაყვედურა, აქამდე რატომ არ დამირეკეო.

მე თავი ვიმართლე: ავსტრიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობაში — „გლობუსში“ რომ მივედი თქვენის მისამართის გასაგებად, იქ ისეთი სტუმართმოყვარეობა გამოიჩინეს ჩვენს მიმართ, რომ მხოლოდ ავსტრიიდან წამოსვლის დღეს მომეცა საშუალება თქვენთან დამერეკა-მეთქი.

— როგორ მოგწონთ ვენა? — მეკითხება ჰუპერტი.

— ეს ალბათ უმშვენიერესი ქალაქია დედამიწის ზურგზე.

— აღრე რომ დაგერეკათ; მე გაჩვენებდით ვენას და კემმარტ-ავსტრიას.

მერე მთხოვა დამეცადა „იმპერიალში“, ჩემი მეუღლეა ჩემი მანქანით ქალაქში გასული, — თქვა მან. — საცაა უნდა დაბრუნდეს და მეც სასტუმროში გაეჩნდებიო.

— რა არის ახალი საქართველოში? — მეკითხება ჰუპერტი.

— თქვენ დიდი ხანია არ ყოფილხართ რუსთაველის სამშობლოში. გელოდებათ საქართველო: თქვენი ლექსები „ქართული სა-მოგზაურო კვერთხი“ ბევრს ახსოვს.

მერე ჰუპერტმა გიორგი ლეონიძე, სანდრო შანშიაშვილი და ირაკლი აბაშიძე მოიკითხა: ისიც მთხოვა: ყველა ქართველ მწერალს გადაეცით ჩემი საუკეთესო სურვილებიო.

ახლა მოსკოვის ამბებით დაინტერესდა ჰუგო ჰუპერტი:

მე ვუთხარი, რომ მოსკოვში ლენინის ცენტრალურ მუზეუმში ვიყავი ავსტრიაში გამგზავრების წინ და რომ იქ გიდმა ციტატად მოიყვანა ჰუპერტის სიტყვები: „ნახევარ სიცოცხლეს დავთმობდი, რომ მთლიანად გავეცნო ლენინის პირად ბიბლიოთეკას. მეტად მაინტერესებს რა წიგნები აარჩია გენიოსმა წასაკითხად: ჰუგო ჰუპერტი“.

ისიც ვუთხარი ჰუგო ჰუპერტს, რომ მოსკოვის ლენინის სახელოების საჯარო ბიბლიოთეკაში ინახება მის მიერ შესრულებული

„მაიაკოვსკის ლექსებისა და პოემების გერმანული თარგმანები, რომლებიც მოსწონთ მკითხველებს.

სხვათა შორის ჰუპერტმა მაიაკოვსკის შესახებ წიგნები გამოსცა არა მარტო ავსტრიასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, არამედ დასავლეთ გერმანიაშიც.

ბოლოს ჰუპერტს ისიც ეუთხარა, რომ მოსკოვის წიგნის მაღაზიაში „დრუჟბა“ მისი წიგნები და ალმანახები, სადაც მისი ნაწარმოებები ქვეყნდება. განსაკუთრებული ყურადღების საგანია.

ჰუგო ჰუპერტმა კვლავ გამოთქვა დიდი სინანული იმის გამო, რომ ჩვენი საუბარი ტელეფონით მიმდინარეობდა და საშუალება არ ჰქონდა შეგვეხვედროდა ჩვენ. და ნამდვილი ავსტრიული მასპინძლობა ეჩვენებინა.

ჰუპერტმა ყურმილის დაკიდებამდე მიიხარა, რომ აუცილებლად მოვიდოდა „იმპერიალში“. მაგრამ მე დრო არ მრჩებოდა, ჩემი მატარებელი გადიოდა პოლონეთის მიმართულებით.

პორტიეს დავუტოვე „ვეფხისტყაოსნის“ უცანასაჩელი გამოცემა წარწერით და ვთხოვე გადაეცა ჰუგო ჰუპერტისათვის.

მერე ვკითხე. თუ იცნობ-მეთქი ასეთ მწერალს.

— ჰუპერტი ვიცი. — თქვა პორტიემ. — აუცილებლად გადავცემ.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა ციხფერ დუნაიში და ყოველთვის, როცა ხელში ვიღებ „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულ თარგმანს, მე მახსენდება ჰუპერტთან საუბარი ვენაში. იმ დაუიჩიყარ ზაოხლოს. უფრო გვიან სოულოდნელი შეხვედრა ზალცამერგუტის ტბებზე...

ჰუგო ჰუპერტის შემოქმედებით გზას თვალყორს ვადევნებ. ისეთივე ინტერესით, როგორც ქართულ მწერლობის ყველა მოღვაწის გზას. ჩემს წარმოდგენაში ის თითქოს ავსტრიაში მოღვაწე ქართველია და არა ავსტრიელი პოეტი.

ამიტომ აღვიქვი, როგორც ქართული მწერლობის წარმატება ჰუპერტისათვის ჰაინრიხ ჰაინეს სახელობის პრემიის მინიჭება.

ან-ვარშავა-თბილისი.

ქოსტას კომინასი — ბერძენი კომუნისტი და მწერალი

რამდენიმე წლის წინათ, ბალატონის ტბაზე. „ინტერპერსპოტელში“ ცხოვრობდა ორი ხანში შესული კომუნისტი ბერძენი მწერალი. ისინი საბერძნეთთან შავი პოლიკონიკების რეჟისს გამოქვეოდნენ და ემიგრაციაში იმყოფებოდნენ.

ერთხელ ჩემთან მოვიდა ერთ-ერთი მათგან და მიტხზრა: მე კოსტას კოძიასი ვარ. შეიძლება წაგიკითხავთ ჩემი წიგნები რუსულ ენაზე. მითხრეს, რომ თქვენ ქართველ ეურნალისტ ხართ. მაინტერესებს, საქართველოში მცხოვრებ, ბერძენ პოეტი, ქალს, ფოტულა იანიკოპულუს თუ იცნობთ?

— ვიცნობ, როგორ არა! ფოტულას ყველა იცნობს, — ვუთხარი მე, — ის მეტად ნიჭიერი პოეტი ქალია. მისი პოეზიის თაყვანისმცემელი მეც ვარ. მისი რამდენიმე ლექსიც კი ვთარგმნე ქართულად.

კოსტას კოძიასს ვუამბე, რომ ფოტულა იანიკოპულუ ხშირად მოდიოდა „კომუნისტის“ რედაქციაში. ვკითხულობდით მისი ახალი ლექსების ბწკარედებს. მიაშობდა მისი და მისი ოჯახის სალეგენდო ბიოგრაფიას, რომელიც რომანებისა და ეპოპეების თემად გამოდგება.

კოძიასს გაუხარდა, რომ იანიკოპულუს წიგნები თითქმის ყოველწლიურად გამოდის საბჭოთა კავშირში, განსაკუთრებით საქართველოში.

კოძიასმა მკითხა:

— მართალია, რომ ბერძნულ თეატრს, განსაკუთრებით ასპაზია პაპატანასიუს დიდი წარმატება ხვდა საქართველოში?

— ფენომენალური და ფანტასტიკური წარმატება, — დავუდასტურე მე კოძიასს. ასპაზია საქართველომ აღიარა თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს დრამატულ მსახიობად.

— როგორი წარმატება ჰქონდა იოვანას თბილისში?

— იოვანამ სიმღერით დაიპყრო საქართველი, შეძლო ის, რაც ვერ შეძლეს არგონავტებმა, — ვუთხარი მე, — მეტად პოპულარულია „სიმღერა თბილისზე“ მისი შესრულებით.

კოსტას კოძიასმა იკითხა თუ რამდენადაა ცნობილი საქართველოში მიკის ტეოდორაკისის მუსიკა.

მე ვუთხარი ბერძენ კომუნისტს, რომ კომპოზიტორ მიკის ტეოდორაკისის სიმღერებმა დიდი ხანია საქართველოს მუსიკის მოყვარულთა სიმპათია დაიმსახურა.

— მეტად მასიამოვნეთ, — თქვა კოძიასმა — თქვენს ნაშრომს მე გადავცემ „საბერძნეთის თავისუფალი რადიოთი“. მე კომუნისტ ვარ და ემიგრაციაში ვებრძვი შავი პოლკოვნიკების რეჟიმს. ისინოათასგვარ ჭორს და სისულელეს ავრცელებენ საბერძნეთში თქვენს დიდ ქვეყანაზე.

საბერძნეთის კომპარტია ღრმა იატაკქვეშეთიდან და ემიგრაციიდან ებრძვის შავ პოლკოვნიკებს და ბნელ ღამეს, რომელიც გაშეფ-

და ელადამი, საბერძნეთის მრავალჭირნახულ, მაგრამ კურობიერულ მიწაზე...

კოსტას კოძიასმა თქვა, რომ მათ აქვთ თავისუფალი რადიოსადგური, გაზეთები, სცემენ წიგნებს ევროპის მრავალ ქვეყანაში.

— თქვენ რომელი ნაწარმოების შექმნაზე მუშაობთ ამჟამად? — შევეკითხე ბერძენ მწერალს.

— ჩემი მარადიული თემაა ბერძენი ხალხის რევოლუციური ბრძოლა თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის. მე ამ თემის ერთგული ვრჩები ემიგრაციაშიც. ჩემი რომანები, მოთხრობები, ნოველები კვლავ ამ თემაზე შეიქმნება. მე მინდა ჩემი წიგნებიც იბრძოდნენ ბარიალებზე, ჩემი გმირებიც ცოცხალი ადამიანებივით აესებდნენ საბერძნეთის რევოლუციურ არმიას.

— რამდენი ხანია საბერძნეთში არ ყოფილხართ?

— ათ წელზე მეტია, — თქვა კოძიასმა, — ემიგრაციაში მუშაობის დროს ჩვენ შთაგვაგონებს დიდი გერცენის, დიდი ლენინის მაგალითი...

უცებ კოძიასი მომიბრუნდა:

— მართალია, რომ საქართველოში ბერძნული სოფლები არსებობს?

— მართალია. განსაკუთრებით სამხრეთ და შვეიცარიისპირა რაიონებში...

— მაშ, საქართველოში ისმის ბერძნული ენა?! ის ბერძნები ალბათ ბიზანტიონის იმპერიის უკანააქნელი მოპიკანები არიან. — თქვა კოძიასმა.

ბერძენ პატრიოტს შევეკითხე:

— როგორია საბერძნეთის დემოკრატიული განვითარების პერსპექტივები?

— შავი პოლკოვნიკების „ტრიადამ“ არაადამიანური დიქტატურა დაამყარა საბერძნეთში. მაგრამ ბერძნები, კომუნისტები — პრომეთეს ჯილაგის ხალხი ვართ. ჩვენ გვჯერა, რომ გავიმარჯვებთ.

— რას უსურვებდით ქართველ კომუნისტებს, ქართველ ხალხს?

— ყველა საბჭოთა ადამიანს ეუსურვებთ ახალ წარმატებებს კომუნისმის მშენებლობაში. საქართველოსთან ბერძნებს ჯერ კიდევ ცივილიზაციის გარიჟრაჟზე გვქონდა კულტურული ურთიერთობა. ელადის ფოლკლორმა, ლიტერატურამ, ფილოსოფიამ მსოფლიო შედეგები უძღვნა კოლხეთს და ივერიას. გავიხსენოთ თუნდაც არგონავტები, პრომეთე, მედეა და მრავალი სხვა ფაქტი. ეს ხომ მარად უკვდავი ფენომენალური მოვლენაა მსოფლიო კულტურაში.

— თქვენ თუ ყოფილხართ საქართველოში? — შევეკითხე ბერძენ პატრიოტს.

— ერთხელ ვიყავი, მაგრამ ცოტა ხნით. იმედი მაქვს, რომ კვლავ ვიქნები თქვენს მშვენიერ ქვეყანაში. თუ ჩემს ოცნებებს ახლომა უწერია, მე საქართველოზე დავწერ წიგნებს.

კოსტას კოძიასმა ფირზე ჩაიწერა საბჭოთა ჟურნალისტების მიერ შესრულებული რევოლუციური სიმღერები, მათი აზრები და ფიქრები, მათი კომენტარები.

ისინი წაიღეს რადიოტალღებმა ელადისაკენ...

ყოველდღე გაისმის ეთერში რადიოსადგურის „თავისუფალი საბერძნეთის ხმა“.

ეს ხმა აფრთხობს ათენში შავი პოლკოვნიკების ხუნტას და შიშის ზარს სცემს მათ.

კომუნისტური პარტია იბრძვის ღრმა იატაკქვეშეთში, რომ თავისუფლება დაამკვიდროს საბერძნეთის მიწაზე.

გვწამს ბერძენი კომუნისტები გაიმარჯვებენ!

ბუდაპეშტი-ვარშავა.

ქალაქი და ზეთისხილის რტო

ამას წინათ გაზეთებმა საინტერესო ცნობა მოიტანეს: პროგრესულ გერმანელ მწერალს ჰენრიხ ბიოლს ნობელის პრემია მიენიჭა.

ამ ცნობამ თანამედროვეობის ამ გამოჩენილ მწერალთან შორეული შეხვედრა გამახსენა.

ერთხელ მოსკოვში ვკითხე ჰენრახ ბიოლს:

— თქვენი აზრით, მწერლობა და პოლიტიკა როგორ მიმართებაში არიან ერთმანეთთან? როგორ უყურებთ მწერლის მოღვაწეობას პოლიტიკურ ასპარეზზე?

ის ჩაფიქრდა და მითხრა:

— გოეთე პრემიერ-მინისტრი იყო... და მიმიითთა გოეთეს „ურ-ფაუსტზე“ და „ფაუსტზე“, ხელში რომ მეჭირა.

სხვა შეკითხვა ვერ მივეცი: არ მაცალეს ჩემმა კოლეგებმა, საბჭოთა და უცხოელმა ჟურნალისტებმა, მაგრამ ეს პასუხი ღრმად ჩამრჩა მეხსიერებაში — მოკლე, ლაკონური, სიმბოლური, ღრმა-აზროვანი, პრობლემის ამომწურავი პასუხი.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა.

ამ რამდენიმე ხნის წინათ წავიკითხე ბიოლის ინტერვიუ ერთ ცნობილ ქართველ მწერალთან.

რამდენიმე კითხვა კვლავ პოლიტიკას შეეხებოდა, ჰენრიხ ბიოლი თავისი თავის ერთგული დარჩენილა-მეთქი, გავიფიქრე.

ბევრს რატომღაც ჰგონია, რომ დასავლეთში მწერლობა და პოლიტიკა ჩინური კედლითაა ერთმანეთისაგან გათიშული. თითქოს მწერლები სათოფეზე არ ეყარებიან პოლიტიკას. ბევრ მწერალს ამას დიდ დამსახურებადაც კი უთვლიან საექვო მოქალაქეობრივ პოზიციისა და ინტელექტის კრიტიკოსები და თაყვანისმცემლები.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, ამგვარად მოაზროვნეებს არ ესმით, რომ შეუძლებელია ცხოვრობდე საზოგადოებაში და თავისუფალი იყო საზოგადოებისაგან. ეს ობიექტური კანონზომიერებითაა გაპირობებული და ამიტომ სუბიექტის ნებაზე არ არის დამოკიდებული.

რა პოზიციაც უნდა ეჭიროს მწერალს. ის ყოველთვის გარკვეულ მიმართებაშია პოლიტიკასთან. ამიტომ სასაცილონი არიან ისინი, რომლებიც ფიქრობენ, რომ თუნდაც რობინზონის კუნძულზე გაქცევიტ მოახერხებენ პოლიტიკის სფეროდან გაქცევას.

ეს შეუძლებელია.

კარგათ თქვა ერთმა პოეტმა: საითაც უნდა დადგე ზურგით, ზურგს მაინც ვერ შეაქცევ ამ ქვეყანას.

ეს კარგად ესმის თანამედროვეობის ერთ-ერთ გამოჩენილ მწერალს ჰენრიხ ბიოლს, რომელსაც გულითადი მეგობრობა აკავშირებს ბევრ ქართველ ლიტერატორთან.

მთელი მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ამის უტყუარი დადასტურებაა. ამას მოწმობენ მისი რომანები: „უპატრონო სახლი“ „...და არ უთქვამს არც ერთი სიტყვა“, „ბილიარდი ათის ნახევარზე“, „ჯამბაზის თვალებით“, მისი პუბლიცისტიკა, ესეისტიკა, მისი ანტიფაშისტური და მშვიდობისმოყვარული მხატვრული ქმნილებები.

ჰენრიხ ბიოლი დღევანდელ მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი მწერალია, და იმავე დროს აქტიური პოლიტიკური მოღვაწე.

ამას წინათ ერთ გერმანულ გაზეთში წავიკითხე, ჰენრიხ ბიოლი დასავლეთ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე გამოსულა ქ. დორტმუნდში: მან მხარი დაუჭირა კანცლერის პოსტზე ვილი ბრანდტის კანდიდატურას მომავალ არჩევნებში.

ამით იგი უშუალოდ ებმება რეაქციული ძალების წინააღმდეგ პოლიტიკურ ბრძოლაში, მხარს უჭერს გერმანიის ახალ სამშვიდობო პოლიტიკას.

ბიოლს უთქვამს ყრილობის ტრიბუნიდან: — მე მსურს ვილი ბრანდტი კვლავ ვიხილო კანცლერად.

ეს, რა თქმა უნდა, უდიდეს და უმცირეს ბოროტებას შორის უმცირესის ამორჩევაა.

სხვა არჩევანი რეალურად ბიოლს ჯერ არ გააჩნია.

ბიოლი — მწერალი, ბიოლი — მოქალაქე, ბიოლი — პოლიტიკოსი იბრძვის ნეოფაშიზმისა და მილიტარისტული ძალების წინააღმდეგ, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის.

3. ბიოლის ცხოვრების მთავარი სიმბოლოებია — მტრედი და ზეთისხილის რტო.

მას ვერ წარმოუდგენია მწერალი პოლიტიკის გარეშე, ისევე, როგორც პოლიტიკა მწერლობის გარეშე.

და არა მარტო მწერლები, პოლიტიკაში აქტიურად ერევიან მეცნიერებიც, მაგალითად, პროფესორი კ. შილერი.

რეიტერის სააგენტოს აზრით, 1969 წელს ვილი ბრანდტი სწორედ მან მიაყვანა გამარჯვებამდე.

ახლა ეს პროფესორი ბრანდტის მოქიშპის ბარცელის მხარეზეა, მაგრამ სამაგიეროდ ბრანდტს მხარში ამოუდგა ჰენრიხ ბიოლი.

ავი ენები ქორაობენ, თუ შილერმა დატოვა ბრანდტი, ბიოლის მხარდაჭერა რას უშველისო.

ჰენრიხ ბიოლი უკვდავთა თანაუარსკვლავედში მოექცა. მასთან პოლიტიკური თამაში ისევე საშიშია, როგორც ცეცხლთან თამაში, ეს კარგად იციან მისმა პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა.

ფაქტი ფაქტად რჩება: მწერლენი აქტიურად არიან ჩაბმული პოლიტიკაში.

რომ მათი რჩევა არა, ბევრი უცხოელი ჟურნალისტის აზრით, დასავლეთ გერმანია უპატრონო სახლს დაემსგავსებოდა. ბიოლს არ უთქვამს არც ერთი სიტყვა, რომელიც მის თანამემამულეთა პოლიტიკური ფიზიონომიის შექმნასაც არ ემსახურებოდეს. მან კარგად იცის, ამბობენ მისი თანამემამულენი, რომ პოლიტიკური თამაში ეს ბილიარდის თამაში როდია. და ბიოლი ებრძვის ყველას, ვინც პოლიტიკური ჯამბაზის თვალით უშხერს ომისა და მშვიდობის პრობლემას.

ქეშმარიტად, ყველა ნამდვილი მწერალი აქტიური პოლიტიკური მოღვაწეც არის, განურჩევლად იმისა, სურს მას ეს, თუ არა.

ამის კიდევ ერთი დადასტურებაა დასავლეთში ჰენრიხ ბიოლი.

მინაწერი ერთი წლის შემდეგ:

დღეს ტელეტაპს ახალი ცნობები მოაქვს დასავლეთიდან. ჰენრიხ ბიოლი უშვებს უხეშ შეცდომებს, მაგრამ იმედია, რომ ეს დროებითი მოვლენაა. გვინდა ვირწმუნოთ, რომ ბიოლი სწორ გზას დადგება: გაიგებს ვინ არის მტერი და ვინ მეგობარი...



საზღვარგარეთელი მხატვრები

პერლუო ბიდსტრუპი

ახლა კოპენჰაგენში ახალი წელია. ბიდსტრუპს დანიის ბავშვები „მომღიმარ თოვლის პაპას“ ეძახიან. ბაბუა ბიდსტრუპიც ღიმილს და სიხარულს ურიგებს კეთილი ნების ადამიანებს.

— ბიდსტრუპი როცა იცინის, მსაფლიო იცინის, — გვითხრა ერთმა დანიელმა მუშამ.

„დანის ყველაზე მხიარული კაცი!“ — ასე ეძახიან ბიდსტრუპს ევროპაში.

დანის პარლამენტში დეპუტატებმა მოითხოვეს ბიდსტრუპის მიერ დანიის პრემიერ-მინისტრზე და მინისტრებზე დახატული კარიკატურების გამოფენა პარლამენტის შენობაში.

— ეს პარადოქსია, — თქვა დანიელმა ბურჟუაზიულმა ჟურნალისტმა, — მაგრამ საქმე ის არის, რომ ბიდსტრუპის კარიკატურის გმირად გახდომა უკვდავებასთან გაარწიყებას ნიშნავს. დამწყები პოლიტიკოსებისა და დიპლომატებისათვის ბიდსტრუპის კარიკატურაში მოხვედრა მათი სახელის გახმაურების საუკეთესო საშუალებაა. ამიტომ ხშირად მინახავს. — დასძინა ჟურნალისტმა. — პოლიტიკოსების სახეზე გაბრაზების ნაცვლად სიამოვნების ღიმილი, როცა ბიდსტრუპს ისინი ფანქრის წვერზე წამოუგია.

დანის პარლამენტის შენობაში საბჭოთა ჟურნალისტებს პატივი დაგვდეს. ჩავსვენეს სავარძლეებში, რომლებსაც აწერია „დანის პრემიერ-მინისტრი“, „დანის ჩინისტრი“ და მოგვიწყეს ბიდსტრუპის საპარლამენტო კარიკატურების დემონსტრაცია.

ეს საახალწლო ჩვეულებაა პარლამენტში, მაგრამ საბჭოთა ჟურნალისტებისათვის გამონაკლისის სახით ეს ცერემონიალი მოაწყეს

ახალ წლამდე დიდი ხნით ადრე საბჭოთა კავშირისადმი პატივისცემის ნიშნად.

ერთმა ჟურნალისტმა იხუმრა.

— ეს პირველი შემთხვევაა, როცა დანიის პრემიერ-მინისტრის სავარძელში კომუნისტები სხედან.

— ერთ მშვენიერ ახალ წელს ალბათ დანიაც იხილავს კომუნისტს პრემიერ-მინისტრის სავარძელზე, — შენიშნა ბიდსტრუპმა, როცა ეს ამბავი მოვუყევით ცნობილ მხატვარს კომუნისტურ გაზეთ „ლანდ ოგ ფოლკის“ („ხალხი და ქვეყანა“) რედაქციაში, სადაც ის მუშაობს.

ეტყობა ყველა პოლიტიკოსს და დიპლომატს როდი აქვს იუმორის გრძნობა. ალბათ მეტად განაწყენდა ჰ. ბიდსტრუპზე დანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო. სამინისტრომ თავის ცნობილ „დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ჟურნალში“, რომლის მიზანია დანიის ცხოვრება გააცნოს საზღვარგარეთის ხალხებს, დანიელ მხატვართა შორის ჰ. ბიდსტრუპი არ მოიხსენია.

ჩვენს შეკითხვაზე, თუ რატომ მოხდა ეს, ერთმა რეაქციონერმა ჟურნალისტმა გვიპასუხა:

— შეცდომით გამორჩენიათ ალბათ.

მეორე ჟურნალისტმა ხუმრობა სცადა: ბიდსტრუპი იმდენად პოპულარულია, რომ სამინისტროს რეკლამა არ სჭირდება.

პერლუფ ბიდსტრუპი გაგვაცნო „ლანდ ოგ ფოლკის“ მთავარმა რედაქტორმა ვილი კარლსონმა.

ბიდსტრუპმა გაგვიზიარა თავისი შემოკმედებითი გეგმები.

ცნობილ კარიკატურისტს ყოველდღე ურეკვენ ხევრობის რედაქციებიდან. სთხოვენ კარიკატურებს.

მხატვარმა დიდი სიყვარულით ილაპარაკა საბჭოთა კავშირზე, საქართველოზე.

— მე ვიცნობ და პატივს ვცემ ქართველ ხალხს, მის მშვენიერ ხელოვნებას, — განაცხადა ბიდსტრუპმა. ბოლოს ცნობილმა მხატვარმა გაზეთ „კომუნისტში“ დასაბეჭდად გადმოგვცა ფაქსიმილე:

„ქართულ გაზეთს

„კომუნისტს“ და მის მკითხველებს.

ჩემი საუკეთესო საახალწლო სურვილები

პერლუფ ბიდსტრუპი“.

მხატვარმა ნობათად უძღვნა „კომუნისტის“ რედაქციას თავისი კარიკატურების წიგნი, რომელიც რუსულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე გამოვიდა კოპენჰაგენში.

„შენი ფერწერა უანა არის და ჩვენ პურს ვიჭიოთ“
 პაბლო ნერუდა

აპრილი-72, პალერმო...

თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს მხატვარს რენატო გუტუზოს რამდენიმეჯერ შევხვედრივარ ჩემი ჟურნალისტური ცხოვრების გზაზე.

მინახავს მისი ქმნილებები მოსკოვში, პუშკინის სახელობის სახეთი ხელოვნების მუზეუმში, ვარშავაში ეროვნულ გალერეაში, ბუდაპეშტში ნატიფ ხელოვნებათა მუზეუმში, ბერლინში ხელოვნებათა აკადემიაში, ვენის ალბერტინის გალერეაში...

გუტუზოს ქმნილებების ხილვა ყოველთვის უდიდეს ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს ადამიანს. ამ ლეგენდარული იტალიელი მხატვრის სახელი ჰქუხს მთელ მსოფლიოში.

ამ გაზაფხულზე აზიის, აფრიკისა და ევროპის ქვეყნებში მოგზაურობის დროს ერთ-ერთი ყველაზე ღირსსახსოვარი შეხვედრა იყო თანამედროვეობის გამოჩენილი მხატვრის, იტალიელი კომუნისტის რენატო გუტუზოს ხილვა სამხრეთ იტალიის ლაჟვარდოვან სანაპიროს თვალმარგალიტში — სიცილიის დედაქალაქ პალერმოში, ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის საერთაშორისო ლენინური პრემიის მინიჭებამდე რამდენიმე დღით ადრე. ის ორჯერ ვნახე. ორივეჯერ სრულიად შემთხვევით.

პირველად სიცილიის პარლამენტის შენობაში, კომუნისტი დეპუტატების აპარტამენტებთან და მეორედ პალერმოს უნივერსიტეტთან. სადაც თავის დროზე გუტუზო იურისპრუდენციას სწავლობდა... წელს მას შეუსრულდა 60 წელი, მაგრამ მხატვარს კვლავ ჰაბუკური იერი დაჰკრავს.

მე გამახსენდა ინტერვიუ რენატო გუტუზოსთან. რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ ლენინგრადში ჩამოვართვი.

მაშინ მე დიდ მხატვარს ვკითხე:

— მაესტრო გუტუზო, როგორ გახდით იტალიის კომუნისტური პარტიის წევრი?

— მე, როგორც ხელოვანს, პოლიტიკაში სოციალური რდეალების მაღალი ესთეტიკა მიტაცებს: გარდა ამისა, ფერწერაში მე რეალიზმის პრინციპების მომხრე ვარ, კომპარტია საცვებით რეალიზტურ პოლიტიკას ახორციელებს... ესთეტიკის თვალსაზრისითაც კომპარტია ყველაზე მშვენიერი პარტიაა, — თქვა გუტუზომ ლენინგრადის ერმიტაჟში და გაიღიმა.

გუტუზოს შევეკითხე:

— საქართველოში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ძლიერ ბევრია თქვენი ნიჭის თაყვანისმცემელი. ხომ არ აპირებთ საქართველოში ჩამობრძანებას?

— ვნახთ. ამ შემოდგომაზე მოსკოვში მოეწყობა ჩემი ნამუშევრების გამოფენა. არ არის გამორიცხული, რომ თბილისსაც ვეწვიო. ვიცი, რომ საქართველო ძლიერ ჰგავს იტალიას, თქვენ ნიჭიერი მხატვრები გყავთ...

მე გამახსენდა, რომ რენატო გუტუზომ თავის დროზე სტალინს აჩუქა თავისი ნაწარმოები „მამზერალნი“, რომელიც ამჟამად მოსკოვში, პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმში ინახება.

ბედნიერი ვიყავი, რომ პალერმოში ვხედავდი ამ ქმნილების ავტორს და მისი გმირების პროტოტიპებს...

გუტუზო აგზობს — „ენდეთ კომპარტიას!“

პალერმოს საოპერო თეატრი უმშვენიერესი და უდიდესია იტალიაში; და როგორც ხელოვნების ქმნილება — ეს არქიტექტურული შედეგრი ექიმება მილანის „ლა სკალას“, თუმცა საოპერო ხელოვნებაში უთმობს მას პირველობის პაღმას.

აპრილის ერთ წვიმიან საღამოს ამ თეატრის პარტერში ნაკლები ხალხი იყო, ვიდრე ფოიეში, ტელევიზორის ეკრანთან, თუმცა სპექტაკლი დაწყებული იყო.

ცისფერ ეკრანზე ჩანდა სიმპათიური მამაკაცი, რომელიც ენერგიული ექსტიკულაციით ლაპარაკობდა ლამაზი იტალიურით. ვიცანი რენატო გუტუზო.

როცა ვიკითხე რა ხდება-მეთქი, მიპასუხეს:

— რენატო გუტუზო გამოდის წინასაარჩევნო სიტყვით იტალიის პარლამენტში არჩევნების წინ.

— ის ლაპარაკობს ღვთაებრივ იტალიურად და ხალხი მიაჯაკვა ცისფერ ეკრანს, — თქვა ერთმა პალერმოელმა თეატრალმა, — სპექტაკლი არავის ახსოვს.

— ერთადერთი იტალიური ფრაზა, რომელიც დამამახსოვრდა გუტუზოს სიტყვიდან, ეს იყო:

— ვოტა კომუნისტა! ენდეთ კომპარტიას!

ვფიქრობ, ამით ყველაფერი იყო ნათქვამი.

მივბიჯებდი პალერმოს თვალწარმტაც ქუჩებში და ვფიქრობდი: მაინც რა ნიჭი უნდა გქონდეს ადამიანს, რომ შენი სიტყვა მუსიკაზე უფრო აჯაღოებდეს ხალხს?!

პალერმოდან აგრიჯენტოში მოგზაურობის დროს ერთ პატარა იტალიურ სოფელში შევჩერდით. აპრილი იდგა. ირგვლივ ჰყვავოდნენ ფორთოხლისა და ლიმონის ბაღები. ზოგან მანდარინის ხეებს ოქროსფერი ნაყოფი ესხა. სიცილიაში სუბტროპიკები ორსამ მოსავალს იძლევიან წელიწადში.

სოფლის გზისპირა კაფე-ტავერნაში კოკა-კოლა დავლიეთ, მერე ფერწერულ ქმნილებათა რეპროდუქციების ბაზარზე თვალს წყალი დავალევიინეთ. მე ვნახე იქ იტალიელი გლეხი, რომელმაც რენატო გუტუზოს რეპროდუქციები იყიდა. სიცილიელმა გლეხმა მანდარინის ბაღებში დაღვრილი ოფლით ნაშოვნნი იტალიური ლირები დაყარა დახლზე.

მე შევეკითხე გლეხს:

— რა მოგწონთ გუტუზოს ნახატებში?

— სენიორ, — მიპასუხა გლეხმა, — გუტუზო ჩემს ცხოვრებას ხატავს: აი, ამ სურათს ხედავთ? — და გლეხმა მიმითითა სურათზე „გლეხების მიერ დაცარიელებული მიწების მიტაცება“. — აი წითელი დროშა რომ მოაქვს, იმ გლეხის გვერდით მე ვდგავარ“.

— როგორ? თქვენ მისი პროტოტიპი ხართ?

ერთხანს ვერ გავაგებინე რა იყო „პროტოტიპი“, მერე თქვა: — არა, ჩემი სახე კი არ დაუხატავს, მაგრამ ჩემი ცხოვრება დახატა და ეს უფრო ძვირფასია. მე ერთი იმ გლეხთაგანი ვარ, ვინც მიწა მიიტაცა სიცილიაში. ერთხანს დუმდა, მერე დასძინა:

— ასე რომ, სენიორ, მე გუტუზოს ნახატი კი არა, ჩემი სურათი ვიყიდე.

— მე მგონი ეს გლეხი, — ღიმილით თქვა იტალიელმა გიღმა, ლაურა მორავიამ, — იტალიის ბევრ კრიტიკოსზე უფრო ერკვევა ხელოვნებაში.

ჩვეარცხა

„დუჩე! დუჩე!“ ამ სათაურით გამოცემული წიგნებით დანავიანებულა იტალიის წიგნის ბაზრები სან-რემოდან სირაკუზამდე.

როცა ამ წიგნის გარეკანზე მუსოლინის სახეს უყურებთ, უნებლიეთ გახსენდებთ გუტუზოს ანტიფაშისტური შედეგრი — „ჯვარცმა“, ბრწყინვალე ალეგორიული ნაწარმოები, რომელმაც თავის დროზე შეძრა ევროპა.

თანამედროვე მსოფლიოში, მათ შორის იტალიაში მოფაშისტო ელემენტები კვლავ ფიქრობენ ახალ ჯვარცმაზე. სწორედ ამიტომ ახლებურად ჟღერს რენატო გუტუზოს შედეგრი — „ჯვარცმა“, რომ-

ლისთვისაც ვიწროა მუზეუმის კედლები და იგი რეპროდუქციების სახით გამოდის ქუჩებსა და მოედნებზე მთელს იტალიაში ლომბარდიიდან სიცილიამდე, რომ ერთხელ კიდევ დაანახოს ხალხს, თუ რას ნიშნავს იტალიის სახლების კედლებზე და მთებზე ნეოფაშისტების ხელით აქა-იქ ღამით დახატული სვასტიკები...

— არ გვინდა ახალი ჭვარცმა, დაე, ახალმა იტალიამ ჭვარცები მართო გუტუზოს სურათზე ნახოს...

ვის ენდობი, იტალია?

მე ისევ თვალწინ მიდგას პალერმო. პარლამენტის შენობა. რენატო გუტუზოს მომხიბვლელი სიცილი.

ჩვენი ეპოქის ნიშანდობლივ თვისებად იქცა, რომ თანამედროვეობის ყველაზე გამოჩენილი მხატვრები კომუნისტები იყვნენ. პიკასო საფრანგეთის კომპარტიის წევრია, გუტუზო — იტალიის, სიკეიროსი — მექსიკის.

ეს კანონზომიერი და საამაყო მოვლენაა.

როდესაც მთელი იტალიის წინაშე არჩევნების წინ დგება საკრამენტოული კითხვა: კ ვ ო ვ ა დ ი ს, ი ტ ა ლ ი ა? (ვის ენდობი იტალია?), გუტუზო ამბობს: „იტალიელებო! ენდეთ კომპარტიას!“

როდესაც შემოქმედებითი ეტაპები ცვლიან ერთმანეთს ჩვენს ცვალებად სამყაროში, კომპარტია ამბობს: — „მხატვრებო! ენდეთ გუტუზოს!“.

„ვოტა კომუნისტა!“

„ვოტა გუტუზო!“

პალერმო-ვენუა.

1972



ტერპსიქორას ლიმილი...

ლუჩია ჩიუზი — ბალანჩინის პირველი მასხა

პირველად ჯორჯ ბალანჩინის სახელი ერთ გერმანულ ენციკლოპედიაში ამოვიკითხე მოსკოვის ლენინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ახალი წიგნების განყოფილებაში.

ეს იყო ათი თუ თორმეტიოდე წლის წინათ. იქ ბალანჩინი „ძე-წეცდომილად“ მოიხსენიებოდა.

იქვე ისიც ეწერა, რომ „ახალი ამერიკული ბალეტის ფუძემდებელი ჯორჯ ბალანჩინი“ არის იგივე გიორგი ბალანჩივაძე, დიდი ქართველი კომპოზიტორის მელიტონ ბალანჩივაძის ვაჟიშვილი და გამოჩენილი ქართველი საბჭოთა კომპოზიტორის ანდრია ბალანჩივაძის ღვიძლი ძმა.

ამ ცნობამ შემძრა.

რაც უფრო ვღრმავდებოდი ჯ. ბალანჩინის შემოქმედებით ბიოგრაფიაში, მით უფრო და უფრო ახალი ჰორიზონტები იშლებოდა ჯადოსნური მშვენიერების სამყაროში, რომელსაც ბალეტი ეწოდება.

ერთხელ დიდი თეატრიდან ვბრუნდებოდი შინ გორკის ქუჩის გავლით. ჩემი ყურადღება მიიპყრო აფიშამ, რომელიც იუწყებოდა, რომ საგასტროლოდ ჩამოდოდა ამერიკული ბალეტი ლუჩია ჩიუზის და ოლივერ სმიტის მხატვრული ხელმძღვანელობით. პროგრამაში იყო ჩაიკოვსკის „თუმა ვარიაციებით“. ქვევით ეწერა: ჯორჯ ბალანჩინის დადგმა.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროში მითხრეს, რომ „ჩეიზის ბალეტი“ თბილისშიც აპირებსო საგასტროლო მოგზაურობას.

ამან კიდევ უფრო გააღვივა ჩემში ინტერესი ამერიკული ბალეტის თეატრისადმი.

იმ წლებში „მოლოდინი სტალინეცის“ მოსკოველ კორესპონდენტად ვმუშაობდი და ჩემი სამსახურებრივი მოვალეობაც იყო ინტერვიუ ამელო ამერიკელი ბალეტის მესვეურებისაგან, მით უპეტეს, რომ ისინი პირველად ჩამოვიდნენ სსრ კავშირში.

ლუჩია ჩეიზს და ამერიკული ბალეტის ისეთ ვარსკვლავებს, როგორიცაა მარია ტოლჩიფი, ერიკ ბრუნი, ლიუპ სერანო და სხვ. შეეხვდი სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის თეატრში, სამსახიობოში.

ლუჩია ჩეიზი მეტად თავაზიანი და სიმპათიური ქალი აღმოჩნდა.

— ამერიკული ბალეტის დასი ბედნიერია, რომ პატივი გვაქვს წარმოვადგენდეთ აქ, საბჭოთა კავშირში, ჩვენს ეროვნულ საბალეტო ხელოვნებას, თქვა მან და განაგრძო:

— მე ბალანჩინის მაცნე ვარ მის სამშობლოში. მოსკოვში, ლენინგრადსა და თბილისში ჩამომაქვს მისი ხელოვნება. ასე დამაბარა დიდოსტატმა: თუ სამშობლოში მოეწონათ ჩემი ხელოვნება, იქნებ მეც გავბედოო მერე ჩამოსვლა.

ლუჩია ჩეიზმა დაუმატა:

— ჯორჯ ბალანჩინი ამერიკის და მთელი მსოფლიო ბალეტის სიამაყეა. ის სათავეში უდგას „ნიუ-იორკ სიტი“ ბალეტს. მას თავისი სტილი აქვს, თავისი კრედი, თავისი ორიგინალური ხელწერა. მისი სახელი წაუშლელია ამერიკის ხელოვნების ისტორიაში. ის ახალი ამერიკული ბალეტის ფუძემდებელია.

პრიმა-ბალერინამ მარია ტოლჩიფმა, რომელიც ნამდვილ ვარსკვლავივით ანათებდა თავისი ნიჭითა და სილამაზით მთელს ამერიკულ საბალეტო დასში, თქვა:

— როცა ბალანჩინის საბალეტო სპექტაკლებში ვმონაწილეობ. ასე მგონია ფეხები და მთელი ჩემი სხეული სავსეა მუსიკით და თავისით ცეკვავენ...

ოლივერ სმიტმა გავაცნო ამერიკის საბალეტო დასის პროგრამა, რომელშიც შედიოდა ბალანჩინის ქმნილების გარდა შოპენის „სილფიდები“ (მ. ფოკინის დადგმა), აგრეთვე შტრაუსის, ოფენბახის, მინკუსის და სხვა კომპოზიტორების ქმნილებები.

ოლივერ სმიტი სიტყვებს ვერ პოულობდა ბალანჩინის შესაქებად.

ლუჩია ჩეიზმა თქვა:

— ქართული ბალეტის ოსტატებიდან ამერიკის ბალეტის სამ-

ყარო იცნობს ვახტანგ კაბუჯიანს. ვიციტ მისი „ოტელო“. მართალია, ჩვენ სხვადასხვა მრწამსი გაგვაჩნია ბალეტში, მაგრამ კეშმარიტი ხელოვნება მაინც ხელოვნებაა და ჩვენ ის დიდ სიამოვნებას გვანიჭებს.

ლუჩია ჩეიზმა — ბალანჩინის საბალეტო ხელოვნების პირველმა მაცნემ და მოციქულმა ქართულ მიწაზე იმ წელს მოსკოვიდან ასეთი ბარათი გამოუგზავა საქართველოს ახალგაზრდობას.

„საქართველოს ახალგაზრდობას. გაზეთ „მოლოდინი სტალინეცის“ მკითხველებს! მოგესალმებათ ამერიკული ბალეტი, გასურვებთ ბედნიერებას, მშვიდობას, აყვავებას.

ლუჩია ჩეიზი.

1960 წ. მოსკოვი“.

ლუჩია ჩეიზის და ოლივერ სმიტის ხელმძღვანელობით ამერიკული ბალეტის გასტროლებმა წარმატებით ჩაიარეს თბილისში და გზა გაუკვალეს ჯორჯ ბალანჩინის სამშობლოში ჩამოსასვლელად.

მშვენიერმა ამერიკელმა ქალმა ლუჩია ჩეიზმა ბედნიერად შესარულა თავისი მისია.

ის ბალანჩინის შემოქმედების კეთილ მაცნედ მოველინა საქართველოს. მან პირველმა გვაჩვენა ბალანჩინის საბალეტო ქმნილება.

როგორც ცნობილია, ბალეტის დიდოსტატმა ჯორჯ ბალანჩინმა მას შემდეგ რამდენიმეჯერ იმოგზაურა საბჭოთა კავშირში, მათ შორის საბჭოთა საქართველოშიც „ნიუ-იორკ სიტი ბალეტის“ დასის თანხლებით.

სწორს ამბობენ პროგრესული ამერიკელი ჟურნალისტები, როცა წერენ, რომ „სჯობს ვაშინგტონმა სხვა ქვეყნების მოსახლეობა ბალერინების ლამაზი ფეხებით და ნაზი გრაციით გააკვირვოს. ვიდრე ამერიკელი ჯარისკაცის მძიმე ჩექმებით და ტლანქი მანერებით“.

— ბალანჩინი პენტაგონზე უფრო ძლიერი იარაღია, — თქვა ერთმა ამერიკელმა პოლიტიკოსმა, — ის ლამაზად იპყრობს მსოფლიოს.

| 1960 წ. მოსკოვი.

ფრანგული ბალეტის ორი ვარსკვლავი

იმ წელს ფრანგული ბალეტის ვარსკვლავებმა გაიღვეს მოსკოვის საბალეტო ცის კაბადონზე. გაიღვეს და ნათელი კვალი დატოვეს. ისინი იყვნენ მსოფლიოში სახელგანთქმული თეატრის

პარიზის „გრანდ-ოპერის“ პრიმა-ბალერინა კლოდ ბეაი და პირველი მოცეკვავე ატილიო ლაზისი.

ჩვენ ვესაუბრეთ მოსკოვში, კლოდ ბესის და ატილიო ლაბისს, აგრეთვე მოსკოვის ლუნაჩარსკის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის ფრანგ სტუდენტს ვერა ბოკადოროს, რომელიც საბჭოთა კავშირში კლოდ ბესისა და ატილიო ლაბისის გასტროლების სამხატვრო ხელმძღვანელია და მათი რამდენიმე ცეკვის დამდგმელი.

მათ პროგრამაში იყო „შუმანის კონცერტი“, შორის ტილიეს „ოქროს კვერცხი“, ბონფილდის „ორი ბრძოლა“, „პა-დე-დე“ მინკუსის ბალეტიდან „დონ კიხოტი“, „კორობენიკი“.

ბესისა და ლაბისს გასტროლებზე თან ახლდათ ფრანგი პიანისტი ქალი ჟაკლინ ემრი. მის პროგრამაში იყო ლისტის, შაბრიესა და სენსანის ნაწარმოებები.

ვერა ბოკადორომ „კომუნისტის“ მკითხველებისათვის გადმოგვცა რუსულ ენაზე დაწერილი შემდეგი ბარათი ფრანგული ხელმოწერით:

„გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს:

ბედნიერი ვარ, რომ ჩამოვალ საქართველოში და განსაკუთრებით თბილისში. მახარებს მომავალი შეხვედრა ბალეტის დიდოსტატთან ვახტანგ ჭაბუკიანთან და ქართველი ხალხის შემოქმედების გაცნობა.

ვერა ბოკადორო.

კლოდ ბესიმ და ატილიო ლაბისმა გვთხოვეს გადავცეთ საუკეთესო სურვილები ქართველ ხალხს და გადმოგვცეს „კომუნისტში“ დასაბეჭდად შემდეგი ბარათი ფრანგულ ენაზე:

„ბედნიერი ვართ, რომ ვიმყოფებით საბჭოთა კავშირში. მოუთმენლად მოველით თბილისში ჩასვლას.

კლოდ ბესი,
ატილიო ლაბისი“.

— ყველა თბილისელს, საქართველოს ყველა მშრომელს გადავცით ჩემი სალამი და საუკეთესო სურვილები, — დაგვაბარა ფრანგმა პიანისტმა ქალმა ჟაკლინ ემრიმ.

— ყველანი ვლელავთ თბილისში გასტროლების წინ. შევეცდებით, რომ თბილისელებმა მოიწონონ ჩვენი ხელოვნება.

— ქემშარიტი არტისტი ყოველთვის ღელავს სცენაზე გამოსვლის წინ. ასეთია ნიჰის სპეციფიკური თვისება, — მითხრა უმშვენიერესმა ფრანგმა ქალიშვილმა ვერა ბოკადორომ.

— არც თუ ისე იოლია გასტროლები იმ ქვეყანაში, სადაც აქვთ

დიდი თეატრი, დიდი ბალეტი და ჰყავთ ისეთი დიდი მსახიობები, როგორცაა ულანოვა და ჭაბუკიანი, — თქვა ატილიო ლაბისმა.

მიხაროდა, რომ ამას ამბობდნენ დიდი კლასიკური ეროვნული კულტურის ტრადიციებზე აღზრდილი ფრანგი მსახიობები, რომლებსაც ვარსკვლავებს ეძახიან თავიანთ ქვეყანაში.

ფრანგ მსახიობებს ვკითხე, თუ რა იცოდნენ მათ პარიზში „ვეფხისტყაოსნის“ მოტივებზე დადგმული ბალეტის შესახებ. მათ თქვეს, რომ პარიზში დადიოდა ლევენდა „ვეფხისტყაოსანზე“ იმ დადგმის შემდეგ.

ფრანგმა მსახიობებმა ახსენეს ქართველი ბალერინა ე. ფალავა. მე მაშინ პირველად გავიგონე მისი გვარი. აქეს მისი საბალეტო ხელოვნება.

თავის მხრივ ფრანგული ბალეტის ოსტატებმა თქვეს, რომ უკვირთ, რატომ არ დგამენ ბალეტს თბილისში ან მოსკოვში „ვეფხისტყაოსნის“ მოტივებზე.

ეს კითხვა დღემდე კითხვად რჩება. მართლაც რომ ჩვენი კინო, ბალეტი, ოპერა, ხელოვნების ბევრი სხვა დარგი ვალშია შოთა რუსთაველის გენიის წინაშე.

1961 წ. მოსკოვი.



მსახიობები

პოლ რობსონი და ჯადრაკის ფილოსოფია

ამ რამდენიმე წლის წინათ მოსკოვში, სასტუმრო „სოვეტსკა-იაში“ ინტერვიუ ჩამოვართვი გამოჩენილ ამერიკელ მომღერალსა და საზოგადო მოღვაწეს, ზანგთა პროგრესული მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს პოლ რობსონს. მაშინ გაზეთ „კომუნისტის“ მოსკოველ კორესპონდენტად ვმუშაობდი და გასაგებია, ჩვენი საუბარი ეხებოდა ძირითადად პოლიტიკას, ხელოვნებას, ზანგთა მოძრაობას, საქართველოში მცხოვრებ ზანგთა გენეალოგიას და სხვა საკითხებს.

სასტუმროს კომფორტაბელურ ნომერში ჯადრაკიც იყო. რობსონმა შემატყო, რომ ჯადრაკმა ჩემი ყურადღება მიიპყრო და განმარტა:

— ეს ჩემი სამგზავრო ჯადრაკია, ფიგურები სპილოს ძვლისაა. პარლემში მაჩუქეს ზანგებმა.

— გიყვართ ჯადრაკი, ბატონო პოლ?

— არანაკლებ, ვიდრე სიმღერა.

— რა უფრო გიტაცებთ ჯადრაკში, ბატონო რობსონ?

— ო, ეს რთული საკითხია. მე ხელოვანი ვარ და ჯადრაკში ყველაზე მეტად ხელოვნება მიტაცებს.

რობსონი ცოტა ხანს ჩაფიქრდა, მერე დაუმატა:

— მიხეილ ტალმა ჯადრაკი ნამდვილ თეატრად აქცია. თავისუფალ დროს მის პარტიებს ვარჩევ.

ამ სიტყვებით რობსონმა საჯადრაკო უურნალ-გაზეთების დასტაზე მიმითითა, რომელიც მაგიდაზე ეწყო.

— გარდა ამისა, ჯადრაკში, მე, როგორც ზანგი, საოცარ სიმ-

ბოლიკასაც ვხედავ. ჭადრაკის სამყაროში მეტი სამართლიანობაა, ვიდრე მთელ ამერიკის შეერთებულ შტატებში. ჭადრაკში შავები იმავე უფლებებით სარგებლობენ, რა უფლებებიც თეთრებს აქვთ...

რობსონი ერთხანს ჩაფიქრდა და მერე გაიღიმა:

— თუმცა, ძველი დისკრიმინაციის ნარჩენი აქაც იგრძნობა: მაინც თეთრები იწყებენ, პირველი სვლა მაინც მათია. ერთი სიტყვით, ჩემთვის ჭადრაკი შავების (ზანგების) და თეთრების (თეთრკანიანების) ბრძოლის ისტორიაა, თამაშის ენაზე გადმოცემული.

მე მარცხდება რობსონის მსჯელობა. აი, თურმე რა სიმბოლიკის დანახვა შეიძლება ჭადრაკის თამაშში...

რობსონს სახეზე კეთილი ღიმილი დასთამაშებდა და განავრთობდა თავისი ბოხი, მეტისმეტად სასიამოვნო, ხვერდოვანი ხმით:

— მთავარი მაინც ისაა, ჩემო მეგობარო, რომ შავი და თეთრი ფიგურები ჭადრაკის დაფაზე თანასწორუფლებიანი არიან, ამერიკის პრეზიდენტები და კანონმდებლები კი დღემდე ვერ ამაღლდნენ ჭადრაკის თამაშის კოდექსის შემდგენელთა დონემდე. ჭადრაკის მონარქიულ სამეფოში, ვიმეორებ, მეტი დემოკრატიაა, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკაში.

და იმ წუთს მეჩვენებოდა, რომ რობსონის ოთახში ჭადრაკი კი არ იდგა, არამედ ქვემეხი, რომლითაც ყუმბარებს უშენდა თეთრ სახლს ეს ზანგი გოლიათი.

— ჭადრაკში ვისი გულშემატკივარი ხართ, ბატონო რობსონ?

— ჭადრაკშიც, ისევე როგორც ნთელს ჩემს ცხოვრებაში, შავების გამარჯვება მახარებს. ყველაზე მეტად ის იშვიათი გამარჯვება მადლეუებს, როცა შავი პაიკი აშამათებს თეთრების პრეზიდენტს... ბოდიში, მეფეს!

ორივეს გაგვეცინა.

შევატყვე, რომ უკვე საკუთრივ ჭადრაკზე საუბარი არ სურდა. გადაღლილად მეჩვენა და დავეშვიდობე.

ჩემთვის დაუვიწყარია ეს შეხვედრა პოლ რობსონთან.

პაემანი „XX საუკუნის ვენერა მილოსელთან“

კიმ ნოვაკი ყველაზე ულამაზესია იმ ქალთა შორის, რომლებიც ოდესმე მინახავს.

მიკვირს, რომ პოლივუდში ის მაინც მეორე იყო, იმ დროს ლეგენდარული ელიზაბეტ ტეილორის შემდეგ.

ალბათ კინომსახიობის ნიჭმა ითამაშა აქ გადამწყვეტი როლი. მსოფლიო აღფრთოვანებულია მისი ნიჭით და სილამაზით.

მსოფლიოში ცნობილია მისი ფილმები.

როდესაც მე ხელს ვართმევდი კიმ ნოვაკს, ასე მეგონა ხელში მეჭირა ვენერა მილოსელის დაკარგული ლეგენდარული, უმშვენიერესი მარჯვენა ხელი, რომელიც თითქოს კიმ ნოვაკის ნაზ სხეულში გაცოცხლებულიყო რაღაც სასწაულით.

არ ვიცი, გავიფიქრე თუ ვიგრძენი ეს.

არსთა განმრიგე კაცობრიობის ყველა თაობაში გაურევეს თითო-ორიოლა ვენერა მილოსელს, რომ დაგვანახოს თუ რა ძლიერია მისი გენია სილამაზის გამოძერწვის სფეროში.

თუ ეს ასეა, კიმ ნოვაკი უთუოდ XX საუკუნის ვენერა მილოსელია, როგორც წერენ მის შესახებ ხელოვნების ქურუმები.

და აი, ერთ მშვენიერ დღეს მოსკოვში გამოჩნდა კიმ ნოვაკი — XX საუკუნის ვენერა მილოსელად მონათლული.

არც ისე იოლი აღმოჩნდა „პაემანის“ დანიშვნა კიმ ნოვაკთან...

— ადამიანს ყველაფერი ძალუძს, — გამამხნევა ერთმა მეგობარმა ჟურნალისტმა, როცა ხელი უიმედოდ ჩავიქნე, — კიდევ ცოტა და მიზანსაც მიაღწევთ...

მერე ღიმილით დაუმატა:

აბა გაიხსენე მსოფლიო ლიტერატურა. ფაუსტმა მშვენიერ ელენესთან „მოახერხა“ შეხვედრა, კიმ ნოვაკი კი ცოცხალი ადამიანია.

„კიდევ ცოტა“ და...

ეს შეხვედრა მართლაც შედგა მოსკოვში, ჟურნალისტთა ცენტრალურ სახლში.

იმ წელს „კომუნისტში“ ვწერდი: ამერიკის კინოკრიტიკა და პრესა მაღალ შეფასებას აძლევენ პოპულარულ ამერიკელ კინომსახიობს კიმ ნოვაკს, რომელიც სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის მოწვევით საბჭოთა კავშირში იმყოფება. მოსკოვში ჟურნალისტთა ცენტრალურ სახლში უცხოელი და საბჭოთა ჟურნალისტები შეხვდნენ ცნობილ ამერიკელ მსახიობ ქალს.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტმა კიმ ნოვაკს მისცა რამდენიმე შეკითხვა.

კითხვა: როგორია საბჭოთა კავშირში თქვენი ჩამოსვლის მიზანი?

პასუხი: ვოცნებობ შევესრულო ერთ-ერთი მთავარი როლი კინოფილმში, რომელიც საბჭოთა და ამერიკელი კინემატოგრაფისტების კოლექტიური ნაწარმოები იქნება. ვიცი, რომ ამჟამად მოსკოვში იმყოფება ამერიკელი მწერალი მიტჩელ უილსონი და საფუძველი ეყრება პირველ საბჭოთა-ამერიკულ კინოფილმს. ამიტომ ჩემი სურვილი რეალურად მეჩვენება.

— ხომ არ აპირებთ საქართველოში გამგზავრებას?

ნოვაკმა გვიპასუხა, რომ ბევრი რამ სმენია საქართველოზე.

— ვოცნებობ მშვენიერ შავი ზღვისპირეთზე. ვფიქრობ აუცილებლად ვეწვიო საქართველოს. თუმცა ძალიან დატვირთული ვარ. წელიწადში 2-3 ფილმში ვთამაშობ მთავარ როლებს. ძალიან მომეწონა ქართული ბალეტი, ნიუ-იორკში ვნახე მისი გამოსვლა (ნოვაკს სუხიშვილის ანსამბლი ჰყავდა მხედველობაში).

ამერიკელმა კინოვარსკვლავმა გაზეთ „კომუნისტიისათვის“ გადმოგვცა ავტოგრაფი, რაზედაც ვკითხულობთ:

„მარად კეთილი სურვილებით თქვენდამი.
კიმ ნოვაკი 15. 8. 62“.

შეხვედრის დასასრულს ჟურნალისტთა ცენტრალურ სახლში აჩვენეს ამერიკული ფილმი „პიკნიკი“. მასში მთავარ როლს ასრულებს კიმ ნოვაკი. ფილმის ჩვენების წინ ამერიკელმა კინოვარსკვლავმა ჟურნალისტებს მოუთხრო, თუ როგორ მუშაობდა როლზე. როცა გამოვემშვიდობე კიმ ნოვაკს, ვუთხარი:

— თუ მისს ნოვაკს არაფერი ექნება საწინააღმდეგო, ამ ინტერვიუს გამოვაქვეყნებ სათაურით „პაემანი XX საუკუნის ვენერა მილოსელთან“.

კიმ ნოვაკის ბაგეს ღვთაებრივი ღიმილი მოწყდა:

— ოლ რაიტ!

— მხოლოდ პაემანს ბრჭყალებში ჩავსვამ, — დაუუმატე მე.

— არა! ბრჭყალები არ არის საჭირო, მე „პოლიუდის ბრჭყალებიც“ მეყოფა, — თქვა კიმ ნოვაკმა და ისევ ლამაზად გაიცინა.

მე მივდიოდი ძველ არბატზე. მაშინ ჭერ კიდეც არ იყო აშენებული ცათამბჯენები, რომლებიც ასე ამშვენებენ დღეს კალინინის პროსპექტს. მივდიოდი და ყურში ჩამესმოდა პეტრარკას გრძნეული სიტყვები, რომლებიც წაიკითხა კიმ ნოვაკმა საბჭოთა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე.

მე მომქონდა ქართველი მკითხველებისათვის ბარათი, რომელიც ვენერა მილოსელის ლამაზი ხელით ჩემს თვალწინ დაიწერა.

და იმ დღეს XX საუკუნის ვენერა მილოსელთან „პაემანის“ დღე დავარქვი.

მოურინ ფორესტიარის დაუვიწყარი დღე და საათი

სასტუმრო „ნაციონალის“ ფოიეში სამნი ვიყავით: მოურინ ფორესტერი, „ინტურისტის“ გიდი და ამ სტრიქონების ავტორი.

ფორესტერს ხელში ეჭირა ინგლისურ ენაზე ტორონტოსა თუ მონრეალში დაბეჭდილი წიგნი. როგორც შემდეგ გავიგე, ეს იყო

ნუსიკალური წელიწდეული, სადაც ქართველ კომპოზიტორებზეც იყო საუბარი.

სანამ პირველ შეკითხვას დავესვამდი, მოუხინმა თქვა, რომ საბჭოთა რეპორტიორები თავდაპირველი და ზრდილობიანი ხალხია, სულაც არ ჰგვანან ამერიკელ ჟურნალისტებს, რომლებიც თავხედურად იძლევიან უცნაურ და ექსტრავაგანტურ კითხვებს, უბოდიშოდ იქექებიან თქვენს პირად ნივთებსა და პირად ცხოვრებაში, დამალული კაპერით გიღებენ სურათს, ასე გასინჯეთ საწოლშიც კი. ღმერთმა უწყის როგორ ახერხებენ ამას.

მე ხშირად ამერიკის კონტინენტის ჟურნალისტებთან შეხვედრაზე მიმაქვს ჩემოდანი, რომელიც სავსეა ჩემი პირადი ნივთებით. და როდესაც მაძლევენ თავხედურ კითხვებს, ვხსნი ამ ჩემოდანს და ვეუბნები ჟურნალისტებს:

— აჰა, ბატონებო, აქაა ჩემი ფეხსაცმელები, ღამის პერანგები, წინდები, ათასი სხვა აქსესუარი. ამოიღეთ, გასინჯეთ, გაზომეთ და წერეთ რამდენიც გინებოთ. ოღონდ ამ კითხვებზე პასუხის გაცემისაგან გამათავისუფლეთ. მათ არ აინტერესებთ არც ჩემი რეპერტუარი, არც ჩემი ხელოვნება. მათთვის მთავარია, რომ მე ვარ ფორესტერი და ვარ ქალი.

თქვენთან შეხვედრაზე კი, პირიქით, მომაქვს ჩემი პროგრამა, ჩემი რეპერტუარი, წიგნები ხელოვნებაზე, რადგანაც საბჭოთა ჟურნალისტებს სწორედ ეს გაინტერესებთ. და მეც ვფიქრობ, რომ ეს არის მთავარი და არა ის, თუ რა ზომისაა ჩემი ტუფლი, ან რომელი ფირმის მიერაა გამოშვებული ჩემი თეთრეული.

ასე ამბობდა მოუხინ ფორესტერი—ამერიკის კონტინენტზე სახელგანთქმული კანადელი მომღერალი ქალი. მას ევროპაშიც იცნობენ. გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ მას „განუმეორებელი კონტრალტო“ უწოდა.

თბილისელებმა მისი შესრულებით მოისმინეს ორი საკონცერტო პროგრამა ბახის, შუმანის, ბრამსის, ბარბერის, დე ფალიას, მალერის, ფრანკის, მუდარას, დე-ლა ტორეს და სხვათა ნაწარმოებები.

— საქართველოზე ბევრი რამ მსმენია. მაღელვებს თბილისში გასტროლები, — გვითხრა მოუხინ ფორესტერმა, — ვიცნობ თქვენს კომპოზიტორს ოთარ თაქთაქიშვილს. მას კანადაში შევხვდი, კომპოზიტორთა კონგრესზე.

მოუხინ ფორესტერი აღტაცებულია საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლით.

— კანადაში დიდი წარმატება ხვდათ ქართველ მოცეკვავეებს. მათმა გასტროლებმა ტრიუმფალურად ჩაიარა, ქართულ კულ-

ტურაზე ბევრი რამ მსმენია ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯორჯ ბალანჩინისაგან, — ამბობს მოურიან ფორესტერი.

საუბრის დასასრულს კანადელმა მსახიობმა გეთხოვა გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს გადაეცეთ მისი პატარა ბარათი:

„გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს:

მიიღეთ ჩემგან საუკეთესო სურვილები. მოუთმენლად ველი თქვენთან შეხვედრას ჩემს კონცერტებზე.

მონიკა ფორესტერი.“

ფორესტერთან ერთად საქართველოში ჩამოვიდა ჯონ ნიუმარკი, რომელიც ფორესტერის კონცერტებზე ფორტეპიანოს პარტიას ასრულებდა.

თბილისში ფორესტერის კონცერტებმა დიდი წარმატებით ჩაიარეს.

...რამდენიმე წლის შემდეგ მე მქონდა შემთხვევა მომესმინა ფორესტერისათვის კანადაში, მონრეალში. მოურიანს ვკითხე:

— როგორია თქვენი შთაბეჭდილებები თბილისის მუსიკის მოყვარულებზე?

— ო, დაუვიწყარია ის დღე და საათი, — თქვა კანადელმა მომღერალმა ქალმა და გაიღიმა.

იმა სუმაკი — ინჟური საოცრება

იმა სუმაკი — თანამედროვე მუსიკალური სამყაროს მეშვიდე საოცრებადაა გამოცხადებული. მას ფენომენალური, გასაოცარი დიაპაზონის ხმა აქვს. მასში შერწყმულია ოთხი ოქტავა: მეცო-სოპრანო, დრამატული და კოლორატურული სოპრანო და ბარიტონი.

ერთი სიტყვით, ეს არის მუსიკის სასწაული, ინკთა — ამ სახელგანთქმულ ინდიელთა ტომის ბელადის ქალიშვილის — იმა სუმაკის სახით რომ მოველინა სამყაროს.

1960 წლის დეკემბრის ერთ სუხიან საღამოს მოსკოვის სასტუმრო „ნაციონალში“, ერთ მყუდრო ნომერში მე, გაზეთ „მოდლო სტალინეცის“ მოსკოველი კორესპონდენტი, ვესაუბრებოდი იმა სუმაკს და მის ვაჟიშვილს ჩარლი ვივანკოს ხელოვნებასა და ცხოვრებაზე.

— რა რეპერტუარით წარდგებით თბილისის მუსიკალური საზოგადოების წინაშე? — ვკითხე მსოფლიოში ცნობილ ინდიელ მომღერალ ქალს.

— შევასრულებ პერუსა და ბოლივიის სიმღერებს. ინდიელ-

თა ფოლკლორის ნიმუშებს, უპირატესად კეჩუას და აიმარას ტომების სიმღერებს.

— რომელ სიმღერებს გამოყოფდით თქვენი რეპერტუარიდან?

— მე ქალი ვარ და ინდიელთა „იავნანა“ — აკენის სიმღერა ყველაზე მეტად მომწონს. დიდი სიამოვნებით ვმოერი „ჩუნჩოს“, „მზის ჰიმნს“, „მწვანე ჯოჯობეთს“, „ჯუნგლების ხმას“ და მრავალ სხვა სიმღერას. მე მათში ვცდილობ გავაცოცხლო პერუს ხალხის სული, ოცნება და ფიქრი.

— რა იცით საქართველოს შესახებ პერუში?

— კავკასიაა და საქართველოზე ბევრად რამ მსმენია. ვიცი, რომ ქართველი ხალხი მეტად სტუმართმოყვარეა და მუსიკალური. მონარული ვიქნები თბილისში გავამდიდრო ჩემი ცოდნა ამ მხარის შესახებ. მტკვრის პირას დიდი სიამოვნებით შევასრულებ პერუში, მდინარე ამაზონკას ნაპირებზე დაბადებულ სიმღერებს.

— ამაზონკებს კავკასიაშიც ახსენებს ზოგიერთი ისტორიკოსი, — ვთქვი მე.

— ოო, ეს არ ვიცოდი, მეტად საინტერესო იქნება პერუსა და კავკასიის ამაზონკების შეხვედრა, — თქვა სუმაკმა და გაიღიმა.

როცა იმა სუმაკს ვუყურებდი, ვფიქრობდი: ღმერთი ძუნწია. ამ ქალისათვის ოთხი ოქტავის ხმა არ დაიშურა და იმავე დროს უფრო ლამაზი ღიმილის ჩუქება დანანებია.

იმა სუმაკს ღიმილი არ უხდებოდა. მაგრამ ამ ქალის მშვენიერება მის სხეულსა და სახეში კი არა, მის ხმასა და სიმღერაში იყო.

ეს იყო ყოველის მომნუსხველი მშვენიერება.

თითქოს ჩემს ფარულ აზრებს მიხვდაო, იმა სუმაკმა მაგიდის ჯვრიდან თავისი ახალგაზრდობის სურათი გამოიტანა.

თვალებს არ დავუჯერე: ყელმოღერებული 18 წლის ხოხობი იმზირებოდა ფოტოდან.

— ეს ჩემი ქალწულობის სურათია, — თქვა მან, — მერე ფანქარი აიღო და ინგლისურად წააწერა:

„მოლოდოი სტალინეცს“. დიდი მაღლობითა და ხაუკეთესო

სურვილებით. იმა სუმაკი“.

მერე შემომხედა და თქვა:

— ასე სჯობია, რადგანაც თქვენი გაზეთი ახალგაზრდულია, ბარემ ჩემი ახალგაზრდობის სურათი დაბეჭდეთ.

იმ სურათზე, რომელიც „მოლოდოი სტალინეცმა“ გამოაქვეყნა, იმა სუმაკი დგას ინდიელთა ტომის ბელადის ქალიშვილის დედოფლურ მოსასხამში.

მაგიდაზე პისაროს ერთ-ერთი ქმნილების რეპროდუქცია იდო.

— გიყვართ პისარო? — ვეკითხები იმა სუმაკს.
— ეს პისარო კი. ის პისარო არა.
— რომელი „ის პისარო?“ — ვამბობ მე.
— პერუმ სხვა პისაროც იცის, უცხოელი დიქტატორი პისარო, ინკების დამმონებელი.

— მგოსნებიდან ვინ მოგწონთ?

— გილიენი, ნიკოლას გილიენი, — მითხრა სუმაკმა, — მან ბრწყინვალედ თქვა: ჩემი მიწა შაქრის ლერწამს ისხამს, მაგრამ გლეხისათვის მწარეაო. ასეა პერუშიც. მწარეა პერუს შაქარი.

ხელოვნებამ ხალხს ცხოვრების ტვირთი უნდა შეუშუსუბუქოს. მწარე შაქარი ტკბილად უნდა აქციოს. ამაშია მისი დანიშნულება.

პერუ ყველაზე მდიდარია ოქროს, ვერცხლის საბადოებით და ყველაზე ღარიბი ოქრო-ვერცხლით სწორედ პერუელია. ჩვენი ეროვნული სიმდიდრე უცხოელი მონოპოლისტების ჭიბეს ავსებს.

იმა სუმაკმა ბოლოს თქვა:

— მე ვამაყობ, რომ ვარ ერთ-ერთი პირველი ინდიელი და ინკი ქალი, რომელიც მცირე ბარათით მივმართავ ქართველ ხალხს. და ისე ვლელავ საქართველოში კონცერტების წინ, როგორც პირველ პაემანზე წასვლის წინ. ჩემს სიქალწულეში.

ასეთი იყო ის ერთი დაუვიწყარი შეხვედრა იმა სუმაკთან — ინკების ამ ქეშმარიტ საოცრებასთან.

მოსკოვი. 1960 წ.



საქმიანი შეხვედრები

სენეგალის მამა — მაჯემუტ დიოპი

ეს მოხდა აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში. საზღვარგარეთთან კულტურული ურთიერთობის სასახლეში გამაცნეს შავკანიანი სიმპათიური სახის ახალგაზრდა ჯენტლმენი — მაჯემუტ დიოპი.

ის საშუალო ტანისა იყო, შავ სათვალეს ატარებდა და მოკლე ხუჭუჭი შავი თმები ჰქონდა. ღიმილი უხდებოდა. მეტად თავმდაბლად და თავაზიანად ექირა თავი. ფრანგულს ბრწყინვალედ ფლობდა, ოღონდ ოდნავ შესამჩნევი აქცენტით ლაპარაკობდა.

— ამ ჯენტლმენს აინტერესებს საბჭოთა ჟურნალისტების გაცნობა, მათთან კავშირი და ურთიერთობა, — თქვა ახალგაზრდა ჰაბტუჟა და საბჭოთა ჟურნალისტების ჯგუფს გაგვაცნო მაჯემუტ დიოპი.

დიოპი თავმდაბლად ამბობდა, რომ ის არის მხოლოდ ჟურნალისტი და ლიტერატორი.

ჩვენს წინაშე კი სინამდვილეში იდგა სენეგალელი ხალხების პოლიტიკური ლიდერი, აფრიკის დამოუკიდებლობის პარტიის სენეგალის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სიჭაბუკეშივე „სენეგალის ხალხის მამად“ წოდებული, რომელსაც სენეგალში მისი პარტიის აკრძალვის გამო 1960 წლიდან ცხოვრება უხდებოდა ხან იატაკქვეშეთში, ხან ემიგრაციაში...

ეს ხომ ყველა რევოლუციონერის სვედრია.

იმ წელს მაჯემუტ დიოპთან შეხვედრის შესახებ სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი ოთხწლიანი პარტიული სკოლის ნაბეჭდ გაზეთში გამოვავიწყებ პატარა წერილი და ფოტოსურათი.

დიოპი ამ სურათზე მაგონებს გასაჟრენად გამზადქმულ არწივს, რომელიც ადრე იგი გვიან თავიუფლად გაშლის ფრთას სენეგალის ლურჯ ცაში, აფრიკის უძველეს მიწას რომ დაჰყურებს მიწყვივ-დაბადებიდან.

— რატომ აკრძალეს თქვენი პარტია? — ვეკითხები მაჭემეტ დიოპს.

— სუსტებს მუდამ ეშინიათ დამარცხების, — ლაკონიურად თქვა მაჭემეტ დიოპმა, — ეს პრეზიდენტ სენგორის სისუსტეზე ლაპარაკობს და არა სიძლიერეზე.

— რას წარმოადგენს სენეგალის პრეზიდენტი, როგორია მისი პოლიტიკური ფიზიონომია?

— ლეოპოლდ სენგორი პოეტი და ფილოსოფოსია. სიტყვით ლაპარაკობს სოციალიზმზე, საქმით იდეალისტი და უტოპისტია. მისი „აფრიკული სოციალიზმი“ მირაჟია. ფაქტიურად ძალაუფლება მარაბუტებსა აქვთ ხელში ჩაგდებული. მარაბუტები ძლიერ ფეოდალთა მუსულმანური სექტაა სენეგალში.

— რა მიზანს ისახავს თქვენი პარტია?

— აფრიკის განთავსუფლების პარტია ერთადერთი პარტიაა, რომელსაც შეუძლია მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციებიდან გაგებულ სოციალიზმის გზით წაიყვანოს სენეგალი მომავლისაკენ. მაგრამ სენეგალის მუშათა კლასი ჯერ ახალგაზრდაა და პოლიტიკურ ბრძოლებში გამოუცდელი. ჩვენი დროებითი წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზიც ეს არის.

— დიოპი განთქმული გვარია სენეგალში, — ვუბნები მაჭემეტს.

— დიას, დიოპები ცნობილი არიან პოეზიაში, პოლიტიკაში, ფილოსოფიაში. სენეგალში განსაკუთრებით ცნობილია მწერლები დავით და ბირაგო დიოპები. დავით დიოპი გვინეაშიც მოღვაწეობდა, სახალხო განათლების დარგში. სრულიად ახალგაზრდა დაიღუპა საავიაციო კატასტროფის დროს.

— როგორია სენეგალის სახელმწიფოს სოციალური სტრუქტურა?

— ჩვენს საზოგადოებაში ყველაზე მრავალრიცხოვანია გლეხთა კლასი. ის არა მარტო ყველაზე მრავალრიცხოვანი, არამედ ყველაზე უძველესი და უღარიბესი კლასიცაა იმავე დროს. არიან მდიდარი გლეხებიც, ისეთები, თქვენ რომ კულაკებს ეძახით. პროლეტარიატი მცირერიცხოვანი და ახალგაზრდაა, როგორც ყველა კოლონიალურ ქვეყანაში. ყველაზე ძლიერია ეკონომიურად და პოლიტიკურად მარაბუტები — ფეოდალთა კლასი. ისინი იმავე დროს ოთხ მუსულმანურ სექტას შორის უძლიერესნი არიან. ბურჟუაზია მცირერიცხოვანია. დიდ როლს თამაშობს ინტელიგენცია, რომელიც ძირითადად მდიდარი ფენებიდანაა გამოსული.

დიოპი ბევრს ლაპარაკობდა სენეგალის ეკონომიკაზე. უენიშნა, რომ არაქისი — მიწის თხილია წამყვანი კულტურა სოფლის მეურ-

ნობაში. გულდაწყევით თქვა: სენეგალს ბშირად „არაქისის რესპუბლიკას“ ეძახიანო. მე გამახსენდა რევოლუციამდელ საქართველოს „სიმინდის რესპუბლიკას“ რომ ეძახდნენ. კონსტანტინე ლორთქიფანიძის ცნობილ რომანს „კოლხეთის ცისკარს“ სწორედ ამიტომ ეწოდებოდა ერთ-ერთ აღრინდელ ვარიანტში — „ძირს სიმინდის რესპუბლიკა!“

ეს რომ ვუთხარი, დიოპს გაეცინა:

— მე ვიცნობ საქართველოს, — თქვა მან, — ვიცი, რომ თქვენმა ხალხმა ფანტასტიკურ წარმატებებს მიაღწია.

მერე დიოპმა თქვა: სენეგალში ბევრგან შემორჩენილია ჯერ კიდევ პირველყოფილი თემურ-გვართვნილი წყობილების ნაშთები. მახსოვს მარქსი და ენგელსიც წერდნენ კავკასიაში მსგავსი გადმონაშთების შესახებ. და რადგანაც ასე მალე მიაღწია თქვენმა მხარემ დიდ წარმატებებს, ეს იმის დამადასტურებელიც არის, რომ სენეგალის მომავალი მხოლოდ სოციალიზმი შეიძლება იყოს.

— სენეგალი მონებით ვაჭრობის ცენტრი იყო ძველად. — თქვა დიოპმა, — ამ მონობამ დღეს მხოლოდ ახალი ფორმა მიიღო. ჩვენ ვიბრძვით ადამიანისა და ხალხის სრული თავისუფლებისათვის.

მე ვუთხარი დიოპს, რომ ტყვეების გაყიდვა ძველ საქართველოშიც იყო და ქართველმა მამულეებმა შეძრეს აფრიკა. განსაკუთრებით ეგვიპტე, სირია და ერაყი.

— მამულეები ვიციო, — თქვა დიოპმა.

მას არაბი მწერლის ზეიდანის ორი რომანი ჰქონდა წაკითხული მამულეებზე, მაგრამ დიდი აზრისა არ იყო მამულეებზე. ისინი ტიპიური ფეოდალები იყვნენო. — თქვა დიოპმა.

ეს საუბარი ათიოდე წლის წინათ შედგა.

დღეს არ ვიცი სად არის, ან რა წარმატებით იბრძვის მაქემუტ დიოპი.

მაგრამ მე მწამს, რომ მისი პარტია გაიმარჯვებს.

სენეგალის დღომაზე ყვითელ ფონზე ანათებს მწვანე ხუთქიმიანი ვარსკვლავი.

დიოპმა თქვა — მე არ მინდა ეს მწვანე ვარსკვლავი სენეგალის მთავრობის სასირცხვილო პოლიტიკის გამო გაწითლდეს: ის წითლად უნდა ანათებდეს სენეგალის თავზე იმ წმინდა სისხლის ფასად, რომელიც ზანგებმა დაღვარეს სენეგალის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

— ზანგების სისხლიც წითელია, — თქვა დიოპმა.

მე მწამს, რომ შენ გაიმარჯვებ, დიოპ!

სტუმრად ინდოეთის ელჩთან

ინდირას ქართველი სეხნიები

ახლახან ერთი ქართველი გოგონასაგან. რომელსაც ინდირა ჰქვია, ბარათი მივიღე. ამ ბარათმა საინტერესო ამბავი გამახსენა. როცა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი ვიყავი, შემთხვევა მქონდა შევხვედროდი ინდოეთის ელჩს საბჭოთა კავშირში ბატონ დატს და ინტერვიუ გამომერთმია მისთვის.

ეს იყო ჩემი პირველი საერთაშორისო ინტერვიუ და, ბუნებრივია, ვლეღავდი.

— არაფერია, — დამამშვიდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების ერთ-ერთმა თანამშრომელმა, რომელმაც გამაცნო ბატონი დატი, — ყველაფერი რიგზე იქნება.

ელჩთან შეხვედრის იდეა დამებადა ინტერნაციონალურ საღამოზე, რომელიც ლომონოსოვისა და ლუმუმბას უნივერსიტეტების უცხოელი და საბჭოთა სტუდენტების მონაწილეობით მოეწყო. იმ საღამოს, როცა ჩემი ჭერი დადგა, სხვათა შორის ისიც ვთქვი, რომ ინდოელი და ქართველი ხალხების მეგობრობას გენიალურმა რუსთაველმა 800 წლის წინ უმღერა-მეთქი „ვეფხისტყაოსანში“. ამ ცნობას განსაკუთრებული ინტერესით შეხვდნენ ინდოელი სტუდენტები. მე მათ ვაჩუქე „ვეფხისტყაოსნის“ ნუსხუბიძისეული რუსული თარგმანი. ისინი ინტერესით კითხულობდნენ, ერთმა მათგანმა, შტაბლხალიანმა ჰინდი გოგონამ მითხრა:

— პოემა დიდებულაა, ოღონდ ტარიელი ჰინდური სახელი არ არის. — მერე დაუმატა: — კარგი იქნება ამ პოემას ჩვენს ელჩს აჩვენებდეთ, ხელს შეუწყობდოდ ინდოეთში მის პროპაგანდას.

ელჩთან შეხვედრა ძნელ საქმედ მეჩვენებოდა და თან ასეთი ნისიის შესრულება სხვა კომპეტენტური ორგანოების საქმედ მიმაჩნდა. ამიტომ მეგობრულად გავუღიმე ინდოელ სტუდენტ გოგონას და ერთმანეთს დავშორდით.

გავიდა დრო. ერთხელ „კომუნისტის“ რედაქციიდან მოსკოვში დავალემა მივიღე შევხვედროდი ინდოეთის ელჩს ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის შესახებ ხელშეკრულების დადების 10 წლისთავთან დაკავშირებით.

მაშინ გამახსენდა ის ინდოელი გოგონა, რომელმაც მირჩია ელჩისათვის გადამეცა „ვეფხისტყაოსანი“.

...მოსკოვში, კიროვის ქუჩაზე ქართული წიგნის მაღაზიაში, ბედზე დარჩენილიყო „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე ეგზემპლარი.

...ინდოეთის საელჩოში პრეს-ატაშემ ბატონმა კურანაშუტამ თავაზიანად იკისრა თარჯიმნის როლი. ელჩმა დიდი პატივით მიგვიღო, მეტად ესიამოვნა „ვეფხისტყაოსნის“ მიძღვნა. ყველაზე თვალსაჩინო ადგილას მოათავსა თავის კაბინეტში.

ბატონმა დატმა დიდი მადლობა გადაგვიხადა საჩუქრისათვის. ჩვენ ვუთხარით ინდოეთის ელჩს: ამ რამდენიმე ხნის წინათ პრესაში იყო ცნობა, რომ ინდოეთში აპირებენ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნას.

— მე დავინტერესდები ამ საკითხით, — თქვა ელჩმა, — ეს უთუოდ საყურადღებოა. რუსთაველის შესახებ მე ბევრი რამ წამიკითხავს, მაგრამ თვითონ პოემის ტექსტს არ ვიცნობდი. კარგი პირადი კონტაქტები მაქვს კალკუტისა და ბომბეის უნივერსიტეტებთან. მე ხელს შევეუწყობ ამ უნივერსიტეტებში მსოფლიო ლიტერატურის კურსის წაკითხვის დროს რუსთაველს მეტი ადგილი დაეთმოს. შევთავაზებ ინდოეთის პოეტებს ამ პოემის თარგმნას, — ღიმილით გვითხრა დიპლომატმა. — მე ეს ჩემს ადამიანურ მოვალეობად მიმაჩნია. — შერე დაუმატა: — ეს იქნება ტარიელის დაბრუნება ინდოეთში.

ჩვენს შეკითხვაზე, თუ როგორ გამოეხმაურა ინდოეთის პრესა და საზოგადოებრიობა ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლის გასტროლებს, ინდოეთის ელჩმა გვიპასუხა:

— ხელოვნების მუშაკთა და კრიტიკოსთა ამგვარი შეჯიბრება გასტროლიორთათვის ქების შესხმაში ინდოეთის პრესის ფურცლებზე ჯერ არასოდეს არ მინახავს.

— ჯავაპარლალ ნერუ ავად იყო, მაგრამ მაინც მოვიდა კონცერტზე, — გახანგრძობ ბატონმა დატმა, — ექიმმა ნება დართო რამდენიმე წუთით დასწრებოდა ქართული ცეკვის ანსამბლის სპექტაკლს, რადგანაც ეს საპირო იყო დიპლომატიური პროტოკოლის მოსაზრებით, მაგრამ ნერუმ, როცა ნახა ქართველ მსახიობთა ხელოვნება, სურვილი გამოთქვა კონცერტზე ბოლომდე დარჩენილიყო. როცა ექიმმა კვლავ დაჟინებით მოთხოვა მას წოლითი რეჟიმის დაცვა, ინდოეთის მეთაურმა თქვა თურმე:

— ამ ხელოვნების მშვენიერებას ვერ დავთმობ, თუნდაც სიცოცხლის ფასად დამიჯდესო.

ასე მოაჯადოვა ჯავაპარლალ ნერუ ქართული ცეკვების მაგიურმა ძალამ.

ჩვენ ვუთხარით ელჩს, რომ საქართველოში დიდი პოპულარობით სარგებლობს ინდოეთის ლიტერატურა და ხელოვნება, რომ თარგმნილია ეპოსი „რამაიანა“ და გენიალური თავგორი, პრემ ჩან-

დი და კრიშან ჩანდარი. პოპულარულია რაჭ კაპურის კინოხელოვნება და სხვა.

— ფრიად სასიამოვნოა, — თქვა ელჩმა, — ინდოეთშიც დაინტერესდებიან ქართული ლიტერატურის ძეგლებით.

პრეს-ატაშემ იკითხა:

— არის თუ არა ქართულად თარგმნილი თაგორის „გიტანჯალი“. დადებითი პასუხი რომ მიიღო, მეტად ნასიამოვნები დარჩა. ის წიგნი გამომიგზავნეთო, მთხოვა.

მერე ბ-ნმა ელჩმა სიამოვნებით მოიგონა საქართველოს შავი-ზღვისპირეთი, აქო ქართული ჩაი და ღვინო.

ელჩმა შენიშნა, ერთ-ერთ სამეცნიერო წერილში წამიკითხავსო, სიტყვა „ღვინო“ ქართულიდან აქვსო ნასესხები სხვა ენებს. არ ვიცი, რამდენად მართალიაო ეს.

პრეს-ატაშემ დაუმატა, ქართველი ინდოეთში მშვენიერის სინონიმიო.

დამშვიდობებისას ბატონმა ელჩმა გადმოგვცა ინგლისურ ენაზე დაწერილი ბარათი ქართულ პრესაში გამოსაქვეყნებლად:

„ქართულ ანსამბლს მიესალმა დელიში ხელოვნების ყველა ენთუზიასტი. ანსამბლის გამოსვლებმა ხელოვნების კრიტიკოსთა უძალესი შეფასება დაიმსახურა ცეკვების დადგმის, შესრულების კულტურისა და მუსიკის მაღალი დონის გამო.

რწმენას გამოვთქვამ, რომ თქვენი ანსამბლის ჩამოსვლა ჩვენს ქვეყანაში ხელს შეუწყობს ინდოეთთან და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის ურთიერთგაგებისა და მეგობრობის შემდგომ გაფართოებასა და განვითარებას.

პ. ღაბი.

ინდოეთის სრულუფლებიანი
და საგანგებო ელჩი სსრ კავშირში“.

წერილი გადმომცა და ღიმილით დაუმატა:

— გადაეცით ჩემი საუკეთესო სურვილები ყველა ქართველ ინდიარს.

— ბატონ დატს მხედველობაში ჰყავდა ის პატარა ქართველი გოგონები, რომლებსაც მშობლებმა ინდირა შეარქვეს, ნერუს ქალიშვილის ინდირა განდის პატივსაცემად. ეს ის გოგონები არიან, სსრ კავშირში ინდირა განდის მოგზაურობის დღეებში რომ დაიბადნენ...

საელჩოს პრეს-ატაშემ განმიმარტა, რომ ინდოეთის ელჩი პატარა ქართველ ინდიარებს ულოცავს ყველა დღესასწაულს ინდირა განდის სახელით და ნობათებსაც უძღვნის ხოლმეო.

ერთ-ერთ ასეთ ინდიკას, ოჩამჩირელ ინდირა კაციას მე მაშინვე გადავეცი ელჩის შოკითხვა. დანარჩენ ინდირებს ახლა ამ წიგნით გადავცემ.

როგორც იტყვიან, სჯობს გვიან, ვინემ არასდროს. მით უმეტეს, რომ ისინი ათი წლის წინათ სულ პატარები იყვნენ და მაინც ვერ გაიგებდნენ ვინ იყო ინდოეთის ელჩი. ახლა უკვე წამოჩიტულნი არიან და პირადად წაიკითხავენ ელჩის კეთილ სურვილებს. ასე რომ გარკვეული აზრი ჰქონია ამ დაგვიანებასაც.

როგორც ინდოეთის საელჩოს პრეს-ატაშემ მითხრა, ამ პატარა ინდირებს ინდოელი პოეტები ინდოელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობის ვარდებს უწოდებენ ჰინდი თუ ურდუ ენაზე დაწერილ ლექსებში.

გიხაროდეთ, პატარა ინდირებო!

დაე, მუდამ ჰყვოდნენ ცხოვრების ეს უმშვენიერესი ყვავილები!



მის ღია გეგმით



● უსხოეთის სის ძვეზ, ათას მეორე
ლაშე არაბეთში, თურქეთი, ალი
ბაბას ბაზარი — 72, მონტე-კარლო,
ფიქრები მალტის კუნძულზე, ედელ-
ვაისი დუნაის მღვრიე ტალღებში,
დანის გზებზე. სტალინბრადის
ბულვარი ნიხაში ● მემობრებთან,
უნგრული თქმულება ვეფხის წიგნის
ქვეყანაზე ● მამულის გზებზე. პო-
ემა ქართულ ვაჭზე და ბრმა პოეტ-
ზე, უზბის ღიმილი, ლეგენდა
გრძელდება მთაში, ებრისის წყა-
როები, ოტობაია, წიფურია, ბერლი-
ნელ ჟურნალისტთა „ოდისეადა“
ბაღში. სათარ—ხანის ოქსფელი ჯა-
რისკაში ● ქმოვის მატინაენდან,
ბოროდინოს არწივი, კუბაჩოვის
ქმადნაფისი ბარათაშვილი ● ომის
ეყო, სიმღერა ცეცხლში, ჭამი ყინ-
ვართა დნობისა, ოპერაცია „ედელ-
ვაისის“ აღსასრული, კაცი-ლეგენდა,
ტიქსელი — ქართველთა გმირობის
ეპოპეა, გადარჩენის ბაღადა, უკვ-
დავება ● მშობლიურ მერიდიან-
ებზე, შეხვედრები ცაში და მიწაზე,
საქართველოს ნადი ყაზახეთში
● კველი ის არის, რაც დიდი ხნის
წინათ იყო ახალი, ამ დღეთა სუნთ-
ქვა, მებრძოლი სულის ადამიან-
ები, ფიქრთა აკიდო, გოლოთქვა.





უცხოეთის ცის ქვეშ

ათას მეორე დამე არაბეთში...

ფიქრთა არაბესკავში...

ვნახე არაბული აფრიკა ლიმონთა ყვავილობის ქამს... თუმცა ლიმონები აქ წელიწადის ყველა დროს ჰყვავიან. ეს იყო გაზაფხულზე.

ლიმონის ყვავილებით ხელში მივდიოდი არაბეთის მიწაზე... და გვეგებებოდნენ წინ თვალწარმტაცი ალექსანდრია და მზეთუნახავი ქაირო, უხვი ნილოსი და ცხელი საპარა, მდიდარი ოაზისები და ღარიბი უდაბნოები, მწუხარე მეჩეთები და სევდიანი ეკლესიები, უცნაური სინაგოგები და უძველესი კატაკომბები... პირამიდებისა და ეფემერული საფლავების ქვეყანა...

ფუფუნება და გაჭირვება, სიწმინდე და უდაბნოს მტკერი, ბიბლიური და ისლამური, კოპტური და არაბული ეგვიპტე--

ვიარეთ ქვეითად და აქლემების ქარავნით, თბომავლით და ავტომობილით, ვუმზერდით არაბეთს ხმელთაშუა ზღვის ლურჯ ტალღებზე მონანავე გემის ილუმინატორიდან და აქლემის კუზიანი ზურგიდან, კაფე-ფუნდუკების კვამლიანი კარებიდან და ფართო მოედნების შუაგულიდან.

არაბეთზე ფიქრები ჩემს არსებაში აღმოსავლური ვიწრო ქუჩების ლაბირინთებივითაა ერთმანეთზე გადანაწეული, და ვგრძნობ როგორ ივსება სული და სხეული ეგვიპტური ფიქრების აფრიკული არაბესკებით.

და ეს ყველაფერი, ძველი და ახალი ეგვიპტე, არაბული მიწა ისეთი ზღაპრული ფერებითა და ბგერებით. ისეთი ეგზოტიკით და რომანტიკით სუნთქავს, რომ უნებლიეთ იბადებო: ამ შთაბეჭდილებათა სახელი: ათას მეორე დამე... უმეჭერაზადოდ...

დღევანდელი არაბული სინამდვილე ათას მეორე ღამეა, ის უფრო დიდი საოცრებებითაა სავსე, ვიდრე ყველა არაბული „ათას ერთი ღამე“...

ღიახ. არაბეთში დღეს უფრო დიდი საოცრებები ხდება, ვიდრე „ათას ერთი ღამის“ ზღაპრებში.

ალაჰის სამტრედეები

როდესაც ნილოსის გაყოლებით ე. წ. სასოფლო-სამეურნეო გზით ალექსანდრიიდან ქაიროსკენ მიემგზავრები, თვალში გეცემა სამტრედეების სიმრავლე ეგვიპტის მიწაზე.

ეს სამტრედეები პატარა ორიგინალურ სახლებს მოგაგონებთ, რომლებსაც სათოფურების ოდენა ფანჯრები აქვთ. ასეთია არაბ მულაჰანთა ეროვნული ტრადიცია: ვინც მექას მიემგზავრება. ღამე შეუძლია გაათენოს ამ სამტრედეებში და მტრედებიც მიირთვას. ეს სამტრედეები სასტუმროებია და ფუნდუკები ალაჰის მრევლისა...

ერთ ეგვიპტელ ფელახს ვეკითხებით — ბევრი სამტრედეები გქონიათ. ალბათ მრავალი არაბი მიემგზავრება მექას...

— რაც სოციალიზმს ვაშენებთ, მექას მიმავალთა რიკები გაიზარდა. ეს გასაგებია, ალაჰის კაცო, — მეუბნება ფელახი, — არაბებს სოციალიზმის მშენებლობაში ალაჰი გვეხმარება...

არა მარტო ფელახი ფიქრობს ასე. ბევრი არაბული ქვეყნის კონსტიტუციაშიც სწერია, რომ არაბები სოციალიზმს ალაჰის დახმარებით აშენებენ.

ლამაზი სანახავია ნილოსის ჭაობებისა და ეგვიპტის ოაზისების სამტრედეები. მშვიდობის თეთრი ფრინველების არაბული ბუდეები...

გიურყუში

როცა ნილოსის ეგზოტიკურ ნაპირებზე ვუმზერდი სამტრედეებს, რაჟომღაც ერთი ქართული ლეგენდა გამახსენდა. იოანე ბაგრატიონი ასე გადმოგვცემს მას: „ნუ გათათრდები“ — ეგვიპტის ტრედია. მისირში და შირაზში ცხოვრობს, ესენი ოდეს მგზავრს კაცს ნახავენ, იწყებენ ძახილს, ქართულის ენით: „ნუ გათათრდები“ და ამ მიზეზით თათარნი უწოდებენ: გიურყუში. ვითომც უსჯულო ფრინველი“.

გულუბრყვილოდ ველოდი, (უცნაურია კაცის ბუნება!). აი, ახლა, რომელიმე ეგვიპტური სამტრედეიდან გამოფრინდება თეთრი

ფრინველი და რუსთაველის ენაზე დაიძახებს: — ნუ გათათრდები... ნუ გათათრდები!

მიქროდნენ სამტრედიეები, ეგვიპტის გზები და ველები. დაბები და ოაზისები, მაგრამ არსად ჩანდა თეთრი მტრედი...
სადა ხარ ნეტავ, ქართველი კაცის ოცნებავ, ფრთათეთრო მტრედო — „ნუ გათათრდები?!“ ვეკითხებოდი ეგვიპტის ცას და მიწას, დროსა და მანძილს, სინამდვილეს და მირაეს, მაგრამ არსად ჩანდა ჩემი ოცნების თეთრი მტრედი — „ნუ გათათრდები“...

ამბობენ, ეს მტრედები ბედის მაცნეებევით თან მიყვებოდხენო უცხოეთში გაყიდულ თუ გადახვეწილ ქართველებს. შორეულ ეგვიპტეში ქართველ მამლუქებს თავისი ღულუნით შეახსენებდნენ, რომ ისინი ქართველები არიან, ქრისტიანები და „ნუ გათათრდებიან“, ე. ი. ისლამის სჯულს ნუ მიიღებენო.

როდის ამოწყდნენ ნეტა ეს თეთრი ქართული მტრედები ეგვიპტეში? ალბათ მაშინ, როცა მამლუქები გაჟლიტეს.

არსებობდნენ კი ისინი ოდესმე საერთოდ?

ოო! არა, არ გვინდა ზოოლოგიური სიმართლის პროზა მათ შესახებ, ისინი ხომ პოეზიისა და ოცნების თეთრი მტრედები არიან.

დაე, მარად იარსებოს ქართველი კაცის ამ ლამაზმა მტრედის-ფრთიანმა ოცნებამ.

„ნუ გათათრდები“.

ჩემი სალამი, ეგვიპტურო თეთრო მტრედებო!

მამლუქებზე ფიქრი საპარის უდაბნოში

საპარის უდაბნოში რომელიღაც ოაზისში შეუხვია ჩვენმა მანქანამ და სიცხისაგან გათანგულებს თბილი კოკა-კოლა უკვდავების წყაროდ მოგვეჩვენა.

მირაყებივით ჩანდნენ, არ ვიცი, ჩემი ფიქრების თვალსა-წიერზე, თუ საპარის ყვითელი და რუხი ქვიშის მეწამული პორიზონტების იქით... მამლუქები. ისინი მოდიოდნენ შავ ტაიკებზე ამხედრებულნი, სისხლი სწყუროდათ მზეზე მოლაპლაკი ზმლებს და საპარის ქვიშის ოკეანეს სამუმივით უვლიდა მათი მრისხანე საომარი ყიფინა...

და ასე მოსდევდნენ მამლუქები ჩვენს მანქანას...

ყურში ჩამესმოდა მათი ქართული ყიფინა...

არ ვიცი, იქნებ ეს მოჩვენება იყო, ან ზმანება... ცხელ უდაბნოში, მაგრამ მისზე უფრო შთამბეჭდავი სურათი ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს.

დალაშქდა, მაგრამ მამლუქების შორეული ლანდები ისევ რია-
ლებდნენ ჰორიზონტებზე.

და მღეროდა ვილაც ეგვიპტის უდაბნოში, აფრიკის უძველეს
შიწაზე:

ბაგეზე დედის რძის შეშრობა

ალო გეცალეს...

დაგვწევს, დაგვდაგეს და

ვაგვძარცვეს შენ გენაცვალე.

ზოგი ოქროში, ზოგი მწვეარ

ძალში გაგეცვალეს.

და ჩენი სისხლი, ვითარც

ლეპო, ლხინში დაეაღეს.

ამ ხმას ახლა სსვა შეენაცვლა და ისევ არიალდნენ ხმები სა-
ჰარის უდაბნოში:

ჩენი დედები საფლავებშიც

მოსთქვააენ ვიშით,

დიდებს საფლავშიც არ

აძინებს ფიქრი და შიში.

სამოთხის შვილინ კერძი

გაეხდით საჰარის ქვიშის...

! ენ მოკვდით, მაგრამ ხელახლა

ვიშვით.

მე ვუყურებდი მამლუქების შორეულ ლანდებს, როგორც
რეალობას და ფთიქრობდი ქართველ და არაბ მემატრიანეებზე, მწერ-
ლებზე, რომლებმაც მამლუქებს უძღვნეს ნოველები და რომანები
და ისევ რეალურად დადინახე მამლუქთა მიმქრალი სახეები სა-
ჰარის ცხელ უდაბნოში.

გამეხებულნი მტერზე მიდიან

კუუხენი,

სამშობლოდაქარგულები.

ღარი მთქარეზე უფრო დიდი აქვთ

და საჰარაზე ცხელი გულები.

ირგვლივ დამეა. ირგვლივ ბინდია.

გზას ვერ გააგნებს ბრძენი მინდია.

შინაც მიდიან: რწმენა დიდია,

თუმცა სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია:

სიცდრლ-სიცოცხლის მაღალ ნაპირებს.

ხმლით აერთებენ. ხმალი ხიდიან?! ა...

პალმას ფაროვით მთქარე ჰკიდია.

და განგაშებენ ბნელში ბუკები.
წინ, იარაღით ხელში მიდიან
უიარაღოს მამულუქები...

ასე გასრულდა ის ჩვენება ეგვიპტეს უღაბნოში.

მამულუქები ყოველთვის არიან უღაბნოში. ოლონდ მათ და-
ნახეას ქართული თვალი უნდა და მათი ხმების გაგონებას — ქართუ-
ლი გულისყური.

„მამულუქები“ ისევ იპყრობენ ეგვიპტის...

ქაიროს შემოგარენში, პირამიდების ჩრდილში ეგვიპტური
პიკნიკი მძლავრობს... ტამ-ტამების ფიცხელი ხმები აღვიძებენ სა-
პარის მირაჟებს და ოაზისებს. ცეკვავენ ნუბიელი ზანგები. მათ
ძარღვებში ალბათ სისხლის ნაცვლად ცეცხლის ნაქადები მიედი-
ნება, თორემ როგორ შეიძლება ამდენი ნაპერწყლები იფრქვეო-
დეს ცეკვაში. გვცხელა და ვსვამთ საღვთო ნილოსის წყალს მათ
საღვთგრძელოდ. ლამის არის ნილოსი დავაშროთ. ცხელა, საჰა-
რა... და მიკვირს, როგორ ძნელად სარკოფაგებში ხეობსს და ხეფ-
რენს. ძნელია ამ რიტუალურმა ცეკვამ და მუსიკამ არ გაგაღვიძოს,
თუნდაც 5 ათასი წლის წინათ მკვდარი კაცი.

ერთი ფელახი მოვიდა ჩემთან და მეუბნება: მე მითხრეს, რომ
თქვენ მამულუქების ქვეყნიდან მოსულხართ ეგვიპტეში. რამდენი-
მე კვირის წინ აქ „მომღერალი მამულუქები“ იყვნენ... მოვიდ-
ნენ... ნახეს და დაიპყრეს ეგვიპტე... ამჯერად ხმლით კი არა, სიმ-
ღერით.

— ჩვენ მუსიკით დაპყრობის მომხრენი ვართ, — ამბობს არა-
ბი შეაქლემე და იცინის. და ასე მგონია ამ დროულ არაბს აქ-
ლემის ლაგამი კი არა, თავისი ბედის სადავეები უჭირავს ხელში.

თითქოს მირაჟების სამყაროს ფანჯრიდან ვიხედები. სა-
ჰარაში თვალწინ მადგაა მშობლიური საქართველო და ანსამბლ
„ივერისის“ „მამულუქები“. რომლებმაც სიმღერით დაიპყრეს ეგ-
ვიპტე.

რატომ არის წითელი მინამუსლი ზღვა?

ქაიროში ბევრი სამეცნიერო ექსპედიცია მიემგზავრება დე-
დამიწის ყველა კუთხიდან.

ერთ ფელახს გაუფია, რომ უცხოელთა ექსპედიცია წითელი
ზღვის ფერის გამოსარკვევად ჩასულა.

ფელახს უთქვამს:

— ამას რა ექსპედიცია სჭირდება: ისრაელსა და არაბეთს შორის „ექსპლდიანი ომის“ დროს დაღვრილი არაბული სისხლი-თაა სავსე მეწამული ზღვა და ამიტომაც იგი წითელი.

..არაბთა სისხლით სავსე ზღვა! ასეთი რამ „ათას ერთი ღამის“ საოცრებებშიც არ გვხვდება.

ეს ათას მეორე არაბული ღამის ახალი ზღაპარია და ახალი არაბული ისტორიის ახალი თავი.

მწარე ტბები... სუამის ახლოს...

სუეცის არხთან მწარე ტბებია.

მწარეა ეს ტბები, რადგანაც ისინი სავსეა დედათა და სატრფოთა ცრემლით, იმ ცრემლით, რომლითაც დაიტირა ეგვიპტე¹ ის არაბები, რომელთა სისხლმა მეწამული ზღვა ამოავსო.

ცრემლის ტბები სისხლის ზღვის პირას...

აი, ექსპლდიანი ომის შედეგი.

ტბები არაბთა საცრემლედ ოქცა...

„ჯორჯია“? ოლ რაიტ!“

ქაიროში შუაგულ მოედანზე, შუალამისას არაბი ბუკინისტები გამყივანი ხმით უხმობდნენ მუშტარს და ჰყიდდნენ ძველ წიგნებს. მათ შორის სტალინის წიგნებიც იყო. მე ვუთხარი:

— რა ღირს-მეთქი?

მან მიპასუხა:

— ქართველი ხარო?

— ჰო-მეთქი.

— ნენთის უფაოა.

წიგნი მაჩუქა.

მე წამოვიღე, მტვრისაგან გავწმინდე და სასტუმრო „კონტინენტალის“ ზანგ მეკარეს ვაჩუქე.

ზანგმა, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებზე გაცუბლებულს ჰგავდა, თეთრი კბილები გამოაჩინა და ხვამალ-ლა თქვა:

— ჯორჯია? ოლ რაიტ!

ივენიტური საომარი ეტლები... ალექსანდრიაში...

„...და მისრეთთ მეგვიპტენი“...

შოთა რუსთაველი

როგორც კი ფენი დავადგით აფრიკის უძველეს მიწას ეგვიპ-

ტეში. გვენიშნა ძველგვიპტური საომარი ეტლები ტურისტული კომპანიების სამგზავრო ავტობუსებზე ალექსანდრიაში

აი, ესეც შოთა რუსთველის მისრეთი. აკი არაბულადაც „მისრ“ ჰქვია.

— იქნებ მართლაც უფრო გამართლებული იყოს ეგვიპტის ქართულად მისრეთი ეწოდებოდეს, — ამბობენ ქართველი ტურისტები.

მისრეთი ისევე არ არის ეგვიპტე, როგორც თურქეთი არ არის ბიზანტიონი.

ეგვიპტის მეორე ქალაქი, ხმელთაშუა ზღვის ერთ-ერთი უძველესი კურორტი ალექსანდრია, როგორც ცნობილია, ალექსანდრე მაკედონელის სახელს ატარებს. ეგვიპტური საომარი ეტლები ამ ქვეყნის მიმქრალ კლასიკურ სამხედრო ხელოვნებას გაგახსენებს უნებურად.

ეგვიპტესა და ისრაელს შორის დაპყენებს თავის ცეცხლოვან ეტლებს ომის ღმერთი არესი, რომელიც მ-ში დაიანის პარწავარდნილი ორეულია.

ასე დაუხატავს ის ერთ არაბ მხატვარს: ომის ღმერთი ცალთვალა მოშე დაიანის სახით...

— „როგორ დაკინდნენ ღმერთები ჩვენს დროში?!“ — თქვა ერთმა არაბმა.

რაც უფრო ვშორდებით ალექსანდრიას ქაიროს მიმართულებით. ასე მგონია, ვლრმავდებით ეგვიპტისა და ისტორიის წიაღში ერთდროულად.

როდის დადგამენ „აიდას“

ქაიროს საოპერო თეატრი ხანძარმა შთანთქა. ახალი თეატრი ფენიქსივით დგება ფერფლიდან.

— რას დადგამთ ახალ თეატრში პირველ სპექტაკლად? — ვეკითხები თეატრის ერთ-ერთ მესვეურს.

— რა თქმა უნდა, ვერდის „აიდას“.

— როდის დადგამთ?

— როცა სუეცის არხი კვლავ გაიხსნება ეგვიპტისათვის. — ქარაგმულად მიპასუხა არაბმა თეატრალმა.

დიახ, სუეცის არხი და „აიდა“ სამარადისოდაა ერთმანეთთან დაკავშირებული.

— მაინც როდის გაიხსნება სუეცის არხი? — ვეკითხები არაბული თეატრის მოღვაწეს.

— ეს უკვე ხელოვნების ფარგლებს სცილდება და დიდად კომპეტენტური არ გახლავართ ამ დარგში, მაგრამ რადგანაც მე-კითხებით, გიპასუხებთ ძველი რომაელი იურისტების სენტენციით: „ეს არის დრო, რომელიც აუცილებლად დადგება. მაგრამ არ ვიცით როდის“.

ალაჰი და იელოვა

ებრაელები ცხოვრობენ ეგვიპტეში, არაბები მათ არას ერჩიან. ღმერთ იელოვასაც უდგას პერსონალური სასახლე — სინაგოგა, სადაც მეტად საეჭვოა, რომ ებრაელები არაბებზე ლოცულობდნენ, მაგრამ მაინც ფაქტია, რომ ალაჰი ეგვიპტეში არას ერჩის იელოვას.

მათ შორის გონიერება მეფობს.

ომარ ხაიამი და ალაჰი...

ქაიროში, სასტუმრო „კონტინენტალიდან“ ნილსტრიტის გაყოლებით, ნილოსის უზარმაზარ ხიდს რომ გასცდებით, იქვეა ომარ ხაიამის ღამის ფუნდუკი. ფეშენებელური ევროპული ყაიდის ღამის ბარი... ჭაზი, ვისკი, ქალები...

ხილზე არაბი ჭარისკაცები დგანან და თოფებს ისე მაგრად იკრავენ გულში, გეგონება ღამის ბარიდან გამოყვანილი ქალი ჰკონიათო.

ალაჰს ღვინო არ უყვარს. თავის მორწმუნეებს ღვინის ნაცულად ქალს თავაზობს. ომარ ხაიამი კი ცოტა სხვა აზრისაა ღვინოზე, მაგრამ მაინც უკონფლიქტოდ ცხოვრობენ ნილოსის პირას ალაჰი და ხაიამი...

არ არის მშვიდობა სარკოფაგებში

ერთი ბრმა მოხუცი არაბი ქაიროს ქუჩაში მისანივით ქაღაგებდა: — გესმით, ადამიანებო! ფარაონები საოპარ აბ-ჭარს ისხამენ სარკოფაგებში, საცაა აკლდამებს ამოანგრევენ. მოშე დაიანზე მიიწევენ. ხმლები ალესეთ, არაბებო, ხმლები ალესეთ!

ტუტანამონის სარკოფაგი

სხვაგან ფარაონ ტუტანამონის სარკოფაგის მსგავსი კუბოები ეწყობ.

— ეგ რაღა არის? — ვიკითხე.

— კუბოები ისრაელი აგრესორებისათვის, — იყო ლაკონიური პასუხი.

რატომღა იოლი მოშეს დაბალზამირება?

ერთმა არაბმა, რომელიც სპეციალურად სწავლობდა ძველ ეგვიპტეში მუმიათა დაბალზამირების წესებსა და მეთოდებს, თქვა, რომ მოშეს დაბალზამირება ჩვეულებრივზე უფრო იოლი საქმეაო.

— ეს როგორ? — გაოცდნენ მსმენელები.

— ძალიან უბრალოდ. მუმიას დაბალზამირების დროს ყველაზე რთულია ცხვირიდან თავის ტვინის ამოღება და მკერდიდან — გულისა. მოშეს არც ერთი გააჩნია და არც მეორე, ასე. რომ ძალიან იოლია მოშეს დაბალზამირება.

ათასი მეჩეთის ქალაქი

ერთი დროული არაბი ჩიოდა ალაზპარის მეჩეთთან:

— ჭაიროს ათასი მეჩეთის ქალაქს ეძახიან, ათას მეჩეთში ათასი მოლა ლაპარაკობს ერთდროულად და მაინც არ ესმის ალაჰს?! ეს იმიტომ რომ ყველა ერთად ლაპარაკობს, რა საშინელი კაკაფონია დგას საწყალ ალაჰის ყურებში? ჰაი, ალაჰ! — თქვა არაბმა და ლოცვა განაგრძო.

ქალი თუ ღმერთი?

მეჩეთებში აკრძალულია ქალების შესვლა, მარტო მამაცაცები ლოცულობენ.

— ალბათ არ სიამოვნებს ალაჰს ქალის ხმის მოსმენა? — ვთქვი მე.

— პირიქით, ალაჰს შეიძლება ქალები უყვარს, მაგრამ მუსლიმანი მამაცაცები, როცა მეჩეთში ქალებს ხედავენ, ღმერთი ავიწყლებათ.

ასე, რომ, იციან მოლებმა რასაც აკეთებენ.

უხსოვლი კოლიფილი ჭაიროში

რომელიღაც ფილოსოფოსი, თუ არ ვცდები, ეს იყო კანტი, არაბებს „აღმოსავლელ ესპანელებს“ უწოდებს მათი ექსპანსიური და ტემპერამენტიანი ბუნების გამო.

ერთხელ ქაიროში ჩამოსულა ერთი პოლიციელი ინტერპოლიდან, მსოფლიო პოლიციის შტაბიდან, პარიზში, პოლ ვალერიის ქუჩაზე რომ მდებარეობს.

გაიარა თურმე მთავარ ქუჩაზე, ორი მამაკაცი ისე ხმამალა უყვიროდა ერთმანეთს, უფიქრია ახლავე ცემა-ტყეპა ატყდებო.

პოლიციელს ჩხუბით ვერ გააკვირვებ, მაგრამ თურმე ის კი გაუკვირდა, რომ არაბი პოლიციელი ამ მოჩხუბარ მოქალაქეებს ოლიმპიური სიმშვიდით უმზერდა. ამიტომ მასთან თვითონ მივიდა და შენიშვნა მისცა.

არაბმა პოლიციელმა მხრები აიჩეჩა.

— მუხიე, ისინი კი არ ჩხუბობენ, ერთმანეთს ეპატიეებიანო. თბილისის რესტორნების სცენები გახსენდება, როცა ორი ან მეტი მეინახე ერთმანეთს არ აცლის: „მე გადავიხდი, არა მეო“ და ეს თავაზიანი ყესტი ხანდახან ჭიდაობასა და ხმაურში რომ გადაიზრდება.

ასეა არაბეთშიც შიპატიეება.

დავით კლდიაშვილის გვირგვინი წარმოგიდგება თვალწინ, როდესაც არაბულ ოჯახში შიპატიეების სცენას ხედავ...

თავს მოიკლავს არაბი, მშვიდრად რომ იყოს და ჭიქა ყავაზე ისე ვერ დაპატიეებ, თუ ოცდაათჯერ უარი არ გითხრა.

მერე როგორც იქნება შეიძლება გაიღოს „მოწყალება“ სტუ-ძარმა და ერთი ყლუპი მოსვას...

მართლაც რომ ბევრი რამ ჰგავს აღმოსავლეთში ერთმანეთს.

ამბობენ იმ ინტერპოლელმა პოლიციელმა ერთხელ ქაიროში ნამდვილი ჩხუბი შიპატიეებისაგან ვერ გაარჩია, ისიც შიპატიეება ეგონა და მის თვალწინ სასიკვდილოდ სცემეს თურმე ერთ არაბს.

— თავი და ბოლო ვერ გავარჩიე. უცნაური ხალხია არაბები, მოდი და გაიგე როდის ჩხუბობენ, ან როდის ეპატიეებიან ერთმანეთს... მეყოფა, სჯობია, ვინმე სხვა ჩამოვიდეს და იმან იმტვიროს თავიო, — უთქვამს პოლიციის ინსპექტორს და ბზობის ყვაგივით გამქრალა არაბეთიდან.

„ვირეზის დახვინ საზოგადოება“

ვირი არაბეთშიც ჯიუტია.

ამბობენ ქაიროს ბაზარში ვირები მეტია, ვიდრე აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების ბაზრებზეო.

ერთმა არაბმა გვითხრა ინგლისელები ხომ არა ხართ.

ჩვენ ვუთხარით, რომ საბჭოთა კავშირიდან ვართ.

— ო, თქვენ კაი ხალხი ყოფილხართო, — გაიღიმა არაბმა ფელანმა.

— ინგლისელებმა რა დაგიშავეს, ფელანო? — იკითხა ვილაკამ.

— კაცო, ეს ნასერის რევოლუციამდე მოხდა, მეფე ფარუკის დროს...

ერთხელ ჩემი ვირი დავტვირთე სურსათ-სანოვაგით და გავუდექი ქაიროს გზას. მე გიზეში ვსახლობ, აი, პირამიდების ქალაქი რომ არის... შემოვედით ქაიროში, ნილსტრიტზე გავედი და ბაზრამდე ვირის კუდის ოდენა გზა მრჩებოდა, მაგრამ სწორედ აქ გაჩიუტდა ჩემი თოხარიკი ვირი. ჰაი აქეთ, ჰაი იქით, მაგრამ ვერაფერში ვერ უშველა, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, იმ სანიან-ნემს. გადმოვიღე თოკი და ჰოი, ალაჰ, იმდენი ვცემე ვირს. საქალმნე ტყავები აძვრა ზურგზე.

ამ დროს ერთი კაცი მოვარდა ჩემთან. მითხრა:

— რა უფლება გაქვს. ამ ვირს რომ სცემო.

— მე ვუთხარი, შენ თვითონ რა უფლება გაქვს, რომ მიკრძალავ მაგის ცემას-მეთქი?

— მე ვირების დაცვის საზოგადოების წევრი ვარო.

— ვინ შექმნა ეგ საზოგადოება-მეთქი.

— ჩვენ, ინგლისელებმა, შეექმენითო ქაიროში, არაბებმა ვირების ფასი არ იცითო.

— ინგლისელები უცნაური ხალხი ყოფილხართ-მეთქი. — ვუთხარი იმ კაცს, — მე, ადამიანს ტყავს მაძრობენ ინგლისელები და მცემენ და კაციშვილი ხმას არ იღებს, ხოლო ვირი თქვენ ადამიანზე უფრო გეცოდებათ? — ერთი შეეუბღვირე და ვირის ცემა განვაგრძე.

ბევრი რაღა გაეავრძელო. ინგლისელმა ქველმოქმედებმა მე შემიკრეს ხელი და მაგრა მცემეს.

მაგრამ რა უნდა მეთქვა:

ისინი ხომ ვირების დაცვის საზოგადოების წევრები იყვნენ და ადამიანი რაში ეკითხებოდათ.

— ახლა თუ სცემთ თქვენს ვირს... ვეკითხებით არაბ ფელანს

— ახლა? ახლაც ვცემ ხანდისხან, მაგრამ გამარჯვების შემდეგ არაბები უფრო კეთილი გავხდით ბუნებით... — თქვა ფელანმა.

და მერე ღიმილით დაუმატა:

— ვირებიც ნაკლებად ჯიუტობენ.

ებრაელი ექსტრემისტებისა და არაბების ექვსდღიანი ომის დროს სუეცის არხის დასაწყისში ჩაძირეს არაბული სატვირთო ხომალდი „მეკა“.

ეს წარღვნას უდრიდა და მეორედ მოსვლას!
თალმუდმა ჩაძირა ყურანი, იელოვამ — ალაპი...

და სანამ „მეკა“ სუეცის ფსიქოზზეა, რა დააძინებს ეგვიპტეს?!

— „მეკა“ სუეცშია ჩაძირული. — თქვა ერთმა არაბმა სასოწარ-კვეთით.

ო, ეს მართლა დიდი უბედურება უნდა იყოს, როცა რწმენის სიმბოლო ჩაძირულია.

სასტუმრო „კონტინენტალი“, ღამის 2 საათი

ნილოსიც იძინებს ერთი წამით.

ჩვენც გვეწვია რული ქაიროს სასტუმრო „კონტინენტალი“-ში და ის იყო ზმანებათა სამყაროს უნდა ვწვეოდით, რომ კარი გაიღო და შავკანიანი არაბი შემოვიდა. მარილი დაღვა მაგიდაზე.

— გმადლობთ, ჩვენ უკვე ვივასშმეთ, ვეუბნები მასპინძელს. ნეგონა სუფრას შლიდა.

— არა, მარილი აქ უნდა იდგეს, ავი სულეები ჯინები უნდა დაფრთხეს, მარილის ეშინიათ ჯინებს...

სახტად დავრჩი... მადლობა გადავუხადე.

ჰმ, ცრურწმენა!

არა, ხალხი ბრძენია.

ეს ჩვეულება მარილის ძალის ქებათა-ქებაა.

— ბოლოს და ბოლოს ადამიანსაც ხომ პოეტურად „მიწის მარილს“ ეძახიან.

ასე ვიგემე პირველად არაბული მარილის გემო და ჯინები იმ ღამეს სათოფზე არ გაჰკარებია სასტუმრო „კონტინენტალს“.

განმორჩინება არაბულად

ყველამ იცის, რა ძნელია განქორწინება იტალიურად, მაგრამ შეიძლება ყველამ არ იცოდეს, თუ რამდენად იოლია განქორწინება არაბულად...

აქ საქმე გვაქვს ციჟრა „სამის“ საკრამენტულ მაგიასთან...
შარიათი ამბობს (ხოლო შარიათზე დიდი კანონთა კოდექსი

არ არსებობს მუსლიმანურ აღმოსავლეთში), თუ მაშაყაცმა სამ-
ჯერ უთხრა ცოლს „მე შენ გაგეყაზები“, განქორწინება დაშთაფ-
რებულა.

ვერავითარი პროკურორი და სასამართლო საქმეს ვერ შეეღის.
ჰაგრამ ვრთხელ თუ უთხრა, ეს მხოლოდ გაფრთხილებაა.
მეორედ თუ უთხრა იგივე სიტყვები, ეს უკანასკნელი გაფრ-
თხილებაა.

მესამედ თქმა უკვე განაჩენია, რომელიც არავითარ კასა-
ციას არ სცნობს.

ქვეყანა, სადაც მკვდრები უფრო მდიდრები არიან, ვიდრე ცოცხლები

ეგვიპტეში სადაც კი გათხარეს; სასაფლაო. ოქრო-ვერცხლი
ამოაქვთ.

— უცნაურია ეს ქვეყანა, აქ მკვდრები უფრო მდიდრები არიან,
ვიდრე ცოცხლები, — რქვა თუ: „ე ერთმა არაბმა ფელახმა
ნეტა რად უნდათ სიმდიდრე მკვდრებს?!

ბალზამირაბული სხენები

ორი ფელახი დაობდა ეგვიპტის უდაბნოში, იქ, სადაც ცხენე-
ბის ნუმიები იპოვეს.

— რად უნდოდათ ცხენების დაბალზამირება? — იკითხა ერთმა.

— ფარაონები ან მამლუქთა სულთანები ფეხით ხომ არ ჩა-
ვიდოდნენ საიქიოში, — მიუგო მეორემ.

არაბია...

იმ ღამეს, არ ვიცვი, კონსტანტინე გამსახურდიას რომანში, თუ
სადაც ქაიროს შემოგარენში კიხვინებდა არაბია, წმინდა სისბ-
ლის არაბული რაში...

კიხვინებდა სადაც არაბია და მთელი ღამე არ დამაძინა.

თეთრად გავათენე ათას მეორე არაბული ღამე ქაიროში...

ათას მეორე ღამეს აფრთხობდა არაბიას კიხვინი.

ისევე გამოველ ქაიროს ქუჩებში — თენდებოდა...

„გალვიძებული ეგვიპტის“ ქანდაკებისაკენ წავედი...

საიდანდაც სიმღერა მოისმა. არ ვიცვი ბლეროდა არაბეთის მი-
წა, ან იქნებ პირამიდები მღეროდნენ. ზმა მიირჩეოდა ქაიროს და-
ხუთულ ჰაერში:

ხელ წამოდგება არაბთა ჯარი.
ურიცხვი, როგორც საპარის

სუესს კვლავ უნდა შევაბათ კარი,
უნდა დაინგრეს, რაც ხალხის
ქვიშა...
თიშავს...

მივებიჯებდი ნილოსის პირას და თავში მიტრიალებდა ათასი აზრი და ფიქრი, ათას მეორე არაბული ღამის შთაბეჭდილებები, მართლაც „ურიცხვი, როგორც საპარის ქვიშა“. და მთი ვერასდროს აღვწერ, თუნდაც ნილოსი შეღწეულ რომ იქცეს და საპარა პაპირუსების ტყედ.

მარადიულია და უსასრულო შენზე ჩემი ფიქრი, შორეულო და მახლობლო ეგვიპტე, აბო ტფილელის არაბეთო!

ალექსანდრია-ქაირო-თბილისი

ჯირჯი ზეიდანის და მამლუქების მკვდარი ძალაქი (მამლუქური ლეგენდა)

ქაიროში მაჩვენეს გამოჩენილი არაბი მწერლის, პუბლიცისტი-სა და მკვლევარის ზეიდანის ოცამდე ისტორიული რომანისა და მრავალტომიანი ისტორიული გამოკვლევების ავტორის მემორიალური ადგილები.

საინტერესოა, რომ ზეიდანმა ორი რომანი უძღვნა მამლუქების ცხოვრების აღწერას.

ამ თვალსაზრისით ზეიდანის — „არაბი უიარაღოა“.

ზეიდანზე მთელი წიგნი შეიძლება დაიწეროს. მეტად პოპულარულია არა მარტო ეგვიპტეში, არამედ მთელს არაბეთში და ევროპაში მისი რომანები „მამლუქების აღზეება“ და „ლტოლვილი მამლუქი“.

არაბები, პირდაპირ უნდა ითქვას, აღტაცებული იყვნენ მამლუქთა ვაჟკაცობით, მათი სამხედრო ხელოვნებით, მაგრამ იმავე დროს ბევრი მათგანი მათ მიმართ ანტიპათიასაც გამოთქვამს, რადგანაც მამლუქთა სულთანები და ფეოდალები, რომლებსაც ძალაუფლება ხელთ ეპყრათ, სასტიკ ექსპლოატაციას უწევდნენ არაბ მოსახლეობას. ახალ არაბულ ლიტერატურაში ისტორიული რომანის ფუძემდებელი ზეიდანის ხატავს მამლუქ სულთანთა დინასტიების მიერ ეგვიპტის მართვის რეალისტურ სურათებს.

ამბობენ, რომ ზეიდანის მამლუქების ცხოვრებაზე რომანების შექმნის პერიოდში ხშირად გამოჩნდებოდა ხოლმე ქაიროში მუჟატამის

ბოედანზე, სადაც 500 მამლუქი ბეი გაქლიტეს, აგრეთვე ქაიროს შემოგარენში, ე. წ. „მამლუქების მკვდარ ქალაქში“, სადაც მამლუქთა დინასტიის სულთანები მარხია. მწერალს სურდა მეტი შთაბეჭდილებები მიეღო მამლუქთა ყოფიდან, რომ უფრო ცხოვლად და რელიეფურად დაეხატა მამლუქთა ცხოვრება თავის რომანებში.

მამლუქთა მკვდარი ქალაქი იმიტომ ეწოდება სულთანების სასაფლაოს, რომ ყოველი მიცვალებულის საფლავზე ეგვიპტური ადამის მიხედვით მთელი სახლია გაშენებული. ეს სახლები კი მთელი ქალაქის შთაბეჭდილებას ქმნიან.

ერთხელ, მთვარიან ღამით, როცა მამლუქების მკვდარ ქალაქს სულ ახლოს დაჰყურებდა საჰარის ნახევარმთვარე, ზეიდანის მარტო გამოსულა სასეირნოდ...

მიდიოდა ღამით სასაფლაოზე არაბი რომანისტი და არაბულ წარწერებს კითხულობდა მამლუქი სულთანის საუკუნო განსვენების ალაგას...

ამ დროისათვის ზეიდანს უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა ცალკეული თავები თავისი რომანებიდან მამლუქებზე, სადაც ქებას: ერთად მათი კრიტიკაც იყო.

ერთ-ერთი არაბული თქმულება მამლუქების მკვდარ ქალაქში ზეიდანის გასეირნების შესახებ მოგვითხრობს, რომ გაუსწორდა თუ არა მწერალი ერთ-ერთი ქართველი მამლუქი სულთანის საფლავს. უცებ ხმა მოესმა საიქიოდან:

— ეს შენა ხარ, ზეიდან! რომ დაგვყურებ ზეიდან?!

რომანისტმა ყურებს არ დაუჭერა. იფიქრა ალბათ მომეჩვენაო. მაგრამ ხმა ისევ განმეორდა თურმე.

და იკადრა მაშინ გაქცევა მწერალმა მკვდართა ქალაქიდან.

ქაიროში ახლაც გაჩვენებენ იმ ადგილს მამლუქთა სასაფლაოზე.

თითქოს ხმლის წვეტსა ჰგავს ქვის წვეტი ერთ-ერთ საფლავთან.

ერთი მოხუცი არაბი გვიმტკიცებდა წმინდა გიორგის ეკლესიასთან, ქაიროს კოპტურ უბანში, რომ ეს ქვის წვეტი კი არა, იმ ხმლის წვერია, რომელსაც საფლავიდან უღერდნენ გარდაცვლილი მამლუქები ცოცხალ არაბ მწერალსო.

ზეიდანმა მაინც დაასრულა თავისი რომანები მამლუქებზე და ისინი მსოფლიოს მრავალ ენაზე ითარგმნა.

კარგი იქნება, თუ ქართულ და რუსულ ენაზეც ვნახავთ ზეიდანის რომანებს „მამლუქების აღზევება“ და „ლტოლვილი მამლუქი“.

ქაირო-თბილისი

აკლემიანი მაყარი

ფიქრები ქართველ მამულე ქალებზე არაბულ ქორწილში

განთიადისას დავიძარით პირამიდებისაკენ... გავიარეთ ქაიროს ევროპული და აზიური ქუჩები და უბნები და არაბულ სოფლებში გავედით. სულ ახლოს ვგრძნობდი ნილოსის მღვრიე დინებას, ეგვიპტის მარჩენალი მდინარის ტალღათა ხმაურს.

დილა იყო, მაგრამ საჰარა სიცხიანი ავადმყოფივით სუნთქავდა და ცხელი ჰაერი უსიამოვნოდ გვცემდა სახეში...

მანქანის სისწრაფით მიქროდნენ მარჯვნივ და მარცხნივ პალმები, ყანები, ლერწმები, ლიმონები, ძროხები, ცხვრების ფარა და ცხენების რემა... ფელახები და მათი სახლები...

თვითონ საჰარა იმდენად ძნელი ასატანი არ არის, რამდენადაც მასთან შეხვედრის მოლოდინი.

გზისპირა არაბულ კაფეში ვისაუზმეთ...

წვენიები ჯერ კლავენ წყურვილს.

ვსვამ ნილოსის წყალს...

მთელი ნილოსიც რომ დავაშრო, მაინც ვერ მოვკლავ ეგვიპტის შეცნობის მარადიულ წყურვილს...

თვალს წყალი დავალევინეთ და ის იყო კაფედან გასვლას ვაპირებდით, რომ უცბად ტამტამების ფიცხელმა ხმაურმა და პირველქმნილმა ყიყინამ გააპო არაბული ქალაქის გიზუს შემოგარენი...

...და უცებ არაბულ ქორწილში აღმოვჩნდით. ეს იყო ფანტასტიკური სანახაობა. ახალდაქორწინებულები საჰარის გავლით ზემო ეგვიპტეში მიდიოდნენ... თან ახლდათ მემუსიკენი და მოცეკვავენი.

ჩვენი კაფეს ფანჯრიდან ჩანდა ხეოპსისა და ხეფრენის მდუმარე პირამიდები, რომლებიც 50 საუკუნეა ასე ნშივლად უცქეჩიან ადამიანთა ეფემერულ გრძობებსა და ვნებებს...

ძნელია საფლავშიც არ გაიღვიძოს მუმიამ, როდესაც ზედ საჰარის კარიბჭესთან ესმის ეგვიპტური ტამტამების საქორწილო ხმები... ეგვიპტელნი გასაოცარი ეშხით, ლაზათით და ცეცხლით უკრავენ და ცეკვავენ...

პატარძალმა „მუცლის ცეკვა“ შეასრულა და იმდენა სიამოვნება მოგვანიჭა, რომ მე თბილისიდან წაოდებული მადონა დაგვიღე არაბი ქალის მზით გააუფულ კისერზე.

მეტად ნასიამოვნები დარჩა დედოფალი. ჩემთან სურათიც კი გადაიღო.

ნეფეს გადავხედე, მაგრამ ყოველივე ამას ის ოლიმპიური სიმშვიდით უმზერდა.

ნეფემ ჩვენი ქართველობა რომ გაიგო, მამლუქების შორეული შთაშობავალი ვარო, თქვა.

პატარძალი თურმე მისი მეოთხე ცოლია. დანარჩენი სამი ცოლიც შინ ჰყავს.

ეგვიპტეში, ისევე როგორც ბევრ სხვა მუსლიმანურ ქვეყანაში, სირიაში, ლიბანში, ტუნისში და ა. შ. ყოველ მამაკაცს კანონით უფლება აქვს ოთხი ცოლი ჰყავდეს.

საქმე არც ისეა, რომ, გინდა თუ არა, მაინც და მაინც ოთხი ცოლი გყავდეს, შეგიძლია ორი ან სამი ცოლი იყოლოო. და, ბოლოს უფლება გაქვს ერთსაც დაჭერდე, მაგრამ ყურანის კანონებზე დაყრდნობით სასტიკად აკრძალულია ხუთი და მეტი ცოლის ყოლა.

— ბოლოს და ბოლოს სინდისიც კაი საქონელიაო, — ამბობს შარიათი-ისლამის კანონთა კოდექსი.

არაბი პატარძალი მოცეკვავე ყოფილა... ნადია რქმევია. ეს მეტად გავრცელებული სახელია დღევანდელ არაბეთში. გაგვაოცა მისმა ცეკვამ, ეშხმა და ლაზათმა.

არც ნეფე ჩამორჩა.

მის მიერ შესრულებული „ცეცხლის ცეკვაში“ იმდენი ცეცხლი იყო, კინალამ ცეცხლი წაეკიდა ისედაც ცხელ საპარას...

ამ ცეკვის შემდეგ მართლა ვიწამე ნეფის მამლუქური წარმომავლობა.

მე ვუსმენდი არაბულ ქორწილის ჰანგებს და გიზეს შემოგარეწში მაგონდებოდა მამლუქი ქალების — დედის მკერდს ბავშვობაში მოწყვეტილი ქართველი ქალების ქორწილები შორეულ ეგვიპტეში...

ნელ-ნელა ჩემი ფიქრების ფარამ მეოციდან გარდასული საუკუნეების გიზესა და ქაიროში გამიყოლია, როგორც მწყემსი, როშელსაც ფარა სხვა მინდორზე გაექცა საბალახოდ...

და მესმოდა, როგორც ხმა იღუმალი, არაბი მემატიანის ღაღადი საპარის უდაბნოში მამლუქი ქართველი ქალების სიახლიან ქორწილებზე...

...როდესაც 1811 წლის მარტში ამოწყვიტეს მამლუქები ქაიროს ციტადელში, — ღაღადებდა ხმა უდაბნოში, — თურქი ჯარისკაცები გაიჭრნენ მამლუქთა ოჯახებში. გააუპატიურეს ყველა. ვინც იყო მათ პარამხანებში, — წერს არაბი ისტორიკოსი აბდ არ-რაახმან ალ-ჯაბარტი თავის ცნობილ ნაშრომში „ეგვიპტე მუჰამედ ალას ჩელისუფლების დროს“, — გაიტაცეს მათი ცოლები და მონა ქალები. მალალი რანგის ქალბატონები, რომ მათთვის წაერთმიათ ძვარუთ-

სეულობა და ტანსაცმელი. ჯარისკაცებისთვის არ არსებობდა არც შემაკავებელი საწყისი, არც აკრძალვა.

მე უკვე ქორწილს გამოვეთიშე. გულისყურით ვუსმენდი მემპტიანეს.

არაბ ისტორიკოსს კი მოჰყავს შემადრწუნებელი ფაქტები.

„ზოგიერთი მათგანი (თურქი ჯარისკაცი — ვ. ა.) როცა ვერ ახერხებდა სწრაფად სამაჯურის წაძრობას, ქალს მკლავს კრიდა სამაჯურიანად“.

ჯაბარტი თითქოს ყურში წამჩურჩულებდა არაბულ ქორწილში:

...ბევრი თურქი მხედართუფროსი ძარცვავდა მამლუქთა გაყლეტის უამს მათ განძეულობას ალ-აზჰარისა და ალ-ჰუსეინის მეჩეთების ახლოს მდებარე სახლებში...

...განსაკუთრებით სამაგიეროს უხდიდნენ თურქი ჯარისკაცები მამლუქ ქალებს, რადგანაც... თუნდაც ყველაზე წარჩინებულ თურქს რომ ეთხოვა მამლუქის ყველაზე უკანასკნელი ქალი, ის თანხმობას არასოდეს არ აძლევდა, რადგანაც არაბეთში გაბატონებულ თურქ ასკერებთან დაახლოებაზე ფიქრი მამლუქ ქალებში იწვევდა ზიზღისა და სიძულვილის გრძნობას.

და შემდეგ განაგრძობდა არაბი ისტორიკოსი...

თუ თურქი ხელისმძიებელი დაიყინებდა მამლუქი ქალის თხოვას, მამლუქი ქალი „მიმართავდა იმას, ვისაც შეეძლო ის დაეცვა, ანდა გარბოდა ოჯახიდან და თვეობით იმალებოდა“.

მაგრამ მამლუქთა შორის ყველაზე უკანასკნელს რომ ეთხოვა მამლუქი ქალის ხელი, ქალი იღებდა წინადადებას და თანმხლებოდა.

მამლუქი ქალები თხოვდებოდნენ მამლუქ ვაჟკაცებზე.

გიზეს შემოგარენში მიდიოდა აქლემიანი მაყრიონი, ხოლო არაბი პეპატიანე განაგრძობდა:

...მამლუქ ემირებს უმეტეს შემთხვევაში ქართველი ქალები ჰყავდათ ცოლებად, თუმცა ხშირად მათ უნათესავდებოდნენ წმინდა სისხლის არაბი უმაღლესი თანამდებობის პირნი.

...1811 წელს 4 მარტს ქაიროში გამოაცხადეს მოკლული 500 მამლუქის ცოლების უსაფრთხოების შესახებ მუჰამედ ალის ბრძანება და შესთავაზეს მათ თავიანთ სახლებში დაბრუნება. „ზოგიერთი ნაკლებად დაზარალებული ქალი დაბრუნდა, ზოგიერთები კვლავ ეძალებოდნენ“, წერს ალ-ჯაბარტი.

ფაშამ მისცა თავის ქვეშევრდომებს მამლუქი ემირების სახლები და ყველაფერი, რაც იქ იყო. „მათ დაიკავეს ისინი, ჩასახლ-

დნენ, ქალებს ბექდები გაუკეთეს, განაახლეს საოჯახო დგამ-ავეჯი და მეურნეობა, ძირითადად ნაძარცვის ხარჯზე“, — წერს არაბი ისტორიკოსი.

— კმარა! — ვუყვირე არაბ მემბტიანეს, თითქოს ის ყოფილი-ყოს დამნაშავე.

ჰაი, დედასა, უნებურად ხმალს ეძებს ხელი. მაგრამ არც ხმალია და არც მტერი. დიდი ხანია მიწამ შექამა მოძალადენი.

დარჩა მხოლოდ მარადიული ტკივილი ქართველის გულში...

მე მივაბიჯებ ვიზეს მარადიული პირამიდების შემოგარენში, სადაც მაწის ყოველი გოჯი მორწყულია ქართველი მამლუქი ქალების ცრემლით..

აქ ვიზესთან გმირობის უკვდავი შარავანდდით შემოსეს თავიანთი სახელი ქართველმა მამლუქებმა ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მართლაც რომ საოცარია ისტორია.

დაუჭერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს პირამიდები და მთელი ვიზე ზენჯერს ყოფილა ქართველი მამლუქი ბელადების ლატიფუნდია, მათი საკუთრება...

უცებ ფიქრებიდან გამომარკვია ხმამ უდაზნოში:

— მსიე, აი, თქვენი აქლემი!

— აქლემი? — გაოცებით ვკითხულობ მე.

— დიახ, აქლემი, აქედან პირამიდებამდე თქვენია ეს აქლემი, აბრძანდით!

არასოდეს ვმჯდარვარ აქლემზე...

მაგრამ ცთუნება დიდია.

საჰარის უდაბნოში, აქლემებით პირამიდებისაკენ!

ეს ხომ ყოველგვარ ეგზოტიკურ ფანტასტიკაზე მეტია.

...რა მაღალია ეს უპატრონო“, — ვფიქრობ ჩემთვის და ორკუზხან აქლემს შიშის თვალით ვუტკეპრი. და მისი კუზები იალბუზზე მაღალი მეჩვენება.

მაგრამ მეშველა.

არაბი მექარავენე გრძნობს არაარაბის გასაჭირს. აყლაყულა აქლემს მუხლებში მათარახს უტყუაუნებს და ეს გონიერი არსება ზღაზნით იდრეკს წინა მუხლებს, მერე უკანა ფეხებსაც და ჩემს წინ წეება მიწაზე, როგორც ინდოელი ფაკირის შიერ მოთვინიერებული ცხოველი.

მე რის ვაივაგლახით ავივერი მოფარდაგულ უნაგირზე, როგორც იქნა, აქლემმა თავი ჩემსკენ მოაბრუნა, თითქოს უნდოჯა დარწმუნებულიყო, მოვრჩი თუ არა ცოცვას მის ზურგზე და ზანტად იწყო ადგომა.

ეს ადგონა კი არა სიმაღლის აღება იყო.

ჩემს ქვეშ თითქოს მიწა იძვროდა.

ცალ-ცალკე მართავდა ფეხებს აქლემი და ისე უმოწყალოდ მანჯღრევდა, რომ ხან აქლემის კისერს ჩავაფრინდებოდი, რომ არ ჩამოვვარდნილიყავი, ხან კიდევ გავას ვებლაუქებოდი.

მაშინ ვიწამე, თუ რამდენად სწორი ყოფილა აქლემის შედარება „უდაბნოს ხომალდთან“. ტყუილია, არც ერთი ხომალდი ისე არ ინჯღრევა ღელვაში, როგორც აქლემი ადგომის დროს.

არა მგონია, რომ მე მაშინ რამეზე ვფიქრობდი, თუ არა თავის გადარჩენაზე, მაგრამ თუ ფიქრი მაინც შეიძლება ასეთ ჟამს, უთუოდ ასეთმა აზრმა უნდა გაიელვოს:

— ო, რა ძნელია ამაღლების ჟამს ცხოვრების აქლემმა არ ჩამოგადგოს ძირს.

როგორც იქნა გამართა ფეხები აქლემმა და მეც კვალში ჩავუდექი არაბული ქორწილის მაყრიონს.

თავი სამშვიდობოს ვიგრძენი. უცებ ქართული სიმღერა მომესმა:

„ბევრჯერ ვყოფილვარ მაყარში,
ბევრსაც ვარ გადანაყარი“,
მაგრამ პირველად დღეს გავხბი
აქლემიანი მაყარი.

„პოეტურ ძალებს“ სინჯავდა ვილაცა. ალბათ ჩემს ბედში მყოფი სხვა მაყარი.

მივდიოდი აქლემით საჰარის უდაბნოში მარადიული პირამიდებისაკენ...

მე ვიყავი აქლემიანი მაყარი...

არაბული ქორწილის მაყრიონში ვერიე, მაგრამ იმავე დროს ფიქრში ვხედავდი ქართველი მამლუქების ჟამგარდასულ ქორწილებს. არაბეთში.

თითქოს მათ მაყრიონებსაც მივსდევდი კვალში...

ხეოპსის პირამიდასთან ქართული თასით, აქლემის კუზზე მჯდარმა თამადამ, „ვარციხე“ დავცალე ყველა იმ მამლუქის სადღეგრძელოდ, რომელთა ქორწილებში ვერ გავწიე მაყრობა და თამადაობა. იმ ქორწილების მარადიული ხმაური ყავლაგაუსვლელია ქართულ ხსოვნაში...

ამ სადღეგრძელოს სვამენ არაბი მექორწილეებიც...

მარადიულ პირამიდასთან წარმოვთქვით სამშობლოდაკარგულ. ბედკრულ მამლუქთა მარადიული ხსოვნის სადღეგრძელო...

მე ყველა თასს აქლემის კუზზე მჯდარი ვსვამდი, რადგანაც

აქლემიდან ჩამოსვლა არავის ეგონოს აქლემის ზურგზე აცოცებაზე იოლი საქმე.

გარდა ამისა, ეს მეტად რომანტიკული და ეგზოტიკური სიამოვნებაა.

ლხინის აპოთეოზი იყო გენიალური რუსთაველის სადღეგრძელო, რომლის იგავმიუწვდომელ პოემაში ასე ბრძნულად და მაღალპოეტურად არის აღწერილი ქორწილი არაბეთში.

სულ ქორწილები დაგებდნენ, შორეულო, მაგრამ მახლობელო მისრეთო, ეგვიპტელნო, არაბეთო — საოცარო ქვეყანავ და კიდევ უფრო გასაოცარო ხალხო...

ისევ გლოცავთ არაბო ნეფე-დედოფალო, და თქვენი სახით-ყველა ახალ ოჯახს ეგვიპტის მიწაზე, ოაზისებივით რომ ამშვენებენ ცხოვრებას.

გწამდეთ, რომ კვლავ თქვენზე ფიქრობს თქვენი აქლემიანი მამყარი.

ქაირო-გიხე-თბილისი.

ეგვიპტური პოემა ქართულ მამლუქებზე

ქაიროსა და ალექსანდრიაში. საბჭოთა კულტურულ ცენტრებში მე მიაშბეს ეგვიპტელი პოეტისა და ღვთისმეტყველის შეიხ ჰალილ ალ-მუნაირის შესახებ, რომელსაც დაუწერია მამლუქებისადმი მიძღვნილი პოემა. ალ-მუნაირი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მე-18 საუკუნის დასასრულსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში.

მასზე მეტად ძუნწი ცნობები მოგვეპოვება.

სახელგანთქმული არაბი ისტორიკოსი აბლ არ-რაზმან ალ-ჯაბატი თავის ცნობილ თხზულებაში „ეგვიპტე ბონაპარტეს ექსპედიციის პერიოდში“ (1798-1801) მოგვითხრობს ამ პოემაზე და მისერთ-ერთ პერსონაჟზე აიუბ-ბეი ალ-დავთარდარზე, რომელიც, გადმოცემის თანახმად, თურმე წარმოშობით ქართველი მამლუქია და რომელმაც გასაოცარი გმირობა ჩაიდინა ნაპოლეონ ბონაპარტეს წინააღმდეგ მამლუქების ბრძოლაში.

„ეს გმირობა, — აღნიშნავს ჯაბარტი. — წარმოაჩენს მას არამარტო მის თანამებრძოლ მამლუქთა შორის, არამედ ეგვიპტის ყველა მცხოვრებს შორის“.

გიდმა მითხრა:

— თუ გადმოცემა სწორია, არაბი მეცნიერი და პოეტი შეიხ ჰალილ ალ-მუნაირი თავის პოემაში აქებს ერთ-ერთ იმ ქართველ

მამლუქთაგანს, რომელთა გვირობამ განაცვიფრა თვით ნაპოლეონ ბონაპარტე. სხვათა შორის ნაპოლეონ ბონაპარტე წერს:

„მამლუქთა ცხენოსანმა ჯარმა დიდი მამაცობა გამოიჩინა“.

....საუცხოო ცხენოსანი მეომრე: ჰყავდათ, ძვირფასი კარაბინებითა და ლონდონური დამბაჩებით შეიარაღებული მათი მხედრობა სულ ოქრო-ვერცხლში იჯდა. სახელგანთქმულ აღმოსავლურ ხმლებს მამლუქთა რიგებში ლაპლაპი გაუდიოდა. მათ ბედაურებს თვალს ვერ მოწყვეტდი. ალბათ, მთელ აფრიკაში ამაზე უკეთესი ცხენები არცაა“.

პოემის ერთ-ერთი გმირია აიუბ-ბეი ად-დავთარდარი მამლუქთა ცნობილი ქართველი ბელადის იბრაჰიმ ბეის გვარად შინჯიკაშვილის მამლუქთაგანი.

შეიქ ჰალილ ალ-მუნაირი არა მარტო პოეტი, არამედ დიდი და სახელოვანი მეცნიერიც ყოფილა და თავისი დროის ყველაზე ცნობილ მეცნიერთა შორის მოიხსენიება არაბი ისტორიკოსების მიერ.

ამ პოეტისა და მეცნიერის ბიოგრაფიიდან ისიც ირკვევა, რომ ბონაპარტეს ექსპედიციის დროს ის დაუპატიმრებიათ და ციხეში მჯდარა, მაგრამ გაუნთავისუფლებიათ.

არაბი პოეტი შეიქ ჰალილ ალ-მუნაირი არაბი ისტორიკოსის ალ-ჯაბარტის გადმოცემით რელიეფურად გვიხატავს პოემაში აიუბ-ბეი ად-დავთარდარის სახეს.

არავის, გარდა აიუბისა, არ გამოუცდია გაცოფებული მტრისაგან იმ ტკივილების მსგავსი რამ, რაც განიცადა იობმა¹, წერს პოემის ავტორი.

..მასთან მოვიდა ერთი უმშვენიერესი ჰური და უთხრა: — გაქნდი ყველაზე წინ ბედნიერების შესახვედრად, მთელი ძალღონით.

დააგდე შურადი² ამ: ჰეყენად და ჩვენთან მოდი. მე სიცოცხლე ვარ“.

მაშინ აიუბმა გასწირა სიცოცხლე.

ხმალშემართული მთელი ვნებით გადაეშვა ის წმინდა ომის ორომტრიალში.

მან მიმართა თავის თანამებრძოლებს სიტყვებით:

„ღმერთი ერთია და დიდი“. და მას დაურთო თავისი მოწოდება, რომელმაც გაქრა ბინდი ცითდაშვებული ლამისა და იმ-

¹ აიუბი — არაბული ფორმა იობი-სა, სიტყვათა თამაშია.

² შურად-ბეი — მამლუქთა ბელადი. „შურადი“ — „სიუხვეს“ ნიშნავს. აქაც სიტყვათა თამაშია.

დენად ძლიერად შეეხო ადამიანების გრძნობათა სიმებს, რომ მათ სულსა და გულს ჩაწვდა. ის ებრძოდა მტერს მანამდე, სანამ არ ჩაესვენა მისი ვარსკვლავი და შუქი მისი არ გაქრა თვალსაწიერს იქით.

ის მოკვდა როგორც წმინდა და მაღალი რწმენის გმირი, ბრძოლის სისხლით განბანილი წამებული ადამიანი.

„მის წინასწარკვრეტაში, — ამბობს პოემის არაბი ავტორი, — იყო ღვთიური ნიშანი მამლუქების უკანდახვეისა. მათაც დაახიეს ნაწილ-ნაწილ და უკვდავებას ეზიარნენ“.

ამ პოემის გმირი ერთი იმ მამლუქთაგანია, რომლებზეც წერს ნაპოლეონი:

„ბოლოს ზოგიერთი, ყველაზე მამაცი მამლუქი, იერიშით წამოვიდა“.

არაბი პოეტის პატივს მსახურის მომავალი პოემის გმირს ზედავდა ბრძოლის ველზე თვითონ ნაპოლეონ ბონაპარტე.

ნაპოლეონ ბონაპარტე შენიშნავს: „ბევრი მამლუქი ნილოსში დაიხრჩო“.

არაბული პოემის გმირთა ერთ-ერთი პროტოტიპია იბრაჰიმ-ბეი. ზოგიერთი ცნობით ეს იბრაჰიმ-ბეი უნდა იყოს მარტყოფელი „აბრამა შინჯიკაშვილი“, რომლის შესახებ წერს „კალმასობის“ ავტორი იოანე ბატონიშვილი.

„უკანასკნელი ბეგი იყო უკანასკნელთა დროებათა შინა მარტყოფელი კახელი შინჯიკაშვილი აბრამა, იბრეიმ ბეგად წოდებული და ერჩნენ მისრელნი (ეგვიპტელნი — ვ. ა.) და სხვანი ადგილნი“.

იბრაჰიმ ბეის ისტორიას დიდ ადგილს უთმობს დ. ჯანელიძე თავის მონოგრაფიაში „ქართველი მამლუქები ეგვიპტეში“.

იბრაჰიმ ბეი (შინჯიკაშვილი) დიდ პატივს სცემდა ერეკლე II, არაბულანებს უძღვნიდა ეგვიპტიდან ქართლ-კახეთის მეფეს.

ცნობილია, რომ ერეკლე II დავალებით მასთან ეგვიპტეში გაემგზავრა მარტყოფელი გელა შინჯიკაშვილი. ის იყო ქართლ-კახეთის მეფისა და ეგვიპტის ფაქტიური მმართველის შინჯიკაშვილის მეკავშირე.

ასეთია ის არასრული ცნობები, რომლებიც გავაჩნია ქართველი მამლუქების შესახებ არაბი პოეტის მიერ დაწერილ პოემაზე, რომლის ფრაგმენტი მოჰყავს თავის ერთ-ერთ თხზულებაში არაბ ისტორიკოსს.

ძნელია ამ პოემაზე მსჯელობა, მით უმეტეს, რომ ჩვენ ვხვალვართ პოემის ფრაგმენტის ბჭკარედი გვაქვს, ისიც ისტორიკოსის მიერ გაკეთებული და არაბი გიდის მიერ მოთხრობილი.

კარგი იქნება, თუ ჩვენი არაბისტები ამ პოემას ქართულად თარგმნიან. მაშინ უფრო იოლი იქნება იმ საკითხების გარკვევა, რომელიც ჯერ კიდევ ბურუსითაა მოცული.

ქაირო-ალექსანდრია-თბილისი

ქართველი მამლუქების ტრაგედია ფრანგი მხატვრის ტილოზე

ქაიროში, აპრილის ერთ მშვენიერ საღამოს, ქალაქის ციტადელის დათვალეირების შემდეგ სასტუმრო „კონტინენტალში“ ვბრუნდებოდით მუკატამის მოედნიდან. გვიანი საღამო იყო, მაგრამ არაბი ბუკინისტები ხორა-ხორად დაყრილი წიგნებით მაინც ვაჭრობდნენ. გამყიფანი ხმით. აღმოსავლური ბაზრების ყაიდაზე უხიბდნენ მუშტარს.

ვიღაც ინგლისელი ავტორის ჯერ კიდევ ომამდე გამოცემული წიგნი „სტალინი — აზიელი დიქტატორი“ მომაჩეჩეს, მერე ერთმა მათგანმა სადაურობა მკითხა.

— ქართველი ვარ-მეთქი, — ვუთხარი.

— მამლუქი? — გაიღიმა არაბმა.

თვალის დახამხამებაში საიდანღაც მეორე წიგნიც გააჩინა. ეს ფრანგი მხატვრის ორას ვერნეს ნამუშევრების რეპროდუქციები აღმოჩნდა ფრანგულ ენაზე.

ერთ-ერთ ნამუშევარს „მამლუქების განადგურება“ ერქვა.

ნაპოლეონ ბონაპარტეს თანამედროვემ, ფრანგმა მხატვარმა -- ბატალისტმა ორას ვერნემ, რომელმაც შექმნა ნაპოლეონის ლაშქრობათა ფერწერულ-ბატალური მატთანე, დახატა სურათი „მამლუქების განადგურება“.

რა დაედო საფუძვლად ამ სურათს?

ისტორიული ფაქტი.

მუჰამედ ალიმ, ეგვიპტის მეფეთა ახალი დინასტიის მამამთავარმა, 1811 წელს გაუგონარი ვერაგობითა და ფიცის გატებით მოახერხა 500-მდე მამლუქის გაქლეტა ქაიროს ციტადელსა და მის შემოგარენში.

აი როგორ გადმოგვცემს ამ ამბავს არაბი ისტორიკოსი ალ-ჯაბარტი:

„ფაშამ, როგორც კი პროცესია დაიძრა, დატოვა სასახლის დივანი და გაემართა იმ სასახლისაკენ, სადაც პარამხანა იყო“.

იმავე ფაქტს ქართველი ისტორიკოსი და ორიენტალისტი დ. ჭანელიძე ასე აგვიწერს:

„დაპატივებული მამლუქი ემირები მუჰამედ-ფაშასთან სა-
დარბაზო ოთახში შეიყვანეს, ნოხები გაუშალეს და ყავა მიართ-
ვეს. ალერსიანი მასპინძელი ოხუნჯობდა სტუმრებთან“. „...დარ-
ბაზობამ, რომელიც დიდხანს არ გაგრძელებულა, გულითადობის
ატმოსფეროში ჩაიარა“.

„ეგვიპტის ძლევამოსილი გუბერნატორი ჰარამხანაში ერთობო-
და. სააღლუშო პროცესიის დაწყებისთანავე იგი თავის მხევეალთა სა-
ზოგადოებაში გადასულიყო“.

ცნობილი თანამედროვე ინგლისელი მწერალი ჯემს ოლდ-
რიჯი 40 ასე აღწერს ამ სცენას:

„მუჰამედ ალი მღელვარებით ელოდებოდა ხოცვა-ჟლეტის
შედევებს ციტადელში და შიშით უგდებდა ყურს სროლას. რო-
გორც შეწყდა სროლა და მის ფეხებთან დაყარეს მტრების პირ-
ველი თავები, ის ოღნავ დამშვიდდა, როგორც წერდა ფელიქს მენ-
ენი თავის წიგნში „ეგვიპტის ისტორია მუჰამედ ალის ხელისუფ-
ლების დროს“ (1823 წ.). მუჰამედ ალიმ სული მოითქვა, როცა
მასთან მიიღბინა მისმა იტალიელმა ექიმმა მენდრიჩიმ და სიხა-
რულით წამოიძახა: „ყველაფერი გათავდა. თქვენ გაიმარჯვეთ,
თქვენო აღმატებულებავ“. მუჰამედ ალიმ ვერაფრის თქმა ვერ
მოახერხა და ჭიქა წყალი ითხოვა“.

მათი გაჟლეტით, წერს ოლდრიჯი, „მამლუქების ძალაუფლე-
ბის აღსასრული დადგა და დამთავრდა ხანგრძლივი და უჩვეუ-
ლო ისტორია ამ ქართველი მონების აღზევებისა ეგვიპტეში“.

ოლდრიჯი განაგრძობს:

„ქაირომ მათგან მიიღო მემკვიდრეობით მეტი ლამაზი ძეგ-
ლები, ვიდრე თურქებისაგან, მაგრამ ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს.
რომ ისინი უფრო უხვ ეპოქაში მბრძანებლობდნენ“.

როგორ კომენტარებს უკეთებდა ორას ვერნეს სურათს ეგვიპ-
ტის მეფე მუჰამედ ალი, ეგვიპტის იმ მეფეთა დინასტიის ფუძემდე-
ბელი, რომლის უკანასკნელი „მოჰიკანი“ მეფე-ფარუკი, ტახტიდან
ჩამოაგდო ეგვიპტის 1952 წლის ივლისის რევოლუციამ ნასერის
მეთაურობით?

(„ნასერმა მამლუქების სამაგიერო გადაუხადა მუჰამედ ალის.
დინასტიას“, — მითხრა ერთმა არაბმა ქაიროში).

მუჰამედ ალი ორას ვერნეს სურათზე გამოსახულია შემდეგ-
ნაირად. თუმცა... სჯობს თვითონ ვერაგ მეფეს მივცეთ სიტყვა:

„მე გადმომცეს, რომ დიდმა ფრანგმა მხატვარმა დამხატა სო-
ფაზე მჯდარი; ჩემი მარჯვენა ხელი დევს ლომის თავზე, ხოლო მე
მშვიდად ვუშვებ სასახლის ფანჯრიდან მამლუქების განადგუ-
რებას“.

ცბიერი და ვერაგი ეგვიპტის მეფე შემდეგ აკეთებს ორას ვერნეს სურათის მიმართ შენიშვნებს, რომლებსაც საერთო არა-
ფერი აქვთ ხელოვნებასთან. მეფე პროტესტს აცხადებს: „მე ხონ
არასოდეს მყოლია ცოცხალი ლომი და არც ერთი ფანჯრიდან სასახ-
ლას იმ დარბაზისა, სადაც მე მაშინ ვიმყოფებოდი, არ ჩანს მოედანი,
სადაც ხოცავდნენ მამლუქებს...“

აკად. ა. კრიმსკი შენიშნავს, რომ ეს ისტორიული მოვლენა
„საქმოსან მუჰამედ ალის სულაც არ სურდა არაზუსტი დეტალებით
წესულიყო ფერწერის ისტორიაში“.

რუსი არაბისტი ირონიით მოიხსენიებს მუჰამედ ალის ვერა-
გულ საქციელს, მის მიერ ლოცვაში გატარებულ წინა ღამეს, ცბიერ
მასპინძლობას და 500-მდე მამლუქის ღალატით ხაფანგში მომწყე-
დევას და ამოხოცვას ქაიროს ციხედელში.

ორას ვერნეს აღნიშნული ნაწარმოები საკმაოდაა ცნობილი
ევროპულ ლიტერატურაში..

ორას ვერნეზე თვით მარქსი და ენგელსიც კი წერდნენ.

ძველი და ახალი ენციკლოპედიები ორას ვერნესადმი მიძღვ-
ნილ სტატიებში აღნიშნავენ მის ნაწარმოებს „მამლუქთა განად-
გურებას“ და მიუთითებენ, რომ ეს ნაწარმოები ინახება მოსკოვის
სახვითი ხელოვნების მუზეუმში.

გარდა ამისა, ორასს ბარე ორასი პოეტური და სხვა ჟანრის
ნაწარმოები აქვს შექმნილი ბიბლიურ, ისტორიულ, ჟანრობრივ თე-
მებზე და სიუჟეტებზე.

ბევრი წყაროდან ირკვევა, რომ ორას ვერნე არაერთხელ ყო-
ფილა რუსეთში. დაუხატავს მეფეთა და დიდკაცთა პორტრეტე-
რ. დღესასწაული ცარსკოე სელოში.

ორას ვერნეს გრაფინია გორონცოვას ფერწერული პორტ-
რეტიც შეუქმნია.

ორას ვერნე (1789-1863 წ. წ.), როგორც ვაჟი, ნაპოლეონ
ბონაპარტეს თანამედროვე მხატვარია.

მე-18-19 ს. ს. ფრანგ მხატვარ ვერნეთა მთელი ოჯახი ჩანს
სამხატვრო ასპარეზზე.

ამ გვარის მხატვრობა მთელი კომპორტიდან ხელოვნებათმცოდ-
ნეები გამოპყოფენ ძირითადად სამ ვერნე: როზეტს (1714-1789),
შარლს (1758-1835) და ორასს (1789-1863 წ. წ.).

თუ ჟოზეფ ვერნე ძირითადად ფრანგი პეიზაჟისტი და მარ-
ნისტი იყო. სამაგეროდ მამა და შვილი შარლ (კარლ) ვერნე და
ორას ვერნე ძირითადად ბატალისტი მხატვრის რეპუტაციით
სარგებლობენ.

ორას ვერნე თავისი დრ.რის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ბატალისტი იყო საფრანგეთში და მის ფარგლებს გარეთაც.

ო. ვერნე კარის მხატვარიც იყო. ხელოვნებათმცოდნეები მის შემოქმედებაში აღნიშნავენ გარეგნულ პათეტიკასა და მელოდრამატიზმს, მიუთითებენ, რომ აღმოსავლურ თემებზე შექმნილი მისი სურათები ეგზოტიკით ქარბად გატაცების ტენდენციებს ამჟღავნებენ. ეს ეხება მის ფერწერულ ტილოსაც „მამლუქთა განადგურება“.

ორას ვერნეს ცხოვრებასა და შემოქმედებაზე არაერთი გამოკვლევა და მონოგრაფიაა შექმნილი, განსაკუთრებით ფრანგულ ენაზე, სადაც განხილულია ცნობილი ფერწერული ტილოც „მამლუქთა განადგურება“.

ამ ნაწარმოების შესახებ ქართულ ენაზე მასალებს ვერ მივაკვლიე. ეტყობა ან ძალიან ცოტაა ასეთი მასალა, ან სულ არ არსებობს.

ახლა, როცა მამლუქების ტრაგედიაზე და ფრანგი მხატვრის ფუნჯზე ვფიქრობ, თვალწინ ისევ ქაიროს აღმოსავლურად ახმაურებული მოედანი მიდგას და ის არაბი ბუკინისტი, რომელმაც პარკელად მაჩვენა ვერნეს ფერწერული ტილო მამლუქებზე. ის ბუკინისტი სწორედ იმ ციტადელის შემოგარენში ვნახე, სადაც გალაშქრებული ეგვიპტის ე.პ.ორიამ მამლუქთა ხოცვა-ჟლეტის გასაწყობარი სცენა.

ო. ვერნემ თავისდაუნებურად ისტორიის ეს დრამატული წამი სამუდამოდ „გააჩერა“ ფუნჯით, ყველა თაობის დასანახავად...

მამლუქები უკვდავად ნაპოლენ ბონაპარტემაც თავის პულციისტიკასა და მემუარებში. ჯერ დახოცა ისინი, მერე უკვდავების ძეგლი დაუდგა.

ბრწყინვალე ნოველა შექმნა უიარაღომ (კონდრატე თათარიშვილმა), „მამელუკი“. მის მიხედვით შეიქმნა ფილმი.

არაბმა ზეიდანმა ორი რომანი უძღვნა მამლუქებს: „მამლუქთა აღზევება“ და „ლტოლვილი მამლუქი“.

დ. ჯანელიძემ და გ. სილაგაძემ შექმნეს პირველი მონოგრაფია მამლუქებზე.

და ეს ყველაფერი ამდიდრებს ჩვენს მეცნიერულ და მხატვრულ წარმოდგენას წარსულზე.

წარსული უნდა ვიცოდეთ, რომ უკეთ ვაკვიგოთ დღევანდელი და სწორად განვსჭვრიტოთ მომავალი...

ეგვიპტის დედაქალაქში, ნილოსის ნაპირას ვფიქრობდი ქართველ მამლუქებზე. ფიქრში გავათენე ღამე ქაიროს სასტუმრო „კონტინენტალში“ და მეორე დღეს ვეწვიე მამლუქთა მემორიალურ ადგილებს: ქაიროს ციტადელს, მამლუქების მკვდარ ქალაქ-ალ-აზჰარის ძეგლს... ალ-აზჰარის მეჩეთის ბიბლიოთეკაში მე მაჩვენეს პირველი სულთანი ქალის შაჰარ-ად-დურის სურათი სხე. ეროვნულ და მუსულმანურ რელიქვიებთან ერთად. შაჰარ-ად-დურის სურათი გვიან შუა საუკუნეებში შეუსრულებია ერთ არაბ მხატვარს წარმოსახვით. ამ საუკუნის 50-იან წლებშიც დაუხ. ტავთ მისი სურათი თანამედროვე მხატვრებს.

ქაიროში მე ვნახე შაჰარ-ად-დურის აკლდამა.

შაჰარ-ად-დური მარგალიტის ხეს ნიშნავს.

არაბი და უცხოელი ჟამთაღმწერლების ცნობების თანახმად შაჰარ-ად-დური იყო მე-13 საუკუნის შუა წლების ეგვიპტის მმართველის სალუქ ეიუბის ქვრივი.

კარლ მარქსი ამ ისტორიულ მოვლენას ასე აღწერს:

„სულთან თურან-შაჰის მკვლელებმა, — ჩერქეზებმა, სევერელებმა, თურქმენებმა, კუმანებმა და სხვებმა, შავი ზღვისპირეთის მონებად გაყიდულმა მცხოვრებლებმა, ძალაუფლება ნომინალურად გადასცეს შაჰარ-ად-დურს, მაგრამ ნამდვილი ხელმძღვანელობა — თავის წინამძღოლს აიბეკს (იხ. „კარლ მარქსისა და ვ. ენგელსის არქივი“, ტ. 5, გვ. 215, რუს. ენაზე, მოსკოვი, 1935 წ.).“

მაშასადამე, მამლუქებმა ტახტზე დასვეს, მართალია ნომინალურად, მაგრამ მაინც სულთანად მუსულმანური ცივილიზაციის ისტორიაში პირველი სულთანი ქალი ეგვიპტის მმართველი შაჰარ-ად-დური. ეს მოხდა 1250 წელს.

— ეს იყო უპრეცედენტო ისტორიული მოვლენა მთელი არაბული და მუსულმანური აღმოსავლეთისათვის. — სავსებით სავარაუდოდ აღნიშნავს აზერბაიჯანელი საბჭოთა მკვლევარი პროფ. ე. გ. არასლი.

როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო ქალის გასულთანება მუსულმანურ სამყაროში, სადაც ალაჰის საღვთო წიგნი — ყურანი და შარიათი — მუსულმანურ კანონთა საღვთო კოდექსი სასტიკად კრძალავდა ქალის ემანსიპაციას, არამც თუ იმ ბნელ მე-13 საუკუნეში, არამედ კრძალავს დღესაც და მიაჩნია, რომ ქალი

ჩადრიოთ და „ხიჯებით“ უნდა იყოს გამოყოფილი საზოგადოებრი-
დან?

მუსულმანთა საღვთო წიგნში „ყურანში“ ნათქვამია, რომ
„ქმრები მბრძანებლობენ ცოლებს, რადგანაც ალაჰმა მათ მიანი-
ჭა უპირატესობა მეორეთა წინაშე“. (იხ. მუხლი 38, მე-4 სუ-
რა). „ყურანის“ მე-4 სურას ეწოდება „ქალები“, სადაც მუსულ-
მანთა წმინდა წიგნი ქმრებს ცოლების ცემის უფლებას ანიჭებს.
(იხ. მუხლი 38 (34) მე-4 სურა).

ყურანი უფლებას აძლევს მუსულმან მამაკაცს შეირთოს ორი,
სამი, ოთხი ცოლი (იხ. მე-4 სურა, მე-3 მუხლი)!

იმავე „ყურანის“ ძალით არსებობდა ჰარამხანები და მონა-
მსევალ ქალთა ინსტიტუტი, სადაც ერთი მამაკაცი ასობით ქალს
მბრძანებლობდა და ფლობდა.

ყურანი აწესებდა მამაკაცთა ბატონობას ქალებზე.

და როგორ მოხდა, რომ ეგვიპტის მამაკაცთა და ჯართა მბრძა-
ნებელი გახდა ქალი მე-13 საუკუნის ეგვიპტეში, მაშინ როდესაც
ქალის ასპარეზად მხოლოდ ჰარამხანა იყო მიჩნეული!

მართალია ეს მბრძანებლობა იყო ხომინალური, დროებითი,
ეფემერული, მაგრამ მე-13 საუკუნის მუსულმანურ სამყაროში
ქალის ქვეყნის შაჰინშაჰად და სულთანად გამოცხადება მეხის გა-
ვარდნას უდრიდა და არ შეიძლებოდა მოსვლოდა თავში ასეთი იდეა
რჩულით კეშმარიტად მუსულმანს, რადგანაც ისლამის რელიგია და
ფალოსოფია გამორიცხავს ქალის ემანსიპაციას.

მაგრამ ფაქტი ჭიუტია. ასეთი ისტორიული აქტი მოხდა მე-13
საუკუნის ეგვიპტეში, რამაც შეძრა მთელი მუსულმანური სამ-
ყარო.

ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს ქალის ემანსიპაციის ფი-
ლოსოფიის თვალსაზრისით არა მარტო არაბულ და მუსულმანურ
სამყაროში, არამედ. თუ გნებავთ, მსოფლიო მასშტაბითაც.

როგორ მოხდა, რომ სწორედ მამლუქებმა მოახდინეს არაბეთ-
ში უპრეცედენტო ისტორიული აქტი — ტახტზე დასვეს პირვე-
ლი მეფე-ქალი ეგვიპტეში და მთელ უზარმაზარ მუსულმანურ
სამყაროში შაჰარ-ად-დური? ეს ხომ გაუგონარი ამბავი იყო!

როგორც დავინახეთ. მამლუქები ძირითადად ქარაველები
(მეგრელები) იყვნენ. და მსგავსი ისტორიული პრეცედენტი მათ
თავიანთ მამულში — საქართველოში ნახეს, სადაც თამარ მეფე
იჯდა ტახტზე 1178 წელს. ე. ი. 72 წლით ადრე, ვიდრე შაჰარ-ად-

1 „ყურანი“ — სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა. აკად. ი. კრაჩკოვსკის
თარგმანი, მოსკოვი, 1963 წ. (რუს. ენაზე).

დურს გააზეფებდნენ ეგვიპტეში. უფრო მეტიც, 1222 წელს თამარის ქალიშვილი, ლაშა-გიორგის და — რუსუდანი გამეფდა საქართველოში და მეფობდა, როგორც ცნობილია, 1245 წლამდე.

ისტორიული ტრადიცია მამლუქთა პირველ გატაცებას საქართველოდან მიაწერს ეგვიპტის სულთანის სალადინის (1171-1193 წ. წ.) პერიოდს. მას შემდეგ ქართველი და სხვა კავკასიური ტომის მამლუქები მე-19 საუკუნის დასაწყისამდე ეგვიპტის ფაქტიური ბატონ-პატრონები იყვნენ და ყოველწლიურად ივსებოდა მათი რიგები საქართველოდან გატაცებული ბიჭებითა და გოგონებით.

ცნობილი ისტორიკოსი და მოგზაური ვოლნეი თავის „მოგზაურობაში სირიასა და ეგვიპტეში“ წერს, რომ ეგვიპტის სულთანმა „ჩერქეზეთში, სამეგრელოსა და აფხაზეთში იყიდა 12.000 კაცი — ჩერქეზი, მეგრელი, აფხაზი და ამ მონებისაგან ეგვიპტეში მამლუქთა არმია შეადგინა“ (ტ. I, გვ. 94, პარიზი, 1787 წ. ფრანგულ ენაზე).

ამასვე ადასტურებს პ. ლარუსეს დიდი უნივერსალური ენციკლოპედია (ტ. 10, გვ. 1038, ფრანგულ ენაზე).

ინტერესს მოკლებული არ იქნება აქვე აღვნიშნოთ, რომ „იმ დროისათვის ყველა ამიერკავკასიელი მთიელი — ჩერქეზ-ოსები თუ დურძუკ-დუნები — საქართველოს მეფის ყმადნაფიცთა შორის იმყოფებოდნენ და პოლიტიკური გავლენის გარდა, ფეოდალური საქართველოს ძლიერ კულტურულ გავლენასაც განიცდიდნენ“ (ნ. ბერძენიშვილი, ე. დონდუა, მ. დუმბაძე, ი. კაჭარავა, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, „საქართველოს ისტორია“ სახელმძღვანელო, გვ. 104, თბ., „განათლება“, 1966 წ.).

მაშასადამე, არამც თუ ქართველი მამლუქების, არამედ იმ ჩერქეზებისათვისაც, რომლებიც მონაწილეობდნენ თურან-შაჰის მკვლელობაში და შაჯარ-ად-დურის გასულთანებაში, ნაცნობი იყო თამარ მეფის ისტორია, რადგანაც ისინი „საქართველოს მეფის ყმადნაფიცთა შორის იმყოფებოდნენ“.

შეიძლება საქართველოს ისტორიის ამ ფაქტმა გადააწყვეტინა მამლუქებს ქალი დაესვათ სამუსულმანოს ტახტზე. იმ სამუსულმანოსი, სადაც ქალი მხოლოდ პარამხანაში ფასობდა და არც თუ ისე ძვირად.

ალბათ, ეს მამლუქები გატაცებული არიან საქართველოდან, შესაძლოა, რუსუდანის მეფობის დროს, მონღოლთა პირველი შემოსევების პერიოდში.

ისინი ცოტნე დადიანის თანამედროვეები არიან.

ეგვიპტის ისტორიის ამ ფაქტში უთუოდ ჩანს ქართული ისტორიის ფაქტების ანარეკლი და გავლენა ეგვიპტეზე.

ქართველთა როლი ეგვიპტეში თურან-შაჰის მკვლელობაში და შაჰარ-ად-დურის გამეფებაში ჩანს რომ გადამწყვეტი იყო.

ეს იყო ეგვიპტეში საქართველოს შვილების მიერ ქართული ისტორიული ტრადიციის გამოვრება.

ჩვენი მოსაზრება კიდევ ერთ არგუმენტს მატებს ცნობილი მკვლევარის დ. ჯანელიძის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ტერმინი „მამლუქთა ჩერქეზული დინასტია“ არამც თუ არ გამოირიცხავს ამ დინასტიის მამლუქ სულთანთა ქართველობას, პირიქით, ძირითადად გულისხმობს მას.

ქართველი მამლუქები შაჰარ-ად-დურის გამეფების დროისათვის, საფიქრებელია, რომ უკვე იცნობდნენ შოთა რუსთველის გენიალურ „ვეფხისტყაოსანს“ და ვინ იცის, იქნებ შაჰარ-ად-დურის გამეფების წინ საიდუმლო თათბირებზე ზეპირადაც წარმოთქვამდნენ ქართველი გენიოსის ბრძნულ სტრიქონებს ყურანისა და შარიათის დოგმების საწინააღმდეგოდ:

„ლეკი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“.

ჯასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ქართველი მამლუქები თითქოს ხორცს ასხამდნენ ისტორიულად შოთა რუსთველის გენიალური პოემის სიუჟეტს. „ვეფხისტყაოსანში“ ხომ სწორედ არაბეთში ხდება ქალის აბრძანება სამეფო ტახტზე. („იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღვთისაგან სვიანი“).

ქართველმა მამლუქებმა სწორედ არაბეთში ააბრძანეს სულთანის ტახტზე ქალი, თითქოს შოთას გენიალურ წიგნში მოთხრობილი სიუჟეტის განხორციელება განუზრახავთო.

ასე, რომ უეჭველია თამარ მეფის ტახტზე ასვლის ფაქტმა და „ვეფხისტყაოსნის“ დიადმა იდეებმა შთააგონეს ქართველ და მათ მოკავშირე მამლუქებს შორეულ ეგვიპტეში გაემეორებინათ თითქმის უპრეცედენტო ისტორიული ფაქტი — მუსულმანურ ტახტზე დაესვათ ქალი, ყურანის დოგმატების საწინააღმდეგოდ.

ამ დიდ ისტორიულ მოვლენას უკვალოდ არ ჩაუვლია არც არაბულ მათიანურ მწერლობაში და არც ბელეტრისტიკაში.

ისტორიული რომანის ჟანრის ფუძემდებელმა ახალ არაბულ ლაჟერატურაში, გამოჩენილმა არაბმა მწერალმა ჯირჯი ზეიდანმა. რომელიც იმითაც არის ცნობილი, რომ შექმნა რომანები მამლუქთა ცხოვრებიდან — „მამლუქთა აღზევა“ და „ლტოლვილი მამლუქი“, 1913-1914 წლებში დაწერა რომანი „შაჰარ-ად-დურ“.

რომანში „შაჯარ-ად-დურ“ სიუჟეტად გამოყენებულია ეიუბიდების დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენლის თურან-შაჰის მკვლელობის, პირველი მუსულმანი მეფე-ქალის შაჯარ-ად-დურის ხელში ხელისუფლების გადასვლის ისტორია, — წერს პროფ. ე. არასლი. მაშასადამე, „შაჯარ-ად-დური“ არაბი მწერლის ჯირჯი ზეიდანის ფაქტიურად მესამე რომანია მამლუქების ცხოვრების თემებზე.

ეს ფაქტი იმითაც არის საინტერესო, რომ ქართველი მამლუქების მონაწილეობით მე-13 საუკუნეში მომხდარი ამბავი მეოცე საუკუნეში აფორიაქებდა დიდი არაბი მწერლის სულსა და გონებას.

კარგი იქნება, თუ ქართულ ენაზე ითარგმნება ჯირჯი ზეიდანის რომანები მამლუქებზე.

ქეშმარიტად ყავლგაუსვლელია ქართველ მამლუქთა გმირობა ეგვიპტეში.

1250-1517 წლებში, 267 წლის მანძილზე მამლუქების ორი დინასტიის 47 სულთანი მართავდა ეგვიპტეს. ხოლო მამლუქი ბეგების ძალა-უფლების არსებობა მეცამეტე საუკუნის შუაწლებიდან მე-19 საუკუნის დასაწყისამდე, მუჰამედ ალის მიერ მამლუქთა ვერაგულ განადგურებამდე, ისტორიული ფაქტია. ეს შესწავლილი აქვს ცნობილ ქართველ მკვლევარს დ. ჯანელიძეს მონოგრაფიაში „ქართველი მამლუქები ეგვიპტეში“. (იხ. დ. ჯანელიძე, ბ. სილაგაძე. „ქართველი მამლუქები ეგვიპტესა და ერაყში“, თბილისი, 1964 წ.).

ამ პერიოდის განმავლობაში მამლუქებმა ბევრი საგულისხმო ისტორიული აქტი მოახდინეს, მაგრამ მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ეგვიპტის ტახტზე პირველი მუსულმანი სულთანი ქალის შაჯარ-ად-დურის აყენას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ვთქვით, ქალის ემანსიპაციის საკითხებისათვის არა მარტო აღმოსავლურ ქვეყნებში, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც.

...ამ ფიქრებით ვტოვებდი ალ-აზჰარის მეჩეთს ქაიროში და გამოვდიოდი იმ კარით, რომლის წინ დააწყვეს მამლუქთა მოკვეთილი თავები მტრებმა... აქ მამლუქების თავის ქალების მთა აღმართეს.

მათ შორის ბევრი იყო მამლუქი ქალიც.

ალ-აზჰარის მეჩეთის ახლოს მარხია ნაპოლეონ ბონაპარტეს ეგვიპტური ექსპედიციის პერიოდის მამლუქთა ლეგენდარული ბელადის შინჯიკაშვილის მეუღლის ნეშტი.

მე დღემილთ პატივი ვეცი ამ მამლუქი ქალის საფლავს, სხვა მამლუქთა ხსოვნას და განვშორდი ალ-აზჰარის მეჩეთს, მაგრამ არ მშორდებოდა ფიქრი შაჯარ-ად-დურზე, მამლუქებზე: მიერ აღზე-

ვებულ პირველ მუსულმან სულთან ქალზე, თამარზე და „ვეფ-
ხისტყაოსანზე“...

მართლაც რომ საოცრება მოახდინეს ქართველმა მამლუქებმა
ეგვიპტეში იმ შორეულ მეცამეტე საუკუნეში, შვიდასი წლის
წინათ...

ქაირო-თბილისი.

საქართველოს მხრობზე არაბი პოეტი

„ტფილისი ქვეყნად ყველაფერზე მშვენიერია“.

ჰ ა ს უ ნ ი

სირიის ნაპირებთან ღუზა ჩაუშვა ჩვენმა ხომალდმა. არაბული
პეიზაჟები საოცრად მაგონებდა საქართველოს.

მეცნაურა ერთი ყოფითი დეტალიც: ნავსადგურ ლატაკიაში
მეწვრილმანეები მუშტრის მოსაზიდად თავიანთი ფარდულების წინ
ქამლების ჩხუბს აწყობენ.

— დღეს სირიაში მამლები ისევე ჩხუბობენ, როგორც ძველ
ტფილისში, — ვეუბნები არაბ ვაჭარს.

ტფილისში? საქართველოდან ხართ? — მეკითხებიან ცნო-
ბისმოყვარე არაბები...

— დიახ, საქართველოდან, ალბათ, იცით, დიდმა რუსთაველმა
უკვდავი სიმღერა თქვა არაბეთზე.

ბევრს, ეტყობა, არც გაეგონა რუსთაველის სახელი, მაგრამ მე-
ზღვაურები ახმაურდნენ.

— რუსთაველი? როგორ არ ვიცით... გემი „შოთა რუსთაველი“
ზოგჯერ შემოდის ჩვენს ნავსადგურში...

ერთი არაბი ჰაბუკი, რომელიც ლატაკიის უნივერსიტეტის პტუ-
დენტი აღმოჩნდა, მეუბნება:

— თბილისზე სირიელმა პოეტებმაც თქვეს ლექსები. მართა-
ლია, ისინი რუსთაველთან სად მივლენ, მაგრამ გულწრფელად უმ-
ღერეს საქართველოს.

— მაინც, ვის გულიახმობთ? — ვეკითხები.

— თუნდაც რიზკალაჰ ჰასუნს.

მერე არაბულად წაიკითხა ლექსი და განაგრძო:

— ამ ლექსში მან თბილისი სამოთხეს შეაღარა.

მართალი გითხრათ, ამ პოეტს არ ვიცნობდი, მაგრამ არაფერი
შევიძინე. ის კი განაგრძობდა.

— რიზკალაჰ ჰასუნი სტამბულში მოღვაწეობდა. ამ პეტრებმა

ღალატით, ციხეში ჩასვეს. გაქცეულა. ამბობენ, ერთ ღაზ მეზღვაურს ჩაუყვანია სტამბულიდან რომელიღაც ქართულ ნავსადგურში და მეორე სამშობლო იქ უპოვიაო.

სტამბულში გავიკითხე, მაგრამ რიზკალაპ ჰასუნს იქ არავის ახსოვდა. მხოლოდ ერთმა ბიბლიოგრაფმა მიმითითა სტამბულის უნივერსიტეტის წიგნთსაცავებში არსებულ მის მიერ გამოცემული არაბული გაზეთების კომპლექტებზე.

სირიიდან დაბრუნებისთანავე შევეუდექი რიზკალაპ ჰასუნზე მასალების მოკრებას.

მე-19 საუკუნის ცნობილი არაბი პუბლიცისტი და პოეტი რიზკალაპ ჰასუნს (1823-1880) პოლიგლოტი უოფილა: იცოდა არაბული, თურქული, სომხური, ფრანგული, იტალიური, ინგლისური, რუსული და სხვა ენები.

დაიბადა წარმოშობით სომეხი, მაგრამ გაარაბებული ვაჰრის ოჯახში, ქ. პალეპოში, სირიაში, 17 წლისა ჩამოვიდა სტამბულში, სადაც სირიელ არაბთა დიდი სათვისტომო არსებობდა. 25 წლისა აქვე დაქორწინდა. ეყოლა ვაჟი ალბერტი, რომელსაც ემიგრაციაში ბრწყინვალე ელეგები უძღვნა.

სტამბულში ჰასუნს რუსეთ-თურქეთის ომის დროს (1853-1856) უშვებს არაბულ საწყაროში პირველ კერძო გაზეთს „მირეთ ალ-აჰვალ“ („თანამედროვე ამბების სარკე“), რომელსაც დიდი რეზონანსი ჰქონდა.

რიზკალაპ ჰასუნს ფაქტიურად, არაბული ჟურნალიტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელია.

ოსმანთა იმპერიის დედაქალაქში ჰასუნს იმსხვერპლა შურმა. სტამბულის სხვა არაბული გაზეთის „ჯავაიბის“ („სიხალეთა ფოსტა“) რედაქტორმა მოუწყო ინტრიგები, როგორც კონკურენტს. სამნახურში — საბაჟოში დანაკლისი დააბრალებს, მაგრამ, ფაქტიურად, დააპატიმრეს პოლიტიკური შეხედულებების გამო, განსაკუთრებით ანტიმუსულმანური, მუჰამედის შეურაცხმყოფელი ტრაქტატის „ჰასრ ალ-ლისამ ან ალ-ისლამ“ („ისლამის გაშიშვლება“) დაწერისათვის.

სტამბულია ციხეში იჯდა და სიცოცხლის დარჩენილ დღეებს თითებზე ითვლიდა, მაგრამ რაღაც სასწაულით თურქეთიდან საქართველოში გაიქცა, მერე პეტერბურგს შეაფარა თავი, ბოლოს კი პარიზის გავლით ლონდონში აღმოჩნდა.

გამოჩენილი რუსი ორიენტალისტი, არაბული ლიტერატურის ცნობილი სპეციალისტი აკად. ა. კრიმსკი წერს: „როგორც ჰასუნის ლირიკული ლექსებიდან ირკვევა, ის პირველად კავკასიაში მოხვდა. ზღვისპირა ქართულ ნავსადგურ ფოთში, რიონის შესართავთან. ფო-

თიდან კავკასიის დედაქალაქ ტფილისამდე ჯერ კიდევ აზიურ რეინი-გზა. (ის გაიხსნა 1871-1873 წ. წ.) და ჰასუნმა თავისი გზა ტფილისამდე ძველებურად განვლო, რიონის აღმა აყოლებით, იქიდან კი მტკვრის ხეობით“.

თურქეთის ტყვეობიდან გამოქცეული ახალ „ტყვეობაში“ მოხედა — ამჯერად საქართველოს ბუნებამ და ხალხმა დაატყვევა დევნილი მგოსანი.

„კავკასიის დიდებულმა სილამაზემ ის მოაჯადოვა, — წერს აკად. კრიმსკი, — მან ლექსად გაიხსენა, რომ ეს შესანიშნავი მხარე, კავკასია, მიწა ქართველთა და სომეხთა, არის მისი სამშობლო, მაჰული მისი წინაპრებისა. რიზკალა ჰასუნი პოეტური ალტაცებივ ამბობს, რომ კავკასიის სანახებს ვერ შეედრება სირიის უმშვენიერესი და აყვავებული სანახები, მათ შორის თვით დამასკო თავისი მდინარე ბარადით (დამასკოზე აღმოსავლეთში იტყვიან „ჩანათ მაშამ“ — „საპოთხის სურნელებით სუნთქავსო“).“

ტფილისი ჰასუნის ლექსებში ყველაფერზე უმშვენიერესია კახური ღვინო უბადლოა (თუმცა, როგორც ვიცით, მოყვარულნი ღვინოა „ოქროს ღვინოს“ მსოფლიოში საუკეთესოდ აღიარებენ)“.

ასეთია აკად. ი. კრიმსკის კომენტარები რიზკალაჰ ჰასუნის კავკასიურ ლირიკაზე.

ჰასუნის შემოქმედებას ბევრი მკვლევარი ჰყავს.

ი. კრიმსკის აზრით, აკად. კრაჩკოვსკის სტატია ჰასუნზე ერთ-ერთი საუკეთესოა, უფრო შინაარსიანია, ვიდრე შეიქოს (1910 წ.), თარაზის (1913), ზეიდანის (1914) და სხვ. გამოკვლევები.

აკად. კრაჩკოვსკის აღნიშნული სტატია, ისევე, როგორც ბევრი მისი სხვა რჩეული ნაწარმოები, გამოცემულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს გიორგი წერეთლის რედაქციით.

„პეტერბურგში ჩასვლამდე ჰასუნის გარკვეული კვალის დადგენას ვერ ვახერხებთო“ — ჩივის აკად. ა. ე. კრიმსკი.

რომელ წელს ჩამოვიდა ჰასუნი საქართველოში?

„ისლამის გაშვებამ“ დაუწერია 1859 წელს. მთქმ. მწერალს და ჟურნალისტს შიდიაკს 2 წლის შემდეგ უჩივლია მესტვის და 1862 წლის ლონდონის მსოფლიო გამოფენიდან სტამბულში დაბრუნებისთანავე ჰასუნი დააპატიმრეს.

ცნობილია, რომ ჰასუნი 1867 წელს ტოვებს რუსეთს იქ ოთხი წლის ცხოვრების შემდეგ.

გამოდის, რომ 1863 წელს ჩამოსულა ფოთსა და ტფილისში.

რომელი გზით ჩამოვიდა ჰასუნი საქართველოში?

აკად. ე. კრიმსკი ამბობს:

„ვფიქრობ, მცირე აზიის შავიზღვისპირეთით“.

ქართულ ენაზე ლიტერატურას ან წყაროებს ჰასუნზე, სამწუხაროდ, ვერ მივაკვლიეთ. ჩანს, არც მისი ნაწარმოებებია თარგმნილი ქართულად.

ჰასუნი თბილისიდან მოსკოვზე გავლით მიემგზავრება პეტერბურგს. იქ რჩება თითქმის ოთხ წელიწადს, თარგმნის კრილოვს, შემდეგ მიდის საფრანგეთს და ბოლოს სახლდება ლონდონის შემოგარენში.

ლონდონში დააარსა სტამბა და დაიწყო წიგნების და გაზეთების გამოცემა.

ლონდონში არაბულ ენაზე გამოცემულ კრებულ „ნაფასატში“ რ. ჰასუნი (71-73 გვ.) კვლავ ბეჭდავს ლექსებს საქართველოსა და კავკასიაზე.

1868 წლიდან რ. ჰასუნი ლონდონში თითქმის 12 წელიწადს სცემდა დამოუკიდებელ გაზეთს. იგი ჩრდილოეთის ორიენტაციის არაბი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე იყო, ლონდონიდან მოუხმობდა არაბეთს თურქეთის სულთანის მონობის უღლის დასამხობად და რუხეთს უყურებდა იმედის თვალით.

მისი უკანასკნელი გაზეთი, რომელშიც მხოლოდ ლექსები იბეჭდებოდა, გაპოდიოდა ლონდონში, იწოდებოდა „აღმოსავლეთის საკითხად“. აღმოსავლეთის საკითხი დღესაც მწვავედ დგას, მაგრამ ისტორია იმ გზით ვითარდება, საითაც მე-19 საუკუნეში არაბ მწერალს და საზოგადო მოღვაწეს ეჭირა თვალი.

რ. ჰასუნის უეცარ გარდაცვალებას ლონდონში 1880 წელს მიაწერენ თურქეთის სულთანს. როგორც საშიში მტერი, იგი ოტომანთა იმპერიის ბნელმა ძალებმა მოიშორეს.

ასე დასრულდა საქართველოს მეხოტბე არაბი პოეტის ცხოვრება შორეულ ემიგრაციაში. მაგრამ მისი საქმეები და პოეზია დღესაც ცოცხლობს. ამაში დამარწმუნა არაბული აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობამ.

რ. ჰასუნი ახსოვს არაბეთს და ქედს იხრის მისი მამულიშვილური ღვაწლის წინაშე.

და დღეს ამ სტატიას იმიტომ ვწერთ, რომ ვთქვათ: რიზკალაჰ ჰასუნი ახსოვს საქართველოსაც, სადაც ჭეშმარიტი პოეზია მუდამ ფასდებოდა.

რიზკალაჰ ჰასუნის თბილისური მონოლოგი

დამასკოს აქებს, ვით სამოთხეს, ყურანის სურა¹,
აღმოსავლეთის პოეტებიც მას უმღერიან.

¹ ყურანის სურა — ერთი თავი მუსულმანთა წმიდა წიგნში.

კოი, აშუღნო, ალაპის წიგნს ნუ იღებთ ყურად,
— „ტფილისი ქვეყნად ყველაფერზე შშვეხიერია.“
არ დაიჭერათ, თითქოს იყოს სხვა საოცნებო
მიწა რამ ქვეყნად — მეჩეთებში რომ გაჰყვირიან.
პირველა ხილვით საქართველო, დიდო მგოსნებო,
ემშობლიურა ჩემს სულს უფრო, ვიდრე სირია.

ბეკრი არაბი შუბოსანი და დახლიდარი,
და მექარავენე აქ უნახავთ... ჟამი კრელია.

მე გული მომაქვს სულთანების განძზე მდიდარი
და ჩემი ლექსი, — ის არაბულ ხმალზე მკრელია.
იმ ლექსით შვილის ერთგულება ტფილისის შეფფიცე,
და ქართველ გლებთან ბედუინის მომაქვს სალაში.
და ძმობის ფიცი, თვით დამასკურ ფოლადზე მტკიცე,
და შუბთა ნაცვლად არაბული მომყვა კალაში.

აღმოსავლეთში თუ კი ვინმეს ერქვა მგოსანი,
მეც ვიყავ ერთი, ვისაც ერქვა ნათელმზილველი.
დღეს კი დევნილი, ვით უტახტო გვირგვინოსანი,
აბოს საფლავზე ძუხლს მოვიყრი ჰასუნ ტფილელი.

შაე არაბული ბედაურით მე მზისკენ მივქრი,
შუბთამლეწავი ჭაქვოსანი გმირის მკერდი ვარ.
ეს ჩემი გული საუსე არის გრძნობით და ფიქრით, —
როგორც ეს თასი, — გთხოვთ დაცალოთ! — ალავერდი ვარ!

ჩემი გზებია უსასრულო, ამ გზებს რა გალევს?!
ამ ქართულ გზებზე ქეშმარიტი სხვა სადღა არის?!
ლექსის აქლემით უდაბნოში ვტოვებ ნაკვალევს, —
მე მექარავენე დიდი აბულ-ალა-მარის.

ლატაკია (სირია)-სტამბული-თბილისი.
1972 წლის აპრილ-ივლისი.

ანთარის საიღუმლო

შინაურ ცხოველთა მფარველი ღვთაება კოლხურ მითოსში.
არაბი პოეტი.

ბედუინური რომანის გმირი

ეს მოხდა ქაიროში.

სალამოხანს ნილ-სტრიტს მივყვებოდით. საპარიდან ცხელი ქა-
ციები ქროდა და სუნთქვა ჭირდა.

ერთ კაფეში შევედით, გამაგრილებელი სასმელებით და შავი
არაბული ყავით გაგვიმასპინძლდნენ.

კაფეს ერთ კუთხეში იჯდა დროული არაბი, ემოციურად კითხუ-
ლობდა რაღაცას და უიგადაშიგ მღეროდა ლექსებს.

კაფეში მყოფი ბაზოგადოება ნარგილეს ეწეოდა, ფორთოხლის
წვენს სვამდა და ხმას აყოლებდა დეკლამატორს.

ეს ხალხური ლიტერატურული კაფე-ფუნდუკი აღმოჩნდა. იქ

კითხულობდა ერთი არაბი რომანს ბედუინ მწყემსთა გმირის დეკაკანთარის შესახებ.

ეს ლიტერატურული ტრადიცია ჰყვარდა შუა საუკუნეების არაბულ ქალაქებში. დღეს მთელ არაბეთში ასეთ სამ ფუნდუსს თუ იპოვიო.

ქაფში ხალხური რომანის დეკლამირების ძველი ხელოვნება კვდება. მაგრამ სანამ ჰყვარდა ეს ხელოვნება, ხალხური რომანი მწყემსთა გმირ ანთარზე პირველი იყო თურმე ყველა სხვა რომანებს შორის.

ვისაც არაბული ლიტერატურის ისტორიისთვის თვალი გადაუვლია. უთუოდ დაამახსოვრდებოდა ბედუინთა ხალხური სარაინლო რომანი „ანთარი“, რომლის მოკლე ბეირუთული გამოცემაც კი 10 ტომს ითვლის. არის უფრო ვრცელი რედაქციებიც.

არაბული ლიტერატურის ისტორია იცნობს ისლამამდელი არაბეთის მომთაბარე ტომთაგან გამოსულ პოეტს, სახელად ანთარს რომელიც, როგორც მკვლევარები ფიქრობენ, მუჰამედის მოსვლამდე დაიღუპა თითქოს 610 წელს, ე. ი. ჯერ კიდევ წარმართულ ხანაში.

პოეტი ანთარი არის სატრფიალო და სარაინლო პოეტური ქმნილებების ავტორი. მათ შორის აღსანიშნავია მისი ლექსი, მიძღვნილი სატრფოს — აბლეს მიმართ, სადაც ის თავის საგმირო საქმეებს ჩამოთვლის.

ხალხურ რომანშიც ანთარის სატრფოს აბლე ჰქვია.

მემატთანე ამბობს, რომ ანთარის ლექსებს კითხულობდნენ ბრძოლის წინ, ჯარის გასამხნეებლად.

ამრიგად, არაბული მწერლობის ისტორია იცნობს ანთარს პოეტს (VI-VII საუკუნე ჩვ. წ. აღრიცხვით) და ანთარს—პერსონაჟს მწყემსურ-ბედუინური სახალხო რომანისა.

არის მესამე ანთარიც, კოლხური მითოსის გმირი, ღვთაება.

როგორც ცნობილია, კოლხურ წარმართულ პანთეონში „ეინი (ზენა) ანთარი“ შინაური ცხოველების მფარველ ღვთაებას ეწოდება, როგორც ეს გაარკვევს დიდმა მეცნიერმა ი. ჯავახიშვილმა, უფრო გვიან კი ს. მაკალათიამ, ა. ცანავამ და სხვა მკვლევარებმა.

„ეინი ანთარი“ „ზენა ანთარს“ ნიშნავს.

საინტერესოა, რომ არაბი პოეტის სახელი ანთარი და კოლხური ღვთაების სახელი „ეინი ანთარი“ ორივე წარმართულ ხანას ეკუთვნის. საქართველოში — ქრისტიანობამდელ დროს, არაბულში — ისლამამდელ პერიოდს.

რატომ ეწოდება კოლხური წარმართული პანთეონის ღმერთს

„ჟინი“? ხომ არ გულისხმობს ის „ჟინი (ზენა) ანთარის“ გამიჭნვას სხვა მიწიერი ანთარისაგან, გარდა იმისა, რომ ის მის „ციურ ღვთაებრიობას“ უსვამს ხაზს, სხვა ანთართა შორის მის უპირველეს მდგომარეობას გამოხატავს?!

საკითხის ასე დაყენება შესაძლებელია! და თუ ეს ასეა, მაშინ რა კავშირი არსებობს არაბულ ანთარსა და ქართულ (კოლხურ) „ჟინი ანთარს“ შორის? ეს ხომ არ ამტკიცებს მათ იდენტურობას?

არა, არ ამტკიცებს. რადგანაც ერთ შემთხვევაში ადამიანთან გვაქვს საქმე, მეორე შემთხვევაში კი — ღმერთთან!

მაგრამ ორივე ცნება აღინიშნება ერთი და იმავე სიტყვით — ანთარი.

ეს იქნებ იმას ამტკიცებს, რომ ქართული (კოლხური) ჟინი ანთარი არაბულისგან არის ნასესხები?

არც ამას ამტკიცებს, რადგანაც არაბული ანთარი ან კონკრეტული პირია, ან რომანის პერსონაჟი, ერთი და მეორეც ქრონოლოგიით კოლხურ „ჟინი ანთარზე“ გვიან პერიოდში უნდა მოვათავსოთ, ალბათ, რადგანაც წარმართობა წინ უსწრებს. როგორც ისლამამდელი არაბი პოეტის ანთარის, ასევე სახალხო რომანის „ანთარის“ შექმნის დროს.

მაშ, იქნებ კოლხური „ჟინი ანთარი“ არის ფუძე არაბი ანთარისა?

ამის დასამტკიცებელი საბუთიც არ მოგვეპოვება.

აქ შეიძლება საკითხი ასე დაისვას: კოლხური „ჟინი ანთარი“ და არაბული „ანთარი“ შესაძლოა მესამე საერთო ფუძიდან, საერთო მცნებიდან შემოვიდა რომელიმე აღმოსავლური მკვდარი ენისა და კულტურის გავლენით ორივე ენაში.

ზაინც უცნაური კია. რომ ქართულში (კოლხურში) ჟინი ანთარი გვაქვს, ხოლო არაბულში — მიწიერი გმირი რაინდი, მაგრამ ორივეს ანთარი ჰქვია. კოლხი ანთარი — ცაში დადის, არაბი ანთარი — მიწაზე.

ასეა თუ ისე, მეტად საინტერესო საკითხია.

აქ უბრალო დამთხვევასთან არ უნდა გვქონდეს საქმე.

ანთარი კოლხური მეჯოგეობის ღმერთია და არაბი მეჯოგეების გმირი. ორივე მწყემსური ცივილიზაციის ნაყოფია.

კოლხ მეჯოგეთა ღმერთის სახელი ჰქვია არაბ მომთაბარე მეჯოგეთა მიერ გაღმერთებულ გმირს.

თითქოს გამოჩნდება შეხების წერტილები და ისევ ქრება.

იქნებ ტყვედ გაყიდულმა ჩვენმა წინაპრებმა წაიღეს ეს სიტყვა არაბეთში?.

ყურადღებით დავაკვირდეთ რომანს ანთარის შესახებ.

ანთარი წმინდა არაბი არ არის. ის მეტიხია, მონა ქალის შვილი! ვინაა ეს მონა ქალი? იქნებ კოლხი ასულია? მაგრამ ქალი რატომაა შავკანიანი, თუ ის კოლხია. იქნებ რომანის პირველ რედაქციაში ასე არ იყო? ლიტერატურულ ტრადიციას, მით უმეტეს ზეპირსიტყვიერებას განა ასეთი დეტალები შეუტყვლია? აქ მთავარია რომ მას უცხოოდ თვლიან არაბთა შორის!

იქნებ წარმართმა კოლხმა დედამ მისცა ეს სახელი — ანთარი აქ მხოლოდ ვარაუდი შეიძლება.

მაგრამ იმავე დროს არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ანთარი მომთაბარე არაბი ბედუინების სულიერი კულტურის ნაყოფია და ეს ტომები ახლო და შუა აღმოსავლეთის მკვიდრნი არიან, ე. ი. იმ გეოგრაფიული არეალისა, საიდანაც შემოვიდა საქართველოში ბევრი წარმართული ღმერთის სახელი.

ეგვიპტეში, ქაიროსა და ალექსანდრიის, ხოლო სირიაში ლატაკიის უნივერსიტეტებში ვესაუბრე არაბისტებს ანთარის ეტიმოლოგიის თაობაზე.

სამწუხაროდ, უშედეგოდ. მაგალითად, სირიელმა პროფ. აღნან ო. ზუეკეიკმა ლატაკიის უნივერსიტეტის არაბისტის კაბინეტში მითხრა. რომ სახალხო რომანის ანთარის შესწავლის სფეროში, თუმცა ეს კურიოზია, უცხოელ მეცნიერებს მეტი აქვთ გაკეთებული, ვიდრე არაბებსო. ანთარის ეტიმოლოგიაზე ვერაფერს მოგახსენებთ. მაგრამ თქვენი აზრი კოლხური ანთარის კულტისა და არაბული რომანის სახალხო გმირის შესახებ ჩემთვის მოულოდნელია, ახალი და სასიამოვნო და უდავოდ იწვევს მეცნიერულ ინტერესს. თუ ოდესმე გაეშიფრე ამ სიტყვის ეტიმოლოგია, დიდ პატივად ჩავთვლი გაცნობით ამის შესახებ საბჭოთა კავშირში, პირადად თქვენო.

როგორც ეტყობა, ბატონმა ზუეკეიკმა ეს ამბავი სხვა არაბ პროფესორებსა და მეცნიერ-მუშაკებს გაუზიარა და მათ შორის დიდი ინტერესი გამოუწვევია კოლხური ჟინი ანთარის არსებობას. ლატაკიაში სპეციალურად გვეძებდნენ უნივერსიტეტის არაბისტები, რომ თავიანთი სამსახური შეეთავაზებინათ. ერთმა მშვენიერმა არაბმა გოგონამ, ასპირანტმა, სახელად ადიამ, ლატაკიის ერთ-ერთი კინოთეატრის შენობასთან მოგვავნო და სხვა არაბ სტუდენტებთან ერთად გამოგვკითხა კოლხი ანთარის შესახებ. მერე არაბულ და უცხოურ ენებზე ანთარის შესახებ არსებული უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებთა ბიბლიოგრაფია გადმოგვცა: იქნებ ნათელი მოჰფინოათ თქვენს კითხვას.

რომანს ანთარის შესახებ ცივილაზებული მსოფლიო იცნობს

გამოჩენილი ფრანგი პოეტი ლამარტინი აღფრთოვანებული იყო თურმე ამ რომანით. ის წერდა:

„ანთარი ეპიკურია, როგორც ჰომეროსი... სავსეა სიყვარულით, როგორც თეოკრიტე, ბრძენი, როგორც სოლომონი“.

ლამარტინი შენიშნავდა, რომ ეს არის „ბედუინის სახარება“, „ანთარი, ანუ მწყემსური ცივილიზაცია“.

იპოლიტ ტენი ჰიპერბოლიზაციის მასშტაბით ანთარს აყენებდა ზიგფრიდის, როლანდის, სიდის, როსტომის, ოდისევსის, აქილევის გვერდით.

„ანთარი“ პიესად დაიდგა პარიზში.

ანთარმა გარკვეული გამოძახილი პოვა მთელს ევროპაში: გერმანიაში, ინგლისში. რუსეთში ცნობილია ო. სენკოვსკის ნაწარმოები „ანთარი“ (1833 წ.), რომლის მიხედვით გამოჩენილმა რუსმა კომპოზიტორმა რიმსკი-კორსაკოვმა შექმნა შესანიშნავი სიმფონია „ანთარის“ თემებზე. ანთარს გოეთეც ახსენებს „ფაუსტში“.

ბევრ სხვა ცნობასაც მივაკვლიეთ, მაგრამ არაბული ანთარისა და კოლხური ჟინი ანთარის საიდუმლო ჭერჭერობით მაინც ამოუხსნელი რჩება, მაგრამ მათ შორის შინაგანი კავშირის არსებობა საეჭვო არ უნდა იყოს.

ყველაზე იოლია ამ დამთხვევის შემთხვევითობად გამოცხადება. მაგრამ წინასწარი ანალიზის შემდეგ საკითხავია, რა უფრო იოლი დასამტკიცებელია: ამ დამთხვევათა შემთხვევითობა თუ კანონზომიერება?!

ქართულ მეჯოგეთა წარმართული ღმერთის ანთარის და არაბ წარმართ მეჯოგეთა გმირის ანთარის ამბავი საინტერესო საიდუმლოს იწახავს.

სირია-საქართველო.

თურქეთი. ალი ბაბას ბაზარი-72

აია-სოფლის ტაძართან

სტამბულში ჩასულ კაცს ბევრი რამ აოცებს: ის ერთდროულად აბიჯებს ფეხს ბიზანტიონის ქრისტიანულ და თურქეთის მუსულმანურ მიწაზე. ბოსფორის ცისფერ ნაპირებზე ცალი ფეხით მიაბიჯებ კონსტანტინეპოლში, მეორეთი — სტამბულში. აქ შეიძლება ერთი ნაბიჯი გადადგა და შეოცე საუკუნიდან მეთხუთმეტეში აღმოჩნდები...—

აულს აფორიაქებს თათბეკდილებათა ეს უცნაური მეტამორფოზები...

თუ ძველი ბიზანტიური სული სულს ღაფავს აქა-იქ უღაბნოში ოაზისებოვით შემორჩენილ ქრისტიანულ ტაძრების საოცარ ფრესკებსა და მოზაიკებში, წმინდა თურქული სული პირველ ყოვლისა ყველაზე ცოცხლად და რელიეფურად მოგზაურისათვის სტამბულის აღმოსავლურ ბაზარზე ხდება საცნაური.

ამ ორი კულტურის ჰიბრიდია აია-სოფია. ეს ტაძარ-მეჩეთი უკანასკნელი ხუთასი წლის მანძილზე ბიზანტიონ-თურქეთის ტერიტორიაზე მომხდარი უმძაფრესი სოციალური კატასტროფებია და კატაკლიზმების ფილოსოფიურ-პოეტური სიმბოლოა: ბიზანტიურ ფუძეზე დაშენებული თურქული მეჩეთი... საოცარი და ფანტასტიკური სანახაობა.

ქრისტეს მხრებზე შემდგარი ალაჰის ღვთის სახლი!—ორი სხვადასხვა კულტურის თავიებური კენტავრი...

პერგამენტი, რომელსაც აფხიკეს საღვთო წერილი და ყურანის ლოცვები წააწერეს.

ასე მგონია, აია-სოფიაზე უფრო სრულყოფილად ვერც ერთ რომანი, ვერც ერთი ტრაქტატი, ვერც ერთი მხატვრული ტილო ვერ გამოხატავს ისტორიის ჩარხის წაღმა თუ უკულმა ტრიალს უკანასკნელი ხუთი საუკუნის მანძილზე მარმარილოს, ეგეოსის, ხმელთაშუა და შავი ზღვის ნაპირებზე, ისტორიულ ბიზანტიონსა და თანამედროვე თურქეთში.

ოძროს რძა

ეს ყურე, ალბათ უმშვენიერესია ყურეთა შორის.

ოქროს რქა სტამბულის ნამდვილი მარგალიტია.

— რატომ ჰქვია ამ ყურეს ოქროს რქა? — ვეკითხები ხუმრობის მოყვარულ თურქებს ალი ბაბას ბაზარზე.

— ეფენდი, იმ ყურეს თავზეა წამოაკლებული თოფ-ქაფა — თურქეთის სულთანთა სასახლე. თოფ-ქაფაში იყო ჰარამხანა, სადაც 300-დან 500-მდე მლოფლიოს უმშვენიერესი ქალი ცხოვრობდა. სულთანი ერთი იყო, ისინი კი ბევრზე ბევრი! აბა როდის მოუწევდათ საბრალო ხათუნებს სულთანის ალერსი?! ისინი ჯერ მოიწყენდნენ, მერე, ეშმაკმა უწყის რანაირად, მაგრამ მაინც ახერხებდნენ (ქალი ხომ ეშმაკის შექმნილია), — ჰოი, ალლაჰი — სულთანისთვის რქის დადგმას; ხოლო სულთანს უბრალო რქა არ ეკადრებოდა. ამიტომ ოქროს რქას ადგამდნენ. აი სწორედ ამიტომ ჰქვია ამ ყურეს ოქროს რქა. — დაასრულა თავისი მოთხრობა ყუთლუ-ალამ და დაქანგული კბილები გამოაჩინა.

— იმასაც ამბობენ სულთანებს ყველაზე მეტი რქები ქართველ-
მა ხათუნებმა დაადგესო, — უმატებს ყუთლუ-აღა და ჰგონია მასია-
მოვნა, მარილიანი სიტყვა მითხრა, მე კი ვიგრძენი მარილის დაყრა
ღია კრილობაზე.

— არა, ყუთლუ-ეფენდი, — თქვენი ლეგენდა სწორი არ არის, —
თქვა ერთმა თურქმა ჰაბუკმა პასუხად, — პაპაჩემი ლაზისტანიდან
იყო. მე მისგან გამიგონია: ეს ის რქაა, რომელიც სისხლისმსმელ
სულთანებს მოსტეხესო მტრებმა...

თუმცა რანაირიც არ უნდა იყოს ლეგენდა, ოქროს რქის ყურე
ამქვეყნიური პოეზიით სუნთქავს და თვალს აჯადოებს. ალბათ ამი-
ტომაც მთელი მსოფლიოდან იყრის აქ თავს საქორწინო მოგზაურო-
ბის დროს ახალდაქორწინებულთა სენტემენტალური წყვილები.

— მერე და ოქროს რქა საშიში არ არის? —

ვეკითხები ყუთლუ-აღას.

— ალლაჰ, რომ საშიშია და ბევრს დღესაც ადგამენ აქ რქაჲ, —
კვლავ ლოჯებს აჩენს ყუთლუ-აღა და მერე აღმოსავლური გამყვივა-
ნი ხმით უხმობს მუშტარს ალი-ბაბას ბაზარზე.

სულთანთა სასაფლაო

სტამბულში სულთანთა სასაფლაოზე ძეგლებად ჩანს მარმარი-
ლო სვეტების თავზე გამოქანდაკებული შუასაუკუნეობრივი თურ-
ქული ქუდები. საზარელი სანახავია სულთანთა და დიდვაზირთა ქუ-
დების ეს მეჩხერი ტყე.

რატომღაც უსიამოვნოდ გამბურძგნა ტანში და ვიკითხე:

— კი, მაგრამ, რაღა ქუდები დაუდგეს ძეგლებად, თავები რა
იქნა-მეთქი.

— შე კაცო, — მომიგო ერთმა ლაზმა, — თავები ცოცხალ
სულთანებს არ ჰქონდათ, მკვდრები მით უფრო საიდან მოიტან-
დნენ?!

ხოჯა ნასრედინი და ნოდარ ღუმბაძე ალი-ბაბას ბაზარში

სტამბულის ყავახანაში მოვისმინე ლაზური ლეგენდა იმაზე, თუ
როგორ შეაჯიბრეს თურქებმა ერთმანეთს ხოჯა ნასრედინი და ნო-
დარ ღუმბაძე.

ეს ამბავი ამ რამოდენიმე წლის წინათ, მემღეჭეთელი მწერლე-
ბის თურქეთში ჩასვლის შემდეგ მომხდარა.

როგორც კი სტამბულის ბაზარზე გამოჩნდა ნოდარ ღუმბაძის
რომანები თურქულ და არაბულ ენებზე, ყველას უთქვამს: ეს გურ-
ჯი ნასრედინიაო. მერე დავჯი ამტყდარა, ვინ უფრო საპაცილო ამ-

ბებს ჰყვება, ნასრედინი თუ ღუმბაძეო. ზოგს ერთი უთქვამს, ზოგს მეორე. სეირის მოყვარულ თურქებს გადაუწყვეტიათ, მოდი, ერთმანეთს შევაჯიბროთ ჩვენი ხოჯა ნასრედინი და გურჯი ნოდარ-ალა ღუმბა-ოლლი ღუმბაძეო. აი სად იქნება სიცილიან მგჯლისიო.

ხოჯა ნასრედინთან მოციქულები გაუგზავნიათ, გვიშველე ხოჯა. გურჯმა არ დაგვჯაბნოსო. ნასრედინს შემოუთვლია ყაბულს ვარ. მაგრამ ერთი პირობით, სანამ შევეჯიბრებოდე, ნოდარ-ალას წიგნები წამიკითხეთო, მინდა მისი სიტყვის მარილის გემო გავიგოო.

კეთილი და პატიოსანიო, უთქვამთ თურქებს, ვირით მოუყვანიათ აია-სოფიაში ხოჯა ნასრედინი, დამჯდარან მოლები და რიგრიგობით დაუწყიათ ნოდარ-ალას წიგნების კითხვა.

ისე მოსწონებიათ, ყურანიც კი დავიწყებიათ. ხოჯა ნასრედინს პირი დაუღია, პირველ დღეს უცინია, მეორე დღეს მუცელი ხელით სკერია, მესამე დღეს, — ჰოი ალაჰ?! — სიცილით გაგუღულა და მომკვდარა...

მერე ახვა მოლებიც დამწყდარან სიცილით.

ამის შემდეგ მთლად უცნაური ამბავი მომხდარა:

დაერია თურმე თურქებს სიცილი კირივით და ბევრს სული ალლაჰისთვის მიუბარებია.

ერთი თურქი ისტორიკოსი თურმე იმასაც ამბობს:

— ჩვენი ბედი, რომ ნოდარ-ალა თურქეთ-საქართველოს ომების დროს არ იყო დაბადებული, თორემ ქართველებს ხმლის მოქნევაც არ დასჭირდებოდათო.

ასე „აუღია“ თურმე სიცილით მთელი სტამბული ნოდარ ღუმბაძეს, „სიცილის ფაშას“.

ხილი

ლურჯი ბონფორის თავზე აზიურ და ევროპულ სტამბულს შორის შენდება გიგანტური ხილი. ის აერთებს ორ მატერიკს, ორ სამყაროს.

— ეს კარგია. თურქები აქამდე აზიასა და ევროპას შორის ხიდების დაწვისა და ჩატეხის ოსტატები ვიყავით. ახლა რადგან ხიდების აშენება დავიწყეთ, ეტყობა ახალი დრო დადგა თურქეთში და ეს მეტად ყურადსაღები მოვლენაა, — თქვა ერთმა განათლებულმა თურქმა.

— ეს ხილი კარგია. მაგრამ თურქეთში ახვა დიდი ხილია ჩატეხილი: — თქვა მეორემ.

— რომელ ხიდს გულისხმობთ ეფენდი?

იმას, მთავრობას და ახალგაზრდობას რომ აერთებდა ერთ დროს.

პოლიციელთა უნივერსიტეტი?

ოქროთი მოვარაყებულ სტამბულის უნივერსიტეტში შესასვლელი ტრიუმფალური თაღის იქით რომ შეიხედოთ, იფიქრებთ: თურქეთის პოლიციას უცოდინარობის ლიკვიდაცია განუზრახავს და ყველა მათგანი უნივერსიტეტში შესულაო, მაგრამ ეს მხოლოდ პირველი შთაბეჭდილებაა.

— პოლიცია უნივერსიტეტში შედის, მაგრამ უბედურება ისაა, რომ აქედან არაფერი გამოდის, რადგან პოლიციას კალამზე უფრო ხელჯობი ემარჯვება.

დამოკლეს მახვილივით ჰკიღია სტუდენტთა თავზე პოლიციელის ხელჯობი.

ერთი სტუდენტი ჩიოდა:

— უბედურება ის არის, ეფენდი, რომ თუმცა პოლიციელებიც და სტუდენტებიც თურქულად ლაპარაკობენ, ერთმანეთისა მაინც არ ესმით. სტუდენტებს ვერ უთარგმნიათ წიგნის ენა ხელჯობის ენაზე, ხოლო პოლიციელებს — ხელჯობის ენა წიგნის ენაზე.

ერთმა თურქმა სტუდენტმა თქვა:

— ეფენდი, ჩვენი გაფიცვები და დემონსტრაციები იმ მხრივაც არის დადებითი, რომ პოლიციელებს ვაიძულეთ უნივერსიტეტში იაროს...

რა კარგი იქნებოდა, ეფენდი, ყველა თურქი პოლიციელი სტუდენტად რომ იქცეოდა, მაშინ სტუდენტები და პოლიციელები სხვადასხვა ენაზე არ ვილაპარაკებდით.

სტუდენტები მოითხოვენ უნივერსიტეტის ავტონომიას, „ნონ-გრატა“ პროფესორების გაძევებას, სწავლების პირობების გაუმჯობესებას.

მთავრობა იძულებულია სტუდენტების დასაშოშმინებლად განოიყენოს სამოქალაქო და სამხედრო პოლიცია.

თურქული ლირაჰი

სტამბულის აღმოსავლურ ბაზარში ვკითხე ერთ თურქს:

— რატომ ჰგავს თურქული ფულის სახელი ცნობილ ინსტრუმენტს „ლირას“ — ჩანგა?

— იმიტომ ეფენდი, რომ თურქული ლირა, მართლაც ინსტრუმენტია, მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს — სასახლეებში მხიარულ მელოდის უკრავს, გლეხის ქოხში — ნაღვლიანს.

— კარგი და პატიოსანი, მაგრამ თურქული ფულის სახელი რატომ ჰგავს შექსპირის ცნობილი პერსონაჟის სახელს?

— იმიტომ ეფენდი, რომ ვისაც ლირები უჩხრიალებს ჭიბეში, თურქეთში ყველა მეფე-ლირად გრძნობს თავს.

-- ბევრია ასეთი?

— თითქმის ყოველი მეორე თურქი თამაშობს მეფე ლირის როლს, განსაკუთრებით ალი-ბაბას ბაზარში.

— ოჰო, რამდენი მსახიობი გყოლიათ, — ეთქვი მე და გავშორდი ალი-ბაბას ბაზრის ვაქრუკანას.

დავრწმუნდი, რომ „პროფესიონალურ“ დონეზე შეიძლება საუბარი თეატრსა და მუსიკაზე სტამბულში ალი-ბაბას ბაზარში.

თურქული ნახევარმთვარე

სტამბულში, ალი-ბაბას ბაზარზე, ერთი ირანელი ვაჭარი ედავებოდა აქლემის ბეწვით მოვაკრე თურქს.

— რატომ მატყუებ, ეფენდი, ეს არ შეშვენის ნამდვილ ოსმალს.

მათთან ერთი აზიელი ვაჭარი მივიდა და უთხრა:

— შენ, ეი, სპარსო, რატომ გიკვირს, რომ გატყუებენ, ვერა ხედავ, ალი-ბაბას ბაზარზე ხარ...

— ეგ მართალია, მაგრამ საკითხავი ის არის, ვინ არის ჩვენს შორის ალი-ბაბა, მე თუ ეს თურქი? — მიუგო სპარსმა ვაჭარმა და ისევ ოსმან-აღას მიუბრუნდა.

— კი მაგრამ, ეგრე რომ მატყუებ, ეფენდი, ალაჰს რას ეუბნები, თუ გგონია, რომ დღისით, მზისით ბნელა თურქეთში?

— ჰოი, ეფენდი, — თქვა ერთმა ბრძენმა თურქმა, — თურქეთის შზე მცხუნვარეა, მაგრამ უბედურება ის არის, რომ თურქეთს დღისითაც და ღამითაც ნახევარმთვარე ანათებს და, რა გასაკვირია, ალაჰის კაცო, ცოტა სინათლე რომ გვენატრებოდეს, ბადრი მთვარის შუქი რა არის, ნახევარმთვარისა რა უნდა იყოს...

— ეფენდი, — ყური ცქვიტა ერთმა ლაზმა, — ლაზისტანში გამიგონია, თავის დროზე თურქული მთვარე ბადრი ყოფილა, მაგრამ ერთ მაძლუქს, თურქეთის სულთანთან ომის დროს, ხმლის ერთი მოქნევით შუაზე გაუკვეთია და ნახევარი თან წაუღია. მეძლექეთში ზანდაზან ნახევარმთვარე რომ გამოჩნდება ცაზე, სწორედ ის არის.

მინარათები თუ რაქაბაჯი?

— რაზე დგას სტამბულის ცა?

— ცისფერი მეჩეთისა და აია-სოფიას თავზე აღმართული მი-

ნარეთების შპილებზე, — გეტყვიან აღმოსავლურ ბაზარზე მოლანასრედინის მხიარული შვილიშვილები.

მართლაც ცას ხევენ ამ საოცარი მეჩეთების მინარეთები.

— რატომღა ასე მალალი სტამბულის მინარეთები? — ვეკითხები ერთ თურქს!

— ეფენდი, სტამბულელი მორწმუნენი დიდხანს ეხვეწებოდნენ ალაჰს, მაგრამ მის წყალობას ვერ ეღირსნენ... ყველას უკვირდა, მაგრამ მიზეზი ვერ გაეგოთ. ერთ გონებამახვილ თურქს უთქვამს: — მუსულმანებო! მიკვირს, რომ ამდენმა ლოცვა-ვედრებამ ვერ მიაღწია ალაჰის ყურამდე. ალბათ დაბერდა და დაყრუვდა მამა-ალაჰი; (ხუმრობა ხომ არ არის, ალაჰი დღეში ხუთჯერ უსმენს თითო მუსულმანს!) ამიტომ ცამდე მალალი მინარეთები ავაშენოთ და ალაჰსაც იოლად დაველაპარაკებითო. ასეც გააკეთეს თურმე სტამბულელებმა.

— მერე და, ახლა ეპმის ალაჰს თქვენი საუბარი?

— მეტი არ არის უენი მტერი...

— რა უნდა იყოს მიზეზი?

— ეფენდი, ბევრ მიზეზს მოგახსენებენ. ამას წინათ ერთი ამერიკელი გენერალი ჩამოვიდა სტამბულში, შეხედა ამ მინარეთებს და თქვა:

სალოლ, თურქებო!

რა დიდებული რაკეტები დაგიდგამთ აია-სოფიის მიდამოებშიო. ვაითუ, ალაჰიც ამერიკელი გენერლის თვალებით უმზერს ჩვენს მინარეთებზე და, იმის შიშით, თურქმა მუსულმანებმა რაკეტები არ დამიშინონო, უფრო შორს გადაიკარგა. ეს თუ ასეა, მაშინ ალაჰამდე ვერასოდეს ვერ მიაღწევს სტამბულელთა ლოცვა-ვედრება.

ინტერვიუ ალაჰთან

მოგეხსენებათ, ჟურნალისტისათვის არაფერია შეუძლებელი, ხოლო მე ამ საკითხმა იანე დამაინტერესა, რომ ალი-ბაბას ბაზრიდან პირდაპირ ალაჰთან „წავედი“ ინტერვიუს ასაღებად.

— ჰოი, ალაჰ, — ვუთხარი მე სამუსულმანოს მბრძანებელს, — მართალია, რაც სტამბულის ბაზარში გავიგონე?

ალაჰა, რა თქმა უნდა, ბაზარში ნათქვამი არაფერი გამოპარვია, და ყოველივე დამიდასტურა:

— ჰოი, ადამის ძეგ, — მითხრა ალაჰმა, — ისე მომრავლდა რაკეტები და მხიარეთები, და ისე ჰგვანან იანი ერთმანეთს, რომ მიწის დახედვისა გეშინია. და სანამ გონიერი მუსულმანები არ გააქრობენ რაკეტებს პირისაგან მიწისა, მე მოწყალების თვალთ ვერ გადავხე-

დავ მათ ქვეყანას, — თქვა ალაჰმა და მაგრძობინა, რომ ინტერვიუ დამთავრებული იყო.

უცნაურია, ვფიქრობდი ჩემთვის, მე, ათეისტი ერთი თქმით დამარწმუნა ამაში ალაჰმა, და რატომ აქამდე ვერ გააგებინა ეს ჭეშმარიტება თურქ მუსულმანებს?

ყურანი და მოლა ბოლქვაძე

ციხვერ მეჩეთში დღეში ხუთჯერ ლოცულობდა ერთი ქართული მოდგმის მოლა ბოლქვაძე. რამდენიც არ ევედრა ალაჰს, არაფერი შეეუსრულა. გაბრაზდა მოლა:

— ამ საღვთო წიგნს ყურანი რად ჰქვეა თუ ალაჰს მისი არაფერი ეყურებაო — და დააგდო მეჩეთი და მუსულმანური რელიგია. ვილაცას ეთქვა მოლასათვის, რომ რუსულად მუსულმანთა საღვთო წიგნს „კორანი“ ჰქვია.

მოლადყოფილმა მკითხა სტამბულში: ეგ მართალიაო?

როდესაც დავუდასტურე, თქვა:

— ჰოი, ალაჰ, მოლებისა და ხოჯების ხელში შენი საღვთო წიგნით იმდენი შავი საქმე კეთდება, დასტურ, რომ იგი მართლაც ყურანია და არა ყურანიაო.

ამბობენ, რომ შეიხი იმ დროს „ვეზირის თითს“¹ ჰკამდა და „ქალის თემოს“² ეალერსებოდა, თორემ მოლა ბოლქვაძე გეპენიაში ამოყოფდაო თავს.

ჩამგზავნი მოლა მადითუი

ალი-ბაბას ბაზარზე ცოცხალი ადამიანისგან დადის მეორე ამბავი მოლა ბოლქვაძისა.

მუსულმანურ მეჩეთებში მორწმუნე თუ ურწმუნო ყველა ფეხშიშველი უნდა შევიდეს. ერთხელ მოლა ბოლქვაძემ თურმე ფეხებზე დაიკიდა ეს წესი და ჩექმით შეალაჯა აია-აოფიაში — თურქეთის მთავარ მეჩეთში.

გაგიყებულა მთავარი მოლა. — ალაჰ, ამას რას ვხედავ, ღვთის სახლში ჩექმით რა პირით შემოდინხარო.

მოლა ბოლქვაძეს უთქვამს:

— შენ, ეფენდი, სულით შემოგაქვს ჭუჭყი, და ალაჰს ეს არ ხწყინს, მე — ფეხით რომ შემოვიტანო, აბა რა საწყენიაო.

მოლა ბოლქვაძის მისამე ამბავი

ორი მეზობელი ეჩხუბებოდა თურმე ერთმანეთს — ლაზი და თურქი.

1, 2 — თურქული კერძების სახელებია.

თურქი იძახდა:

— ჩვენ ვერ შევრიგდებით ვერასოდესო.

მოლა ბოლქვაძეს უთქვამს.

— თურქეთში, შე კაცო, ალაჰი და იესო ქრისტე შერიგდნენ, აქეთ მეჩეთში მოლა გაჰკივის, იქით — ქრისტეს ტაძარში მღვდელ-ლაღადებს, თქვენ კი რა გაჩხუბებთო.

— ღმერთები ადამიანის ხარჯზე შერიგდნენ და აწორედ იმი-ტომ ვჩხუბობთო, — უთხრა ლაზმა.

„საქართველო“ სტამბულში

ათასში ერთხელ მითრიდატეს ლურჯი ბოსფორიდან ან ცისფერი ღარდანელიდან სტამბულს ააფორიაქებს თეთრი ხომალდის „საქართველოს“ სირენები... ხმა ჯერ თითქოს საუკუნეთა მიღმიდან მოიპმის, მერე იმძლავრებს, გადმოლახავს დროსა და სივრცეს და აახშიანებს აია-სოფიას, ლურჯ მეჩეთს, თოფ-ქაფას, საფლავში ძილს დაუფრთხობს სულთანებს, მერე მოედება მთელ თურქეთს ანატოლიიდან ლაზისტანამდე და გაალეიშებს ოშკის, იშხნის, ბანას, ხახულის მიძინებულ სამრეკლოებს... და ცაში დაკიდული ზარივით რეკავს თურქეთის თავზე „საქართველოს“ სირენები...

როგორც ზმანება და თეთრი გელი,
ვით შავ ღრუბლებში ჭვარი სიონის,
ვით ლურჯ სივრცეში იმედის მტრელი,
თეთრი, ვით თოვლი კავკასიონის, —
დღეს „საქართველო“ სტამბულში შედის
და ფეხზე დგება... ბიზანტიონი...
ხელით მიჰიარავს ოცნება ჩემი,
ცრემლით სველი, ვით კაბა საბასი.
ო, კრელი არის სტამბულის სული,
როგორც ბაზარი ალი-ბაბასი.

როცა „საქართველოს“ ხმა მოედება სტამბულს, ლაზები, მუჰაჯირები ტოვებენ ყველაფერს და ნავსადგურისკენ მორბიან.

ხუმრობა ხომ არ არის „საქართველო“ შემოდის თურქეთის უდიდეს ქალაქში — სტამბულში.

ცრემლისა, ოცნებისა და სირენის ხმებისაგან მოიქსოვება მოგონებისა, სევდისა და სიხარულის პოემა და სემირამიდას ბალივით გადმოეკიდება ციდან სტამბულის თავზე.

ალი-ბაბას ბაზარზე ჰყვებიან ამბავს, თუ როგორ დაბრუნდა თურქეთში მამულისათვის წამებული პოეტი-რაინდი ნაზიმ ჰიქმეთი... სიკვდილის შემდეგ.

ერთ მშვენიერ დღეს, მაშინ, როდესაც უკვე არავინ ელოდა, უცებ სტამბულში დაბრუნდა „ნაზიმ ჰიქმეთი“ და ააფორიაქა მთელი სათურქო.

ბევრს ახსოვდა ცოცხალი პოეტი.

და ხალხის თვალწინ დაიბადა ლეგენდა.

პოეტი ნაზიმ ჰიქმეთი რუსეთში წასულა, იქ გემად ქცეულა და კვლავ სტამბულში დაბრუნებულა, რომ იმედის ნაპირისაკენ წაიყვანოსო თურქეთი.

მე დავაბიჯებდი სტამბულის ქუჩებში და მახსენდებოდა ცოცხალი ნაზიმ ჰიქმეთი, რომელსაც არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი მოსკოვში, სტუდენტობის დროს, რადგანაც ერთ ქუჩაზე ვცხოვრობდით.

ერთხელ ინტერვიუს ალების შემდეგ, როგორც კი სადმე წავაწყდებოდი, სალამს ვერ დავასწრებდი. წესად ჰქონდა მოგსალამებოდა სიტყვებით:

„გამარჯობა, ძმაო!“.

ადამიანივით მომინდა გასაუბრება ხომალდთან. მე მინდოდა მივსულიყავი გემთან და მეთქვა:

— გამარჯობა, ნაზიმ!.. მომილოცავს თურქეთში დაბრუნება.

გემმა თითქოს გუმანს მიმიხვდაო, სირენის ხმით შეარხია ჰაერი და გეზი სტამბულიდან ოდესისაკენ აიღო.

ჩაფიქრებული თურქეთი მისჩერებოდა „ნაზიმ ჰიქმეთის“ ევალს....

პარსკვლავები არ ჩანან ღლისით

როცა „ნაზიმ ჰიქმეთი“ თვალს მოეფარა, რატომღაც უნებლიეთ გავიფიქრე:

— რამდენი კომუნისტი იქნებოდა გამცილებელთა შორის.

აი, აგერ დგას ჭალარა თურქი, ცრემლებს იწმენდს.

სანაძლეოს დავდებ, ეს კომუნისტია. მაგრამ ამ სიტყვის ხსენებაც არ შეიძლება თურქეთში. კომპარტია აკრძალულია.

ერთ თურქ ღოკერს მაინც ვეკითხები:

— როგორ ფიქრობთ, ეფენდი, ბევრია კომუნისტი სტამბულში?

თურქმა ცერად ამხედ-დამხედა და რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ეტყობა გადაიფიქრა. მერე მაინც თქვა:

— თქვენ ოდესმე დაგივლიათ დღისით ვარსკვლავები?
პასუხად მე მხრები ავიჩეჩე.

— ეფენდი, კომუნისტების სიმბოლო ვარსკვლავია, ხოლო ვარსკვლავები არ ჩანან დღისით, თუმცა დღისითაც და ღამითაც ანათებენ. ამიტომ მათ ვერავინ დათვლის.

სტამბული-თბილისი.
1972 წლის აპრილ-მაისი.

სტამბულში, აპრილის მხვენიერ საღამოს...

„სიცილის თესლი მე დაეთესე
აზრის ყანაში“ —
„ჩემი კალამი, ხმაზე მკრელი,
თვით ალაპს აკრთობს“.

ომერ ნეფი.

გაზაფხულის მშვიდი საღამო იდგა. ჩვენი გემი ბოსფორში აპირებდა გასვლას და აღმოსავლურ ბაზარზე მყოფ ტურისტებს კაიუტებისაკენ მიეჩქარებოდათ.

იმ საღამოს სტამბულის პოლიციამ სადგურში დააპატიმრა უცნაური თურქი, ვინმე მუსტაფა-ეფენდი, რომელიც ასანთით ცეცხლს უკიდებდა ვიღაცის სურათებს, თან ლაპარაკობდა.

მე გავარჩიე ასეთი ფრაზა:

— ლაზი მეჰმედ-ფაშა!

ბოლოს გაირკვა, რომ ვიღაც თურქი ექსტრემისტი წვაავდა XVII საუკუნის ოტომანთა იმპერიის დიდგვზირის, სულთანის შემდეგ პირველი კაცის — ლაზი მეჰმედ ფაშას პორტრეტებს. ისინი რომელიღაც თურქული თუ არაბული მატრიანედან თვითონვე ამოებეჭდა მას ფოტოპირის სახით. ისიც სთქვეს, ეს მუსტაფა-ეფენდი სულთანთა შორეული ნათესავიაო.

უცნაური ეფენდი მუსტაფა ხმამალა გაჰკიოდა თურქულ ლექსს.

— ეს ლექსი შუა საუკუნეების დიდი თურქი სატირიკოსის ომერ ნეფის სატირაა მეჰმედ-ფაშაზე, — განმარტავს ჩვენი მოხუცი გიდი ზულეიკა-ხანუმ, რომლის ხმა ისე სუსტია, თითქოს სამარიდან ისმის. — მეჰმედ ფაშა ლაზისტანელი, სამსუნელი ლა-

ზი იყო. იგი XVII საუკუნის I აახვერის თურქეთის სულთანების წყალობით სამჯერ ამალღებულა ოტომანთა იმპერიის დიდვეზირის — პრემიერ-მინისტრის პოსტამდე. ის ტიპიური აზიელი დიქტატორი იყო, რომელიც შიშის ზარს სცემდა თურქეთის მთელს ვიგანტურ იმპერიას ბაღდადიდან დამასკომდე, ბეირუთიდან ქაირომდე; მორჩილებაში ჰყავდა ახლო აღმოსავლეთის ხალხები, რომლებიც სულთნის ქვეშევრდომები იყვნენ. იმ პერიოდში სულთნის კარზე მოღვაწეობდა შუა საუკუნეების დიდი თურქი სატირიკოსი პოეტი ომერ ნეფი, რომელიც ზოგიერთი მონაცემების მიხედვით, თითქოს დედით ქართველი ყოფილა, — განაგრძობს ზულეიკა ხანუმ, — ის არაგვის ინდობდა და სატირის მახვილით კოდავდა იმპერიის უმაღლეს მოხელეებს, მათ შორის დიდ ვეზირებს, თურქეთის მუსულმანთა წინამძღოლს — შეიხ ელისლამს, ზოგჯერ სულთანსაც ჰკადრებდა სიტყვის შებრუნებას.

თვით ალაჰზეც დავწერო სატირას, ამბობს ერთ-ერთ ლექსში ომერ ნეფი.

იგი მეტად ნიჭიერი, მაგრამ მძიმე, აუტანელი ხასიათისა ყოფილა.

ამ უდიდეს პოეტს სულთნის ბრძანებით ერთ-ერთი სატირის დაწერისათვის ჯალათის ნაჯახით თავი მოჰკვეთეს და მარგილზე ააგეს.

სატირიკოსმა პოეტმა მშობელი მამაც არ დაინდო, სასაცილოდ აიგდო მისი აშუღობა ყირიმის ხანის კარზე. აი, ამ დემონური აზრებით შეპყრობილი პოეტი დაეჯახა ოტომანთა იმპერიის მრისხანე დიდვეზირს ლაზ მეჰმედ-ფაშას, რომელიც არამც თუ წყალობდა სულთნის კარზე სხვა დიდ ვეზირების მიერ განებივრებულ ომერ ნეფის, არამედ, ავიწროებდა და დევნიდა კიდეც.

ომერ ნეფის დამოკიდებულება საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ დადებითია. ნურაგინ ისე ნუ გაგვიგებს, რომ ჩვენ საერთოდ ლაზეზზე ვწერდეთ სატირებს, — ამბობს ომერ ნეფი. -- ჩვენ კონკრეტულ პირთან გვაქვსო საქმე. კერძოდ. ლაზ მეჰმედ-ფაშასთან.

„ღმერთო გვიშველე! არ გააგონო საქართველოს ამ ტირანის სახელი“, — ამბობს XVII საუკუნის თურქი პოეტი.

ომერ ნეფის გურჯ მეჰმედ-ფაშაზე მართო სატირული ლექსები არ დაუწერია. იყო დრო, როდესაც ის ქება-დიდებას უძღვნიდა ოტომანთა იმპერიის ქართველ დიდვეზირს, გურჯად წოდებულს. თვითონ ომერ ნეფი თავის მეორე სატირაში ასე ამბობს მის შესახებ:

„პოი, უდროოდ დამაბერა მან,

მაშინ, როდესაც მე მას ვაქებდი“.

დიდ თურქ პოეტს ქართველ დიდ ვეზირზე დაუწერია, როგორც „ქებათა შესხმა“, აგრეთვე სატირული ლექსებიც. სამწუხაროა, რომ თურქი პოეტის მიერ ქართველ დიდვეზირზე დაწერილი ლექსების ნაწილი დაკარგულია, მაგრამ რაც გადაარჩა, ისაც მეტად საგულისხმოა და შესულია თურქული პოეზიის ოქროს ფონდში. ამ პოეტური ოქროს ფონდის შექმნასთან პირდაპირი, ავშირი აქვს ლაზ მეკმედ-ფაშას.

ეტყობა, მეკმედ-ფაშას დიდად არ შეუფასებია თურქი პოეტის ეს ქებათა შესხმა და ამით უფრო გაუნაწყენებია ოტომანთა იმპერიის სულთნის კარის პოეტი. პატივმოყვარე პოეტი ომერ ნეფი ამის გამო ორმაგად მიუზღავს სამაგიეროს გურჯუ მეკმედ-ფაშას თავის სატირულ ლექსებში.

მიუხედავად ამისა, ფაქტი ფაქტად რჩება: ქართველ მეკმედ-ფაშას თურქი პოეტი ჯერ მეტისმეტად აქებს, მერე კი ქირდავს. ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ჰემსარიტ პოეზიასთან, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის ვერც თურქული პოეზიისა და ვერც მსოფლიო პოეზიის მემატიანე.

ომერ ნეფი თვით სულთანსაც გადაწვდა.

სულთნის სახელის ხელყოფის შემდეგ გასაკვირი არ არის, რომ პოეტის თავი მარგილზე აღმოჩნდა.

იგი გმობდა ყველა ტირანს, დიდმოხელეს, მისი იდეალი იყო სახელმწიფოს კეთილდღეობა და „სამოთხის ძებნა“. ამ იდეალის ნიღწევის გზაზე მისთვის არ არსებობს არავითარი დაბრკოლება. პოეტი არავის არ უწევს ანგარიშს და ამაყად აცხადებს:

„მე ის როდი ვარ, ვინც ბრმად ალაპს ემორჩილება.

ცასაც გავთათხავ, უსამართლო რამ თუ ინება“.

ამ სტრიქონების ავტორი „მუსულმან პრომეთედ“ წარმოგვიდგება. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სამართლიანობა მას თავისებურად, შეზღუდულად ესმის.

ომერ ნეფის აღნიშნულ ნაწარმოებებს ქართულ ენაზე ვერსად ვერ მივაკვლიეთ; ეტყობა, ისინი არ არის თარგმნილი. მისი ნაწარმოებების გადმოქართულება უდაოდ მნიშვნელოვანი საქმე იქნებოდა ქართულ-თურქული კულტურული ურთიერთობის ისტორიაში.

საჭიროა ვიცნობდეთ ხალხთა ისტორიას არა მარტო ერთი წერტილიდან, არამედ ყველა რაკურსიდან.

თურქი გველისმჭამელი?!

სტამბულის აღმოსავლეთ ბაზარზე პირველად ვნახე გველის ხორცით მოვაჭრე არაბი ყასაბი. ჩემი ყურადღება ჯერ სარეკლამო ფურცლებზე დახატულმა გველებმა მიიპყრო. მაგრამ რას ვიფიქრებდი, რომ ნამდვილი გველის ხორცით მოვაჭრესთან მქონდა საქმე.

რეკლამა იუწყებოდა, რომ ეს უბრალო, თურქული გველის ხორცი არ გვეგონოთ, ამერიკაში გველებზე საგაზაფხულო ნადირობის დროს დაქვრივი მგუდავი გველების ახალი ხორციაო. თან განმარტებული იყო, რომ ოკლაჰომას შტატში დაქვრივი ეს გველები ცოცხლადაა ჩამოყვანილი სტამბულში და აქაა დაკლულიო. აქაოდა გაყინული არ გვეგონოთ.

გველის ხორცის გამყიდველი ყველის ვაჭარივით იცინოდა და მუშტარს ეძახდა.

ცოდვას ვერ დავიდე, არ ვიცი, მაგრამ ერთი შეხედვით სტამბულს ხორცი იმდენად არ აკლია, რომ ამერიკული გველის ხორცი გაიყიდოს თურქულ ბაზარში.

— ეს დელიკატესია, — განმარტა ერთმა თურქმა, — გველის ხორცი ქათმისა და ზუთხის ხორცზე უკეთესია, მას შემდეგ, რაც შხამს გამოწურავენ მისი სხეულიდან.

— დიდი ხანია თურქები გველის ხორცს ჭამთ?

— არა. ამას ისევ თურქეთში მცხოვრები ამერიკელები თუ ჭამენ. თუმცა თურქებშიც ბევრი ურევია ამერიკოფილი და გველის ჭამის კულტურასაც მალე დავეუფლებით. მოდა მოდაა!

მუსულმანები ზიზლით უყურებდნენ გველის ხორცს. ქრისტიანები პირჯვარს იწერდნენ.

მაგრამ ათასში ერთზელ ენმე გამოივლიდა და ყიდულობდა გველის ხორცს სტამბულის აღმოსავლურ ბაზარზე.

— რამდენად ყიდიან?

— კილოგრამი 7—8 დოლარი ამბობენ ამერიკაში უფრო იაფი ღირსო, 3—4 დოლარი.

— ამერიკაში ყველაფერი იაფია, — ჩაურთო ვილაცამ.

— ამერიკაში ყოველ გაზაფხულზე მარტის ბოლოსა და აპრილის პირველ ნახევარში ოკლაჰომას შტატში სამგან თუ ოთხგან ეწყობა ნადირობა გველებზე.

გველის ხორცს იქ ბევრი ჭამს, მოზრდილებიც და ბავშვებიც. და თურქებიც ცდილობენ არ ჩამორჩნენ ამერიკას.

— თურქეთი მხოლოდ ამით ჩამორჩება ამერიკას. ახლა გველის ხორცის ჭამასაც ვისწავლით და ამერიკასაც დავეწვევით, —

პოი, ალაპ, — ჩაიქნია ხელი ერთმა მოხუცმა თურქმა და გზა განაგრძო.

მე ვბრუნდებოდი აღმოსავლურ ბაზრიდან და ვაჟა-ფშაველაზე ვფიქრობდი სტამბულში.

ჭამონ თურქებმა გველის ხორცი, ვინ უწყის იქნებ სიბრძნემ იმატოს მათთან და სიკეთის გზას დაადგენ.

უცებ სხვა აზრმა გამიელვა:

— კაცმა რომ თქვას, ამერიკელები გველს უწვავენ თურქებს და მათ კიდევ ისინი მეგობრები ჰგონიან.

ქართული ანდაზა კი ამბობს: მტერმა გველი რომ შეგიწვას, შენ კალმახი შეუწვიო.

არის კი ამდენი კალმახი თურქეთში?

არა, მაინც უცნაური რამ იყო გველის ხორციტ მოვაქრე ყასაბი სტამბულის ბაზარზე.

რას არ ნახავს კაცი, რას არ მოესწრები.

— ეგ რა არის, — მითხრა ერთმა ჩემმა ნაცნობმა მოსკოვში. — ერთხელ ნიუ-იორკში მე ალიგატორის სუბი მაჭამეს. აი ის იყო სეირი, — თორემ დიდი ამბავი, გველის ხორცი.

— ალიგატორის? ე. ი. ნიანგის სუბი?

— აბა!

მე გაოცებისაგან პირი დავადე.

— დიახ, ნიუ-იორკში, ფეშენებელურ რესტორანში შეგიძლია მიირთვა ნიანგის სუბი.

— მაშ, შენ ნიანგიჭამია ხარ?

— ეს კიდევ არაფერი. თუ კარგი პირის გემო გაქვს, შეგიძლია დაშაშხული მგუდავის ხორციც გასინჯო.

ეს კი უკვე მეტისმეტი იყო. მე საუბარი შევწყვიტე და წამოვედი. გზაში მახსენდებოდა ერთი თურქი, რომელსაც უკვირდა:

— ვინ ყოფილა ეს ქართველი. თურქი გველს რომ ჭამს. ის უკვირს, ხოლო თვითონ ღორის ხორცს რომ ჭამს, ეს საკვირველი არ არის? თუ რაშეა საკვირველი, სწორედ ღორის ხორცის ჭამა საკვირველი, — იძახდა ნიშნის მოგებით ვაჭარი და ქველა თურქი ზიზღით მიცქეროდა:

— ერთი შეხედეთ, ღორის ხორცის მჭამელიაო.

თვითონ კი გველის ხორცის რიგში იდგნენ...

იშვიათია ა.ეთი კომიკური სიტუაცია.

მიდი და გაიგე, რა არის ამ ქვეყანაზე საკვირველი?

ზრახმინები წიგნიდან «SALUT AU MONDE»

„რას, რას იპოვი
აქ, საზღვარგარეთ,
რომ ის ჩათვალო
მზეთა და მთვარედ.
არ ღირს მსოფლიოს
მთელი სიმდიდრე
ერთ გაქროლებად,
სამშობლო მხარედ“.

გალაქტიონი.

ცა ქალაქად და ატლანტიკის ოკეანე მელნად არ გეყოფა, რომ აღწერო ევროპიდან ამერიკაში მოგზაურობა.

...გტოვებთ ბებერ ევროპას... კურსი ამერიკისაკენ გვიჭირავს. დგას უახლოესი წელთაღრიცხვით 50-ე წელი. (ოქტომბრიდან პროგრესულმა კაცობრიობამ ახალი წელთაღრიცხვა შემოიღო). ჩვენი ეურნალისტური „ტრანსევროპა-პანამერიკული ოდისეა“ შერემეტიევოს აეროპორტზე იწყება. გზა გრძელია და საინტერესო: მოსკოვი-რიგა-ჰელსინკი-ოსლო-სტოკჰოლმი-კუნძული ბერგენი-ისლანდია-ატლანტიკის ნეიტრალური წყლები-ამერიკა. ამ სტრიქონების ავტორს ახსოვს ერთი დღე, რომელიც თეთრთმეტყერ გათენდა და თერთმეტყერ დაღამდა. ეს იყო საბჭოთა მერიდიანებზე კამჩატკიდან ესტონურ კუნძულ სარემამდე. მაგრამ გზაზე — ევროპა-ამერიკა სხვა საოცრება გეცემა თვალში.

ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ჩემს სამშობლოში დღეა, ამერიკაში — ღამე. ამ უბრალო ფაქტში დიდი პოეტური და ფილოსოფიური სიმბოლიკაა ჩაქსოვილი — ეს გახლავთ შავის და თეთრის, კეთილისა და ბოროტის, ნათელისა და ბნელის დიალექტიკა.

ჩვენ მივდიოდით კონტინენტზე, სადაც ეშმაკის სახე აქვს დოლარს, სადაც მეფისტოფელი განიცდის მილიონ მეტამორფოზას, სადაც მილიონერთა ცოლები ოქროს აუზებში ბანაობენ და ესპანეთში ყიდულობენ გასართობად ფეოდალურ კოშკებს: და იმავე დროს შიმშილობენ ზანგები, სადაც აქვთ ძაღლებისთვის კაფეები და საპარკიმანეროები და არა აქვთ ბინები ლუმპენ-პროლეტარებისათვის...

მეფისტოფელს ამერიკაში ხან მეძავი ქალის სახე აქვს, ხან როკფელერისა, ხან ომის ღმერთის არესისა, ხან კათოლიკე მონაზვნისა, ხან პოლისმენისა: — კონსტებლისა თუ შერიფისა, ხან ფაშისტისა, ხან კი „ძია სემისა“, მაგრამ მთავარი ის არის, რომ მეფისტოფელი მეფისტოფელად რჩება. უკუგდებულია ფაუსტური და ბატონობს ეშმაკი. «Сатана там правит бал».

მსოფლიო პოლიციის გამოყენება?

ჩვენ სატანას მეჭლისზე როდი მივდიოდით. მიზანი უფრო ჰუმანური გვქონდა: დაგვეთვალიერებინა „ექსპო-67“, მონრეალში... ნოტრ დამიასა და წმინდა ელენეს კუნძულებზე... ფეხით შემოგვევლო მთელი მსოფლიო. ჩვენ გვქონდა პასპორტი, რომელიც მსოფლიოს 60 ქვეყანაში შესვლის უფლებას გვაძლევდა, უფრო სწორად 60 პავილიონში. ყოველი პავილიონი იყო მინიატურული ქვეყანა, მაღაზიებითა და რესტორნებით, მუსიკით... საოცრება ის იყო, რომ ამერიკაში ჩავედით 1967 წლის ბოლოს, ისრაელში კი — 5727 წლის შუა აპრილს, იაპონიაში იდგა — 1627 წლის იანვარი, ინდოეთში — 1888 წლის დასასრული, მაკმადიანურ ქვეყნებში 1387 წელი, რომში 2720 წლის დასაწყისი იყო, საბერძნეთში 2279 წელი... გარდა ამ ქვეყნებისა, ქვეითად შემოვიარეთ მსოფლიოს 50-ზე მეტი სახელმწიფო... ორ კვირაში.

არც მისტიკა! არც ფანტასტიკა!

დედამიწის ხალხების კალენდრის ავგიასეულ თავლაში აღრევამ გამოიწვია ის პარადოქსი, რომლის შესახებ გიამბეთ. სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა კალენდარს ხმარობენ და ამიტომაც დაშორდნენ ერთმანეთს საუკუნეებითა და ათასწლეულებით ეს ხალხები.

მსოფლიო ხალხების დაახლოებისა და მეგობრობის იდეალებს ემსახურებოდა „ექსპო-67“.

გამოფენის დევიზი „ადამიანთა მიწა“ ფრანგი მწერლის ანტუან დე სენტ ეგზიუპერის წიგნის სათაურია. მონრეალი პარაზის შემდეგ ყველაზე დიდი ქალაქია, რომელიც ფრანგულ ენაზე ლაპარაკობს... ამიტომაც სენტ ეგზიუპერი სამშობლოში გრძნობდა თავს.

ჩვენი გზა კი მონრეალიდან მიდიოდა ნიუ-იორკის შტატამდე და ფორდის დეტროიტამდე მარშრუტით მონრეალი-ოტავა-ტორონტო-ნიაგარა-მონრეალი-მოსკოვი.

მონრეალში ჩასული კაცი გრძნობს, რომ ის მოხვდა მილიონერთა, პოლიციელთა და კულტის მსახურთა ქალაქში. „სამეფო

პოიდან“ ქალაქს დაჰყურებს გიგანტური კათოლიკური ჯვარი. პეტროში თვალში გეცემა ჯვარი და პოლიციელი, რესტორან „ლუვრში“ — ისევ ჯვარი და პოლიციელი, ბანკში — ჯვარი და პოლიციელი, კაზინოში — ჯვარი და პოლიციელი...

უნებურად იბადება აზრი: სად არის ის ძალა, რომელიც შესძლებს პოლიციელთა ჯვარცმას, რომ ეს უმშვენიერესი ქალაქი არ იყოს მეფისტოფელის სატახტო...

ფინანსები წმინდა ლავრენტის მდინარისთან

...ახლა მონრეალში ბიბლიურად წვიმს, ანტუან!

აპოლინერის სტრიქონებივით მოდერნისტულად არის მიმოყრილი ქალაქის ქუჩები „ჰარმონიულ ქაოსში“... რემბოს ლექსით სევდიანია წვიმა, რომლის სიმებზეც უხილავი თითებით ქარი უკრავს რექვიემს... თითქოს ბოდლერის „ბოროტების ყუალებიდან“ უბერავს ქარი და თან მოაქვს ლეშის სუნი.

რალაცა ლპება ამერიკაში, ანტუან...

არ ვაკი. წმინდა იყო თუ არა წმინდა ლავრენტი, მაგრამ წმინდა ლავრენტის მდინარე მღვრიეა, როგორც იმ პოლიციელის თვალები. ბე რომ მშვერავს... მდინარე დუღს და გადმოდუღს. ოკეანეში მიაქვს მთელი ამერიკის ცოდვა, მაგრამ ამოოდ...

ფანჯრიდან ვხედავ პოლიციელებმა ესროლეს დემონსტრანტებს...

ცოდვას ცოდვა ემატება...

და ასე სგონია, ანტუან, ბიბლიურად იმიტომ წვიმს მონრეალში. რომ ცოდვებისაგან განბანოს მიწა...

ერთად ვერ დაგუბდება ყველა ამერიკელი დედის ცრემლი. ზორემ წმინდა ლავრენტის მდინარე რაა, ოკეანესავით წალეკავდა დედამიწას...

მსოფლიოს ყველა ქალს ცრემლები არ ეყოფა იმ ტრაგედიის გამოსატირებლად, რაც ყოველდღე ხდება ამერიკაში...

საზღვარი ნიაგარის ჩანჩქერთან

ამერიკასა და კანადას ნიაგარის ჩანჩქერთან გადებული აქვთ რკინა-ბეტონის ხიდი. რომლის ნახევარი ეკუთვნის „Canada“-ს. რასაც მოწმობს ემბლემა დროშაზე — წიფლის ფოთოლი და მეორე ნახევარი „USA“-ს, რასაც ადასტურებს ამერიკის გერბზე მტაცებელი არწივი, რომელსაც ისრები ბლუჯად უჭირავს. ხიდს ორივე მხარეზე იცავს კანადისა და ამერიკის პოლიცია. საზღვარს

შუაზე ყოფს ორი თეთრი ხაზი. ამ ხაზებს შორის მოქცეულია მცირე ნეიტრალური ტერიტორია. სწორედ ეს ადგილი შევარჩივთ ამერიკული რეპორტაჟების დასაწერად, რადგანაც ეს არის ყველაზე უსაფრთხო ადგილი მთელს ამერიკაში. ეს არც ამერიკაა და არც კანადა. აქ არც ბანდიტების თავდასხმის გეშინია, არც პოლიციის კონსტებლისა და შერიფის მხეცობისა, რაც ასე ხშირია ხიდის ორივე მხარეზე.

მხოლოდ ნიაგარის ჯოჯოხეთური ხმაური მაყრუებს.

ჩემს წინ ნიუ-იორკის შტატი ჩანს, ჩემს უკან პროვინცია — ონტარიო. ხელმარჯვნივ ჩანჩქერი „ცხენის ნალი“ (კანადა შიშობს, არც თუ უსაფუძვლოდ, არ დამაბიჯოსო ამერიკამ ცხენის ნალი!), სახეში მცემს ატლანტიკის ცივი ქარი, მზვერავს ხიდს გაღმა და გამოღმა ოკდაოთხი ამერიკელი და კანადელი პოლიციელების მახვილი თვალი, ჩემში გადის რადიაციასავით ნიუ-იორკის ტელევიზიის 12 ძირითადად სექსუალურ-დეტექტური პროგრამა...

წერის დროს ხელს მიშლიდა ამერიკული და კანადური დროშების ტაკუნთი.

დოლარი გადავიხადე და პოლიციელმა ორივე დროშა ჩამოხსნა.

მე ვიყიდე უფლება ამ ტერიტორიაზე ვიდგე: გადავიხადე 50 ცენტი. ამერიკაში ყველაფერი იყიდება: მხოლოდ ჰაერს არ ადევს ჯერჯერობით ტაქსა.

ხელში მიჭირავს ამერიკული ათი დღიში, რომელიც მრისხანე და არასიმპათიურმა პოლიციელმა დამიბრუნა ხურდად ხიჯისთავში. დღიშს აწერია „ჩვენ გვწამს ღმერთი“ და კიდევ ერთი სიტყვა „თავისუფლება“. ეს აწერია დოლარს, ცენტს.

ამერიკაში ყოფნის დროს ადვილად რწმუნდება კაცი, რომ თავისუფლება იქ ისეთივე რეალობაა, როგორც იესო ქრისტე და ორივე ერთად მირაჟია...

მე ვხედავ რესტორან „სპირალის“ 24-ე სართულიდან როგორ მოაბიჯებენ ნიაგარა-ფალსის ქუჩებში ნეოფაშისტი დემონსტრანტები.

ისინი მოითხოვენ... ამოეშალათ წითელი ფერი — კომუნისმის სიმბოლო ცისარტყელის სპექტრიდან. ასეთი აზრი არა მგონია მოუვიდეს თავში ნორმალურ ადამიანს. ეს ცისარტყელა ბრკვეიალებს ნიაგარას ჩანჩქერთან. ნიაგარა-ფალსთან გათამაშებულ ამ ფარსს იცავდა პოლიციი. კანადელ ნეოფაშისტებს წითელი ფერი ისე აგიჟებს, „როგორც ხარს ტორეადორის წითელი ხელსახოცი.

იქვე ვნახე ერთადერთი დემონსტრანტი, რომელიც მოითხოვდა ფრანგების გასახლებას კანადიდან ლოზუნგით — „ამერიკა —

ანგლოსაქსებს!“ ამ ერთ დემონსტრანტს ორი პოლიციელი იცავდა. იმდენად აბსურდული იყო ეს ლოზუნგები, რომ პოლიცია რომ არ იცავდეს, დემონსტრანტს ალბათ ნიაგარაში გადაუძახებდა ყველა ნორმალური ამერიკელი.

„ლაბირინთი“ და აკლინიალი

„ექსპო-67“ ტერიტორიაზე ამერიკელ პოლიციელს, რომელიც ამერიკის საჰაერო ძალების ბუშტივით გაბერილ პავილიონს იცავდა, ვკითხე:

— სერ, სად არის პავილიონი „ლაბირინთი?“

— თვითონ ცხოვრებაა ლაბირინთი, მისტერ! — იყო მშვიდი პასუხი.

მეხანჭურა. რომ პოლიციელმა მისტერი მიწოდა.

ფრანგებსა და ინგლისელებს ერთმანეთი სძულთ მონრეალში.

ინგლისური წარმოშობის კანადელს ფრანგულად რომ მიმართო. ურჩევნია ტყვია ესროლო. ამიტომ ვუთხარი:

— მსიე, თვითონ ამერიკაა ვეებერაულა ლაბირინთი. სადაც ბილიონები ეძებენ გზას და მხოლოდ მილიონერები პოულობენ მას...

ამერიკელი პოლიციელი კითხვის ნიშნად იქცა და ზიზღით შემომხედა.

საუბარი ამერიკელ აკლინიელთან უოტ-უიტმენზე

— უოტ უიტმენი? — კეფა მოიფხანა პოლიციელმა, — დამნაშავეთა შორის ასეთი არავინ გამიგონია. მეზობელ პოლიციის კონსტებლს ჰკითხეთ, იქნება იმან იცის.

პოლიციის კონსტებლს როდენის „მოაზროვნის“ სახე ჰქონდა, მაგრამ ერაზემ როტერდამელის „სისულელის ქებათა-ქების“ პერსონაჟად თუ გამოდგებოდა.

— უოტ უიტმენი? არა, ასეთი არავინ გამიგონია.

პოლიციის შერიფმა განათლებული კაცის სახე მიიღო და გვითხრა:

— როგორ არა, უოტ უიტმენი ვიცი. „ბალახის ფოთლებზე“ დაწერა მგონი ბოტანიკური ნაშრომი...

ერთი როხროხა პოლიციელიც ჩაერია საუბარში. მე ვთქვი:

— იმ უიტმენზე გეკითხებით. რომელმაც დაწერა: „დემოკრატიკა, შენ ჩემო ცოლო“.

— რაო? დემოკრატია თუ მისტერ უიტმენის ცოლი იყო. ცუ-

დად ყოფილა ჩვენი საქმე, — თქვა პოლიციელმა და ბრაზით აინთო.

— ეს გაუქუღმართებული სექსუალური დანაშაულია, — შენიშნა სოლომონ ბრძენის სიღინჯით პოლიციელმა, რომელაც „კოკა-კოლას“ სვამდა.

— აღძარით სისხლის სამართლის საქმე! — გასცა განკარგულება შერიფმა; მერე მე მომიბრუნდა: — თქვენ ხომ არ უარყოფთ თქვენს ჩვენებას.

— რა თქმა უნდა, არა! — ვუთხარი მე და დავანახე, რომ მათი სულაც არ მეშინია.

მე, როგორც მოწმეს, მთხოვეს უიტმენის მისამართი.

მეგონა ხუმრობდნენ.

მე ვიდრე ხმას აპოვილებდი, პოლიციის ორი კონსტებლი: „პარლის“ მოტოციკლზე ამხედრდა მისამართის მოლოდინში.

— ნიუ-იორკი, საიქიო! — ვთქვი მე.

— ნიუ-იორკი! საიქიო! — მაშინაღმურად გაიმეორა შერიფმა. — და იმწამსვე მიხვდა; ჭერ გაშრა, მერე დაბნეულად იკითხა:

— რაო? სერ, ეს არ არის ჭენტლმენური საქციელი, — თქვა ნაწყენმა პოლიციელმა.

მაგრაც ბრძანება უკვე გაცემულა უკო.

ამერიკელი პოლიციელები კისრისტეხით მიქროდნენ საჩქი რში ბლეკ ენდ უაის გზით.

ჟოტ უიტმენი კი სამოთხეში იცოწოდა.

ორი გარითხვული ინტერვიუ

— სერ, — მითხრა ერთმა კანადელმა ჟურნალისტმა, — რა შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე ამერიკამ.

მე გამახსენდა ძველი „პოეტური ოპუსები“ და ვუბასუხე:

მზის ნაცვლად ცენტი ჰკილია ცაში.

აქ ცნობენ მხოლოდ დოლარის

მგოსანს.

მე პირველად ვარ ამერიკაში

და მსურს ეს იყოს მეორედ მოსვლა.

— ოპო! — თქვა ყვითელი პრესის ქურუმმა და გველსაკბენივით გამეცალა.

მანქანების სასაფლაოსთან ერთმა ამერიკელმა ჟურნალისტმა მთხოვა კომენტარები გამეკეთებინა ავტოინდუსტრიის აკლდამისათვის. მე ვუბასუხე.

„ფორდი“ — წერია საფლავის ქვაზე,
ჩანს მარმარილო, ჭვრიანი ლოდი.
ეჰ, აქ მარხია მხოლოდ მანქანა,
ვაგლახ, კვლავ ცოცხლობს მისტერი
ფორდი.

მეტი შეკითხვა ჩემთვის არ მოუციათ.

მხოლოდ ფორდის პირადი პოლიციის კონსტებლმა ამრეზით
დამიწყო ცქერა.

ისრაელი... 5727 წელი

პავილიონის ალაგესთან ცალი ფეხი მედგა 1967 წელში და
მეორე... 5727 წელში.

არ მეგონა თუ ერთი ნაბიჯი იყო ამ ორ ისტორიულ ეპოქას
შორის.

ებრაული კალენდარი 5727 წელს უჩვენებდა. ისრაელიათვის
ეს „ექსპო-67“ კი არა, „ექსპო-727“ იყო“.

„გაფიცვებთ თქვენ, ატუნო იერუსალემისა, არ გააღვიძოთ,
არ აღძრათ სიყვარული, ვიდრემდის თავად არ ინებოს“.

გოდებდა სადღაც 3000 წლის მიღმა სოლომონ ბრძენი და ატ-
კობდა ჩვენს სმენას ამ ფსალმით.

სამწუხაროდ, აქ დაიწყო და აქვე გათავდა ძველებრაული
პოეზია. მერე უცებ მკაცრი პროზის სამყაროში აღმოვჩნდით.

ებრაელმა პოლიციელმა ისეთი გამჟვალავი მზერა მესროლა,
თითქოს მის წინაშე მე კი არა, ოტო სკორცენი ან ეიხმანი მდგარი-
ყო...

იქ კანიბალი და მარსი იჯდნენ ტახტზე.

საბრძოლო მარშებმა გაგვაყრუეს.

„ღვთის მიერ რჩეული ხალხის“ საომარი მზადყოფნის დემონს-
ტრაციას ახდენდნენ ოკეანის გაღმა ესთეტიკურ სირცხვილს მოკ-
ლებული მოდერნიზმის კანონებით აშენებულ პავილიონში.

ბიბლიური და წარმართული სახეები... ცალთვალა მოშე...

„ცხვირი შენი — ლიბანის გოდოლი, დამასკოს მიმართ მიჯ-
ცული“ — გამახსენდა ტაეპი „ქებათა-ქებიდან“.

ამჯერად სულ სხვა ქვეტექსტი ამოვიკითხე ამ სტრიქონებში.

— ისრაელის სახელმწიფო მოღვაწეთა გალერეაში ბრძენი
ვერავინ ვიპოვე, გარდა სოლომონისა...

როგორც კი ვთქვი ეს, ტელ-ავიველმა პოლიციელმა რაბინის
ხმით მითხრა: ხომ არ ინებებდით გარეთ სუფთა ჰაერზე გასეკრ-
ნებასო.

მე, რა თქმა უნდა, დავთანხმდი.

საოცარი ხალხია დაიანელები. 5727 წელში ცხოვრობენ, 1967 წელს კი მოიბენ.

ესეც მეფისტოფელის ერთერთი ჰეტამორფოზაა.

ო, დიღო ღმერთო, იეღოვა, საოცარია საქმენი შენნი...

ბოდღერის ბოდება ამოიბის ბაზარზე

ამოიბის ბაზარზე დადის მწუხარე ბოდღერი და მოსტყვამს:

«Почти завидую... и старым
проституткам,
Еще державшимся, как вони
на посту,
Спешащим промотать, продать
в веселье жутком
Одни — талант и честь,
другие — красоту».

ჩაივლიან ბებერი მეძავები. ყიდიან თავიანთ სხეულს. პაგრამ ეს საქონელი ჩალადაც არ ფასობს.

«Что вас ждет, о,
восьмидесятилетние Евы,
На которых свои коготь
испробовал бог!»

აღმოსავლეთის შაითან-ბაზარივით ირევა ელეთ-მეღეთი ამო-
იბის ბაზარზე. ნიღბები. სახეები. ლანდები. ბერჩისტები. ნეო-
ფაშისტები. კუქ-ლუქსკლანელები, მწვალელები. ლუთერანელები.
განგსტერები. რეკეტი. მაფია.

«Впрочем, каюсь: при виде
фигур безобразных,
В геометры не метя,
я как-то хотел
Подсчитать: сколько ж
надобно ящиков разных
Для испорченных очень
по-разному тел».
«Запахло кладбищем. Тропа
ведет в болото».

— ვინ ამბობს ამას? — ვიკითხე და მოვიხედე უკან.

ბოდღერის ყარიბი ლანდი ვიბარე.

იხრწნება სამყარო.

ჩაესვენა რომანტიკული მზე.

სოფრალი ბოდღერი ეუბნება ამერიკელ პოლიციელს, რომლის
ნაკვალევზე ბოროტების შესამიანი ყვავილები ამოდის.

— კვო ვადის, ამერიკა?

პოლიციელი დუმს. ყვირის ბოდღერი. მაგრამ სამყარო ყრუა და მუნჯი.

მკვდარი სინათლე ანათებს ქაოსს,
ჟღერს რეჟეიმში და ხეებს სცივათ
და ემსგავსები შავ სასაფლაოს
შენ, ამერიკავ, ვით ხიროსიმა.

„სამი ყვავი“, სალიერი, პოლიციელი

«И в странном полусне я чувствую,
что где-то сколачивают гроб —
но где же? Но кому?».

ШАРЛЬ БОДЛЕР.

კაფე „სამ ყვავში“ ორი კაცი ზის...
კაცი, რომელმაც შეუკვეთა საკუთარი კუბო,
და კაცი, რომელმაც იყიდა სასაფლაოზე თავისი დასამარჩი
მიწა.

და ხურდად მიღებული ფულით
სვამენ უკანასკნელ კათხას.

მესაფლავე საცაა შეუდგება საფლავის გათხრას...

კაფე „სამ ყვავში“ ქეიფობენ სალიერი, მეფისტოფელი და პო-
ლიციელი.

კაცი, რომელსაც სალიერმა საჩუქრად მოუტანა კუბო, საწყალი
ტრუბადურია, რომელსაც არ იცნობს ამერიკა, მაგრამ ებრძვის ათას
სალიერს...

ტრუბადური სვამს ვისკის და წარმოთქვამს მონოლოგს:

აქ არის ქვეყნის დასალიერი,
მეფობს კაენი და სალიერი.
შხამ-სამსალოთ და ავი ენებით,
დასრიალებენ ჭრელი გველები,
და ვით სატანა სისხლის
მსმელები —
სულით მახინჯი სალიერები.
მოწამლეს როცა ყველა მოცარტი,
გახდნენ საბრალო ნიჰის
მკვლელებიც.
ო, კაცს არ ძალუძს ამის ატანა,
ძირს ლუციფერი! განვედ,
სატანავ!

ყელში წვდნენ ტრუბადურს პოლიციელი, მეფისტოფელი და
სალიერი და ცოცხლად ჩაასვენეს კუბოში.

ნიჰი მოკლეს და ახლა მარხავენ,
მეფისტოფელს ისმის ხარხარი...

კაფე „სამ ყვავში“ საბრალო მგოსნის მონოლოგი ისმოდა ხმად
მლაღადებლისა უდაბნოსა შინა. პოეტი მიმართავდა თაობას, რო-

მელიც ჭერ არ დაბადებულა: სჯობს არც დაიბადო მოცარტად, სჯობს არ დაიბადო ნიჭიერ კაცად, სულერთია სალიერები შეგპა-
მენ...

ყარყენეს დედამიწა უნიჭო, სულმდაბალმა სალიერებმა.

მე ვოცნებობ იმ დღეზე, როდესაც კაცობრიობა უკანასკნელ
სალიერს გაუთხრის საფლავს, რადგან სალიერი მეფისტოფელის
მეტამორფოზის ერთერთი სახეა.

მე ბრალს ვდებ პოლიციას!

რატომ არ სხედან ციხეში სალიერები?

ტორონტოში ვუყუებდი „ფეშენებელურ“ ოტელში რე-
ნესანსის ეპოქის გენიალურ ნახატს: ბავშვს ისევ დედის საშოში
სკრდა დაბრუნება, ისეთი ამაზრზენია სინამდვილე.

მე ვხედავდი ამერიკელი მხატვრის „მზეს“, რომელსაც აირწი-
ნალი ჰქონდა გაკეთებული: მოწამლულია ქვეყანა, მზეს ეშინია არ
მოიწამლოს.

მეფისტოფელი ხარხარებდა და სალიერთან ცეკვაულა „აიკე-
დილის როკვას“.

სალიერები ავსებდნენ შნამ-სამსალით ჯამებს... ვინ არის
შემდეგი?

Kustodia urbus

ასე უღერდა „საზოგადოებრივი წესრიგი“ იველ რომაელთა
ღღეს უკვე მკვდარ, მაგრამ ერთ დროს უბრწყინვალეს კლასიკურ
ლათინურ ენაზე.

კანადაში, დიდი ბრიტანეთის პავილიონში „გენიოსია სტენდ-
თან“ თითო დავაჭირე ღილს და „ქკვიანმა მანქანამ“ ზომცა ინ-
ფორმაცია თემაზე — „Kustodia urbus“.

არ ვიცოდი, რომ იგი განხეთქილების ვაშლი ყოფილა მსოფ-
ლიო მასშტაბით.

ბრიტანეთს აქვს პრეტენზია, რომ მისი პოლიცია „მსოფ-
ლიოში საუკეთესოა“, ხოლო სკოტლანდ ჯარდში ყველა თანამშ-
რომელი თუ შერლოკ ჰოლმსი არ არის, უკიდურეს შემთხვევაში,
ინსპექტორი მეგრე მაინც არის.

საფრანგეთი ტრაბახობს, რომ პარიზში, პოლ ვალერიის ქუჩა-
ზე მდებარეობს მსოფლიოს ბურჟუაზიული პოლიციის ასო-
ციაციის — „ინტერპოლის“ შტაბი.

მაშასადამე, ასკენიან ფრანგები, საფრანგეთია თავი და ბოლო
მსოფლიო პოლიციისა...

მეორე არგუმენტი ფრანგებისა ის გახლავთ, რომ მონტესკიე,

„ძალაუფლებათა გაყოფის“ ცნობილი ავტორი, წმინდა სისხლის ფრახგი იყო. სწორედ ფრანგები ამტკიცებენ, რომ „პოლიცია მეოთხე სახელმწიფოა სახელმწიფოში“ — მონტესკიეს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ინსტიტუტების შესწდგ.

ბურჟუაზიული პოლიციის თეორიის დარგებშიც ცრუიდეათა ავგიასეულ თავლასთან და გალიმათიასთან გვაქვს საქმე.

აი მესამე „არგუმენტი“ ფრანგებისა, რომელიც მათ აკუთვნებს თურმე პირველობის პალმას პოლიციის დარგში. მსოფლიო ისტორიაში „პოლიციის ეროვნული ენციკლოპედია“ მხოლოდ და მხოლოდ ფრანგებმა შექმნეს.

პოლიციის ფრანგი ენციკლოპედისტები არ ეთანხმებიან ნოსაზრებას, თითქოს „პოლიცია სახელმწიფო იყოს სახელმწიფოში“, ისინი ამტკიცებენ, თითქოს ეს ფენომენი შექმნილია „სახოგადოების ჰარმონიული ფუნქციონირებისათვის“.

პოლიციის ამერიკელი თეორეტიკოსები თავიანთ ეროვნულ პოლიციას ზეკლასობრივ, მარადიულ ძალად და დემოკრატიულ გარანტიად სახავენ.

ერთადერთი მოსაზრება, რომელიც ჭეშმარიტია, მდგომარეობა შემდეგში:

პოლიციის ინსტიტუტი ისევე ძველია, როგორც სახელმწიფო და მოკვდება სახელმწიფოსთან ერთად.

ბურჟუაზიული პოლიცია — მსოფლიო ჟანდარმი უკიდურესად რეაქციული მოვლენაა და ემსახურება მეფისტოფელის ბატონობას ფაუსტურზე. ის დგას დოლარის სადარაჯოზე.

ძნელი როდია ამაში დარწმუნდე: საკმარისია ოციოდე ნაპოვი გადადგა. „ექსპო—67“ პავილიონებიდან ამერიკულ ქალაქებში გაიარო, სადაც ყოველ ნაბიჯზე დგას მეფისტოფელი პოლიციელის ფორმაში.

ეუმაკის თეატრი

ეს სცენა ვნახე „ექსპო-67“ ტერიტორიაზე.

მაყურებლები სვამდნენ „კოკა-კოლას“, ვისკის, უსტვენდნენ. ევიროდნენ. პოლიციელები ძლივს აჩერებდნენ მათ. სცენაზე წარმოადგინეს ერთი ამერიკელი სატირიკოსი დრამატურგის ვარიაციები ფრიდრიხ მაქსიმილიან კლინგერის რომანის „ფაუსტის ცხოვრება, მოღვაწეობა და მოგზაურობა ჯოჯოხეთში“ მიხედვით.

ეს ვარიაციები სხვა არაფერია თუ არა პრეზიდენტის პოლიტიკის სატირული ასახვა.

უკრავდა ჯაზი, სცენაზე მოქმედებდნენ ფილოსოფიური ნიღბები: სიკვდილი, ისტორია, მორალი, პოლიტიკა, პოეზია, ჟურნალისტიკა, პოლიცია... ეს არის ჯოჯოხეთის თეატრი, რომელიც ბურჟუაზიულ სამყაროს ასახავს. სატირულ ვარიაციებში დახატულია სურათი ამერიკისა, რომელსაც პრეზიდენტი მართავს.

იქ აბჯრიანი ისტორია ცეკვავდა ყურმოჭრილ და ბორკილგაყრილ მონახთან ერთად, ხოლო სიცრუე და ქარაფშუტობა ეკრავდნენ ჯაზური საცეკვაო მუსიკას, პოლიციელი — კენტავრი, რომელსაც თავის ქალა ჰქონდა ნიღბად და სიკვდილი ოქროს აჩხრიალებდნენ ქისაში. სისულელე და ფლიდობა მუსიკოსობდნენ. ბურჟუაზიულ პოლიტიკას გამარჯვების ეტლში შებჰული ყავდა ტროადის ცხენის მსგავსად მოტყუება. ბურჟუაზიული პოლიტიკა ცეკვავდა გველის ცეკვას ცბიერების, ძალაუფლების წყურვილისა და ტირანიის „მელოდიური“ საკრავების თანხლებით.

ერთ-ერთ აქტში პოლიციელთა თვალწინ შუღლმა გააუპატიურა პოლიტიკა, ჟურნალისტიკა და პოეზია და გაუპატიურებულთა პატივის დასაცავად მორალს ტანთ გაჩაღეს. მორალს მოსახამი ჩააცვეს შიშველ პოლიტიკას და პოეზიას. მორალი კი დედიშობილა დარჩა. ბოლოს ბურჟუაზიული პოლიტიკა, რომელიც პოლიციელის ფორმით და დიპლომატის ფრაკით გამოდის სცენაზე, ეტლში შეაბამს სიცრუეს, ქარაფშუტობას, სისულელეს, ცბიერებას, ტირანიას, სხვა საშინელ ქიმერებს და ტრიუმფით გადის სცენიდან შიშველი ქალებისა და ჯაზური კაკაფონიის თანხლებით.

— ჯოჯოხეთის ამ თეატრის დამდგმელი რეჟისორია პრეზიდენტი, — დასძენს ამერიკელი სატირიკოსი.

სიმართლე დალადებდა მისი ბაგეებით.

პოლიციელი, რომელიც მარძის კითხულობდა

ტორონტოს ქუჩაზე მე ვნახე პოლიციელი, რომელიც მარძის „კაპიტალს“ კითხულობდა

— ნუთუ კომუნისტი რეაქციულ პოლიციაში მსახურობს? — გამოიღვა თავში.

მან განმარტა, რომ ის სწავლობს ამერიკის ეროვნულ პოლიციურ აკადემიაში, სადაც ასწავლიან მარძის თხზულებებს. ჩაფვლებსა და გამოცდებსაც აბარებენ მარქსიზმში.

— საინტერესოა, — შევწაშნეთ ჩვენი.

— მტერს უნდა იცნობდე! — თქვა პოლიციელმა და „კაპიტალის“ კითხვა და რეზინის ლუქვა განაგრძო.

უფრო გვიან ერთ გაზეთში წავეყიბთ:

გამოძიების ფედერალურა ბიუროს მესვეურები შეშფოთებულნი არიან:

ვინც სერიოზულად შეისწავლა მარქსიზმი. პოლიციის აკადემიაში მარქსისტი გახდა და სამუდამოდ დაკარგულია ამერიკული პოლიციისათვის.

არ ვიცი, პოლიციელი ტორონტოდან, რომელიც მარქსს კითხულობდა, გახდება თუ არა მარქსისტი, მაგრამ ერთი რამ ცხადია: რაც უფრო მეტი პოლიციელი წაიკითხავს „კაპიტალს“, მით უფრო უკეთესია ჩვენთვის.

„Das Narrenschiff“.

მონრეალში დასავლეთ გერმანიის პავილიონი ჰგავდა ხომალდს, რომელსაც კაპიტანის ნაცვლად ორი პოლიციელი მარტოაჯდა.

ბონელ პოლიციელთა ქუდებზე ჩანდა დასავლეთ გერმანიის გერბის ემბლემები: ყვითელ ფონზე შავი ამაზრზენა ნისკარტისხლიანი არწივი, რომლის ბრკყალები საოცრად ჰგავდა ფაშისტურ სვასტიკებს.

პავილიონში ეკიდა ცოფიანი ფიურერის სურათი გერმანული გენიის ვარსკვლავებს შორის... ამ სურათთან დიდხანს ჩერდებოდნენ კანადელი ნეოფაშისტები, რომლებიც დღესაც მღერიან მონრეალის ქუჩებში ფაშისტურ სიმღერას: „Deutschland, Deutschland, über Alles“. ამ პავილიონს არა ერთი ლექსი უძღვნეს მოფაშისტო პოეტებმა კანადაში და ზონშიც.

რამ გააღვიძა „პოეტური მუზა“ ამ ნაძირალებში?

პავილიონმა „ხომალდმა“, რომელიც, ჰაერიდან რომ შეგვეხედათ, ზუსტად გადმოგვცემდა ფაშისტური გერმანიის საზღვრებს ეს სიმბოლიკის ენაზე ნიშნავს ახალ მსოფლიო ომს, გდრ-ის უარყოფას.

ერთმა დასავლეთგერმანელმა მსახურმა, რომელიც სახით „შვებური შეანკებიდან მოსულ „Hans Narr“-ს („ჩანსი სულელი“) ჰგავდა, თქვა:

— კომუნისტებს არ მოსწონთ ჩვენი პავილიონი რატომღაც. თქვენ რას იტყვით, პერ?

მე ვუპასუხე, რომ მეც კომუნისტი ვარ და „პავილიონი ხომალდი“ მაგონებს სებასტიან ბრანტის „სულელთა ხომალდს“.

მსახური საშინლად მოიქუფრა, განაცხადა, რომ ეს დიპლომატიური ეთიკის ყოველგვარი ნორმების დარღვევაა.

რომელ დიპლომატიაზეა ლაპარაკი, როდესაც კაცის მკვლელებთან და სიკვდილის აპოლოგეტებთან საუბრობ. მუზეები სდუმან, როცა ქვემეხები ლაპარაკობენ.

მე ვიგრძენი, რომ პიროვნება „Non grata“ გაეხდი და პავილიონიდან გამოსასვლელში თეთრკაბიანმა ლორელაებმა ჩემს პასპორტში არ ჩამირტყეს „პავილიონის ვიზა“.

გენიალური გერმანელი პოეტის სებასტიან ბრანტის ძეგლი უნდა იდგეს ყველგან!

მან მოაშორა კაცობრიობას სულელთა მთელი კოპორტები. ჯერ კიდევ 1494 წელს ააგო პოეტური ხომალდი, რომელშიც ჩასვა მთელი მსოფლიოს სულელები... და კურსი მისცა სიბრძნის ნაპირისაკენ.

იქნებ საჭიროა კიდევ ერთი რეისი ბრანტის ხომალდისა, რომ გაიწმინდოს დედამიწა იმ ხომალდს ჩამორჩენილ მგზავრებისაგან.

რა შეიძლება ომზე უფრო დიდი სისულელე იყოს. ომზე, რომელსაც ქადაგებდა დასავლეთ გერმანიის პავილიონი, რომელსაც ნისკარტისხლიანი არწივის პოლიცია იცავდა.

საახარულოა, რომ დღეს აცვლება სურათი... და დასავლეთი გერმანია ახალ პოლიტიკურ კურსს მისდევს...

აოლინციელები, სემსი და ხელოვნება

«Спфилитики, вору, царя, лицедеи,
Вся блудливым Парижем рожденная мразь!»
«Вот сущащие ляжками рожне самки:
Обезумейте!»

АРТЮР РЕМБО.

ამერიკის ყველა ბაზარს აქებენ, მეფისტოფელმა იცის ვაჭრობის ფასი, მაგრამ ყველაზე საოცარი მაინც სექსის ბაზარია.

მონრეალში კინოთეატრს აწერია „Sinema Franse“, გადის ფილმები „მხოლოდ სექსი“, „მთელი მსოფლიოს შიშველი ქალები“.

თავის დროზე მოსკოვში მქონდა ინტერვიუ კანადელ მომღერალ ქალთან მოურინ ფორარესტერთან. ტორონტოს ერთ-ერთ მაღაზიაში ვნახე მისი თითქმის პორნოგრაფიული სურათები და ვინანე, რომ ბურჟუაზიას აქვს საშუალება ასეთი ტალანტები გათელოს ფეხქვეშ.

მაგრამ ეს ყველაფერი პრელუდია იყო.

ამერიკის ბევრ რესტორან-ბარში მოცეკვავე და მიმტანი ქალები სრულიად შიშველნი არიან.

რესტორნის კართან ცეკვავს ველურ სექსუალურ ცეკვას ქალი ევას კოსტუმში.

მთელი ამერიკა ასეთი რესტორნების ქსელითაა დაფარული.

ეს გახლავთ სექსის სინდიკატების „მულენ რუჟის“, მაქსიმის და სხვ. „ბორდელური“ ტიპის დაწესებულებების ამერიკული ფილიალები.

თუმცა ამერიკასაც გააქვს „სექსი“, როგორც საქონელი. ერთი სიტყვით ჰყვავის სექსის ექსპორტ-იმპორტი.

პოლიციელები იცავენ სექსის ბაზარს, თუმცა ის არის დანაშაულობათა მიზეზთა-მიზეზი.

იმავე „Sinema Franse“-ს აქვს სექსის მუზეუმი. აი, რამდენიმე ექსპონატი ამ „მუზეუმიდან“. ეს მართლაც რომ შეშლილი, შეშლილი, შეშლილი სამყაროა.

აქვეა ძველ ეგვიპტესა და ანტიკურ საბერძნეთში სექსუალური ცხოვრების ამსახველი ნახატები, შუა საუკუნეების დროის პორნოგრაფიული სცენები.

აქ ნახავთ მსოფლიოს გენიალური მხატვრების ნამუშევრების ასლებსაც: რემბრანდტი „წყვილი ლოგინში“, ანონიმი ავტორის ნახატი „ცემა ავხორცი შიშველი მონაზვნისა“, ე. წ., „ევროპული“ გაშიშვლებული სიყვარულის სურათები და სხვ.

მე ვუყურებდი როგორ ათვალიერებდა ამ სურათებს პოლიციის ჩოფურა ოფიცერი.

გამოფენილია კაზანოვას პორტრეტი რემარკით: „კაზანოვას მსგავსი მამაკაცი იბადება — საუკუნეში ერთხელ! დედებს. რომლებმაც კაზანოვას ხელში გაიარეს, მოჰყავდათ თავიანთი ქალიშვილები ამ ყველა დროის შესანიშნავ მამაკაცთან, რომ განეცადათ სექსის სიდიადე“.

რა საზიზღრობას არ ნახავთ აქ?!

მაიაკოვსკის აქვს ლექსი „ათაშანგი“, რომელშიც ჯვარცმულია ბურჟუაზიული მორალი. ამერიკაში არიან ე. წ. „პოეტები“, რომლებიც ქებას უძღვნიან ათაშანგს და, ასე გასინჯეთ, არსებობს თურმე ათაშანგის ღმერთიც. მხატვრები ხატავენ ამ სცენის ალეგორიულ სურათებს. საზიზღრობაა მექსიკური ათაშანგის ღმერთის მოზაიკური სურათი.

ამაზე შორს ვერ წავა ხელოვნების დეგრადაცია!

ფუნჯითაა გაცოცხლებული ჰამბურგის ქუჩებში პროსტიტუციის სურათები.

ჰამბურგი აცხადებს, რომ ის უფრო სექსუალური ქალაქია, ვიდრე პარიზი.

კუთვრმა უსახსოვრა მუზეუმს ავტოპორტრეტი.

ეს ავტომონოსექსუალიზმის მაგალითიაო. — ასკვნის მუზეუმი. კიდევ კარგი, რომ თითქმის გაუგებარია ეს სიტყვა: — ავტომონოსექსუალიზმი.

რამდენ საზიზღრობას იტევს ეს ცნება.

გამოფენილია მხატვარ ფრანც მაზერელის ნახატები, „კოც-ნა“, „ლოგინი“, „შიშველი ცეკვა“, „ისევ ლოგინი“.

აქვეა პორნოგრაფიული ტატუირების იაპონელი „დიდოსტატების“ „ნამუშევრები“.

ამ წუმპეში მოსვარა ბურჟუაზიამ ყველა დროის და ყველა ხალხის გენიოსებიც.

ბურჟუაზიამ გარყვნილების წუმპეში გასვარა გენიოსებიც და შარახვეტია ვიგინდარებიც. მათ შორის გენიალური ოსკარ უაილდიც.

დახატულია არისტოტელე, რომელსაც აზის მეძავე ქალი. გენიოსი ატარებს მეძავს.

ბურჟუაზია ყვირის: -- შეხედეთ სექსუალური ორგიების ამსახველი სურათებიო.

ბურჟუაზიას ვერ გადაურჩა გენიალური პოეტი ვირგილიუსიც. სუ იტყვიოთ. თურმე ერთ მეძავ ქალს, რომელთანაც ვირგილიუსი საწოლ ოთახში უნდა შესულიყო, პოეტი ჩაუსვამს კალათში, რომელსაც თოკი ჰქონდა მობმული.

მეძავმა არ დაინდო პოეტი: მიწასა და ფანჯარას შუა ჰაერში გააჩერა კალათაში მჯდომი გენიოსი და მთელი რომი აცინა.

აქვე მოყვანილია პარიზის „გრანდ ოპერის“ შენობის ერთი ფრაგმენტი „სექსუალური ცეკვა“, მეძავთა სახლების სურათები, ფრანგული და გერმანული ეგრეთწოდებული კლასიკური ბორდელების შინაგანაწესი და ნიხრი და ა. შ.

ამ და ასეთ დაწესებულებაში ატარებენ დროს კანადის, აშშ ამერიკის სხვა ქვეყნების მინისტრები, სენატორები. იმასაც ამბობენ. რომ ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორიც იყო აქ.

ამ შიშველ სამყაროს. ამ საზიზღრობას სიტყვებით ვერ გადმოსცემ.

დგას წიფლის ფოთლის ემბლემით კანადელი პოლიციელი და რკავს ამ „მუზეუმის“ კარებს.

„სახარება“, „ჰურანი“, „ჰაპიტალი“

ტორონტო. აფთიაქი. ვზივარ და... ვსადილობ.

ასე იყო ილფისა და პეტროვის დროს, ასეა ახლაც.

კათამბჯენის სახურავიდან ხელისგულივით ჩანს ნიუ-იორკის შტატი.

ღმერთმა უწყის საიდან აღიან მანქანები სახურავზე: იქ აქვთ სადგომი.

ქვაფენილზე მანქანების დგომა ერთ საათში 50 ცენტი ღირს. სახურავზე რა ელირება ნეტავ?

— რატომ აღიან მანქანები სახურავზე? — ვეკითხები პოლიციელს.

— ეს ამერიკაა! — მეუბნება პოლიციელი და ამით ყველაფერი ნათქვამი.

...ლამის 2 საათია. არ ძინავთ ნიუ-იორკის რადიოსადგურებს... ქუჩაში დაქრიან პოლიციის მანქანები.

ეთერში მიდის იდეოლოგიური ომი — ტიტანური შერკინება ორი იდეოლოგიისა.

ნიუ-იორკიდან 12 არხით მოედინება პორნოგრაფია. რეკლამა. საღიზმში... ყოველგვარი ვიზის გარეშე გააქვს ამერიკას საზღვარგარეთ ტელეეკრანით, რადიოტალღით „პან-ამერიკული“ იდეები.

იქ. სადაც უძღურია დოლარი, ამერიკა პოლივედის „სექს-ბომბების“ შიშველი ფეხებით გადის ფონს.

მომწყინდა შიშველი ტელევარსკვლავების ცქერა.

ვერ ვიძინებ სასტუმროში.

ისევ ჩავრთე ნიუ-იორკის ტელეპროგრამა.

გადის ფილმი „Sadismo“... მოღელავს სისხლის ზღვა. კენტავრები, ქაჯები, მეფისტოფელები, ლუციფერები, ყველა დროისა და ყველა ხალხის ავი სულეები გაიღვებენ ეკრანზე... აგერ ეკრანის მკვლელები ავსებენ ადამიანის სისხლით ჯამებს და სვამენ სიკვდილის საღვებრძელოს. უცებ ფილმში იჭრება რეკლამა „დალიეთ „კოკა-კოლა!“, „იყიდეთ ფორდის მანქანები“, საპნის რეკლამის დროს ქალი შიშვლდება ეკრანზე და აბაზანას იღებს, მერე ისევ სისხლის ღვრა, ისევ სისხლით სავსე ჯამები, ისევ „Sadismo“. „Sadismo“, „Sadismo“.

თავში მიტრიალებს აზრი: ნორმალურია ეს საზოგადოება?

გადავრთე სხვა პროგრამაზე, „ეს არის შეშლილი, შეშლილი, შეშლილი სამყარო“ — გადიოდა სტენლი კრამერის ფილმი.

ვვიან გამოვრთე ტელევიზორი.

ვერ ვიძინებ.

სასთუმალქვეშ ვპოულობ „სახარებას“ ინგლისურ ენაზე.

ვიხმე კელნერი და განვაცხადე პროტესტი:

— შე არ ვარ ღვთისმომღიში, „სახარებას“ რად მიღებთ თავქვეშ?!

კელნერმა ბოდიში მოიხადა და „სახარება“ წაიღო. მაგრამ სულ მალე ისევ დაბრუნდა და დიდი წიგნი მომიტანა.

— რა არის ეს? — ვიკითხე მე.

— „ყურანი!“

— მე არც მუსულმანი ვარ. მე ვარ კომუნისტი!

კელნერმა „ყურანიც“ წაიღო და ცოტა ხანში ისევ დაბრუნდა.

სამი წიგნი მომიტანა ერთბაშად.

ეს იყო მარქსის „კაპიტალი“.

— მე გამიგონია, რომ მარქსის „კაპიტალია“ ერთადერთი კაპიტალი რომელიც კაპიტალისტებს აფრთხობს, — ვუთხარი კელნერს.

კელნერმა გაიღიმა.

— ჩვენ „კაპიტალი“ გვინდა გამოვიყენოთ კაპიტალის გასაკეთებლად. ბიზნესი პოლიტიკაში არ ერევა.

— პოლიტიკაში ჩაურევლობაც პოლიტიკაა, — ვუთხარი მე.

„კაპიტალი“ გავშალე და ამოვიკითხე.

„ექსპლოატატორთა ექსპროპრიაცია“...

— ამინ!

ისმონდა დაღადი კათოლიკური ტაძრიდან.

მერე „Ave Maria“-ს ჰანგებმა და ბახის ღვთაებრივმა მუსიკამ გადაუარა ტორონტოს ქუჩებს.

„Lord Simkoe“ ბაბილონის გოდოლივით მიიწევდა ცისკენ. რა იცის მან, რომ ბაბილონის გოდოლის აღსასრული უწერია ბედლად.

კაცნი, რომელიც მარკ ტვენის სიტყვებით ლაპარაკობდა

„ექსპო-67“ სადისკუსიო დარბაზში გამოვიდა ერთი უცნობი კაცი. რომელმაც თქვა, რომ ის ნიუ-იორკის შტატის მცხოვრებია. თან საბუთად თავის მანქანაზე უთითებდა, რომელსაც ნომრის ქვეშ ეწერა „New York“

მან განაცხადა, რომ სურს ინტერვიუ მისცეს ურნალისტებს, გააკრიტიკოს პრეზიდენტის პოლიტიკა „დიდ პრესაში“.

ურნალისტებმა მას რამდენიმე შეკითხვა მისცეს.

მათ შორის მეც.

— სერ, თქვენ კონგრესში ხომ არ გინდათ აგირჩიონ?

— არა, სერ!

— რატომ?

„რწყილიც კი შეიძლება გაწვრთნა ისე, რომ გააკეთებინო ყველაფერი, რასაც კონგრესის წევრები აკეთებენ“.

მეორე შეკითხვა.

— სერ, რა აზრისა ხართ დამნაშავეობაზე ამერიკის შეერთებულ შტატებში?

— ციფრებით და ფაქტებით ძნელი როდია დაამტკიცო. რომ არ არსებობს ბოროტმოქმედთა რაღაც განსაკუთრებული ამერიკული მოდგმა, გარდა აშშ კონგრესის წევრებისა“.

შესამე შეკითხვა:

— რა აზრის ბრძანდებით აშშ სენატზე და სენატორებზე?

„სენატორი არის ადამიანი, რომელიც დროის სწორედ იმ მონაკვეთში, როცა ციხეში უნდა იჯდეს, ამერიკის შეერთებულ შტატების დედაქალაქში ზის და სახელმწიფოებრივ კანონებს წერს“.

კანადის პოლიციამ აქ შეწყვიტა ინტერვიუ დემოკრატიის სახელით.

ღმერთებლის სიკვდილი და პოეტის საუბარი მარადისოხანსთან ისტორიის დაკვირვებულ კარებთან

ცათამბჯენი, სვასტიკა. კუკ-ლუქსკლანელთა ჯვარი. სისხლისფერი ღვინით სავსე თავის ქალა, მთვარის ქლექიანი შუქი, ვისკის სუნი და შორეული „Ave Maria“...

აღმწოთებული პოეტი ამბობს:

მარადისობა, შენ ზევი დრო გაქვს,
ჩვენ კი, მოკვდავებს, დრო აღარ

გვერდის.

შენ უწყ და გვამცნე ზნე ცვალებადი
ამ საწუთროსი და ამა სოფლის.

შენ ერთადერთი ხარ წაურყვენელი
და უნიკობას უბრმავებ თვალებს.

ჰაუ, რამდენი სულელი ამტკრევს
მარადისობის დაკვირვებულ კარებს.

ფორმისათვის აქვთ მხრებზე

თავები,

კეთილს და ბოროტს ვერა სწონინ,

და ისტორიის დიდი კარები

მათ კაბინეტის კარი ჰგონიათ.

მხოლოდ შენ დარჩი, მხოლოდ შენ

დარჩი...

აუღებელი ავისგან სიბრძნე.

როცა შევიცან შენი რაობა,

ნივის სიმალლე შე მაშინ ვიგრძენ.

მაიმუნები და ვინჩის ფუნჯით

დღეს ისტორიის კარებზე წერენ:

„იყავი მუნჯი, იყავი მუნჯი,

იქ, სამოთხეში გავსწორდეთ, მერე".
მე ყველა ხატი დავამხე ქვეყნად
და შენთან მოველ ფეხდაშაშრული.
შამცენ, სად ვპოვო ყოფნა-არყოფნის
ან დასაწყისი, ან დასასრული?
არსთა განმრიგევე, ვარ შენი ბავშვი,
შენ როგორც გინდა, მხატავ და
კვლავ მშლი.

თუ გინდა შენ
დროს
დროს დააჩახებ,
გინდა აღადგენ კვლავ დროთა
კავშირს.

გუუწყოს ჩემი მიზანთ-მიზანი,
ვიცი საიდან, რისთვის მოველი,
დრო,
დრო მომეცი მე ჩემი წილი,
სხვა შენი იყოს ქვეყნად ყოველი.
ანგრევ საწუთროს და კვლავ აშენებ.
დროვ, წუთით დადექ,
საითქენ მიქრი...

წაიღე შენი ეპეი და სევდა,
მომეცი ჩემი რწმენა და ფიქრი.
ყოფნა-არყოფნა? კითხულობს ვილად,
და ახლოს ჰყვავის — სიკვდილის
ბაღი...

არსთა განმრიგევე, იქნებ შენ
მითხრა,

რამ დააბნელა გონება საღი?
მეფისტოფელთან დავა და ომი —
უხორცოს შებმა მოკვდავთან არი.
წაიღე შენი ნილაბი კვდომის,
მომეცი ჩემი სიცოცხლის ფარი.

დედამიწა.

ამერიკა.

ჯოჯოხეთის კარი.

1967 წელი ქრისტეს აქეთ.

ხოსე ოროსკოს ფუნჯი.

ქრისტეს ლურჯი სხეული სახრჩობელაზე ქანაობს.

— დრომ მოიკლა თავი! — ყვირის ყვითელი პრესა.

პოლიციამ არ აღძრა საქმე.

— დიახ, თვითმკვლელობაა! დრომ თვითონ ჩამოიხრჩო თავი,
ყაველი გაუვიდა.

ასეთია უარყოფის უარყოფის ფილოსოფიური კანონი.

შევდარი სინათლე ანათებს ქაოსს,
ჟღერს რეჰვიემი და ხეებს სკივათ.
და ემსგავსება შავ სასაფლაო
ღამე, მწუხარე ვით ხიროსიმა.

პოეტი გოდებს ქურუმით კათოლიკურ ჯვართან დამხობილი.

ზის კაცის სახით მეფისტოფელი
— ეშმაკი ოკელი
და კანიბალთან ჯამით სისხლს სვამს
თვით ღმერთი მარსი,
„მე“ და „არამე“ — სულ ესაა
სამყარო მთელი,
„ყოფნა“ — „არყოფნა“ — სულ ესაა
ამ სოფლის არსი.

საუბარი თავისუფლების ძანდაკეზაზე ამერიკელ პოლისმენთან

კანადა. ამერიკის პავილიონი. ამერიკელი პოლისმენი თავს აწონებს ფრანგ ლამაზმანს.

— ჰელო!

— ჰელო, სერ!

— ვერ მეტყვით, რა კავშირია პოლიციასა და ამერიკულ დემოკრატიას შორის?

— ამერიკის პოლიცია დემოკრატიის სიმბოლოა, სერ!

— მაშ, დადგით ნიუ-იორკში თავისუფლების ქანდაკების ნაცვლად მარმარილოს პოლისმენი რეზინის ჯოხით ხელში. თქვენ. მაგალითად, ძალიან ლამაზი ფიგურა გაქვთ!

პოლიციელს: უთუოდ ვასიამოვნე, ისიც ფრანგი ქალის თანდასწრებით.

— ო, თქვენ ხუმრობთ, სერ, მაგრამ ეს კარგი იდეაა.

მე სულაც არ ვიყავი ხუმრობის განწყობილებაზე.

ვაძლევ მეორე კითხვას:

— მისტერ, თქვენ ყოფილხართ, ნიუ-იორკში?

— რა თქმა უნდა, სერ!

— მაშ მითხარით, რატომ დგას თავისუფლების ქანდაკება ზურგშექცევით: ამერიკის მიმართ?

— ხელოვნებაში მე ვერ ვერკვევი, სერ!

P. S. ნუთუ ჩვენ ხელოვნებაზე ვსაუბრობდით?!

ზიჟი, პოლიციელი, პოეტი, პრაზიდენტი, გოგბი

— ის გიყია! — მითხრა პოლისმენმა. ადრე ტორონტოში კონსტებლი იყო.

ლექსებსაც წერდა ერთ დროს.

გიეი ვისკის ყლურწავდა და ესპერანტოს ენაზე ივინებოდა. ყური დავუგდე.

— ეს შენ გვირდება, პრეზიდენტო, ატომის ბომბი, მე პოეტი ვარ და მსოფლიოს დავიპყრობ ლექსით.

თვალწინ დამიდგა ბომბით გადათხრილი სისხლიანი მსოფლიო, რომელზეც ასე ოცნებობს „ჰქვიანი პრეზიდენტი“ და ლექსით მოხიბლული მსოფლიო, რომელზედაც ოცნებობდა ის „გიეი“. ის სიმართლეს ამბობდა.

რატომ თქვა პოლიციელმა გიეიანო?!

საოცარი ხალხია ამერიკელები.

იქ გიეები გენიალურად მსჯელობენ, ჰქვიანები „გენიალურ სიგიყეს“ ავლენენ...

გვიან გავიგე. ის „გიეი“ თურმე ამერიკელმა პოლიციელებმა სცემეს ვიეტნამში ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის.

„გინდა მეფომა? გადაიხადე ორი კრონი“

კაპიტალისტურ ქვეყნებში ყველაფერი იყიდება. ბევრ ურწმუნო თომას მრავალ მოკოსმოპოლიტო ტიპს, რომელიც ღამეებს ათენებს „ამერიკული ხმის“ და „ბი-ბი-სის“ ტალღებზე. ეს არ სჯერა.

ვფიცავარ მათთვის საყვარელი ძია სემის წვერებს. რომ ამ სტრიქონების ავტორი იყო... დანიის მეფე... მართალია სამი წუთით და, ასე გასინჯეთ, კანადის საგარეო საქმეთა მინისტრაც... ორი წუთით და ეს დაუჯდა ორიოდ დანიური კრონი და 1 კანადური დოლარი.

საქმე ისაა, რომ კაპიტალისტურ პარლამენტებში სავარძლები წარწერით: „პრემიერ-მინისტრი“ და „საგარეო საქმეთა მინისტრი“ გამოყენებულია ბიზნესისათვის.

სავარძელი რისი სავარძელია, თუ ფული არ გააკეთა. ჩაჯექ სავარძელში, გადაიხადე ფული... უნდა გამოგიტყდეთ მე ვყოფილვარ ორივე ქვეყნის პარლამენტებში და ვმჯდარვარ ამ სავარძლებში.

მოწმედ მყავს ორივე ქვეყნის პოლიცია, რომელიც ასე გულდასმით შზვერავდა: ერთმა ეურნალისტმა, რომელიც ჩემზე ადრე იჯდა ამ სავარძელში, ასე გარითმა თავისი შთაბეჭდილებები.

ნუ იტყვიო ჩემზე ანდერსენის

ზღაპარს ყვებაო,

მე ათიოდე უცხო ქვეყნის შვეალა

კარი,

დანიამე კი სამი წუთით ვიყავი მეფეც,
და „ლიერ ვწუხვარ, ვერაფერი ვერ

მოვასწარი:

მუჭას — ქარხნები, გლეხებს მიწა ვერ

დავუმტკიცე,

ეს, ვერ გავრეკე დანიიდან მე ნატოს

კარი.

დანიას მეფეს ხელფასი აქვს — წელიწადში 1 მილიონი კრონი. პარლამენტში მეფემ იჩივლა: არ მყოფნისო ხელფასი, მაგრამ ნურას უკაცრავად, მეფეს ხელფასი არ გაუდიდეს.

ეჟონალიტები ხუმრობენ: — იმის შემდეგ შემოიღესო წესად რამდენიმე წუთით მეფის სავარძლის გაქირავება. მეფე ხანდახან ღირიჟრობს ოპერაში. ავი ენები ხუმრობენ: მეფე ფულს აკეთებსო.

აუქციონზე ხუმრობს მეფისტოფელი.

— „ვის გსურთ გახდეთ დანიის მეფე?“ ეს იაფია. სულ რაღაც ორი კრონი ღირს“.

მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ ჰამლეტი დანიის პრინცი იყო.

კრონბორგის ციხედარბაზიდან მესმოდა ამერიკაში:

„ყოფნა — არ ყოფნა. საკითხავი აი რა არის?“.

დღეს მეფეები თამაშობენ ჰამლეტის როლს.

!!ელა ცათა ქვეშ და ყველა დროში,

ზოგში ნაკლები და ზოგში მეტი, —

ისე ვით მუხა — პატარა რკოში, —

ყველა ჩვენგანში ცოცხლობს ჰამლეტი.

ამაოიგის ბაზარი

მეფისტოფელს გაშლილი აქვს დიდი ბაზრობა. უკრავს ჯოჯო-ბეთის მუსიკა. დგას აურზაური.

ჟან ეფელი იცინის: ღმერთმა რომ ვარდი მოიგონა, მეფისტოფელმა -- ეკალი, ღმერთმა რომ ადამი შექმნა, მეფისტოფელმა — ევა. ჩვენც გადაგველო ეს სიცილი: ღმერთმა რომ პოლიციელი შექმნა, მეფისტოფელმა — ქურდი.

ამერიკა ამაოების დიდი ბაზარია.

აქ იყიდება ყველაფერი: ნამუსი გირვანქობით, სინდისი ბითუმად, ქალი საცალოდ. აი რას ამბობს ერთი მწერალი: „ყმაწვილ ქალებს ბაზარში გამოყვანილ თხებივით სინჯავდნენ: ქმრები ყიდდნენ — ცოლებს, დედები — ქალიშვილებს, ძმები — დებს... ნამდვილი ვაჭრებივით აქებდნენ თავიანთ საქონელს“.

აუქციონზე იყიდება ქალაქიც.

თეთრკანიანებმა უდიდესი ქალაქი ტორონტო იყიდეს 49 კასრ ლვინოდ. ამბობენ ამერიკელი წითელკანიანი, ველური ინდიელები ბიზნესშიც მოატყუეს კოლონიზატორებმა.

აუქციონზე ყიდიან დემოკრატიას ამერიკული გაქანებით.

იყიდება თეთრი სახლი პრეზიდენტთანად და ძალი ოქროს ყელსაბამით, იყიდება კონგრესი კაპიტოლიუმიანად და სენატი ყველა სენატორითურთ.

მალაზიებში იყიდება ჰემინგუეის წვერი, ჯორჯ ვაშინგტონის კალამი, მერი პიჯფორდის კოცნა, კაზანოვას თეთრეული და ა. შ.

— რა უმსგავსოებაა ეს?

— ეს ამერიკაა, აქ თავისუფლება! აქ ყველაფერი შეიძლება! — იყო პასუხი.

მე ხელში ამერიკული დოლარი ავიღე და ამოვიკითხე ლათინური წარწერა: „Liberty“, „თავისუფლება“.

თუ ასე გავიგებთ თავისუფლებას, ამერიკაში მართლაც არის თავისუფლება!

დიახ, დოლარს ნამდვილად აქვს თავისუფლება. ასი წლის უშვილო დედაბერს საპატარძლო სარეცელში ჩააწვენს; უნიჭოს — გენიოსად, ქალწულს! — მეძავად აქცევენ, მეძავს — ქალწულად, ლარიბს გაამდიდრებს, მდიდარს დაამხობს, პოლიციელს ქურდად აქცევენ, ბანდიტს — პოლიციელად, პატიმარს — მოსამართლედ დასვაშს. მოსამართლეს საკანში ჩააგობს.

ნიაგარას იქით ამერიკაა

(კუკ-ლუკს-კლანი და პოლიცია)

ცათამბჯენ „სპირალში“ ღრუბლების ზემოთ მიცოცავს ლიტტი.

ქუხს ნიაგარა.. გაღმა ამერიკაა, გამოღმა — კანადა.

იქ, ამერიკის ნაპირზე კოცონი ანთია.

გამადიდებელი აპარატით გავცქერი ნაპირს. ვეებერთელა ჯვარს ნიღბოსნებმა ბენზინი დაასხეს და ცეცხლი წაუკიდეს.

იწვოდა ჯვარი.

— კუკ-ლუკს-კლანი ზეიმობს! — თქვა ვილაკამ.

— კუკლუკსკლანელები ქრისტეს ფეხის მკვამელები არიან.

რაღაც რიტუალს ასრულებდნენ ეს კაციჰამიები.

ჯვარი კი იწვოდა.

ის მონრეალის კათოლიკურ ჯვარზე დიდი იყო...

მე მეჩვენებოდა, რომ იმ ჯვარზე გაეკრათ კაცი და წვაებდნენ...
ნიაგარის ხმაური მიშლიდა მომესმინა მათი ხორხოცი და

სიმღერა...

— ნახეთ, კაცის ხორცს ჰკამენ, — თქვა კანადელმა ჟურნალისტმა.

მომეჩვენა თითქოს კენედების მკვლელები მათ შორის ქეიფობდა... შორიდან არ ჩანდა, მაგრამ მათ კიჩებში უთუოდ ადამიანის სისხლი იყო...

— რას აკეთებს ამერიკის პოლიცია. მათი ღრეობა კანადაშიც კი ისმის. ნუთუ მათ ყურამდე არ აღწევს?

— პოლიცია რაა. ხანდისხან თეთრი სახლიც ღუმს.

იწვოდა ჯვარი გაღმა ნაპირზე...

| აპჩერად ფილმს იღებდნენ...

აოლიმცილი, რომელსაც აბაბ კუნაიარისა და მან აიბუს აზრაბი მოსდიოდა თავში

„ექსპო 67-ზე“ მქვერმეტყველებმა არაერთი შუბი დაღწეეს სადისკუსიო კლუბებში გამართულ ორატორთა დღეებში. როცა დაილაღნენ ცრუციცერონები და ფსევდოჟორესები, ორატორულ ხელოვნებაში მსოფლიო-ისტორიული გადატრიალების მიზნით, ტრიბუნაზე ავიდა ერთი ფრანგული წარმოშობის ამერიკელი.

იგი თურმე ძველად პოლიციელი იყო ნიუ-იორკ-სიტიში, ხოლო ბოლოჯამს ნიაგარა-ფალსის მახლობლად ბორდელეების ტიპის სახლებია და შეძავთა დაწესებულებების ზედამხედველად უმუშავებდა.

ყველა ამ აპბების გარდა, იგი აოცებდა ჟურნალისტებს იმით, რომ ნეტარხსენებული აბატ კუნაიარის აზრები მოსდიოდა თავში საოცარის სიზუსტით.

ტრიბუნაზე ავიდა თუ არა, დარბაზში სტვენა ატენეს.

— მისტერ, რატომ მიგიღოთ საზოგადოებამ ასე ცინიკურად? — შევეკითხე მე.

— „სერ, მე ტალანტი ვარ, ტალანტში არის რაღაც გამომწვევი და თავხედური, რომელსაც ყრუ ზიზღითა და ცილისწამებით ემსკვაღვიან კაცნი. კაცი, მოგეხსენებათ, მხეცია ბუნებით“. — ოლიმპიური სიმშვიდით მდაბასუხა მან. შემდეგ განაგრძო:

„ვინც კაცთა ბელადობას კისრულობს, არასოდეს არ უნდა იფიწყებდეს იმას, რომ ისინი ბილწი მაიმუნები არიან მხოლოდ და მხოლოდ“.

ასეთი იყო ამერიკელი ორატორის კრედო.

— სერ, როგორაა თქვენი საქმე?

— „ჩვენი საქმე თანდათან ხელიდან მიდის და ჩვენს მთავრობაშიც ბევრი გაიძვერა და მპარავი. ძალაუფლება ბრიყვებსა და უკეთურებს უპყრიათ ხელთ“.

— რას იზამდი, შენ რომ იყო მთავრობაში?

— „მე დავაწესებდი მკაცრ სასჯელს, მისთვის ვისაც შეეძლო სრულყო სახელმწიფო, მაგრამ არა პყო“.

„ბატონო ჩემო, მთავრობა, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ყველაზე გაცვეთილი პარტიონების მოთხოვნებს, ხალხის აღმფრთხილებს და უნდა დამხობილ იქნას“.

— სერ, როდის დაემხობა არსებული წეს-წყობილება?

— „თითქმის უცვლელია ახალშობილთა, ახალშეუღლებულთა, რქიანთა და ჩამოხრჩობილთა რიცხვი, ხოლო ესაა უპირველესი მაჩვენებელი მტკიცე საზოგადოებრივი წყობილებისა“.

— რას ფიქრობთ მომავალზე?

— „ყოველის მხრიდან, ყოველის ხვრელიდან თავს წამოყოფენ უსუსური პატივმოყვარენი და უმაღლეს თანამდებობებზე აცოცდებიან და რაკი პარტიონება აკის ბუნებრივი ნიშანი კი არა. ხანგრძლივი ზრუნვითა და რუღუნებით აღზრდილი თვისებაა მხოლოდ, სახელმწიფო ხაზინას მყისვე სვაფივით დააცხრება თავს მპარავთა და მექრთამეთა ლაშქარი“.

„რადგან ყველა კამს, რადგან ასეა,
ისი ურცხვად მყის, რაც ხალხს
ოფლით დაუთესია.
იის ყველაფერს აპატიებს მას
მომავალი,
ის წავა, მასზე უარესი მოვა
მრავალი“.

ასეთია სულიერი პესიმის ფილოსოფია, რომელიც ყოფილი პოლიციელის დუქმორეული ბაგეებით ლაღადებდა...

მარიასიხი სალადოგო პერალდიკის თხმევაზე და პოლისიხილავი

ამერიკა. 1967.

წვიმიანი დღე მონრეალში.

ღრიანკალის თანავარსკვლავედქვემ ვდგავარ წმინდა ლავრენტის ნაპირებზე.

წიგნის კიოსკთან ვილატა შლეგი,

ჰეგელსაქებს და აძაგებს შლეგელს.

ხელში მიჭირავს ბერლინში გამოცემული მსოფლიო ჰერალდიკის წიგნი.

უცნაურმა აზრმა გამიელვა: ავიღო ინტერვიუ ყველა ქვეყნის პოლიციელისაგან (ესენი ხომ აქ არიან ამერიკაში — წმინდა ელენესა და ნოტრ დამის კუნძულებზე). გავიგო რას ფიქრობს მავანი და მავანი პოლიციელი თავისი ქვეყნის ჰერალდიკურ ნიშნებზე. და დავიწყე „ჰერალდიკური ოდისეა“ დედამიწის ირგვლივ.

ბელგიელი პოლიციელის ქულზე შევნიშნე: სისხლიან ენას მიყოფდა და მტაცებელი ბრქვალეებით დაგლეჯას მიქადდა გამებეზული ლომი.

— რამ გააბრაზა თქვენს გერბზე ლომი? — ვკითხე პოლიციელს.

— პროლეტარიატმა სერ, რომელიც დამხობას უქადს მეფის ტახტს! — იყო პასუხი.

— მაშ, ცუდად ყოფილა თქვენი საქმე, ერთი ლომი კი არა, მსოფლიოს ლომები ვერაფერს დააკლებს მის უდიდებულესობას — პროლეტარიატს.

— ამას დიდი ხანია მიხვდნენ დანიაში და სახელმწიფო გერბს (ალბათ დაცვის გაძლიერების მიზნით) სამი ლომი ახატია. უფრო მეტიც, მეფის გერბს ექვსი ლომი, ორი ცხენი, ხუთი სპილო, ფასკუნჯი, გედი, თხა და ღმერთმა უწყის კიდევ რა არ ამკობს.

თუ არ გჭერათ შეხედეთ ამ დანიელ პოლიციელს, რომელიც სკანდინავიის პავილიონს იცავს.

მართლაც მთელი სამხეცე ეხატა მის ქულს.

— ფინეთს უფრო ორიგინალურად გადაუჭრია ეს პრობლემა: გერბზე დახატული ლომი შეუიარაღებია ხმლით, ფეხქვეშ ლომს სხვა ხმალი უდევს. (ეტყობა ეს ძლეული მტრის ხმალია!). ეს უბრალო ლომი არ გეგონოთ: თავს სამეფო გვირგვინი ადგას!

მაგრამ დიდი ბრიტანეთის მეფის ლომი მაინც სხვა არის. ის მუსიკალური ლომია, ჩანგზე დაკვრასაც კი აპირებს. მეფეს რვა ლომი იცავს და ერთი ცხენი.

და მთელ ამ სამხეცეს დაატარებს სკოტლანდ-იარღელი პოლიციელი მთელ მსოფლიოში.

იტალია რომ იტალიაა, მასაც უსაზღვრო სიყვარული ჩაბუდებია ლომისადმი; რომაული ლომი ფრთიანია და ხმლიანი.

შვედებმა გადაწყვიტეს თუ ოთხი ლომი იქნება ჩვენს გერბზე, ჩვენს ბედს ძალღი არ დაჰყევსო. რად უნდა მათ ან ნაჯახი, ან ხმალი.

ესპანელმა ოთხი ლომი დაახატა გერბს, მაგრამ ეცოტავა და ვეებერთელა შავი არწივიც დაამატა ზედ.

ირანის შაჰი ლომს ანდობს ბედს, ოღონდ მას აიარაღებს სისხლიანი ხმლით. ამ ემბლემით ამაყად გვიმზერდა ირანელი პოლისმენი.

კანადამ 6 ლომი დაახატა დროშას, თან ასიამოვნა აშშ ერთ პარტიას და ვირიაც დაუმატა ზედ.

ამერიკის ექსპანსიას ვირები და ლომები კი არა, მეფისტოფელთა არმიაც ვერ გააჩერებს.

ის უკვე იპყრობს კანადას.

მექსიკის პოლიციელებს ამკობდათ არწივი, რომელიც მუსრს ავლებს გველს.

ურუგვაის პოლიციელის ფორმა ცხენისა და ძროხის კულტს აქებს.

ვენესუელა. ცხენი ახატია გერბზე. ვენესუელის პოლიციელი ცხენზე ზის და ცხენს ეთაყვანება.

ავსტრალიური ჰერალდიკა უმღერის სირაქლემას, კენგურუს, ლომის, არწივის, შავი გედის კულტს.

ახალი ზელანდიელი პოლიციელის ფორმა კი ცხვარს ადიდებს.

ყველა ამ ემბლემით დადიოდნენ პოლიციელები „ექსპო-67“-ის — ამ მიკრო მსოფლიოს ტერიტორიაზე.

და ასე მეგონა, რომ მათ შურდათ იმ მხეცებისა და ფრინველებისა, რომლებიც ახატია მათ გერბებს და დროშებს, რადგან პოლიციელებს არასოდეს არ ეღირსებათ ასეთი პატივი და უკვლავება.

**როგორ მიხატოდა ერთი PADRE
რომ მე ძრისტანს ღვიძლი ნათესავი ვარ**

Радуйся, распятый Инсусе,
Не слезай
с гвоздей своей доски.
А вторично явисься —
сюда не суись.
Все равно:
повесись с тоской!

მაიაკოვსკის ეს სტრიქონები წავაკითხე ერთ კათოლიკე მღვდელს.

— მკრებელობა თქვენ არ გეკადრებათ, სერ, თქვენ ქრისტეს ნათესავი ბრძანდებით!

მე გაოცებისაგან კითხვის ნიშნად ვიქეცი.

მერე ძლივს ამოვილულულე:

— რა ბრძანეთ?

— ამით რა გინდა თქვა, — მითხრა პოლისმენმა.

ვილაცამ დამასწრო პასუხი:

— „ამით ის მინდა გითხრა, რომ მე დაეწერ ახალ „ქებას სისულელისას“, რომელშიც ბრიყვი სიბრიყვეს ხედავენ მხოლოდ-მაგრამ ბრძენისათვის შეუძინეველი არ რჩება სიბრძნე, წინდახედულად შენიღბული და შეფარვით თქმული ავტორის მიერ“.

— ოჰო, — თქვა პოლისმენმა, რომელიც იმ წუთში საოცრად ჰგავდა მეფისტოფელს. — სიბრძნეს შენიღბვა რად უნდა?

— შეუნიღბავი სიბრძნე თქვენთან ეშაფოტზე აიყვანს კაცს, — ვუპასუხე მე.

პოლიციელს არაფერი არ უთქვამს, დუმდა.

ამბობენ დუმილი თანხმობის ნიშანიაო.

* * *

არ ვიცი, მომიწევს თუ არა კიდევ გადალახვა ოკეანისა, რომ ამერიკის მიწას დავადგა ფეხი, მაგრამ თუ მომიწია, მინდა ეს მშვენიერი კონტინენტი უმეფისტოფელოდ ვიხილო. დღეს კი...

იქ არის ქვეყნის დასაღიერი,
მეფობს კენი და სალიერი...

ამერიკა-ევროპა.

მონტე-ქარლო...

მონტე-ქარლო და მონაკო დედამიწაზე ალბათ, ერთ-ერთი ულამაზესი ადგილია. ხმელთაშუა ზღვა, საფრანგეთის ლაჟვარდოვანი ნაპირი, სამოთხისებური ბუნება, რომანტიკული სანახები, დახვეწილი არქიტექტურა...

თანაც საოცარი კონტრასტების ქვეყანაა, ბურჟუაზიულ ზნეობათა თეატრია. აქ ყველა თამაშობს როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით:

ვინ კაზინოს სცენაზე.

ვინ სამორინეს „რულეტისა“ და ბანქოს დარბაზებში.

...„პიკის ქალი“ თეატრში და „პიკის ქალი“ ფსონის ქალაქის სათამაშო მაგიდაზე...

მაგიდებსა და სავარძლებზე ჩვეულებრივი ტყავი კი არა, მაგრენის ტყავია გადაკრული.

ბედისწერასავით ტრიალებს „რულეტის“ მწვანე ხავერდ-პატარა ბურთი და წერასაყოლილ ადამიანებს ბურთივით ათამაშებს.

ციფრები, საკრამენტული ციფრები სამორინეს მაგიდაზე წყვეტენ ადამიანთა ბედს, იღბალს, ხშირად მათი ცხოვრების ძაფსაც.

ტრიალებს ბურთი და, ვინ იცის, რა შავ საქმეებს ატრიალებს. სამორინეში დროის ჩაზხის უკუღმა ტრიალი...

ადამიანები კლავენ დროს, დრო კლავს ადამიანებს...

ყველა დარბაზი სავსეა ადამიანებით, ჯიბეები — ფულით და მაინც სიცარიელეს ისე არსად გრძნობს ადამიანი, როგორც აქ, მონტე-კარლოში...

აქ ზოგს ფული აკლია. ზოგს — დრო, ზოგს — ორივე ერთად.

ვის ჯიბე აქვს ცარიელი, ვის — თავი, ვის — ორივე ერთად... გზა-აპნეულნი გონიერებას უგუნურებაში ეძებენ და ბედნიერებას — უძედღურებაში, სიკეთეს — ბოროტებაში.

აქ ფული ამოდრავებს ყველაფერს, ადამიანის გაზარმაცებულ აზრსაც, წარყვნილ ვნებასაც, პისტოლეტის ჩახმახსაც და ბედის ბორბალსაც.

სამორინეს მონტე-კარლოში კულტურულ ცენტრად თვლიან სინამდვილეში ბურჟუაზიული კულტურის კერაა, ბანქოს თამაშისა და ფულის წაგება-მოგების კერა, ილუზიების მსხვერვე-კერა.

— ჩვენ, მონტე-კარლომ, ამერიკას ჯორჯ ბალანჩინი მივეციტ, მათ რა მოგვეცეს? აი ეს — „ჯეკ ბლეკი“¹ — ირონიით თქვა იქაურმა თეატრალმა და ბანქოს სათამაშო მაგიდაზე მიგვივითთა.

— მონტე-კარლო საოცრებათა ქვეყანაა. აქ ერთ ღამეში შეიძლება მილიონერი გახდეს, და პირიქით, მილიონერი გალატაკდეს, — თქვა ერთმა ფრანგმა ჟენტლმენმა.

სამორინეს შესასვლელ დარბაზში, სადაც „ბალეტ რუსეს“ და „ბალეტ 1933“ რეკლამებია, დახატულია ქალი, ბანქოში წაგებულ თეთრეულს რომ იხდის.

ღიახ, ქალები თამაშობენ ბანქოსა და „რულეტს“.

მონტე-კარლო ოქროთია მოვარაყებელი, მაგრამ ამ ოქროს ფულის ჭუჭყი ფარავს.

სამორინეს თეატრში შევედი. სცენაზე არავინ იყო. არც დარბაზში.

თეატრი მაინც სხვაა, სხვა ფიქრებს, აზრებსა და განწყობილებას ბადებს. მხოლოდ მას შეუძლია განწმინდოს სული იმ ჭუჭყისაგან, რომელსაც ფული აყენებს სამორინეში...

¹ ჯეკ ბლეკი — ინგლისურად „შავ ჯეკს“ ნიშნავს, რაც გადატანით ბანქოს თამაშის სახეობაა.

სავარძელში დავეშვი და ფიქრებში ჩავიძირე...

ღარბაზში თითქოს იღუმალი ხმა ამეტყველდა და მომესმა ჭაბუკი ბალანჩინის მონოლოგი. სიტყვები სადღაც შორს სიჩუმის წიაღში იბადებოდნენ... თეატრში ბორგავდა ხმა ჭაბუკი ბალანჩინისა, რომელიც მოწყვეტილი ვარსკვლავივით ციმციმებდა ევროპის ცის კაბადონზე... ბალანჩინი ებრძოდა ბალანჩინს:

ამ ფულის ტიკებს ჩემი დიდება
ისე სჭირდება მონტე-კარლოში,
ვით მკვდარს ექიმის მოვლა
სჭირდება
და ბალერინას — ბველი
კალოში..

ხმა განაგრძობდა:

ფულის მონობა არა მჩვევია,
მწამს, გზას გავიკვლე, ნიჭით
საჩინო...
ვწუხვარ, რომ მხოლოდ ის
დამრჩენია.
რომ უცხოეთში ვიბალანჩინო.

აქ იღუმალ ხმას თითქოს ბზარი გაუჩნდა, ერთხანს დუმდა მერე კვლავ ალაპარაკდა.

ვინც ხელოვნება ფულში
გაცვალოს,
აწ და მარადის იყოს წყვეული,
აქ ჯოჯოხეთში ვეძებ სამოთხეს,
თვით სამოთხიდან გამოქცეული...

თეატრის სცენაზე თითქოს ჭაბუკი ბალანჩინი მოტყდა და დაბერდა. სინანული შეეპარა ხმას.

ხმა იღუმალი გაქრა და მოჩვენებაც. ლექსს კითხულობდა თურმე ერთ-ერთი მონტე-კარლოელი პოეზიისა და ბალეტის მოყვარული.

— დიახ, მუსიე, აქ ჯორჯ ბალანჩინმა სცენაზე თამაშით შეძრა მონტე-კარლო და მონაკო — მსოფლიოს ბანქოს მოთამაშეთა იმპერიის კაპიტოლიუმში, მაგრამ აქვე, ქალბატონები და ბატონები საქართველოდან მოსულმა სხვა ჭენტლმენმა ბანქოს თამაშითაც შეარყია... მონტე-კარლო მონტე-კარლოსავე იარაღით დაამარცხა.

ეს გახლდათ მე-19 საუკუნის გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის თანამებრძოლი პოეტი, დრამატურგი და კრიტიკოსი გიორგი შერვაშიძე.

— ერთხელ პარიზიდან მონტე-კარლოში ჩამოსულან ქართველი სტუდენტები. მათ შორის გიორგი შერვაშიძეც ყოფილა. შეუხედავთ სამორინეში. იქ ვილაც პრინცებსა და პრინცესებს მასხარად აუგდიათ ისინი, მღაბიოებს აქ არაფერი ესაქმებათო — და შევიცარს უხმეს თურმე: — გაიყვანეთო ეს გლეხუკები აქედახ.

ინცინდენტი, ალბათ, დუელით დამთავრდებოდა, რომ გიორგი შერვაშიძეს გონება მახვილობა არ გამოეჩინა.

— არა, ბიჭებო, ამ პრინცებს პისტოლეტით ვერაფერს დაუშტკიცებ. ისინი მათივე იარაღით — „რულეტით“ უნდა დაამარცხოთ სამორინეში. — უთქვამს მას და სადარბაზო ბარათი უჩვენებია. — ის ხომ აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის შვილი იყო.

...შეება თურმე გიორგი რომელიღაც პრინცს და ვა-ბანკით ითამაშა ასი ათასი ფრანკი! ითამაშა და... მოიგო!

პრინცმა გაცემებისაგან პირი დაალო თურმე, გიორგი შერვაშიძემ კი, ვითოც არაფერიო, ის ასი ათასი ფრანკი შევიცარს აჩუქა ჯიბის ფულად...

პირდაღებულ სამორინეში ტაშის გრიალი გაისმა თურმე. ეს ვილაც არის, მღაბრო კი არა. მულტიმილიონერი ყოფილაო და ბოლიწი მოუხადეს.

რა იცოდნენ, რომ გიორგი შერვაშიძე ნასესხები ფულით დაბრუნდა პარიზში.

— ამ თემაზე, ბატონებო, ერთმა აფხაზმა მწერალმა ნოველაც კი დაწერა, — ვთქვი მე მონტე-კარლოში.

— ეგ შეუძლებელია, ეგ ნოველისტის ფანტაზიაა, — ახმაურდა მონტე-კარლოს თეატრის დარბაზი.

უხმეს მონტე-კარლოს კაზინოს არქივარიუსს — თითქოს საფლავიდან წამომდგარა მემატიანე შემოვიდა კაზინოში. ჩაიწერა გიორგი შერვაშიძის გვარი და გაუჩინარდა. ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდა და გამოაცხადა:

— კაზინოს მატრიანეში წერია ეს ფაქტი — ქართველმა თავადმა, რომლის შესახებ მხოლოდ ის ვიცით, რომ გიორგი ერკვა, ხურდა ფულად დაუტოვა კაზინოს მსახურს მის მიერ გერმანელ პრინცთან მოგებულ 100.000 ფრანკი...

დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. მონტე-კარლო ერთხელ კიდევ შეძრა გიორგის ამბავმა. კაცის სახელი მას ფულში არ გაუცვლია.

მონტე-კარლო-თბილისი.

პალერმოს პალმები და ზეთისხილის რტო

„სიცილიის მარგალიტი,
გაურთხოს ცის ძალმა,
რომის შემდეგ მე შენ გაძლე
პირველობის პალმას“.

იტალიური ხალხური ხიმღერიდან:

ფრაგმენტები მხვენიარი პალიზვილის ანკეტიდან

სიცილიელი პოეტები ამბობენ, პალერმო შეიძლება შეადარო-
ლამაზ იტალიელ ქალიშვილს, რომელსაც ხმელთაშუაზღვისფერი.
თვალები აქვსო. ამ ლამაზ ქალწულს, რომელიც პეტრარკას,
ლაურაზე უფრო ლამაზია, ანკეტა რომ შეევესო, მისი ფრაგმენტე-
ბი ასეთ სახეს მიიღებდა:

სახელი — პალერმო, დაბადების ადგილი — იტალია, კუნძუ-
ლი სიცილია, დაბადების წელი 350 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე,
(ნუ მიწყენენ იტალიელი პოეტები და ქალიშვილისათვის არც ისე
მცირე ასაკია!), მშობლები — იტალიელი ხალხი. თანამდებო-
ბა — სიცილიის დედაქალაქი. დედაენა — იტალიური, რომელ-
უცხო ენებს ფლობთ — ფრანგულს, არაბულს. საზღვარგარეთ-
თუ გყავთ ნათესავები — მყავს ძმადნაფიცი ქალაქი თბილისი.
საქართველოს სსრ დედაქალაქი.

— გეთაყვა, — ვუთხარი ამ მშვენიერ ლამაზ ქალიშვილს, პა-
ლერმოდ წოდებულს. — შიამბეთ როგორ გახდით ფიცკერცხლ-
ნაჭამი ქალაქები — თბილისი და პალერმო?

იტალიელი ბავშვები თბილისში

ამ ხუთიოდე წლის წინათ ძლიერმა მიწისძვრამ შეძრა თურქე
სიცილია. უსახლკაროდ დარჩა ათასობით ოჯახი. მთელი მსოფ-
ლიო დაეხმარა იტალიას მიწისძვრის შედეგების აღმოფხვრაში. მას
დახმარების ხელი პირველმა საბჭოთა კავშირმა გაუწოდა. და აი
გამოჩნდნენ თბილისში უსახლკაროდ და უდემამოდ დარჩენილი
იტალიელი გოგონები და ბიჭუნები.

თბილისმა დედასავით ჩაიკრა ისინი გულში, სითბო და აღურ-
სი არ მოაკლო. აქ იტალიელი ბავშვები თავს ისე გრძნობდნენ, რო-
გორც შინ, მოკეთდნენ, დაისვენეს, ჯანმრთელობა აღიდგინეს სა-
ქართველოს ზღვისპირეთში, აქ რომ აგონებდათ მშობლიური
იტალიის ნაპირებს, და კვლავ სამშობლოში დაბრუნდნენ. იმ დრო-
ისათვის იქ მიწისძვრის შედეგების კვალი თითქმის გამქრალაყო.

ქართულმა სტუმართმოყვარეობამ აალაპარაკა მთელი იტალია. მადლიერმა პალერმელებმა თბილისელები სიცილიაში მიიწვიეს.

უფრო ადრე პალერმოს დელეგაცია იმყოფებოდა თბილისში.

ასე ჩაეყარა საფუძველი თბილისისა და პალერმოს ძმადნაფიცობას.

იტალიაში გვიტხრეს, ამ ორიოდ წლის წინათ თბილისის დელეგაციის ჩასვლა სიცილიაში სამუდამოდ შევიდა ქალაქ პალერმოს მატინანშიო.

ქალაქის მუნიციპალიტეტი, მერი და პრეფექტი — იტალიაშითავრობის ადგილობრივი წარმომადგენელი — გულლიად შეხედნენ საბჭოთა საქართველოს წარგზავნილებს.

დაიდო პირველი ხელშეკრულება პალერმოსა და ჩვენს დედაქალაქს შორის კულტურული ურთიერთობის სფეროში.

ფიქრები ილიაზე და გარიგალდოვა

გარიგალდის სურათებს ვუყურებდი პალერმოს წიგნის სალაზის ნათელ ვიტრინებში და ილია კავკავაძე მახსენდებოდა.

ყველა ქართველმა სკოლის მერხიდან ზეპირად იცის ეს ლექსი:

მესმის, მესმის სანატრელი,
ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა!
სიპართლის ხმა ქვეყნადა ქქუხს
ოპატრგონელად მოწობასა.
აღმიტაცებს ხოლმე ის ხმა
და აღმიგზნებს იმედს გულში.
ღმერთო. ღმერთო! ეს ხმა ტკბილი
გამავონე ჩემს მამულში!

ეს „ხმა ტკბილი“ დიდი ხანია გაიგონა ილია კავკავაძის სამშობლომ და მისმა თბილისმა.

ეტიუდი პალერმოს ნავსადგურში

თითქმის ნახევარი მსოფლიო შემოვიარე. მაგრამ არსად იმდენი ეტლი და ცხენი არ მინახავს, რამდენიც მუსიკის, სუბტროპიკებისა და მათიის დედაქალაქში — თვალწარმტაც პალერმოში.

ისინი საოცარ ეგზოტიკურ სანახაობას ქმნიან პოლიციელების ზიზილ-პიპილა ავტომობილების, „ფიატისა“ და ფორდის მანქანების გვერდით პალმოვან და მთიან პალერმოს ნავსადგურში.

ეტყობა, ჭერ კიდევ შორს არის ის დრო, როდესაც პალერ-

მოელი დარდიმანდი ბიკი ბუბა კიკაბიძესავით იმღერებს სევდანარევე სიმღერას:

— უკანასკნელი მეფაიტონე
ქუჩაში ფეხით დადის...

და უნებლიეთ გავიფიქრე პალერმოში: განა აქ მანქანები უჭირთ? არა, წარსულის მოკვლა ენანებათ, წარსულს უფრთხილდებიან და ბიზნესს აკეთებენ წარსულისადმი ადამიანური სიყვარულის ხარჯზე.

მაიაკოვსკი, ლამაზი ძალიშვილი და ისევ ეტლეგი

მევიდვარ პალერმოს ზღვისპირას. ირგვლივ დულს და გადმოდის იტალიური ტემპერამენტიანი ქალაქის ცხოვრება. ერთ მომზაბგულელ იტალიელ გოგონას ვეკითხები:

— სენიორიტა, რატომ არის ამდენი ეტლი პალერმოში? გულიანად იციანის.

— სინიორ, თქვენ ხომ წარსულში მოხვედით? ჩვენი დღევანდელობა თქვენი წარსულია, — გახსოვთ, როგორ თქვა მაიაკოვსკიმ?

თურმე, იტალიელ კომკავშირელ გოგონას ველაპარაკებდი. ლერმოში კითხულობენ მაიაკოვსკის.

მიჯაჭვული ღვთისმშობლის ძალაძი

დავიდვართ პალერმოში ფეხით, მანქანით, ეტლით, გემითა და ოცნებით.

პალერმოს მიჯაჭვული ღვთისმშობლის ქალაქსაც ეძახიან.

გიდი გვიყვება პალერმოს ღვთისმშობელზე სხვადასხვა ლეგენდასა და ვერსიას. ამბობენ, თითქოს მუსულმანმა თურქებმა შემოსევებისას შუა საუკუნეებში ქრისტიანი ღვთისმშობელი ჩაქვეით დააბეს.

— გიდთან დიდ ბოდის ვიხდი, მაგრამ, ვფიქრობ, ასე არ არის. — თქვა ერთმა იტალიელმა კომუნისტმა, — პალერმოში იმდენი უსამართლობა და უბედურება ხდება, რომ ღვთისმშობელს გაქცევა უნდოდა სიცილიიდან და ამიტომ, ეტყობა, მორწმუნეებმა ჩაქვეით დააბეს, რომ უღვთისმშობლოდ არ დარჩენილიყვნენ.

ახლა ლეგენდებით აღამაზებენ სინამდვილეს.

მონრეალში, პალერმოს ახლოს...

მონრეალში, პალერმოს ახლოს, გვიჩვენეს შესანიშნავი ტაძრები.

ერთ-ერთ მათგანში საღამოს შევედი. ბნელია. პადრემ შუქი არ აანთო.

— ესენი ხომ უცხოელები არიან? — ჩუმად იუბნება გიდი იტალიურად, — აანთეთ შუქი.

— ფული! — ამბობს პადრე და მსუნაგ თვალებს აცეცებს.

— მერედა, სტუმართმოყვარეობა? — ახსენებს გიდი „წმინდა მამას“.

— სტუმართმოყვარეობა იტალიელს არ დაეწუნება, მაგრამ არც ბიზნესი უნდა დაეწუნებოდეს. — ანბობს პადრე და მსუნაგად ითვის ლირებს.

ლეთის ახლში ფული უფრო ფასობს, ვიდრე სტუმარი.

პადრემ შუქი არ აანთო, სანამ შუქის ფული არ მიითვალა მაინც მომეჩვენა, რომ იმ ტაძარში ბნელოდა.

პადრეს ბნელი სულის განათება რომელ ნათურას შეეძლო?

„ოქროს ველი“ კონკაღოროში

პალერმოსთან გვიჩვენეს ზღაპრული ფორთოხლის ბაღები.

— ამ ველს ოქროს ველს ეძახიან, — ამბობს გიდი.

პოეტები ფიქრობენ, „ოქროს ველი“ იმის გამო ჰქვია, რომ აქ ოქროს ნაყოფს ისხამენო ხენი. სინამდვილეში კი მილიონერებმა ოქრო ამოქაჩეს ამ ველებიდან და იმიტომ ჰქვია „ოქროს ველი“, — ამბობს სიცილიელი გლეხი.

ლაურა კითხულობს პეტრარკას...

რომელ იტალიელს არ უყვარს პეტრარკა, სიყვარულის პირველი პოეტი?!..

მისი მუზა ლაურა იყო.

ჩვენს გიდსაც ლაურა ჰქვია.

მშვენიერი იტალიელი ქალიშვილია.

— „ლბათ. თქვენსავით მშვენიერი იყო პეტრარკას ლაურა. — ვეუბნებით მომღიმარე გიდს.

იცინის და უარის ნიშნად თავს აქნევს.

— ასე რომ იყოს, პალერმოში ახალი პეტრარკა დაიბადებოდა

— მე სიურპრიზი მაქვს თქვენთვის, — მეუბნება ლაურა.

— რა?

პატარა წიგნი გამოვიწოდა.

ეს იყო მიხეილ ქვლივიძის ლექსები იტალიურ ენაზე.

— მითხრეს, ქართველებიც იქნებიანო, და წამოვიღე. სამწუხაროდ, სხვა ქართველ პოეტებს არ ვიცნობ, — ღიმილით და ღვთაებრივი იტალიურით ლაპარაკობს ლაურა.

— ვინ მოგწონთ ახალგაზრდა სიცილიელ პოეტებს შორის? — ვეკითხები ლაურას.

— არავინ. ყველანი პროზად წერენ და ლექსებიანო, აწერენ კრებულებს. განა აი ეს სახედარი მერნად იქცევა, მას რაში რომ დავარქვათ? — ამბობს ლაურა და ფორთოხლით დატვირთულ ვირზე მიუთითებს. სიცილია კი პოეზიის იტალიური სამშობლოა.

მერე უცებ აცხადებს:

— მე გიმღერებთ სიცილიურ ხალხურ სიმღერებს და მღერის სულში ჩამწვდომად, ლამაზად, მთელი გრძნობით... მართლაც, რომ ყველა იტალიელი მომღერალია.

„დეკამერონი“ ეკრანზე და... ქუჩაში

პალერმოს აფიშები იუწყებოდნენ, რომ ქალაქის კინოთეატრების ეკრანებზე გადიოდა პრავალსერიიანი ფილმი „დეკამერონი“. კინოთეატრებში კი არავინ ჩანდა.

გავვიკვირდა, ნუთუ პალერმოში ბოკაჩო არ უყვართ?

— „დეკამერონი“. მოგონილია, რაც პალერმოს ქალაქის ქუჩებში ხდება, აბა, შეხედეთ, — თქვა გიღმა და ხელი ჰიპებისაკენ გაიშვირა. ვის რად უნდა ეკრანზე დანახული „დეკამერონი“, როცა ქუჩაში ხედავენ უარეს ორგეებს.

ბოკაჩოს ერთ დროს უზნეო მწერლად თვლიდნენ. დღეს „დეკამერონი“ ყველაზე პურიტანული ნაწარმოებია იტალიაში, რომლის წიგნის ბაზრები წარყვნილია სექსუალური და პორნოგრაფიული ლიტერატურით.

ქაოსი

ერთი თვალწარმტაცი სოფელი გვიჩვენეს პალერმოს ახლოს. უცნაური სახელი ჰქვია — ქაოსი. ამბობენ, ამ სოფელში ბევრი მხატვარი ცხოვრობსო.

გიდი გვიხსნის:

— აქაურ მოდერნისტ მხატვრებს, როცა ეუბნებდნენ, ფერაფერი გავიგეთ, ეს რა დაგიხატავთო, ისინი ამბობენ:

— რა ვქნათ, ბატონო, ქაოსშია: დახატული ეს სურათებიც...

— მეტი შავი ქვა მონრეალს! — ამ დღეებით გამოვიდა თურძე ერთი პროვინციული გაზეთი ეტნის მახლობლად მდებარე პატარა ქალაქში.

კინალამ აჯანყდნენ მონრეალელები.

შავი ქვაც და შავი სიკვდილიც თქვენაო, შეუთვალეს ეტნის ქვით ტაძრის აგების მესვეურებს.

მაგრამ მაინც ააშენეს ეტნის შავქვიანი ტაძარი მონრეალში.

— ახლა უკვიროთ, რომ ხშირად ჯანყდებიან მონრეალელები, — თქვა ერთმა იტალიელმა.

— კაცმა რომ თქვას, რა არის აქ გასაკვირი? ვულკანის ქვით ნაგები ქალაქი ვულკანზე ზის. იტალიაში არის სხვა ეტნა, რომელიც არც ერთ გეოგრაფიულ რუკაზე არ ჩანს. ეს არის სოციალური ვულკანი...

ო, მისი ცეცხლისა ეტნაზე მეტად ეშინია იტალიის მთავრობას...

ვაშა, ყვავილოვან ნუში!

სიცილიაში იციან მშვენიერი საგაზაფხულო ზეიმი — „ნუშის ყვავილობის დღესასწაული“.

ეს არის სახალხო სეირნობა, კარნავალი, ძველი ეთნოგრაფიული და ფოლკლორული რომანტიკით აღსავსე. ეს არის გაღვიძებული ბუნების დღესასწაული.

როცა უყურებ ამ საოცარ სანახაობას, უცერად იბადება აზრი: ჩვენთანაც ხომ არ შემოვიღოთ „ვაზის ყვავილობის“ დღესასწაული?

ეს პალერმოს მიბაძევა კი არა, ძველი ქართული ტრადიციის აღდგენა იქნებოდა, რომელიც უფრო დაამშვენებდა საქართველოს უძველეს დედაქალაქს.

— ამ რომანტიკული ოცნების ხორცშესხმას ბევრი თანხა სჭირდება, — მითხრა პალერმოში ერთმა ჩემმა თბილისელმა მეგობარმა.

— ნუთუ ეს ასე ძნელია, — მივუგე მე, — თბილისში არის თითქმის ყველა ქართული ქალაქის ან სოფლის სახელობის ქუჩა. ყოველ თბილისურ ქუჩაზე რესპუბლიკის ერთმა რაიონმა რომ აილოს შეფობა და ვაზნარი გააშენოს, ეს არც ისე ფანტასტიკური წინადადებაა.

ქადარი კარგია, მაგრამ საქართველო მაინც ვაზის ქვეყანაა.

„ვაზის ყვავილობის დღესასწაულის“ იდეამ კონსტანტინე გამსახურდიას „ვაზის ყვავილობა“ გამახსენა. აჰ რომანმა კიდევ ის,

რომ კონსტანტინე გამსახურდია თბილისში გალის ქუჩაზე ცხოვრობს. განა ძნელია, ვთქვათ, გალელებმა შეფობის წესით თბილისში გალის ქუჩაზე ასიოდე ძირი ვაზი დარგონ?

ან ნაფარეულელებმა ნაფარეულის ქუჩაზე იგივე გააკეთონ?

არა, არ არის ძნელი. სამაგიეროდ, თბილისი აყვავებულ ვაზნარს დაემსგავსებოდა.

„ვაზის ყვავილობის დღესასწაულზე“ მთელი საქართველო მოიყრიდა თავს. ეს იქნებოდა ქეშმარიტად ეროვნული, ხალხური დღესასწაული.

ამ ფიქრებში გართული ვუყურებდი ნუშის დღესასწაულს სიცილიაში და ყურძნის მტევნებით დახუნძლულ თბილისს ვხედავდი, ვაზის ცოცხალი ფოთლებით მოჩუქურთმებულ ჩვენს მზეთუნახავ დედაქალაქს.

დაუვიწყარია პალერმოში გატარებული დღეები, დაუვიწყარია თვითონ პალერმოც, პალმებისა და ზეთისხილის რტოებქვეშ მფეუქავი ქალაქი-მზეთუნახავი.

ვტოვებდით ხმელთაშუა ზღვის ამ მარგალიტს და გემბანიდან ლაევარდ ცის ფონზე ვუცქერდით ნამდვილ ეტნაზე მალალ მეორე ეტნას — იტალიის იმედის მწვეკრვალს, რომელიც დედამიწის ყველა კუთხიდან ჩანს.

მარად დაუვიწყარია პალერმოს პალმები და ზეთისხილის რტო...

პალერმო-თბილისი

სანტ-ანჯელო (სათანჯო)

ამ გაზაფხულზე საფრანგეთ-იტალიის ლაევარდოვან სანაპიროზე საბჭოთა ჟურნალისტების ოდისეადაში მონაწილეობის დროს დაუვიწყარი შეხვედრა მქონდა იტალიის ერთ-ერთი უძველესი კულტურის ტაძრის — გენუის უნივერსიტეტის პროფესორებსა და სამეცნიერო ბიბლიოთეკის მუშაკებთან.

...გენუის ნავსადგურიდან უნივერსიტეტამდე ორიოდ ნაბიჯია. ერთმა იტალიელმა დოკერმა გზა ასე გვასწავლა:

— „ლეონარდო და ვინჩის“ ხომ ხედავთ? — თქვა და ვეებერთელა გემზე მიგვითითა, — იმას რომ გაცდებით, ხელმარჯვნივ ქრისტეფორე კოლუმბის ძეგლია, იმ ძეგლს აღმოსავლეთ ფასადზე აწერია „კოლუმბს — მადლიერი იტალიისაგან“, იმ ფასადის მიმართულებით გაპყევით ქუჩას და პირდაპირ უნივერსიტეტში მიგიყვანთ.

ნიშანდობლივია, თავის მშობლიურ ქალაქ გენუაში ხედება ყვე-

ლა მოგზაურს მსოფლიოს ყველაზე დიდი მოგზაური ქრისტიანობის კოლუმბი.

კოლუმბის ძეგლის თავზე მოჩანს ჯვაროსან რაინდთა ციხე, რომელიც შორიდან, ლიგურიის ზღვიდან საოცრად ჰგავს სათანჯოს კოშკს. მაგრამ მასზე გაცილებით დიდია.

სათანჯოს ციხე გენუელ ვაჭართა ფაქტორია იყო XIV-XV საუკუნეებში და იტალიურ ყაიდაზე სანტ-ანჯელოს („წმინდა ანგელოზის“) ციხედ იწოდებოდა. სამწუხაროდ, ამ ე. წ. „წმინდა ანგელოზის“ ციხეში ეშმაკები პარპაშებდნენ. გენუელ ვაჭრებს ამ ციხეში ბაზრებზე გასაყიდად შემოჰქონდათ იარაღი, მარილი, ფუფუნების საგნები. აქედან გაჰქონდათ ბზა, თაფლი, ცვილი, გარეული ნადირის ტყავები და, რაც მთავარია, მეკობრეები ტყვეებით ვაჭრობდნენ.

ვინ უწყის რამდენი ენგურისპირელი გოგონა და ბიჭუნა გაყიდეს გენუელმა ვაჭრებმა კონსტანტინეპოლისა და გენუის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ხმელთაშუაზღვის ქვეყნების ბაზრებზე, განსაკუთრებით ბევრი ტყვე იყიდებოდა მონღოლთა „ოქროს ურდოში“ და ეგვიპტეში მამლუქებად.

ქრისტიანობა კოლუმბის მიერ ახალი სავაჭრო გზის აღმოჩენამ, ბევრ სხვა ფაქტორთან ერთად, ერთგვარადა დასცა გენუელ ვაჭართა ბიზნესი აღმოსავლეთში, და მათ შორის სანტ-ანჯელოშიც. (სათანჯოში).

თითქოს ბედმა გაუღიმა დაბეჩავებულ მხარეს, მაგრამ ეს სიამის კი არა, სიმწრის ღიმილი აღმოჩნდა. როგორც ერთი ქართული ანდაზა ამბობს, „ვაის გავეყარე და ვუის შევეყარე“, სწორედ ასე იყო ჩვენი საქმე იმ შავზნელ პერიოდში. გენუელთა ნაცვლად თურქები მოვიდნენ სანტ-ანჯელოში და ამჯერად სათანჯოს სატანჯო („ტანჯვის ადგილი“) დაარქვა ხალხმა. დიდი ხნით დავიწყებას მიეცა სათანჯოს ნამდვილი სახელი, რომელიც მოდის ძველი მეგრულ-ლაზური სიტყვიდან „თანჯი“ (საზღვარი). ე. ი. მიჯნის, საზღვრის ციხეს ნიშნავს სათანჯო.

მაგრამ, ერთი რამ ფაქტია, ასეა თუ ისე, კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენა თავისებურად სათანჯოს ციხის კედლებმაც იგრძნეს ჯერ კიდევ იმ შორეულ დროში.

ამ ფაქტებში გართული მივაბიჯებდი გენუის ქუჩებში, კოლუმბის ძეგლიდან უნივერსიტეტისაკენ. მსურდა გასაუბრება იტალიელ მეცნიერებთან; მაინტერესებდა რა იცოდნენ მათ დღეს ერთ დროს მძლავრი გენუის ქალაქ-სახელმწიფოს ცხრაზღვის იქითა ფაქტორიაზე, სანტ-ანჯელოზე, რომელიც უფრო გვიან სამურზაყანოს მთავარ ციხედ იქცა და დღესაც დაჰყურებს თავს ლეგენდარული

კოლხეთის უმშვენიერეს პეიზაჟებს, როგორც წარსულის ელჩი და მოწმე.

გენუის უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში შევხვდით პროფესორ ჯიაკომო მუსოს, ჯენტლმენს და მეცნიერს, რომელიც დიდი ხანია იკვლევს რუსეთ-იტალიისა და საქართველო-იტალიის ისტორიულ ურთიერთობას და ამ დარგში რამდენიმე მონოგრაფიისა და მრავალი სამეცნიერო შრომების ავტორია.

ბატონი მუსო საბჭოთა კავშირ-იტალიის მეგობრობის საზოგადოების აქტიური მოღვაწეა და ფართო კონტაქტები აქვს საბჭოთა მეცნიერებთან.

მან დიდი თავაზიანობითა და გულისხმიერებით მიგვიღო და დაგვათვალისწინა უნივერსიტეტის წიგნსაცავები.

გვაჩვენა იტალიური ეროვნული ენციკლოპედიების („ენციკლოპედია იტალიანა“) სხვადასხვა გამოცემები და ტომები, სადაც მოხსენიებულია გენუის ქალაქ-სახელმწიფოს ზღვის გაღმა მდებარე ფაქტორიები, მათ შორის: სანტ-ანჯელო. ენციკლოპედიები გამოცემულია რომში.

პროფესორ ჯიაკომო მუსოს 1965 წელს გამოუცია იტალიური ენაზე კაპიტალური ნაშრომი შუა საუკუნეებში რუსეთისა და გენუის სახელმწიფოთა ურთიერთობაზე ბევრი უცნობი ისტორიული დოკუმენტის პირველი პუბლიკაციით.

ამ შრომაშიც თავისი ადგილი აქვს დათმობილი სათანჯოს (სანტ-ანჯელოს) ფაქტორიის აღწერას.

სამეცნიერო წიგნსაცავში ჩვენ გვაჩვენეს გენუის უნივერსიტეტის „შრომები“, სადაც დაბეჭდილია ცნობები სანტ-ანჯელოს შესახებ.

გენუის შუასაუკუნეების ქალაქ-სახელმწიფოს ფაქტორიებზე და კოლონიებზე, მათ შორის სათანჯოზე, გამოკვლევები იწერება არა მარტო გენუაში და საერთოდ იტალიაში, არამედ ევროპის სხვა ქვეყნებშიც. ამას მოწმობს გენუის უნივერსიტეტის წიგნსაცავში დაცული წიგნები. მათ შორის აღსანიშნავია 1966 წელს ფრანგულ ენაზე გამოცემული რობერტ დელორის ნაშრომი „XIV საუკუნის გენუის სავაჭრო ფაქტორიების ისტორიიდან“ და სხვა შრომები.

იტალიაში გენუელთა კოლონიებისა და ფაქტორიების შესწავლის დარგში თვალსაჩინო სპეციალისტად ითვლება პროფესორი ლ. პისტარინო, რომლის სამეცნიერო რეზიდენცია ვია ბალბის ქუჩაზეა, გენუაში. მის არაერთ გამოკვლევებაშია ნახსენები სანტ-ანჯელო (სათანჯო).

იტალიელ მეცნიერთა შრომებში მოცემული კონცეფციები ყო-

ველთვის როდი უძლებს მარქსისტულ კრიტიკულ ანალიზს, მაგრამ ისინი საინტერესონი არიან წყარომცოდნეობის თვალსაზრისით.

იტალიელ მეცნიერებს ვაცნობეთ, რომ ქართველ და აფხაზ ისტორიკოსთა შრომებშიც ჰპოვეს ასახვა იტალიის სავაჭრო ფაქტორიებმა. კერძოდ, ვახსენეთ წარმოშობით სამურზაყანოელი ისტორიკოსის, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ზურაბ ანჩაბაძის კაპიტალური ნაშრომი „შუა საუკუნეების აფხაზეთის ისტორიიდან“, რომლის 244-ე გვერდზე ქვეთავში, რომელსაც ეწოდება „გენუელთა კოლონიები აფხაზეთის სანაპიროზე“, მოხსენიებულია ფ. ბრუნის ნაშრომის „ჩერნომორეს“ დამოწმებით, ენგურისპირეთის კოლონია „სანტ-ანჯელოც“.

პროფ. მუსსომ და გენუის უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის მუშაკებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს ამ ნაშრომის მიმართ და სინანული გამოთქვეს, რომ იგი მათთვის ჭერჯერობით ხელმიუწვდომელია.

იტალიელ მეცნიერებს ვუთხარი ქართველ არქეოლოგთა წარმატებაზე, სანტ-ანჯელოს ახლოს, სამურზაყანოში, გუდავის შემოგარენში რომაული ციხე-სიმაგრის ნაშთების აღმოჩენაზე. ამ ცნობამაც დიდი ინტერესი გამოიწვია, მაგრამ ჩვენი საუბარი მაინც გენუელთა კოლონიებს უბრუნდებოდა.

როგორც ცნობილია, XIV-XV საუკუნეებში გენუელთა კოლონიები არსებობდა აფხაზეთის ტერიტორიაზე გავრაში, თანამედროვე სოფელ ალანაძის მახლობლად სანტა-სოფიას სახელწოდებით, ბიჭვინთაში, გუდაუთში („კავო და ბუქსო“), ახალ ათონში („ნიკოფთა“), სოხუმში („სებასტოპოლი“) და თანამედროვე გალის რაიონის ტერიტორიაზე — სათანჯოში („სანტ-ანჯელო“). ასეთი კოლონიები გენუელებს კავკასიის მთელ სანაპიროზე ჰქონდათ.

გენუელ კომერსანტებს მფარველობდნენ მონღოლთა ურდოები. რომლებიც დაინტერესებული იყვნენ ევროპასთან ვაჭრობით, განსაკუთრებით ტყვეებით ვაჭრობით. ამაშიც იყო შავი ზღვისპირა ქვეყნებში გენუელ ვაჭართა ძლიერების წყარო.

სანტ-ანჯელოზე ლიტერატურის ძეგლის დროს გენუის უნივერსიტეტის სამეცნიერო წიგნსაცავშია ორი მშვენიერი იტალიელი ქალიშვილი გვემსახურებოდა. ერთ მათგანს, ანა მარია ბელეტო ერქვა, მეორეს — მარია ბელადონა მაზარინი. ორივენი იტალიის კომკავშირის წევრები არიან.

— თქვენ ქართველ ქალიშვილებს ჰგავხართ, — ვუთხარი მათ, როცა უნივერსიტეტის შრომების მთელი დასტა დააწვეეს ჩემს წინ.

— საიდან, სინიორ? — გაიკვირვეს მათ, — თუმცა გაგვიგონია,

რომ დანტე, ჰიუგო და გოეთე მაღალი აზრისანი იყვნენ ქართველ ქალებზე.

— ალბათ იმ ქართველი გოგო-ბიჭების შორეული შთამომავლები ხართ, აქ რომ მოჰყავდათ სანტ ანჯელოდან გენუელ ვაჭრებს ხუთასი წლის წინათ!

— ვითომ?

ორივე გაწითლდა.

— რატომ გაწითლდით?

— ჩვენი წინაპრების მაგივრად შეგვრცხვა, — ენამახვილობს ანა მარია.

ამ დროს წიგნთსაცავში შემოდის კიდევ ერთი ლამაზი ქალი.

— ეს სამართალმცოდნეობის დოქტორია! — ამბობს მარია ბელადონა.

— ეს სენიორი კი საბჭოთა ჟურნალისტია, — ჩემზე უთითებს ანა მარია.

— სენიორა, — ხუმრობით ვეუბნები იუსტიციის დოქტორს, — სანტ-ანჯელოელ კაცს ხომ აქვს უფლება მოიტაცოს ეს მშვენიერი იტალიელი ქალიშვილები იმ გოგო-ბიჭების ნაცვლად, ვინც გენუელებმა მოსტაცეს ჩემს წინაპრებს?

— ო, ნუ ხუმრობთ, სენიორ, — ამბობს ანა მარია ბელეცო.

— თქვენ დაავვიანეთ. მე დიდი ხანია გამიტაცა „ოქროს საწმისის“ კოლხეთმა. ხორცი აქ არის, სული — იქ, — ამბობს მეორე ქალიშვილი.

გულლიად და გულწრფელად იცინიან იტალიელები.

მე ვტოვებდი გენუას... ვიდექ გემბანზე... ლიგურიის ულურჯისი ზღვის ტალღებში არეკლილიყო უძველესი იტალიური ქალაქის — გენუის ულამაზესი პეიზაჟები.

მე ვშორდებოდი არქანჯელო ლამბერტის სამშობლოს — იტალიას, იმ ლამბერტისა, რომელმაც სათანჯოს შემოგარენში, წიფურიაში ორი შესანიშნავი წიგნი შექმნა კოლხეთზე და რომლის ტრადიციებს აგრძელებენ გენუელი მკვლევარები.

ლიგურიის ზღვიდან თითქოს შავ ზღვას გავყურებდი. ჩემს თვალწინ იშლებოდა ლურჯი სივრცე... სადღაც შორს, იქ, სადღაც თავდებოდა თვალსაწიერი, და აწმყო უმზერდა წარსულს, მირაჟივით ჩანდა ენგურის შუქით განათებული სათანჯოს მაღალი ციხე, როგორც ისტორიის გადასახედი.

სათანჯო ჩანდა იტალიაში, სათანჯო, სალხინოდ ქცეული...

ზვიკრები მალტის კუნძულზე...

ამ გაზაფხულზე, ევროპის, აზიისა და აფრიკის ქვეყნებში მოგზაურობის დროს, აპრილის ერთ მშვენიერ დღეს იტალიიდან თურქეთს მომავალი, მალტის სახელმწიფოში აღმოვჩნდი, თვით ჰომეროსის მუზის მიერ უკვდავყოფილ ხმელთაშუა ზღვის ლურჯ ჩქერებში ჩაკარგულ მალტისა და გოცოს რომანტიულ კუნძულებზე, რომლებიც შუა საუკუნეებში ჯვაროსან რაინდთა ბასტიონად იქცა და კიდევ უფრო განათდა პოეზიისა და მითოსის შუქით.

მალტა ახლა დამოუკიდებელი ქვეყანაა, მაგრამ ის დიდი ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის სისტემაში შედის და ინგლისური სული აქ ჭერჭერობით მაინც იგრძნობა და იგულისხმება, როგორც რკოში მუხა.

მალტამ არ იცის რა არის ტყე და მდინარე. არც პური მოჰყავთ აქ. ეს ღვთისგან დავიწყებული ღარიბი კუნძული ერთ დროს ჯვაროსნებმა აზიისა და აფრიკის ოქროთი აავსეს. დღემდე ამ ოქროთი ცხოვრობს ეს კუნძული.

მალტის დედაქალაქ ლავალეტაში იმ კაფეს გვერდით, რომელსაც ჰომეროსის პერსონაჟის სახელი „კალიფსო“ ჰქვია. წიგნის ბაზარზე მე წავაწყდი ლონდონში 1954 წელს გამოცემულ მრავალტომიან „ისლამის ენციკლოპედიას“, რომელიც თავის დროზე დიდი ბრიტანეთიდან შემოეტანათ.

დაშინტერესა და გადავფურცლე. ენციკლოპედიის პირველი ტომის მე-100 გვერდზე ვიპოვე საკმაოდ დიდი სტატია, რომელიც საქართველოზე (აფხაზეთზე და სამურზაყანოზე) მოგვითხრობდა სტატიის ავტორი გახლავთ ინგლისელი ორიენტალისტი ვ. ბარტოლდი.

კუნძულ მალტაზე ვიპოვე სამურზაყანოს კიდევ ერთი მეისტორიე, ამჯერად ინგლისელი მეცნიერი.

სტატიის ბოლოს დართული ბიბლიოგრაფიიდან ირკვეოდა, რომ საქმე გვექონდა აფხაზეთ-სამურზაყანოს ისტორიულ წარსულზე უცხოელი მკვლევარის კვალობაზე საკმაოდ კარგად ინფორმირებულ ორიენტალისტთან.

ის ისტორიული ფაქტი, რომ აფხაზეთში ადგილი ჰქონდა ერთ დროს ისლამის გავრცელებას, საკმაოდ კარგადაა გაშუქებული ევროპულ ენციკლოპედიურ ლიტერატურაში, ჩემთვის ეს ცნობილი იყო განსაკუთრებით გერმანული ლიტერატურიდან. ამიტომ ისლამის მსოფლიო ენციკლოპედიაში აფხაზეთისადმი მიძღვნილი სტატია კანონზომიერ მოვლენად მივიჩნიე.

მაგრამ მე განსაკუთრებით დამაინტერესა ინგლისურ ენციკლო-

პედიაში ისლამურ სამყაროს ქვეყნებთან და პროვინციებთან სამურზაყანოს მოხსენიებამ.

ვ. ბარტოლდი სხვა მეტნაკლებად სწორად გადმოცემულ ისტორიულ ფაქტებთან ერთად ისლამური ენციკლოპედიის 101-ე გვერდზე მოიხსენიებს აფხაზეთის სამ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულად დაყოფას და მათ შორის „სამურზაყანოს ოლქს“ ანუ ტერიტორიას „ღალიძგადან ენგურამდე“.

ცოტა არ იყოს ყურს, ეხამუშა მცნება „მუსულმანობა სამურზაყანოში“.

თითქმის ლეგენდებიც არ მოგვითხრობენ ამის შესახებ.

მაგრამ ისტორია ისტორიაა, ფაქტი ჭიუტია და წარსულს უნდა შევხედოთ რეალურად, ისე, როგორც იყო და არა ისე, როგორც ეს დღეს თვალს დასანახავად გაუხარდებოდა ან ყურს მოსასმენად ესიამოვნებოდა.

ქეშმარიტება! ეს არის მთავარი.

ისტორიას შელამაზება არ სკირდება.

ამგვარად, ინგლისელი ისტორიკოსი და ორიენტალისტი ვ. ბარტოლდი სამურზაყანოს ათავსებს მსოფლიო ისლამის ენციკლოპედიაში.

ბუნებრივია, დავსვათ კითხვა, რა საბუთით?

მოგვეპოვება თუ არა სხვა წყაროები სამურზაყანოში ოდესმე ისლამის გავრცელების ცდის შესახებ?

ასეთი წყაროები არსებობს.

გაზეთი „კავკაზი“ ჯერ კიდევ ბატონყმობის გადავარდნამდე. 1860 წელს წერდა: „რაც შეეხება სამურზაყანოს, იქაური ბლალ-ჩინი პროტორეი მაქავარიანი ჯერ კიდევ 1857 წელს (ქუთაისის) გენერალ-გუბერნატორს აწვდიდა სტატისტიკურ მონაცემებს, რომლის მიხედვით მაზრის 36 სოფლის 2.964 ოჯახიდან მხოლოდ 20 ოჯახი მისდევდა ისლამს“.

სტატისტიკიდან ჩანს აგრეთვე 52 მამაკაცი თავდაზნაურობის წრიდან „მოუნათლავი“ ყოფილა ე. ა. არც ქრისტიანი, არც მუსულმანი. შესაძლოა ისინი თურქული სარწმუნოებიდან ქართულს უბრუნდებოდნენ ამ პერიოდში მისიონერ მაქავარიანის ზეგავლენით.

დასაშვებია, რომ მუსულმანურ ოჯახთა შორის ზოგი თურქულა ოჯახიც იყო, რადგან თითო-ორიოდე თურქული ოჯახი, როგორც იმდროინდელი სტატისტიკა მოწმობს, აქა-იქ, განსაკუთრებით ზღვისპირა სოფლებში ყოველთვის ცხოვრობდა სამურზაყანოში.

ამ თხუთმეტობედ წლის წინ მე მინახავს უკანასკნელი თურქი მოპიკანები გაგიდასა და ფიჩორში.

მე-19 საუკუნის ცნობილი ქართველი ისტორიკოსის დ. ბაქრა-

ძის აზრით სამურზაყანოში იმ პერიოდში (1860 წ. ვ. ა.) იყო სულ რაღაც „ერთი მუქა მუსულმანობა“. (იქვე).

ამგვარად, სამურზაყანოში მუსულმანობის გავრცელების ფაქტი, რომლის შესახებაც წერს ინგლისელი ენციკლოპედისტი, ქართული და რუსული წყაროებითაც დასტურდება, მაგრამ ისლამის გავლენა ფრიად უმნიშვნელო ჩანს ამ კუთხეში.

ისლამს სამურზაყანოში, ისევე როგორც მთელ აფხაზეთში, ძალად ავრცელებდნენ ოსმალონი, ცეცხლითა და მახვილით.

მაგრამ ეს იყო ეფემერული, დროებითი, გარდამავალი, „უდღეური“ მოვლენა. მუსულმანურ სარწმუნოებას გაბატონებულ მდგომარეობა სამურზაყანოში არასოდეს არ ჰქონია.

ამაზე ნათლად მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ აქ არც ერთი მეჩეთისა და მინარეთის, არც ერთი ისლამური საკულტო ნაგებობის ნაშთიც არ შემორჩენილა, მაშინ როდესაც აქ უხვად ვხვდავთ ქრისტიანობის ეპოქის შედეგებს.

აქაურ ადგილობრივ სასაუბრო ლექსიკონში აქა-იქ ჩანს ისლამის შორეული კვალი, მაგრამ ეს წვეთია ოკეანეში და მას სერიოზულ მნიშვნელობას ვერ მივანიჭებთ.

ეს ფაქტი არა მარტო ამ კუთხის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლისათვის წარმოადგენს სამატიანო მასალას, არამედ იძლევა ისტორიის გაკვეთილს, რომ სამურზაყანოში, ამ ქართულ მიწაზე, დიდი ბრძოლა იყო ქართულ და თურქულ სულს შორის რწმენის სფეროშიც და თუ ოდესმე ფიზიკურად გვძლევედა ურიცხვი მტერი, სულიერად ის ვერასოდეს ვერ გვჯაბნიდა, მაშინაც კი, როდესაც ომის ველზე დროებით რჩებოდა მომხდლურს წარმატება.

მტერმა იცოდა, რომ სამურზაყანოელს, როგორც ყველა ქართველს, ქეშმარიტად მაშინ დაამარცხებდა, როდესაც მას რწმენას შეუტყვლიდა. სამურზაყანოელმაც ყოველთვის იცოდა, რომ როგორც კი რწმენას დაკარგავდა, მას გათურქება ელოდა, ამიტომ იყო სამკედრო-სასიცოცხლო ომი!

ის ფაქტი, რომ სამურზაყანოში ისლამს თესავდნენ, მაგრამ ნაყოფი ვერ მოიძვეს, სამურზაყანოელთა დიდი სულიერი გამარჯვება იყო!

ასეთ გამარჯვებას არ ივიწყებს ისტორია და ყოველთვის გაიმეორებს მას ხმამაღლა მომავალ თაობათა გასაგონად, რადგანაც მიუვალ ციხე-სიმაგრეების აღებაზე უფრო ძნელია ადამიანის გონების დამორჩილება.

რწმენის აღზრდის საკითხი მუდამ აქტუალური იქნება კაცობრიობის ისტორიაში.

მალტა-თურქეთი-საქართველო

ედელვაისი დუნაის მღვრიე ტალღებში

„სისუფარი დუნაი“

ვაგონი მოსკოვი-ვენა-რომი დაიძრა... ფანჯარასთან ვიდექი და ვფიქრობდი დამეწერა პოეტურ და მუსიკალურ ავსტრიაზე ლირიკული ჩანახატები — „ცისფერი დუნაი“. როდესაც ავსტრიიდან დავბრუნდი, ჩანაწერებს დავარქვი „ედელვაისი დუნაის მღვრიე ტალღებში“. ისე პროზაული და არაციისფერია ცხოვრება დუნაის ნაპირებზე.

ედელვაისი — ალპების თოვლიანი მთების თეთრი ყვავილი.

ვეროპის პოეტები ედელვაისის ადარებენ ავსტრიას.

კაპიტალისტური ყოფის მღვრიე ტალღებს მიაქვს ეს ედელვაისი. ვინ იცის, რომელ ნაპირებზე გარიყავს...

მშვენიერია ხობებები და ირმები ჰოპენაუს პურის ყანებში, ვენახები ვახაუს ველზე, რომელიც ძალიან ჰგავს ალაზნის ველს, თეთრი ედელვაისი ალპების მთებში, გზა ღრუბლებს ზემოთ გროს-კლოკნერზე, განთიადი ტიროლის მთებში, დაისი ზალცკამერგუტის ტბებზე, ლზინი ვენის ტყეში და შტრაუსის ვალსები, შფეტანკირხესა და ზალცბურგის ცას შებჭენილი ტაძრების ოქროსფერი შპილები.

მაგრამ ეს ფასადია.

ამ ლამაზ პეიზაჟებს, ბაროკოს, როკოკოს, გოთიკისა და მოდერნის სტილის ფასადებს იქით ბურჟუაზიული ყოფის ჭუნგლებია... არც პოეტის ფანტაზიაა საჭირო და არც მეცნიერის ემპირული კვლევის უნარი, რომ დაინახო კაპიტალის სამეფოს გრიმასები.

მარიამილფენშტრასე,

მე-7 ტრავმაი და რაჟვიმი...

გავიაროთ ვენაში მარიამილფენშტრასეზე. სახლებზე ბრწყინავს შუქრეკლამა „ციურხიხი-კოსმოსი“. კოსმოსი მოდაშია. სადაზღვევო აქციონერთა საზოგადოებები ეძებენ და პოულობენ დროის შესაფერ სახელწოდებებს. ვენის ყველაზე მაღალი შენობები დამზღვევ აქციონერთა საზოგადოებებს ეკუთვნით.

— მაინც არ არის კაპიტალიზმი დაზღვეული, — ამბობს — „ფოლკშტიმეს“ რედაქტორი აუერი.

რეკლამა ყველაფერია კაპიტალისტისათვის. ქუჩაში დადიან ადამიანები, რომლებსაც აწერიათ გვერდზე, ქუდზე, ზურგზე, ფყიდეთ გაზეთი „კურირი“, ან „სვით მარტინი“. ესენი მოარული რეკლამები არიან. სასტუმრო „ვეროპაში“ ჩემოდანზე დავგიწებებს ოტელის ემბლემა. ვეკითხებით სასტუმროს პორტიეს:

— ამ ქალაქში, სადაც ჰაერიც კი ფული ღირს, უფასოდ როგორ აწებებთ ამ სუვენირებს ჩემოდნებზე?

ოტელის პორტიე ღიმილით გვეუბნება:

— ფაქტიურად თქვენც ჩვენი მთარული რეკლამა ხდებით. თქვენი ჩემოდანი ჩვენი ემბლემით უთუოდ ყურადღებას მიიპყრობს. ეს უკვე ჩვენი ოტელის რეკლამაა. კაპიტალისტი ფულს არასოდეს არ ყრის წყალში, მუსიე, — მხიარულად ლაპარაკობს ფრანგი პორტიე....

ამ ქუჩაზე მაღაზიებში იყიდება „ვოლგა“ და „მოსკვიჩი“, ყაზახური და თურქმენული ხალიჩები, „ფორდის“ მანქანები...

„მარიაპილფენშტრასე“ ნიშნავს — „მარიამ ღვთისმშობელი გვიშველე“. ამ ქუჩაზეა უდიდესი კერძო მაღაზიები...

— მარიამ ღვთისმშობელმა რამდენს უშველოს, — ხუმრობს ავსტრიელი სტუდენტი, ჩვენი გიდი პანს გრიუნვალდი, — აქ ორი ათას ხუთასზე მეტი მაღაზიაა.

ზოგიერთ მაღაზიას მართლა სწყალობს მარიამ ღვთისმშობელი. დასავლეთგერმანელმა „საათების მეფემ“ ბ-ნმა ვაისმაც გახსნა მარიაპილფენშტრასეზე საათების რამდენიღე მაღაზია და გამოაცხადა, პირველ 250 საათს უფასოდ გავცემო. ვენელები ღამეებს ათევენენ მის მაღაზიებთან, ბრბომ მოძრაობა შეაჩერა ქუჩებში, ვიტრინები ჩაუმტვრიეს ბ-ნ ვაისს...

მაღაზიებს უმტვრევდნენ — ბ-ნი ვაისი კი ფრიალ კარგ განწყობილებაზე იყო. ავსტრიის, დასავლეთ გერმანიის, ამერიკის, ინგლისის გაზეთებმა მსოფლიოს მოსდეს ეს ამბავი. გაზეთები კითხულობდნენ: „რა აცინებს ბ-ნ ვაისს?“

მერე ვაისმა განმარტა: მილიონები რომ დამეხარჯა, ასეთ რეკლამას ვერ გავუწევდი ჩემს ფირმას.. რეკლამისათვის იყენებს ლუდის ქარხნების პატრონი ასეი, განცხადებას: „სპეციალისტების აზრით ჩემი ლუდი „პიპლე“, რომელსაც ჩემი გვარი 1607 წლიდან ხარშავს, ხელს უწყობდა ავსტრიული ხასიათის ჩამოყალიბებას. სვით ლუდი „პიპლე“.

ამ ქუჩაზე ბევრია ვაჭრების გარდა პოლიციელები და კულტის მსახურნი, მონაზვნები...

— ვერც შავთავსაფრიანი მონაზვნები, ვერც ეს თეთრხელთათმანიანი ელევანტური პოლიციელები, ვერც სახელწოდება „მარიაპილფენშტრასე“ კაპიტალისტებს ვერ უშველის, ამ ქუჩაზე გადის მე-7 ტრამვაი, აქ ყველა კაბარეში უკრავენ რეკვიემს, — თქვა ერთმა ვენელმა ჩასკენილმა მესაფლავემ...

— მე-7 ტრამვაი რა შუაშია?

— ააა, გეტყობათ უცხოელები ხართ, — განაგრძო მესაფლა-

ვემ, — ვენაში იტყვიან: მე-7 ტრამეის წაუყვანიხარო, ეს ნიშნავს, ჯანდაბამდის გზა გქონიაო.

მე-7 ტრამეაი სასაფლაოზე მიდის...

რას ფიქრობს ათენა პალადა?

პარლამენტის სასახლის მარმარილოს კიბეების წინ ვენაში დგას სიბრძნის ქალღმერთის ათენა პალადას მდუმარე ქანდაკება...

ამ ქალაქში უყვართ სიბრძნეც და მუზებიც.

— იციო, რატომ დგას აქ ეს ძეგლი, — გვითხრა აუერმა, ავსტრიის კომპარტიის გაზეთის „ფოლკშტიმეს“ ერთ-ერთმა რედაქტორმა.

— რატომ?

— სიბრძნე რომ შემატოს პარლამენტის დეპუტატებს...

და აუერმა განაგრძო:

— პარლამენტმა გაუუქმა ოტო ჰაბსბურგს თვითმფრინავის ბილეთი იოჰანესბურგიდან ვენამდე. ავსტრიელმა ხალხმა უარი უთხრა მონარქიას... ოტო ჰაბსბურგს კი შერჩა სამხრეთ აფრიკის კავშირიდან შუა ევროპაში თვითმფრინავების გაფრენის განრიგის გაზეპირება..

ამბობენ ათენას ემუქრებო ოტო ჰაბსბურგი. არა მარტო აფრიკის ჯუნგლებში, ავსტრიაშიც არიან ადამიანები, რომლებიც ემუქრებიან ათენა პალადას. ისინი ოცნებობენ ჰაბსბურგთა რესტავრაციაზე. მაგრამ ძალი ყუფს, ქარავანი მიდის...

ქ. გრაუცი ვნახეთ წარწერა მალაზიის კედელზე: „ოტო ჰაბსბურგ! თქვენ ხართ პიროვნება „ნონ გრატა“ ავსტრიისათვის“. ქვევით ექვნიანი და ფრთხილი პატრონი წერდა: „ამ პროპაგანდასთან მე არაავითარი კავშირი არა მაქვს“.

ასეთი პირი ნეიტრალიტეტს იცავს ათენა პალადასთან, მაგრამ პოლიტიკაში ჩაურევლობაც თავისებური პოლიტიკაა....

— ბრძნულ გზას ადგას პარლამენტი, — გვეუბნებოდნენ ავსტრიაში მოსახლეობის თითქმის ყველა ფენის წარმომადგენლები, — ნეიტრალიტეტის პოლიტიკას რომ იცავს... ჩვენ ვეუბნებოდით, რომ საბჭოთა ადამიანები მიესალმებიან ავსტრიის ნეიტრალიტეტს, იმედი აქვთ, რომ ავსტრია არასოდეს არ ჩაებმება აგრესიულ ბლოკში...

— ათენა პალადას ადგილს პარლამენტის წინ ვერ დაიჭერს ომის ღმერთი არესი. ბომბში არ გავცვლით ზეთისხილის რტოს, — გვეუბნებოდნენ ავსტრიელები.

ჩვენც გვინდა ეს ასე იყოს.

მთიან ტიროლში მოგზაურობის დროს ახლოს ჩავუარეთ ლიხ-

ტენშტაინის სამთავროს — ევროპის ერთ-ერთ ჯუჯა სახელმწიფოს. თავადმა ლიხტენშტაინმა შუა საუკუნეებში მამულები იყიდა შუა ევროპაში და თავისი სახელი უწოდა სახელმწიფოს. ლიხტენშტაინის წადილი და ამპარტავენობა ბევრ კაპიტალისტს დღესაც შერჩენია. ვიდმა გვითხრა, რომ ტიროლში ჩამოდიან ამერიკელი ბიზნესმენები, რომ ციხე-კოშკები იყიდონ და გემათ წაიღონ ოკეანეს გაღმა. მათ ამერიკაში სურთ იცხოვრონ ფეოდალებივით, მაგრამ ავსტრიელები ესპანელები არა ვართ, არ ვყიდით ციხე-კოშკებს.

ტიროლში ვენა დაგვიდგა თვალწინ.

შონბრუნ — ავსტრიის ნაპერატორთა რეზიდენცია. შეასველულთან თეთრი „კადილაკი“ იდგა.

— ვიღაც დიდი ფრინველი ჩამოფრინდა ამერიკიდან, — თქვა ჰანს გრიუნვალდმა.

შონბრუნის სასახლეში, რომელსაც „ვენის ვერსალს“ ეძახიან, ერთად აღმოვჩნდით ცხრამეტი საბჭოთა ჟურნალისტი და ერთი ამერიკელი ბიზნესმენი.

ამერიკელმა თურმე დიდი თანხა გადაიხადა შონბრუნში ყველა დანარჩენი ექსკურსიის მონაწილეების „პერსონა ნონ გრატად“ გამოცხადებისათვის. თვითონ დაბრძანდებოდა შონბრუნში და სიამოვნებდა ეს.

საბჭოთა ჟურნალისტების გაჩერება კი ვერ შეძლო. უძლური აღმოჩნდა დოლარი...

„ვენის ვერსალიდან“ რომ გამოვედით, წვიმდა... რეკლამები ყვიროდნენ: „სვით კოკა-კოლა!“

გაჩირაღდებულ ქუჩებში დაჰქროდნენ ლიმუზინები.

მარიაპილფენშტრასეს თავთან ერთ მოხუცს და ორ დედაკაცს წვიმაში დაჰქონდათ ყუთები წარწერით: „დაეხმარეთ, ბატონებო, უდედმამო ბავშვებს!“

გამვლელები შიგ ავსტრიულ შილინგებსა და გროშებს ყრიდნენ... რას ფიქრობს ამაზე ათენა პალადა?

ძარის წინაპილუაგი ვენაში

კერტნერშტრასეზე ჰაერი მარტინითა და ბენზინით არის გაყვნილი. უთვალავ რეკლამას შორის თვალს ჰრის მულენ რუჟი, — „წითელი ქარის წისქვილი“. ქონისა და ოქროსაგან გაგიჟებული ბურჟუაზია ერთობა შუასაუკუნეობრივი ქარის წისქვილებში.

„მულენ რუჟი“ პარიზის კაბარეები და ვარიეტეებია ვენაში: „მულენ რუჟში“ ცეკვავენ შიშველი ქალები, „მულენ რუჟში“ ყველაფერი იყიდება, იყიდება სინდისი და ღვინო „ცისფერი ღვინო“.

იყიდება ნამუსი და თურქული ყავა, იყიდება პატიოსნება და ქალი...

ქარის წისქვილი ფქვავს ოქროს...

სხედან სიგარიანი მისტერ ტვისტერები და შავსათვალისანი მისტერ იქსები, უხამსად ხორხოცებენ მათი შიშველი ქალები...

აგერ, რეკლამის სურათები. ინგლისელი გასტროლოგი ქალი უჩვენებს სცენას აბანოში და საპნის ქაფს უსხამს ღიპიან მოხუცებს ღვინით სავსე ბავარული პორცელანის ყელმალალ კიქებში. მისტერები სიამოვნებით სვამენ საპნისქაფგარეულ „კაიზერვინს“ — „სამეფო ღვინოს“.

ყვითელი პრესა ამას უწოდებს ბურჟუაზიული თავისუფლების გამოვლინებას.

— მაგრამ ვინ არის, ბატონებო, აქ თავისუფალი?

— „მულენ რუჟის“ გამათხოვრებული მექარე თუ შვეიცარი, კლერკი, რომელიც სიძვის დიაცებს ურიგებს ღიპიან და უღიპო მუშტრებს? ან იქნებ თვით სიძვის დიაცები?

— არა, ბატონებო! თქვენ ყველანი, ბატონებიც და მსახურებიც, ოქროს ყურმოქრილი მონები ხართ.

...ტრიალებს ვეებერთელა „ეშმაკის ბორბალი“. ეს პრატერია — ავსტრიის მთავარი პარკი, კულტურისა და დასვენების თანამედროვე ბურჟუაზიული ევროპის პარკი. აქ არის მონტე-კარლოს ტიპის კაზინოს სამორინეები. აქ უჩვენებენ ამერიკულ „შოუ-შოუს“ — ეს ბორნოგრაფიის უახლოესი მიღწევაა ფოტოფირზე აღბეჭდილი. აქ „პან-ამერიკა“ აგებს ათას ერთი საშინელების კოშკებს, რომლებსაც აწერია „ვიცინოთ, ვიცინოთ, ვიცინოთ!“ „კოშკში შეგიძლიათ ათას ერთი საშინელების განცდა. სულ ხუთი შილინგი“.

კერნტნერშტრასეზე „კეთილი ამერიკელი ძია სემი“ მალაზიებში ყიდის ფინურ დანებს. ერთი წიგნის ფასად ოც დანას იყიდით, ხუთ სასროლ იარაღს, ასე რომ „ღია კარების ქვეყანაში“ — ავსტრიაში, სადაც 7 მილიონი ავსტრიელი და 14 მილიონი ტურისტი ცხოვრობს, შემოიპირა ამერიკული ყოფა.

კაპიტალიზმმა პარკიც ქარხანად აქცია. აქ ხდება პანამერიკული ზასიათის ფაბრიკაცია, ყოველ წუთს, ყოველ წამს იწამლება ადამიანის გონება ათას ერთი საშინელებით... ამ საშინელებას კი ფასადზე აწერია — „ვიცინოთ, ვიცინოთ, ვიცინოთ“.

ვიცინოთ, ბატონებო, თუ ეს სასაცილოა.

პუშკინი და ბიუნსონი!

ვენაში, შვედური ხიდის თავზე, ტაბორშტრასეს ორივე მხარეს ბევრი „კაფე-ესპრესოა“. ვიტრინებში უთუოდ იპოვნით რეკლამას: „სვით პუშკინი! მხოლოდ ძლიერი მამაკაცებისათვის“.

— რატომ ჰქვია არაყს პუშკინი? — ვიკითხეთ ერთ კაფე-ესპრესოში.

— არ ვიცი, ალბათ კაპიტალისტის გვარია! — იყო კაფეს პატრონის ფლეგმატური პასუხი.

მას არც გაუგონია რუსი პოეტი პუშკინი. ეს გასაგები გახდება. თუ ორიოდ ნაბიჯს გადავდგამთ:

აქ ორიოდ ნაბიჯზე წიგნის მალაზიაა.

როგორც წესი, კლასიკური მწერლობა თითქმის არ იყიდება, სამაგიეროდ უხვად არის ამერიკული და დასავლეთგერმანული დეტექტივები, პორნოგრაფიული რომანები... ბევრია აგრეთვე მდიდრულად გამოცემული წიგნები ვატიკანზე, პაპებზე და ა. შ. წიგნები ძალიან ძვირი ღირს 100-500 შილინგამდე. ტირაჟის სიმცირით ხსნიან წიგნების სიძვირეს. განსაკუთრებით ძვირია სახელმძღვანელოები. პანს გრიუნვალდი, ჩენი გიდი, ვენის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის სტუდენტია. ის გვეუბნება, რომ სტუდენტები სახელმძღვანელოებში აძლევენ 400-500 შილინგს. სწავლას ქირა მალაია. გარდა ამისა, სტუდენტები ყოველი გამოცდის ჩაბარებისათვის იხდიან 200-300 შილინგს, თუ ჩაიჭრა სტუდენტი, მოუწევს ქირის ხელახლა გადახდა.

„...რა ახლო არის მიუნხენი“...

აქედან შორს არ არის დასავლეთი გერმანია.

ჰოპენზალცბურგის წაბლების ქვეშ ძველი ციხის კედლებთან დგას სავსებით თანამედროვე გრაფოსკოპი, ჩაადებე ყავისფერ ავსტრიულ შილინგს და ორი წუთი შეგიძლია უყურო დასავლეთ გერმანიის მთებს...

ამბობენ, დილით, როცა ცისფერი მდინარე ზალცახი სუნთქვას წყვეტს და დუმან ზალცბურგის მალაი სამრეკლოები, ნიავს მოაქვს რაინიდან „დოიჩლანდ, დოიჩლანდ იჰბერ ალეს!“.

პიტლერელთა სიმღერა „გერმანია, გერმანია ყველაფერზე მაღლა“.

ზალცბურგის ზეცას ხევს კათოლიკური ტაძრების ას ერთი შპილი... ათასი ზარი ხმაურობს ზალცბურგის ქუჩებში, წმინდა ლათინური ენით ლაპარაკობს ღმერთთან ათას ერთი ქურუმი. მაგრამ ვერ იქნა და ავსტრიამ ღმერთს ხმა ვერ მიაწვდინა. რა შორს არის ღმერთი და....

რა ახლოს — მიუნხენი?!

აქ ყოველ ნაბიჯზე შეხვდებიან წარწერას ქუჩაში — „გზა მიუნხენისაკენ“.

ახსოვთ ზალცბურგში ანშლუსი.

ვენაში ანშლუსის ავტორიცი ახსოვთ, ახსოვთ და მინც ყო-
დიან მარკებს ჰიტლერის გამოსახულებით 15 შილინგად, 2 მარ-
კად, 1 დოლარად, ნაღდად და ნისიად.

ზალცბურგში გვითხრეს, რომ ჰობენზალცბურგის გრაფოს-
კოპი სრულიად ზედმეტი ატრიბუტია. დასავლეთი გერმანია აგერ
ზალცბურგში შეგიძლიათ ნახოთ შეუიარაღებელი თვალით. შე-
დინხართ კერძო მაღაზიებში: ყოდიან ყველა ქვეყნის საქონელს, კა-
რბობს დასავლეთგერმანული... ზალცბურგში ავსტრიულ ში-
ლინგს ეცილება დასავლეთგერმანული მარკა... კინოში, კაფეში, ტა-
ვერნებში ბატონობს ვერცხლისფერი, ღონში ნატვიფრი გერმანული
მარკა...

ზალცბურგში იყრება ევროპის გზები...

ზალცბურგში იხლართება ათასი კვანძი. ჯოჯოხეთის გზებზე
თავს იყრის ღმერთების ქალაქში უოლ-სტრიტიდან და პარიზიდან,
მიუნხენიდან და მოუსავლეთიდან.

მანუტაჰუზენის მარჯები...

ვახაუს ხეობა....

ვენახები ღუნაის პირას. გზა ბზიფის ნისლიან ხეობას ჰკავს.

ამ მიწაზე, სადაც მინდვრის ყვავილების მოწყვეტასაც კი კრძა-
ლავს ადამი. სადაც ირმის ჯოგები მოულოდნელად გზას გადაგვი-
რინან შუა სოფელში, და არავინ არ ესვრის მათ, — უცებ იქუნებს
ხიროსიმასავით მრისხანე სიტყვა:

— მანუტაჰუზენი!

ჟანგიანი და სისხლშემხმარი მავთულხლართები...

აქ ესესელები „კურდღლებზე ნადირობდნენ“ — ხეშტით გმირავ-
დნენ დედებს და ჩვილთა გულებს.

აქ სიკვდილიც კი აირწინაღით დადიოდა. მოწამლული იყო მი-
წა და ჰაერი...

გაზის კამერებში წვევდნენ ადამიანის ტვინსა და გულს...

მანუტაჰუზენის ფერფლი ყრია ევროპის მთებსა და ველებში.
მანუტაჰუზენის წყალსა და პურს იმ ფერფლის გემო აქვს...

...პოსტამენტზე ფეთქავს გახლეჩილი გული. ეს საფრანგეთი
დასტირის გაზის კამერებში დამწვარ რვა ათას შვილს.

შეძაძიანი ესპანეთი გლოვობს ექვსი ათას ვაჟკაცს.

გლოვობს დედა-პოლონეთი 30 ათას შვილს.

გლოვობს უნგრეთი და იუგოსლავია.

გლოვობს იტალია და დანია...

...მარმარილოში სუნთქავს კაცი-ლეგენდა გენერალ-ლეიტენან-

ტი დიმიტრი კარბიშევი. ძეგლზე რუსულ და გერმანულ ენებზე ამოტვიფრულია: „მეცნიერს, მეომარს, კომუნისტს დიმიტრი კარბიშევს, სიცოცხლე და სიკვდილი მისი იყო გმირობა სამშობლოს სასახელოდ“.

მარწუხით და შანთით დაგლიჯეს მისი გულმკერდი, სიტყვა ვერ ათქმევინეს, კაციკამიებმა საკონცენტრაციო ბანაკის ეზოში გამოიყვანეს სუსხიან ყინვაში, ცივ წყალს ასხამდნენ ტანზე...

წიოდა ქარი მაუტპაუზენის მავთულხლართებში... კარბიშევი ყინულის ბოძად იქცა... ესეც არ აკმარეს, გაყინული გვამი გაზიან კამერაში დაწვეს... კარბიშევი ერთი იყო...

40.000 საბჭოთა ადამიანი ცოცხლად დაწვეს ფაშისტებმა მაუტპაუზენის ღუმელებში, ცივილიზებული ევროპის შუაგულში...

მაუტპაუზენი... მილიონი კაცის სასაფლაო...

ადამიანებო, გახსოვდეთ მაუტპაუზენი. ნურასოდეს ნუ განმეორდება იგი.

მაუტპაუზენში ფრთხილად უნდა იყო, რომ უნებურად არ დააბიჯო ფეხი საფლავს. ყოველ ნაბიჯზე საძმო სასაფლაოა. იქ მარხია ათასობით უცნობი ჯარისკაცი...

და განა მარტო მაუტპაუზენში...

ევროპა მოფენილია ადამიანთა ძვლებით...

ვენის სასაფლაოზე შუბერტისა და ბეთპოვენის საფლავების ახლოს მარხია ქართველი ვაჟკაცი ვლადიმერ გიორგის ძე გილიგაშვილი, 1921 წელს დაბადებული და 1945 წლის 8 მაისს — გამარჯვების დღეს მტრის ტყვიით განგმირული... აქვე საბჭოთა მეომრების საძმო საფლავებია. საბჭოთა ჟურნალისტებმა ცოცხალი ყვავილებით შევამკეთ მათი საფლავები... ჯერ კიდევ ცრემლი სდით დედებს და საცოლეებს, აქვე კი რეინის პირას ისევ აელარუნებს იარაღს ბუნდესვერი.

ევროპაში უნდათ დაავიწყონ ხალხს ომის საშინელებანი.

ესტრადის ვარსკვლავს მარლენ დიტრიხს ბონელმა და ვენელმა კაპიტალისტებმა ბევრი ოქრო აძლიეს, ოღონდ არ ემღერა პოპულარული სიმღერა „სად დატოვე ჯარისკაცები, გენერალო?!“.

მარლენ დიტრიხი მაინც მღერის...

არა და არა! მილიონთა ცრემლი და სისხლი არ გაიყიდება ოქროზე!

იმღერე, დიტრიხ, მშვენიერო ქალო!

მაუტპაუზენში არ ხარობს ბალახი და ვარდი იმ საშინელი დღეების შემდეგ.

იმღერე, დიტრიხ, დაე შენმა სიმღერამ ვარდების ღიმილი მოჰფინოს მაუტპაუზენის ცოდვილ მიწას...

ენგელსის მოედანზე ვენაში ჩვენ ვნახეთ მარქსის „კაპიტალი“.

— ეს არის ერთადერთი კაპიტალი, რომელმაც სასიკვდილოდ დააფრთხო კაპიტალისტები. კაპიტალისტებს შეურაცხყოფად მიაჩნიათ კაპიტალისტი რომ უწოდოთ, — თქვა გამოძეგმლობა „გლობუსის“ ერთმა მუშამ.

ეს სიტყვები გაგვახსენდა, როცა ქარხანა „ზიმერინგ — პაუკენვერკს“ ვეწვიეთ ვენაში... ჯერ „სტუმართმოყვარეობამ“ გაგვაოცა. ქარხანაში შესვლის წინ ხელი მოგვაწერინგს დოკუმენტზე. თერთრზე შავად ეწერა: „100 ათასი შილინგი უნდა გადაიხადოთ, თუ მიყენეთ ზარალი ქარხანას...“ ორი კაცი ზედამხედველად მოგვიჩინეს. ამის შემდეგ ბ-ნი ვიმარი, სწელხმელი კაცი, ქარხნის ერთ-ერთი დირექტორი მოგვესალმა: „ჩვენ ძალიან გვახარებს თქვენი მოსვლა“.

გვაჩვენეს საბჭოთა კავშირის დაკვეთით აშენებული ატომური რეაქტორი.

— ჩვენ ვემსახურებით ბულგარეთს, ჩეხოსლოვაკიას, უნგრეთს. ამას წინათ ატომური სადგურებისათვის ინგლისს გავუგზავნეთ ტექნიკური აღჭურვილობა, — გვეუბნებოდა ბ-ნი ვიმარი.

საამქროებში ლენინგრადული ჩარხებიც გვაჩვენეს.

ბ-ნი ვიმარი იდეალურ სურათს ხატავდა, ჯერ ერთი, კაპიტალისტები არა ვართ. მეორე, პოლიტიკაში არ ვერევიითო.

ვილაცამ იკითხა, მუშებს შორის კომუნისტები თუ არიანო.

ბ-ნმა ვიმარმა დაბნეულად უპასუხა, სამწუხაროდ არა, ყველანი სოციალისტები არიანო.

ათი წლის წინათ კი ქარხანაში 40 პროცენტი კომუნისტები იყვნენ.

ბ-ნმა ვიმარმა ისიც თქვა, ჩვენს ქარხანაში ქალები არ მუშაობენო...

მომდევნო საამქროში დაზგებთან ვნახეთ მუშა ქალები. ბ-ნმა ვიმარმა „თვალი აგვიხვია“: ესენი მუშები არ არიან, დაზგებთან დამხმარედ მუშაობენო...

ბ-ნი ვიმარი თანდათან შედიოდა ბარონ მიუნჰაუზენის როლში: — ჩვენს ქარხანაში, ამბობდა აგი, — 5 დღიანი სამუშაო კვირაა, მუშებს მანქანები აქვთო.

თუმცა იქვე გაასწორა, თუ ცოლქმარი ერთად მუშაობს, შეუძლიათო მანქანების შექმნა კრედიტით. ჩვენი მუშები წვეიცარიასა და საფრანგეთში ისვენებენო.

ბ-ნი ვიმარი „ზალცბურგის ხარს ღებავს“, — გვითხრა ერთმა მუშამ, როცა ქარხანა დავტოვეთ...

იციტ რას ნიშნავს ეს? ალყაში მოქცეული ზალცბურგელი რა-
ინდები შუა საუკუნეებში შიმშილით უნდოდით ამოეხოცათ გერმა-
ნელებს.. ზალცბურგელებს კი ერთადერთი ხარი ჰყავდათ. ყოველ-
დღე სხვადასხვაფერად ლებავდნენ იმ ერთ ხარს და მტრის საჩვე-
ნებლად მოედანზე გამოჰყავდათ, ვითომ სურსათი გვაქვსო, თუმცა
შიმშილით იხოცებოდნენ.

ასეა ბ-ნი ვიმარიც... ერთი ორად უნდათ მოგაჩვენოთ.

ავსტრიელ მუშას აქვს თავისი ბიუჯეტი.

უბის წიგნაკში ჩამოწერილი აქვს მთელი გასავალი, კვირაში
სამკერ ლუდი, ორჯერ კინო, შაბათი და კვირა ვენის ტყეში ბუტერ-
ბროდებით კვება.

და ხშირად ისე ხდება, რომ თვეში ორჯერ ქალაქგარეთ როცა
გადის, ნაყინს ვერ უყიდის ბავშვს, ზედმეტ ბოთლს ლუდს ვერ და-
ლევს, რადგანაც ეს მისი საოჯახო ბიუჯეტით არ არის გათვალის-
წინებული...

მუშა საშუალოდ 1.500 შილინგს იღებს თვეში.

ოპერაცია საავადმყოფოში 3—5 ათასი შილინგი ჯდება.

ბინის ქირას მიაქვს მუშის ხელფასის მესამედზე მეტი.

ამას ამბობდა ავსტრიელი მუშა.

ისედაც აშკარა იყო, რომ ბ-ნი ვიმარი ზალცბურგის ხარს ლებავდა.

„მთელი მსოფლიოს შიხველი ქალაქი“...

კლაგენფურტ ავვიორტერზე ფედერალური მიწის — კარინტი-
ის დედაქალაქია.

ოტელ „იეგერმაიერჰოფის“ გვერდით, სადაც ცხოვრობდნენ სა-
ბჭოთა ჟურნალისტები, იყო კინოთეატრი „მოცარტი“. აქ უჩვენებდ-
ნენ ჰოლივუდის ფილმს „მთელი მსოფლიოს შიშველი ქალები“.
თუმცა 14 წლამდე ახალგაზრდობას აკრძალული ჰქონდა დასწრება,
სწორედ მოზარდები ესწრებოდნენ ჰოლივუდის კინოსტუდიის ამ
პორნოგრაფიულ ფილმს.

კინო და ტელეეკრანი მთელ სახელმწიფოში დათმობილი აქვთ
ჰოლივუდის, დასავლეთ გერმანიის, საფრანგეთის, მთელი მსოფ-
ლიოს იაფფასიან კინოხელოსნებს, რომლებიც წამლავენ აღამიანის
გონებას. „მთელი მსოფლიოს შიშველი ქალები“ ეს არის პორნოგ-
რაფია პლუს რეკლამა. კაპიტალისტები აფინანსებენ კინოხელოვნე-
ბას, რათა ეკრანზე იხილონ თავიანთი საქონლის რეკლამა. ეკრანის
„გმირები“ სვამენ იმ ვისკის, დადიან იმ მანქანით, საქონელს ყიდუ-
ლობენ იმ მაღაზიებში, რომელთა მფლობელებიც აფინანსებენ
ფილმს.

კაპიტალისტებს მიაჩნიათ, რომ რეკლამის ყველაზე ეფექტური საშუალებაა შიშველი ქალი.

პორნოგრაფია ეკრანიდან გადმოდის ცხოვრებაში. ცისფერი დუნაის ნაპირებზე არის პლაჟები, რომლებსაც ეძახიან „თავისუფალი ტანის კულტურას“. როგორც „ფოლკსშტიმეს“ რედაქციაში გვითხრეს, აქ ნატამალიც არ არის ქალური პატიოსნებისა და ოჯახური მორალისა. აქ სენსაციის მოყვარული დონ-ჟუანები და კაზანოვები გამოდიან არენაზე. აქვე ჩასაფრებულია მთელი ჯოგი ბურჟუაზიული რეპორტიორებისა. რასაც ცოლები უმაღავენ ხანდახან ქმრებს (ისე ბევრს არაფერს უმაღავენ), საქვეყნოდ ჰყვება ბულვარული „ექსპრესისა“ ან ყვითელი პრესის სხვა ორგანო. ისინი ეძებენ „საკბილოს“ „მულენ რუჟში“, „თავისუფალი სხეულის კულტურის პლაჟებზე“, ან პირდაპირ ვენის ქუჩებში, სადაც საღამოობით „პოლივუდის ფორმატის ქალიშვილები“ და ქალები ქოლგით ხელში დგანან გაჩახჩახებულ ვიტრინებთან, კაფე-ესპრესოებთან, ძველ ტავერნებთან და ღუქნებთან და მუშტარს ელიან. ისინი თაიანთი სხეულით ვაჟრობენ.

იქვე დგანან თეთრხელთათმანიანი პოლიციელები და ჟანდარმები. მეძავეები მათ თვალწინ აკეთებენ ბიზნესს.

დოქტორ ფოლერის უძილო ღამე...

ბიზნესის ზალცბურგში მეფისტოფელი ბატონობს.

არის მეორე ზალცბურგი — მუზების ზალცბურგი.

ხელოვნებათმცოდნე დოქტორი ფოლერი გვაცნობს მუზების ზალცბურგს.

ნახეთ ზალცბურგის ტაძრები და ფრესკები, მოუსმინეთ მოცარტის მუსიკას, როცა უკრავს გოთიკურ ტაძარში მოცარტის სახლის გვერდით მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ორღანი, ეწვიეთ ზალცახის ნაპირებზე მსოფლიოს მუსიკალური ფესტივალების სასახლეს, „მოცარტეუმი“ იხილეთ — მუსიკალური მუზების ოლიმპო, და თქვენს წინ გადაიშლება მუზების ზალცბურგი...

...დოქტორ ფოლერს უყვარს ხელოვნება. ჩვენ ვაჩუქეთ დოქტორ ფოლერს ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები კინოფირზე გადაღებული. მეორე დღეს დოქტორმა გვითხრა:

— წუხელ, როცა თქვენ ზალცბურგში გეძინათ, მე ვმოგზაურობდი მშვენიერ საქართველოში. ვასაოცარი ხუროთმოძღვრების ქვეყანაში. მისთვის აღმოჩენა იყო უფლისციხე და ვარძია, სვეტიცხოველი და ნიკორწმინდა, ალავერდი და გელათი... დოქტორ ფოლერს უნახავს რომისა და ვენეციის, პარიზისა და ლონდონის ხუროთმოძ-

ღვრული ძეგლები. ბრწყინვალედ იცნობს ევროპის არქიტექტურას, და მინც გააკვირვა ქართულმა ხუროთმოძღვრულმა გენიამ ქალარა ავსტრიელი მეცნიერი. — აუცილებლად უნდა შევისწავლო საქართველოს არქიტექტურა. ეს საინტერესოა, — თქვა დოქტორმა ფოლერმა.

ზალცბურგს გვაცნობდა სხვა პროფესორიც — ანტონ ტალბაუერი. ბ-ნი ტალბაუერი მოდერნისტული ხელოვნების ქურუშია. თეატრის ფოიეში კურტ ფიშერის სამი აბსტრაქტული ტილო „წყალი“, „ცეცხლი“, და „ჰაერი“ გვაჩვენა.

სურათები სასაცილოდ იყო დაჯღაბნილი, მაგრამ ყველაზე სასაცილო ის იყო, რომ ბატონ ტალბაუერს აერია ერთმანეთში რომელი იყო წყალი, რომელი ჰაერი და რომელი ცეცხლი, ყველა ერთნაირად იყო ნაჯღაბნი.

ზალცბურგის მუსიკალური ფესტივალების სასახლეში გვაჩვენეს ქანდაკება, რომელსაც ეწოდებოდა „სიმფონია“. ბ-ნი ტალბაუერი ურტყამდა ჩაქუჩს სხვადასხვა წერტილზე და ქანდაკება გამოსცემდა უცნაურ ხმას... ეურნალისტებმა ხელოვნების ამ „შედევრს“ შეარქვეს „სიმფონია ჩაქუჩისათვის“.

ოსკარ კოკოშკოს ზალცბურგში აქვს მხატვართა მსოფლიო სკოლა, თუმცა მისი გობელენი „ამური და ფსიქეა“ ამურების დასაფრთხობად თუ გამოდგება.

ვენის ტყის ზღაპრები

...ალპების თოვლიან მწვერვალებზე ჩანჩქერებისა და ედელვაისების სამეფოში, გვაჩუქეს თეთრი ყვავილი — „არ დაგავიწყდე“...

რა დაგვაფიწყებს შუბერტის ადგილებს, — იეგერმაიერპოფს ლინცში, კარინტიის მომკელთა და მთიბავთა მზით გარუჯულ სახეებს, ტიროლის „იოდლებს“ — ლირიკულ და ედელვაისივით ნაზ სიმღერებს, გარეული თხის ტყავის შორტებსა და ხოხბების ფრთაგარკობილ ქუდებს...

თეთრი ყვავილი „არ დაგავიწყდე“ გამახსენებს ზალცკამერგუტის ლურჯ ტბებს, რომლებიც ძალიან გვანან, ჰუგო ჰუპერტისა არ იყოს, მზეთუნახავ რიწას, ისევე როგორც შონბრუნის — „ლამაზი წყაროს“ ლეგენდა ჰგავს თბილისის დაბადების ლეგენდას. გაიხსენებ გროსკლოკენერის გზებს ღრუბლებს ზემოთ, რომლებიც უთუოდ დარიალის ხეობას და საქართველოს სამხედრო გზას მოგაგონებთ...

რა დამავიწყებს ვენაში „კუნსტისტორიში მუზეუმში“ ნახულ ფუნჯის ჯადოქრების ტიციანის, ვერონეზეს, ველასკესის, კავარაჯოს, რემბრანდტის, რუბენსის გენიალურ ქმნილებებს... ბაროკოსა და როკოს ვენას და ზალცბურგს...

ვერ დაივიწყებ მსოფლიოს მუსიკალური დედაქალაქის — ვენის საოპერო თეატრში მოსმენილ „აიდას“, ლეთიური მუსიკის ზმებს, რა დაგვაფიწყებს მოცარტის სახლს ზალცბურგში, „ჯადოსნურ ფლეიტას“, ვენის ტყეში მოსმენილ „სულიკოს“, „კაიზერვანის“ „წინანდალს“ რომ შეადარეს ავსტრიელებმა, ვენაში კომუნისტური გაზეთის „ფოლკსტიმეს“ ლეგისაწაულს ღა ფეიერვერკით მსვლელობას, შეხვედრებს ავსტრიის კომპარტიის გამომცემლობა „გლობუსის“ მუშებთან და ღუნაელ მევენახეთა ღიმილს, ალპების ედეღვაისებს და ტიროლის მთვარიან ღამეს, საქართველოს რომ გაგახსენებთ. ყოველივე ეს შტრაუსის ვალსებივით ხმაურობს სხეულში, ამიტომაც ყოველივე ამას ვენის ტყის ზღაპრები უნდა უწოდო.

გაიხსენებ ვიორტერზეეს პირას კლაგენფურტში ურჩხულთან მებრძოლ ტიროლელ გლეხს... ის ურჩხული ერთმა ყურნალისტმა შეადარა კაპიტალიზმს, გლეხი კაბუჯი კი — თავისუფლებისმოყვარე ნიკიერ ავსტრიელ ხალხს.

ამბობენ, რომ როდესაც კაბუჯი დაამარცხებს კლაგენფურტის ურჩხულს, ღუნაი მარად ცისფერი იქნება.

ღღეს კი... მღვრიეა ღუნაი. მღვრიე ტალღებს მიაქვთ ედეღვაისი. ღუნაი ცისფერი და ლჷრჯი უნდა იყოს...

ვენა-ვარშავა-თბილისი.

ღანიის გზებზე

500 კუნძული...

მატარებელი მოსკოვი-ვარშავა-ბერლინი-კოპენჰაგენი მიდის სკანდინავიის ქვეყნებში... უნებურად ფიქრობ გენიალურ დანიელ უფლისწულზე ჰამლეტზე, მწერალ მარტინ ანდერსენ-ნექსეზე, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სოციალისტურ რეალიზმს საზღვარგარეთ, გამოჩენილ მეზღაპრე ჰანს ქრისტიან ანდერსენზე... ფიქრობ ძველ დანიელ მეომრებზე — ვიკინგებზე, რომლებსაც როგორც პოეტური დანიური საგა მოგვითხრობს, ძვლები კლდისაგან ჰქონდათ გამოკვეთილი, სისხლად ზღვის ქაფი უღულდათ ძარღვებში, ხოლო საიდუმლო ფიქრებს ნისლები შთააგონებდნენ...

უკვე გავიარეთ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა... და აი უკვე დანიამში ვართ. კოპენჰაგენში გემასპინძლობენ დანიელი ყურნალისტები და კომუნისტური ფირმა „ფოლკთოურესტი“.

ლამაზი ქვეყანაა დანია. იდეალური საყანეები და საბაღნა-
როები, ტყეები, ფიორდები.

ზღვის სანაპიროს არც ერთი ქალაქი და სოფელი არ არის და-
შორებული 50 კილომეტრზე მეტი მანძილით.

ხუთას კუნძულზე ცხოვრობს, შრომობს და მსოფლიოს აკ-
ვირვებს შრომით და ნიჭით ამ პატარა ქვეყნის ხალხი.

დანიელ მშრომელ ხალხს უყვარს საბჭოთა კავშირი, მისი იდეა-
ლები — მშვიდობა, შრომა, ბედნიერება. თანასწორუფლებიანობა,
მტრებიც არიან ამ ქვეყანაში, მაგრამ შეგობრები უფრო მეტია.

ააოლონის საკურთხეველი

საბჭოთა კავშირის ბევრი კარგი მეგობარი ცხოვრობს დანია-
ში. დაუფიწყარი იყო შეხვედრა კოპენჰაგენის კაფე „სამას ყვავში“
ლერმონტოვისა და შოლოხოვის მთარგმნელთან მწერალ ერიკ
ჰორსკერთან. მის მიერ თარგმნილი ლერმონტოვის „მასკარადი“
ვნახეთ ქ. ორხუსის თეატრში.

ვესაუბრეთ ჰორსკერს შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“
სკანდინავიაში თარგმნის პერსპექტივებზე.

— დანიელები აუცილებლად წაიკითხავენ მშობლიურ ენაზე
დიდ რუსთაველს, — თქვა მან. — საბჭოთა კავშირ-დანის მეგობ-
რობის საზოგადოებაში უკვე ზრუნავენ რუსთაველის იუბილეა-
თვის.

— ქართულ ბალეტს იცნობენ დანიაში, აქ იყო სუხიშვი-
ლის ცნობილი ანსამბლი და ფურორი მოახდინა — გვიტხრეს
„ლანდ ოგ ფოლკის“ რედაქციაში.

დანიაში გასტროლებზე იყვნენ დიდი თეატრის სოლისტებიც.
მათ შორის ულანოვა, სტრუჩკოვა, ლაფაური... რომლებმაც აიღეს
კოპენჰაგენის სამეფო თეატრა.

აქ კარგად იცნობენ ჩაიკოვსკის, რიმსკი-კორსაკოვის, პროკო-
ფიევის და სხვა რუსი, საბჭოთა კომპოზიტორების შემოქმედებას.

— ამ სცენაზე დიდი წარმატებით მუშაობდა ჯორჯ ბალანჩი-
ნი, კოპენჰაგენის დრამატულ თეატრში იდგმება ევრიპიდეს „მე-
დეა“, — ესეც ქართულია, — თქვა ჰორსკერმა, — მედეა ხომ
კოლხი ასული იყო. კოლხეთი დანიელმა იცის უპირველეს ყოფ-
ლისა ოქროს საწმისისა და პრომეთეს თქმულებების მიხედვით.

დანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გაზეთის
„ლანგ ოგ ფოლკის“ რედაქციაში გულთბილად მიგვიღეს საბჭო-
თა ჟურნალისტები. აქ იყვნენ დანიელი კომუნისტები, მუშები,
მეთევზეები. დანის მშრომელებს უყვართ თავიანთი გაზეთი

„ლანდ ოგ ფოლკი“ („ქვეყანა და ხალხი“). — მუშების მიერ შეგროვებული თანხებით არსებობს კომუნისტური გაზეთი, — თქვა მთავარმა რედაქტორმა ვილი კარლსონმა.

დაუვიწყარია შეხვედრა ჰანს ქრისტიან ანდერსენის, ანდერსენ-ნექსის მემორიალურ ადგილებთან.

— მთელ ინგლისს ანდერსენის ერთი ზღაპარი მიჩვენია, — გეტყვის დანიელი.

ხელოვნების უდიდეს ტაძარში — კოპენჰაგენის კლიპტოთეკაში ახალი დროის უდიდესი ფრანგი მოქანდაკის როდენის უნიკალური კოლექცია გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ახდენს. ჩვენ ვნახეთ მისი ქმნილებები. „კალეს მოქალაქენი“, „გ. პიუგო“, „უანა დ'არკი“, „კონა“. „ადამი“, „ევა“.

როდენმა მისი მოწაფე დიდი ქართველი მოქანდაკე ნიკოლაძე გაგვახსენა.

აქვეა მსოფლიოში ცნობილი მხატვრების ვან გოგის, რენუარის, დეგას, პიკასოს, მონეს, მოდელიანის, შჩაგალის და სხვა მხატვრების ქმნილებები. შემზარავ შთაბეჭდილებას ტოვებს კოპენჰაგენის გარეუბანში ულტრაამოდერნისტული მუზეუმი „ლუიზიანა“, სადაც თავმოყრილია მსოფლიოს აბსტრაქციონისტთა და სხვა ულტრამოდერნისტთა ნაცოდვილარი.

ღია კარავის ძველანა

დანიელები მცირე ერია, ამიტომ ულტრაპატრიოტიზმი მათთვის დამახასიათებელი თვისებაა.

კოპენჰაგენის სანავსადგურო უბან „ნიუ ჰავნი“ დანიელები სცემენ შედეგს, რომლებიც დანიელ ქალებს გაეარშიყებიან. აქვე სპეციფიკური გამოთქმაც „ყბა მოვუნგრიოთ შევედს“.

დანია ქარის წისქვილების ქვეყანაც არის. ეურნალისტებს ეს ხშირად დონ-კიხოტს აგონებს. მათ უნდათ, რომ დანია მშვიდობის-მოყვარე ნეიტრალური ქვეყანა იყოს. დანია ღია კარების ქვეყანაა. აღმოსავლეთით შეეცია გემის 30-40 წულის სავალზე, სამხრეთით — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. საზღვარზე პასპორტებსაც არავინ სინჯავს. შეეციელები და გერმანელები დანიაში ჩამოდიან იაფი კარაქისა და ხორცის საყიდლად, დანიელები გერმანიასა და შეეციაში მიემგზავრებიან სამრეწველო ნაწარმის შესაძენად.

სამწუხაროდ, დანია-დასავლეთ გერმანიის საზღვარზე მარტო კარაქი და ხორცი კი არა, საზარბაზნე ხორცის შესაძენადაც გადმოდინან.

თანამედროვე დანიელები ძველი მეომარი რაინდების — ვიკინგების შთამომავალნი არიან. ვიკინგები, როგორც პოეტური სკანდინავიური საგა მოგვითხრობს, ღვინოს სვამდნენ მოკლულთა თავის ქალებისაგან გაკეთებული სასმისებით.

ნატოს მესვეურები მართლაც ოცნებობენ იმ დღეზე, როცა ევროპას სასაფლაოდ აქცევენ და საფლავის ქვებზე ჩამომსხდარნი დაღვევენ სიკვდილის საღმრთო მკვდრების თავის ქალებით. ამიტომ ხომ არ იყიდება კოპენჰაგენის მალაზიაში თავის ქალი იმიტაციები!

ძველ ვიკინგებს კოპენჰაგენის ქუჩებში ხატავენ რეკლამებზე რქებითა და რძით სავსე სასმისებით. ეს დანიის რძის რეკლამაა. მაგრამ ნატოს ჯარისკაცებს რძის ნაცვლად სისხლი სწყურიათ. მათ გონებას უბნელებენ ანტიკომუნისმისა და რევანშიზმის იდეებით. კოპენჰაგენის ქუჩებში წააწყდებით ბუნდესვერის ჯარისკაცებს.

კრონბორგის ციხე-სიმაგრეში, რომელსაც ლეგენდა ჰამლეტის საკუთრებად აცხადებს, ერთმა მოხუცმა თქვა:

— დანია ჰამლეტს მაგონებს. ნატოში მისი შესვლა „ყოფნა-არყოფნის“ თამაშია და სხვა არაფერი. დანია ჰამლეტის ორეულია...

შიშველი მათე...

ეს ანდერსენის ზღაპარი როდია. ნამდვილ მეფეზეა ლაპარაკი. მეფე, რომელიც ამერიკელი ტურისტებისათვის მხოლოდ ეგზოტიკის საგანს წარმოადგენს, დანიაშიც ალბათ მალე ჩაბარდება მუზეუმს. გარეგნულად არაფერი შეცვლილა. როგორც შუა საუკუნეებში, ეგზოტიკურ ტანსაცმელში გამოწყობილი სამეფო ყარაული იცავს სასახლეს. მეფე სიმბოლოა, რომელიც აერთიანებს იუტლანდიის ნახევარკუნძულის, გრენლანდიის, ფარერის კუნძულების მოსახლეობას, მაგრამ მეფე არ მეფობს. მეფეს დანიშნული აქვს ხელფასი.

კაცმა რომ თქვას, მეფე მაინცდამაინც არ არის სამეფო საქმეებით დატვირთული. მას აქვს რამდენიმე საყვარელი მისწრაფება, ანუ „ჰობი“, როგორც დასავლეთში იტყვიან ხოლმე. ეს არის მანქანის მართვა საკუთარი ხელით, ან დირიჟორის როლშიც გამოდის საპეფო ოპერაში. ამბობენ, მეფე საშუალოზე დაბალი ნიჭის მუსიკოსიაო. მაგრამ მეფე მაინც მეფეა და პირში ვერავინ უბედავს ამის თქმას. დანიის მეფეს თავისი ქალიშვილი საბერძნეთის მეფისათვის მიუთხოვებია და ახალდაქორწინებულები შვეიცარიაში მოგზაუ-

რობდნენ. დანიის გაზეთები აჭრელებული იყო მეფის კარის ქრონიკებით. მოკლედ — მეფე საოჯახო საქმეებს განაგებს.

ანდერსენის უიშველი მეფის ზღაპრის სინამდვილედ ქცევა ძნელად თუ სჯეროდა ვინმეს დანიაში, მაგრამ კაპიტალისტურ ქვეყნებში ფული მეფობს და არა მეფე.

ოქრომ დაამხო ტახტი... ოქრომ წაართვა ყველა ტიტული დინასტიებს და თვითონ გახდა „მისი უდიდებულესობაც“ და „მისი უმაღლესობაც“.

პირველი უპველანი პროფანია...

ეს გახლავთ პროსტიტუცია. ასე დაკანონდა ეს ტერმინი მსოფლიო ბექდვითს სიტყვაში. კოპენჰაგენში პირველ უძველეს პროფანსიას მოკლედ ეძახიან „ნაუ-ჰავნს“; ღამის კაბარეებისა და მეძავთა უბნის სახელს.

კოპენჰაგენი მსოფლიო ნავსადგურია. მსოფლიოს მეზღვაურებს აქ ემსახურებიან „სექსუალური ტრესტების“ ფილიალები.

კოპენჰაგენის ქუჩაში მოვისმინე ერთი სიმღერა:

„ძროხის ხორცი თუ ძვირი არის
კოპენჰაგენში,
საზარბაზნე ხორცი იაფია
კოპენჰაგენში,
სხვანაირად როგორ შეიძლება
კოპენჰაგენში?
საფლავის ქვაც კი ძვირი არის
კოპენჰაგენში,
მაგრამ ქალები იაფია
კოპენჰაგენში,
სხვანაირად როგორ შეიძლება
კოპენჰაგენში?
...ყველაფერი იაფია
კოპენჰაგენში“.

„ფფფ“...

და იქვე ქუჩაში ყიდდნენ გაზეთებს, რომლებიც აჭრელებული იყო წარწერით: „რატომ ღირს დანიური კარაქი კოპენჰაგენში უფრო ძვირი, ვიდრე ლონდონში?“

— ამ კითხვაზე მხოლოდ „კაპიტალი“ გაგვეცემს პასუხს,—თქვა კომუნისტური გაზეთის „ლანდ ოგ ფოლკის“ თანამშრომელმა. იქნებ ლაქსნესმაც გვიშველოს. გახსოვთ ნობელის პრემიის ლაურეატის ჰალდორ ლაქსნესის რომანში აღწერილი „ფასგამყალბებელი ფირმების ფედერაცია“ („ფფფ“)? მაგალითად, ამე-

რიკაში დილი ნახევარი ერე ღირს (ერე — ფულის ერთეულია დანაში). მაგრამ ნიუ-იორკში შენ გაქვს სააქციონერო საზოგადოება „ფფფ“, რომელიც ამ დილს ირლანდიაში ან, თუ გნებავთ, კოპენჰაგენში ორ კრონად ღიღის. ოთხასი პროცენტი მოგება! ერთ თვეში მილიონერი ხდები. — თან მრავალმნიშვნელოვნად ილიმება ბურჟუა ჟურნალისტი.

აი ეს სიძვირე აიძულებს ქალს გაჰყიდოს ყველაფერი, ივაჰროს სექსით.

დანიაში ყველაზე პოპულარული მწერალი დოსტოევსკია. გახსოვთ, დოსტოევსკის ერთ-ერთი გმირი ამბობს, ოქროგამიფებულ საზოგადოებაში ქალის მიერ სხეულით ვაჰრობა არსებული წყობილების წინააღმდეგ პროტესტიაო.

დანაშაულს სჩადიან, მაგრამ თემიდას მახვილი არ აღმართულა დამნაშავეთა წინააღმდეგ.

„კაპიტალი“ იძლევა პასუხს იმ კითხვაზეც, თუ რატომ არის პირველი უძველესი პროფესიის პირველი ქალაქი კოპენჰაგენი. თუმცა მას პირველობაში პარიზი ეცილებდა, მაგრამ ეს უკვე პარიზ-კოპენჰაგენის შინაური დავაა და ამ დავაში ჩვენ არ ჩავერევით.

მეორე უძველესი...

ერთმა მორალისტმა ბურჟუაზიულ ჟურნალისტიკას — მეორე უძველესი პროფესია უწოდა. კოპენჰაგენში დავათვალიერეთ უმსხვილესი დანიური კონსერვატიული გაზეთის „ბერლინგსკე ტიდენდეს“ რედაქცია, სადაც ეს აზრი უფრო განმომტკიცდა. შესასვლელში თვალში გვეცა წარწერები: „დრო — ფული!“ „შენს ფულს საემისიო ბანკი კი არა, შენივე კალამი ჰრის შენს მაგიდაზე!“ დიახ. ფული და ფული! სწორედ ფულმა აქცია ბურჟუაზიული პრესა ჰორის ფაბრიკად.

გაზეთში დაგვხვდა ორი მთავარი რედაქტორი. ერთი საგარეო პოლიტიკის დარგს უძღვება, მეორე — საშინაო საქმეებს განაგებს. ბატონი ნორლუნდი და ბატონი დელურანი. გარეგნულად რაფინირებული, თავაზიანი, სორბონსა თუ ოქსფორდში გამობრძნედილი ტიპიური ბურჟუაზიული ჯენტლმენები.

ხელოვნური ღიმილი... დახვეწილი ექსტიკულაცია...

ბატონები ნორლუნდი და დელურანი ჩვენთან ენაშუობდნენ, ამ დროს კი მათი გაზეთი, რომელიც დღეში ორჯერ გამოდის, ასეულ ათასობით ტირაჟით ბეჭდავდა საბჭოთა კავშირზე ჩვეულებრივ მონაჭორებსა და პასკვილებს. გაზეთი განადიდებდა ნატოს აგრესიულ ბლოკს... სავსებით სწორად ეძახიან ბურჟუაზიულ ჟურნალისტიკას მეორე უძველეს პროფესიას. ამ ბურჟუა-

ზიული ჟურნალისტი-ბიზნესმენების სიცილშიც და საუბარშიც იყო რაღაც არასასიამოვნო ქვეტექსტები, რაღაც სატანური და მეფისტოფელური საწყისები...

ნატოს მესვეურებს სატირიკოსი მწერლების ილფისა და პეტროვის ცნობილი გპირის ოსტაპ ბენდერის მადა აქვთ:

— რა ჰქვია მიწის ამ ნაკვეთს? დანია? შემიხვეთ გეთაყვა, რაადენი გადავიხადო?

ორი ძეგლი...

დანიაში ორი ძეგლი დამამახსოვრდა: ერთი კოპენჰაგენში უდგას უ. ჩერჩილს, მეორე საუნივერსიტეტო ქალაქ ორხუსში — დანიურ ღორს. ჩერჩილი ყველაზე პოპულარული პოლიტიკური მოღვაწეა ამ ქვეყანაში: ჩერჩილის სიგარები, მაღაზია „ჩერჩილი“, ჩერჩილის წიგნები... და ბოლოს, ჩერჩილის ძეგლი. ბრინჯაოს უინსტონი მიწას დაჰყურებს.

— სად არის ჩეჩი სიგარა? — კითხულობს ჩერჩილი! — ამბობენ კოპენჰაგენლები. ეს არისო ძეგლის მთავარი თემა. დანიელებს უყვართ ხუჭობა.

დანიელისათვის არა მგონია იუმორის გრძნობას ეკარნახებინოს ღორის ქანდაკების დადგმა საუნივერსიტეტო ქალაქ ორხუსში. დანიურ ღორს თურმე ორი ნეკნით მეტი აქვს, ვიდრე მსოფლიოს სხვა ღორებს. ეს ღორი საუკეთესო საექსპორტო ბეკონს იძლევა. ასზე მეტ ქვეყანაში იციან ამ ღორის ხორცის გემო.

დანიურ ღორს მადლიერმა დანიამ ძეგლი დაუდგა. ბევრ მწერალს შურს, დანიაში იმგვარი ძეგლი რომ არ ელირსება.

გიჟოლი

არის კოპენჰაგენში წმინდა წყლის ბურჟუაზიული პარკი „ტივოლი“. აქ არის ძაღლის კაფეები, ძაღლის საპარიკმახეროები, ძაღლის მოდეების ატელიეები. ძაღლებმა მოდაზე უნდა ჩაიკვან, მოდაზე დაივარცხნონ, „კულტურულად“ ჰკამონ. წარმოიდგინეთ. ძაღლებს აქვთ „სასაუბრო სალონები“, სადაც ისინი ერთმანეთთან ნაცნობობას ამყარებენ! ეს მაშინ, როცა დანიაში უმუშევრობისა და ბინის პრობლემა და ბევრი სხვა სოციალური და ეკონომიური საკითხი გადაჭრილი არ არის.

აქ უჩვენებენ ფილმებს, სადაც, როგორც აფიშები იუწყებიან, ეკრანის ვარსკვლავები 10-წერ თუ 15-წერ იხდაან ტანთ, ამა დამ ფილმში კლავენ აჰდენ კაცს. რეკლამებზე განგსტერებსა და ყოვბოებს აღმერთებენ, სისხლით და სექსით ავიყებენ მოზარ-

დებს... მაგალითად, ისეთ პორნოგრაფიულ ფილმში, როგორც არის „ცოია 16 წლისა“, სხვა არაფერია, სექსუალური ცხოვრების სხვადასხვა პასაჟების უხამსი გაშიშვლების მეტი. ბიზნესმენები ფილმის გამოსვლის მეორე დღეს ჰყიდიან მაღაზიებში იმ კოსტიუმებსა და თეთრეულს, რომელიც ფილმის გმირებს აცვიათ. ფილმა ბიზნესია. არ მესიამოვნა ჰემმარიტი ხელოვნის — პოლიეუდის კინოვარსკვლავის კიმ ნოვაკის ხილვა პორნოგრაფიულ ფილმში „ჰომიწექ გვერდით, სულელო!“. კიმ ნოვაკა ორიოდ წლის წინათ მოსკოვში გამოვართვი ინტერვიუ „კომუნისტისათვის“. ის ჰემმარიტად კეთილშობილი და მაღალი ინტელექტის ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა!

ახალგაზრდობა

„ვიდრე ჰხვალ?“ — ეს კითხვა კლასიკურ გამოთქმად იქცა ეს აწუხებს დანიის ახალგაზრდობას. ის უიდეალო, უმიზნო საზოგადოებაში ცხოვრობს და კოპენჰაგენის ქუჩებში უსაქმოდ დაყიალობს. აქ ახალგაზრდების დიდ ნაწილს „ბიტლზებს“ ეძახიან. ისინი ამერიკასა და ინგლისში, შემდეგ მსოფლიოში სენსაციურად გახმაურებული „ბიტლზების“ კვარტეტის მიბაძვით უშვებენ კულტის მსახურივით გრძელ თმას, იცვამენ მოდის საწინააღმდეგოდ და ჩაცმის ამ სტილს ეძახიან — „მიმიფურთხებია საზოგადოებრივი გემოვნებისათვის“. აჩერებენ ქუჩაში მოძრაობას, ყვირიან ველურებივით, უსტვენენ, დებოშს ტეხენ...

— რა უნდა ამ ახალგაზრდობას? — ვკითხეთ შავზუჩიან და ხელკეტიან პოლიციელს, რომელიც ოლიმპიური სიმშვიდით უყურებდა ყოველივე ანანს. მან გვიპასუხა: ეს მათ ჰკითხეო.

მათ ვკითხეთ.

— რა თქვენი საქმეა. რაც მოგვწონს, იმას ვაკეთებთ, — იყო პასუხი.

— ვინ არის ეს ხალხი? ან რა უნდათ? — ვკითხეთ ბურჟუაზიული გაზეთის მთავარ რედაქტორს ბ-ნ ნორლუნდს.

— იცით, რა? ახალგაზრდა ფიზიოლოგიურად გამოყოფს რევოლუციურ ენერგიას, როგორც, მაგალითად, ნერწყვს. ლა რადგანაც დანიაში ყველა სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიური პრობლემა გადაჭრილია, მაშასადამე, საჭირო არ არის რევოლუცია. მაგრამ ახალგაზრდობას აქვს ენერგია და ამ ენერგიას ის გამოყოფს ამ უწესრიგო ფორმით.

მხოლოდ დიმილი შეიძლება გამოიწვიოს ასეთმა პასუხმა.

ჯერ ერთი, ბურჟუაზიული პრესის მესვეური გულმავიწყი ყოფილა. დანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ იმ დღეებში

ეურნალისტებისათვის გააკეთა განცხადება: პირველი, დანიაში უმუშევრობის პრობლემა გადაჭრილი არ არის და შემდგომი ლიკვიდაციაც შეუძლებელიაო. მეორე, დანიაში, ისევე როგორც ბევრ სხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოში, ფასების დონე მუდმივად იზრდებაო. ხან ჩქარა, ხან ნელა, ხან ძლიერად, ხან სუსტად, მაგრამ ყოველ შემთხვევაში იგრძნობა ინფლაციური პროცესი, ფულის კურსის დაცემა. მესამე, დანიაში დაკმაყოფილებული არ არის მოთხოვნა ბინებზე. მაგალითად, სტანდარტულ საცხოვრებელ სახლში ბინის ქირა შეადგენს 300—400 კრონს თვეში, მაშინ, როცა მუშის საშუალო ხელფასი 1200 კრონია. მეოთხე, დიდია გადასახადები. ცოლიანი მამაკაცი, რომელიც დიდ კომენჰაგენში ცხოვრობს, წელიწადში ყოველ 13 ათას კრონ შემოსავალზე 3000 კრონ გადასახადს იხდის. ასე რომ, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი საარსებო დონის ქვეყანაში ასეთი რთული პრობლემებია.

ახალგაზრდობის ეს ნაწილი რევოლუციურ ტრადიციებზე რომ იყოს აღზრდილი, ის მოძებნიდა უკეთეს მიზანს, ვიდრე ქუჩაში უმიზნო ყილაია.

ქალაქებში კომენჰაგენში, ორხუსში, ოდენზეეში, იუტლანდიის ნახევარკუნძულზე, ჩრდილოეთ ზელანდიაში ჩვენ ვხვდებოდით არა მარტო „დაკარგულ თაობას“, არამედ „დანის იმედსაც“ — ნამდვილ ახალგაზრდობას. ისინი თანაუგრძნობენ კომუნისტურ გაზეთს „ლანდ ოგ ფოლკს“. კომენჰაგენში მათ მოჰქონდათ პლაკატი „ხიროსიმა — 1945, ნაგასაკი — 1945, კომენჰაგენი — ?“ ეს ნატოს საწინააღმდეგო დემონსტრაცია იყო. ახალგაზრდები თანაუგრძნობენ მებრძოლ ვიეტნამს. ჩვენ ვნახეთ სტუდენტები, რომლებიც მოითხოვდნენ დანიაში სამხრეთ აფრიკის კავშირიდან შემოტანაში. პროდუქტების ბოიკოტს. ეს იყო პროტესტი ფერეურდის რასიზმის წინააღმდეგ.

ეს ახალგაზრდობა დანიის ხვალისდელი დღეა.

კომენჰაგენი-თბილისი.

ოქტომბერი. 1965 წ.

მალრიბში, კართაგენის ნანგრევებზე

არაბი პოეტის თვალით...

მალრიბი დასავლეთს ნიშნავს. ეს ახლო აღმოსავლეთის შორეული დასავლეთია.

არაბული დასავლეთი: ტუნისი, ალჟირი, მაროკო.

მალრიბი უცნაურ ზღაპრულ ფრინველად ჰყავთ წარმოდგენილი აღმოსავლეთის პოეტებს. ალყირი და მაროკო ფრთებია, ტუნისი თავი იმ ფანტასტიკური ფრინველისა. ასეთ უცნაურ სახეთა დანახვას ასეთივე უცნაური ფანტაზია სჭარბება ალბათ.

— საით მიფრინავს ეს უცნაური ფრინველი? — ვეკითხები პრეზიდენტის სასახლესთან მდგარ ერთ ტუნისელ გლეხს.

— აბა, საით გაფრინდება ის ფრინველი, რომლის ერთი ფრთა მომავლისაკენ ისწრაფვის, მეორე წარსულისაკენ?

ტუნისელი მეთაუზის პასუხი

ერთ ზღვისპირა სოფელში არაბული ღარიბული ქოხი — მეტამეური ვნახეთ. მეთევზეებს ბადეები გადაეფინათ. იქ ერთი მოხუცი მეთევზე გავიცანით, ნამდვილი ზღვის მგელი. თითქმის ქართული გვარი ჰქონდა: ალ-შანავი. მე ხსოვნაში ჩამრჩა მისი სიტყვები:

— ჩვენ თევზებს ვუგებთ ბადეს. ცხოვრება კიდევ ჩვენ გვახვევს თავის ბადეში.

— როგორ ცხოვრობენ ტუნისელი გლეხები? — იკითხა ერთმა ჩვენთაგანმა.

— ჩვენი ცხოვრება, კეთილო კაცო, ტუნისის მდინარეებსა ჰგავს. თქვენ ტუნისის მდინარეები არ გეცოდინებათ. მათ მდინარე-მირაჟებს ეძახიან. დიდი სიცხეების დროს შრებთან ისინი, ჩვენც ამ მდინარეებივითა ვართ. ხან სავსე ვართ, ხან ვშრები. ასე გვაბრუნებს ეს ცხოვრება.

18 კილომეტრი თუ 18 საუკუნე?

გზას თითქოს ბოლო არ უჩანდა, თუმცა ტუნისიდან კართაგენამდე სულ რაღაც 18 კილომეტრია. ეს 18 კილომეტრი 18 საუკუნეს უდრის! ეს 18 კილომეტრი უფრო გრძელი გვეჩვენა, ვიდრე კართაგენის ნანგრევებამდე საქართველოდან განვლილი თითქმის 3500 საზღვაო მილი.

ქალაქ ტუნისში ბარსელონის მოედნისაკენ რომ მივდიოდით, კართაგენის ქუჩა გადავჰვებით, მერე ნაყოფიერი სუბტროპიკული პლანტაციები, მდიდარი, ნოყიერი მიწის თვალწარმტაცი სანახები, რომლებიც საოცრად გვაგონებდნენ საქართველოს სუბტროპიკებს.

კოტეჯები, მეჩეთები, მინარეთები, ოტელეები...

კართაგენი უცებ გამოჩნდა: მისი იავარქმნილი ბასტიონები

გოროზად გამოიყურებოდნენ ხმელთაშუა ზღვის ლურჯ ფონზე.
მწვანე ბალახზე წითლად ხასხასებდნენ კართაგენის რომან-
ტიკული ვარდები.

როცა ძველი დიდების ამ ნაშთს დაჰყურებ, გინდა დაწერო
ელეგია: კართაგენის ნანგრევების სევდა...

ან მოცარტის რეკვიემს უსმინო...

აქ მარხია კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთი უბრწყინვალე-
სი ფურცელი.

ქველ კართაგენს კვლავ ჩაჩქანი ახურავს.

ფერფლით აღსდგა. სხვა მტერი ჰყავს, იცის.

ამ ძველ კედლებს — კვლავ რწმენა აქვთ აგურად.

და დულაბად — ჰანიბალს ფიცი.

მე ურუანტელმა დამიარა, როცა ამ უძველეს ქვებს და
კედლებს შევახე ხელი.

ვილაც ლაშაზი არაბი გოგონა საპალნიან სახედარს მიერეკე-
ბოდა და მიიმღეროდა:

კართაგენის ფართობლების ბაღში,

კაბა მეცვას წითელ ვარდის ფერი...

...ცხოვრება ძველებურად გრძელდებოდა ძველი კართაგე-
ნის ნანგრევებზე.

შოტბ-ელ-ჯერიდი ანუ „მარილის ყინულოვანი“ ტბა

ეს არის ტუნისის ყველაზე დიდი მარილიანი ტბა და მალ-
რიობის ერთ-ერთი საოცრება: მას აქვს მარილის ყინულოვით სქე-
ლი საფარი. ასე, რომ ზედ შეიძლება იაროთ, როგორც გაცივულ
ტბაზე.

ერთმა ბედუინმა გვითხრა უდაბნოში...

— ეს ტბა ჩვენს ცხოვრებას მაგონებს, ზედ თითქმის უშიშ-
რად დადინხარ და თან იცი, რომ ყოველ წუთს შეიძლება ჩაი-
ძირო...

კაირუანი — ტუნისის მუქა

კაირუანი ტუნისის ერთი ზღვისპირა ქალაქია და არაბული
მალრიობის მექა. ტუნისელები ამბობენ: შვიდჯერ თუ ჩახვალ კაი-
რუანში, ალაჰი ერთხელ მექაში გამგზავრებდა ჩაგითვლისო.

— ეჰ, ალაჰი აქაც გვატყუებს, — თქვა ერთმა არაბმა, --

ჰაჯობას მუსლიმანს მხოლოდ მექაში აძლევს. კაირუანში ასჯერაც რომ ჩახვიდე, ჰაჯის წოდებას მაინც ვერ ეღირსები.

ლომისტყაოსანი?!

ტუნისის ეროვნულ მუზეუმში ვნახე ლომისტყაოსანი ჰერაკლეს ქანდაკება. მუზეუმის კატალოგთა წიგნშიც და კრიტიკულ ლიტერატურაშიც ის „ლომისტყაოსნად“ მოიხსენება.

მშვენიერი სანახავი იყო ლომისტყაოსანი ანტიკური გვირის მარმარილოში გამოკვეთილი სახე.

და უმაღლესი ვეფხისტყაოსანი ტარიელის სახე წარმომიდგა შორეულ ტუნისში, კართაგენის ნანგრევების ახლოს...

დიდი გენიოსების სულთა თანაზიარობა — ხალხთა სულის თანაზიარობაა უცილოდ.

თვალახვეული აქლემი

ტუნისის ერთ-ერთ კაფეში, რომელსაც „ვირგილიუსი“ ეწოდება, არაბული ყავა შევუკვეთეთ. ეს ის ყავაა, ჩვენ რომ თურქულს ვეძახით.

ამ კაფეში თავისი ადათი და ტრადიცია ჰქონიათ. ეზოში, რომელსაც მავრიტანული არქიტექტურა ამშვენებს, დაბმული ყავთ თვალახვეული აქლემი. ვისაც ყავა სურს დალიოს, უნდა კეთილ ინებოს და ამ აქლემს აღვირში ჩაავლოს ხელი და „ემშაკის მანქანა“ დაატრიალებინოს. საიდანღაც ანკარა წყაროს ნაკადი არაკრავდება. იმ წყლით კი მსოფლიოში საუკეთესო ყავას მოგიხარშავენ ნაქები არაბი მზარეულები.

კაფეს ერთმა მუშტარმა თქვა: მაგ თვალახვეულ აქლემს რომ ვუყურებ, ძველი ტუნისი მაგონდება. ამ აქლემივით თვალახვეული იყო ძველი ტუნისი. დღეს შუქი ჩაგვიდგა თვლებში, რაც მოვიშორეთო უცხოელთა უღელი.

კართაგენის ძაღვი

ერთი კაფე ვნახე ზღვისპირას. უცნაური სახელი „კართაგენის ქალების თმები“ ერქვა.

აი რა ლეგენდა მიაშვეს ამის შესახებ.

იქნებ ეს ლეგენდა კი არა, სიმართლეა.

...როდესაც შემოუტეეს რომაელებმა კართაგენს მესამე პუ-

ნიკური ომის დროს, შათ დაუქადნიათ: ამდამ თქვენი ცოლების თმებს კისერზე შემოვიხვევთ თქვენს ლოგინებშიო...

გაჩაღდა, სისხლისმღვრელი ომი.

კართაგენის ციხის დამცველებს კატაპულტების და შვილდისრებისათვის თოკები შემოაკლდათ. მაშინ კართაგენის ქალებს თმები დაუჭრიათ და თოკებად დაუგრესიათ. ამ თოკებით დაახრჩვეს თურმე კართაგენელებმა რომის მთელი გარნიზონი.

მტრებმა ასე „შეპოიხვიეს“ ყელზე კართაგენის ქალების თმები...

ქალების თმებისაგან თოკის დაგრების შესახებ ქართული ლეგენდაც გაპიგონია ჩემს სოფელში — ოტობაიაში. ამ რამდენიმე წლის წინათ დავსტამბე ის ლეგენდა.

მსგავსი ლეგენდა ერთხელ ჩეჩნეთ-ინგუშეთშიც გავიგონე.

საოცარია: საიდან სადაო, სად კართაგენი და სად ჩემი სოფელი.

მაგრამ ადამიანის ფანტაზია ყველგან ადამიანურია და ამიტომ ჰგავს ალბათ ერთმანეთს ფოლკლორი.

ბახუსი და ჰიპი

არაბულ მუზეუმში, კართაგენის მახლობლად, ვნახეთ დედიშობილა ბახუსის ქანდაკება.

იქვე ჰიპები იდგნენ და ხორხოცობდნენ:

— ახლაც იტყვიან, რომ ჰიპები ახირებული ხალხიაო. პირველი ჰიპი ბახუსი იყო. ასე რომ ჰიპები ისევე ძველი მოვლენაა, როგორც თვით ადამიანი.

ყველა ყველაფერში თავის გასამართლებელ საბუთს ეძებს.

რა იქნა იმპერატორის თავი?

კართაგენის მუზეუმში ერთმა უცხოელმა იკითხა:

— კი მაგრამ რომის იმპერატორთა და ფინიკიის მეფეთა თავები რა იქნენ, მარტო ტანი რომ არის გამოქანდაკებული.

ერთმა არაბმა უპასუხა:

— თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ მათ თავები ნამდვილად ჰქონდათო.

მუზეუმიდან რომ გამოვედი გავიფიქრე:

ძველი მოქანდაკეები ეტყობა მართლაც სამართლიანები იყვნენ: თავს არ მიაქანდაკებდნენ იმ მეფის გვამს, ვისაც თავი არ

ება. ან თუ მოქანდაკე შეცდებოდა, სულ ერთია, დრო წააძრობდა თავს ასეთ უაღბლო ქანდაკებას.

ყველაზე გონიერი აქლემი

ერთი აქლემი ურევია ტუნისის აქლემთა ჯოგში, რომელიც კაირუანელმა ხალიჩის მქსოველებმა თავისი საუკეთესო ნახელავით შეამკეს თურმე, ხოლო ერთი ტუნისელი პოეტი კი მას აღამიანივით ესალმებოდა:

— გამარჯობა, აქლემო!

საქმე ის არის, რომ, როგორც ამბობენ, ის ყველაზე გონიერი აქლემი ყოფილა მთელს მალრიბში.

— რით დაამტკიცა მან თავისი გონიერება? — გავიკითხეთ ბედუნიებში.

— ამ აქლემმა ერთხელ კოლონიზატორს შეაფურთხაო, — რიხიანად გვიპასუხეს ჩვენ და მერე დაუმატეს:

— ასეთი რამ აქლემს კი არა, ბევრ მალრიბელს არ გაუბედავსო.

მეჩითების რადიოჟიჟი

ტუნისის რადიო ალაპის სამსახურშია ჩაყენებული. რელიგიური რადიოგადაცემები ეწყობა ყოველდღე. მოღებისა და მუეძინების ხმას უფროხილდებიან ისლამის მესვეურები. მათ ხმა რომ არ ჩაეხლიჩოთ, რადიოთი უნებობენ ალაპის მრევლს მეჩეთებში.

ერთმა არაბმა იხუმრა:

— მრევლი დაუყრუვდა ალაპს და იძულებულია ხმას აუწიოსო.

ჩადრი

ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი არაბი ქალები თეორზეწარში გახვეულებს ჰგვანან. ამიტომ არაბული ქალაქების ძველუბნებში რომ შეიხედო, გეგონება მთვარეულების ქალაქში მოვხვდიო.

ახალგაზრდობას კი თანამედროვე ტანსაცმელი აცვია, მაგრამ ათასში ერთხელ იღვლებს ქუჩაში ჩადრი.

ღიას, XX საუკუნის 70-იან წლებში მალრიბში ბევრგან წააწყდებით ჩადრს, ძველ შავ ჩადრს, მინი კაბებისა და ჰიპების გვერდით.

კონტრასტებითაა სავსე მალრიბის ცხოვრება.

ფიქრები ელ.-ჯემას თეატრთან

ელ-ჯემა ჩრდილოეთ აფრიკის ანტიკური თეატრია. მისი ამ-
ფითეატრი 60.000 მაყურებელს იტევდა.

— მთელი მალრიბი ელ-ჯემა, თეატრია, — თქვა ერთმა არაბმა
სტუდენტმა, ფელახის შვილმა, — რომლის სცენაზე ერთმანეთს
დაუსრულებლად ენაცვლებიან ცხოვრების კრელი სურათები,
დრო რეჟისორია, ჩვენ კი მსახიობები ვართ და ვასრულებთ იმ
როლს, რომელსაც ცხოვრება გვაკისრებს.

ნახვამდის, მალრიბო!

ვტოვებდით მალრიბს. გეზი ნიცასკენ გვეკუირა.

ზღვისპირა ტუნისი საოცრად ჰგავს აქარას და აფხაზეთს თა-
ვისი სუბტროპიკული ბუნებით, მთებითა და გორაკებით, ზღვით.

თბილისელებმა, ასე გასინჯეთ. სასტუმრო „ივერია“ კი
„იპოვეს“ მალრიბში, უფრო სწორად ამ შენობის მსგავსი ნაგე-
ბობა.

ასეთია ადამიანის ბუნება: ყოველივე ახალს ბევრჯერ ნანახ-
სა და განცდილს ადარებს, მოვლენებსა და საგნებს, ქვეყნებსა და
ხალხებს შორის მუდამ საერთოს ეძებს.

ასე იყო იმ შორეულ მალრიბშიც, საჰარის უდაბნოს ახ-
ლოს.

ჩრდილოეთ აფრიკის გაზაფხულის სურნელი მოგვაცილებდა
საფრანგეთის ლაჟვარდოვანი ნაპირებისაკენ.

ტუნისი—საქართველო

სტალინბრადის ბულვარი ნიცაში

საფრანგეთის სამხრეთი... პროვანსი, ლაჟვარდოვანი სანაპი-
რო... ნიცა... უმშვენიერესი ადგილები დედამიწის ზურგზე. თავს
მოიტყუებდა ყველა ბელეტრისტი, რომელიც იფიქრებდა, რომ
შეძლებდა ამ პეიზაჟების აღწერას. ეს აღმეტება ადამიანის ძა-
ლებს. ლაჟვარდოვანი სანაპირო საოცრად ჰგავს საქართველოს.
ლერმონტოვს თავისი „დემონის“ მოქმედების ადგილად თავდა-
პირველად სწორედ სამხრეთი საფრანგეთი ჰქონია არჩეული,
მაგრამ კავკასიის ხილვის შემდეგ აზრი შეუცვლია და მოქმედე-
ბა კავკასიაში, საქართველოში გადმოუტანია.

პოეტმა ამით პირველობის პალმა დაუმკვიდრა ქართულ პეიზაჟებს.

...იმ დღეს მდინარე ლუს ხეობიდან ვბრუნდებოდით. — ლუ — ფრანგულად მგელს ნიშნავს. მგლის ხეობიდან მოვდიოდით ე. წ. „სამოთხის ბილიკით“. ლუს ხეობა საოცრად ჰგავს ბორჯომის ხეობას. დაღლილ-დაქანცულებს ერთი სული გვქონდა, როგორმე ჩვენს თბომავლამდე მიგვეღწია. ის იყო ნიცაში შევედით და ინგლისურ სანაპიროზე გავედით, რომ ვილაყამ თქვა:

— აქედან ორ ნაბიჯზეა გერცენის აკლდამა. მოდი ვნახოთ.

ამ სიტყვებმა დაღლილ-დაქანცულებს ძალა შეგვმატა.

მე უცებ გერცენის ქართველი მეგობრები სოლომონ დაღაშვილი და ნიკო ნიკოლაძე გამახსენდა.

...პრომინად ანგელედან“ ავყევით მთის ბილიკს. იქვე მალაზიაში იყიდებოდა გერცენის ტომები.

ერთ-ერთ მათგანში ლუს ხეობიდან წამოღებული ზეთისხილის რტოთი ჩავინიშნე ერთი ადგილი.

1842 წლის 25 მარტს გერცენმა ჩაწერა თავის დღიურში, თუ როგორ ინახულა მომაკვდავი სოლომონ დოდაშვილი შორეულ ვიატკაში გადასახლებაში ყოფნის დროს. ეს იყო ისტორიული ეპიზოდი. ორი ფილოსოფოსი — ქართველი და რუსი ჩრდილოეთში გაეცვენნ ერთმანეთს.

1865 წლის მარტში გერცენი ოგარიოვის თხოვნით პარიზში შეხვდა ნიკო ნიკოლაძეს. გერცენი თხოვდა ნიკოლაძეს „კოლოკოლში“ თანამშრომლობას.

ეს შუორე ადგილი ნიცის ცნობილი წითელი ვარდის ფურცლით ჩავინიშნე გერცენის წიგნში.

გერცენის წერილებში ფრანგულ ენაზე ბრწყინავდა ნიკოლაძის გვარი.

დახლართული ბილიკებით მივდიოდით გერცენის აკლდამისაკენ...

ხმელთაშუა ზღვაზე წყნარი დაისი იფერფლებოდა. სადღაც რეკავდნენ შორეული ზარები და ენთებოდნენ ნიცის ღამეული ჩირაღდნები... სულ ახლოს ჩანდა მონტე კარლო... სადღაც საფრანგეთ-იტალიის ზღვისპირა ზაგების უბეში ციციანთელებივით ანათებდნენ მისი შუქურები...

გზა თანდათან ამაღლდა შატოს აკლდამაზე, სადაც განისვენებს დიდი გერცენი... ფრაზილად, რომ ძილი არ დაგვეფრთხო დიდი გენიოსისათვის, მის აკლდამაზე დავაწყვეთ ლუს ხეობიდან მოტანილი ყვავილები და ნიცის რომანტიკული ვარდები.

და უნებლიეთ გავიფიქრე: ერთი თაიგული დოდაშვილის სახე-

ლით იყოს, მეორე ნიკოლაძის სახელით... ეს მხოლოდ გაეიფიქრეთქვა ვერ გავებდე...

ყველა ქართველი, ვინც კი აქ მოვა, ვალდებულია მათი სახელით მიიტანოს ვარდები ამ აკლდამასთან...

ძირს სხვა ბილიკით დავეშვით და უცებ ზღვისპირას აღმოვჩნდით ზეთისხილის ბაღში.

გაზაფხულის დამატრობელი სურნელი იდგა ქალაქში, ანგელოზების ყურედან მოჰქროდა თბილი ნიაფი. ისეთი სურნელი იდგა ბაღში, თვით მსოფლიოში ცნობილ შანელის ფირმის სუნამოს რომ შეშურდებოდა...

სიმშვიდე იდგა ზეთისხილის რტოებქვეშ, ასეთი სიჩუმე ვიგრძენი იმავე დღეს სანტ-პოლში, იე მონტანისა და სიმონა სინორეს შუასაუკუნეობრივი ვილის თაღებქვეშ... ეს მყუდროება ახლა თითქოს ნიცას მოეტაცა.

ვილაცამ თქვა: რენუარის მემორიალი ვნახოთო ნიცაში.

გზად მიმავალი ფრანგი ქალიშვილი გავაჩერეთ და ვკითხეთ:

— სად არის აქ რენუარის მემორიალი?

მან პასუხის ნაცვლად გვკითხა:

— იტალიანო?

— არა, ქართველები ვარა-მეთქი, ავუხსენი.

— თუ ქართველები ხართ, ბარემ სტალინგრადის ბულვარიც ნახეთო, — გვირჩია მან და მინი კაბის ქვეშ უმშვენიერესი ფეხები ისე აათამაშა, უმალ პუშკინი გამახსენდა. თუმცა არც გრიშაშვილის გახსენება იყო ურიგო და უადგილო.

მან ორიოდ ქუჩა გავატარა და ჩვენც სტალინგრადის ბულვარზე აღმოვჩნდით.

სტალინგრადის ბულვარზე ზეთისხილის ხეები ჰყვოდნენ, მშვიდობის ხეები. შორიდან მოისმოდა მტრედების ღუღუნი, მაგრამ მტრედები არსად ჩანდნენ.

ბულვარი თითქოს ხმელთაშუა ზღვიდან ამოდიოდა და ხმელეთზე გრძელდებოდა, ან იქნებ ხმელეთიდან გადიოდა ზღვაში და უსასრულობაში? ყოველ შემთხვევაში ის ზღვასთან არ თავდებოდა... ბულვარის დასაწყისში ბუკინისტური წიგნის მაღაზიაში მოჩანდა ცნობილი სურათი: სტალინი, ჩერჩილი, რუზველტი თეირანის კონფერენციაზე.

მათ გვერდით იღო არაბული ჰოროსკოპიის და მაგიის წიგნები, მერე ჰიტლერისა და მუსოლინის შეშლილი სახეებიც გა-მოჩნდნენ სუპერყდებზე და შმუტრტულებზე...

კაფე „სლავიას“ თავზე სამა ვარსკვლავი ანათებდა...

ავად იმზირებოდნენ მალაზიის ვიტრინიდან პისტოლეტები და ფინური დანები... სულ რაღაც ორას ფრანკად იყიდებოდა თითო ცალი.

ჩავეუარეთ რომელიღაც ბანკსა და ავეჯის საფირმო მალაზიას, უკან მოვიტოვეთ ამერიკული მანქანების გარაჟი და სამოგზაურო-ტურისტული ფირმის „ნებტუნის“ შენობები და კაფე „პინ-გვინს“ რომ გავცდით, ხარაჩოებში ჩამჯდარი სახლები ვნახეთ... ზეთისხილების შემდეგ ხარაჩოები — აი, რა იყო ყველაზე სიმბოლური სტალინგრადის ბულვარზე ნიცაში.

კაფე „ლაზარეთს“ გავცდით და დამის ბარში „პარიზი“, რომელიც სტალინგრადის ბულვარზე მდებარეობს, ფრანგული ღვინით ავწიეთ სტალინგრადის გმირების სადღეგრძელო...

ერთი ფრანგი ომის ვეტერანი შემოგვიერთდა. დე გოლს და სტალინს ახსენებდა ხშირად და სვამდა ვისკის.

ქუჩაში გამოვედით. იქვე სხვა წიგნის მალაზია ვნახეთ. ალკაპონეზე იყიდებოდა იაფფასიანი დეტექტიური რომანები, იქვე დე გოლის რომელიღაც საყმაწვილო ბელეტრისტული ნაწარმები იდო...

გაოცება რომ შეგვატყო, ერთმა ფრანგმა გვითხრა:

— დე გოლს ყველაფერი შეეძლო. თუ საჭიროა, საყმაწვილო შოთხრობის დაწერაც. ყველა დიდი ადამიანი პოეტი იყო, — დაუმატა მან.

სტალინგრადის ბულვარი სავსე იყო შეყვარებულთა წყვილებით, რომლებიც არავის და არაფერს ამჩნევდნენ ირგვლივ, გარდა საკუთარი თავისა.

ჰყვაროდა სიმშვიდე და სიყვარული სტალინგრადის ბულვარზე ნიცაში, ზეთისხილის რტოებქვეშ. ბაგეები ეწებებოდა ბაგეებ-ფრანგულად, სამხრეთულად, ტემპერამენტინად...

და იყო ქალივით ნაზი და თბილი ის დაუფიწყარი ფრანგული ღამე ნიცაში, სტალინგრადის ბულვარზე...

მოვდროდი ზღვისკენ და ვფიქრობდი: დაე, სულ იყოს მშვიდობა ზეთისხილის რტოებქვეშ.

აკვანივით ირწეოდა ჩემი თეთრი გემი ხმელთაშუა ზღვის ტალღებზე, იქ სადაც თავდებოდა თუ იწყებოდა სტალინგრადის ბულვარი. ყოველი დასასრული ხომ რაღაცის დასაწყისია და მე უკვე ვფიქრობდი სხვა ფრანგულ ქალაქებზე და ყველაზე პეტად ქალაქ კანზე, მსოფლიო კინემატოგრაფიის ერთ-ერთ ოლიმპოზე, სადაც „მაგდანას ლურჯამ“ საქვეყნოდ გაუთქვა სახელი „ქართულ ფილმს“.

ერთი უცნაური აზრი ამეკვიტა: კანში მიმავალი გზა მგლის

ხეობაში გაივლის. როგორ გადაურჩა მგლის ხეობას მაგდახას ლურჯა?

ან იქნებ, რუსთაველისა არ იყოს, აქ თხა და მგელი ერთად ძოვს?!

— არა! ეგ შეუძლებელია.

ევროპაში ჯერ კიდევ ბევრია მგლის ხეობა. და მგელს მგლობა არ მოუშლია.

— ეს ყველა მგლის ხეობის მშვიდად გავლის სადღეგრძელო იყოსო, ვთქვით ქართველებმა ნიცაში და ჭიქები დავცალეთ.

ისე მტერიც დაგეცალოთ.

თუ ოდესმე სამოგზაუროდ ევროპისაკენ გაგიწიოთ გულმა, მაინც გახსოვდეთ, რომ ნიცის შემოგარენში სამოთხის ბილიკი მგლის ხეობას გაივლის, სანამ ზეთისხილის ვერცხლისფერ ბაღებამდე მიგიყვანდეთ.

იმედის შუქად სტალინგრადის ბულვარები ჰყვავის ევროპაში

საფრანგეთი-საქართველო.



მეგობრებთან

„პარცხე“ და „ნაყოლეონი“

იმ დღეს მგოსანთა შორის ომარ ხაიაში იყო მოლაში...

მას კითხულობდნენ ყველა ენაზე, ყველა სარწმუნოებისა და რასის ჟურნალისტები...

ეს მოხდა ვატერლოოში, რომელიც მდებარეობს... ბულგარეთში?!

მართალია, ასეთ ადგილს ბულგარეთში არ იცნობენ გეოგრაფები, მაგრამ...

თუმცა სჯობს ყველაფერი თავიდან დავიწყოთ.

...ის ზაფხული ზღვის გაღმა გავატარე, ბულგარეთში, ჟურნალისტთა საერთაშორისო დასასვენებელ სახლში, ვარნის ოქროს ქვიშნარებში — „ზლატნი პიასცის“ რომ ეტყვიან ბულგარელები.

იქვე ისვენებდა გაზეთ „ლუმანიტეს“ მოსკოველი კორესპონდენტი თავისი ოჯახით.

ერთხელ გაბროვოში მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ როცა ყველამ გული იჭერა იქაურ ძუნწებზე შეთხზული ანეკდოტების მოყოლით, ზღვის პირას მოეწყო იმპროვიზირებული პიკნიკი-დეგუსტაცია.

ვინ ქართულ ღვინოებს აქებდა, ვინ კიდევ ბულგარეთის მიწაზე მოყვანილ „რქაწითელს“ და „საფერავს“, ვინ ბორდოს ღვინოს, ვინ „რეინვეინს“...

მთელი მსოფლიოს ყველა კუთხიდან თავმოყრილი ჟურნალისტები აქებდნენ თავისი ქვეყნიდან ჩამოტანილ ღვინოებს და კონიაებს...

ვის იტალიური „ჩინ-ჩანო“ მოჰქონდა, ვის ფრანგული „მარტელი“, ვის ჰემინგუეის გმირების საყვარელი სასმელი მშრალი მარტინი, ვის არაყი „სამოვარი“ და, ასე გასინჯეთ, არაყი „პუმკინი“. ვის ამერიკული ვისკი და ჯინი, ვილაცამ მწერალ სიმენონის რომანების გმირის ინსპექტორ მეგრეს საყვარელი თეთრი ღვინოც მოიტანა....

საიდანღაც უცნაური ღვინოებიც გაჩნდა. ერთ-ერთ მათგანს „მონაზენის ჩურჩული“ ერქვა.

ყველას მაინც გერმანელმა ჟურნალისტმა აჯობა, რომელმაც მოიტანა შეტად ორიგინალური ღვინო არანაკლებ ორიგინალური სახელწოდებით „ლიებ ფრაუ მილზ“ („საყვარელი ქალის რძე“)...

არ ვიცი მსოფლიოს ჟურნალისტებს თვითონ ღვინო მოეწონათ, თუ მისი სახელწოდებით გამოწვეული ასოციაციები და ოცნებით თუ ცხადად დანახული სასურველი ქალების მკერდიდან მონაბერი ბახუსის სუნთქვა ეაშთ, ერთი რამ კი ცხადია, რომ ღვინო „საყვარელი ქალის რძე“ — სენსაციად იქცა და ყველა ოცნებობდა ერთხელ მაინც მოესვა ამ ღვინით სავსე ჭიქიდან.

როცა აეთოტაყი ოდნავ მიწყდა, ავანსცენაზე გამოვიდა „ლუმანიტეს“ მოსკოველი კორესპონდენტი და ამაყად განაცხადა:

— ბატონებო! თქვენ „ქალის რძით“ ვერ გააკვირვებთ ფრანგს. სმენა იყოს და გაგონება! ამ დეგუსტაციაზე თვითონ ბონაპარტემ გადაწყვიტა მონაწილეობის მიღება! — თქვა მან და ფრანგული კონიაკი „ნაპოლეონი“ დადგა სუფრაზე.

ამან საერთო აღტაცება გამოიწვია. ყველა კონტინენტის ჟურნალისტები აქებდნენ „ნაპოლეონს“.

ვილაცამ იხუმრა: იმ ბონაპარტემ ევროპაც ვერ დაიპყრო, ამ „ნაპოლეონმა“ კი მსოფლიო აიღო...

ამ დროს ჩემთან მოვიდა ერთი პოლონელი ჟურნალისტი. რომელსაც მონაწილეობა მიეღო კონიაკებისა და ღვინოების მსოფლიო დეგუსტაციაზე, რომელიც თბილისში მოეწყო, და შემაგულიანა:

— მოდი „ნაპოლეონი“ დავამარცხოთო...

— ეს არც ისე იოლია, — ვუთხარი მე, — ეგ კუტუზოვმა და ველინგტონმა ძლივს მოახერხეს-მეთქი.

— მოიტა ქართული კონიაკი! — თქვა პოლონელმა ჟურნალისტმა, რომელსაც ანჯეის ეძახდნენ, — დანარჩენი მე ვიცი.

რამდენიმე ბოთლი „ვარციხე“ გაჩნდა სუფრაზე.

და დეგუსტაცია თავიდან დაიწყო...

პირველი შეტევა ანჯეიმ წამოიწყო:

— ვფიცავ ყველა წმინდანს, ეს ადგილი „ნაპოლეონის“ ახალი ვატერლოოა!

— „ნაპოლეონის ახალი ვატერლოო ბულგარეთში“. — ეს კარგად უღერს, — დაუმოწმა გერმანელმა ჟურნალისტმა. მე ასე დავწერ ჩემს გაზეთში. დაე, ცოდეს გერმანიამ როგორ დაამარცხა „ნაპოლეონი“ „ვარციხემ“.

— რა არის გასაკვირი. რამდენი ორდენი და მედალი ჰქილია კისერზე ქართული კონიაკის ბოთლს, ეტყობა მას ადრე სხვა გამარჯვებებიც უზეივია, — თქვა ერთმა იტალიელმა ჟურნალისტმა, — ეს კონიაკთა მეფე ყოფილა.

— რას ნიშნავს „ვარციხე“, — გაისმა კიოხხეები აქეთ-იქიდან. როცა გაიგეს. ატყდა სიცილ-ხარხარი:

— ეს მართლაც რომ ისეთი ციხე ყოფილა, რომელიც თვით „ნაპოლეონმა“ ვერ აიღო.

ასე დაამარცხა „ვარციხემ“ „ნაპოლეონი“ შავი ზღვის გაღმა ნაპირზე... იმ ადგილას ხუმრობით დღესაც ხან „ვატერლოოს“ ეძახიან, ხან „ვარციხეს“... ბულგარელი ჟურნალისტები.

მეტად მშვენიერი ადგილი კი არის... მარჯვნივ შავი ზღვა ათამაშებს თავის ლურჯ ტალღებს, მარცხნივ კი ქართული ვაზი რქაწითელი შრიალებს ბულგარულ მიწაზე...

ვარნა-სოფია-თბილისი.

უნგრული თქმულება ვეფხის წიგნის ძვეყანაზე

„ბალატონისკენ მივქროდი
მოირხეოდა ნიაფი...“
გ. ლეონიძე

ლურჯი ბალატონი თუ არ გინახავს, არც ზღვა გინახავს და არც უნგრეთი, — ამბობენ მადიარები.

არ ვიცი, ამ ანდაზის გამო, თუ სხვა მიზეზით, ევროპის ჟურნალისტთა მექად ქცეულა უნგრული ქალაქის შიოფოკ-ბალატონსელპაკის რომანტიკული სანაპირო. აქ მდებარეობს „ინტერპრეს-ოტელი“ — ევროპის ჟურნალისტთა საერთაშორისო სახლი. მის ბიბლიოთეკაში ერთი კარგი ადათია: ვინც აქ ჩამოვა, ან თავისი წიგნი უნდა დატოვოს სახსოვრად, ან თავისი ქვეყნის ეროვნული მწერლის ქმნილება. მე დავტოვე „ვეფხისტყაოსანი“, „შანდორ პეტეფის ლექსთა გრიგოლ აბაშიძისეული თარგმანები, გ. ლეონი-

ძის უნგრული ლექსები და ბენო გორდენიანის მონოგრაფია „ზიჩი საქართველოში“. იქვე გავიცანი ახალგაზრდა უნგრელი პოეტი და ჟურნალისტი ფერენც კასელი, რომელიც რედაქტორობს ჩეხოსლოვაკიაში მცხოვრები უნგრელებისათვის გამიზნულ ახალგაზრდულ ჟურნალს „უი იფიუშაგს“. („ახალი თაობა“).

...ესაუბრობდით უნგრეთ-საქართველოს კულტურულ ურთიერთობაზე. ჩავუარეთ ფერენც დეკის ხეივანს. გ. ლეონიძის მიერ ხობტაშესხმულ უნგრულ მდინარე შიოს. მალე რაკოცის ოთხასწლოვანი თელის ქვეშ აღმოვჩნდით. აქ შევთანხმდით, გვენახა მიხაი ზიჩის მშობლიური სოფელი ზალა, რომელიც, თურმე, იქვე ახლოს მდებარეობს.

გზადაგზა კასელი ალტაცებით მომითხრობდა ბელა ვიკარზე, ვინც მიხაი ზიჩის წაქეზებით ამ საუკუნის დამდეგს უნგრულად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“. მას ბევრი ქართველი ეხმარებოდა. ლამაზად უღერდა შანდორ პეტეფის ენაზე ქართველი გენიოსის კანკაული სიტყვა...

ბელა ვიკარის გმირობა ხალხში ლეგენდად დარჩა: ამბობენ, სამჯერ „ათას ერთი ღამე“ თეთრად უთიარო რუსთაველის პოემას, სამჯერ სამი ათასი ქალარით შეიმოსაო თავი, მაგრამ, სამაგიეროდ უკვდავი საქმე გააკეთაო. ამბობენ, უნგრეთ-საქართველოს შორის გადებული ძმობის ხიდის ერთი თავი მიხაი ზიჩის მხრებს აწეებაო, მეორე კიდევ ბელა ვიკარისასო, ორი ტალანტი — ზიჩი და ვიკარი უნგრეთ-საქართველოს ძმობის ხიდის ორი ბურჯიაო — მარადიული და ურყევი.

სხვათა შორის, სიტყვა „ხიდი“ უნგრულადაც და ქართულადაც ერთსა და იმავე საგანს აღნიშნავს.

მახსენდება გ. ლეონიძე:

„ხიდი“ ქართულად და „ხიდ“
უნგრულად,
თურმე ეს სიტყვა ერთი
გვექონია.

...წაბლოვანშია ჩაფლული ზიჩის მშობლიური სოფელი ზალა. აქ ზიჩების ყოფილ საგვარეულო მამულში გახსნილია დიდი უნგრელი მხატვრის სახლ-მუზეუმი, რომელსაც ამავე დროს თამამად შეიძლება ეწოდოს შუა ევროპაში ქართული კულტურის პროპაგანდის კერა. ამ კერის ჩაუმქრალ ცეცხლს იცავს ზიჩის შვილიშვილი — მარია ალექსანდრა რონოა. უკვე მოხუცი, სიმპათიური სახის ქალი, საქართველოს დიდი მეგობარი და ტრფიალი. როცა გაიგო, საქართველოდან ვიყავით, ალტაცება ვერ

დამალა, მუზეუმში სუფრა გაგვიშალა, ყველა შეძრა: ზიჩის სამ-
შობლოდან, საქართველოდან სტუმარი გვეწვიაო!

ვათვალეირებთ ზიჩის მუზეუმს. აქ ინახება მხატვრის ბევრი
ქმნილება, მათ შორის ტრაგიკული ფერწერული რეკვიემი „აუტო-
დაფე“, სიცოცხლის წყურვილით აღსავსე „კურტიზანი ქალები“.
ბიბლიური აპოკალიფსური ხილვით სავსე სურათები, „უნგრელი
გოეთეს“ — მადაჩის ეპიკური პოემის „ადამიანური ტრაგე-
დიის“ მსოფლიოში გახმაურებული ილუსტრაციები.

პარიზული და სანკტ-პეტერბურგული სურათები...

აქვეა ლერმონტოვის „დეჰონის“ ილუსტრაციები — შედეკრე-
ბი — კავკასიის, კერძოდ, საქართველოს აპოლოგია. თვალს იტაცებს
სერია „კავკასიური სცენები“ და ყველაფრის გვირგვინი — „ვეფხის-
ტყაოსნის“ განთქმული ილუსტრაციები.

აგერ, რუსთაველის პოემის ვიკარისეული უნგრული თარგმანი,
უნგრულ პრესაში ვიკარზე დაბეჭდილი რეცენზიები... ყველაფერი
სათუთად ინახება.

მუზეუმში ბევრ აღმოსავლურ აბჯარს მოჰკრავთ თვალს. ზიჩის
მუზეუმის მფარველი მხატვრის შვილიშვილი, კეთილი მოხუცი, მა-
რია ალექსანდრა რონოი, რომელსაც ბებიობა უფრო შვენის, ვიდრე
წვილიშვილობა, დიდი სიყვარულით აგროვებს ყველა მასალას, რაც
კი უნგრულ პრესაში დაბეჭდილა რუსთაველის, ზიჩისა და, საერ-
ოდ, საქართველოს შესახებ. აქ არის ი. ბერკოვიჩის, ბ. ლასლოსა
და ბ. სუჰკა-მაგდალინას მონოგრაფიები მიხაი ზიჩზე, ევროპის მრ-
ჯალ ენაზე გამოცემული, უნგრული გაზეთების „ნეპსაბადშაგის“-
„ნეპსავას“ ფურცლებზე დაბეჭდილი სტატიები, ილუსტრაციები,
საქართველოს ხედები. განსაკუთრებით ბევრია თბილისური მასალა.

მარია ალექსანდრა რონოიმ მთხოვა გადავცე ყველა ქართველ
ავტორს, ვისაც რუსთაველსა და ზიჩიზე რამე დაუწერია, მას გაუგ-
ზავნონ მისამართით: „უნგრეთი, შომოდის ოლქი, სოფ. ზალა, ზიჩის
სახლმუზეუმი. მარია რონოის“.

ზიჩის შვილიშვილმა მთხოვა გამომეჭყეყნებინა მისი პატარა ბა-
რათი, რომელიც დაწერილია უნგრულ და ქართულ ენებზე.

„ქართველებო!

პაპაჩემს უყვარდა საქართველო და რუსთაველი!

გთხოვთ გამომიგზავნოთ ჩემი პაპის მიხაი ზიჩის შესახებ დაწე-
რილი წიგნები და სტატიები.

დიდად დამავალებთ.

თქვენი მარია ალექსანდრა რონოი
სოფ. ზალა. 1970 წელი. ივლისი-.

როცა ამ წერილის პირველი წინადადება უნგრულად დაწერა, მარია ცოტა ხანს დაფიქრდა, მერე ეშმაკურად გაიღიმა და თქვა:

— მიხაი ზიჩის შვილიშვილს არ ეკადრება ქართველებს ერთი ფრაზა მაინც ქართულად არ მისწეროს და მთხოვა მივშველებოდი. შემდეგ მთელ საათს იწვალა, სანამ ამ ერთ წინადადებას დაწერდა: „აპაჩემს უყვარდა საქართველო და რუსთაველი“, და დიდად კმაყოფილი დარჩა, როცა დაასრულა.

— სანტა მარია! რა კარგია, რომ ქართულად დავწერე! — ბავშვივით ტაში შემოაქრა მოხუცმა და მერე ამაყად განაგრძო:

— მადიარული ჭილაგი ისეთია, რომ სიბერეშიც ჭაბუკები ვრჩები. ბელა ვიკარი 50 წელს გადაცილებული იყო, ქართულის შესწავლას რომ შეუდგა, მაგრამ ვეფხის წიგნიც კი თარგმნა პეტეფის ენაზე!

რონოიმ სთხოვა ბ. გორდენიანს გამოეგზავნოს მონოგრაფიის „სიჩი საქართველოში“ მეორე გამოცემა.

გურამ შარაძის სახელს დიდი პატივისცემით ახსენებს მარია ალექსანდრა რონოი. მან აღმოაჩინა ზიჩის 44 ნამუშევარი, რომლებიც დაკარგულად ითვლებოდა.

დავეშვიდობე მარია რონოის. მოხუცის თვალზე ცრემლი შევნიშნე...

— რა ქვეყანაა მაინც საქართველო. პაპაჩემს, მიხაის ძილშიც აღოდებდა მისი სახელი...

სოფლის ბოლოს ერთი მოხუცი გამოვიდა ეზოდან და ჩვენკენ გამოემართა:

— მე ბუღაჩონელი ვარ, უნგრეთის მარანია ბუღაჩონი. ძველად ბუღაჩონელ კაცის ჭიშკარს მგზავრი ისე ვერ ჩაუვლიდა, მასპინძელს მისთვის ღვინო არ მიეწოდებინა. თუ მასპინძელი ამ წესს დაარღვევდა, მას სოფელში მამასახლისად არასოდეს აირჩევდნენ. მიხაი ზიჩისაგან გაუგონია მამაჩემს, ქართველებსაც ასეთი წესი ჰქონიათ. მოდი, გავისხენოთ ქართველთა და ბუღაჩონელთა ძველი ადათიო.

მოხუცს ხათრი არ გავუტეხეთ.

ტოკაის დალოცვილი ღვინით ტაბისაკენ მიმავალ გზაზე ქართულ-მადიარული წესით ვადღეგრძელებთ რუსთაველი და ზიჩი, საქართველო და უნგრეთი.

მერე იმ მოხუცმა ერთი ლეგენდაც გვიამბო.

...ამ ასიოდე წლის წინათ ერთი შუქვაბუკი ცხოვრობდა თურმე მადიართა სოფელ ზალაში. ამბობენ, როცა დაიბადა, მის პერანგში ოქროს ფუნჯი იპოვესო. ერთხელ გარეული შავი მტრედების გუნდი შესევია ზალას წაბლოვანს და მუქვაბუკის ოქროს ფუნჯი გაუტა-

ცია. დადარდინებულა ჭაბუკი. ეკითხებოდა ნიავს, ვარსკვლავებს, ზღვის ტალღებს, წვიმას, ცისკარსა და სალამოს.

ამაოდ.

არავინ იცოდა მისი ფუნჯის ამბავი. უფრო დამწუხრებულა და დადარდინებულა.

უნგრელი ბიჭი როცა იბადება, თურმე, იმ წუთს სადღაც მისი საბედო მზექალწულიც ახელს თვალებს. იმავე წუთს მისი კვიციც თავლაში დაიქიხვინებს პირველად, ხოლო სადღაც სამქედლოში ჰეფესტოსავით ძვალმსხვილი მკედელი მისთვის ხმალს აწრთობს.

მხოლოდ ის ჭაბუკი ითვლება ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულად, რომელიც იპოვის თავის საბედო ქალწულს, მისთვის გამოქედილ ხმალს, მისთვის გაჩენილ კვიცს...

აულია ზალელ მზექაბუკს თავისი ხმალი, შემჯდარა თავის შუბლვარსკვლავა უნგრულ კვიცზე და წასულა საბედოსა და ფუნჯის საძებრად...

შეგებებიან გზაზე ავსტრია-უნგრეთის მეფისკაცები. სასახლეში მიუწვევიათ ჭაბუკი, მიუციათ ფუნჯი, მაგრამ სხვანაირი.

მზე-ჭაბუკმა დააგდო მეფის სასახლე და გზა განაგრძო. გზაზე რუსეთის ხელმწიფის კაცები შეხვედრიან. მათაც მიუციათ ფუნჯი, მაგრამ არც ის ყოფილა, ისეთი, როგორც უნდა ეპოვა. იქ სამ ხელმწიფეს ემსახურა მზექაბუკი, ჰალარაც გაერია, მაგრამ ფუნჯს მაინც ვერ მიაგნო.

ერთხელ ესტუმრა თურმე შავი დემონი და უჩურჩულა:

— აღეკ, მადიარო, შენი ფუნჯი იმ ხალხის ქვეყანაში წაიღეს ბტრედებმა, ჯადოსნური ვეფხვის წიგნი რომ აქეთო.

ისევ დაადგა გზას უკვე ჰალარა მხატვარი, ეძებდა ვეფხვის წიგნის ქვეყანას, დემონმა რომ ასწავლა სიზმარში. ათას ფათერაქს გადაეყარა და ბოლოს ჩააღწია აღთქმულ მხარეში. იქ პოვა თავისი ფუნჯი და სვებედნიერმა ვეფხვის წიგნიც მოხატა.

მას შემდეგ არავის უნახავს მადიართა ქვეყანაში შინიდან აღრე წასული მზექაბუკი, რადგან ვეფხვის წიგნის ქვეყანა გახდა მისი მეორე სამშობლო...

ლეგენდის მოყოლა დაასრულა მოხუცმა, პერე შემოგვხედა და ვკითხრა:

— ამბობენ, ამ ლეგენდის გმირი მიხაი ზიჩი არისო, ვეფხვას ქვეყანა კი საქართველო! იქნებ ასეა, იქნებ არც არის ასე, ლმერთს უკეთ ეცოდინება! — თქვა მოხუცმა.

განშორების სევდიანი საღამო იდგა მადიართა მიწაზე... რეკავდნენ ზალას მაღალი სამრეკლოები... და ასე მეგონა, საქართველოს სადიდებელს მღეროდნენ.



გაგულის გვეგვა...

პოემა ქართულ ვაზზე და ბრმა პოეზზე

კოლხური ლეგენდა

ეს ამბავი არც ერთ არწივს არ ახსოვს, თუმც ჩვენს მთებში სა-
მასი წლის არწივებიც თვლემენ. ეს ამბავი კლდეზე ეწერა, მაგრამ
ურჯულოს ხელმა თუ დროთა ბრუნვამ წაშალა იგი.

...ფაზისის პირას მსუყე რთველი იდგა.

გზებზე კამეჩშებმული ურმები მიჰრიალებდნენ. ცხვრის ტყავი
ეცვათ მეურმე კოლხებს და რქის შვილდისარი ეჭირათ ხელში.

— ო-დო-ი-ააა! — იწყებდა მქუხარე ხმით ვაზის დედა, და მე-
რე მთელი თემი ერთხმად აგუგუნებდა:

— ოდო-ია, ო-პო-პო!

მღერა ესმა უცხო მოხუცს. ქიტონზე გადაცმული ქლამიდა
გაისწორა, ბერმუხასთან თეთრი წვერი ჩაიბერტყა წყაროში და
ბზუს ჯოხს დაეყრდნო.

— ეგრე, ეგრე! ორფეოსნი ყოფილხართ, კოლხნო! — ლოცვა-
სავით წარმოთქვა ბერიკაცმა.

მუხის ფოთოლივით თრთოდა მოხუცი. ხმა მოსინჯა და წა-
მოიწყო:

— ო-დო-ი-ააა!

ტყეში ნადირს გაკიდებულმა კოლხმა მონადირემ მშვილდ-ისარი
ძირს დაუშვა. ვაზმა ქალწულივით მოხვია ლერწმები მოხუცს და
მტევანი გაუწოდა.

კოლხებმა იხილეს თეთრი მოხუცი.

ქადაგთა და მკითხავთა თქვეს: ღვთის კაციაო ის.

ვაზის ფოთლებისა და ლერწმებისაგან დაწნული გვირგვინი
დაადგეს თავზე, მხარზე მტრედი დაუსვეს და ზეთისხილის რტო
მიართვეს.

სამჭედლოს წინ ზარების რეკა ასტეხეს. ჩაპბერეს ბუკებს... ხმა აწვდინეს იბერიასა და დიოსკურიას.

ტომის ბელადმა ნადიმი გამართა სპილოს ძვლებითა და ვაზის ჩუქურთმებით მოხატულ სასახლეში.

კოლხთა სტუმარი დიდი ელინი პოეტი სუფრის თავში იჯდა.

სტუმარს კოლხ ოსტატთა მიერ ოქროთი მოჭედილი ყანწი მი-
ართვეს.

და თქვა სადღეგრძელო მოხუცმა.

— მე ვიცოდი, რომ კოლხეთში ხარობდა ღმერთთა საკვები: ამბროზია და ტკბილი ნექტარი. ვიცოდი, რომ კოლხური ღვინო ოლიმპოს სუფრას დაამშვენებდა. მე რომ ზევსი ვიყო, ტანტს კოლხეთში დავიდგამდი.

ყანწი დაცალა სტუმარმა და თქვა:

— ვფიცავ ცხრა მუზას, ასეთი ღვინო თვითონ ზევსს არ დაუ-
ლევია. მე პოემე უნდა დავწერო ქართულ ვაზზე და ქართულ ღვინოზე!

— იბერიასა და კოლხეთში ვაზი საღვთო მცენარეა. ამას თქვენ ხეაღ: ნასავთ ვაზის დღესასწაულზე, — თქვა კოლხთა წინამძღვარმა.

გვიან ღამით სუფრაზე მთვრალი ტიკები და შუბლით შუბლს მიჯახებული ჯიხვის რქები უყარა.

ჩაეძინა მოხუცს ვაზებით მოხატულ ლოგინზე. ერთხანს ეზმა-
წებოდა მრისხანე აქილევსი და ხვადი ლომები. მერე კოლხეთის ლა-
მაზი ასულები ესიზმრა, მშვენიერ ელენეს ადარა ისინი. ზევსის მრისხანე სახემ შეაკრთო განთიადისას.

სასახლეს ეძინა.

შორიდან ნიავს მოჰქონდა მევენახეთა ხმა:

— ოღო-ია, ო-პო-პო!

გულმა იქეთ გაუწია. ყურძნის კრეფა მოუნდა. ქლამიდა მოისხა შხრებზე, უქულო და ფეხშიშველი მიაბიჯებდა ზღვისპირას.

ფეხი რბილ ქვიშაში ეფლობოდა.

იდგა თევზისა და მარილის სუნი. ხის ბუკის — ოყეს ხმა ისმო-
და ტყიდან. მშვილდოსანი მონადირეები მწვერებს უხმობდნენ. ღვი-
ჭიანში თხისტყაოსანი მწყემსი ბიჭი ცხვრებს მიერეკებოდა და ბავ-
შეურად ტიტინებდა:

— მზე დედაა ჩემი, მთვარე — მამა ჩემი...

...უცხო მოხუცი კრეფდა კოლხურ ყურძენს და მღეროდა ოღო-
იას. მევენახეებთან ისაუზმა ზვარში. ბოლლიწო ჭამა, წითელ ღვინო-
ში ჩაფშვნილი პური. შოშხუნა მაჭარი ასვეს. აფროდიტას რძეაო კოლხური მაჭარი, თქვა მოხუცმა პოეტმა.

მზე ისრის ერთი გაფრენის სიმაღლეზე იდგა.

ჰერეს ბუკს.

ბერმუხასთან შემოკრბა მთელი ტონი ვაზის დღესასწაულზე.

ფესვი დაუკონა ვაზს ვაზის დეღამ, შემდეგ კი მთელმა ტომმაც.

ვაზის დედოფლად ულამაზესი ასული აირჩიეს.

— დაილოცე ვაზო! — დაღაღებდნენ კოლხები.

როცა ყაბახი და თარჩია მორჩა, ტომთუხუცესმა ბრძანა:

— ბერიკაობა!

ხიღბები გამოჩნდნენ. ვის ხარკამეჩის ნიღაბი ეკეთა, ვის ლომისა. წრე შეკრეს და ფერხული დაუარეს.

— აქეთი სახიობა ელადაშიც არ მინახავს, — თქვა ღვათისკაცმა.

აი, ამირანმა ღორის ნიღბოსანი ზევსი ღორივით მიაბა დიდ პალოს და თვითონ ცეცხლი გაიტაცა ადამიანებისათვის.

გორავდა მიწაზე ზევსი და სასაცილოდ იღრიკებოდა. იცინოდა უცხო მგოსანი. იგი მწყურალად იყო ოლიმპოს შურიან და ეპვიან ღმერთებზე.

მაგრამ ეს რა მოხდა? რად ჩაქრა შუადღისას მზე, რად აღავლავდნენ ძაღლები, რად კვნესიან მთები?

რა მოხდა. ზრძენო მგოსანო?

თორმეტმა კოლხმა ქადაგმა ყორნის ჩხავილში ამოიკითხა შემზარავი ამბავი:

— შრისხანე ზევსმა დააბრმავა სტუმარი მგოსანი მკრეხელურ ბერიკაობაზე სიცილის გამო.

ისმოდა კოლხების ყიყინა.

ამბოხდა ელინი პოეტი. ქადაგივით მდგარი მკერდს უშვერდა პონტოს ქარებს.

— ძმად გავეფიცეები მთებში პრიამეთეს. მე დაგიბრუნდები, ჩემო ელადავ, და ნამსხვრევებად ვაქცევთ ოლიმპოს.

თორმეტი კოლხი ჭაბუკი ემთხვია მგოსნის ქლამიდას.

მე ბრმაც დაწერ პოემას ქართულ ვაზზე. ახლა კი პრომეთესთან, იბერიის მთებში!

...ქუხდა და ქექდა. ბრმა ზოხუცი და თორმეტი კოლხი მშვილდოსანი ჭაბუკი მიდიოდა მთებში.

იყო მერეხი და ინგრეოდა ცა.

...არავინ იცის, იპოვეს თუ არა თორმეტმა ჭაბუკმა და ელინმა პოეტმა ამირანის გამოქვაბული.

ამირანის გამოქვაბულში კი დევს ჯერ წაუკითხავი ღვთაებრივი პოემა ქართულ ვაზზე და მთვარე ფურცლავს მას ღამღამობით ქარის თითებით.

უშბის ღიმილი

ფრთებქვეშ თეთნულდი და უშბაა.

სვანური ქუდი ახურავს უშბას. ვეფხვივით აქრელებული შხარა.

მესტიაში, საოცარი კოშკების ქალაქში ეშვება თვითმფრინავი.

სათნახევარში დავფარე სალეგენდო გზა.

და მაინც ორმოცდაათი წლით დამაგვიანდა...

სანდრო შანშიაშვილის გაზეთის „საქართველოს“ კორესპონდენტმა ლაგუჯმა ნახევარი საუკუნით გამასწრო ვიკებისა და ცხენების ქარავნით.

ჩემი მოგზაურობა იყო 140 კილომეტრი დროსა და სივრცეში — მთების გულში, ლაგუჯმაც იმოგზაურა ამ სივრცეში, მაგრამ სხვა დროში.

ბურჯუაზიული თბილისიდან ჯორი ჩაგვიყვანდა პირველყოფილ სვანეთში. უღელტეხილებს მთიდან მთაზე კი არა, საუკუნიდან საუკუნეში გადააჰყავდა ადამიანი.

ახლა სვანეთში კი იგივე დროა, რაც თბილისში. ახალმა სვანეთმა მზეს გაუსწორა საათიც და ნაბიჯიც.

„მთვარის მოტაცებაში“ ქორაი მახვში კითხულობს: მართალია, ადამიანებმა სახლებს ასწავლეს ფრენაო?! ახალ სვანეთში მახვშები უკვე მეოთხედი საუკუნეა თვითონ ხედავენ, თუ როგორ დააფრენენ ჭეული სვანები შხარაზე მალლა „მფრინავ სახლებს“ მესტიასა და ქუთაისს შორის...

სად არის პატრიარქალური სვანეთი, რომელზეც ენგელსი წერდა.

ახალი ცხოვრება დამკვიდრდა მთებში.

ჩვენს თვითმფრინავს სვანი მფრინავი ვაჟა ფალიანი მართავს. ორბივით ფრენა ეიული რატიანსაც, იბრაგიმ გვარლიანსაც, მირონ ჩართოლანსაც უსწავლიათ.

სვანეთს ორბის ფრთები აქვს.

მე ვნახე სოციალისტური სვანეთი, ახალი სვანეთი — მზისკენ ლომის გაბედული ნახტომი.

— ჩვენს თვითმფრინავს კოშკებიდან ალბათ მახვშები უყურებენ? — წამომცდა ანაზღად.

— მახვშები?

— მახვშები კოლმეურნეობაში მუშაობენ, — გაიღიმა სვანმა კაბუკმა.

...რადისტი კაბინას აღებს და გვეუბნება:

— აი მოუსმინეთ ამ მახვშს, რადიოთი როგორ ლაპარაკობს.

— მახვში რადიოთი?

რადიოტალღებს შხარის კალთებიდან მოჰქონდათ ხორხის-
მიერი ქართული ფრაზები.

ფრთებქვეშ იყო სოფელი კალა.

— ეს არის კალის მახვშის — შოთა მარგვლიანის ხმა...

— რა ხნისაა იგი?

— ოცდათორმეტი წლისაა...

— დღეს სვანეთში ყველა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ახ-
ალგაზრდაა.

ზის კალის კოლმეურნეობის თავმჯდომარე შხარის კალ-
თებზე გაშენებულ რადიოფიცირებულ „მურყვანში“ ან მაჩუბ-
ში — გამგეობის შენობაში და რადიოთი აძლევს დავალებებს ენ-
გურის სათავეებში მიმოფანტულ კოლმეურნეთა ოჯახებს.

აი როგორია საბჭოთა სინამდვილე სვანეთის მთებში.

კალაში მან მოიტანა ელექტრომუქი და რადიო, მან დაამკ-
ვიდრა ახალი სიტყვა — შრომადღე.

შუბლგაუხსნელი სვანის სახეზე ღიმილი ათამაშდა...

ქვეყნის შექმნის დღიდან გაუცინარმა ხეობამ გაიცინა.

...ჯვარიდან უშგულისაკენ მიდიოდა კორესპონდენტი, ვინმე
ლაგუჯი. ათი შეიარაღებული კაცი და ორი მეგზური-მეჯოგე მი-
ყავდა.

„...მივდივარ ციცაბო ადგილებში, აღმართ-დაღმართში თითო
მტკაველი გზაა; ყოველ წუთში დაღუპვა მოგველის ცხენს და
კაცს. ცოტაოდენი წაბორძიკება საკმარისია. რომ თვალუწვდე-
ნელი სიმაღლიდან ჩერს ჩაიჩეხო“. — წერდა ლაგუჯი.

ახალმა საბჭოურმა ცხოვრებამ გაანგრია კლდეები და მთების
გულში გაჭრა ფართო გზატკეცილი. ამ გზებზე დიდ ცხოვრებას,
რომელსაც რევოლუცია ერქვა, მიუძღოდნენ სვანეთის კომუნის-
ტები ს. ნავერიანი, გ. ნავერიანი, ა. იოსელიანი, ს. გულბანი და
სხვები. მათი სურათები ღრუბლებს ზემოთ, მესტიის მუზეუმში
ინახება, როგორც ძვირფასი რელიკვია, ისევე როგორც ადიშისა
და ლაჰილის ოთხთავი, როგორც სვანეთის საკვირველი ოქრო-
მჭედლობა. ეს ვაჟკაცებიც ახალი ცხოვრების ოქრომჭედლები
იყვნენ.

ხანკლების წვერზე გადიოდა ცხოვრების ბილიკი უშგული-
საკენ. ამ ბილიკებით მოჰქონდათ ვაჟკაცებს ცეცხლი, რომელიც
შხელდაზე უნდა აეტანათ. ისინი დაეცნენ გზაში. ახალ თაობას
მიაქვს წინ ეს ჩირალდანი.

აი უბრალო მუშები, ტყის მჭრელები შალვა ფირცხელანი,

ტარიელ ჭკადუა, სილოვან დადემშქელიანი და მრავალი სხვა. მათს სახელებს იმახსოვრებს მემატრიანე.

ისინი ქმნიან მთის ეპოპეას.

ლეგენდიდან მოსული გმირები იყვნენ სვანი კომუნისტები.

შხარიდან ცეცხლი ჩამოაქვს ენგურს.

ჯვართან დახვდება ადამიანი ვიწროებში ენგურს, პრომეთეს მთაზე, შხარაზე თუ უშმაზე მოტაცებულ ცეცხლს წაართმევს და ისევ მწვერვალზე აიტანს, რომ მთელი ქვეყანა გათბეს სვანეთის ცეცხლით.

...50 წლის წინათ ამ ბილიკზე მიდიოდა ეურნალისტი ვინმე ლაგუჯი.

ჩემი გზა ლაგუჯის ნაკვალევს მისდევს.

ოცნებობდა ლაგუჯი სვანეთის ტყეების დამუშავებაზე და რკინიგზაზე.

დრომ, თითქოს ლაგუჯის ოცნებების ახდომაზე ფიქრობდაო, რკინიგზა გაჭრა ენგურპესამდე, სვანეთის ტყეების სიმდიდრე დააცურა ენგურით კოლხეთის ბარში.

ადამიანმა ხე ქაღალდად აქცია.

წიგნებად დააბრუნა მთაში და სვანი ბავშვები ხაიშში და ბეჩოში, მაზერსა და ლატალში, ლენჯერსა და მესტიაში, მულახსა და კალაში სწავლობენ ცხოვრების სიბრძნეს.

ლაგუჯი ორმოცდაათი წლის წინ გულდაწყვეტილი წერდა: „სკოლა და სხვა ამგვარი კულტურული დაწესებულება აქაურ მცხოვრებთათვის უცხო ხილია. აქ ძლიერია ცოდნის წყურვილი, მაგრამ სიღარიბით მიხრწნილ მცხოვრებლებს ღონე არ შესწევთ სკოლა დააარსონ“.

...წუხელ მესტიის ას ერთ კოშკზე თეთნულდის მთვარე რომ მიგორავდა, მე ვსაუბრობდი სვანეთის მთავარ მახვშთან. მახვშს სოსო ერქვა. ფანჯარაში იხედებოდა თეთნულდრ. რაიკომის მდივნის „მურყვამი“ ოთხსართულიანი თანამედროვე სტილის შენობაა. სოსო მათემატიკური მანქანის სიზუსტით ასახელებს ციფრებს. რევოლუციამდე სვანეთს ერთადერთი ინტელიგენტი ჰყავდა. დღეს სვანეთის მკვიდრნი საქართველოს პარლამენტის წევრები არიან. დღეს სვანეთის მთებში 32 დაწყებითი, 14 შვიდწლიანი და 8 საშუალო სკოლაა 5.000 მოსწავლითა და 425 მასწავლებლით.

გამახსენდა — შხარის მწვერვალის ახლოს, უღელტეხილზე ვესაუბრე მულახის, რევაზ მარგიანის სოფლის საშუალო სკოლის დირექტორს აბო იოსელიანს. მარტო მულახში 250 მოსწავლე და 30 მასწავლებელია.

მულახელი და მესტიელი პიონერები ტუშინოელ მოსწავლეებთან მეგობრობენ...

მუზეუმებმა ჩაიბარეს სისხლის აღების ველური წესი და წინაპრის დაუწერელი კანონი — ადათი. სვანეთი სახელმწიფო კონსტიტუციის კანონებით ცხოვრობს.

ყოჩალი ახალი თაობა იზრდება ახალ სვანეთში.

...თეთნულდის ზვიადი მზერა თეთრი ღუმილივით ჰკიდია ჰაერში. მახვში განაგრძობს: რევოლუციამდელ სვანეთს არ ჰქონდა მედიკამენტები. სახალხო მედიცინა ფიხით მკურნალობდა ჭრილობებს. დღეს 20 ექიმი და 152 მედიცინის და დგას სვანეთის მკვიდრთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე.

ყველა სოფელში შეხვდებით წარწერას: „აფთიაქი“, „საავადმყოფო“, „ფოსტა“...

მესტიის გზებზე დაჰქრიან მსუბუქი „ტაქსები“.

მესტიის რაიონში 3 კულტურის სახლია, 12 კლუბი, 21 ბიბლიოთეკა.

ზემო სვანეთში 17 კოლმეურნეობაა. ეს ახალი ყოფის უდიდესი გამარჯვებაა. ეს არის ახალი ადამიანების ფორმირებისა და ჩამოყალიბებისათვის ბრძოლის საუკეთესო მაჩვენებელი.

სვანეთის მთებში სოციალური ძვრები მტკივნეულად, წინააღმდეგობათა ავგიას თავლის გაწმენდის გზით მიდიოდა.

ბრძოლა ახალი ადამიანებისათვის სვანეთის მთებში დღესაც გაძელდება.

არ არის ისეთი მთა და მწვერვალი, რომ სვანეთის კომუნისტებმა და კომკავშირელებმა არ აიღონ.

ან შემართებას. ამ ფრთებს, აზრთ: „კიდილს, ახალ ადამიანებს ვერ იხილავდა ლაგუჯი ოთხი ჯორით კი არა, დედამიწის ყველა ჯარით რომ მოსდებოდა სვანეთის ყველა სოფელს.“

ეს ახალმა დრომ მოიტანა.

...მიჰქროდა „ვოლგა“ სვანეთის გზებზე.

ჩემი გზა ლაგუჯის ნაკვალევზე 50 წლის შემდეგ ჰგავდა მოხიბვლელ რომან-ეპოპეას, რომლის კულმინაცია პირველ თავშია მოქცეული, თუ სვანეთის გზას რომანს შევადარებთ.

ეს კულმინაცია ენგურჰესია!

„სვანეთში კი არა. მთელ საქართველოში იშვიათია ორთქლის მანქანა, გზა, ელექტრონი — ეს აუცილებელი პირობანი ერის წინსვლისა... და თუ სადმე მოიპოვებიან ისინი, უცხოელების მოწყობილია“, — გულისტკივილით წერდა ქართული გაზეთი.

დღეს კი უცხოელები მოდიან ენგურის ხეობაში სვანეთის

მისადგომებთან, რომ იხილონ მსოფლიოს მეშვიდე საკვირველება
ენგურკესი. სვანეთის ახალი ადამიანებისა სჯერა დროს.

მათ ლომის მუხლი და არწივის ფრთები აქვთ. გვჯერა, რომ
ისინი აიტანენ ცეცხლს შხარაზე.

მთებს აურაცხელი საიდუმლო აქვთ.

ადამიანმა უნდა ეძიოს ამ საიდუმლოთა გასაღები.

ერთი ასეთი გასაღები ადამიანმა მოსტაცა მთებს.

სვანეთში მიაგნეს ბარიტს. ხაიშიდან ორიოდ კილომეტრზე
სვანი ვაჟკაცი ჭარამხათ ფალიანი სათავეში უდგას ბარიტის მო-
პოვების საქმეს.

იოლი სათქმელია სვანეთში ბარიტის მოპოვება. იქ, სადაც
ქურციკი ვერ გაივლიდა, გეოლოგებმა მიაგნეს ბარიტს. მთის ბი-
ლიკზე დაზრდილ ვაჟკაცებსაც გაუჭირდათ ბარიტის მოპოვება.

უხმეს „მთის ორბის“ ხერგიანის დაზრდილ ვაჟკაცებს —
„კლდეა ვეფხვებს“ — მიშა სერგიანს, ბექნუ ხერგიანს, მაქსი-
მე გვარლიანს, კიკიკო ჩართოლანს.

უგზო ადგილას გზა გაიყვანეს.

მთებს გამოსტაცეს სვანეთის ბარიტი.

...ლაპარაკობს ხაიში! „ლაპარაკობს ხაიში!“ — ასე იწყება
სვანეთის მთებში რადიოგადაცემები საზოგადოებრივ საწყისებზე.
მათში ბარიტის მოპოვებელთა წარმატებებზეც ლაპარაკობენ.

მთებში შენდება დაბა-ქალაქი, შენდება საბაგირო გზაც.

სვანეთის სოფელ დიზში ვარშავა გამახსენდა. ამ ზაფხულს
პოლონეთის დედაქალაქის ულამაზეს მაგისტრალზე — იერუსალი-
მის ხეივანზე ვნახე სვანური კოშკები „ტრიბუნა ლიუდუს“ ფო-
ტორეპორტიორის მიერ გადაღებულნი.

იერუსალიმის ხეივანზე სვანური კოშკების სურათი სვანურ
მარმარილოზე იყო გაკრული.

ვარშავის ყველაზე მაღალი შენობა მოპირკეთებულია სვანე-
თის თეთრი მარმარილოთი.

განა მარტო ვარშავის?! სვანეთის მარმარილო ცნობილია პრა-
ღაში, ტოკიოში. ამ მარმარილოთია მოპირკეთებული მოსკოვის,
ლენინგრადის, კიევის მეტრო. სვანეთის სიმდიდრეები გადის მსოფ-
ლიოს სავაჭრო გზებზე. ეს უკვე ისეთი მწვერვალია, რომლის
სიმაღლე ყველა უშბას შეეხარბება.

როგორც ორბები მშობლიურ ბუდეც, სტუდენტები უბრუნ-
დებიან არდადეგებზე სვანეთის მთებს საპაეო გზით ქუთაისი-
მესტია, გზატკეცილით ზუგდიდი-მესტია...

მივდიოდი ლაგუჯის ნაკვალევზე. არ ვიცი იქნებ ადგილის
დედა, იქნებ თმადათოვლილი მემატიანე მესტიის მუხეუში გა-

ცოცხლდა და მიკარნახებდა ქართველი ჟურნალისტის სისხლით დაწერილ სტრიქონებს „საქართველოს“ გაყვითლებული ფურცლებიდან.

„მთა ტირის... ჩუმი და ჩათხრობილია ეს ქვეთინი. დრტვინვა მთისა უხმოა, როგორც მთის კვნესა შავდრუბელთა შემოწოლის დროს. მოისმინეთ ეს კვნესა-კაეშნის ლიტანია და მაშინ მიხვდებით, თუ რას ნიშნავს მთის ტირილი, მთის კვნესა, მთის უხმო გოდება-ქვეთინი, რომელმაც არ უწყის ცის სილაჟვარდღე და განთიადის ცქრილა სამოსი“...

და ეს ხმა იყო ისე ძველი, როგორც ადიშის ოთხთავი, რომელსაც მესტიის მუზეუმში ფურცლავდა სვანი ვაჟკაცი აკაკი კვიციანი.

მესტიის მუზეუმისა შეეხარბებოდა მსოფლიოს ბევრ მუზეუმს. აქ ოქრომპეღლობაში, ორნამენტებსა და ძველ ხელნაწერებში უთვალავი საუკუნე თვლემს. მაგრამ თუ სვანეთის წარსული მუზეუმის კედლებში ეტევა, სვანეთის თანამედროვეობა ამსხვრევს არტახებს, ენგურივით მიჰქუხს ხეობაში და კლდეებს ბურღავს დღევანდელი დღის უძლეველი ძალა.

ლაგუჯი თივას ეძებდა სვანეთის ბილიკებზე ცხენისთვის ახალი სვანეთის მაგისტრალებზე ბენზინის კოლონები ევროპის ტრანსკონტინენტურ გზებზე ფირმების „შელის“ და „მობილილის“ ბენზინის პუნქტებს არ ჩამოუვარდება.

...თეთნულდის ძირას გაკაშკაშებულია მესტიის სახლებისა და მურყვამების ფანჯრები და სათოფურები.

ბეთპოვენის სიმფონია იღვრება ხევებში, სვანეთის ბუხრებთან კითხულობენ გოეთეს და ილია ჭავჭავაძეს, პუშკინსა და ბარათაშვილს.

ლამით მესტიის ქუჩებში სიჩუმე დადის ფეხაკრეფით.

ასერთი კოშკის საოცარ ქალაქში კოშკიდან მწვერვალზე, მწვერვალიდან კოშკზე მიგორავს სვანეთის ვეება მთვარე.

ლამე საოცრად მომხიბვლელია მთებში, ახალ სვანეთზე ფიქრებში გაცრეცილი ლამე.

აჰა, აღმოხდა მზე... ზვიადი უშბა ჩემს ფანჯარაში კი არა, ჩემს სულში შემოდის.

მიწაზე დარჩა სასტუმრო „მესტია“.

თვითმფრინავმა კამარა შეჰკრა მწვერვალებზე. ხელისგულივით მოჩანს ჩემი სვანეთი.

უშბა სვანურ ქულს გვიქნევს.

უღელტეხილამდე მოგვაცილებს უშბის ღიმილი, შუქად რომ იღვრება მწვერვალებზე და ხევებში.

უშბის ღიმილი ანთია სვანეთის მთებში.

მესტია-ხაიში-თბილისი.

ლეგენდა ბრძელდება მთაში

ენგურს ფეხდაფეხ აჯედვენე და ჯვართან დავივაკე.

სვანეთს მერეხი მოვარდნილიყო და გამეხებული მდინარე მუხლის ძალას უსინჯავდა მთებს.

საოცარი იყო მთისა და მდინარის შერკინება. ტალღებს კბილები უცვდებოდათ პიტალო კლდეებთან ქიდილში.

...დაჯარდნენ კლდენი და იწროებში ჩაკეტეს ენგური.

ჩაკეტეს? არა!

სვანეთში დაბადებულ მდინარეს სვანის ხასიათი აქვს. ენგურმა იქუხა იწროებში და კლდეებს ზღვისაკენ გაექცა.

ნუთუ ეს კლდეთა მჯაბნელი მდინარე ადამიანის მარჯვენამ უნდა მოთოკოს, გავიფიქრე წამით და მაღალ მთებს ავხედე. მთებს ნისლის ყაბალახს უხევდა ქარი.

უშბა შორიდან ქულს უქნევდა ენგურჰესელებს.

ქული ენგურჰესის მშენებლებს შვენით და მკლავიც უქრით.

აქ ქულზე კაცი მოსულა გუმათჰესიდან, ლაჯანურჰესიდან, ბრატსკჰესიდან, სიონმშენიდან...

მუშები და ინჟინრები, ჰაბუკნი და ხანში შესულნი, ცხოვრებით დაბრძენებულნი და ახალბედანი.

დიდი ნადობა აქვთ ჯვარელებს.

ენგურჰესს აგებენ ქართველი შუქრი თვარაძე და რუსი ნიკოლოზ კოროსტელიოვი, სომეხი ხაჩიკ ნერსესიანი და უკრაინელი ანია მოსოვიჩენკო,.... და ათასნი სხვანი, ყაზახნი თუ უზბეკნი, ქართველთა ძმანი.

— კლდენო, თქვენ ვინ მოგცათ. ძალა ისეთი, როგორსაც შრომაში შობილი ეს დიდი მეგობრობა ქმნის, — ვფიქრობდი გულში.

მე ქვეითად მივყვებოდი ენგურს.

სვანეთიდან აფრენილმა არწივმა ყაშყაშით გადაუარა ჯვარს.

არწივის საფრენ სიმაღლიდან დამანახვა ენგურჰესის პანორამა, ვინატრე გულში.

შვეულმფრენით ცაში რომ ავფრენილიყავ იმ წუთს, თვალწინ გამამეშლებოდა მომხიბვლელი სანახაობა.

...ზუგდიდიდან რკინიგზის ახალი ტოტი მიიკლაკნება ჰესისაკენ.

მზეზე ბზინავენ ფოლადის რელსები. ხვალ ამ გზაზე გრუხუნით ჩაი-
ვლიან მატარებლები. დღეს კი მშენებლები ლიანდაგს აწყობენ და
რელსებს ენგურჰესისკენ მიეჩქარებათ.

ენგურის მარცხენა სანაპიროზე კოშკურა ამწეებს ჟირაფებივით
დაგრძელებიათ კისრები. სახლები სოკოსავით მომრავლებულან. აქ
შენდება ახალი დაბა — ზედა ჯვარი. ის ჯერ წალენჯიხის რაიონის
რუკაზეც არ არის აღნიშნული, მაგრამ ხვალ, როცა აქ უნიკალური
ჰესი აგუგუნდება, მსოფლიოს გეოგრაფები თავიანთ რუკებზე აღ-
ნიშნავენ ამ პუნქტს. ასე ფიქრობენ ზედა ჯვარის მშენებელი ინჟი-
ნერი ახოვანი ვაჟაკი ვლადიმერ ჭარბაძე და მისი არწივები.

მისი არწივები კი ჯანლონით სავსე, მზემოკიდებული ვაჟაკე-
ბი არიან.

ღურგლები და მემონტაჟეები.

მებეტონეები და ქვისმწყობლები.

ვაჟაკი კირითხურონი ექვსი ათას მშენებელს უგებენ ბინებს.
დაელოცოთ მარჯვენა.

მე რომ შვეულმფრენში ვმჯდარიყავი, არწივის საფრენი სიმაღ-
ლიდან ვნახავდი ენგურის მარჯვენა სანაპიროს, სამურზაყანოს მი-
წებს. გალის რაიონში, საბერიოსა და დიხაზურგში შენდება მუშათა
დაბა. მოასფალტებული გზები საბერიოსკენ მიისწრაფვიან.

მაგრამ ის დღეს შვეულმფრენში არ ვიჯექი, ქვეითად მივეყვებო-
დი ენგურს.

და შევხვდი გზაზე ოდიშელ მოხუცს.

ორბის თვალები და კეხიანი ცხვირი ჰქონდა ბერიკაცს. წელში
ოდნავ მოეტება ოთხმოცდაათ წელს; მაინც მხნელ გამოიყურებო-
და. ცალპირა, თორემ ხანჯალი, მწყემსური დანა ეკიდა სარ-
ტყელზე.

პაპა მახაზს ეძახის თურმე მთელი ჯვარი.

ჯვარი მთელს ოდიშშია განთქმული თავისი ფოლკლორით. იქ-
ნებ ახალი რამ მითხრას-მეთქი, და მოხუცს ლეგენდებსა და ზღაპ-
რებზე ჩამოვუგდე სიტყვა.

— ზღაპარი?! ამაზე მეტი ზღაპარი რა გინდა, შვილო, წინათ
ჯვარში თამადა ისე სადღეგრძელოს ვერ იტყოდა, რომ არ ეთქვა,
იპდენხანს იცოცხლეთ, სანამ ენგურმა დინება არ შეიცვალოსო,
დღეს კი ჯვარელები სასწაულის მოწმენი ვართ, ენგურმა ახალი
გზით უნდა იდინოს.

ბერიკაცმა ყალიონი ამოიღო და გააბოლა.

— ჩემი კარის მეზობლის ბიჭი, — ქარდავა, — ჯარიდან დაბ-
რუნდა და აქ დაიწყო ჰესზე მუშაობა. ერთხელ ვეხუძრე: ერთი

უგერგილო ვინმე ხარ, შენ რას გახდები, ენგური დასაბამიდან ამ კალაპოტით მოედინება, ასე ინება ღმერთმა-მეთქი.

ეშმაკურად გაელიმა მოხუცს, გააბოლა.

— იცით რა მიპასუხა ეშმაკის კერძმა? — ჩვენ, ახალგაზრდები, ღმერთის შეცდომას ვასწორებთო. ენგურმა ჩვენს ნებაზე უნდა იდინოსო, თუ დაგვჭირდა, ამ მთებსაც დავძრავთ ადგილიდანო.

ერთხანს დუმდა მოხუცი.

— სიკაბუქემ ეგრე იცის, — დაუმატა მერე.

ვეებერთელა ლოდზე ჩამოვსხედით.

— ამ ქვას არამხუტუს ქვას ეძახიან ჭვარში. არამხუტუ ხომ იცით, ამირანის მეგრული სახელია. ამირანს ბერძნული სახელიც ჰქვიაო, მითხრა სოფლის პედაგოგმა, მჯერამ დამავიწყდა.

— პრომეთე, — შევახსენე მოხუცს.

— ჰოდა, ჩემმა ბაღიშმა მითხრა, ისიც ჰესზე მუშაობს, მაგ პრომეთე, — მოხუცმა ხელი რეთნულდისაკენ გაიშვირა, — იქ ყოფილა თურმე მიჯაჭვული, ღმერთებს ცეცხლი მოსტაცა თურმე აღამიანებისათვის.

როცა ენგურისპირას ზორებითა და ფოლადის მილებით დატვირთული მანქანების ხმაური მიწყნარდა, მოხუცმა განაგრძო:

— ჰოდა, ჩემი ბაღიში გიზო ამბობს, ჩვენ, ენგურჰესის მშენებლები, ჩვენი დროის პრომეთეები და ამირანები ვართო.

— ოქროპირი ყოფილხართ, პაპა მახაზ, თქვენი შვილიშვილიც პოეტია ალბათ.

— პოეტი? — გაილიმა მოხუცმა, — ჩვენს უბანში ბევრი პოეტი დაბადებულა, ლექსებს ბევრი წერს.

მე მოხუცის სიტყვები მომეწონა: ჩემი ბაღიში ამბობს, ენგურჰესის მშენებლები ახალი დროის პრომეთეები ვართო.

მართლაც, რომ პრომეთეოსნი არიან. მათ უნდათ ცეცხლი მოსტაცონ ენგურს აღამიანისათვის. რით არ არიან პრომეთეოსნი?

— გვირაბი თუ ნახეთ? წამოდით, ვნახოთ. — მითხრა მოხუცმა.

ლაყორიას გორასთან რიყეზე დავეშვიტ.

მარჯვნივ და მარცხნივ მშენებელთა სახლებია წამოჭიმული.

მარჯვნივ სასადილო, მარცხნივ მედპუნქტი.

მთიდან ცივი წყალი მილებით ჩაჰოუყვანიათ მუშებისათვის.

პირველი ცვლა ბრუნდება, მეორე ცვლა მუშაობას შეუდგა. ელექტრომონტორები მერცხლებივით ჩამომსხდარან ბოძებზე და მავთულს კიმავენ.

მე და პაპა მახაზი გვირაბისაკენ მივდივართ.

ენგურის ღმუილს ლაღუმების გრიალი არღვევს. გეოლოგები იკვლევენ ქანებს, ძალას უსინჯავენ მთებს.

— ხომ არ დაინგრევი, მთებო, გვირაბით რომ გაგფატროთ? — ეკითხებიან მშენებლები და გეოლოგები.

— ცხრა გვირაბაც გაუძღვებთ! — იქაღნიან მთები. მაგრამ გეოლოგებს არ სჯერათ და მთების გულმკერდში ლაღუმებს აფეთქებენ.

მთები ბუზებივით აიფრენენ ლაღუმებს და გეოლოგებს ნიშნის მოგებით ეუბნებიან:

— გაგიძლით თუ არაო.

გეოლოგები რწმუნდებიან მთების სიმტკიცეში და მშენებლებს ეტყვიან:

— აქ შეიძლება გვირაბის გაყვანა, მუხლმაგარი მთები დგას.

ბინდბუნდამდე გრიალებენ ლაღუმები.

პაპა მახაზი ამბობს:

— ომის შორეულ ექოს მაგონებს ეს სამშვიდობო ხმაური. მახსოვს სამამულო ომის დროს აქ გერმანელებმა დესანტები ჩამოსხეს.

— მერე?

— ჯვარში გერმანელებმა თავიანთი საფლავის ჯვარი ჰპოვეს.

— თქვა მოხუცმა, — ხოლო ჯვარელმა მელიტონ ქანთარია ფაშისტური ჯვარები არ დატოვა დაულეწავი ბერლინში და დრომა ააფრიალა ჰიტლერის ბუნაგზე.

ცოტა ხანს ღუმდა მოხუცი. ეამაყებოდა, რომ ქანთარია მისი თანასოფლელი იყო. ერთი ამხედა, ალბათ უნდოდა გაეგო, რა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ნათქვამმა.

ორიოდე ნაბიჯზე გვირაბი გამოჩნდა.

გვირაბიდან ქანების გამოსატვირთავად მცირე ლიანდაგი გაყავდათ მუშებს.

— პაპა მახაზს გაუმარჯოს!

ეტყობა მოხუცი მათი ხშირი 'ტუმარია. ყველა იცნობდა, ზუგდიდელი ინჟინერი გიზო შეროზია ხელმძღვანელობდა ცვლის მუშაობას. თბილისში დაუმთავრებია პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

წარმოსადეგი ვაჟაკი ამ პაპანაქება სიცხეში გაცივებული იყო.

— პარადოქსია, არა, — ამბობს ის. — გვირაბში ცივა, მდინარის პირას ცხელა. სხვადასხვა ტემპერატურას ხშირი მონაცვლეობა მე კი არა, ამირანსაც წააქცევს. ამირანის ხსენებამ ისევ პაპა მახაზის სიტყვები გამახსენა: ბადიშმა მითხრა, ენგურჰესის მშენებლები ამირანები ვართო...

არა, სრულებით არ ჰგვანან მითიურ ამირანს არც გიზო, არც გურამ გოქაძე, კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი, არც ლეჩხუმე-

ლი ქაბუჯი ნუგზარ ბუხრიაშვილი, სოფელ სპათავორიდან რომ ჩამოსულა ჭვარს, არც ლაილაშელი დავით თვარაძე, არც სვანი ვაჟკაცი პავლე გირგვლიანი ხორხისმიერი ქართულით მოლაპარაკე, არაფრით არ მოგვაგონებენ მითურ გმირებს, ესენი უბრალო ქაბუჯები არიან.

მაგრამ დასტურ არამხუტუს ძალა ეძლევათ, როცა მიწისქვეშა ექსკავატორებით, საბურღავი ჩაქუჩებით ანგრევენ კლდეს, გაყავთ გვირაბი, რომ ენგური ახალ კალაპოტში გადააგდონ.

— გვირაბს ზემოთ იქნება 300 მეტრის სიმაღლის, მსოფლიოში უმაღლესი უნიკალური თაღოვანი კაშხალი, ეს არის ენგურჰესის პირველი საოცრება, — ამბობს ინჟინერი გიზო შეროზია. — ენგურჰესის მეორე საოცრება, — განაგრძო მან, — იქნება მიწისქვეშა ჰესი, ეს ორი საოცრება მსოფლიო მასშტაბისაა.

მზე ოხაჩქუეს მთისკენ გადახრილიყო.

იღგა მშენებლობის 1308-ე დღე. ამ დღეს არაღერი განსაცვიფრებელი არ მომხდარა. ენგურჰესზე ცხოვრება მიდიოდა თავისი გზით. შენდებოდა სახლები, იზრდებოდა რკინიგზის ხაზი, იკირწყლებოდა შარაგზები, მუშაობდნენ კოშკური ამწეებითა და წერაქვებით; ვიღაცას ულხინდა, ვიღაცას რაღაც სწყინდა; დღე იყო ჩვეულებრივი, მაგრამ ამ დღეს ენგურჰესზე გრძელდებოდა ლეგენდა ცეცხლის მოტაცებისა. შენდებოდა ჰესი, ადამიანები ცეცხლს ტაცებდნენ მდინარეს სვანეთისა და ოდიშის ზღვარზე, რომანტიკისა და ეგზოტიკის მხარეში.

შრომა სინამდვილედ აქცევს ლეგენდას, — ვფიქრობდი გულში და ზუგდიდისაკენ მოვაბიჭებდი მესტიის გზით.

ახალდაგებული ასფალტი მზეზე ლაპლაპებდა. გზის სატკეპნი მანქანებისა და ბულდოზერების გამაყრუებელი გუგუნი იდგა.

— ოხარკალუს წყაროებს აქებენ, — თქვა პაპა მახაზმა, — მოგვიხდება ამ პაპანაქებაში.

წყაროსთან მივედი; იქვე გზისპირას ჩუხჩუხებდა. ორი ქალიშვილი წყურვილს იკლავდა.

ერთი სვანი აღმოჩნდა, ეულია ერქვა, მეორე რუსი — თამარ.

— ესენი ჭვარის პატარძლები არიან, — თქვა პაპა მახაზმა, — ჰესზე მუშაობენ.

— აქ ვმუშაობთ, გზა გაგვყავს, — დაგვიმოწმეს ჭვარელმა პატარძლებმა, ერთმა ხორხისმიერი ქართულით, მეორემ რუსულად აქცენტირებული ქართულით.

— კარგად მუშაობთ, ალბათ, — ჩავურთე მე.

— ვცდილობთ, — ელიმებათ პატარძლებს.

რესპუბლიკის პირველი სასიძონი და საქართველოს პირველი საპატარძლონი ოფლს ღვრიან ენგურჰესის მშენებლობაზე ჯვარში.

— ქორწილები მაშინ ნახეთ, პაპა მახახ, ვეუბნები მე, როცა საქართველოს კომკავშირი ჯვარში 5-6 ათას რჩეულ ქაბუქსა და ქალიშვილს გამოგზავნის.

— ეს ხომ უტუს ჯარზე მეტია!

კმაყოფილად ეღიმება პაპა მახახს.

დღეს ჯვარში მართლაც მსოფლიოში უნიკალურ ჰესს აგებენ და წყვეტენ ეპოქალურ ამოცანას.

ინჟინერმა გ. კუჭუხიძემ, რომელსაც საქართველოში სამი ჰესისა ჩირაღდნები აუნთია, თქვა:

ცოდვა გამბელილი სჯობია: ჩვენ გვინდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ქება დავიმსახუროთ ენგურჰესის გახსნის დღეს.

ქუღზე კაცმა შეუტია ენგურს პარტიის დაძახილზე.

კომუნისტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ერთი ბასტიონი შენდება ენგურის პირას.

მე ის ვნახე მშენებლობის დაწყებიდან 1 308-ე დღეს.

გუგუნებდნენ მთები და მესმოდა კომუნისტის ფეხის სმა ჯვარში.

ზუგდიდი-ჯვარი

როსა შენი საქმის პოეტი ხარ

დედას პურივით მოიხრება სიღრმის მთვარე ღვინობისთვის და ცალი ქიმიტ ცივგომბორის ქედს შეეხება. საღამოს ბინდბუნდში ირმის ნახტომის თანავარსკვლავედივით ამობრწყინდება კახეთის სოფლები ალაზნის ნაპირზე. კახური რთველი ამ დროს ენით აუწერელია და ფუნჯით დაუხატავი. ივსება საქართველოს მარანი და ბელელი — კახეთი ხვავითა და ბარაქით.

მიწის მადლიანი ძუძუ ღვინოდ იწურება.

საქართველოს მარანს ერთი კარი ანაგაშიც აბია. აქ, წნორის წყლის ნაპირებზე, იღვწიან მეღვინე ვაჟკაცები შენგელ და ოთარ მეღვინეთუხუცესები.

ამ მამაპაპურ ხელობას შეურცხვენლად მისდევენ ისინი.

თავანკარაა ქართული ღვინო; მისი წახდომა ერის წახდომის ნიშანი იქნება უცილოდ, ამიტომ უფრთხილდებიან საუკუნეების მანძილზე ასე სათუთად და სასახლოდ შემონახულ ქართულ პროფესიას ანაგელი ბიჭები.

მეღვინეობა წმინდა ქართული ეროვნული პროფესიაა. ეს ის არის ქართველისათვის, რაც ყავის მოყვანა ბრაზილიელისათვის, შაქრისა — კუბელისათვის, ზეთისხილისა — ბერძნისათვის.

ეს ისევე ძველია და ორიგინალური, როგორც ქართული ცეკვის ქორეოგრაფიული ნახაზი, როგორც წარწერები ბოლნისის ქვაზე, როგორც უფლისციხის და არმაზის ჩუქურთმები... ეს ჩვენი ეროვნული სიამაყეა.. ვინც ქართული ღვინის დაყენების ჯაღოსა და საიდუმლოებას ფლობს, ის ხელოვანია და სახალხო საქმეს აკეთებს.

ამ ნარკვევის გმირებს მეღვინეთუხუცესები ვუწოდებ.

უხუცესი პატრიარქია, წინამძღვარია, ანაგელი მეღვინეები კი ჩველები არიან. ასაკს და ჰალარას იმიტომ სცემდნენ მუდამ პატივს, რომ ისინი ცხოვრებისეული სიბრძნისა და გამოცდილების სინონიმს წარმოადგენენ. ამ გაგებით კი ანაგელი ბიჭები ოთარ და შენგელ ნამდვილი მეღვინეთუხუცესები არიან.

ძნელია იყო ვაზისა და ლექსის ქვეყანაში კარგი მეღვინე ისევე, როგორც ძნელია იყო კარგი პოეტი საქართველოში!

— მეღვინეც თავისი საქმის პოეტია,— მითხრა ერთმა ანაგელმა მოხუცმა. მართლაც, კეშმარიტება ღალატებდა მოხუცის ბაგეებით. რამდენად საპატიოა იყო ქართული ღვინის მექაშნიკე და დამყენებელი. ერთმა ბრძენმა თქვა: პური კაცობრიობის ერთ-ერთი ყველაზე გენიალური აღმოჩენააო. თუ ეს ასეა, ღვინოც, უცილოდ, ადამიანის უდიდეს აღმოჩენათა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ.

საქართველო ღვინის მწარმოებელ ქვეყნებს შორის, თუ პირველი არა, ერთ-ერთი უპირველესია ისტორიულად.

ამტიციებენ, რომ სიტყვა „ღვინო“ ქართული ენიდან ისესხეს მსოფლიოს ხალხებმა, ისევე როგორც მისი დაყენების წესი.

უტყუარი ამბავია, რომ ელადის მუზა ქართულ ღვინოს ოლიმპოს ღმერთების სასმელს უწოდებდა. საკმარისია ითქვას, რომ ქართულ ღვინოს დიდების ძეგლი აუგო აპოლონ როდოსელმა.

ქართული ღვინოები ღღესაც მსოფლიო კონკურსებში ოქროს მედლებით იმშვენებენ ეტიკეტს. ამიტომაც ძნელია იყო კარგი მეღვინე საქართველოში. ქართული ღვინის დიდი ტრადიციები დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს მეღვინეს.

ძნელია მეღვინეობა წიგნით ისწავლო. შენგელისა და ოთარის აკვანი ვაზის ძირას დარწმუნა. ქართული მიწის მადლი — ღვინო დედის რძესთან უგემნიათ და ამიტომ ბუნებით მეღვინენი არიან. ერთი შიგნი კახეთში, წითელწყაროში დაიბადა, სოფელ ჯაფარიძეში, მეორე — იმერეთში, სამტრედიის რაიონში, სოფელ ბაშში. ორივე მხარე ქართული მეღვინეობის დალოცვილი კუთხეა და თითოეულმა მათგანმა ვაჟკაცებს თავიანთი მადლი დაუწყალობეს, მეღვინეობის ჯაღო გაატანეს ცხოვრების გზაზე, ვითარც საგზალი.

მათ თბილისისა და ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ისწავლეს მეღვინეობის აღფა და ომეგა. ჩვენ კახური რთველი

ვახსენეთ, როცა ანაგელ მეღვინეებზე დავიწყეთ საუბარი. რთველში ისინი ღამეებს ათევენ, ხუმრობით იტყვიან: ღვინობისათვეში დღე-ღამეში ოცდახუთ საათს ვმუშაობთო.

ამ დროს ანაგის მთვარე ჩირალდანს ჰგავს, რომელიც მევენახეებს გზას უნათებს. დაიძვრება დალოცვილი „რქაწითელი“, „საფერავი“ მანქანებით, ურმებით, ორთვალათი ანაგის მეურნეობიდან, ვაჭირიდან, საკარმიდამო ნაკვეთებიდან და „სამტრესტის“ ანაგის ღვინის მარანს მიადგება: გული კი არა ქვა უნდა გედოს საგულეში, რომ ქართული ყურძენი დროზე არ დააბინავო, დროზე არ დაწურო ღვინო, ამიტომ ეცოტავებათ ანაგელ მეღვინეებს ოცდაოთხსაათიანი დღე-ღამე.

ფეხმძიმედაა ამ დროს თბილი და ნაყოფიერი კახეთის მიწა: დიდი მოსავალი იბადება. ღვთისნიერია მცენარე, რომლის ლერწმებს და მტევნებს, პოეტის თქმისა არ იყოს, ქართულ ასოებს ამგვანებდა ქართული დამწერლობის ფუძემდებელი... დამწიფებული მტევნები ახატია საქართველოს სახელმწიფო გერბს.

ვაზი საქართველოს სიმბოლოა.

მეღვინეებთან ანაგაში სტუმრად ყოფნის დროს მოვისმინე შესანიშნავი თქმულებები და ლექსები რქაწითელზე.

— ქართული ჯიშის ვაზის ბედი სა-აცრად ჰგავს საქართველოს ბედს, — თქვა შენგელმა.

ოთარი და შენგელი განა მარტო რთველში ვაეკაცობენ.

გინახავთ კახეთი ვაზის ყვავილობის ეპოს?

„ვაზის ყვავილობის“ ავტორი მოგვითხრობს: „თვალი მოავლე შენს კახეთს, ვაზებისა და ვარდების ქვეყანას. ნახე ვაზის ყვავილობა, ნამდვილი სასწაული დედამიწისა“.

ამ დროს მეღვინეს რა გააჩერებს სახლში? ეს ზვარში გადის. თითოეულ ვაზს ესაუბრება ადამიანივით, თავს დასტრილებს რუღუნებით. დაინტერესებულია ყურძნის ზარისხიო, შაქრიანობით, სიმჟავით. რა ქნას კარგმა მეღვინემ, თუ კარგი ყურძენი არ მოუვიდა. ოთარი და შენგელი ყველაფერს აკეთებენ კარგი მოსავლის მისაღებად; მხარში უდგანან მევენახეებს, აგრონომებს, მათი ოფლიც აპოხიერებს ანაგის ზვრებს.

— ღვინის ხასიათში მეღვინეს ხასიათიც ჩანს, — იტყვის ოთარი.

— ღვინის კაშნიკი მეღვინის კაცობის საზომია, — უმატებს შენგელი.

პირველადი მეღვინეობაა ოთარისა და შენგელის სტიქია. მათი სამუშაო ადგილი — „სამტრესტის“ ანაგის ქარხანა-მარანი სწორედ პირველადი მეღვინეობის ერთ-ერთი კერაა კახეთში.

ისინი ამაყობენ იმით, რომ „ტიბაანმა“ მევენახეთა და მეღვინეთა მსოფლიო ფორუმზე, რომელიც საქართველოში ჩატარდა, არ შეარცხვინა ქართული სამარკო ღვინის სახელი. მსოფლიოს საუკეთესო ღვინოებშია სხვა ქართულ ღვინოებთან ერთად „ტიბაანიც“ შეამკეს ეწითელებით.

„ტიბაანი“ მრავალი მედლის კავალერი გახლავთ.

ქართულმა ღვინომ ეს მედლები ევროპაში მოიპოვა.

ეს გამარჯვება ქართველი მეღვინის ხელოვნებისა და მარჯვენის ქებაა. უხარიათ შენგელს და ოთარს, რომ ამ გამარჯვებაში მათი წვლილიც არის, რადგან, თუ პირველადი დამუშავების მეღვინეობის ქარხანამ არ მიაწოდა საუკეთესო ხარისხის ღვინო, მეორადი დამუშავების ქარხნები ვერაფერს გახდებიან; სახელი გაუტყდება ღვინოს და მეღვინეს, — სახელის გატეხას კი თავის გატეხა სჯობიაო, — ამბობს ხალხი.

ანდაზა იმასაც ამბობს, საქმემ აქოსო ოსტატი.

ანაგელ მეღვინეებს ყურძენი ზოგჯერ ტარიბანისა და ხირსის ზერებიდანაც შემოაქვთ. (დალოცვილმა „ხირსამ“ კარგი ყურძენი და ღვინო იცის, ტყუილად როდი თქვა პატარა კახმა აქაურ ღვინოზე: „ღირსა“, „ღირსა“. ასე წარმოიშვა ხირსას სანელწოდება ეტიმოლოგთა აზრით).

სეტყვამ დააზიანა ანაგის ზერები, თორემ ყურძენი იმდენი იცის ავ დალოცვილ სოფელში, რომ ორი ქარხანა ვერ აუვა მის გადამუშავებას.

...ცივგომბორზე გრუხუნებდნენ წარსულ ზაფხულს რაკეტები. სეტყვის ღრუბლებს ესროდნენ რაკეტული ქვემეხებიდან მევენახეთა და მეღვინეთა ქომაგად მოსული ქართველი მეცნიერები, მაგრამ სეტყვას ჭერჭერობით მაინც ბევრი სიავე მოაქვს. რაკეტების გრუხუნი ანაგის ღვინის ქარხანაშიც ისმოდა.

— ეგრე, ეგრე! — თქვენს მარჯვენას ვენაცვალე! — ილოცებოდნენ ანაგელი მოხუცები.

...შენგელი და ოთარი გახარებული იყვნენ.

ცივგომბორზე რაკეტების გრუხუნის სადღეგრძელოსაც კი სვამდნენ ანაგაში რთველის დღესასწაულზე.

— სიტყვა ქართველ მეცნიერებს ეკუთვნით! კიდევ უფრო თამამად და ვაჟკაცურად უნდა გაუძღვნენ ისინი ქართველ მევენახეთა და მეღვინეთა ლაშქრობას სეტყვის წინააღმდეგ, — ამბობს ოთარი.

ანაგელი მეღვინეები ქართული ყურძნის ჯიშებიდან ძირითადად რქაწითელს ამუშავებენ. ანაგაში და იმ მიკრორაიონში,

რომელსაც ქარხანა ემსახურება, ეს ჯიშია ყველაზე უფრო გავრცელებული.

ვინ იცის შენგელი და ოთარი მერამდენედ მიაბობენ რქაწითელზე.

— ქართველი ამპელოგრაფები ისტორიულად ქართული ვაზის 500 თუ 600 ჯიშს ითვლიან. მე მინდა გიამბოთ მხოლოდ ერთ ჯიშზე, რქაწითელზე, რომელსაც ჩვენი ქარხანა ამუშავებს. მას ბადალი არა ჰყავს, როგორც საღვინე ჯიშს, შესანიშნავია, როგორც სუფრის ყურძენი. ვაზი გამძლეა, მტეგაჩი — ულამაზესი. ახეთიდან ის გავრცელდა უკრაინაში, მოლდავეთში, აზერბაიჯანში, სომხეთსა და ევროპის მრავალ ქვეყანაში. ამ ჯიშის ისტორია ვაზის ლერწმებითაა ჩაწნული ქართველი ერის ისტორიაში. ის უნივერსალური ჯიშია და ქართველ ამპელოგრაფთა მიერ დადგენილია, რომ იძლევა კახური, იმერული, ევროპული ტიპის სუფრის (მშრალ) ღვინოებს, პორტვინის ტიპის ღვინოს, საშამპანურე და საკონიაკე მასალას. მისი წვეთა არაა მკურნალობის და ტექნიკის, უმშვენიერესია ბადაგი, თათარა; უტკბილესია ხილად მისართმევედ, უსაჩინოესია ჩამიჩი.

ისტორიულად ქართველი მეომრების საგზალი იყო ჩამიჩი, ჩურჩხელა და ბადაგი, რომლებსაც ქართული ვაზი — რქაწითელი იძლევა. ამპელოგრაფთა აზრით, ვაზის ამ უნივერსალური ჯიშის გამოყვანას უკარანახებდა ჩვენს ხალხს ჩვენი წარსული, გარემო და ეკონომიკა.

მტერი ჩეხდა ქართულ ვაზს.

მტრის განდევნის შემდეგ საჭირო იყო ისეთი ვენახის მოშენება, რომელიც დააკმაყოფილებდა მოთხოვნილებას ღვინოზე, ჩამიჩზე, ბადაგზე, ხილზე. ასეთი ჯიშია სწორედ რქაწითელი. და როცა ანაგაში ამ ჯიშის ყურძენს ვწურავთ, ჩვენ, მეღვინეებს ამ ჯიშის მიმართ (ნუ დაგვწამებთ წარმართობას) ღვთაებრივი მოწიწება და მოკრძალება გვიპყრობს.

შენგელი პოეტით აქეტყველდება, როცა „ტიბაანის“ დახასიათებაზე მიდგება საქმე.

— ქარვა, ჰარმონია, ხავერდი...— პოეტური ლექსიკიდან ნასესხები სიტყვები თუ არ მოიშველია, ისე ქეშმარიტი მეღვინე როგორ დაახასიათებს „ტიბაანს“.

მეღვინეებს ზუსტად აქვთ დადგენილი: „ტიბაანს“ უნდა ჰქონდეს ქარვისებური გამჭვირვალე მუქი ფერი ჩაის ნაყენისა, ღვინის ბუკეტს — ქიშიშის ტონი, გემო — ჰარმონიული, ხავერდოვანი, სრული.

— არ დაგავიწყდეთ! ღვინოში ალკოჰოლი 11,5-12 გრადუსზე

მეტი არ უნდა იყოს, ტიტრული მუკვიანობა — არაუმეტეს 4,5-6 პროცენტი, — უმატებს შენგელი.

— ღვინის პირველადი დაყენებისას მთავარია ყურძნის ჯიშის ხარისხი, — განაგრძობს ოთარი, — ყურძენი უნდა მოიკრიფოს 20-30 პროცენტი შაქრიანობისა და 6-6,5 პროცენტი ტიტრული მუკვიანობის დროს. ყოველივე ამის განსაზღვრა იოლად შეიძლება ლაბორატორიული წესით.

და მესმის ციფრები, ფაქტები, თვისებები... მეღვინეები თავიანთ საყვარელ საქმეზე მიყვებიან.

— ღვინის ზომიერად სმა ლოთობა კი არ არის! იგი სხვაა, ლოთობა — სხვა, შუა უხის დიდი ზღვარი, — ამბობს შენგელი დიმილით.

ხანდახან სოფლის გამოცდილი მოხუცი მეღვინეები შემოივლიან ქარხანაში, ღვინოს დააკაშნიკებენ, ახალგაზრდობას გამოცდილებას გაუზიარებენ.

— მარტო წიგნებიდან გამოხედვა არ ვარგა, ხალხური სიბრძნეც საჭიროა ამ საქმეშიო, — იტყვიან.

ხანდახან ვინმე ენაკვიმატი გამოივლის, წაიკითხავს ლოზუნგს ქარხნის კარებზე გაკრულს, გავადიდოთ ღვინის წარმოებაო — და იტყვის:

— ვერ გამიგია, კაცო! მეღვინეები იძახიან, გავადიდოთ ღვინის წარმოებაო, ექიმები — ღვინო არ დალიოთ, საწამლაგიაო! აბა, რომელ ერთს დაგიჭეროთ?

ოთარი და შენგელი იცინიან:

— არ დაუჭეროთ ექიმებს, ბიძია, მათ ეშმაკობას ვერ ხვდებით? თვითონ უნდა შესვან რაც კი ღვინოა, ამიტომ სხვებს უკრძალავენ. ეგეც არ იყოს, ყველა ღვინო სხვა ღვინოა, ანაგის ღვინო კი სულ სხვაა. ეს ის ღვინოა, ღმერთები რომ სვამდნენ ოლიმპოში! — ხუმრობენ ანაგელი ბიჭები.

№ 12 ტიბაანის მარკის ღვინის დაყენების ტექნოლოგიური პროცესი რთულია და მრავალი სტადიისაგან შედგება, — გვიყვება ოთარი, — საერთოდ სუფრის თეთრი ღვინოების დაყენების წესი ოთხგვარია: ევროპული, ანუ უქაჭოდ დაყენება, კახური, ანუ მთლიან ჭაჭაზე დაყენება, რაჭული, ანუ მთლიან ჭაჭაზე დაყენება (დაუდუღარი), იმერული, ანუ ნაწილ ჭაჭაზე დაყენება.

— ანაგის ქარხანაში ღვინის დაყენების კახური წესის შესახებ მინდა გიამბოთ, — ამბობს შენგელი და გვიჩვენებს ტექნოლოგიური პროცესის მეღვინეობაში მიღებულ კლასიკურ სქემას, რომელშიც ახალგაზრდა მეღვინეებს თავიანთი კორექტივები შეუტანიან ადგილობრივი ფაქტორების გათვალისწინებით.

სუფრის კახური ღვინის დაყენების სამი წესი არსებობს. ანაგელი ახალგაზრდა მეღვინეები ზედმიწევნით იცნობენ ღვინის დაყენების ევროპულ და ქართულ წესებს, მათ შორის სამივე კახურ წესს. მაგრამ ეძებენ მათი გაუმჯობესების გზებს, აყენებენ ცდებს; საქართველოში 40-მდე სამარკო ღვინოა, ისინი 41-ე-ს ეძებენ: ახალი მარკის ღვინო უნდა გამოიყვანონ.

ძიება, ძიება, ძიება! — აი, მათი ლოზუნგი.

ვინც ეძებს ის პოულობს.

— კახური ღვინის ტექნოლოგია, პროფ. ს. ღურმიშიძის აზრით, ამალღებს ვიტამინ „C“-ს აქტივობას და პერსპექტიულს ხდის: სამკურნალო მიზნებისათვის გამოსაყენებლად. — ამბობს ოთარი, — და უმატებს, — რაც მთავარია, კახური ღვინის დაყენების ახალი წესი დიდ ეკონომიურ ეფექტს იძლევა, რადგან საგრძნობლად ამცირებს დაძველების პროცესს.

ანაგელ მეღვინეებს — ოთარსა და შენგელს, — აქვთ ფასეულობათა სწორი კრიტიკული გაანალიზებისა და ორიგინალური გზების ძიების ნიქი.

შენგელი და ოთარი მუშაობენ ახალი მარკის ღვინის შესაქმნელად, რასაც განაპირობებს ყურძნის ჯიში, მისი ბიოქიმიური თვისებები, რთველის დაწყების დრო, ღვინის ტექნოლოგია. მთავარი ის კი არ არის, არსებული ღვინოებისაგან განსხვავებული ღვინო გამოიყვანო. მთავარია, მას ჰქონდეს სამეურნეო მნიშვნელობა. იაფი დაჯდეს, არსებულ სამარკო ღვინოებზე უკეთესი თვისებები ჰქონდეს. ეს სიტყვაა, საქმითაც ანაგელი მეღვინეები ემსახურებიან ქართული ღვინის შეუბღალავ სახელსა და ღირსებას, როგორც თავიანთი საქმის ნამდვილი პოეტები.

მათი გამარჯვებისა იყო!..

გორკის თქმისა არ იყოს, ეს ადამიანები მზეს ამწყვდევენ კი-ქაში. მათი წყალობით ჩვენ მზეს ვსვამთ.

სიღნაღი-თბილისი

ლამაზი დასტაქარი...

(ჰიპოკრატეს ფიცი)

გარე კახეთში იმ დღეს დიდი ზეიმი იდგა.

პატარძელში უკრაინელ მწერლებს შეხვედრა მოუწყვეს. პატარა გოგონა ლექსს კითხულობდა ლეონიძის წყაროსთან გამართულ საღამოზე.

— შენ უთუოდ მგოსანი გამოხვალ, — უთხრა ერთმა პოეტმა გოგონას.

— არა, მე მარო ქურხული ვიქნები, — თქვა გოგონამ.

უცნაურ პასუხზე ყველას გაგვეცინა.

— ვინ არის მარო ქურხული?

ახლა მან შემოგვხედა გაკვირვებით და გაიცინა.

— როგორ, ძია, თქვენ მარო ქურხულს არ იცნობთ?

მარო ქურხული ექიმია. მან სიცოცხლე შეუნარჩუნა თურმე ამ გოგონას დედას.

...და, განა მარტო პატარძელში იცნობენ მას პატარები? მანავში, გიორგიწმინდაში, ნინოწმინდაში, საგარეჯოში... სადაც კი გაუვლია მარო ქურხულს და ექიმის მადლიანი ხელით სიკეთე, სიცოცხლის იმედი დაუთესია, ყველგან სიყვარულით ახსენებენ მას.

...კახეთში ყველაფერი პოეზიით სუნთქავს. ყოველი ნაციხარი და ნათუქვარი უკვდავყოფილია სიტყვაკაზმული შაირით, ლეგენდით.

საგარეჯოს რქადაგრებილი ზვრები და ბარაქიანი პურის ყანები, ივრის ლურჯი იები, ველთა ხანძარი — წითელი ყუაჩოები, კახეთის სივრცეებივით ლალი კახური სიმღერები, ყველაფერი აღვიძებს ადამიანში პოეტსა და მხატვარს... მარო ამ სამყაროში გაიზარდა... მსახიობი და სახალხო მომღერალი ქურხულიც მამამისის მკვიდრი ბიძა იყო... მაგრამ ამ სამყაროდან გამოსული მარო ქვეცნობიერად დარჩა პოეტად, მისი ნამღვილი მოწოდება მედიცინა გახდა.

და, აი, უკვე ოცდაორი წელიწადია მარო ქურხული საგარეჯოში მუშაობს ექიმად. უყურებ ანკეტას და არ გჯერა... თვითონ ექიმი ოცდაორი წლის ქალიშვილს ჰგავს...

ივრის ხეობაში საოცარი გაზაფხული იცის. ამბობენ, მხატვრები ბუნებაში ჩვეულებრივ ადამიანებზე ათასჯერ მეტ ფერებს არჩევენო. მაგრამ კახელ გუთნისდედას მაინც თავისებური მადლიანი თვალი და ბუნების ხილვის საოცარი ჯადო აქვს.

კახეთის გაზაფხული ასეთი ხილვის საოცარი ნიქის წყალობით უმშვენიერეს ქალს შეაღარა გლენმა მოშაირემ.

როდესაც საგარეჯოში, დავით ქურხულის ოჯახში, თებერვლის ერთ მშვენიერ დღეს თოფმა იქექა და მამას ქალიშვილის დაბადება ახარეს, მეზობელმა გლენმა ლამაზი სიმღერა თქვა: დავით ქურხულს გაზაფხულის ტყუპის ცალი ქალიშვილი შეეძინაო.

ლეგენდა იმასაც ამბობს, რომ გაზაფხულზე მხოლოდ ლამაზები იბადებიანო. ყველაფერი ბედნიერად აუხდა მარო ქურხულს: სილამაზეც დაჰყვა და გაზაფხულივით სიცოცხლის სინონიმი გახდა მისი სახელი. ის ექიმია და სიცოცხლეს იცავენ მისი ნაზი ხელები... ორმოცდაათნი წლის ქალს, ორი შვილის დედას, მეუღლეს,

დიასახლისს, ახალგაზრდა ქალიშვილის იერი დაჰკრავს.

ხუმრობით იტყვიან საგარეჯოში: — მარომ, როგორც ეტყობა, მიაგნო მარადიულ ახალგაზრდობის საიდუმლოს, მაგრამ არავის უმხელსო...

ის გაზაფხულის დამდეგი განუმეორებელი იყო იორზე. მარო და საბჭოთა საქართველო ერთ დღეს იხდიან დაბადების დღეს — 25 თებერვალს. ასეთ ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულ ქალიშვილს, მიწის ღიმილში შობილს, ბედის ღიმილიც არ დაჰკლებია და იგი სამყაროში შემოდის როგორც კახეთის გაზაფხულის, ქართველი დედის, პირველი თაობის საბჭოთა ქალიშვილის განსახიერება. მარო ქურხული თავისი საუკუნის, თავისი თაობის შვილია. მისი თაობა კი სამამულო ომის მრისხანე დღეებში იწყებს ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლას... მათი შრომაც ისევე სჭირდებოდა მამულს, როგორც ამ თაობის გუთნისდღის, პოეტის, ინჟინრის ნაოფლარი.

ერთმა ჟურნალისტმა სცადა შეელამაზებინა მარო ქურხულის ცხოვრების ეპიზოდები. ნარკვევში აღწერა ახალი წლის ღამე, ლხინი ქურხულ-დარბაისელის ოჯახში, როცა მთელი ჯალაბის თავკაცი, ინჟინერი ივანე დარბაისელი ძველი კახური წესით მამაპაპურ სადღეგრძელოს წარმოთქვამდა. ოჯახის მემკვიდრე, მომავალი ინჟინერი მალხაზ დარბაისელი და დედის იმედი — დარეჯან დარბაისელი, მეცბრე კლასელი ბაბთებიანი გოგონა ოჯახის მეგობრებთან და სტუმრებთან ერთად ხარობდნენ ახალი წლის დადგომით. სიხარულს პატარა ჩრდილიც ახლდა, შინ არ იყო მარო ქურხული — ოჯახის სითბო, დედა და მეუღლე, ის ამ დროს როგორც თეთრხალათიანი კეთილი ფერია თავს დასტრიალებდა ავადმყოფს...

ახალ წელს ექიმი ავადმყოფის ლოგინთან შეხვდა.

ასე შექმნა ჟურნალისტმა ხელოვნური სიტუაცია; მაგრამ ჟურნალისტის ფანტაზიაზე უფრო მდიდარი აღმოჩნდა ამ ქართველი ექიმი ქალის ცხოვრება. ის ნამდვილად შინ არ იყო ახალ წელს. დადიოდა კარდაკარ, თითქოს თოვლის ბაბუას მიყვებოდა ფერია და იმედს არიგებდა. იმედი ავადმყოფისათვის ყველაზე დიდი წამალია.

აკი ამბობენ მთელ გარე კახეთში:

— მარო ქურხულმა წყალიც რომ გამოგიწეროს, ისიც მოგარჩენსო... ასე დაიმსახურა ქურხულმა ნდობა, რომელმაც ხალხში გაიდგა ფესვი. — თუ აღამიანი გიყვარს, თუ არაფერი აღამიანური უტყბო არ არის შენთვის, თამამად შეგიძლია იყო ექიმი, მაგრამ თუ შენს პიროვნებაში პირადი, ეგოისტური ძლევეს შენი თანამედრო-

ვისადმი პატივისცემასა და სიყვარულს, თუ შენში გრძნობ „ნარცისს“, — შენ არა ხარ მოქალაქეობრივად მომწიფებული იმისათვის, რომ ატარო ყველაზე ჰუმანური პროფესიის — ექიმის საპატიო სახელიო, — იტყვის მარო ქურხული.

— მკურნალი ექიმი! — ამ სიტყვებს ისე წარმოთქვამს იგი, როგორც შეყვარებული ქალიშვილი თავისი ოცნების მშეკბაბუცის სახელს. ეს სახელი ჰიპოკრატეს ფიციითაა განმტკიცებული.

— მკურნალი ექიმი! — დიახ, ეს ის ადამიანია, რომელიც ძილს გაიტეხს და ავადმყოფის ლოგინთან ღამეს გაათევეს სიკვდილთან ქიდილში, ის ადამიანია, რომელიც შემოდის ყოველ ოჯახში როგორც იმედი, როგორც სინათლე.

ბევრს აკლებს თავის თავს, მაგრამ ბევრს გასცემს.

აკი უთქვამს სულმნათ შოთას, „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“.

ამ ცხოვრებისეული სიბრძნის ჭეშმარიტი განსახიერებაა მარო ქურხულის ცხოვრება.

— ექიმის პროფესიას რაღაც საერთო აქვს აქტიორულ ხელოვნებასთან, — ამბობს მარო და ილიმება...

თუ ავადმყოფის ტკივილი არ გტკივა, თუ მან ძვალ-რბილში არ დაგიარა, სულიერი და ფიზიკური ტკივილები არ მოგაყენა, არ ხარ მკურნალი, ხოლო თუ იგრძენი მისი ტკივილი, ეს უკვე ექიმის ნიჭია. შეიძლება შენ თვითონ იყო ავად, მაგრამ უფლება არა გაქვს, ავადმყოფს არ გაუღიმო, არ უეჭიმო.

ექიმის ღიმილი ავადმყოფის იმედი. აქ სჭირდება ექიმს აქტიორული ხელოვნება, გარდასახვის უნარი. რაც უფრო ბუნებრივი იქნება ეს გარდასახვა, მით უფრო მეტი იქნება ეფექტი.

— მედიცინაში, განაგრძობს მარო, — არსებობს ფსიქოთერაპია — სიტყვით მკურნალობა. ავ სიტყვას, ცუდ განწყობილებას შეუძლია წნევა ასწიოს, სისხლის ჩაქცევა გამოიწვიოს.

ამიტომ სიტყვა მკურნალიც არის და მსახვრალიც. სიტყვით მკურნალობა იწყება პირველივე ფრაზით. თუ ავადმყოფს განუფანტავ სკეფსისს, უიმედობას, ამით მთელ მის ძალებს აამოძრავებ ჭირთან საბრძოლველად. კარგი სიტყვითა და განწყობილებით მკურნალობა საექიმო საქმის თავი და თავია.

...მარო ფანჯარასთან დგას, გარეთ ღამაზად თოვს... ბარდნის... თოვლივით თეთრი და სუფთაა მაროს ხალათი... მაგრამ თოვლი ცივია, ამ ქათქათა ხალათის ქვეშ კი ადამიანებზე ფიქრით ანთებულა გული სცემს.. ვინ იცის ახლა რაზე ფიქრობს მარო.. ფანჯრის მიწნაში თავის ორეულს ხედავს, ხელის მსუბუქი მოძრაობით თმას ისწორებს და თავის მეს ელაპარაკება.

ასე ჰგონია, ეს მისი ქალიშვილობა დაბრუნებულა და მის პირველ კალარას უყურებს... იცინის მისი ქალიშვილობა, რომლის ხმა გარე კახეთის წყაროების კისკისსა ჰგავს. ცისკრის ჟამის ივრის ჩქერების ფერი ჩაღვრია თვალეზში, სახის კანისათვის კი მწიფე ხორბლისფერი უსესხებიანთ გარე კახეთის ხოდაბუნებს თავისი ასულისათვის...

რა ახლოს დგას ახალგაზრდობა... როგორ უნდა მაროს ხელი გაუწოდოს იმ ანც გოგონას, რომელიც თბილისზე ოცნებობს, ოცნებობს თავის მზეკაბუკზე. რომელსაც ყველაფერი წინა აქვს... ისინი უსიტყვოდ ლაპარაკობენ, მაგრამ მათი დუმლილიც მრავლისმეტყველია.

...და, ახსენდება მაროს...

..ეს იყო მთვარის ავსების ღამეს: ხოხბები ყიოდნენ ივრის ნაპირზე, მწიფდებოდნენ ყანები და სიმწიფეში შედიოდა მაროც... უკვე ხელთ ჰქონდა სიმწიფის მოწმობა — ატესტატი.

უკან დარჩა სკოლის განუმეორებელი წლები. მოგონებები ერთმანეთს ცვლიან... აი, ის ბიჭიც, რომელმაც მერხზე ისარგარკობილ გულს დაუწყო ამოკრა დანით... ისიც თბილისში მიდის: მას ინჟინრობა სურს, მაროს კი ექიმობა. რა კარგია, რომ ის ბიჭი ახლა მისი მეუღლეა, დარბაისელი ვაჟკაცი, ივანე დარბაისელი; ადამიანი, რომელსაც მთელი რაიონი იცნობს და პატივს სცემს ისევე, როგორც მარო ქურხულს.

ახსენდება ქორწილი მაროს.. პირმშო. დედობის პირველი გრძნობა...

გარეთ კი... თოვს ხვავრიელად და ბარაქიანად.

ფანტელელებით ირევიან თავში ფიქრები:

„ნეტავ რას აკეთებს ახლა დარეჯანი, გაკვეთილები თუ მოამზადა? ალბათ, ინგლისურში მეცადინეობს, რა ვუყო, გოგოს მედიცინა არ იტაცებს“...

..მეუღლეს ხომ არ აწუხებს რამე?-

„მალხაზი თუ დაბრუნდა სამსახურიდან? ენაცვალოს დედა, ცოტა სიკეთე ჰქონდა. ახლა როგორ არის ნეტავ?-

„მანაველი ტყუილების დედამ ბევრი სისხლი დაკარგა. ნეტავ როგორაა?“

..პაპა თედო გაუძლებს ინფარქტს?-

„თვრამეტი წლის ბიჭია, უკვე წნევა აქვს. რა ეშველება?!...“

„სამი შვილის დედას კიბოს ნიშნები აღმოაჩნდა, რა ვიღონო?“

და, ასე ნაზი აღნაგობის ექიმ ქალს თავში უტრიალებს ფიქრები არა მარტო ოჯახზე. მთელ საგარეჯოზე...

— ქალბატონო მარო, ჟანგბადის ბალიში! — ისმის თეთრხალა-

თიანი ახალგაზრდა ექთანის ხმა, — მესამე პალატაში ავადმყოფს შეტევები დაეწყო...

მარო ფიქრებიდან ერკვევა, ბოდის იხდის და პალატაში გარბის.

მარო ქურხულზე წერენ გაზეთები, მას ეძღვნება რადიოგადაცემები, ის უყვარს რაიონს... მაგრამ ქურხული მიღწეულით არ კმაყოფილდება; როდესაც ავადმყოფებს და ოჯახს მოუვლის, გვიან დამემდე ჩაუჭდება ახალ სამედიცინო წიგნებს... ათვლიერებს სამედიცინო პერიოდისას, ხშირი კავშირი აქვს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის თერაპიის კათედრასთან.

ერთი გერმანელი თუ ებრაელი მოხუცი, რომელიც ღმერთმა უწყის როგორ მოხვდა საგარეჯოში, იტყოდა: ქალის საქმეა სამი „კ“ — კიუხე — კირხე — კინდერ“ (სამზარეულო-ეკლესია-ბავშვი). როცა სრულიად ახალგაზრდა ექიმმა მარო ქურხულმა ის მოაჩინა, მოხუცმა ქალზე აზრი შეიცვალა და სიყვარულით დალოცა ქურხული: — თქვენ პირველი ქალი ხართ, რომელმაც სამი „კ“-ს ყბადაღებულ თეორიაზე ხელი ამაღებინეთო.

უცხოელი ტურისტები საგარეჯოს პოლიკლინიკის ხშირი სტუმრებია. ერთმა უცხოელმა ნახევრად ხუმრობით თქვა:

— მადამ ქურხულო! მილიონი დოლარი თქვენ მიერ მიგნებულ მარადიული ახალგაზრდობის რეცეპტის ასლისათვის!

— საქართველოს ცის ფერი, ჰაერის სურნელი. წყაროების დენა, მიწის სიკეთე... ამაშია ამ რეცეპტის საიდუმლო, მისტერი... ყოველივე ამაზე კი ქართველმა პოეტმა გალაკტიონ ტაბიძემ თქვა:

— არა ღირს მთელი მსოფლიოს ოქრო ერთ გაქროლებად სამშობლო მხარედ. — მაროს ნაცვლად უპასუხა ერთმა ექიმმა გონებამახვილ უცხოელს.

ერთმა ბრძენმა თქვა:

— ბედნიერების ღირსი ის არის, ვინც ყოველდღე ბედნიერებისათვის იბრძვის.

მარო ქურხული, ეს ნაზი, სათნო ბუნების ადამიანი, ყოველდღე იბრძვის ადამიანის ჯანმრთელობისა და ბედნიერებისათვის და ამით არის თვითონ ბედნიერი.

საგარეჯოში ისევ გაზაფხულია... ხმაურით სკდებიან კვირტები, თეთრად ქათქათებს საავადმყოფოს შენობა, თეთრია ექიმის ხალათი, ისეთი თეთრი, როგორც უმწიკვლო თოვლი ცივგომბორის მთებზე...

დადიან კეთილი ადამიანები იმედისფერ ხალათებში და გაზაფხულის სურნელი მოაქვთ, როგორც მარადიული სიცოცხლის სიმბოლო.

ეს კეთილი ადამიანები არიგებენ კარდაკარ ღიმილს და იმედს, სიცოცხლის რწმენას... ამას მთითხოვს ჰიპოკრატეს ფიცი, ის სიყვარულის ფიცზე უფრო მტკიცეა.

მთელი საგარეჯო მათ დანახვაზე თავს დაბლა ხრის და მადლობით ამბობს:

— იცოცხლეთ, ექიმებო!

ამ ჩვეულებრივ ფრაზაში ყველაფერია ჩაქსოვილი — ალტაცებაც, მადლიერებაც, პატივისცემაც, სიყვარულიც, იმედიც.

ღიახ, აქვთ ექიმებს ერთი ჯადოსნური ფიცი. მას ჰიპოკრატეს ფიცი ჰქვია. ამბობენ, რომ ის ჰანიბალის ფიცზეც მტკიცეაო.

სატანჯოელი ქალიშვილი

ცისკრის ეამს მატარებელმა ენგურის ხიდი გრუხუნით გადაიარა და ნაიალალარი ხარკით მიაბლავლა ბებერ ჯიხას, მიაბლავლა და გაჩერდა.

— უუუ! — უკანვე დაუბრუნა ექო ეამთაბერმა ციხემ.

— სადგური სალხინო! — გაისმა კონდუქტორის ხმა.

ჩამოვდივართ ვაგონიდან ერთი ახალგაზრდა პროზაიკოსი და ჰე. განთიადია. ცივა.

რაყედან აფრენილი წეროები სატანჯოს მთისკენ მიცურავენ. სატანჯოს მთა...

თავში მირტიალებს ორი სიტყვა „სატანჯო“ და „სალხინო“. როგორ იქცა სატანჯო სალხინოდ?

ათადანბაბადან ელოდა ამ დღეს სატანჯოს მთა...

ბევრმა წყალმა ჩაიარა ენგურში...

საუკუნეები მისდევდნენ ს-უკუნეებს!.

და იყო მეხთატება... და ცრემლი...

და იყო სისხლი... და არ იყო ღიმილი არსად.

კოჭრიანმა ხელებმა შეაბარბაცეს მთები. რევოლუციამ ქარიშხლის ფრთებით წაშალა „სატანჯო“ და ხიშტებოთა და წერაქვებით წააწერა მიწას „სალხინო“. მაგრამ მარტო წარწერა არ კპაროდა.

და მოვიდნენ ადამიანები, რომლებმაც სატანჯო სალხინოდ აქციეს.

იპათ შორის, ვინც „სატანჯო“ „სალხინოდ“ აქცია, არის ერთი უბრალო ქალიშვილი.

— ცილა ყოლბაია.

ჩემმა თანამგზავრმა საიდუმლო გამანდო.

ახალგაზრდა პროზაიკოსის ზურაბ ნაყოფიას რომანის „პირველი

სიყვარულის“ ერთ-ერთი გმირი ქალიშვილის პროტოტიპია თურ-
მე... ციალა ყოლბაია.

ეს ციალამ არ იცის. იქნებ პირველად ახლა წაიკითხოს.

გზა სადგურიდან კუბურხინჯში ჩაის პლანტაციებზე გადის.

ახალგათენებულია, „ლიუს“ რომ ეტყვიან სამეგრელოში. ახალ-
გაზრდა ჩაის მკრეფავ ქალიშვილს ვუახლოვდებით, ადრე რომ შევ-
ნიშნეთ მატარებლის ფანჯრიდან. დილის ნისლში კავკასიონის მთე-
ბის ფონზე ჩაის მკრეფავი ქალიშვილის სილუეტი მომხიბვლეულია.

„აღამიანი შრომაშია მშვენიერი“ — გორკი გამახსენდა. ვუახ-
ლოვდებით ქალიშვილს.

ციალა ყოლბაიაა.

ცისკრის ვარსკვლავთან ერთად იღვიძებს ეს ქალიშვილი და ჩა-
ის ბუჩქებს თავს დაჰხარის, სანამ ჯიხას ქონგურებზე არ ჩამოჯდება
საეახშმოდ მთვარე.

— დილა მშვიდობისა!.. — გადმოიღვარა რეპროდუქტორიდან
დიქტორის ხავერდოვანი ხმა.

ჯიხას თავზე ვარდისფერი დილა ილიმება, მშვიდობის დილა.

აღმოხდა მზე და ოქროს ჯილა თავზე დაადგა ჯიხას.

ჩაის ბუჩქებზე ნამის პატარა წვეთებმა ვეებერთელა მზე არე-
ლეს. უნებლიედ გავიფიქრე, ვით ნამის წვეთები დიდ მზეს, ასე ცი-
ალას თვალებიც გამოასხივებენ დიდ სიხარულს დიდი შრომისა და
ბედნიერებისა.

ნიაეს მოჰქონდა დიქტორის ხმა:

— გუშინ გალის რაიონის სოფელ კუბურხინჯის სტალინის სა-
ხელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიემ ყრილობის დელეგატ-
მა ციალა ყოლბაიამ წინასაყრილობო სოციალისტური შეჯიბრებით
დაკისრი ვალდებულება გადაჰარბებით შეასრულა. ნახევარ ჰექტარ
პლანტაციაზე მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 9 ტონა „მწვანე
ოქრო“.

— ვაშაა! — ხმაურით ჩაიარა მატარებელმა.

— გუ-გუ-გუშიინ! — დაუდასტურა დიქტორს ენგურის-
გალმიდან ქალაქის კომბინატის მიღებმა.

ჯიხამ თითქოს ენგურის ხეობაში გადაისროლა ნისლის ყაბაღ-
ხი და ცერებზე შედგა. სათოფურები. თითქოს წარსულს თვალე-
ბია. იქიდან თითქოს მამა-პაპანი იმზირებიან. ციალას უყურებენ.
ქალიშვილობას და მანდილს უქებენ.

— ენგურს გაღმა-გამოღმა ყველა ზეიმობს შენს გამარჯვებას!

— ვეუბნებით ციალას.

ქალიშვილი მორცხვობს.

ნაზი ფოთლებით სავსე კალათას ცლის და გრძელსა და მოქნილ

თითებს ელვის სისწრაფით ათამაშებს ჩაის ბუჩქებზე, როგორც პიანისტი კლავიშებზე.

ჩაის კრეფასაც სკირდება თავისი „დო-რე-მი-ფა-სოლ“, თავისი „სანოტო ანბანი“. თუ გნებავთ. მეექვსე გრძნობაც — ინტუიცია. თუ ძალიან ნაზი დუყი მოკრიფე, მცენარეს ავნებ, თუ დააგვიანე და ფოთოლი გაუხეშდა — ხარისხს. ქართული ჩაი კი ხარისხით განაუქ-პულა მსოფლიოში და მისი მარკა არ უნდა შეიბღალოს. ჩაის კრეფა — ოსტატობაა. ამ ოსტატობის საიდუმლოებას შესანიშნავად ფლობს ციალა ყოლბაია.

მწვანე დუყებით ივსება კალათა...

ვემშვიდობებით ციალას, სანამ სავახშმოდ ჭიხაზე შემოჯდება მთვარე.

ჭუბურხინჯიდან გალამდე ორიოდ ნაბიჯია. კომკავშირის რაიკომში შევიარე. აქაც ციალა დამხვდა, ციალა არდაშეღია, რაიონის კაბუკებისა და ქალიშვილების მეთაური, ლელასებური შემართების ქალიშვილი. ვსაუბრობთ ციალა ყოლბაიაზე.

— ყოლბაიას გამოცდილება ის ძვირფასი განძია, რომელიც რაიონის მეჩაიე ახალგაზრდობას უნდა გადაეცეთ, — მეუბნება კომკავშირის რაიკომის მდივანი, — ზმირად ხედება ციალა რაიონის მეჩაიე ახალგაზრდობას, უზიარებს გამოცდილებას.

ციალა არდაშეღია ფილოლოგია და საუბარშიც ეტყობა მხატვრული აზროვნება.

— ამას წინათ. — მეუბნება ის, — გაზეთში ვნახე საქართველოს კომპარტიის ყრილობის დელეგატების ი. ნონეშვილისა და ც. ყოლბაიას პორტრეტები. ორი მხატვარი, მე ასე ვიტყვოდი, ერთი კალმით ხატავს საქართველოს, მეორე გამრჯე მკლავით — მშობლიურ სოფელს.

ცოტა ხანს დუმს ციალა. მერე უმატებს:

— გახსოვთ, მწყემსმა ყაზბეგმა როგორ გააკვირვა უცხოელები ფრანგულით? მალე შეიძლება უცხოელმა გაიკვირვოს მეჩაიის ინგლისური. ციალა ემზადება ექსტერნად საშუალო სკოლა დაამთავროს და უმაღლესში შევიდეს.

ჭუბურხინჯელს რომ ჰკითხო. როგორა ხარო, — ჭიხასავითო, გეტყვის.

ესე იგი ციხესავითო, გაუტეხლად და მტკიცედ.

ასე ამბობს თითქმის საუკუნის კბილა ჭოჭო ყოლბაიაც.

— რატომ არ უნდა ვიყო ჭიხასავით. სასწაულებს ვხედავ, ბაბუია, კაცი ლამის მზეზე ვაფრინდეს, მიწაზე კი შრომა ისე და-

ფასდა, რომ უბრალო ჩაის მკრეფავი ცირა, ციალაზე ვამბობ ყოლ-
ბაიაზე, ჩემს ბადრშზე, ხელის გულით სატარები გახდა. ეს რა
დროს მოვესწარ, ააშენოს ღმერთმა ჩვენი პარტია და მთავრობა, ბა-
ბუია, — ამბობს კოკო და ყალიონს აბოლებს, ააშენოს ღმერთმა
მშრომელი კაცის დაფასებისათვის.

სოფლის მოხუცებს რომ ჰკითხო, ყველა ჯიხას ხნისაა. კოკო კი
ნამდვილად არის საუკუნის ხნისა. სოფლის „ცოცხალ მატრიანეს“ ეძა-
ხიან. ციალას პაპად არ ერგება, მაგრამ სოფელი პაპას ეძახის და ცი-
ალას პაპა როგორ არ იქნება.

— პავლე ძიგუამ სამურზაყანოს კომუნა რომ შექმნა, — ეუბ-
ნება კოკო ციალას. — კი ამბობდა, მზარეულიც ხელმწიფის ტო-
ლი კაცი გახდებაო, მაგრამ შენისთანა ბალანას საქვეყნო საქმის გა-
დაწყვეტას თუ მიანდობდნენ, ნამდვილად არ მეგონაო.

— კარგი ქალიშვილი დადგა ციალა, — ამბობს პაპა კოკო, —
გვარიც ასახელა და სოფელიც.

ეს ამ ათიოდე წლის წინათ იყო.

მას აქეთ იმდენმა წყალმა ჩაიარა ენგურში, რომ ას გაღოს
ზღვას გაავსებდა და რაც გადარჩებოდა კიდევ ეყოფოდა ერთ ღიდ
მდინარეს შავი ზღვის უძირო ფსკერის ამოსავსებად... ამიტომ
ვიფიქრე. იქნებ საგაზეთო ლაბორინთებში მიმეტოვებინა ერთი ქა-
ლიშვილის ცხოვრების ეს მცირე ქრონიკა. მაგრამ გულმა არ მომი-
თმინა და ერთ დღეს ისევ ვეწვიე კუბურხინჯს. მინდოდა ჩემი ნარ-
კვევის გმირი მენახა. გამეგო მისი ცხოვრების ავ-კარგი. ათი თუ
თორმეტი წელი არც თუ ისე მცირე დროა.

ქალიშვილი სოფელში არ დამხვდა.

სანტ-ანჯელოს ანუ სათანჯოს კოშკზე ავედი და თვალი გადავავ-
ლე კოლხეთის ულამაზეს სანახებს.

...ძველი სატანჯოდან სალხინოს სადგურისკენ მიმავალს ერთი
მოხუცი შევომხვდა. ანაზღად ციალას ამბავი ვკითხე. მან ჩვეელი
კოლხური ჰქვევრმეტყველებით დამატყვევა და ბოლოს დაუმატა:

— აბა რა გითხრა, ციალას რამდენი მწვანე ოქრო აქვს მოკრე-
ფილი? ენგური რომ გიგანტურ ჩაიდანში აადულო, მთელ მდინარეს
სურნელოვან ჩაიდ აქცევს მარტო ციალას მიერ მოკრეფილი ჩაი.
რას იტყვიტ. ხომ შეგვიძლია, ციალას იმედით. მთელი საბჭოთა კავ-
შირი დავპატიყთოთ კიქა ჩაიზე? ხოლო ჩვენი სოფლის მეჩაიეებია
ჩაით მთელი შავი ზღვა შეიძლება ჩაის ზღვად ვაქციოთ. ე. მაშინ კი
მთელ მსოფლიოს გავუმასპინძლებოდით. — დაამთავრა მოხუცმა.

მე კოლხ მოხუცს ენა დავულოცე, ციალას — მარჯვენა და ეს
მცირე ქრონიკები წიგნში დავტოვე...

ივრისის წყაროები

თვალწარმტაცი გზა ჯერ ერისწყლის საოცარი სიმშვენიერის ხეობას მისდევს, ბერე უფრო და უფრო მალღდება სამურზაყანოს მთიანეთში. ბუნების პირველქმნილი სილამაზე თვალს აჯადოებს.

ამ მხარის ჯერ კიდევ უცნობ მღვიმეებსა და გამოქვაბულებში. სადაც პირველყოფილ ადამიანს უცხოვრია, დღესაც თვლემს მითოსისა და ზღაპრების სამყაროს მშვენიერება... ათასში ერთხელ თუ მოაღწევდა აქ გზადაკარგული მონადირისა და მწყემსის შეძახილი ან დაჭრილი შვლის ბლავილი...

მარადიული პირველყოფილი ბუნების მღუმარების მეუფება უკიდუგანო იყო. მრავლისმეტყველი მღუმარებით ღუმდნენ აქ მთები...

მაგრამ მოვიდნენ ტყისმკრელები, მერე ენგურჰესის მშენებლები და სამურზაყანოს მთიანეთში მოიტანეს ინდუსტრიული ცხოვრების გულისძგერა...

სამურზაყანოს მთიანეთის ბჰისკართან გაიქრა და აშენდა ახალი ქალაქი — ჩე-ღალი („თეთრი ღელე“).

ვისაც ჩე-ღალიდან ოქაკესკენ უმგზავრია ცხენით ან მანქანით (დიახ, მწყემსთა საცალფეხო ბილიკები ფართო შარაგზად იქცა. დიდმა ცხოვრებამ გაიარა ამ მთებში და ფართო შარაგზა ნაკვალევად დარჩა!), უდიდეს ესთეტიკურ სიამოვნებას მიანიჭებდა სამურზაყანოს მთიანეთის პეიზაჟები. მთის ლამაზი სანახები არანაკლებ ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებენ ადამიანებს, ვიდრე ბუნების ფერწერული პეიზაჟები მხატვრის ტილოზე ან პოეტის ლექსში.

გზა ოქაკემდე ბუნების მომღერალი გენიალური პოეტის წიგნივით იკითხება...

მახსენდება ბავშვობა. პაპაჩემი ორ ღლეღამეში ადიოდა ცხენით ოქაკეს, დღეს ორიოდე საათში „ვოლგა“ ადის მთის კენწეროზე... აი, ესეც ოქაკე, სამურზაყანოს ბარში ლეგენდად ქცეული კურორტი.

წიწვიანი ხეების მარადიული სამეფო. მუხებისა და ფიჭვების, ნაძვის და წიფლის უმშვენიერესი ტყეები. 1859 მეტრი ზღვის დონიდან. სამთო-კლიმატური კურორტი ოქაკე. რატომღაც ადგილობრივ მცხოვრებლებს უცხოური ტოპონიმი „აერო“ ურჩევნიათ „ოქაკეს“: ამბობენ ეს უფრო კულტურულად ჟღერსო. კაცია და გუნება, მაგრამ თუ სახელს გამოვუცვლიდით, განა არ სჯობდა, მაგალითად, ქართული „სამწყარო“ გვეწოდებინა, ვიდრე ლათინური „აერო“?!

ოქაკეში სამი განთქმული წყარო გადმოჩქედს.

მართალია, უკვდავების წყარო მეზღაპრეთა მოგონილია, მაგრამ თუ ქართველი მეზღაპრე, უფრო სწორად სამურზაყანოელი მეზღა-

პრე უგალობდა უკვდავების წყაროს, მხედველობაში ალბათ სამურ-ზაყანოს მთიანეთის ეს დალოცვილი სამი წყარო ჰქონდა.

მე მომივლია საქართველოს მთიანეთი, და ევროპაში, იტალიაში, საფრანგეთში, გერმანიაში. მონტე-კარლოში, ავსტრიაში თუ ამერიკაში არა ერთი მთის წყარო დამილევია, მაგრამ ჩემი სახლის ფანჯარაში ალანძული მთის მკერდიდან გადმონაყურის ეს სამი წყარო ყველაზე ცივი და ყველაზე გემრიელი მეჩვენა დედამიწის ზურგზე.

რა ჯაღო აქვს მაინც ოქაკეს მთებში მორაკრაკე ამ სამ ანკარა წყაროს, მშობლიურ მიწას და ჰაერს.

ერთ სამურზაყანოელ მოხუცს ვკითხე: — რა ჰქვია მეთქი ამ წყაროებს?

— გამიგონია, ჩემი პაპისაგან, აი, ამ წყაროს — მოხუცმა ხელი ხშირი მუხნარისკენ გაიშვირა, იქ რკოთა შორის მღეროდა თავის მარადიულ სიმღერას წყარო, — ეგრისის მეფის წყარო ჰქვია. მას დღეს სამეგრელოს წყაროსაც ეძახიან.

ის წყარო მართლაც სამეფო წყაროა: ლამაზი, ცივი და ანკარა.

— ეგრისის მეფის? — გამიკვირდა მე, — საიდან სადაო, ნუთუ ძველი ეგრისის სახელი ჯერ კიდევ ჰქვიათ წყაროებს?

— ეგ რა გასაკვირია, — მითხრა ერთმა მოხუცმა, — როცა აქეთ მოდიოდით, თქვენ ენგურის ხიდს გადმოივლიდით, თუ დააკვირდით ენგურს რა ჰქვია აფხაზურად?

— „ეგრი?“ — ვთქვი მე და მხოლოდ ახლა მივაქციე ყურადღება. რომ ეს „ეგრი“ იგივე „ეგრისია“.

— აი, სწორედ ეგრისის მეფის წყაროა ეს წყარო. ეგრისის სახელი ამ წყარომ კი არა, როგორც ხედავთ, მდინარე ენგურმაც შემოინახა აფხაზურში.

— ეგ კიდევ არაფერი, — სიტყვა ჩამოართვა მეორე მოხუცმა, — ოქაკეს უბიდან ოხაჩქუცს მთებს იქით მოჩანს მთელი მთიანეთი, რომელსაც ეგრისის მთაგრეხილი ეწოდება...

— სამურზაყანოს ბარშიც ვიცი ერთი წყარო — ეგრისის მეფის წყაროს ეძახიან. — თქვა ერთმა მოხუცმა და ხელი მდინარე ოკალმახეს ხეობისაკენ გაიშვირა.

მე გამიხარდა, რომ ჩემს მთიანეთში კვლავ ჩქეფს ეგრისის მეფის წყარო.

კი, მაგრამ რატომ ჰქვია ეგრისის მეფის წყარო? ან რომელი მეფის სახელს ატარებს ეს წყარო?

იქნებ გუბაზ მეფისა, რომელიც მემამათიანის ცნობით ლალატო. ვერაგულად მოკლეს ბიზანტიელებმა. ალათია სქოლასტიკოსი წერს. რომ გუბაზ მეფე მთის მწვერვალებს აფარებდა თავს ბიზანტიელთაგან დევნის დროს და იმით იკვებებოდა, რასაც ტყეში იპოვიდა.

— ამდენი ჩვენ კი არა, მწიგნობრებმა არ იციან, — თქვა ერთმა მოხუცმა, — რომელი მეფის სახელს ატარებს ეს წყარო. არ ვიცით.

— თქვენ ამ საქმისა მგონი ყველა მწიგნობარზე მეტი იცით. — ვუთხარი მოხუცებს.

მათ გაიღიმეს. ერთხანს დუმილი ჩამოვარდა.

დუმილი ისევ მე დავარღვიე.

— რატომ ჰქვია ამ მთებს ოჭაკე?

— გამიგონია აქ ცხენსაშენი ჰქონიათო ეგრისის მეფეებს, უფრო გვიან ოდიშისა და სამურზაყანოს მთავრებს. ამ მთებში ისეთ კვიცებს ზრდიდნენ ჰაკი ცხენები, რომ ომში მათ ბადალი არ ჰყავდათ. ამიტომ ჰქვია ოჭაკე თურმე ათადანბაბადან.

ეს მთა, ეს ჰაერი, ეს წყარო და ეს ბალახი მათ უძლეველს ხლდა მტერთან ბრძოლაში. ამ ეგრისულმა ცხენსაშენმა ეგრობაში ნანახი ჯვაროსან რაინდთა ცხენსაშენები გამახსენა. ავსტრიასა და უნგრეთში მინახავს ისინი.

ვინ უწყის რამდენი რაინდი უტარებია ამ მთებში გაზრდილ კვიცებს და ულაყებს... ცნობილია, რომ ხრესილის ომში მიიღეს მონაწილეობა სამურზაყანოელმა რაინდებმა თურქეთის წინააღმდეგ, ეკატერინე ქავკავაძის ლაშქარშიც იბრძოდნენ ისინი ომერ ფაშას ურდოებთან. მე წარმომიდგა ეგრისის მეფეთა შორეული ცხენსაშენები, ცხენებისა და კვიცების რემა... და საუკუნეების მიღმიდან თითქოს მესმოდა და მეძახდა მათი შორეული და ველური კიხვინი... ლაგამს კვნეტავდნენ და საომრად კიხვინებდნენ წითელი და ლურჯა ცხენების რემები...

ათასწლოვან მუხის ძირში მომეჩვენა, თითქოს მეც ეგრისის ლაშქრის წევრი ვარ, ჩაჩქანი დავიხურე. ხმალი ჩავბლუჯე, მაგრამ როცა გამოვერკვიე, ხელში კალამი მეჭირა...

მეც ავიღე და იმ კალმით ეს დავწერე.

იქნებ ჩემს გარდა კიდევ ერთ კაცს მოხვდეს გულზე ეს ძველ-ამბავი და სიამოვნება მიანიჭოს-მეთქი.

...ისე, თუ ოდესმე სამურზაყანოს მთიანეთში მოხვდე, ჩემო მკითხველო, იმედი მაქვს გული გაგიწევს ეგრისის მეფის წყაროებისაკენ...

უკეთეს წყაროებს ვერსად იხილავთ.

უკვდავების წყაროები მოსჩქედს ჩემს მთიანეთში. ენგურპესის კაშხალების ზემოთ...

სამწყარო.

ოტობაია

ჩანგი

უხსოვარ დროში, კოლხურ სოფელში ცხოვრობდა თურმე მწყემსი მზექაბუკი ოტობაია. იმ დროს ჯერ კიდევ არ იცოდნენ რა იყო ქალაქი, მგოსნები ჩანგზე უკრავდნენ და მღეროდნენ.

მწყემსი მზექაბუკის ჩანგს ჯადოსნური ძალა ჰქონია. მისი ჟღერა გვალვაში წვიმას მოიყვანდა თურმე, ავადმყოფს მოარჩენდა, მოხუცს გააკბამებდა, გამხმარ ხეს ააყვავებდა, მკვლელს დანას გაადებინებდა. უდაბნოში ბალახს ამოიყვანდა, გველის ნესტარს შხამს უქარგავდა, მწუხარებას ღიმილად აქცევდა, მათხოჯის ეშმაკს — პირმშვენიერ ქალად, მომაკვდავს უკვდავებას მიანიჭებდა.

ჩანგს ასეთი ძალა იმიტომ ჰქონია, რომ მასზე ჩვეულებრივი სიმების ნაცვლად მზის სიმები ყოფილა გაბმული. მუსიკით მოჯადოებულ მზეს თავისი სხივები უჩუქებია მწყემსისათვის ალტაცების ნაშნად, ჩანგის სიმები თითების შეხებას ვერ იტანდნენ, მხოლოდ მგოსნის სუნთქვა აჟღერებდა მათ თურმე.

ჩანგზე ასხმულ მზის სხივებზე უკრავდა მწყემსი და თავის ოქროსმატყლიან ფარას აძოვებდა ენგურისა და ზღვის ნაპირებზე... როცა ჩანგი ჟღერდა, მგელი და ქურდი ახლოს ვერ გაეკარებოდა ფარას.

სასწაულმოქმედმა ჩანგმა ისე გაათამამა მწყემსი, რომ თავი უძლეველი ეგონა. ერთხელ ოტობაიას ტყეში შეხვედრია ჟინი ანთარი — კოლხთა წარმართული ღვთაება.

— ვინ ხარო, — ჰკითხა თურმე ოტობაიამ.

— სიკვდილზე ძლიერი, — უპასუხია ჟინი ანთარს.

— ჩემზე ძლიერი მაინც არ იქნები, — უთქვანს მზექაბუკს. დანიძლავებულან: პირობად დაუთქვამთ გამარჯვებულად ის ჩაეთვალათ, ვინც გააჩერებდა ენგურის დინებას და ზღვის ლელვას. ბრძანა ჟინი ანთარმა და ენგურის ტალღები გაქვავდნენ, მაგრამ ზღვა მაინც დღლავდა თურმე. ახლა დაუკრა მწყემსმა ჩანგზე და ენგურს ჯერ გაჩერდა და მერე აღმა დაიწყო დინება, ბოლოს ზღვაც დაშომინდა და მოთვინიერებული ლომივით გაწვა მზექაბუკის ფეხებთან.

საშინლად განრისხებულა დამარცხებული ჟინი ანთარი, ადამის ძემ როგორ შესძლოო ჩემი დაძლევა, იშიშვლა თურმე ელვის მახვილი, იქუხა, იკეჭა და, მას აქეთ, სად გაქრა მწყემსი მზექაბუკი, ან მისი ოქროსმატყლიანი ფარა, კაციშვილმა არ იცის. განრისხებულ და გულქვა ღმერთს ჩანგი მდინარეში გადაუგდია და სწორედ ამიტომ ჰგავს თურმე ენგურის შესართავი ჩანგის ბუდეს.

ამ ლეგენდას ღმერთთან მოპაექრე მუსიკოსის შესახებ სამურ-ზაყანოს ყველა მწყემსი გიამბობთ.

იქასაც ამბობენ, ყოველ მთვარიან ღამეს ენგური ერთი წუთით რბოლას ანელებს და თურმე მაშინ ისმის ჩანგის ზღაპრული ჟღერა. ვინ უკრავს? მწყემსი მზეკაბუყი არხევს მზის სიმების. მოვარიან ღამით ზღვიდან ნიავი რომ ქრის, ნიავი კი არ არის, იმ მზეკაბუყ მწყემსის სუნთქვაა თურმე.

ენგურის შესართავი მართლაც მოგვაგონებს ჩანგის ბუდეს. ამაზე მე-17 საუკუნეში არქანჯელო ლამბერტიც კი წერდა, მაგრამ მასზე ორი ათასი წლით ადრე ანტიკური ავტორებაც სწორედ ამიტომ უწოდებდნენ ენგურს ასტალფოსს — რაც „ჩანგს“ ნიშნავს. ენგურის პირას, სწორედ იმ „ჩანგის“ თავზეა გაშენებული სოფელი ოტობაია, რომელიც ლეგენდის თქმით, ღმერთთან მებრძოლი მწყემსის სახელს ატარებს...

მხატვარი

კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაში“ სწერია: სვეტიცხოვლის „ხაჩაჩოებიდან ჩამოვარდა... მეფის მხატვარი ოტობაია“. რომანის მიხედვით ეს ტრაგიკული ბედის ხელოვანი სვეტიცხოვლის მშენებლის კონსტანტინე არსაკიძის თანამედროვეა და თანამდგომი. რომანში ოტობაია საქართველოს მეფის გიორგი I კარის მხატვრადაა ნაგულისხმევი. როგორც ცნობილია, გიორგი I მამა ერთიანი საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III ბედიის ტაძრის აღმამენებლად ითვლება. გეოგრაფიულად დღეს სოფელ ბედიიდან სოფელ ოტობაიამდე სამიოდე ათეული კილომეტრია.

გალის რაიონში (ძველ სამურზაყანოში), სადაც მდებარეობს ორივე სოფელი, გამოგონია ლეგენდა მეფის ხუროთმოძღვარ ფშაურზე, რომელმაც ბედიის ტაძარი ააშენა და მის მეგობარ მხატვარ ოტობაიაზე. აკად. მარი ბროსემ დაადგინა, რომ ბედიის მშენებელს სიმონი ერქვა სახელად. მაშასადამე, ლეგენდისა და ისტორიულ ფაქტის „დაქორწინებით“ ვგებულობთ ბედიის ტაძრის ნახევრადლეგენდარული ხუროთმოძღვრის ვინაობას: სიმონ ფშაური.

ამ მხატვრისა და ხუროთმოძღვრის სახელები დარქმევიათ გალის რაიონის სოფლებს ს. ფშაურს (ბედიის საოფლო საბჭო) და ოტობაიას (ენგურისპირეთი).

ასე ამბობს ლეგენდა.

ასე მოგვითხრობს მეოცე საუკუნის დიდი ქართული რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“.

იქნებ არც არსებობდა მხატვარი ოტობაია. იქნებ ეს ლეგენდის ანონიმი ავტორის ფანტაზიის ნაყოფია, მაგრამ არსებობს მშვენიერი ქართული სოფელი ოტობაია, რომლის სახელი იგავმოუწვედომელ მწერალს დიდი რომანის შექმნის დროს პატარა სამკაულად გამოდგომა...

ტობიას წიგნი

მესამე ლეგენდა სულ სხვას ამბობს.

ძველად, ძნელბედობის ეპოსს, როცა თურქი ასკერების უთვალავი ჯარი შემოესია შავი ზღვისა და ენგურისპირეთს, წინ მაჰმადის გაშლილი დროშა მოჰქონდათ თურმე და ყოველივე ქართულს სპობდნენ: ბედიის ტაძრის წიგნთსაცავის ძველ წიგნებს წვავდნენ კოცონზე და ძარცვავდნენ სამურზაყანოს ციხე-მონასტრებს. მოხუც ბერს ერთ ენგურისპირა სოფელში გაუხიზნავს ბედიის წიგნთსაცავის ქართული ფოლიანტები.

ყველა ისინი მსოფლიო სიტყვაკაზმული მწერლობის დიდი ძეგლის „ძველი აღთქმის“ ფრაგმენტის—„ტობიას წიგნის“ სხვადასხვა ხელნაწერები აღმოჩნდა თურმე. ამიტომ, როცა თურქები გაურეკავთ, ამ სოფლისათვის ოტობაია შეურქმევიათ, ე. ი. ადგილი, სადაც „ტობიას წიგნი“ გადაჩა.

ლეგენდა თანაკლასელზე

ჯადოსნურია ჩემს სოფელზე შეთხზული ლეგენდები, მაგრამ ყველა ამ ლეგენდაზე უფრო ფანტასტიკურია დღევანდელი სინამდვილე.

სოფელი ოტობაია დღეს ჯერ კიდევ ენგურის ნაპირზე მდებარეობს, ხვალ იქ ნაენგურალი იქნება...

ეს არის ენგურპესის ერთი სასწაულთაგანი...

ენგური აღმა წავა... ასეთ საოცრებას მზეჭაბუკ მუსიკოსზე შექმნილ თქმულებაში, ან იმ „ტობიას წიგნში“ თუ ამოიკითხავს კაცი, წინა ლეგენდაში რომ ვახსენეთ.

ამას წინათ მიაძბეს ჩემს სოფელში ერთ ჩემს თანაკლასელზე. რომელმაც გეოგრაფია ცუდად იცოდა. ის ენგურპესზე წასულა ექსკვატორის მუშად და იქ ლეგენდის გმირად ქცეულა. ეს მან წაიყვანა თურმე ენგური აღმა და მისმა შრომამ ახალი საზრუნავი გაუჩინა მთელ მსოფლიოს გეოგრაფებს: დედამიწის ყველა რუკა ერთბაშად არაზუსტი გახდა, ენგური სხვა კალაპოტით წავიდა. ახლა სხედან გეოგრაფები, თავს იმტვრევენ და ხელახლა ხაზავენ თურმე მსოფ-

ლიოს რუკებს. აი რა გააკეთა ერთმა ბიკმა, რომელმაც გეოგრაფია არ იცოდა... მან ცვლილებები შეიტანა მსოფლიო გეოგრაფიაში და თავმდაბლობის გამო, მაინც მუშად და გუთნისდევად დარჩა...

ასეა: ჩემს სოფელში სინამდვილე ლეგენდას ჰგავს და ლეგენდა კიდევ სინამდვილეს.

მესამე ოტობაია

გალის რაიონში ორი დიდი სოფელია — პირველი და მეორე ოტობაია. ისინი ენგურის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობენ ისტორიულ სამურზაყანოში. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

შეიძლება ბევრმა არც იცის, რომ ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიის ერთ უბანსაც ოტობაია ჰქვია. ამ ტოპონიმიკური ერთეულით სახელდებული უბანი ენგურის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს, დაახლოებით ე. წ. „პეტრეს ბორანსა“ და ორსანტიის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის მხარეში.

საინტერესოა როგორ გაჩნდა მესამე ოტობაია ისტორიულ ოდიშში, ენგურს გაღმა („მელენი ოტობაიას“ ეძახიან ფუძე ოტობაიაში ორსანტიის ტერიტორიაზე მდებარე მეშამე ოტობაიას). გამოდის, რომ ისტორიულად არსებობდა ორი სამურზაყანული და ერთი ოდიშიური ოტობაია.

ლეგენდა თოლიზქალარაზე

ამბობენ ძველად ოტობაიაში ცხოვრობდა ერთი ძრისხანე ბატონი ვალურია, რომელიც ტყვეებით ვაჭრობდა. ერთხელ თურქეთის ჰარამხანაში გასაგზავნად დედისერთა მზეთუნახავი გლეხის გოგონას გატაცება მოუწოდებია. შეშინებულ დედას შვილი გულზე მიუკრავს და გაქცეულა ფაცხიდან. მზეთუნახავ თოლიზქალარას და დედამისს მებატონის მოურავი და მცველები გაჰკიდებიათ. გარბოდნენ საწყლები, და ისე ჰკიოდნენ, ამბობენ, ცას ვარსკვლავები სწყდებოდაო; მათი ცოდვით თურმე ქვაც ატირდებოდა, მაგრამ ძრისხანე ბატონის გული ქვაზე უგრძნობელი იყო და მისი ერთგული მოურავი და ავან-ჩავანი ნადირს გაკიდებული მწვევარივით მისდევდა დედა-შვილს. და, აჰა, საცაა უნდა დაწვოდნენ, ენგურის ნაპირებთან. მაგრამ უეცრად მოხდა სასწაული. ენგურმა კალაპოტი იცვალა, ჭერ აღმა იწყა დინება. მერე მოუხვია მარცხნივ და, ჰოი, საკვირველებავ, დედა და შვილი გაღმა ნაპირზე აღმოჩნდნენ, ხოლო მათი მღვერები გამოღმა. ენგური ჩადგა ძრისხანე მღვერებსა და შვლის ფოთრით მოცახცახე მზეთუნახავს შორის.

მართალია, სოფელი შუაზე გაიყო, მაგრამ სამაგიეროდ ენგურმა გადაარჩინა ქალწულის უბიწოება და თავისუფლება. ასე გაჩნდა თურმე მესამე ოტობაია ენგურს გაღმა.

როდესაც ამ თითქმის მივიწყებულ ლეგენდას ჰყვებიან ოტობაიელი მოხუცები, ყოველთვის დასძენენ ხოლმე: ასეა შვილო, ქალის უბიწოება და ნამუსი, ადამიანის თავისუფლება ერთ სოფლად და უფრო ძვირად ფასდებოდა ძველად და ნურც დამდგარა ის დრო, რომ ეს ადამიანური ფასეულობა გაიფუტეს.

შეიძლება ამ ლეგენდაში არეკლილი იყოს ენგურის „მოხეტიალე“ ხასიათი. მისი კალაპოტის ცვლა საუკუნეების მანძილზე, რაც მეცნიერულად დადგენილი ფაქტია.

თოლისქვამი და თუთაშხია

ასეთი ლეგენდაც გამიგონია ენგურისპირეთში.

ძველად თურმე ერთ ოტობაიელ გლეხს მშვენიერი ქალ-ვაჟი ჰყოლია. ვოგოს თოლისქვამი, ხოლო ბიჭს — თუთაშხია რქმევია. სამურზაყანოს ეფემერული მუსულმანური საფაშალიყოს შექმნის დროს ერთ სტამბულელ თუ ტრაპიზონელ თურქს გადაუწყვეტია თოლისქვამის წაგვრა ჰარამხანის მხეველად, ხოლო თუთაშხიას მამულუქად გაყიდვა.

თოლისქვამი და თუთაშხია გაქცეულან, მაგრამ ენგურზე გადასვლა გაუძირვებიათ. თოლისქვამმა ცურვა არ იცოდა თურმე. მაგრამ რამდენადაც მშვენიერი იყო, იმდენად მახვილგონიერიც ყოფილა ოტობაიელი გლეხის მზეთუნახავი. მყისვე ძმის ხანჯლით მოუჭრია თავისი გრძელი, ერთ იმპერიად ღირებული დაგრეხილი ნაწნავები და ენგურზე ბორანის თოკად მოუხმარია, მაგრამ დახე უბედურებას, ქალიშვილის საარაკო ნაწნავები ენგურის მეორე ნაპირს, მთლად ვერ მიწვდა. ცოტა დააკლდა თურმე.

ენგურს შეეცოდა ჭირში მყოფი და-ძმა, თავისი მარცხენა, ორსანტიის ნაპირი უფრო ახლოს მოსწია თურმე, სწორედ იქამდე, სანამ თოლისქვამის ნაწნავები წვდებოდა და და-ძმა მშვიდობით გავიდა მეორე ნაპირზე.

ასე გაჩნდა თურმე მესამე ოტობაია და ბორანი სამურზაყანულ და ოდიშურ ოტობაიებს შორის, რომელიც ორ ნაპირს აერთებს.

მართლაც რომ ქალის თმების სილაპაზვზე შექმნილი ჰიშნია ეს ლეგენდა.

ახალგაზრდა ნიჭიერმა პოეტმა ქალმა ნუნუ კერესელიძემ ლიტერატურულად დამუშავებული ლეგენდების შთაგონებით შექმნა პოეტური ნაწარმოებები „ოტობაია“, რომელიც უკრნალ „ცის-

კარში“ გამოქვეყნდა და შვითხველთა მალალი შეფასება დაიმსახურა.

სიძუვის ბიოგრაფია

მესამე ოტობაია მოხსენიებულია 1870 წლის ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობის აღწერის აქტებში, რომელიც სანკტ-პეტერბურგში სწორედ ასი წლის წინათ გამოიცა — 1872 წ.

ოდიშის ოტობაია არაერთხელ არის ფიქსირებული საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლების ტერიტორიულ-აღმინისტრაციული დაყოფის აქტებში, მათ შორის ბეკდვით ორგანოებში, როგორც ზუგდიდის რაიონის კოკის სასოფლო საბჭოში შემავალი მცირე სოფელი.

ამჟამად ოდიშური ოტობაია, როგორც აღვნიშნეთ, ორსანტიის სასოფლო საბჭოში შედის.

ჩვენი ვალია აღვნიშნოთ, შევისწავლოთ და დალუპვას გადავარჩინოთ მიკროტოპონიმური ერთეულები. მით უმეტეს, რომ ოდიშური ოტობაია, ისევე როგორც სამურზაყანული ორი ოტობაია მითოლოგიის, ბელეტრისტიკის და პოეზიის არაერთგზის ქების საგანი ყოფილა.

საიდან წარმოიშვა ტოპონიმი ოტობაია?

აკად. არნ. ჩიქობავას მიერ ჰანურ-მეგრული ლექსიკის მეცნიერული კვლევის შუქზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს სიტყვა ნაწარმოებია მეგრულ-ჰანური სიტყვიდან — „ტობა“, რაც ტბასაც ნიშნავს (შდრ. „ტობაეარჩხილი“) და ღრმა ადგილსაც. „ო“ წინსართია, „ია“ — ბოლოსართი.

ტბა ოტობაიაში არ არის, მაშასადამე, ოტობაია ღრმა ადგილს ნიშნავს. ეტყობა ეს ენგურის სიღრმის ანარეკლია ამ ტოპონიმში.

ასეთია ამ ოდიშურ სამურზაყანული ტოპონიმის ეტიმოლოგიური წარმოშობის ყვესებები და სათავეები.

და რადგანაც ოტობაიას ეტიმოლოგიური გენეზისი დაკავშირებულია მდინარესთან და წყლის სიღრმესთან, მაშასადამე, ეს ტოპონიმიკური ერთეული იმავე დროს ჰიდრონიმს წარმოადგენს.

სიმბოლურია სიღრმის არსი და მცნება ოტობაიას ტოპონიმ-ჰიდრონიმში. არა მარტო ენგურია ღრმა ოტობაიაში, არამედ აზრის ფილოსოფიურ სიღრმესთანაც გვაქვს საქმე, როდესაც სამურზაყანულ-ოდიშურ ოტობაიად წოდებულ სოფლებზე შექმნილ მითოლოგიურ, პროზაულ თუ პოეტურ ნაწარმოებებს ვეცნობით.

უნივერსიტეტის სახელმძღვანელოა და პარიზის სამეცნიერო შუარნალში

ერთი ლეგენდა ოტობაიაზე პროფ. მ. ჩიქოვანის ქართულ საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოშიც კი შევიდა. (იხ. მ. ჩიქოვანი „ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები“. თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სახელმძღვანელო. თბილისი. 1971 წ. გვ. 293—294).

მალე ეს ლეგენდა პარიზში დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე ერთ სამეცნიერო ჟურნალში. ბოლოს ესპანეთსა და საბერძნეთში ამოჰყო თავი. ასე დაიწყო მისი მოგზაურობა მსოფლიოში. მრავალ ქვეყანას მოედო მწყემს ოტობაიას სალუგენდო ამბავი.

რუსი მწერლის მოთხრობა ოტობაიაზე

ეს. რაც შეეხება ლეგენდებს. ახლა ერთ რეალისტურ მოთხრობაზეც მინდა გვიამბოთ.

რუსი მწერლის ევგენი მარკოვის ნოველა „ხოხბებზე ნადირობა ენგურის პირას“ სოფელ ოტობაიაზე მოგვითხრობს.

ეს მოთხრობა დაიბეჭდა 1930 წელს მოსკოვსა და ლენინგრადში გამოცემულ ევგ. მარკოვის მოთხრობების წიგნში „აფხაზეთის მთებში“. ევგ. მარკოვის დოკუმენტური მოთხრობები ორჯერ გამოიცა ქართულად. მეორე შევსებული გამოცემა მკითხველმა მიიღო 1959 წელს. („საბჭოთა საქართველო“). რუსი მწერლის იმ ნოველის ქართული თარგმანი, რომელიც სოფელ ოტობაიაზე მოგვითხრობს, შესრულებულია მწერალ პოლიო აბრამიას მიერ. ამ მოთხრობების რუსული ტექსტი დასურათებულია მხატვარ პ. ალიარკოვსკის მიერ („ხოხბები ოტობაიის ტყეში“), ქართული ტექსტის გაფორმება მხატვარ ჯ. ყავლაშვილს ეკუთვნის.

ევგ. მარკოვმა ბევრი საინტერესო მხატვრული ნაწარმოები შექმნა. საკმარისია დავასახელოთ ორი სქელტანიანი რომანი „ყვარლის ციხე“ და „შამილის შვილი“.

ევგ. მარკოვმა სახელი გაითქვა აგრეთვე, როგორც საბავშვო მოთხრობების ავტორმა.

„ევგ. მარკოვის მიერ აღწერილი საქართველოს ბუნება, მისი ადამიანები ზოგჯერ დიდოსტატთა კალმის ნამოღვაწარს არ ჩამოუვარდებიან, ხოლო რაც შეეხება ნადირობის სურათების ბუნებრივად გადმოცემას, ე. მარკოვი საუკეთესო მხატვართა შორის უნდა იქნას მოხსენიებული,“ — წერს მისი წიგნის ქართულად გამომცემელი ე. ბურჯანაძე

თვიონ ევგ. მარკოვი წერდა „საქართველო არის ჩემი სამშობლო, აქ გავიზარდე. აქ გავეატარე ჩემი ცხოვრება“.

ამ საუკუნის დამდეგს ე. მარკოვი დამეგობრებია ოტობაიელ კულტურტრეგერს პეტრე ანჩაბაძეს და მისი მოწვევით ხოხბებზე სანადიროდ ცხენით ჩამოსულა სოხუმიდან სამურზაყანოში, კერძოდ. ოტობაიაში. სწორედ ამ მოგზაურობის დროს მიღებული შთაბეჭდილებების ნიადაგზე შეიქმნა გვიან მოთხრობა „ხოხბებზე ნადირობა ენგურის პირას“.

ევგ. მარკოვი ოტობაიას „ხოხბების ელდორადოს“ უწოდებს ამ მოთხრობაში. თუ გავითვალისწინებთ, რომ ელდორადო ოქროს საბადოს სინონიმი, ცხადია რამდენად პოეტური და იმავე დროს მრავლისმეტყველია ეს ეპითეტი.

მწერლის მახვილი თვალით უმზერს ევგ. მარკოვი ამ საუკუნის დამდეგის ოტობაიელთა და გაგიდელთა ცხოვრებას ამ მოთხრობაში. აქი თვიონ ავტორიც შენიშნავს: „იმდენი არ მისროლია, რამდენი დაკვირვებაც მიწარმოებია“.

ევგ. მარკოვი წერს: „გადავწყვიტე წავსულიყავი ოტობაიაში. ზუგდიდის გზით, იქიდან კი უნდა მეელო ზღვის პირით—გუდავასა და გაგიდაზე გავლით. ეს იყო ჩემთვის სრულიად ახალი და საინტერესო გზა“.

რუსი მწერალი თავის მოთხრობაში დაკვირვებული ბელეტრისტის ალლოთი ხატავს ადამიანებს: პეტრე ანჩაბაძეს, მის მეუღლეს ფედოსიას, ოტობაიელ სოფელს გლეხებს, სერაპიონს, გზისპირა ნელუქნეს, ნაბაკეველ სოფლის გზირს ჭურძაყანს და ყველაზე რელიეფურად თავის თავს. მწერალი ხატავს პეიზაჟებს, ნადირობის სურათებს, მის განუყრელ მწვერებს „რაშსა“ და „კოდორს“, ფსიქოლოგიურად მოტივირებულ, რეალისტურ სცენებს.

„ოჩამჩირიდან ოციოდე კილომეტრი გავიარეთ, გაგიდაში ხეტყის სახერხ ჭარხანასთან შევისვენეთ დუქანში“.

„გაგიდის გარშემო გადაშლილი ქაობებისა და კყანტობების ტალახში მთლიანად ამოსვრილი კამეჩები ახლომანლო ტყეებიდან უხარმანარ მორებს მოათრევენ ქარხანაში. წინათ აქ იყო საუკუნოვანი მუხნარი, სადაც ყოველ ნაბიჯზე შეხვდებოდით ირმებს. მე მყავდა მეგობრები, რომლებიც მრავალჯერ ყოფილან აქაურ ტყეებში სანადიროდ და რომლებსაც ეროლი ღლის განმავლობაში ათობი ირემი უნახავთ. მაგრამ მოვიდნენ საქმოსანი ბელგელები, ააგეს ორთქლის ძლიერი ქარხანა, დაიჭირავეს მუშები და რაღაც ათიოდე წლის განმავლობაში ტყე სრულიად გაწმინდეს მუხებისაგან. უხარმანარი მორები დახერხეს, ხორა-ხორა ლამაზად დააწყვეს და საზღვარგარეთ გაზიდეს. მაშინ ქარხნის საყვირისა და ხერხის გამსკვა-

ლავ წივილი პირველად მოეფინა ამ არემარეს. მუშების მიერ მოქ-
რილ საუკუნოვანი მუხები ტოტების ლაწალუწითა და მტკრევა-ხმა-
ურით ეცემოდნენ ძირს, კაკუნობდნენ ნაჯახები, ხმაურობდნენ ბირ-
დაბირი ხერხები. ირმები ყველა სეზონში. ყოველ დღე, დილიდან
საღამომდე განუწყვეტლივ ხვდებოდნენ ადამიანებს. ესროდნენ მათ
ბელგიელი დირექტორები, მათზე სანადიროდ ჩამოდიოდნენ „წარ-
წინებული“ უცხოელები — ვიღაც გერმანელი პრინციები; ირმებს
შეუბრალებლად ხოცავდნენ ქარხნის მცველები და მუშებიც.

ამიტომ ირმებიც ჩქარა გაქრნენ.

მათი ნაწილი გადავიდა ენგურის გაღმა—ანაკლიისა და ფოთის
მიდამოების ქაობიან ტყეებში, ნაწილი კი გაჰყვა ენგურის ნაპირებს
ზემოთ და მთების ფერდობებზე შეფენილ უსიერ ტყეებს შეაფარა
თავი. ჩვენ მიერ აწერილ ადგილებში იმ დროს არც ირემი იყო და
არც მუხის ტყეები. დარჩენილიყო მხოლოდ ქაობი. ტბორი, ჭყანტო-
ბი და კოპიტის ტყე. იმასაც განუკითხავად აჩანაგებდნენ“.

მართლაც, შესანიშნავი და უნიკალურია ევგ. მარკოვისეული
აღწერა გზისა ოტობაია-გაგიდა-გულდავ-ლალიძე-ოჩამჩირე-აძიუ-
ბეა-დრანდა-ტამიში-სოხუმი.

მოთხრობაში, როგორც დავინახეთ, მოიპოვება მოკლე, მაგრამ
სარწმუნო ცნობები მსოფლიო კაპიტალის, კერძოდ ბელგიელ მრე-
წველთა მიერ სამურზაყანოს ზღვისპირეთის, გაგიდა-ოტობაიას მხა-
რეში მუხის ძვირფასი ჯიშის ტყეების გაჩანაგებისა და აოხრების,
ადგილობრივი მუშა-ხელის ექპლოატაციის შესახებ. ეტყობა საუბა-
რი ეხება იმ ხე-ტყის ქარხანას, რომელსაც ადგილობრივი მოსახლე-
ობა დღესაც ინერციით „ფეტერიშ ზავოდს“ ეძახის, კაპიტალისტ
ფეტერის გვარის მიხედვით.

არც მსოფლიო ფეოდალიზმის უკანასკნელ მოჰიკანებს დაუკლი-
ათ თავისი ბინძური ხელი სამურზაყანოს თვალწარმტაცი ზღვისპი-
რეთისათვის. ევგ. მარკოვის ცნობით პირწავარდნილმა ბრაკონიერე-
ბმა გერმანელმა პრინციებმა გაგიდა-ოტობაიას მიდამოებში მე-19 სა-
უკუნეში ამოყლიტეს კავკასიური ირმების ძვირფასი ჯიშები. მწერა-
ლი ევგ. მარკოვი ქეშმარიტი მონადირის ალლოთი წერს ირმების
ჯოგების მიგრაციის შესახებ გაგიდა-ოტობაიის უღრანი ტყეებიდან
ენგურის გაღმა ოდიშის ზღვისპირა ტყეებში და ენგურის აყოლებით
ევრის-სვანეთის ქედებისაკენ.

ევგ. მარკოვის მონადირე „გერმანელი პრინციები“, საფიქრებე-
ლია, რუსეთის იმპერატორის სიძე პრინცი ოლდენბურგელი და მისი
ამალა, ან პრინცის ევროპელი სტუმრები იყვნენ. პრინცი ოლდენბურ-
გელს ხომ გაგრა-ბიკვინთა აჩუქა „გულმოწყალე“ და „ხელგაშლილ-

მა“ რუსეთის მეფემ. ალბათ გაგრძიდან გაგიდა-ოტობაიის ტყეებში მოდიოდა სანადიროდ გერმანიის სამეფო ტახტის მემკვიდრე.

უცხოელი კაპიტალისტების ბატონობაზე გულდავა-გაგიდა-ოტობაიას შემოგარენში მოგვითხრობს აგრეთვე ივანე გეგია თავისი მეტად საინტერესო გამოუქვეყნებელ ეთნოგრაფიულ წერილებსა და მოგონებებში, რომლებიც საქართველოს სსრ სახალხო განათლების მუზეუმის ფონდებში ინახება. ის ჩანაწერები უნებურად გახსენდება. როცა ევგ მარკოვის მოთხრობას კითხულობ.

ევგ. მარკოვის მოთხრობაში ხოტბის საგანი მაინც ხოზობია — ბუნების ეს უმშვენიერესი ქმნილება.

ავტორის თქმით, ხოხობი ამ საუკუნის დამდეგს შავიზღვისპირეთში უკვე გაეულიტათ ბრაკონიერებსა და მონადირეებს და მხოლოდ ოტობაიაში უნახავს მას „ხოხბები“ ელდორადო.

ევგ. მარკოვი წერს, რომ „300-400 კვ. მეტრზე ათიოდე ხოხობი ავაფრინე“, „ათიოდე ხოხობი ერთად აფრინდა ერთგან“.

დღეს ათი დღე შეიძლება იარო და ერთი ხოხობიც ვერ ნახო ოტობაიას შემოგარენში. განა ეს შინაზრდილი ბრაკონიერების, ბუნების ამ დაუძინებელი მტრების დანაშაული არ არის? ასეთ ადამიანებს განა უყვართ თავისი სოფელი და მშობლიური ბუნება?!

„ნუთუ მართლა ხოხბების სამეფოში მოვხვდით?“ — კითხულობდა სოფელ ოტობაიაში მოსული მწერალი.

ეს სტრიქონი მრავალ მტკივნეულ საკითხს ეხება. ნუთუ სახოხბეთში — ოტობაიაში უნდა ამოწყდეს ხოხობი?! გზა გადაუუკეტოს ბრაკონიერებს. ოტობაია ისევ უნდა იქცეს „ხოხბების ელდორადო“!

ევგ. მარკოვი ნიქიერი მწერლის ალლოთი ხატავს ოტობაიას ზამთრის პეიზაჟებს, ნადირობის სცენებს, ღრუბლიანი დღეების, წვიმანარევი ცისკრისა და სოფლის სევდიანი დაისის განუმეორებელ სურათებს, ოტობაიელთა სტუმართმოყვარეობასა და სტუმრის მიღების ადათ-წესებს.

„ოტობაიაში, — წერს ევგ. მარკოვი, — იმ სიჩუმეში უმაღვე ვიგრძენი სოფლური იდილია და მყუდრო ცხოვრების სიამე“.

აი როგორ ხედავს რუსი მწერალი სამურზაყანოს ზღვისპირა ჯეიზაეებს.

„ისევ გამოჩნდა ზღვა—მშვიდი და წყნარი, კაობზე ჯარად გადაფრინდნენ გარეული იხვები, თოლიები დაფარფატებდნენ ჰაერში, მალლა ნელა მიფრინავდა მორუხო ყანჩა, რომელსაც გრძელი ფეხები უკან გაეშვირა და მკვეთრი, ჩახლეჩილი, საგანგაშო ხმით ყიოდა. მზე სულ დაბლა დაეშვა, საცაა ის უნდა ჩაძირულიყო ჰორიზონტის გადაღმა, წყლის ცივ, უძირო სიღრმეში“. „მზე უკვე ჩავიდა, ზამთ-

რის პირის საღამოს ბინდი ახლოვდებოდა, ცაც ისე მოქურაშდა და ჩამოწვა, რომ ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო კოკისპირული წვიმა“.

ევგ. მარკოვი თავისი მოთხრობის დასასრულს წერს: „არასოდეს დამავიწყდება ის ნადირობა. დიდხანს ვოცნებობდი მენახა ენგურის თვალწარმტაცი სანაპიროები, მისი ამწვანებული მიდამოები, უდაბური ტყეები და ხობებზე ნადირობით გული მეჭყრებინა.

...ეს ოცნება ავისრულე...

ეს იყო ჩემი კაბუკობის დროს. ეს ტკბილი მოგონება ხშირად გამკრავს გულში და ვნატრობ:

ნეტავი, ერთხელ კიდევ მაჩვენა ენგურის წარმტაცი სანაპიროები. ის „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი!“

ევგ. მარკოვი უკვე ცოცხალი აღარ არის, არც ისინი არიან ცოცხალი, ვისმა სილუეტებმაც გაიღლევს იმ მოთხრობაში, მაგრამ კვლავ ცოცხლობს ადანიანური, მონადირული სულის ყვირილი მშვენიერ მოთხრობაში, რომელსაც ჰქვია „ხობებზე ნადირობა ენგურის პირას“.

აკადემიკოსი ს. ჯანაშია ობოგაიაში ნაპოვნი ხელნაწერების შესახებ

ურთულესი არაბესკებივითაა დახლართული ხშირად უმარტივეს მოვლენებთან მისასვლელი გზები;

ხდება ხოლმე, არაფერი დაგიკარგავს და მაინც ეძებ, და იქ იპოვი, სადაც სულ არ ელოდები.

...წარსულ ზაფხულს უნგრეთის ქალაქ ბალატონსეპლაკში, ევროპის ჟურნალისტთა საერთაშორისო სახლში — „ინტერპრესპოტელში“ ვისვენებდი. ერთხელ წიგნთსაცავში მსოფლიოს ხალხთა თეატრალურ ენციკლოპედიებს ვფურცლავდი. და აი, წავაწყდი რამდენიმე ფერად ნახატს — თეატრალური დეკორაციის რეპროდუქციებს. ავტორი გამოჩენილი აფხაზი მხატვარი ა. შარვაშიძე აღმოჩნდა, რომელიც დიდხანს მოღვაწეობდა ევროპის უდიდეს თეატრებში. სხვათა შორის მისი ნამუშევრების გამოფენა არც თუ ისე დიდი ხნის წინათ მოეწყო თბილისში. ბიბლიოთეკარი შანდორი, რომელსაც ა. შარვაშიძის შესახებ გავესაუბრე, მეუბნება, რომ წიგნთსაცავში კიდევ არის ერთი შარვაშიძის წიგნი. ეს აღმოჩნდა სოხუმში გამოცემული ქართული წიგნი: გიორგი შარვაშიძის „ლირიკა, ეპოსი, დრამა“; ის ერთ აფხაზ ჟურნალისტს დაეტოვებინა ნობათად უნგრეთში, მისი გვარი ვერ გავარჩიე. გაკრული ხელით იყო მიწერილი.

ბალატონის ტბაზე, შუა ევროპაში ამ წიგნის წაკითხვამ დიდი სიამოვნება მომანიჭა. მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ აკადემი-

კოს სიმონ ჯანაშიასეულ კომენტარიებში, რომლებიც ამ წიგნს თან ერთვოდა, ბევრი რამ საინტერესო ამოვიკითხე მშობლიური სოფლის ოტობაიას კულტურულ-ისტორიული წარსულიდან.

პარადოქსია, შენს სოფელში დიდი ხნის წინათ ნაპოვნი ხელნაწერების კომენტარები 35 წლის შემდეგ საზღვარგარეთ, ბუდაპეშტში „აღმოაჩინო“.

..უცნაურია, არსად ისე არ გენატრება კაცს მშობლიური სოფელი, როგორც უცხოეთში. სამშობლოს გრძნობის პირველ სიძვგულში შენი მშობლიური სოფელი აქლერებს.

სამშობლო შენი ნააკვნარიოთ, შენი სოფლიოთ იწყება... და ამიტომ ალბათ, სადაც არ უნდა ვყოფილიყავი, მსოფლიოს უდიდეს ქალაქებში: მონრეალსა თუ ვარშავაში, ვენასა თუ კოპენჰაგენში, სოფიასა თუ ბუდაპეშტში, ბუქარესტსა თუ ბერლინში, ოტავასა თუ ბრატისლავაში, ევროპაში თუ ამერიკაში, ყველგან ჩამესმოდა მშობლიური სოფლის კადრების შრიალი. ჩამესმოდა და ათასი უხილავი ნერვით მაერთებდა მასთან.

მსოფლიოს უდიდესი ქალაქების პროსპექტებს. მე ჩემი სოფლის შუკები მირჩეენია. ასეთია ადამიანის ბუნება.

უნგრეთის მიწაზე, ბალატონზე ვწერდი ამ სტრიქონებს და თვალწინ ჩემი სოფლის სანახები მედგა.

არსად ისე არ მენატრება ნშობლიურ სოფელზე წერა, როგორც საზღვარგარეთ ყოფნის დროს.. უცნაური ქრუანტელი და ფიქრია შეზავებული ამ გრძნობაში.

მშობლიური მიწის ყივილია ალბათ ეს...

ვფურცლავდი გიორგი შარვაშიძის ერთტომეულს...

როგორც ცნობილია, გამოჩენილი პოეტის, დრამატურგის, პუბლიცისტის გიორგი შარვაშიძის თხზულებათა ერთტომეული „ლირიკა, ეპოსი, დრამა“ 1946 წელს გამოიცა ქ. სოხუმში აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას რედაქციოთ და დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

წიგნი იხსნება გამოჩენილი ქართველი მეცნიერის აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას კულტურულ-ისტორიული ნარკვევით „გიორგი შარვაშიძე“. მას დართული აქვს იმავე მეცნიერის „შენიშვნები და დამატებანი“. ამ დოკუმენტებში აკად. ს. ჯანაშია არაერთხელ განიხილავს სოფელ ოტობაიაში ნაპოვნ ხელნაწერებს. რომლებმაც შემოინახეს მე-19 ს. ქართული მწერლობის ბევრი საინტერესო ნაწარმოები.

ამ ფაქტს დავეწაფე მშობლიური სოფლის სახელოვანი წარსულის ლაბირინთებში გზის პოვნას მოწყურებული ადამიანის სიხარბით...

აი რას წერს აკად. ს. ჯანაშია: „საყოფადღებო მასალას შეიცავს ერთი მეტად საინტერესო ხელნაწერი კრებული, რომელიც თავის დროზე ჰკუთვნებია პეტრე ანჩაბაძეს (ოტობაია, სამურზაყანო), ხოლო დალუპვას გადაარჩინა და ჩვენ გადმოგვცა თომა ზანთარიაძე. ამ კრებულში, რომელიც ამ საუკუნის დამდეგს არის გადაწერილი და რომელსაც ანჩაბაძისეულს ვუწოდებთ, გ. შარვაშიძის ლექსებს გარდა მოთავსებულია აგრეთვე ლექსები კიდევ ორმოცამდე სხვა, ცნობილი... თუ უცნობი, ან ნაკლებად ცნობილი ავტორისა“.

(გვ. 218).

ვინ არიან ეს ავტორები?

აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია ჩამოთვლის მათ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გრ. აბაშიძე, ვალერიან გუნია, სიმონ გუგუნავა. მამია გურიელი, გრიგოლ დადიან-კოლხიდელი, გრ. ვოლსკი, დუტე ნეგრელი, რუს-იმერელი, სილოვან. უცნობ და ნაკლებად ცნობილ ავტორთა შორის გამოჩენილი მეცნიერი ასახელებს: ბათუ აფაქიძეს, იასონ გელოვანს, ანეტა დადიან-დადეშქელიანისას, ქრისტინე დგებუაძეს, ვინმე თემურს, ვლადიმერ მიქელაძეს, ფაჩუ მხეიძეს, გიორგი ნიკოლაიშვილს, ტელემაკ გურიელს, ზურაბ ფალავას, „შემთხვევით პოეტს ივერიიდან“, ნიკოლოზ ჩარკვიანს, ვლადიმერ ჩიქოვანს და სხვებს, ვისი ნაწარმოებებიც შეტანილი იყო ოტობაიაში ნაპოვნ ანჩაბაძისეულ ხელნაწერში.

რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი თომა (იგივე ხუტა) ზანთარია, რომელმაც, სიმონ ჯანაშიას თქმით, ეს ხელნაწერი გადაარჩინა, და რომელსაც მადლობას უხდის აკადემიკოსი, ოტობაიელია წარმოშობით. ამჟამად ცხოვრობს და მოღვაწეობს ქ. სოხუმში. არც თუ ისე დიდი ხნის წინათ გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთში“ გამოაქვეყნა მეტად საინტერესო ნარკვევი პეტრე ანჩაბაძის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად. პეტრე ანჩაბაძის ოჯახთანაა დაკავშირებული ხსენებული ხელნაწერი, რომელსაც კომენტარებს უკეთებ: აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია.

ვინ იყო პეტრე ანჩაბაძე?

პეტრე მივიწყებული, მაგრამ საკმაოდ კოლორიტული ფიგურაა მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის აფხაზეთ-სამურზაყანოში.

პეტრეს პირადი ნაცნობობა აკავშირებდა ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელთან. უკანასკნელ ხანებში პრესაში გამოჩნდა ცნობა, რომ ოტობაიაში, პეტრეს ოჯახში ინახებოდა ილია ჭავჭავაძის ავტოგრაფები, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს ისინი დაკარგულად ითვლება.

3. ანჩაბაძე იყო ევროპულად განათლებული კაცი, ებრძოდა

ცარიზმის ძალმომრეობას და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფერხულში იყო ჩაბმული. ქართული ეურნალი „თეატრი და ცხოვრება“ აღფრთოვანებით შეხვდა აფხაზეთის დეპუტაციას, რომელმაც კავკასიის მეფისნაცვალს წაუყენა ეროვნული მოთხოვნები: აფხაზეთ-სამურზაყანოში ქართული სკოლების დაარსება, გზების კეთილმოწყობა და ა. შ. ამ დეპუტაციას პ. ანჩაბაძეც ახლდა. ცარიზმის რეაქციის პერიოდში, როცა ქართული ენა და კულტურა ბარბაროსულ დევნას განიცდიდა, აფხაზეთ-სამურზაყანოში ქართული ორიენტაციისათვის, ქართული კულტურის დანერგვისათვის ბრძოლა გამირობას უდრიდა. სამურზაყანოში ამ ბრძოლის ერთ-ერთი მეთაური იყო პეტრე ანჩაბაძე.

სწორედ ამ ოტობაიელი პეტრე ანჩაბაძის ოჯახშია ნაპოვნი ის ხელნაწერები, რომლებმაც შემდეგ აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას ყურადღება მიიპყრო.

როგორც ავტორთა ნუსხიდან ჩანს, ოტობაიაში ნაპოვნი ანჩაბაძისეული ხელნაწერები მე-19 ს. დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ცნობილი და უცნობი ქართველი პოეტების ნაწარმოებთა მთელი ანთოლოგიაა.

ეს კრებული იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ გვიჩვენებს. თუ რამდენად საინტერესო კულტურულ-პოეტური ტრადიციები არსებობდა თურმე ამ საუკუნის დამდეგს სოფელ ოტობაიაში.

ანჩაბაძისეული კრებული მე-20 საუკუნის დასაწყისში მოდური ლიტერატურული სალონების მიბაძვის ნაყოფია და იმის უტყუარი დამამტკიცებელი, რომ პეტრე ანჩაბაძის ლიტერატურული სალონი სოფელში, და არა მარტო სოფელში. ასრულებდა კულტურული ცენტრის როლს. ასეთი ვერსიაც არსებობს, რომ ანჩაბაძისეულ კრებულში შეტანილი ნაწარმოებების ავტორთა ერთი ნაწილი სტუმრად ყოფილა პეტრე ანჩაბაძის ოჯახში.

ს. ოტობაიაში ნაპოვნი ხელნაწერები შესწავლა აკად. ს. ჯანაშიამ მხოლოდ გ. შარვაშიძის შემოკმედეგებისათვის საინტერესო მასალების გამოვლინების თვალსაზრისით. რამდენადაც სხვა ასპექტში ის იმ პერიოდში არ აინტერესებდა სახელოვან მეცნიერს. განსვენებული აკადემიკოსის კომენტარებიდან ჩანს, რომ ანჩაბაძისეული ხელნაწერი შეიცავს ზღვა მასალას. რომელიც უდაოდ საინტერესოა კულტურის მათიანესათვის. ასე რომ, ს. ოტობაიაში ნაპოვნი ხელნაწერები ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლის ღირსია და ეს მომავლის საქმეა.

მაინც რით არის საყურადღებო ანჩაბაძისეული ალბომი გ. შარვაშიძის შემოკმედეგების შესწავლის თვალსაზრისით?

აკად. ს. ჯანაშია შენიშნავს, რომ გ. შარვაშიძის ლირიკული შედევრის — „ვარადას“ ერთ-ერთი ნუსხა, თუმცა ნაკლები ტექსტი, შემონახულია ოტობაიაში ნაპოვნ ზელნაწერში და მკვლევარს ეხმარება ტექსტის საბოლოო ვარიანტის დადგენაში.

ანჩაბაძისეული ხელნაწერის მნიშვნელობა უფრო თვალსაჩინო რომ გახდეს, შეენიშნავთ, რომ გ. შარვაშიძის ლექსი „ვარადა“ დღეს შესულია ქართული და აფხაზური კულტურის ისტორიაში, როგორც თვალსაჩინო მხატვრული ქმნილება. ამ სევდიან ლირიკულ ლექსში მძაფრად უღერს პატრიოტული და სოციალური მოტივები. ლირიკული გმირი ცარიზმის ეპოქაში ამბობს:

„ვანგებავ! ამის ნუ მიწყენ,
ვერ გადავგვარდე ვარადა,
ხანდისხან დავიღუღუნო
მამაპაპური ვარადა“.

ხალხური სიმღერა „ვარადა“ მგოსანმა აქცია ქედუხრელობისა და ეროვნული იდეალებისადმი ერთგულების პოეტურ სიმბოლოდ. რეჟივებულები განწყობილების პოეტურ ფონზე ეს ლექსი აელვარდა როგორც ანთებული ჩირაღდანი ცარიზმის ყიამეთ ღამეში...

გ. შარვაშიძის ამ ქმნილების ხელნაწერმა, რომელიც ს. ოტობაიაში იპოვეს, აკადემიკოს ს. ჯანაშიას ამ პოეტური ქმნილების ტექსტის კრიტიკული რესტავრაციის საშუალება მისცა.

გ. შარვაშიძის ლექსის „ჩემსა ღალამოს, გლახსა საამოა“ ანჩაბაძისეული ნუსხა აკად. ს. ჯანაშიას დაეხმარა ავტორის ფსევდონიმის გაშიფრვაში, აგრეთვე მთელი რიგი ტექსტობრივი განსხვავებულის საკითხავენის ფიქსაცია-დაზუსტებაში. ეს ნაწარმოები მამულის მომავალ გზებზე დაფიქრებისას შექმნილი ხან სევდიანი, ხან იმედიანი ფიქრებით აღსავსე პოეტური ქმნილებაა, არსებული სანამდვილისადმი პროტესტითა და აღთქმის მხარეში გაფრენის სურვილით გამსჭვალული.

ლექსი „ოხ, რომ მცოდნოდა“ იბეჭდება ანჩაბაძისეული კრებულით მიხედვით, სხვა ნუსხები ჩვენთვის უცნობია, — შენიშნავს აკად. ს. ჯანაშია.

„ოხ, რომ მცოდნოდა“ პოეტური ფიქრია ცხოვრებისა და სიყვარულის არსზე, უბრალოდ დაღუპულ სიყმაწვილზე. ცხოვრებით გათელილ ლირიკულ გმირს სიყვარულის დღე გაუთენდა, მაგრამ გვიანია ეს გათენება, „როგორც საფლავზედ მზე აღმოსული“. რას არგებს მკვდარს დაგვიანებული სიყვარულის მზის ამოსვლა?

ასეთი რიტორიკული კითხვა ისმის ლექსის ქვეტექსტში.

ანჩაბაძისეული ხელნაწერის მიხედვით იბეჭდება აგრეთვე ლექსი „შენ იცნობ, ძმაო, ქვეყანას ერთსა“.

გ. შარვაშიძის ამ შესანიშნავ ნაწარმოებს იმდენად საინტერესო შემოქმედებითი ბიოგრაფია გააჩნია, რომ მასზე შეიძლება ცალკე სტატია დაიწეროს.

ეს ლექსი მძაფრი სოციალური ელერადობის ნაწარმოებია. მშობლიურ ქვეყანაზე გულისტკივილით ამბობს პოეტი:

„იქ სინიღისის ციური ალი
ცივსა განსჯასა სულ ჩაუქრია.
იქა მტყუენდება მხოლოდ მართალი,
რომელსაც თავი ძირს დაუხრია.
იქ ისმის ეღერა ბორკილებისა,
იქ ქენესის სული, არ გესმის განა?
ღირსია, ძმავო შებრალებისა,
ის უბედური — ჩემი ქვეყანა“.

ამ ლექსის სრული ნუსხა ანჩაბაძისეულ ხელნაწერთა კრებულში გადარჩა სოფელ ოტობაიაში. აკად. ს. ჯანაშიას ცნობით, მხოლოდ ოტობაიაში გადარჩა გიორგი შარვაშიძის ეროვნული და სოციალური უსამართლობისადმი მძაფრი პროტესტით აღსავსე ლექსი „უსამართლობის ცხოვრების ზღვაში“... ამ ნაწარმოების გამო სახელგანთქმული აკადემიკოსი შენიშნავს: „მოდწეულია მხოლოდ ანჩაბაძისეულ კრებულში. გიორგი შარვაშიძის ეპიტაფიისათვის, ვფიქრობ, შეუძლებელია უკეთესი ტექსტი მოიძებნოს“.

ეს ლექსი ეღერს როგორც მგოსნის ავტოეპიტაფია:

„უსამართლობის, ცხოვრების ზღვაში
შენ გერგო წილად მხოლოდ ტანჯვები.
და იმ ტანჯვების უღმრთობაში
არ შეხებიან შენს კეთილ გულსა,
კაცთა სიავის მწარე ეჭვები,
რომელშიდაცა ძმათ სიყვარულსა.
ენტო უშრეტი, წმინდა ლამპარი.
ის გაანათებს შენსა წარსულსა.
და მით იქნები დაუეიწყარი.
და შენს სიცოცხლეს, უბედოს, მწარეს
ჭეგლი ხსოვნიაა დაეკუნება.
და შენს მოწუენილ, ღარიბ სამარეს
„ურთხევის ცრემლი დაეწვეთება!“

ერთტომეულის გამოცემით ს. ჯანაშიამ ნათელი ძეგლი აუგო გ. შარვაშიძეს. იმ ძეგლს სიმალღე შეჰმატა ოტობაიაში, ანჩაბაძისეულ ხელნაწერებში გადარჩენილმა მგოსნის ქმნილებებმა. ვინ უწყის, პოეტის რამდენი ქმნილება დაიკარგა იმ შავბნელ დროში.

ს. ჭანაშია ამავე წიგნში ეხება ანჩიბადისეულ ხელნაწერთა კრებულში მოთავსებულ კიდევ ერთ ნაწარმოებს, რომელიც მეტად საინტერესოა ისტორიულ-სოციალური შინაარსით. ცნობილი ისტორიკოსის (ნიკო დადიანის) „დიდ ნიკოდ“ ცნობილი (დადიანის) შთამომავალთა მეოთხე თაობაში ვხედავთ რევოლუციის მეხოტბე პოეტ დადიანს! ლექსში „გადარჯულებულ სოციალ-დემოკრატს“ ნაწილობრივ ნათქვამია:

„მტარვალთ სამეფო ინგრევა.
ფრიალებს დროშა წითელი“...
და ა. შ.

ეს ლექსი დაწერილია 1906 წ. 2 ნოემბერს, რუსეთის პირველი რევოლუციის დღეებში. დადიანთა შთამომავალი ასე მიმართავს გადარჯულებულ სოციალ-დემოკრატს, რომელმაც „წითელი დროშა გასცვალა“:

„სტუვედები ბრიყვო, იცოდე
დღე შოდის შურისგებისა,
რაც ხალხსა ადრე შესცოდე,
ასწილად გარდაგხდებისა“.

ეს ლექსი იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ ამოღებულია ანჩაბადისეული კრებულიდან.

ეტყობა, ანჩაბიძეს ტყუილად არ ეძახდნენ „გუთნისდღედად და გლებად დაბადებულ თავადს“.

როგორც ცნობილია, გ. შარვაშიძე თავისი ეპოქის ერთერთი უგანათლებლესი პიროვნება იყო. პოეტი ზედმიწევნით ფლობდა ფრანგულს, ინგლისურს, გერმანულს და ა. შ. რუსულ ენაზე ლექსებსა და პიესებსაც კი წერდა, ფრანგულად კი „სალალობო ლექსებსა“ და ეპიგრამებს, სტატიებს.

ს. ოტობაიაში აღმოჩნდა გ. შარვაშიძის სამი შესანიშნავი რუსული ლექსი, რომლებიც აკად. ს. ჭანაშიას კომენტარებით გამოქვეყნდა 1946 წელს. ეს ლექსებია „Прошло, прошло“..., „Еще c душою“... და „Тоска“.

ლექსი „Прошло, прошло“... ცხოვრების საბედისწერო წარმავლობაზე დაწერილი პოეტური რექვიემია, სევდითა და სიბრძნით აღსავსე. ეს არის მგოსნის ლირიკულ-ფილოსოფიური საუბარი დროსთან, წუთისოფლის საყვედურით აღბეჭდილი.

ცხოვრებას დასტირის პოეტი ლექსში „Тоска“. ჩივის ცხოვრების ცბიერებაზე, სიცრუეზე და ამაოებაზე, ცხოვრების მიზნისა და რწმენის დაკარგვაზე, სულიერ დაღლაზე. პოეტი პერსპექ-

ტივაში ხედავს მამულის სასაფლაოების აჩრდილთა შორის განსვენების გარღვევალობას.

ცარიზმის ეპოქის ბნელი ცხოვრება აირეკლა ამ ლექსებში.

იმედის შუქი ოდნავ ინათებს ლექსში „Еще с детства“... მგოსანი ამ ლექსში ცხოვრების გზას ახლებურად უყურებს. მას ისევ გაუღვივდა ბედნიერების მცირე იმედი, თუმცა კვლავ კუბოს სასურავი ელანდება გზაზე.

ლექსი გამთბარია ჰუმანიზმით, გაუტეხავი ნებისყოფის, რწმენის და სიყვარულის განახლების იდეებით, ძნელი გზის დაძლევის დიდი წყურვილით. ეს ნაწარმოები უზადო პოეტური ტექნიკით, ფორმისა და ღრმა შინაარსის ორგანულად შერწყმით გამოირჩევა.

ცნობილია, რომ აკაკი წერეთელი მაღალ შეფასებას აძლევდა გიორგი შარვაშიძის შემოქმედებას. მის პიესას „კვამლი უცეცხლოდ“ სპეციალური რეცენზიაც უძღვნა დიდმა მგოსანმა. ცნობილია აგრეთვე აკაკის საღაღობო ლექსი გ. შარვაშიძისადმი მიძღვნილი. აკაკი მიმართავს მეგობარ მგოსანს:

„შენი ტბილი საუბარი
მიყვარს, როგორც ქება-ქება“.

ანჩაბაძისეულმა კრებულმა შემოგვინახა გამოჩენილი პოეტისა და დრამატურგის 15 ნაწარმოები. მათ შორის 5 ნაწარმოები მხოლოდ სოფელ ოტობაიაშია გადარჩენილი.

ეს შემთხვევითი არ არის. არსებობს ცნობები, რომ გ. შარვაშიძე რამდენიმეჯერ სტუმრად ყოფილა ოტობაიაში პეტრე ანჩაბაძის ოჯახში და მის ლიტერატურულ სალონში თავისი ნაწარმოებებიც კი წაუკითხავს.

გიორგი შარვაშიძესთან პირადი ნაცნობობა და მეგობრობა აკავშირებდა პეტრე ანჩაბაძეს. ხოლო მწერალი, რომელიც აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მემკვიდრე იყო და უმაღლეს არისტოკრატიულ ოჯახში აღიზარდა, გამოირჩეოდა ღრმა დემოკრატიული ბუნებით. უყვარდა მდაბიო ხალხი. აფხაზეთიდან გასახლებული პოეტი გადაიცვამდა ჩოხა-ახალუხს და ხან ქვეითად ალაბაშით ხელში. ხან ცხენზე ამხედრებული სოფელ-სოფელ, ოჯახ-ოჯახ დაივლიდა მთელ აფხაზეთ-სამურზაყანოს; ხვდებოდა ხალხს, გებულობდა მის კირ-ვარამს და მათ მწარე სვეს ინაწილებდა. ცარიზმისაგან შევიწროებული და დევნილი მგოსანი მწვავედ განიცდიდა ხალხის უმწურო მდგომარეობას. სწორედ მშობელი კუთხისა და ხალხის დაბეჩავებული ცხოვრების გამოძახილია სევდიანი მიწორული ტონი მისი ლექსებისა, რომლებმაც რომანტიზმის ნაკვეთი ევაგილების სურნელება ასდის.

გიორგი შარვაშიძეს დიდ ილია კავკავაძესთან ნაცნობობა და მეგობრობა აკავშირებდა, მისი თანამებრძოლი და თანამდგომი იყო.

საქართველოში ყველა პოეტიაო, თქვა ერთხელ ერთმა დიდმა ბრძენმა და, ალბათ, ამიტომ ბრწყინვალე პოეტების მთელი პლეადებით განებივრებულ საქართველოში ხშირად დაუმსახურებლად დაეწყების ჩრდილში რჩებიან თვალსაჩინო ტალანტებიც. გიორგი შარვაშიძის, ამ უნატიფესი გემოვნების ლირიკოსის, ნიჭიერი ეპიკოსისა და დრამატურგის შემოქმედება უფრო ღრმა და ინტენსიური კვლევის საგანი უნდა გახდეს.

გ. შარვაშიძე ქართველი და აფხაზი ხალხების ძმობის საკურთხეველზე დაიფერფლა. ის რუსთაველის და პუშკინის ენაზე უმღეროდა თავის ხალხს, მთელ საქართველოს. ფრანგულად სწერდა მგზნებარე პუბლიცისტურ წერილებს. ასეთი მრავალმხრივი ტალანტები იშვიათი მოვლენაა ლიტერატურის ისტორიაში.

... ამ ფიქრში ვიყავი გართული და თან ვკითხულობდი ბალატონის ტბაზე გიორგი შარვაშიძის ლექსებსა და პოემას.

რამდენი უცნაურობითა და მოულოდნელობითაა მაინც აღსავსე ცხოვრება?! ცნობები ანჩაბაძისეულ პოეტურ ანთოლოგიაზე ხომ შემეძლო ოტობაიაშიც მეპოვა. ეს გაცილებით იოლი და ბუნებრივი იყო, მაგრამ ბედად ბალატონზე მისმა ხილვამ ერთგვარ რომანტიულ ბურუსში გაახვია ანჩაბაძის ლიტერატურული სალონი და შარვანდედით კიდევ ერთი სხივით გაანათა ჩემს სულში მშობლიური სოფლის ხატება.

ბუდაპეშტი-ოტობაია.

ნიფურია

ნუ ესვრი წარსულს დამბაჩას,
თორემ მომავალი ზარბაზანს დაგბშენს.

აბუთალიზრ

ერთხელ ცნობილი იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერას“ რომ ვკითხულობდი, ჩემი ყურადღება მიიპყრო სხვა იტალიელი მისიონერის ქრისტეფორე კასტელის მიერ მე-17 საუკუნეში შედგენილმა კოლხეთის რუქამ, რომელიც ლამბერტის წიგნს ერთვოდა.* ამ რუქაზე ენგურის მარჯვენა ნაპირას აღნიშნულია ლათინურ ენაზე სოფელი „ციპურია“, და-

* აქვე შევნიშნავთ, რომ ამ რუქის ავტორად ბევრი მკვლევარი ლამბერტის ასახელებს და არა კასტელს (რედ.).

ახლოებით თანამედროვე ნაბაქევსა და თავილონს შორის, უფრო სწორად წამხარის ახლოს, თავილონის შემოგარენში.

ლამბერტის წიგნის ქართულად მთარგმნელი ალ. ჯყონია შენიშნავდა: „წიფურიას სახელით დღეს სამეგრელოში არ იცნობენ არც ადგილს და არც ეკლესიას“. (გვ. 199).

ეს კომენტარი გულისტკივილს და სინანულს იწვევდა, მით უმეტეს, რომ წიფურია იყო ისტორიული სოფელი, რომლის სახელი შორს იყო ცნობილი მე-17 საუკუნის რომსა თუ კონსტანტინეპოლში, უფრო გვიან მთელს ევროპაში, ნისიონერთა და მოგზაურთა ეპისტოლეებისა და წიგნების წყალობით.

მაინც რას წარმოადგენდა წიფურია? რით არის ის საინტერესო. როგორც ისტორიული სოფელი?

წიფურია იყო ქართული და ევროპული ცივილიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა მე-17 საუკუნის ენგურისპირეთში. (ტერმინი „სამურზაყანო“ ჯერ კიდევ არ არსებობდა იმ დროს).

კულტურის კერად წიფურია გადააქცია საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურის, მე-17 საუკუნის ცნობილი კულტურტრეგერის, მწიგნობრის, დიპლომატის, მოგზაურის, პოლიგლოტის, საელჩო მკვერმეტყველების დიდოსტატის, ლექსიკოგრაფის ნიკოფორე ირბახის (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის) ღვაწლმა.

1627-1628 წლებში ნ. ირბახი მეფემ და პოეტმა თეიმურაზ პირველმა ელჩად გააგზავნა იტალიაში. რომში ირბახმა, როგორც ერთ-ერთი მისი ბიოგრაფი და მკვლევარი აღნიშნავს, „ჩამოასხმევინა ქართული მხედრული შრიფტი, ხელი შეუწყო ქართული სტამბის დაარსებას და მონაწილეობა მიიღო ქართულ-იტალიური ლექსიკონის შედგენაში. როგორც ცნობილია, ეს ლექსიკონი, პირველად ქართული წიგნის ისტორიაში, დაიბეჭდა ქ. რომში 1629 წელს სტეფანე პაოლინის მიერ“.

ცნობილია ისიც, რომ მე-17 საუკუნეში რომის ქართულ სტამბაში, რომლის ერთ-ერთი სელისჩამდგმელი იყო ნიკოფორე ირბახი. სულ ხუთი წიგნი დაიბეჭდა ქართული შრიფტის გამოყენებით.

დაუფასებელია მათი ისტორიული მნიშვნელობა. როგორც აღნიშნულია „ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიაში“: „დასავლეთმა ევროპამ, კაცობრიობის ამ ახალმა კულტურულმა ცენტრმა, მათი წყალობით პირველად გაიცნო ქართული ენა“ (გვ. მე-8, ტ. 1, 1629-1920 წ. წ.).

ამ კოლოსალური ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მოძრაობის მამამთავრის ნიკოფორე ირბახის წყალობით გაითქვა სახელი პატარა კოლხურმა ისტორიულმა სოფელმა წიფურიაშიც.

იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ მოხდა ეს, ზედმეტი არ იქნება, მოკლედ თვალი გადავაავლოთ ნიკოფორე ირბახის ბიოგრაფიასა და მოღვაწეობას.

კახელ ფეოდალთა განთქმული გვარის — ჩოლოყაშვილების ერთი გენეალოგიური შტო ირუბაქიძეებად იყო ცნობილი. სწორედ ამ შტოს წარმომადგენელია ნიკოფორე, რომლის სახელი ერისკაცობაში ნიკოლოზი ყოფილა. ამგვარად, ერისკაცი ნიკოლოზ ირუბაქიძე (ჩოლოყაშვილი) ნიკოფორე ირბახი გახდა სასულიერო ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ. (ირბახი ირუბაქიძიდანაა ნაწარმოები იტალიურ ყაიდაზე).

როგორც მისი ბიოგრაფები აღნიშნავენ, ნიკოფორე ირბახი, ჯერ კიდევ ბავშვი, რომში გულგზავნიათ განათლების მისაღებად. იქ თეოლოგიური განათლება მიუღია, ევროპული ენები შეუსწავლავს და 1608 წელს სამშობლოში დაბრუნებულა; კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის სახლათუხუცესი და მრჩეველი გამხდარა. უფრო გვიან თეიმურაზ პირველის კარზე მეფის მოძღვარი და დიპლომატია. დიპლომატიურ სარბიელზე მან დიდი ნიჭი გამოავლინა. მის შესახებ თვით რომის პაპი ურბან მე-8, თითქმის ნახევარი მსოფლიოს მწყემსი, წერდა მეფე თეიმურაზ პირველს: „მამობრივის სიყვარულით მივიღეთ საყვარელი შვილი ნიკოფორე ირბახი, რომელიც თქვენის წერილით მოგვივლინეთ თქვენ მოწმედ და თქვენის პირობის თავდებად“.

სწორედ ამ პერიოდში აწყობს რომში ქართულ სტამბას და ქართული წიგნების გამოცემას ნიკოფორე ირბახი იტალიელ კათოლიკეებთან ერთად.

ქართული წიგნის ისტორიკოსები და ბიბლიოგრაფები აღნიშნავენ, რომ „პირველი წიგნები ქართული ნაბეჭდი ტექსტით — ქართულ-იტალიური ლექსიკონი და ქართული ანბანი ლოცვებითურთ უცხოეთში გამოდის (რომი, 1629 წ.). შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ეს წიგნები კათოლიკური „სარწმუნოების პროპაგანდის“ კოლეგიის მიერ არის გამოცემული. ამ დროს რომის კათოლიკე მისიონერთა შორის ქართული ენის ცოდნის გარკვეული მოთხოვნილება არსებობს“ („ქართული წიგნი“, ტ. I, გვ. მე-8).

რომში ქართული წიგნები გამოდიოდა უპირატესად იმ მისიონერებისათვის, რომლებსაც საქართველოში უნდა დაეარსებინათ კათოლიკური მოძღვრების გავრცელების კერები. ასეთი მისიონი რამდენიმე არსებობდა საქართველოში (მაგ. ქართლში, კერძოდ, გორში, გურიასში და ა. შ.). ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მისიონი იყო წიფურიაში. აქ მოღვაწეობდნენ არქანჯელო ლამბერტი, დონ ჯუზეპე ჯუდიჩი მილანელი, უფრო გვიან ქრისტეფორე კასტელი, დონ

მარი ეოზეფ ზამპი და სხვ., თავისი დროის ევროპულად განათლებულ ადამიანთა მთელი პლეადა, რომლებმაც დაგვიტოვეს მე-17 ს. საქართველოს ისტორიისათვის ფასდაუდებელი პირველხარისხოვანი სამატიანო წყაროები. ჩვენთვის სწორედ ამით არიან ისინი ღირსშესანიშნავი, და არა კათოლიკობის პროპაგანდით. წიფურიაც სწორედ ამ თვალსაზრისით არის საინტერესო.

იტალიელი მისიონერები სრულყოფილად ფლობდნენ არა მარტო ლიტერატურულ ქართულს, არამედ დიალექტებსა და ქართველურ ენებსაც.

ამას მოითხოვდა მათი მისიის მიზნები. ამ ფაქტს ის მნიშვნელობა აქვს, რომ იტალიელ მისიონერებს საშუალება ეძლეოდათ უფრო ღრმად გაცნობოდნენ მე-17 ს. დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიას, ქართველურ ტომთა ყოფა-ცხოვრებას.

წიფურია იყო ადგილი, სადაც ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ საქართველოს ისტორიის უცხოელი მემკვიდრეები. მხედველობაში გვაქვს ისეთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებები. როგორცაა არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერა“ (1664 წ.), „წმინდა კოლხიდა“ („კოლხიდა საკრა“) (1657 წ.) და სხვ.

მართალია, ეს ნაწარმოებები დაიწერა იტალიაში, კერძოდ, ლამბერტის სამშობლო ქალაქ ნეაპოლში, მაგრამ ამ წიგნებში გადმოცემულია წიფურიას მისიონში ათეული წლების მანძილზე დაგროვილი შთაბეჭდილებები. ბუნებრივია. წიფურიაში უნდა დაწერილიყო ამ წიგნის ცალკეული ფრაგმენტებიც.

„სამეგრელოს აღწერა“ თარგმნა ალ. ჰუონიამ, ხოლო „წმინდა კოლხიდა“ ჯერაც არ არის ქართულად თარგმნილი.

წიფურიას მისიონში მოღვაწეობდა იტალიელი მისიონერი დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელიც. ავტორი შესანიშნავი წიგნისა „წერილები საქართველოზე“, რომელიც იტალიურადან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბ. გიორგაძემ და გამოსცა „საბჭოთა საქართველომ“ (1964 წ.).

ამ წიგნში დიდი ადგილი უჭირავს წიფურიას მისიონის აღწერას.

აღსანიშნავია, რომ მისიონერები დონ არქანჯელო ლამბერტი და დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი. რომლებმაც სახელი გაუთქვეს წიფურიას რომში, 1631 წელს ჩამოვიდნენ საქართველოში და ერთხანს გორში მოღვაწეობდნენ. 1933 წელს ახალციხე-გურიის გავლით (ქართლის გზები შეკრული ჰქონდა თეიმურაზ I), ჩამოდიან სამეგრელოში ლევან დადიანთან, ნიკოფორე ირბახის რჩევითა და ხელშეწყობით. სწორედ ირბახის რჩევით გადასცა დადიანმა წიფურიას მისიონი იტალიელებს.

წიფურიას ეკლესიის იტალიელ მისიონერებისთვის გადაცემას თავის დროზე საერთაშორისო რეზონანსი და სკანდალი მოჰყვა. განსაკუთრებით განრისხდა კონსტანტინეპოლის პატრიარქი. იგი ლევან II-ს მთელი სამეგრელოს შეჩვენებით, ანათემაზე გადაცემით ემუქრებოდა. იყო შინაგანი ოპოზიციაც, მაგრამ მთავარმა მეტი პატივი ირბახის თხოვნას დასდო, ყურადღება არავის მიაქცია.

ამგვარად, წიფურიაში შეიქმნა ევროპული ცივილიზაციის პატარა კოლხური კერა ნიკოფორე ირბახის წყალობით. ლევან დადიანმა თავი მოვალედ ჩათვალა ირბახისათვის ეცნობებინა, რომ თხოვნა შეუსრულა და წიფურია რომელიც მისიონერებს გადასცა რეზიდენციად.

წიფურიას მისიონში ლამბერტისა და ჯულიჩე მილანელის გარდა, მოღვაწეობდა ცნობილი იტალიელი მისიონერი, მხატვარი და კარტოგრაფი ქრისტეფორე კასტელი. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ზოგიერთი ცნობებით სწორედ მან შექმნა მე-17 საუკუნეში კოლხეთის რუქა, რომელიც ერთვის არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერას“.

დონ მარი ზოქეფ ზამპმა, რომელიც წიფურიას მისიონის პრეფექტი იყო წლების მანძილზე, დაწერა წიგნი „სამეგრელოს აღწერილობა“, რომელიც თარგმნა და ჯერ კიდევ 1887 წელს „მწყემსში“ დასტამბა ჩვენმა სასიქადულო მწერალმა ვასილ ბარნოვმა.

წიფურიას მისიონის დაწვრილებითი აღწერა დაგვიტოვა მე-17 საუკუნის ცნობილმა მოგზაურმა და გეოგრაფმა ჟან შარდენმა, რომელმაც ინგლისიდან სპარსეთს, შაჰ-აბაზ II-ის კარზე მიმავალმა, თავი შეაფარა წიფურიას რამდენიმე კვირით. ამის შესახებ ის დაწვრილებით მოგვითხრობს თავის წიგნში „მოგზაურობა საქართველოში“. რომელიც პროფ. ა. გაწერელიას საინტერესო წინასიტყვაობით გამოიცა თბილისში.

წიფურიას შესახებ მეტად მდიდარი საინტერესო წყაროები მოჰყავს ცნობილ ქართველ ისტორიკოსს მიხ. თამარაშვილს თავის წიგნში „ისტორია კათალიკობისა ქართველთა შორის“. შეიძლება ითქვას, რომ ეს წიგნი წიფურიას მისიონის ყველაზე სრული მართიანია.

როგორც საისტორიო წყაროებიდან ჩანს, წიფურიას შესახებ უამრავი გამოუქვეყნებელი ცნობები მოიპოვება რომის, ვატიკანის, კონსტანტინეპოლის მუზეუმებში ლათინურ და სხვა ევროპულ ენებზე. მათი მიკვლევა, შესწავლა და გამოქვეყნება მომავლის საქმეა.

უამთასვლას გადაურჩა ქრისტეფორე კასტელის სურათი, რომელსაც „ოდისეისი და მისი ისტორია“ ეწოდება. ეს სცენა ასახულია იმავე ტილოზე, სადაც წიფურიას ორივე ეკლესია ხატია. ამრიგად,

მე-17 საუკუნის ენგურისპირეთში, დღევანდელი თაგილონის შემოგარენში ისმოდა ჰომეროსის ღვთაებრივი პოეტური სიტყვა.

წიფურია მხატვრობის კერაც იყო. მაგალითად, მისიონერი ქრისტეფორე კასტელი მხატვრის შესანიშნავი ნიჭით იყო დაჯილდოებული. ცნობილია მის მიერ შესრულებული უნიკალური ნახატების დიდი სერია, რომლებიც მე-17 საუკუნის საქართველოს ყოფაცხოვრების ამსახველი იშვიათი და უძვირფასესი განძია. კასტელის ყალამს ეკუთვნის წიფურიას ხედების უნიკალური ჩანახატები და აქ მათი მოღვაწეობის ამსახველი სხვადასხვა სცენების შექმნა.

წიფურიაში არსებობდა თურმე სკოლაც. აქ თეატინელი პატრები ქართველ ყმაწვილებს ასწავლიდნენ ლათინურს, ქართულს, თეოლოგიას, საღვთო წიგნებს და ა. შ. შესაძლოა ზატვას და მუსიკასაც. მ. თამარაშვილს თავის წიგნში „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ მოყავს ერთი დოკუმენტი 1655 წლის 16 სექტემბრით დათარიღებული, რომელშიც პატრები აცნობებენ რომს: „ანლა გვყავს 10 წლის ბავშვი, რომელმაც ძალიან კარგად იცის... კითხვა და ზეპირად ლოცვა ქართულად და ლათინურად. საუცხოო საყურებელია, როცა ამბობს.“

ან კიდევ:

„დიდის გულმოდგინებით ვწვრთნით იმ ბავშვებს, რომლებიც ჩვენს ხელთ არიან... მათი ნიჭიერების და გვარად ვასწავლით“.

საინტერესოა ის პედაგოგიური აღლო, რომლითაც წიფურიელი პატრები ასწავლიდნენ ყრმებს, თითოეულის ინდივიდუალური მონაცემების გათვალისწინებით.

წიფურია იყო ცენტრი, საიდანაც კოლხ ბავშვებს აგზავნიდნენ სასწავლებლად იტალიაში. პაპმა რომში დააარსა პროპაგანდის კოლეგია. სადაც კათოლიკურ აღზრდა-განათლებას ღებულობდნენ სხვადასხვა ეროვნების ყმაწვილები. ამ კოლეჯის დაარსებაში აქტიური როლი ითამაშეს წიფურიაში მოღვაწე მისიონერებმა. არსებობს უტყუარი ისტორიული ცნობა, რომ ჭუზეჰე ჯუდიჩე მილანელმა პირადად წაიყვანა სასწავლებლად რომში ორი ქართველი ყმაწვილი ანტონი და ანდრია.

ეს ცნობები პირველად გამოამზეურა ისტორიკოსმა მიხ. თამარაშვილმა, უნდა ვითქვათ, რომ რომს გადაგზავნილი ყმაწვილები თავდაპირველად წიფურიაში გადიოდნენ სათანადო მომზადებას.

წიფურია ცნობილი იყო აგრეთვე როგორც სამედიცინო ცენტრი.

მატიანემ შემოგვინახა რომაელი პატრების ავადმყოფებისა და მათი ავადმყოფობის ისტორიაც კი. „მისიონერებს სახლთან ერთად თავშესაფარი საგლახაკოც ჰქონდათ, სადაც უმწეოდ დარჩენილებს

ინახავდნენ“, წერს მ. თამარაშვილი. ეს არის ერთდროულად მიხრწნილთა სახლი, საავადმყოფო, სასტუმრო, დევნილთა თავშესაფარიც.

წიფურიაში ყოფილა აფთიაქიც. მის. თამარაშვილი აქვეყნებს პატრების მიერ რომში გაგზავნილ ერთ დოკუმენტს, რომელშიც ნათქვამია: „ყველას უსასყიდლოდ ვაძლევთ ყველანაირ წამალს, როდესაც კი მოგვმართავენ, რაც თითქმის ყოველდღიურად ხდება“, ნაშასადამე, პატრები დახელოვნებული ფარმაცევტებიც ყოფილან.

როგორც ვთქვით, წიფურიაში ვითარდებოდა გეოგრაფიული მეცნიერებაც, კარტოგრაფია. ამის ერთ-ერთ საბუთს წარმოადგენს ზოგიერთი ცნობით, კასტელის მიერ შედგენილი სამეგრელოს რუკა. („მთელი კოლხეთის, ანუ დღევანდელი სამეგრელოს აღწერილობა მდინარე კორაქსიდან (კოდორიდან) მოკიდებული ფაზისამდე (რიონამდე)“, (იხ. ჯ. მილანელის „წერილები საქართველოზე“, თბილისი, 1964 წ.). ეს რუკა რამდენიმეჯერ დაიბეჭდა ლათინურად და ქართულად. ამ რუკაზე აღნიშნულია წიფურია თავისი ეკლესიებითა და გალავნით. მართალია, პირდაპირ მითითება იმის შესახებ, რომ ეს რუკა წიფურიაში შეიქმნა, არსად ჩანს, მაგრამ ცნობილია, რომ ქრისტეფორე კასტელი ძირითადად მოღვაწეობდა წიფურიაში, ხოლო რუკის შედგენა ისეთი რთული საქმეა, რომ ის დიდ დროს მოითხოვს. ამიტომ მის ავტორს ის მხოლოდ წიფურიაში შეეძლო შეედგინა კოლხეთის ყველა კუთხეში მოგზაურობის შედეგად.

ცნობილია, რომ კასტელმა საქართველოში 20 წელი დაჰყო.

გასაგებია, რომ წიფურიაში ვითარდებოდა მკვევრმეტყველება, ჭადაგების ხელოვნებაც.

წიფურიაში იყო წიგნსაცავი — ბიბლიოთეკა, აქ ინახებოდა საღვთო წიგნები, რომში გამოცემული ქართულ-იტალიური ლექსიკონი, ქართული „ანბანი-ლოცვანი“, ჰომეროსის პოემები და ა. შ. სწორედ წიფურიას ტიპის მისიონების მოსამარაგებლად გამოიცა რომში პირველი ქართული წიგნები.

წიფურია გვიან შუა საუკუნეების კოლხეთის უმნიშვნელოვანესი კულტურული ცენტრი ყოფილა.

წიფურიაში პალეოგრაფიული მუშაობაც წარმოებდა თურმე. ამ მხრივ საინტერესოა ქრ. კასტელის ეპისტოლე, რომელიც მან რომს გაუგზავნა წიფურიას მისიონში წინამძღვრად ყოფნის დროს. „კავკასიის მთებსა და მის ფერდობებზე მცხოვრებ ერებს (რომელიც აღურიცხველია) არა აქვთ არც წიგნი, არც საკუთარი ანბანი და არც ქართულ ანბანს ხმარობენ“ „...ამ უბედურების მოსასობად ახალი (გამოგონილის) ასოებით დავუწერე წიგნები. ძრიელ მოეწონათ, ამიტომ, იმედია, მალე შეისწავლონ ეს მეცნიერება. შე-

იძლება თქვენც გამოგიგზავნოთ ამ წიგნის ერთი ეგზემპლარი. მათ დავუწერე ახალი ანბანი, მხედრული და ხუცური ასოები ბევრნაირი დავუწერე“. (მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 198).

უნდა ვივარაუდოთ, რომ ქრ. კასტელს ქართული (ხუცური და მხედრული) ანბანის საფუძველზე რომელიღაც კავკასიური ტომისათვის შეუდგენია ახალი ანბანი მე-17 საუკუნეში. ჯერჯერობით ეს ანბანი დაკარგულად ითვლება.

წიფურია სამთავროს ერთ-ერთი განვითარებული სავაჭრო-ეკონომიური ცენტრიც ყოფილა. არქანჯელო ლამბერტი წერს: „ბაზრობა იმართება სამეგრელოში სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა დროს. უმთავრესი ბაზრობა იმართება სექტემბრის პირველ კვირაში წიფურიას ეკლესიასთან, რომელიც ჩვენების ხელშია (ე. ი. რომაელ მისიონერებს — ვ. ა.). ამ ბაზრობაზე ძალიან ბევრი ხალხი იკრება; ზოგჯერ შეიყრება ოცი ათას კაცამდე“. „...მოაქვთ აქ ნაირნაირი შეღებილი და სახეებიანი ტილოები და ირანულ-თურქული შალეები“. „აქვე იყიდება მარილი, ღომი, თაფლი, ცვალი, ძაფი, ადგილობრივი ტილოები, ქვაბები, თითბერი, რკინა, კილობი, ხის ზონჩები, თიხის კურკელი, თოხები, მატყლი, ხარები, ძროხები, ცხვრები, თხები“... „ყველა ამეებს სცვლიან ერთმანეთში, ისე რომ ფული არ ჩანს“, დასძენს ლამბერტი.

წიფურიასთან ვაჭრობა შუასაუკუნეობრივი „იარმარკის“ (გერმ.) ტიპისა ყოფილა.

წიფურია საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრადაც ჩანს. აქ ჩაპოდიოდნენ თურქი ვაჭრები.

წიფურიაში ტექნიკურ სიახლეებსაც ქმნიდნენ. პატრებმა ასე შექმნეს წისქვილი. რომელსაც ცხენი ატრიალებდა.

წიფურია — ჰუმანიზმის ცენტრიც იყო. ტყვეებით ვაჭრობის აკრძალვა მოსთხოვეს პატრებმა სამეგრელოს მთავარს. დევნილ ბერძენთა და გასაყიდად განწირულ ტყვეთა თავშესაფარიც იყო წიფურია თურმე.

ტყვეებით ვაჭრობის აკრძალვის მოთხოვნა იმავე დროს მე-17 ს. კოლხეთში იურიდიულ შეხედულებათა და სამართლებრივი ინსტიტუტების რეფორმასაც მოასწავებდა. მართალია, მიზანს ვერ მიაღწიეს, წიფურიელმა პატრებმა, მაგრამ მათი ბრძოლა, რომელსაც მხარს უჭერდა კოლხეთის მკვიდრი ღარიბი მოსახლეობა, ძირითადად გლახობა, უდავოდ პროგრესულ ხასიათს ატარებდა.

წიფურია ძველი ოდიშის თავისებური დიპლომატიური რეზიდენციაცაა. იგი ლევან II-ის საგარეო საქმეთა კანცელარიას მოგაგონებდათ. აქ იწერებოდა საელჩო წერილები, ეპისტოლეები რო-

მის პაპთან. წიფურია იყო სამეგრელოს სამთავროს ევროპასთან ურთიერთობის კერა. ოსმალეთისაგან შევიწროებული სამეგრელოს მთავრის ევროპულ ორიენტაციას პოლიტიკაში უმთავრესად წიფურიაში მოღვაწე მისიონერების მეშვეობით ეცნობოდა რომი. მისიონერები რეგულარულად აგზავნიდნენ წერილებს რომში საქართველოდან.

ეს წერილები უმთავრესად წიფურიაში უნდა დაწერილიყო.

აქ მოღვაწე პატრები ხშირად ასრულებდნენ სამეგრელოს მთავრის ელჩის როლს რომში. ასე, მაგალითად 1643 წელს პაპ ინოკენტ X-თან ელჩად გაგზავნა დადიანმა დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი. რომელიც, რომიდან უკან მომავალი, კონსტანტინეპოლში შეიპყრეს თურქებმა, ჯაშუშობა დასწამეს, ჩასვეს ციხეში და სამწუხაროდ. იქვე დაიღუპა 1646 წელს. სწორედ ეს ელჩი გახლავთ ზემოხსენებული წიგნის „წერილები საქართველოზე“ ავტორი.

რას წარმოადგენდა სოფელი წიფურია.

ლამბერტი წერს: „წიფურია აშენებულაა ვაკეზე, ენგურის ნაპირად. ეს მონასტერი ახლა ჩვენების ხელშია. (ე. ი. თეატინელების, რომაელი მისიონერების — ვ. ა.). აქ არის ორი ეკლესია ერთად შეერთებული, რომელთაგან ერთი ღვთიშობლის სახელობაზეა და მეორე წმინდა გიორგისაზე“.

აი როგორ აღწერს წიფურიას ცნობილი ევროპელი მოგზაური ჟან შარდენი: „სიპია ორი პატარა ეკლესიის სახელია, ერთი მათგანი მეგრელებისაა და მეორე თეატინებს ეკუთვნის: თეატინებს ეკლესიას დიდი გალავანი აქვს და ამ გალავანში დგას ორივე ეკლესია. გალავანში რამოდენიმე ხის სახლია აშენებული, იმგვარი, როგორსაც აქ აშენებენ: ზოგი ორსართულიანი, ზოგი ერთსართულიანი. თითო ბერს თითო ამისთანა სახლი აქვს სადგომად. ასე რომ ისინი (ალბათ ფაცხები — ვ. ა.) სავსეა მათი მონებით და ორი კომლი გლეხით, რომელნიც მათი ყმანი არიან“ („მოგზაურობა საქართველოში“, გვ. 18).

შარდენის სიპია და ლამბერტის წიფურია ერთადიგივე გეოგრაფიული პუნქტია. სხვათა შორის შარდენის აღნიშნული ნაწარმოების რუსულ გამოცემაში ნახსენებია „სიპურიას“ და არა სიპია ეს ქართული თარგმანის დეფექტია.

ასეთია ზოგადად ის ცნობები, რომლებიც ჩვენ გავვაჩინა ისტორიულ სოფელ წიფურიაზე.

...ერთხელ ჭუბურხინჯ — ოტობაიას გზის გასწვრივ მდებარე ისტორიულ ძეგლების ნაშთებს ვათვალიერებდი და რატომღაც სულ წიფურიაზე ვფიქრობდი.

უსამართლობაა, რომ ისეთი კულტურული ცენტრი, როგორც წიფურია იყო, დავიწყების ბალახმა დაფარა.

თავილონში ადგილობრივ მცხოვრებლებს ვთხოვე ეჩვენებინათ სოფლის ძეგლები. ბევრმა თავილონელმა ახალგაზრდამაც კი იცის, სად მდებარეობდა წიფურია. წამხარის ახლოს, ენგურის ერთი უსახელო ტოტის ნაპირას, ადამიების საშოსახლოს უკან, ხშირ თხილნარებში, მაჩვენეს წიფურაის ეკლესიის ნგრეული ნაშთი... ის ადგილი ზუსტად ემთხვევა ქრისტეფორე კასტელიაელ რეკაზე აღნიშნულ წიფურაის.

ერთ დროს აქ გადიოდა რომსა და კონსტანტინეპოლს მიმავალი გზები, ახლა საცალფეხო ბილიკებიც დაუფარავს დავიწყების ბალახს.

ახალმა საუკუნეებმა ახალი გზები გაკურეს, მაგრამ ისიც ნათქვამია „ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსაო“.

მე მინდა წიფურაის ისტორიულმა წარსულმა ხელში ბარი და წერაქვი ააღებინოს თავილონელებს, ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებლებს და ახალი ბილიკი გაიქრას თავილონის ცენტრიდან წიფურაის ნაფუძვარამდე. ეს სავსებით იოლად შეუძლიათ გააკეთონ თავილონის თავკაცებს თუ კი გულთან ახლოს მიიტანენ ამ წმინდა მამულიშვილურ საქმეს.

ყველა იმ დიდი ჰუმანური ეროვნული საქმეების სათავეში, რომელიც წიფურაიმ ჩაწერა ქაროულ მატთანში, ჩანს ნიკოფორე ირბახის გიგანტური ფიგურა. აპიტომ წიფურია მის მეშორილად უნდა იქცეს!

თავილონის ცენტრში, ან წიფურაის ნაფუძვარებთან, შეიძლება აღიმართოს მემორიალური სვეტი. რომელზედაც ოქროს ასიებით ამოიქრას ნიკოფორე ირბახი-ჩოლოყაშვილის — პირველი ქართული წიგნის რომში დამბეჭდავის გვარ და იმ იტალიელთა სახელები, რომლებმაც შექმნეს საქართველოს ისტორიის მატთანის ღირსასახსოვარი ფურცლები წიფურაისში.

ნ. ირბახი ჯერ კიდევ მე-17 ს. ოდიშში დიდად ყოფილა დაფასებული.

მე-17 ს. ერთ-ერთი მწიგნობარი ასე ახასიათებს ნიკოფორე ირბახს — „ბრძენი, ფილოსოფოსი და რიტორი“.

ირბახს დიდი შტუდია უძღვნა აკად. კ. კეკელიძემ. ბევრმა სხვა მეცნიერმა.

მართლაც რომ გიგანტური ფიგურა იყო ნიკოფორე ირბახი-ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი.

წიფურაის წარსულის შესწავლასა და გამომზეურებაზე ბევრა იშრომეს მხარეთმცოდნეებმა და ისტორიკოსებმა, პედაგოგებმა ბო-

რის არდაშეღიამ, ნოდარ შონიამ და სხვ. ეს პატრიოტული წამოწყება უნდა გაგრძელდეს.

მე-17 ს. საქართველოს ისტორიის სწავლება წიფურია მათი-ნური მასალების გარეშე წარმოუდგენელია.

წიფურია რაიონის ნორჩ მხარეთმცოდნეთა და ისტორიკოსთა, მხატვართა და პოლიგლოტთა, გეოგრაფთა და მოგზაურთა, ლიტერატორთა და ეთნოგრაფთა ყოველწლიური შეკრების ადგილად უნდა იქცეს. კარგი იქნება თუ აქ მოეწყობა მათი შემოქმედებითი ნამუშევრების კითხვა-გარჩევა, წახალისება.

ეს კომკავშირის რაიკომის და განათლების განყოფილების, გალის მუზეუმის ინიციატივაზე იქნება დამოკიდებული.

ბევრი რამ შეუძლიათ ამ მხრივ გააკეთონ თავილონის და სხვა ახლო მდებარე სოფლების სკოლებსა და პედაგოგიურ კოლექტივებს, პარტიულ, კომკავშირულ, პიონერულ ორგანიზაციებს.

ბერლინელ ჟურნალისტთა „ოდისეადა“ გალში

ეს მოხდა რამდენიმე წლის წინათ ბერლინში.

...გვიანი შემოდგომის ერთ წვიმიან დღეს შპრეეს ნისლიან ნაპირებზე გაჩერდა მატარებელი მოსკოვი-ვარშავა-ბერლინი-კოპენჰაგენი, რომელსაც დანიის დედაქალაქში მივყვებოდი. გერმანიის მიწა-წყალზე სიურპრიზი მელოდა: ვაგონი გაფუქდა და გვიან დამემდე შემეძლო მესეირნა ბერლინის ქუჩებსა და მუზეუმებში, თეატრებსა და სამხატვრო გალერეებში...

მე არა ერთხელ ვყოფილვარ ბერლინში და უცნაური გრძნობები მეუფლება ხოლმე, როცა ამ ქალაქის ქუჩებში დავაბიჯებ... მამაჩემის სიცოცხლე შეიწირა მსხვერპლად ისტორიამ, რომ შეიღს აქ თავისუფლად გავლის უფლება მომეპოვებინა. მამამ ვერ ნახა გამარჯვება; მე მამაჩემის თვალებით ვუყურებ ამ გამარჯვებას, უფრო სწორად, მამაჩემი უყურებს მას ჩემი თვალებით.

რეიხსტაგი დღესაც პირქუშად მოსჩანს, კედელს მიღმა, დასავლეთ ბერლინში. რალაც აღრეული და უცნაური გრძნობებით ვუცქერი მას.

რეიხსტაგზე ავიდა ჩემი კარის მეზობელი მელიტონ ქანთარია. ეს იყო სამაგიერო.

ჯვარელმა კაცმა აღმართა აქ დროშა მამაჩემის ნაცვლად, ყველა დაღუპული მეომრის ნაცვლად.

მამინ არ არსებობდა რეიხსტაგზე უფრო თვალსაჩინო ადგი-

ლი, საიდანაც ყველაზე ნათლად შეიძლება მტრის დამარცხების ჩვენება.

ქანთარია სწორედ ამიტომ ავიდა რეიხსტაგზე. ავიდა და არ ჩაიხსულა ძირს...

ამ წუთს, როდესაც მე ბერლინში დავაბიჯებ, შეიძლება ის სადმე ჭვარზენში სახლებს აშენებს ენგურის პირას, მაგრამ იმავე დროს ის აქ, ბერლინში, რეიხსტაგზე დგას მთელი კაცობრიობის გასაოცებლად, მომავალ თაობათა იმედად.

ის რსტორიამ ისეთ სიმბოლურზე აიყვანა, რომ ძირს ვერასოდეს ჩამოვა. ისევე როგორც ის საბჭოთა ჯარისკაცი, ტრეპოვ-პარკში რომ დგას, ბერლინში, ცალ ხელში გადარჩენილი სიცოცხლის სიმბოლოთი — გოგონათი, ცალში კიდევ მშვიდობის მახვილით.

ის ჯარისკაცი ყველა დაღუპული მეომრის ძეგლია. მაშასადამე, მამაჩემის ძეგლიც არის...

ჰო, რა თქმა უნდა, აქ, ბერლინში ყველა დაღუპულ მეომარს უდგას ძეგლი...

ამ ქალაქში ერთნაირად მალაპარაკებს სიყვარული და სიძულვილი. ამ აკვიატებულ გრძნობებს ვერ ვიშორებ, როგორც საკუთარ ლანდს. მე მძულს ის ფაშისტური ბერლინი, მამაჩემის სიცოცხლე რომ შეიწირა, და მიყვარს ის ბერლინი, რომელმაც ძეგლი აუგო მას.

...მე მივაბიჯებ ახალ ბერლინში უნტერ დენ ლინდენზე.. ვკითხულობ თეატრალურ აფიშებს. აგერ ბრეხტის თეატრში — „ბერლინერ ანსამბლე“ გადის „კავკასიური ცარცის წრე“. ამ პიესაში მოქმედება საქართველოში წარმოებს. პერსონაჟებს ქართული გვარები აქვთ. კარგია ახლა ბრეხტის მეულლესთან, დიდ მსახიობთან ჰელენე ვიაგელთან საუბარი ბრეხტზე, მაგრამ არა, დრო არ არის.

მატარებლები არ უცდიან დაგვიანებულ მგზავრებს.

უნტერ დენ ლინდენით მივდივარ ჰუმბოლტის უნივერსიტეტისაკენ. ვიცი, რომ იქ დგას ერთი მუხა, რომელიც ახარებდა ჰაბუკ კონსტანტინე გამსახურდიას, როცა ის ბერლინის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო... მე მინდა ამ მუხის ფოტოების შრიალი ვისმინო...

აგერ მაქსიმ გორკის თეატრის გვერდით, წიგნის მაღაზიაში მოჩანს ცნობილი ავსტრიელი პოეტის, ჰინეს პრემიის ლაურეატის ჰუგო ჰუპერტის წიგნი „ქართული სამოგზაურო კვერთხი“. სამწუხაროდ, მაღაზია დაკეტილია. არა უშავს; ეს ლექსები თითქმის ზეპირად ვიცი, გერმანულადაც და ქართულადაც... მაინც გამიხარდა ამ წიგნთან შეხვედრა ბერლინში, თითქოს ძველ მეგობარს შევხვდი... უნებლიეთ მახსენდება ჰუგო ჰუპერტთან საუბარი ავსტრია-

ში. ზალცკამერგუტის ტბები. რომლებიც საოცრად ჰგვანან რი-
წას...

„შენ კავკასიის ზალცკამერგუტო“, — ალბათ ამიტომაც მიმარ-
თავს ერთ ლექსში რიწას ჰუბერტი.

აგერ წიგნის კიოსკი „კომიშე ოპერთან“. ვათვალთვლებ წიგ-
ნებს. ეს რა არის? გერმანულ წიგნში, რომელიც ხელში ავიღე.
თითქოს თვალი მოგკარ ფრაზას „ჩემი გალელი მეგობრები“...

შეუძლებელია! პალუცინაციაა? არა! ვრწმუნდები, რომ რეა-
ლური ამბავია. წიგნს აწერია „კარლ კოკოშკო. ნასრედინის შვილი-
შვილებთან“.

კი მაგრამ სად ხოჯა ნასრედინი, სად შუა აზია, სად ბერლი-
ნი და სად გალი? ან ვინ არის კოკოშკო?

შუა ევროპაში, ზალცბურგში მინახავს ცნობილი ავსტრიელი
მხატვრის კოკოშკოს ნაწარმოებები, მაგრამ ეს ის არ არის, ეს ეტ-
ყოზა სხვა კოკოშკოა.

წიგნს ვყიდულობ და უკვე ვგრძნობ, მაგვიანდება.

ტაქსი ბერლინის ცენტრიდან მიმაჭროლებს სადგურში. მატა-
რებელში ბერლინიდან კოპენჰაგენამდე ვკითხულობდი კარლ კო-
კოშკოს წიგნს.

„გამარჯობა, კავკასიაე!“ ასე ეწოდება ცნობილი გერმანელი
პუბლიცისტის კარლ კოკოშკოს წიგნის პირველ თავს.

ეს წიგნი ავვიწერს ხუთი გერმანელი ჟურნალისტის მოგზაუ-
რობას მარშრუტით ბერლინი-ვარშავა-მოსკოვი-ვორონეჟი-როსტო-
ვი-კრასნოდარი-სოხუმი-ქუთაისი-თბილისი და შემდეგ ამიერკავკასი-
ის. შუა აზიის რესპუბლიკებისა და ურალის გავლით მათ დაბრუნე-
ბას კვლავ ბერლინში.

გერმანელ პუბლიცისტთა ამ მრავალთვიანი „ოდისეადის“ მი-
ზანი იყო შუა აზიის ხალხთა ცხოვრების შესწავლა.

გერმანელმა ჟურნალისტებმა გზაში ჯაჰყვეს 122 დღე და
გაიარეს 21 ათასი კილომეტრი! მათს მოგზაურობას სავსებით კანონ-
ზომიერად შეიძლება ეწოდოს „ოდისეადა“, თუ მკითხველი მოგვი-
ტევენს ამ მაღალფარდოვან ფრაზას.

ამ დიდი მოგზაურობის დროს გერმანელმა ჟურნალისტებმა
გზად გაიარეს გალის რაიონშიც და წიგნის თითქმის ერთი თავი
მიუძღვნეს აქ მიღებულ შთაბეჭდილებებს, რაც მეტად საინტერე-
სოა, თუნდაც იმიტომ, რომ გალის აღწერა თავიდანვე არ შედიოდა
ნათ ჩანაფიქრში. წიგნის ამ თავს საკმაოდ სენსაციური სახელწო-
დება აქვს „ნიბლ აუფ აინ უნბეჰსაუერ“ („ნადირობა ურჩხულ-
ზე“). სად გალი და სად ურჩხულიო—იტყვის მკითხველი, მაგრამ სა-

ნამ აჰ სათაურის საიდუმლოებას გავშიფრავდეთ, მოკლედ მოგითხრობთ თუ რაზეა ლაპარაკი წიგნის ამ ნაწილში.

ევროპელებისათვის დამახასიათებელი ალტაცებით აღწერს კარლ კოკოშკო საქართველოს შავიზღვისპირეთს, „დედაზღვის უღამაზეს ადგილს“ უწოდებს მას. მოხიბლულია შავი ზღვითა და სუბტროპიკული ფლორით. „გზები ფართოა და ავტოტურისტებისათვის იდეალური“ — წერს გერმანელი ავტორი. კარლ კოკოშკო იმახსოვრებს არა მარტო პეიზაჟებს, არამედ ყურს უგდებს შავი ზღვისპირეთის მკვიდრთა მახვილსიტყვაობასაც. ერთმა ადგილობრივმა ნძლოღმა გზაში უთხრა გერმანელ ჟურნალისტებს: „თუ სოხუმში ჩასვლა გინდათ, თქვენ უნდა გაიაროთ „დედამთილის ენასავეთ“ გრძელ გზაზეო“. ეს ეტყობა რუსული ფრაზეოლოგიური ერთეულის „ტიომჩინ იაზიკის“ კოკოშკოსეული გერმანული კალკია.

სხვაგან კოკოშკო აფხაზური სიტყვის „აფსნის“ ეტიმოლოგიას ჩაჰკირაკიტებს და კმაყოფილების გრძნობით არკვევს. რომ ის „სულის ქვეყანას“ ნიშნავს.

კოკოშკო ხატავს სოხუმის ბუნებას, შემდეგ ჰყვება იმ ეპიზოდებს, გალის რაიონში რომ გადახდათ გერმანელ მოგზაურებს. წინასწარ შეენიშნავთ, რომ გერმანელი ჟურნალისტები მოგზაურობდნენ გიგანტური უნიკალური მანქანა „რობურით“, რომელიც წარმოადგენდა ერთ და იმავე დროს თვლებზე შემდგარ სასტუმროსაც და სასადილოსაც.

სოხუმის შემდეგ ეტაპზე ღამე ჩვენ ეკვალიტების ტყეში წამოგვეწია... წერს კ. კოკოშკო, — ხუთივენი დაღლილნი ვიყავით გრძელი მოგზაურობით, ჩაის ფაბრიკისა და ჩაის ქვეყნის სიკეთეთა დათვალეირებით, ქალაქ გალის შემოგარენში მცხოვრები ოთხმოცდაათი და ასი წლის მოქალაქეებთან შეხვედრით. თან მაგარი და ტკბილი ქართული ღვინოებიც მოგვეკიდა.

წიგნიდან ჩანს, რომ მათ დაათვალეირეს გალი, საფიქრებელია. ქუბურხინჯის ჩაის ფაბრიკა (გარკვევილი არ ჩანს რომელ ფაბრიკაზეა ლაპარაკი — ვ. ა.) და ღამე გაათენეს ენგურისპირა ეკვალიტების ტყეში... სწორედ აქ გადახდა თავს კოკოშკოს „ფათერაკი“, რომელიც მერე სენსაციურ სათაურად იქცა.

კოლხური თქმულებების გავლენის ქვეშ მყოფ კოკოშკოს ეჩვენება, რომ მათ „ბანაკში“ შუალამისას ურჩხული გამოჩნდა. შეშინებული კოკოშკო აღვიძებს ერთ ჟურნალისტს, რომელიც მათ მოსკოვიდან გამოყვა მეგზურად:

— ვალერი! ადექ! ბანაკს რომელიღაც გარეული მხეცი დაეცა!

— რაო?

— არ გესმის? რომელიღაც მტაცებელი მხეცი დაგვეცა-მეთქი!

ვალერის ღრმად სძინავს. კუნაპეტი ღამე მეფობს ირგვლივ. კოკოშკომ თოფი დატენა ორი ვაზნით და ჭიბის ფარნით ეძებს მხეცს, მაგრამ ვერ პოულობს.

მოპეჩვენა?

არა! აგერ არის მხეცი! დაუმიზნა თოფი კოკოშკომ, მაგრამ ვალერის ყვირილმა შეაჩერა:

— არ ესროლო, კარლ! შენი გარეული მხეცი მხოლოდ შინაური ღორია.

— როგორ? ის ისე შავია, როგორც გარეული ღორი! — ეუბნება კოკოშკო.

ამ ხმაურზე „გერმანელთა მთელმა ბანაკმა“ გაიღვიძა. ყველა ადგა. მაგრამ ღორის ნამდვილი საიდუმლო საუზმის დროს გაიხსნა. „მუყაოს ყუთი შემწვარი ფრინველების ხორციითა და მწვადებით სავსე, ჩვენმა ვალელმა მეგობრებმა საგზლად რომ გამოგვატანეს, ცარიელი იყო. იმ უპატრონო ღორს ყველაფერი გადაესანსლა“ — წერს ღიმილით კოკოშკო.

ასე, რომ პურისა და კექსის ნატეხებით ვისაუზმეთ და ჩვენს გზას ვეწიეთ, — დასძენს იუმორით გერმანელი მწერალი.

როცა კოკოშკოს წიგნის სათაურს ვკითხულობდი, ვამბობდი, სად ნასრედიანი და სად გალი? ვალელი კაცი რატომაა ნასრედიანის შვილიშვილი-მეთქი?

თუმცა ვისაც კი იუმორის გრძნობა გააჩნია, უარს არ იტყვის ისეთ გონებაბანჯილ ბაბუაზე, როგორიც ნასრედიანია. ჭერ მეხანუშა, მაგრამ მერე არ გამკვირვებია ღორისადმი კოკოშკოს ეს ინტერესი, როცა დანიის დედაქალაქში კოპენჰაგენში ღორის ძეგლი ვნახე ჩერჩილის ძეგლის ახლოს. ღორს — თავის მარჩენალს ძეგლი აუგო დანიამ თავის დედაქალაქში. ან თვით ჰომეროსის პოემებში განა ცოტა ადგილი უჭირავს ღორების აღწერას? შავმა კოლხურმა ღორმაც გაისეირნა ევროპაში კოკოშკოს წიგნის ფურცლებზე და ბერლინი გააცინა.

მსუბუქი იუმორი ალბათ იმიტომაც დაჰკრავს კოკოშკოს მთელ წიგნს, რომ შიგ ხოჯა ნასრედიანის სულიც ტრიალებს.

კოპენჰაგენიდან კვლავ ბერლინზე გავლით ვბრუნდებოდი სამშობლოში. ამიტომ ბერლინის სადგურში გაჩერდა თუ არა დანიის მატარებელი, ვცადე კარლ კოკოშკოსთან ტელეფონით დაკავშირება. ეს არც თუ ისე ძნელია, რადგანაც აქ, როგორც ევროპის სხვა დედაქალაქებში, ტელეფონ-ავტომატის ბევრ ჭიხურში დევს ბერლინის მცხოვრებთა ტელეფონების წიგნი, თითქმის ათასგვერდიანი ვეებერთელა ტომი. მაგრამ აქეთობისას ბერლინში, სამწუხაროდ,

ჩვენი ვაგონი არ გაფუჭებულა, და ამიტომ კარლ კოკოშკოსთან საუბარი მეტად მოკლე გამოდგა.

გალის გაგონებაზე მან გულიანად გაიცინა, კვლავ ღორის ურჩხულად ჩოჩენენების სცენა გაიხსენა და დაუმატა:

— ჩემთვის მარად დაუფიწყარია ეს ეგზოტიკური მხარე და მისი მშვენიერი ადამიანები. გალულებს გადაეცით, რომ ჩემი სახით მათ საიმედო მეგობარი ჰყავთ ბერლინში... მეტად ვწუხვარ, რომ პირველ გალელ კაცს, რომელიც ბერლინში ჩამოვიდა, ისიც ჟურნალისტს, ვერ ვხვდები, როგორც ადამიანი მოითხოვს. თუ კიდევ იქნებით ბერლინში, აუცილებლად მნახეთ.

გულმა ვერ მომიტოვინა და დაუმატე:

-- ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის ეზოში, ბატონო კარლ, დგას მუხა. რომელიც მეტად უყვარდა სიკაბუკეში დიდ ქართველ მწერალს კონსტანტინე გამსახურდიას, რომელმაც თავის რომანებში უკვდავყო გალი და რომელიც თბილისში გალის ქუჩაზე ცხოვრობს...

--- მე ვიცნობ კონსტანტინე გამსახურდიას და მის რომანებს. მე ის ვნახე თბილისში და გალის ქუჩაზეც გავიარე... ჩვენ ვამაყობთ, რომ ის ბერლინის უნივერსიტეტში აღიზარდა...

...უცნაური სიამაყის გრძნობით ვტოვებდი ბერლინს და მატარებელი კოპენჰაგენი-ბერლინი-ვარშავა-მოსკოვი მოქროდა სამშობლოსკენ ისე სწრაფად, როგორც დაქრიან ექსპრესები ა. გამსახურდიას ბერლინურ ნოველებში.

ბერლინი-ოტობაია.

ალექსანდრე დიუმას სამურჯაყანული ქრონიკა

ცნობილმა ფრანგმა რომანისტმა და დრამატურგმა ალექსანდრე დიუმა-მამამ 1858-1859 წ. წ. იმოგზაურა კავკასიაში და შექმნა საინტერესო წიგნი, რომელშიც ფრანგ და ევროპელ მკითხველს სამურჯაყანოს შესახებაც მოუთხრობს. ა. დიუმას ეს წიგნი — „კავკასია“ ორჯერ გამოიცა ქართულ ენაზე.

ალ. დიუმას ჩამოსვლა ამიერკავკასიაში შეუმჩნეველი არ დარჩენია გასული საუკუნის 50-იანი წლების საქართველოს პერიოდიკის ორგანოებს.

მართალია, მეფის მთავრობის ოფიციალზმა „კავკასმა“ (1858 წ. № 92) ა. დიუმას ქ. ნუხაში ჩამოსვლა უფრო ვრცლად აღნიშნა. ვიდრე ტფილისში მისი ყოფნა და თან საკმაოდ ბუნწი ეპითეტი — „ცნობილი ლიტერატორი“ — მოიხსენია იგი, მაგრამ. სამაგიეროდ. ქართული ჟურნალი „ცისკარი“ მეტად გულთბილად შეეგება ა. დი-

უმას ჩამობრძანებას. ცისკრელებმა ა. დიუმას „ფრანციის უწარჩინებულესი... მთელ ხმელეთზე გამოჩენილი მწერალი“ უწოდეს.

ქართული ჟურნალის „ცისკრის“ ეპითეტები სავსებით ჰქონდა დამსახურებული ა. დიუმა-მამას, რადგანაც ამ დროისათვის მას უკვე დაწერილი ჰქონდა თავისი ყველა დიდი ნაწარმოები (რომანები „სამი მუსკეტერი“ (1844 წ.) „გრაფი მონტე-კრისტო“ (1845-1846 წ.წ.) და სხვ.

არამცთუ ალ. დიუმა-მამას, ამ დროისათვის ალ. დიუმა-შვილსაც ჰქონდა დაწერილი თავისი მთავარი ნაწარმოები „ქალი კამელიებით“ (1848 წ.), რომლის მოტივებზე შექმნა გ. ვერდიმ კლასიკური ოპერა „ტრავიატა“.

ევროპის პრესა ალ. დიუმა-შვილს „ალ. დიუმა-მამის საუკეთესო ნაწარმოებს“ ეძახდა ხუმრობით.

ამრიგად, ალ. დიუმა-მამა 1858 წელს, როცა ის თბილისში ჩამოვიდა, „ცისკრისა“ არ იყოს, „მთელს ხმელეთზე გამოჩენილი მწერალი იყო“.

„კავკასიის“ მკითხველა გრძნობს, რომ ა. დიუმა თანაგრძნობით არის გამსჭვალული საქართველოს მიმართ, მაგრამ ეს სრულებით არ უშლის ხელს მწერალს ირონიული, ზოგჯერ სარკაზმით აღსავსე სტრიქონები უძღვნას ამ ქვეყნის ცხოვრების ჩრდილოვან მხარეებსაც. ამავე დროს ა. დიუმას „კავკასია“ არ არის დაზღვეული ფაქტობრივი და სხვა ხასიათის შეცდომებისაგან, როგორც სამართლიანად აღნიშნავს პროფ. ა. გაწერელია.

ეს შენიშვნები მეტ-ნაკლებად ეხება ა. დიუმას მოკლე ცნობებსაც სამურზაყანოზე.

თავისთავად ის ფაქტი, რომ ა. დიუმა წერს სამურზაყანოს შესახებ, საინტერესოა კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით.

ა. დიუმას სამურზაყანული ქრონიკა ამდიდრებს ამ კუთხის ისტორიის წყაროთმცოდნეობას.

ა. დიუმას ცნობები საინტერესოა, განსაკუთრებით ევროპელი მკითხველებისათვის, სამურზაყანოს ეთნოგრაფიული შესწავლის თვალსაზრისით. სამურზაყანული ადათისა და მორალის, ხალხური მართლმსაჯულების, სისხლის აღრევის, სისხლის აღების, მამა-შვილური, ცოლ-ქმრული, გერ-დედინაცვლის, მაჰამთილისა და სიძის ურთიერთობის შესახებ და სხვა საკითხებზე მწერალი საინტერესოდ მოგვითხრობს.

ა. დიუმას ჩანაწერები სამურზაყანოს შესახებ შეიცავს თითო-ორი დემოგრაფიულ და გეოგრაფიულ ცნობასაც.

აღნიშნული ჩანაწერები ფრაგმენტულია. უფრო სწორად ყველა ზემოთ აღნიშნული ასპექტი გამომდინარეობს სამურზაყანოს

ცაოვრების ერთი ეპიზოდოდან, რომელიც ა. დიუმას, ეტყობა, ჩაუწერია დასავლეთ საქართველოში, ან რიონზე საქურისების ნავით მგზავრობის დროს, ან ფოთში აკობის (ალბათ აკობიას — ვ. ა.) სასტუმროში.

სამურზაყანოში ა. დიუმა-მამა არ ჩამოსულა.

ფოთიდან ის საფრანგეთს გაემგზავრა.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ სამურზაყანოს ყოფაცხოვრების ფაქტებში ა. დიუმა ეძებს და პოულობს მსოფლიო ლიტერატურის კლასიკური სიუჟეტების ანალოგიურ სიტუაციებს. მაგალითად, ერთი სამურზაყანოელი თავადის ოჯახის ისტორია, რომელიც „კავკასიაშია“ აღწერილი, ა. დიუმამში შილერის ცნობილი ქმნილების „დონ-კარლოსის“ ფაბულის ასოციაციებს იწვევს.

ა. დიუმა წერს:

„სამეგრელოსა და აფხაზეთს შუა მდებარეობს პატარა თავისუფალი მხარე, სახელად სამურზაყანო, რომელიც დაახლოებით ორი ათას კომლს შეიცავს. იქ შემონახულია სისხლის აღების ჩვეულება მთელი თავისი სიძლიერით. რამდენიმე წლის წინათ ერთმა იქაურმა ხანში შესულმა თავადმა ახალგაზრდა ქალი შეირთო. მაგრამ მას ჰყავდა თითქმის მისი ცოლის ტოლა ვაჟიშვილი, რომელსაც დონ-კარლოსივით თავისი დედინაცვალი შეუყვარდა. ამბობენ, რომ არც ქალი იყო გულგრილი გერისადმი. მოხუც თავადს სისხლის აღრევის საშიშროება შეატყობინეს და მან თავისი ცოლი მამის ოჯახში დააბრუნა... ამ შეურაცხყოფამ შურისძიება გამოიწვია. ეს მოხდა დაახლოებით სამი წლის წინათ“. ამის შემდეგ ა. დიუმა ღიმილით დასძენს, რომ მოხუცი თავადი, მისი ცოლი და ვაჟი ახლაც ცოცხლები არიან. მაგრამ „ორივე მხრიდან უკვე ოცდაათობმეტი კაცია დახოცილიო“. (გვ. 447).

ძნელია ამ სტრიქონებში ვერ დაინახო წმინდა ფრანგული ირონია და იუმორი, ა. დიუმას მიერ ოსტატურად შეზავებული, რომელიც ასე დამახასიათებელია მთელი წიგნისათვის.

თითქოს ა. დიუმას მოკლედ ჩაუწერია სათავგადასავლო მოთხრობის სამურზაყანოელი სიუჟეტი. ამ სამურზაყანოელი თავადის ოჯახის ისტორია მართლაც ჰგავს დონ-კარლოსის შესახებ ერთ ესპანურ, ნაკლებად სარწმუნოდ მიჩნეულ ისტორიულ ანეკდოტს. შილერის ცნობილ ტრაგედიას რომ დაედო საფუძვლად. ევროპაში გახმაურებული ანეკდოტი ეხება მე-16 საუკუნის ესპანეთის მეფე ფილიპე II-ს, დედოფალ ელისაბედსა და ფილიპე II-ს ძეს, ინფანტ დონ-კარლოსს. ასე გაავლო უხილავი პარალელი ა. დიუმამ, ერთის მხრივ, მე-16 საუკუნის ესპანეთის და მე-19 საუკუნის სამურზაყანოს ცხოვრებასა და. მეორეს მხრივ, ევროპაში გახმაურებულ ანეკ-

დოქსა, ფრიდრიხ შილერის კლასიკური ტრაგედიის „დონ-კარლო-სის“ სიუჟეტურ ხლართსა და სამურზაყანოელი თავადის ოჯახურ ტრაგედიას შორის.

სისხლის ალების ეპოქაში სამურზაყანული ოჯახის ტრაგედია, ჩვენი აზრით, ა. დიუმას დანახული აქვს მაინც არა პირუთენელი ისტორიკოსის, არამედ საფათერაკო სიუჟეტების მაძიებელი ბელეტრისტის თვალთ.

სამურზაყანოში სისხლის აღებზე კონსტ. გამსახურდიაც წერს „მთვარის მოტაცებაში“, მაგრამ რეალისტი ქართველი მწერალი ზომიერებას იცავს; ა. დიუმა კი საფათერაკო რომანების ავტორის ფანტაზიას აძლევს გასაქანს. ამიტომაც დაჰკრავს ერთგვარი სენსაციურობის იერი სამურზაყანოელი ოჯახის დიუმასეულ ქრონიკას.

ა. დიუმა წერს „სამეგრელოსა და აფხაზეთს შუა მდებარეობს აატარა თავისუფალი მხარე სამურზაყანო“. ეს ალბათ „ლაპსუს კალამია“. ა. დიუმას მოგზაურობის დროს, 1858-1859 წ. წ. სამურზაყანო წარმოადგენდა მეფის რუსეთის საბოქაულოს; სამურზაყანო თავისუფალი იყო მხოლოდ შარვაშიძეთა და დადიანთა თარეშისაგან, თორემ ცარიზმის მძიმე უღლის ჯაჭვის აპურები მაგრად უქერდა კისერზე. ეს უღელი ყვაბუ და მურზაყან შარვაშიძეების დინასტიის მთავრობის გაუქმების შემდეგ დაადგა რუსეთის ცარიზმმა სამურზაყანოს, 1840 წლიდან. ამიტომ ა. დიუმას „თავისუფალი სამურზაყანო“ უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ პირობითი ტერმინია, მაგრამ მეცნიერულ-ისტორიული თვალსაზრისით მიუღებელი.

ვიუხედავად ამისა, ა. დიუმას სამურზაყანული ქრონიკა მეტად საყურადღებო დოკუმენტია, რომლის ისტორიული და კულტურული მნიშვნელობა თვალსაჩინოა; ის დაუფასებელ სამსახურს გაუწევს მხარეთმცოდნეებს, ამ კუთხის ისტორიული წარსულის მკვლევარებს; ეს ფრაგმენტი მეტად საინტერესოა გამოჩენილი ფრანგი მწერლის მიერ სამურზაყანული სინამდვილის აღქმის თვალსაზრისით. მით უმეტეს, რომ ეს ფრანგი მწერალი იმათ რიცხვს ეკუთვნის, ვისაც აფასებდა თვითონ კარლ მარქსი.

მარიამ დემურია

საქართველოს სახალხო განათლების მუზეუმის ფონდებში მუშაობის დროს, ამას წინათ წაეაწყდი რამდენიმე გამოუქვეყნებელ ეპიზოდს მარიამ დემურიას ბიოგრაფიიდან, რომლებიც ნაწილობრივ დაკავშირებულია სამურზაყანოს კულტურულ ცხოვრებასთან.

მაგრამ სანამ ამ ახალ მასალაზე ვისაუბრებდეთ, იქნებ ზედმეტი არ იყოს ერთხელ კიდევ გადავავლოთ თვალი მარიამ დემურიას — ქართული კულტურის ამ გამოჩენილი და სახელოვანი მოღვაწე ქალის ცხოვრებას და შემოქმედებას. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მარიამი დინახურგელი იურისტის ვასილ დემურიას მეუღლე იყო.

პოეტი ილია სიხარულიძე ლექსში „მარიამ დემურიას“ წერს.

შენ საწუთროს სტუმრად მოხველ
და თან მოგყვა დიდი გული,
გული კაცთა სიყვარულით
აგზნებული, ანთებული.
ის ჩირაღდნად ბნელ ღამეში
დაგქონდა და ატარებდი,
და მის შუქზე გზას იკვლევდნენ
დიდები და პატარები.

მარიამ დემურია — დიდი საზოგადო მოღვაწე ქალი, „ნაკადულის“ დედა“, „ქართული საბავშვო მწერლობის სვეტი ნათელი“, ქართული ჟურნალისტიკის თვალი პატიოსანი, ქართული სახალხო თეატრის ერთ-ერთი თავდადებული და ღვაწლმოსილი მოამაგე, ქართველ მოღვაწე ქალთა შორის მართლაც რომ ერთ-ერთი თვალსაჩინო, კოლორიტული და საინტერესო ფიგურაა.

მარიამ დემურიას სახელი უკვდავყოფილია ქართულ პოეზიასა და მემუარისტიკაში. თითქმის არ დარჩენილა მე-19 საუკუნის დასასრულის და მე-20 საუკუნის დამდეგის ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, რომ მარიამ დემურიათვის არ ეძღვნა გულ-ობილი სტრიქონები.

ლ. გოგოხიამ მას შესანიშნავი მონოგრაფია უძღვნა.

მარიამი ქმნიდა ორიგინალურ საბავშვო მოთხრობებს, ეწეოდა რუსი და ევროპელი მწერლების საყმაწვილო ნაწარმოებების თარგმნას, წერდა ჟურნალისტურ და პუბლიცისტურ სტატიებს, აგროვებდა ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს და ა. შ.

მარიამ დემურია გორშია დაბადებული 1860 წელს, დედით კორინთელია, მამით — ივინა.

ლევ ტოლსტოის მეგობარი, ილია ნაკაშიძე იგონებდა: მარიამის „სამწუხარო და სადარდო ყოველთვის საზოგადო საქმე იყო: საბავშვო ჟურნალი, სახალხო კითხვები, სახალხო თეატრი“.

აკაკი წერეთელი 1904 წელს წერდა ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“: „მწერლობის გარდა სხვა ასპარეზზედაც ქალები გვჯობნიან... ერთი მარიამ დემურია უდრის მრავალ მოღვაწე კაცთაგანს“.

თითქოს აკაკის აზრებს ეხმიანებოდ, გაზეთი „სახალხო თეატრი“ 1923 წელს შენიშნავდა, რომ საზოგადოებრივი საქმისათვის

„თავდადება შეიქმნა მიზეზი მ. დემურის ლეგენდარულ პიროვნებად გადაქცევისა... მარიამის ირგვლივ შექმნილია ლეგენდები და მისი სახე მოგონებებში უფრო და უფრო ნათლდება და უკვდავების ჩეგლს იღვამს“.

მარიამის წამოწყებას მხურვალედ უქერდა მხარს ცნობილი რევოლუციონერი ალ. წულუკიძე.

ილ. ჭავჭავაძის დახმარებით მ. დემურია ავკალაში აარსებს სახალხო თეატრს. ამ თეატრის შესახებ აი რას წერს მწერალი-აკადემიკოსი დემნა შენგელაია: „აქ გავაზილე პირველად თვალები და ვიხილე ქვეყანა უცნაური იმედებით და ბრძოლის ყიყინით ანთებული. ...სახალხო თეატრმა მასწავლა, რომ ცხოვრება არ არის სანახაობა, რომ იგი შემოქმედებაა“.

იმის დასადასტურებლად თუ რამდენად დიდი იყო მარიამ დემურის ავტორიტეტი ქართულ ინტელიგენციაში, საკმარისია მოვიყვანოთ ქართველი გენიოსის ვაჟა-ფშაველას ერთი ბარათი მარიამ დემურისადმი მიწერილი. (წერილი ვრცელია, ამიტომ მოგვყავს მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტი).

„ძვირფასო დაო, მარიამ!

მე სოფლად ცხოვრება აღარ შემიძლიან. უნდა ამიერიდან ქალაქში ვიცხოვრო. ფიზიკურმა შრომამ გამტეხა წელში. თანაც ვბერდები. ერთი დღე რომ ვიმუშაო. ერთი კვირა უნდა ვიწვე. ეხლაც ავადა ვარ. უსათუოდ ექიმს და წაშლობა ახლაც საჭირო. უნდა, თუ შევძელი, ამ მოკლე ზანში ჩამოვიდე თბილისში და... თავს მოვუარო.

...მეყოფა ამაღენი ძალ-უმაღური ცხოვრება. საზოგადოებას, თუ რადმე ეფასება ჩემი თავი. უნდა მიპატრონოს.

...თქვენ, როგორც ლმობიერი ალაპიანი, სადმე კუთხეში არ მიაგდებთ ამ ჩემს წერილს და არ დაივიწყებთ ჩემს თხოვნას.

...სხვას მე წერილს არავის არა ვწერ. რადგანაც მაგრე რიგად დაახლოებით არა ვარ არავისთან...

თქვენი მარადის პატივისმცემელი

ვაჟა-ფშაველა.

ამ წერილში ვაჟა ერთგან წერს, სხვებთან წერილის მიწერა არცაა საჭირო, „რადგან თუ თქვენ მოინდომეთ, ყველაფერს მოახერხებთ“. ასე დიდი იყო მარიამ დემურის გავლენა.

ცნობილი კრიტიკოსი კიტა აბაშიძე იგონებდა: „მარიამი იყო თავდადებული ყველასათვის და განსაკუთრებით იმათთვის, ვინც კი ნიჭით განირჩეოდა“.

1903 წელს მარიამ დემურიაშვილმა გადაწყვიტა დაეარსებინა მეორე საბავშვო ჟურნალი საქართველოში, რომელსაც ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის რედაქტორობით გამოცემულ საყმაწვილო ჟურნალ „ჭეჭილთან“ ერთად ქართველი ბავშვების აღზრდა-განათლების ეროვნული საქმის წინ წაწევა ეკისრებოდა. შემთხვევით შემოგვინახა ცნობა, რომ აკაკის უთქვამს ამ ჟურნალს „ნამი“ დავარქვათო. მაგრამ დემურიას „ნაკადული“ დაურქმევია. ამაზე აკაკის უოხუნჯია:

— კარგია, „ნაკადული“ „ჭეჭილს“ მორწყავს და მშვენიერი მოსაველი იქნებაო.

ახლა აკაკის ღიმილით ნათქვამი წინასწარმეტყველება. მართლაც საოცარი მოსაველი მოგვცა „ნაკადულმა“. ამის შესახებ საქმარისია ერთი დოკუმენტი მოვიყვანოთ.

აი, რას წერდა პოეტი ხუტა ბერულავა გაზეთ „კომუნისტში“ 1960 წლის 17 ივნისს:

„მარიამ დემურია იყო „დედა“ „ნაკადულისა“. მხოლოდ ექვს წელიწადს ჩუხჩუხებდა მის ხელში „ნაკადული“, მაგრამ მარიამ დემურიას ამაგი სამუდამოდ დაუვიწყარია იმითაც. რაც მან მოასწრო. ხოლო სახელი მისი უკვდავყოფილი...“

„იმძღვანაჲ წლიდან გამომცემლობა „საბლიტგამს“ „ნაკადული“ ეწოდება. ბუნებრივია. ამით გვინდოდა გაგვეცოცხლებინა სახელი ჟურნალისა. რომლის შექმნასა და მოვლას ამდენი ძალ-ღონე შეაღია სახელოვანმა მოღვაწე ქალმა“.

ასე ცოცხლობს „ნაკადული“, ასე შემოდის ჩვენს ეპოქაში და ჩვენს სულიერ სამყაროში ის დიდი საშვილიშვილო და ეროვნული საქმე. რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ამ საუკუნის გარიყრაჲზე მარიამ დემურიაშვილმა.

კარგად თქვა ცნობილმა პოეტმა და ღრამატურგმა ქალმა მარიკა ბარათაშვილმა:

„გავიდა წლები. მაგრამ კვლავ ჩუხჩუხებს და ხალისით მოედინება მარიამ დემურიას „ნაკადული“. ჩვენ დაბლა ვხრით თავს ამ შესანიშნავი ქართველი ქალის ყოველმხრივი. უქცნობი სილამაზის წინაშე“.

საქვეყნოდ ცნობილმა პოეტმა ქალმა მაყვალა მრეველიშვილმა დიდებულ ლექსი უძღვნა მარიამ დემურიას:

„შენ თვით იკლებდი და ასო-ასო
საზრდოს გვაწვდიდი, როგორც ქედანი.
დღეს ფრთაშესხმულებს შენგვარი გვახსოვს
ნათელმოსილი ქართლის დედანი“.

მარიამ დემურიას ბიოგრაფები და მექუარისტები აღნიშნავენ, რომ ეს სახელოვანი მოღვაწე ქალი, როგორც აღვნიშნეთ. სამურზაყანოელი იურისტისა და პედაგოგის ვასილ დემურიას მეუღლე იყო.

ასე, რომ მარიამ დემურიას გვარი სამურზაყანომ აჩუქა. ეს გვარი ნიკიერმა ქალმა შარავანდდით შემოსა და სამუდამოდ დაამკვიდრა ქართული კულტურის ისტორიაში.

მისი ქალიშვილობის გვარი, როგორც შევნიშნეთ, ივინა იყო. ზოგიერთი მკვლევარი ივანიშვილად ახსენებს. აი რას წერდა ამის შესახებ ცნობილი საბავშვო მწერალი ნინო ნაკაშიძე:

„ზოგიერთი ცნობით, მარიამ დემურიას წინაპრები თითქოს წარმოშობით რუსები იყვნენ. ეს გარემოება მარიამის სახელს უფრო მეტ ღირსებას ანიჭებს. მან საქართველო არა მარტო მკვიდრ სამშობლოდ გაიხადა, ქართულ ენას არა მარტო ზედმიწევნით დაეუფლა, არამედ მან უდიდესი ამაგი დასდო მუშების განათლებასა და განვითარების საქმეს თეატრის დაარსებით, განსაკუთრებით კი ქართველი ბავშვების ეროვნულ ნიადაგზე აღზრდას“.

ქართველი საბავშვო მწერალი ანა ლვინიაშვილი აღნიშნავს:

„მარიამის საჩხერეში ყოფნის დროს იქ გამოძიებლად იყო ვასილ დემურია, რომელსაც მეტად მოეწონა მარიამის სათნოება, გულისხმიერება, ენერჯია და შეირთო ცოლად მარიამს ქმარი ადრე გარდაეცვალა. მას დარჩა ორი ვაჟი. მარიამი იშვიათი დედა აღმოჩნდა.“

ის მეორედ არ გათხოვილა, მარიამს ძლიერ უყვარდა თავისა მეუღლე ვასო დემურია. ვასო მისი საფიცარი იყო, აი რას წერს მარიამი ივანე მაჩაბლის მეუღლეს ტასოს ერთ-ერთ ბარათში:

„ჩემო გულიდან განუშორებელი და ძვირფასო ტასო! პატიოსნებას გეფიცები და ვასოს სულსა ვფიცავ“. მარიამი დაახლოებული იყო ივანე მაჩაბლის ოჯახთან. სხვათაშორის მარიამმა ივანე მაჩაბლის შვილებს ელას და ნიკოს უძღვნა თავისი მოთხრობა „პირველი გაფიცვა“, რომლებიც მარიამ დემურიას ვაჟიშვილების, წარწოშობით დიხაზურგელი ბიჭუნების — მიშა და ვანო დემურიების განუყრელი მეგობრები იყვნენ.

პატარა მიშა და ვანო დემურიები განსაკუთრებით გაშინაურებულინი ყოფილან აკაკი წერეთელთან. არსებობს უტყუარი ცნობა იმის შესახებ, რომ „ძალიან უყვარდათ აკაკი მარიამის ბიჭებს. დინახავდნენ თუ არა მიცივიდებოდნენ, მოეხვეოდნენ, ხან ზურგზე აცოცდებოდნენ, ხან მუხლებზე. სთხოვდნენ ზღაპარი გვიამბეო. აკაკიც უამბობდა გრძელ ზღაპარს. უხმოდ, ჩუმად უსმენდნენ მიშაც და ვანოც“.

მართლაც, რომ საინტერესოა, დიდი აკაკი სამურზაყანოელი ბიჭუნების მეზღაპრის როლში!

მარიამ დემურიას უყვარდა მეუღლის სოფელი დიხაზურგათბილისის სახალხო განათლების მუზეუმის ფონდებში დაცულ გა-

მოუქვეყნებელ მოგონებაში ივ. გეგია წერს: „თბილისს ჩამოსვლისთანავე გავეშურე „ნაკადულის“ რედაქციისაკენ. რედაქტორი მ. დემურია ჩემი კარგი ნაცნობი იყო და იმ ხანად მის ჟურნალში ვთანამშრომლობდი. მარიამის მეუღლე განსვენებული ვასილ დემურია ოქტომში ოთხ თვეს ჩემი მასწავლებელი იყო და მისი დიდი ხატრი მქონდა. ვასილის გარდა მაშინდელი სამურზაყანოს გლეხობაში სხვა არავინ იყო ცოდნით ასე აღჭურვილი. გამომშვიდობებისას ქალბატონმა მარიამმა დაჰაბარა, თუ ვინმე ჩვენები ნახო დიხაზურგიდან, გადაეცი ყველანი კარგად არიან-თქო“.

ეს ამბავი ხდება მარიამის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში. ასე, რომ მარიამს თავისი ცხოვრების უკანასკნელ საათამდე კავშირი არ გაუწყვეტია დიხაზურგასთან, იქაურ დემურიებთან.

ამ საუკუნის დამდეგს სამურზაყანოდან თბილისს ჩასული კაცი პირველად მარიამ დემურიას მიაკითხავდა რჩევისა და დახმარებისათვის, რადგანაც „ის დიდი ავტორიტეტის ქალი იყო, მას თითქმის ყველა დიდ ოჯახში კარი ღია ჰქონდა“ (ივ. გეგია, მოგონება — „ნაკადულის“ რედაქტორი მარიამ დემურია“).

და ისიც ყველას ეხმარებოდა, რითაც შეეძლო. მარიამი იყო „არაჩვეულებრივი ადამიანი, უზომოდ გულკეთილი, ყველას შემბრალებელი და მოსიყვარულე დედა“.

„საზოგადო ასპარეზზე მოღვაწე“ დედები სხვებიც იყვნენ, მაგრამ ისინი მალალ წრეს ეკუთვნოდნენ, მათთან ყველას მაგრე ადვილად არ მიესვლებოდა“ (ივ. გეგია. იქვე).

ივ. გეგიას მარიამმა ააცილა მოსალოდნელი პოლიციური რეპრესია რევოლუციური საქმიანობისათვის.

ის დიდი დემოკრატი ქალი იყო.

ივ. გეგიას თხოვდა თურმე მარიამი:

ივანე, შენი კარგი ლექსები კიდევ მოგვაწოდე „ნაკადულისთვისაო“. ამგვარ შემოქმედებით სტიმულს აძლევდა ჟურნალის ყველა ავტორს მისი რედაქტორი.

მარიამ დემურიას უყვარდა სამურზაყანო.

სამურზაყანოელებმაც გამოხატეს თავისი გულწრფელი სიყვარული ამ დიდი ქართველი ქალისადმი.

იქნებ მადლიერმა სამურზაყანომ, თანამედროვე გალის რაიონმა მარიამ დემურიას ღვაწლი კიდევ უფრო უკვდავეყოს. მარიამ დემურიას სახელი დაამშვენებდა ქ. გალის ერთ-ერთ ქუჩას, დიხაზურგის საშუალო სკოლას, რაიონის ბიბლიოთეკებს და ა. შ.

მარიამ დემურია იყო და არის სრულიად საქართველოს ბავშვების სულიერი დედა და მასწავლებელი. მისი ცხოვრება და შემოქმედება უფრო ეფექტურად უნდა იქნას გამოყენებული განსაკუთ-

რებ-თ რაიონის სკოლებში სასწავლო აღმზრდელიობითი პროცესის სრულყოფის საქმეში, რადგანაც მისი სახელი ასე მკიდროდაა და-კავშირებული ამ მხარესთან.

ეჭვი არ არის, რომ თემა „მარიამ ღემურია და სამურზაყანო“ ღირსეულ ადგილს დაიკავებს რაიონის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმშიც.

ეს ჰუმანური და მამულიშვილური ვალია.

მედიცინური სამურზაყანოელი პედაგოგი და მგოსანი

მე-19 საუკუნის სამურზაყანომ, სადაც ცარიზმის პირობებში ქართული ენა დევნასა და შევიწროებას განიცდიდა, ეროვნულ კულტურას მაინც ბევრი მამულიშვილი აღუზარდა. მათ შორის ყველაზე საინტერესოა სამი კულტურტრეგერი: გამოჩენილი ქართ-ველი ეურნალისტი, ახალგაზრდა ილიასა და აკაკის თანამედროვე და თანამებრძოლი, ს. მესხის „დროების“ ერთ-ერთი ბურჯი დავით ჩქოტუა. ნიკო მარის მოწაფე, ენათმეცნიერი, პედაგოგი და კრიტი-კოსი პეტრე ქარაია და მგოსანი, პედაგოგი და პუბლიცისტი, ი. ჭავ-ჭავაძის „ივერიის“ თანამშრომელი ივანე გეგია.

დიდა ივანე გეგიას ღვაწლი მე-19 საუკუნის დასასრულისა და 20-21 საუკუნის დამდეგის სამურზაყანოში ქართული კულტურის, ქართული ცივილიზაციის ტრადიციების დანერგვის დარგში. ეს იყო ნიჭიერი, ენერგიული, დაუღალავი, მრავალმხრივი მოღვაწე. მან პირველმა დააარსა ოქუმში წიგნსაცავი, რომელსაც აღფრთოვანებით შეხვდა ილია ჭავჭავაძის „ივერია“. ეს წიგნსაცავი ერთადერთი იყო იმ დროინდელ სამურზაყანოში.

ივანე გეგიამ დააარსა პირველი თეატრალური დასი სამურზაყა-ნოში, რომელიც გასტროლებს მართავდა მეზობელ ქალაქებსა და სოფლებში (ზუგდიდში, ოჩამჩირეში, ფახულანში და სხვ.).

ამ დასის შექმნას და მის გასტროლებს მოწონებით შეხვდა თა-ვის დროზე გაზეთი „ივერია“.

ივანე გეგია იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცე-ლებელი საზოგადოების აქტიური მოღვაწე, ამ საზოგადოების წარ-ჩომადგენელი სამურზაყანოში. მის არა ერთ ღონისძიებას თვითონ ილია ჭავჭავაძის მოწონებამ დაუმსახურებია.

მეტე ყურადღებისა და უფრო ღრმად შესწავლის ღირსია ივანე გეგიას პედაგოგიური შეხედულებები და მისი პრაქტიკული პედაგო-გიური მოღვაწეობა. მხედველობაში გვაქვს გამოუქვეყნებელი სტა-

ტიები და საარქივო ფონდები. ცნობილია, რომ ივ. გეგიას პედაგოგიურმა შეხედულებებმა იაჯობ გოგებაშვილის თანაგრძნობა და იმსახურა.

ივანე გეგია იყო შესანიშნავი ჟურნალისტი, „ივერიის“ კორესპონდენტი, მრავალი ოსტატურად დაწერილი, საინტერესო და მწკავე ჟურნალისტური ნაწარმოების ავტორი.

ივანე გეგიას გარკვეული წვლილი მიუძღვის ძველ სამურზაყანო-სა და თანამედროვე გალის რაიონში აგრონომიისა და ბიოლოგიის მიღწევების სასწავლო და სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკაში დანერგვის დარგშიც.

ივანე გეგიას კალამს ეკუთვნის გამოუქვეყნებელი მოგონებები მის თანამედროვე ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებზე, რომლებიც ქართული მემუარული ლიტერატურის გამოუმუშეურებელი სიმდიდრეა და მათი დასაბეჭდად მომზადება და გამოქვეყნება საჭირო საქმეა.

საინტერესოა ივანე გეგია როგორც სამურზაყანოს ეთნოგრაფი. მისი მეტად საინტერესო ეთნოგრაფიული ნაწერები ინახება საქართველოს სახალხო განათლების მუზეუმის ფონდებში.

ივანე გეგია იყო პირველი სამურზაყანოელი მგოსანი, რომელმაც პოეტური კრებული „ლექსების კონა“ გამოსცა თბილისში 1890 წელს.

სწორედ ამ წიგნზე გვინდა ვისაუბროთ.

ამ რამდენიმე წლის წინათ ივანე გეგიას ლექსებმა, ისევე როგორც მთელმა მისმა საზოგადოებრივმა მოღვაწეობამ დამსახურებულად მიიპყრო კრიტიკოს ოთარ ჭურღულიას ყურადღება. ოთარ ჭურღულიამ ვრცელი და საინტერესო კულტურულ-ისტორიული და ლიტერატურულ-კრიტიკული ნარკვევი უძღვნა ივანე გეგიას ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ეს ნარკვევი კრიტიკოსის ერთ-ერთ კრებულში შევიდა. კარგი იქნებოდა ივ. გეგიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ცალკე წიგნის გამოცემა.

ო. ჭურღულიას განაცხადებდა — ეს მისასაღმებელი და სასიხარულო მოვლენა — ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ივანე გეგიას ნაწერებს ყავლი არ გასვლია, არ ჩამქრალა მისი კეთილი საქმეების სხივი.

ივ. გეგიას წიგნი „ლექსთა კონა“, როგორც აღვნიშნეთ, 1890 წელს გამოვიდა თბილისში, გრ. ჩარკვიანის სტამბაში. მეფის ცენზურას წიგნის დაბეჭდვაზე ნება დაურთავს 1889 წლის 5 ოქტომბერს. ეს წიგნი დღეს ისეთ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს, რომ ბუკინისტური მალაზიების თაროებზეც ვერ იპოვით.

„ლექსების კონა“ საინტერესოა იმიტაც, რომ იგი წარმოადგენს

სამურზაყანოელი კაცის პოეტური ფიქრების ქართულ ენაზე სტამბურად გამოცემის პირველ ფაქტს. ნუ დაგვაფიწყდება, რომ ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგად სამურზაყანოში ლიტერატურული ქართულის მცოდნე სანთლით იყო საქებარი ამ პერიოდში. ამიტომ ამ კუთხის ისტორიულ-პოლიტიკური ორიენტაციის თვალსაზრისითაც უდაოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ივ. გეგვიას პოეტურ მოღვაწეობას.

ივ. გეგვიას წიგნში შეტანილია 22 ორიგინალური ლექსი, ერთი პატარა ალეგორიული პოემა „ვირის და ბაყაყის ომი“, ერთმოქმედებიანი დრამატული სურათი ლექსად „სიყვარულის მონა“, ორიოდვე ვარიაცია სამურზაყანული ფოლკლორის თემებზე და ლერმონტოვის ლირიკული შედევის „წინასწარმეტყველის“ გეგვიასეული თარგმანი.

ცნობილია, რომ ივ. გეგვიას პირველი ლექსი „მიჯობს ფიქრმა დამაღონოს“ გამოქვეყნდა გაზეთ „ცისკარში“, ივ. გეგვიას მეგობარი პოეტის იოსებ დავითაშვილის ერთ-ერთი ნაწარმოების გვერდით. ივ. გეგვიას ლექსები დაიბეჭდა აგრეთვე „ქართველი პოეტების კრებულში“ (1890 წ.), „ქართული პოეზიის ნიმუშებში“ (1898 წ.), „ციცინათელაში“ და სხვ.

დღეს ივ. გეგვიას ყველა ლექსს ვერ მივუღებთ უმაღლესი ესთეტიკური კრიტერიუმებით.

ივ. გეგვიას ლექსები პატრიოტი მამულიშვილის, ერთი სამურზაყანოელი ტრუბადურის, გულმართალი და ალალმართალი ქართველის სიმღერებია, რომლებმაც თავის დროზე უდაოდ გარკვეული როლი ითამაშეს. დღეს შეიძლება მათ უპირატესად კულტურული ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდეთ, ვიდრე ესთეტიკურ-მხატვრულ, მაგრამ ივ. გეგვიას შემოქმედება მაინც საინტერესოა და მას გვერდს ვერ აუვლის ვერავინ, ვისაც სურს სამურზაყანოს წარსულს გაეცნოს.

ივ. გეგვიას ყველა ლექსში ისმის მამულის ბედზე და ქართველი ხალხის მომავალზე დაფიქრებული მგოსნის ხან იმედიანი, ხან სევდიანი ხმა, მოაზროვნე პოეტის გულისძგერა.

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, კრიტიკოსი ოთ. ქურღულია სავსებით სამართლიანად მიუთითებს, რომ ლექსში „ნეტა რათ არიან მაგრე სუსტი კაცის გონება“ პოეტი ფილოსოფიურ ასპექტში განიხილავს ადამიანის იმედისა და უიმედობის, რწმენისა და სიყვარულის რთულ საკითხებს“. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ასეთი შეფასება ამ ლექსს მიეცა კრებულის გამოქვეყნებიდან 80 წლის შემდეგ, სულ სხვა ეპოქაში, სულ სხვა თაობის კრიტიკოსის მიერ.

გონების, ინტელექტისა და ცხოვრების არსის შეცნობის დია-

მალალო ადამიანური ეთიკური საწყისები უღევს საფუძვლად ივ. გეგიას ლექსებს.

„მწამს ეემონები, ვისაც სინდისი
კაცობის ქუდად დაუბურია,
ქვეყნიერების წინ წასაწევად
ვის აზრს კეთილად უმსახურია“.

(„ჩემი სურვილი“).

ამ ლექსში მგოსნის მოქალაქეობრივი მოტივები უღერს: ძირს ცბიერება, ძირს შური და დევნა კემმარიტი აზრისა, ძირს ეგოიზმი, გაუმარჯოს სინდის-ნამუსის ქუდას, ქვეყნის წინ წამწევ აზრს, ქვეყნის კეთილ სამსახურს, ყველას, ვისაც მოყვასის სატკივარი ტკივა!

ასეთია პოეტის მოქალაქეობრივი მრწამსი, მაგრამ სულ სხვა იყო მეფის დროინდელი სამურზაყანოს, მაშინდელი საქართველოს სინამდვილე, რაც რეალისტურ პოეტურ ასახვას პოულობს მგოსნის ლექსებში.

ავიღოთ თუნდაც უსათაურო ლექსი „არ მახარებს“... რომელშიც მგოსნის ირონია და სარკაზმიც გამოსკვივის.

პოეტი ხატავს მისი თანამედროვე საზოგადოების ზნეობრივი დაცემისა და გადაგვარების სურათებს.

„თვალწინ ვხედავ მშა მშას უთხრის სამარეს,
არ იბრალებს: შიგ აგორებს, შწუხარეს“.

პოეტს აღონებს, რომ მის თანამედროვე ცხოვრებაში უძლურს ღონიერი ჩაგრავს, მეფობს ჭუნგლის კანონი, ცბიერება და თვალთმაქცობა მორალურ კანონად ქცეულა.

„ძახიან კარგი კაცი არისო,
გემოცი იცის სიტკბო და სიმწარისო,
გაპირებულს სიტყვით შეიწყნარებსო,
მაგრამ საქმით ბოლო: კ: ამწარებსო.
ამნაირი უნდა გყავდეს შვილიო,
ახლანდელ დროს სჯობს სიმართლეს ტყვილიო“

ასე დაეცა ზნეობა.

პოეტი ამბობს:

„ვინ ატარებს ამ ქვეყანას რიგითა?
ღორცი კაცობს თავის გრძელი ღინგიტა!“

ასეთია ის პოეტური მხილებების ძალა, რომელიც ამ ლექსს ახლავს. პოეტი ნიღაბს ხდის ცხოვრების სოციალურ და მორალურ დეგრადირებას მეფის დროინდელ სამურზაყანოში და არა მარტო სამურზაყანოში.

ავიღოთ სხვა რეალისტური, მამხილებელი ლექსი: „ენუქას სინანული“. ეს ენუქას ლირიკული მონოლოგია, ენუქას ჩივილია. სამამ ფულისა და სიმდიდრის პატრონი იყო, ყველას მოსწონდა ენუქა.

„როცა ეგდო ჩემს ჭიბუში გროშები,
ფეხზე შეცვა სირშიანი ქოშები“, —

ამბობს იგი.

„შეთხულობდნენ: ეს კაცი ვინ არისო?
— შეილი არის, პეტრუსა მდიდარისო.“
„ვინ ვრია ჩემისთანა ტოლებში?!“

შეიცვალა ენუქას მდგომარეობა და დახეთ მის უბედურებას. რა შეატყვეს სიღარიბე:

„წაიღი, წაიღი შეჩახიან შვილებიც,
გარე, სახლში, ყველა შე შემტერება,
უფულობით სიციცხლე შეწელება.
ვაი რა ვქნა, ცოლიც არ შეკარება“...

ასეთია ფულისა და პორალის დიალექტიკა კაპიტალისტურ სინამდვილეში. ფულითაა გაპიროვნებული ოჯახური ურთიერთობაც.

პოეტი ერთგან ამბობს „გლოვია წუთისოფელი“ (ლექსი „მოგონება“), მაგრამ მგოსანს მაინც სწამს სამშობლოს სვებედნიერი მომავალი. ლექსი „ჩემი ლოცვა“ პოეტური ექსტაზით ნათქვამი სამშობლოს სადიდებელია.

„ღმერთო! შემოსე ძლიერებითა,
შენი მორწმუნე ივერის ვრია!“

და იქვე განაგრძობს:

„ამრალე ერი შენი მშოსავი
და დაგვიმტკიცე ამბობა, დანდობა“.

და ეს ხმა უფრო ომახიანად ეღერს ლექსში „ვეუძღვნი კახელთ“.

„ძველებურად გავფოლადღეთ,
მოლაღატეს დავეთ ზარი!“

პოეტის სიმპათიები მშრომელი ხალხის მხარეზეა. ივ. გეგია ლექსში „მუშაობა“, რომელიც შრომის აპოლოგიაა, ამბობს: „ღმერთო, ღმერთო გვედრებე, მუშა ხალხის დღე ამრავლე“.

პოეტის დამოკიდებულება თავადაზნაურობისადმი აშკარად ნეგატიურია. ლექსში „ძველი თავადი“ ივ. გეგია თავადს ჭერ კიდევ 1885 წელს ათქმევინებს:

„მტრისთვის ვიყავ ზარდამკემი.
ჯილდოსათვის ზოგჯერ მოქმის,
მოლაღატე და გამცემი“.

ივ. გეგიას ლექსებში ჩანს პოეტი-პეიზაჟისტი, ქართული ბუნების მომღერალი. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ლექსი „კავკასიის ქება“.

„ახ, ენა მომცა საქებად, შემეყლი კავკასისაო,
თაეწვეტიანი გორების, მალალ იალბუზისაო.
მონხუცდ ფეხზე მაგრად დგას,
თითქოს ცას უბჯენს წვერსაო.
აღგას და უბერავს გრიგალი,
არ ემონება მტერსაო.
სხვა მთები ამოყუნცულან,
თითქო შიში აქვს ღეთისაო.
ამაყი რისხვით დაჰყურებს,
ყაზბეგის შიშით კრთისაო.
ყინულნი ზედ დასცქერიან,
როგორც აღმასის ქვისაო,
ქვევით უფსკრული ჩაუღის,
როგორც ჭოჭოხეთისაო,
ქვესკნელს წყარონი შირბიან,
ხმოვანი როგორც მტკვრისაო,
შირბიან, მიღუღუნებენ
თითქოს ჭაერი აქვთ მთისაო“.

1880 წ.

დახატულია შესანიშნავი პეიზაჟი, მაგრამ იმავე დროს ლექსს აქვს მეორე პლანი. „აღგას და უბერავს გრიგალი. არ ემონება მტერსაო“. საქართველოს, ქედუხრელი კავკასიის სიმბოლოა იალბუზი ამ ლექსში.

ივ. გეგიას „ლექსთა კონაში“ სატრფიალო ლირიკასაც თავისი ადგილი უჭირავს. აქ არის ქალ-ვაჟიანის ყაიდაზე დაწერილი ხალხური ლექსებიც („ლამაზი გოგო ამბობდა“).

სატრფიალო ლექსებში ზოგჯერ სოციალური მოტივებიც იჭრება („ხალხური“).

„ქალმა დამწყველა ყმაწვილი:
თავზე დაგეცა მეხიო,
შენ არ მინდიხარ, გამშორდი
რადგან მუშა ხარ, გლეხიო“.

გმირული შეძახილი ისმის სტრიქონებში:
„დაჰკარი, ხვედრო, ჩემს ფიქრს ლახვარი!“

პოეტის ოცნებაა, რომ მის „სანორჩეს ეკვით შემოსილს, შეაშრეს ცრემლი, აღრე მდინარი“.

ლექსი თავდება იმედიანი განწყობილებით:

„მაშ, დაბოლოვდეს ფიქრის საზღვარი...
და გულს მოშორდეს მარად ტკივილი“.

ივ. გეგიას ლექსებში აქა-იქ მიმობნეულია აფორიზმები და სენტენციური თქმები.

„მდიდარი ხარ, მაგრამ ღარიბი სულთ,
ვერ ეღრები გულთ მდიდარ ღარიბ კაცს.“
(ლექსი „ობოლი“, 1886 წ.)

„საფლავს ვეგდო მირჩენია,
ვიღრე ვიყო სხვისი მონა.“
(ლექსი „გულმოსილს შავი ფიქრით“)

„ღღეს რასაც დათეს, შემდეგში
მოსამკელად ის დაგრჩება“.
, დამიჭრე სიყმაწვილე
სულ ბოლომდინ არ შეგჩრება“.
(ლექსი „კაბუკი“, 1888 წ.)

„ერთი კაცი ისე როგორ გამდიდრდეს,
რომ მეორეს რაზე არ გაუჭირდეს“.
(ლექსი „ობოლი“, 1886 წ.)

„ლექსთა კონაში“ შევიდა, როგორც ვთქვით, მ. ლერმონტოვის ლექსის „წინასწარმეტყველის“ გეგიასეული თარგმანი, რომელიც საინტერესოა ამ ლექსის ქართულ ენაზე ახმთანების ისტორიის თვალსაზრისით. არ შეიძლება აქვე გვერდი ავუაროთ ლერმონტოვის ერთ-ერთი ლექსის გიორგი შარვაშიძისეულ თარგმანს, რომელიც აგრეთვე სამურზაყანოში, სოფელ ოტობაიაში იქნა აღმოჩენილი პეტრე ანჩაბაძის საოჯახო ალბომში. ძველმა, სამურზაყანომ მ. ლერმონტოვის ორი ლექსის ქართული თარგმანი შემოგვინახა. ყოველივე ეს სამურზაყანოს კულტურული წარსულის მატრიანის საინტერესო ფაქტებია.

ივ. გეგიას „ლექსთა კონაში“ შევიდა „ვირისა და ბაყაყის ომი“, ამ ნაწარმოების მორალი უდაოდ შეიცავს სიბრძნეს:

„რეგვენი თავსაც დაკარგავს,
თუ ჭინზე სხვისის მდომიაო“.

დაასკვნის პოეტი და ძნელი არის არ დაეთანხმო მას.

ივ. გეგიას კალამი უცდია დრამატურგიაშიც. მის „ლექსთა კონაში“ შესულა ერთმოქმედებიანი დრამატული სურათი — ვოდვეილი „სიყვარულის მონა“.

ივანე გეგიას კალამს ბევრი სხვა ლიტერატურული ნაწარმოებიც ეკუთვნის. ისინი დაცულია თბილისის სამუზეუმო ფონდებში. მეტად საინტერესოა საბჭოთა ხელისუფლების წლებში ივ. გეგიას მიერ დაწერილი გამოუქვეყნებელი ლექსებიც. აქ ჩვენ ვისაუბრეთ

ივანე გეგიას რევოლუციამდელ დაბეჭდილ ლექსებზე, მის პირველ და სამწუხაროდ, ერთადერთ პოეტურ კრებულზე, რომელიც 1890 წელს გამოიცა თბილისში და რომელსაც დღესაც ძირითადად კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ბევრ მის ლექსსა და სტრიქონში ჯერაც არ ჩამქრალა პოეზიის ნაპერწკლები, რომლებიც ცაინათელებივით ანათებენ წიგნში.

შეიძლება ივ. გეგიამ ლექსებში ბოლომდე ვერ გამოავლინა თავისი პოეტური ნიჭი, სამაგიეროდ, ამ ნაწარმოებებში ჩანს დიდი ბუნების კეთილშობილი ადამიანი, მრავალმხრივი მოღვაწე, მამული-შვილი და მოქალაქე, პედაგოგი, რომელსაც ასულდგმულებს მომავლის იმედი.

პოეტი თავის პირველ ლექსში, „მიჯობს ფიქრმა დამაღონოს“ წერდა:

„დაკარგული მოძმის შველა
ამიძგერებს მაშინ ვულსა,
ვუჩვენებ მას გაბრწყინებულ
სიმართლის გზას დაკარგულსა“.

ამ დევიზს ერთგულად ემსახურებოდა თავისი ხანგრძლივი სი-
ცოცხლის მანძილზე ივანე გეგია.

დავიწყებულ წინაპართა არდავიწყება მამულიშვილური საქ-
მეა... მით უმეტეს, რომ ეს წინაპარი რევოლუციის ბარიკადებზე
იბრძოდა.

სათარ-ხანის ოქუმილი ჯარისკაცი...

„რუსეთის 1905 წლის მოძრაობის შემ-
დეგ დემოკრატიული რევოლუცია მო-
ედო მთელ აზიას—თურქეთს, სპარსეთს,
ჩინეთს“.

3. ი. ლენინი.

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ქართულ პრესაში გამოჩნდა
ცნობები ს. ორჯონიკიძის მეთაურობით ირანის 1905-1911 წლების
რევოლუციის მონაწილე ქართველების შესახებ; მხედველობაში
გვაქვს ცნობილი ჟურნალისტისა და პუბლიცისტის ვ. ი. ლენინის
ცენტრალური მუზეუმის საქართველოს ფილიალის დირექტორის ან-
ტონ კელენჯერიძის მეტად საინტერესო სტატიები, გამოქვეყნებული
გაზეთ „კომუნისტში“.

ქართველ რევოლუციონერთა შორის მოხსენიებულია გიორგი ემხვარი. აი რას წერს ანტონ კელენჯერიძე. „გიორგი ემხვარი ნამდვილად გრიგოლ მელიტონის-ძე ემხვარია, წარმოშობით იყო სამურზაყანოდან (გალის რაიონი). სწავლობდა პეტერბურგში. გაიტაცა რევოლუციურმა მოძრაობამ და აქტიურად ჩაება მასში. შემდეგ 1908 წელს ქართველ მოხალისე რევოლუციონერ სოციალ-დემოკრატთა ჯგუფთან ერთად წავიდა სპარსეთში და დაეცა იქ თავრიზისათვის ბრძოლაში. დაღუპვისას იგი 21 წლისა იყო. ასე რომ დაბადებული ჩანს 1887 წელს“.

არქივში არსებულ „ფოტოსურათებზე გამოხატულია დაქრილი გრიგოლ ემხვარი, რომელიც ამ კრილობის შედეგად გარდაიცვალა. არის მეორე ფოტოსურათიც — გრ. ემხვარი კუბოში, რომლის გარშემო დგანან თვით სპარსეთის (1905-1911 წლების) რევოლუციის ბელადი სათარ-ხანი, მისი თანამებრძოლი ბალირ-ხანი და სხვა რევოლუციონერები“.

სულ ესაა, ის ცნობები, რაც პრესაში გამოქვეყნდა გრიგოლ (გიორგი) ემხვარის შესახებ.

სათარ-ხანი, რომელიც გ. ემხვარის ცხედართან საპატიო ყარაულში იდგა, სწორედ ის სათარ-ხანია, რომელსაც ვ. ი. ლენინმა „სპარსეთის რევოლუციური ჯარის მეთაური“ უწოდა.

ირანის შაჰი, რომლის ტახტსაც ემუქრებოდა რევოლუცია, 100.000 ოქროს მანეთს ჰპირდებოდა მას, ვინც ირანის სახალხო გმირის, რევოლუციის მესაქის სათარ-ხანის თავს მიუტანდა.

სათარ-ხანს „სპარსეთის გარიბალდის“, „ირანის პუგაჩოვს“ ეძახდნენ.

აი ამ სათარ-ხანმა თავის უახლოეს თანამებრძოლებთან ერთად ქედი მოიხარა ირანის რევოლუციის გმირის — სამურზაყანოელი ჭაბუკის გრ. ემხვარის თავდადების წინაშე.

სერგო ორჯონიკიძე იყო ირანის რევოლუციის მონაწილე ქართველების არა მარტო პარტიული მეთაური, არამედ მათი გმირობის მემკვიდრეც. სერგო ორჯონიკიძემ უკვდავი ძეგლი დაუდგა ამ რევოლუციის მონაწილე ქართველებს თავის მგზნებარე სტატიებში, რომლებსაც, ის უგზავნიდა ქართულ პროგრესულ, რევოლუციურ გაზეთებს, როგორც ამ გამოცემების ირანული კორესპონდენტი. ეს ძეგლი გ. ემხვარსაც ეკუთვნის.

1910 წელს პარიზში გამოდის ვ. ტრიას წიგნი „კავკასიელი სოციალ-დემოკრატები სპარსეთის რევოლუციაში“, რომელშიც მოხსენიებულია გიორგი (გრიგოლ) ემხვარის თავდადება თავრიზში.

გ. ემხვარის თავგანწირვას გამოეხმაურა სპარსეთის პროგრესული პრესაც.

არსებობს ცნობები, რომ ირანელმა რევოლუციონერებმა გიორგი (გრიგოლ) ემხვარი უკანასკნელ გზაზე გააცილეს მარსელიოზის ჰანგებით და შეძახილებით:

— იაშასუნ გურჯი ემხვარი! (რაც სპარსულად ნიშნავს „გაუმარჯოს ქართველ ემხვარს!“).

— იაშასუნ მუჯახიდი ემხვარი! („გაუმარჯოს წმიდათაწმიდა ომის მონაწილე ემხვარს!“).

გრიგოლ (გიორგი) ემხვარს უკანასკნელ გზაზე მსოფლიო ინტერნაციონალისა და რევოლუციის ლოზუნგებით მიაცილებდნენ.

როგორც მრავალი დოკუმენტი მოწმობს, ქართველმა რევოლუციონერებმა საერთოდ შეუცვალეს წარმოდგენა ქართველებზე ირანელებს.

გურჯები ჩვენი მტრები გვეგონა, მეგობრები ყოფილანო, — ამბობდნენ თურმე გაცეხული სპარსელები.

თუ შაჰის ირანს მხარს უჭერდა იმპერიალისტური ინგლისი და რუსეთის ცარიზმი, რევოლუციურ ირანს დახმარების ხელი გაუწოდეს რევოლუციურმა რუსეთმა, ამიერკავკასიამ. საქართველოს რევოლუციონერები სერგო ორჯონიკიძის მეთაურობით არალეგალურად გადავიდნენ ირანში და მამაცურად იბრძოდნენ სპარსეთის რევოლუციის ბარიკადებზე. მათ შორის იყო ჩვენი თანამემამულე გიორგი ემხვარი.

ჩვენ ვესაუბრეთ პუბლიცისტ ანტონ კელენჯერიძეს. მან გვითხრა, რომ ცნობებს გრ. ემხვარზე მიაკვლია თავისი წიგნისათვის „სერგო ორჯონიკიძე — ეურნალისტი“ მასალების შეგროვების დროს.

ა. კელენჯერიძეს განზრახული აქვს დაწეროს წიგნი ირანის რევოლუციის მონაწილე ქართველებზე. მათ შორის ღირსეულ ადგილს დაიჭერს სამურზაყანოელი ჰაბუკი გრიგოლ ემხვარი.

ანტონ კელენჯერიძემ დამშვიდობებისას მომცა გრ. ემხვარის დის მართა მელიტონის ასულ ემხვარის მისამართი, რომელიც ამჟამად თბილისში ცხოვრობს.

...რუსთაველის პროსპექტზე მდებარე ერთ-ერთი სახლის სადარბაზოში თითს ვაჭერ ღილს, რომლის ზემოთ აწერია „მ. ემხვარი“. კარს აღებს სანდომიანი სახის გოგონა, რომელიც ირანის რევოლუციის გმირის ძმისწული, ჩხორთოლელი სტუდენტი ნანული ემხვარი აღმოჩნდა.

მალე გამოჩნდა გმირის დაც. ჰალარა მოხუცი, მაგრამ ჯერ კადევ ენერგიული და ჯანღონით საჯსე მართა ემხვარი.

ძმის სახელის ზენებაზე ქალბატონ მართას ცრემლები ერევა, დიდხანს ვერ პოულობს საჭირო სიტყვებს, ღელავს...

მე მაინტერესებდა ირანის რევოლუციის გმირის გრიგოლ ემხვარის მშობლიური სოფელი და ოჯახური გარემო.

გიორგი (გრიგოლ) ემხვარი სოფელ ოქუშში დაიბადა.

მამამისი მელიტონ ემხვარი ოქუშელი თავადი და მეფის მოხელე იყო. დედამისი ნინო მარლანია გუდავიდან ყოფილა წარმოშობით. მამა თავის პირმშოს გიორგის, შინაურობაში გრიშას, სახელმწიფო ჩინოვნიკად ზრდიდა და მის კარიერაზე ზრუნავდა. ჯერ სტავროპოლის გამნაზიაში სწავლობდა გრიგოლი, შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტში. პეტერბურგის უნივერსიტეტიდან იგი გაუურიცხავთ 1905-1907 წწ. რუსეთის პირველ რევოლუციაში მონაწილეობისათვის, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო სტუდენტი. გიორგი ემხვარი სოციალ-დემოკრატიულ იდეებს პეტერბურგის რევოლუციურ წრეებში ეზიარა.

გიორგისა და მამამისს შორის ამ ნიადაგზე დიდი კონფლიქტი მომხდარა. სამურზაყანული პატრიარქალური თავადაზნაურობის ტრადიციებზე აღზრდილი მელიტონი ვერ შეურიგდა, თურმე, შვილის სოციალ-დემოკრატიულ, რევოლუციურ შეხედულებებს და ძველი სამურზაყანული ადათის მიხედვით მამის არგამგონე შვილი ოჯახიდან მოიკვეთა. ასე გამწვავდა სამურზაყანოელი ემხვარების ოჯახში მამებისა და შვილების ძველი და მძაფრი პრობლემა, ძველისა და ახლის, დრომოკმულისა და პროგრესულის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ეს მთელი რომანის თემაა, ტურგენევისეული კონფლიქტია, თუ გნებავთ, უფრო ღრმა და დიდი კონფლიქტი.

— სხვადასხვა მსოფლმხედველობამ ერთმანეთს დააშორა მამა და შვილი, იგონებს მართა ემხვარი, გმირის და, რომელსაც თავის დროზე ოდესის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი დაუმთავრებია, და ათეული წლების მანძილზე საქართველოს განათლების სამინისტროს ცენტრალურ აპარატში უმუშავებია. — ჩვენ ოთხი ძმა და ერთი და ვიყავით. მათ შორის გიორგი, უფროსი ძმა ყველაზე ადრე ეზიარა რევოლუციურ იდეებს, ბოლოს თავიც კი შესწირა მათ და ისიც უცხოეთში, სპარსეთში.

ემხვარების გაგონებაზე ძნელია არ გაგახსენდეს კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“ და ოქუშელი თარაშ ემხვარის კოლორიტული ფიგურა. იმავე ემხვარების ჯილაგიდანაა გამოსული ოქუშელი გრიგოლ ემხვარიც, საიდანაც იღებს ფუძეს თარაშიც, მაგრამ გრიგოლი თარაშის ანტიპოდი. რამხელა ადამიანური, რევოლუციური სიმაღლეების წვდომაა გრიგოლის ხასიათში. იმავე ოქუშმა, იმავე ემხვარების ჯილაგმა მოგვცა ასეთი პოლარულად, დიამეტრულად ერთმანეთის საწინააღმდეგო ხასიათები.

ეს ფაქტი ღრმა ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ ქვეტექსტებს შეიცავს და იგი (ვისაც ძალა შესწევს), ენციკლოპედიური გაზრებისა და განზოგადოების ღირსია.

მატიანე ძუნწად მოგვეთხრობს გრიგოლ ემხვარის უმაგალითო გმირობაზე ირანში, რომელმაც თავის აპოთეოზს თავრიზში მიაღწია. თავრიზი აიღეს რევოლუციონერებმა და იქ დაამხეს შაჰის ხელისუფლება. გ. ემხვარი იბრძოდა ჩაგვრის, რეაქციისა და ტირანიის წინააღმდეგ. სოციალიზმის, დემოკრატიისა და თავისუფლებისათვის, რევოლუციური იდეების საერთაშორისო მასშტაბით გამარჯვებისათვის.

ირანის რევოლუციის მხატვრული ასახვა მოგვცა ცნობილმა აზერბაიჯანელმა ბელეტრისტმა აბას ფანაჰიმ მაკულუმ თავის ისტორიულ რომანში „სათარ-ხანი“, რომელიც საბჭოთა ისტორიულ რომანის ერთ-ერთ მიღწევადაა აღიარებული.

ეს რომანი ირანის რევოლუციის გმირებზე, მის გრიგოლ ემხვარებზე მოგვეთხრობს.

ირანის რევოლუციამ ქუდი მოუხადა ერთი სამურზაყანოელი ჭაბუკის გმირობას. და ამ სტატიას დღეს იმიტომ ვწერთ, რომ ვთქვათ: სამშობლოს ახსოვს თავისი შვილები. გმირობის კვალი ჭეშმარიტად წარუხოცელია.

მამული არასოდეს არ დაივიწყებს გმირებს.



ქოზვის გატიანელან

ბოროდინოს არწივი

სალამო ხანი იყო.

კოცონზე ორი ჯარისკაცი ფაფას ხარშავდა. იქვე შორიანხლოს მეზარბაზნეები წეკოს ეწეოდნენ და უხემ ანეკლოტებს ჰყვებოდნენ, ხორხოცებდნენ.

წითურ ჯარისკაცს, ფარაჯა ნაბადივით გაეშალა, ზედ წამოწოლილი ნატრობდა:

— ეპ, ამ თოფის ნაცვლად ახლა ჩემი ნატალია რომ მომიწვინა გვერდით...

ვილაცამ ფრანგებს შეუკურთხა ხმამალლა, ვილაცამ — ომს.

ერთი ჩოფურა კაზაკი უმტკიცებდა კისერმორგვა ჯარისკაცს: ბაგრატიონისთანა მხედართმთავარი ამ ქვეყანაზე მეორე არ არისო. კისერმორგვას არ სჯეროლა.

— ბაგრატიონი?! — არ ცხრებოდა ჩოფურა, — ეე, იცი ვინ არის ბაგრატიონი? ტყვიას კბილით იჭერს. აი ვინ არის ბაგრატიონი.

— როგორ? — გაოცდა კისერმორგვა.

— როგორ და ხვალ ფრანგი რომ თოფს ისერის, ბაგრატიონი გააღებს პირს და, ჰაპ! — კბილებით დაიჭერს ტყვიას. მერე — თფუ! — იტყვის და ატმის კურკასავით გადააგდებს ტყვიას პირიდან, სუეოროვი ავარჯიშებდა თურმე. მაშ!

— ვაა! — პირი დაალო კისერმორგვამ.

ისე ჰყვებოდა ჩოფურა, თითქოს ბაგრატიონს მის თვალწინ ასი ტყვია დაეჭიროს კბილით.

— კი, მაგრამ ბაგრატიონი გაფრენილ ტყვიას ხედავს? — იკითხა კისერმორგვამ.

— ხედავს. იმიტომაც არ ეკარება ტყვია.

— მე სხვას გეტყვი, — წამოიწყო წითურმა ჯარისკაცმა, თოფი რაა, ბაგრატიონი ხმლით კვეთს ზარბაზნის კურგს ჰაერში.

— კი მაგრამ ასეთი ხმალი ვინ მისცა? — გაიკვირვა ისევ კისერმორგვამ.

— საქართველო გაგიგონია? — დაიწყო ჩოფურამ. — ქართ-
ველთა მეფეს ერეკლე ბაგრატიონს არც ერთი ომი არ წაუგია თუ-
რმე ჩვენი სუვოროვივით. ირანის შაჰისთვის წაუერთმეგვია ის ხმალი
და საჩუქრად მიუერთმეგვია გენერალ ბაგრატიონისათვის. აბა რა გე-
გონა!

კირესმორგვას გაოცებისაგან ისე დაელო პირი, რომ წითურმა
სიცილით მიაძახა:

— ბიჭო, პირი მოკუმე, ბუზი არ ჩაგიფრინდეს.

ის იყო ფაფა ჩამოარიგეს, რომ ვილაცამ თქვა:

— ის მოდის!

— ვინ?

— ბაგრატიონი!

მეხივით გავარდა ეს სიტყვა. ყველანი ზეზე წამოიჭრნენ, კი-
სერმორგვას ჯამი გაუვარდა ხელიდან.

— როგორა ხართ, ბიჭებო? — ბოხი ხმით იკითხა ბაგრა-
ტიონმა.

— სტამბოლის კაეივით! — იყო პასუხი. იცოდნენ, ეს პასუხი
მოსწონდა გენერალს. ბაგრატიონს ჰანიბალივით უყვარდა ჯარისკა-
ცებთან პურის ჭამა. ახლაც ჩამოჯდა და ფაფას შეეჭკა.

კისერმორგვა აკვირდებოდა ბაგრატიონს: ტანბრგე კაცი
იყო, ქორული თვალეზი ჰქონდა და კეხიანი ცხვირი. უკვირდა კი-
სერმორგვას: გენერალს ყველა კბილი რომ მთელი აქვს, ამდენმა
ტყვიამ ერთი მაინც როგორ არ ჩაუმტვრიაო. ერთხანს უხმოდ სკამ-
და, მერე ვერ მოითმინა.

— თქვენო აღმატებულეზებო!..

ჩოფურამ თვალით ანიშნა, გაჩუმდიო.

— რა იყო? — იკითხა ბაგრატიონმა.

— მართალია, რომ ტყვიას კბილით იჭერთ?

ბაგრატიონს გაეცინა: გენერალი შეჩვეული იყო ლეგენდების
მოსმენას. არაფერი უპასუხა.

— ისიც მართალია, რომ ზარბაზნის კურვს ჰაერში ხმლით
სჭრით?

ბაგრატიონმა ისევ გაიცინა და უთხრა:

— ჯარისკაცს ყველაფერი უნდა შეეძლოს.

მეორე კოცონიც იყო ახლოს გაჩადებული. ჯარისკაცები მღე-
როდნენ. აღიდებდნენ ბაგრატიონს.

უკვირდა მას: არაფერი ისეთი არ გამიკეთებია, ჩემზე ლეგენ-
დებსა და სიმღერებს რად თხზავენო.

...ნაპოლეონმა დაწოლის წინ ერთხანს უქცირა ბოროდინოზე

მოგიზგიზე კოცონებს; მერე ადიუტანტი იხმო და ბრძანება გასცა, როგორც კი კოცონებს ჩააქრობენ, გამალვიძეთო.

ბრძოლის წინაღამით იმპერატორმა ვერ იქნა და თვალი ვერ მოხუჭა. ყოველ წუთს დგებოდა, მარშლებსა და ადიუტანტებს აწიოკებდა, ბოროდინოს გაჰყურებდა, თითქოს შიშობდა: კუტუზოვი არ გამექცესო.

ნაშუალამევს ისევ იკითხა ნაპოლეონმა: ბაგრატიონის ფლეშებზე კოცონთა რიცხვმა ხომ არ იმატაო.

არაო, უთხრეს.

ნაპოლეონისა ტყვიასაც ეშინია.

ვისი უნდა ეშინოდეს ნაპოლეონს?!

მაგრამ ნერვები...

ერთხანს ებრძოდა უძილობას მხედართმთავარი.

მერე მკვდარივით ჩაეძინა.

..განთიადისას თეთრ ტაიპზე იჯდა ნაპოლეონი.

მალლობიდან გაჰყურებდა ბოროდინოს ველს. რუსთა ბანაკებში კოცონები ქრებოდა.

სისხლისფერი აისი დგებოდა ბოროდინოზე. ვეებერთელა მეწამული მზე ამოიწვერა არყის ხეებს იქით.

— აი აუსტერლიცის მზე! ვივა, ფრანგებო! — წამოიძახა ნაპოლეონმა და ხელი მზისკენ გაიშვირა.

— ვივა! ვივა! ვივა! — სამგზის იქუხა ამაღამ.

მთავარსარდალმა მალე მსრბოლები დაგზავნა და მარშლები დავუ, მიურატი და ნეი იხმო.

— მარშლებო! — თქვა ნაპოლეონმა, როდესაც სამივე სარდალმა ოფლში გახვითქული ცხენები მოაგელვა იმპერატორთან, და სახეზე მრისხანება გამოეხატა, — გიმეორებთ, მარცხენა ფლანგზე ჩვენ გვიტევს რუსეთის არმიის პირველი გენერალი ბაგრატიონი. მისი ფლეშები პირველ რიგში უნდა შევმუსროთ.

თეთრმა ტაიპმა ტორი ჩასცა მიწას. თითქოს ბექედი დაარტყა იმპერატორის სიტყვას.

და განაგრძო ნაპოლეონმა:

— მხოლოდ ფრთხილად. ბაგრატიონი სუვოროვის მოწაფეა... ის აღრე თავს წააგებს, ვიდრე ომს.

..სამი ხმალშემართული მარშალი გაემზადა სალაშქროდ ერთი გენერლის წინააღმდეგ.

ნაპოლეონმა განკარგულება მისცა სხვა ფლანგების სარდლებსაც და ისევ ბაგრატიონის ფლეშებს გახედა. ხელისგულივით ჩანდნენ ისინი შევარდინოდან. შორს, კოცონების კვამლში გახვეული ბოლავდა ბარკლავი დე ტოლის ბანაკი, ღრმა ზურგში კარვებს გახე-

და ბონაპარტემ: იქ ეგულებოდა ბებერი ლომი ფელდმარშალი კუტუზოვი.

კვლავ ბაგრატიონის ფლეშებს გახედა და მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა: Бог рати он!

ნაპოლეონის უნიჭო ძმამ ჟერომმა ჩურჩულით იკითხა: რა თქვაო იმპერატორმა.

ერთმა მარშალმა უთარგმნა: ლაშქრის ღმერთიაო ის.

— ვინ? — ისევ იკითხა ჟერომმა.

— ბაგრატიონი! — კბილებიდან გამოსცრა მარშალმა და გუნებაში შეუკურთხა ჟერომს: რა ხეპრე ვინმე ხარო.

შავ ყაბარღულ მერანზე ამხედრებულ ბაგრატიონთან მალემსრბოლი მიიქრა: ნაპოლეონი ბრძოლის ველს ათვალიერებსო:

ქორული თვალები მიაპყრო გენერალმა შევარდინოს. უყვარდა ბაგრატიონს ამ სოფლის სახელი. ალბათ იმიტომ რომ ქართულ სიტყვას შევარდენს აგონებდა. მოვერცხლილ უზანგებზე მგლის მუხლი გამართა ბაგრატიონმა და შევარდინოს გახედა კოვრიტით.

— На по.те он! — მშვიდად თქვა ბაგრატიონმა.

ამ დროს კუტუზოვის შიკრიკი მოიქრა. როგორია ბაგრატიონის ფლეშებზე განწყობილებაო, კითხულობდა ფელდმარშალი.

ალბათ ჭარის გასამხნევებლად თქვა ბაგრატიონმა:

— ნაპოლეონს თავს არ მოვჭრით, მაგრამ თავმოჭრილი კი წავა ბოროდინოდან!

თათქოს ეს საუბარი გაიგონაო, ნაპოლეონმა თითი ასწია, და ოთხასმა ქვემეხმა ერთდროულად იქუხა. იქუხა და მერეხად დაატყდა თავს ბაგრატიონის ფლეშებს. პასუხად სამასი რუსული ქვემეხი აალაპარაკა ბაგრატიონმა.

შვიდასი კურვი სკდებოდა ერთ კვადრატულ კილომეტრზე. კვამლის შავ ჭანღში წამდაუწუმ იკვესებოდა გრანატების წითელი ცეცხლი.

იღგა დენტისა და სისხლის სუნი.

მიწა გუგუნებდა ცხენების ფლოქვების ცემით.

ქვემეხი ერთმანეთს მშვიერი ხიმტები.

სისხლს სვამდნენ შიშველი ხმლები.

— ჰეა მაგას! — ყიოდა ორბივით ბაგრატიონი. რუსული „ურას“ ძახილი ზარბაზნების ქუხილს ფარავდა.

როცა ბაგრატიონმა მესამედ უკუაგლო ფლეშებიდან ფრანგები, გამეხებულმა ნაპოლეონმა მალემსრბოლი აფრინა მარცხენა ფლანგზე და შეუთვალა სამ მარშალს:

— მარშლებო! მინდა თავი წაგაცალოთ, მაგრამ ვშიშობ ბაგრატიონი დამასწრებს ამის გაკეთებას.

ბაგრატიონის ფლეშებთან მკვდართა გორები აღიმართა. ერთ წელიწადს გააძღობდა ევროპის ყვავე-ყორნებს აქ დაცემული ფრანგი და რუსი ჯარისკაცების გვამები. ნაპოლეონს კი ეცოტავებოდა.

იფატრებოდა ხიშტებით გულმკერდი.

მიწაზე გორავდნენ მოჭრილი თავები.

ბაგრატიონმა მეხუთედ უკუაგდო ფრანგები.

და ეურომმა უთხრა ნაპოლეონს: მარშლებს მივეშველებიო.

გამეხდა ნაპოლეონი. ღრმა ზურგში გაგზავნეთ ყეყეჩი ეურომი, სანამ ბაგრატიონის ხმლის კერძი არ გამხდარაო.

მაღემსრბოლმა ახარა ნაპოლეონს ბაგრატიონის ფლეშები მეშვიდედ ავიღეთო.

— დიდი ხანია დროა, — ჩაილაპარაკა ნაპოლეონმა.

მეორე შიკრიკი მოიჭრა, რუსებმა ფლეშები კვლავ აიღესო. ნაპოლეონმა ნერვიულად ბოლთას ცემა დაიწყო.

სულ ახლოს სკდებოდა ნაღმები.

ერთი ქურვი ფეხთან მიუგორდა ნაპოლეონს.

ფეხით გააგორა უკანვე იგი, თითქოს სათამაშო კენჭიყო.

— ქურვიც ძალას კარგავს ნაპოლეონის სიახლოვეს, — გაიფიქრა ბონაპარტემ, — რა გახდა ბაგრატიონი...

რუსები მერვედ იბრუნებდნენ ბაგრატიონის ფლეშებს. ბაგრატიონი შავ ელვასავით დაჰქროდა წინა ხაზზე, შავ ქურანზე ამხედრებულნი.

ბაგრატიონი პირველ ყოვლისა კარგი ჯარისკაცი იყო და მერე კარგი გენერალი. აღმერთებდა მამაც ჯარისკაცს, სიმამაცისათვის ღვი მტერსაც დაუკრავდა ტაშს. და როდესაც იხილა, თუ რა სასწაულებრივი სიმამაცით ეგებოდნენ რუსთა ხიშტებზე გულადი ფრანგები.

— ბრავო, ბრავო! — შესძახა ბაგრატიონმა.

უცებ შებარბაცდა დედამიწა...

ღიახ, დედამიწა და არა ბაგრატიონი.

რუსთა არმია დედამიწის შებარბაცებას უფრო დაიჭერებდა. ვიდრე ბაგრატიონის დაცემას.

ბაგრატიონმა კრილობაზე ხელი იფარა და ეზანგებზე შედგა... შავი მზე უცებ ბზრიალასავით დატრიალდა და სადღაც შორს მთებს იქით ჩაენარცხა ოკეანეში...

თავქვე ჩამოეკიდა უზანგებზე ბაგრატიონი.

— ბაგრატიონი დაიჭრა!

ამ სიტყვებმა ნაპოლეონის ოთხას ქვემეხზე უფრო ძლიერ შემუსრა რუსეთის არმია და ერთბაშად თითქოს ხერხემალი მოსტეხა. ცრემლი კვამლზე უფრო ახრჩობდა არმიას.

...ტბილი, იავნანასავით ტბილი გალობა ესმა მომაკვდავს.

— ბაგრატიონი დაიქრა!—თვალზე ცრემლი მოადგა კუტუზოვს.

— ბაგრატიონი დაეცა? კარგი გენერალი იყო, — თქვა ნაპო-
ლეონმა და ქუდი მოიხადა.

ცრემლი შეიმშრალა რუსთა არმიამ და გაცოფებით ეკვეთა
ფრანგებს.

ბაგრატიონი ბრძოლის ველიდან გაპყავდათ ჯარისკაცებს.

— ჩემი ბიჭები როგორ არიან? — იკითხა მომაკვდავმა.

— სტამბოლის კაჟივით! — იყო პასუხი.

მეტი ვერაფერი თქვა გენერალმა, ხმალი გადასცა მამაც დოხ-
ტუროვს.

ბაგრატიონის ხმალი ეკვეთა ფრანგებს.

...მგლოვიარე მთვარე ჩამოჯდა არყის ხეებზე. ბოროდინოს
ეპკურებოდა ნამი. ნამი? არა! დედათა და ქვრივთა, პატარძალთა
თბილი ცრემლი ჰბანდა სისხლისაგან ბოროდინოს მიწას.

ხმლებითა და ქურვებით უკვე დაწერილი იყო „ომი და მშვი-
დობა“.

ჰალარა რუსი მოხუცი, სწორედ ისეთი, „იგორის ლაშქრობის
ამბავი“ რომ დაწერა, ბრძოლის შემდეგ ბოროდინოში ლეგენდას
თხზავდა ბაგრატიონის ხმალზე, რომელიც გენერლის დაცემის შემ-
დეგ თურმე ბრძოლის ველზე გაიქრა და ფრანგების მთელი კოლო-
ნა ამოწყვიტა.

ამბობენ, დღესაც ბინდბუნდის ქამს ბოროდინოზე მოფრინდე-
ბიან არწივები კრწანისიდან და კულიკოვოს ველებიდან და ცისკრის
ქამამდე ყაშყაშებენ: უხმობენ ბოროდინოს არწივს.

ბოროდინო.

პუგაჩოვის ძმადნაფიცი ბარათაშვილი

საქართველო-რუსეთის ურთიერთობის მატრიანეში არაერთი
ბრწყინვალე პიროვნების სახე ანათებს. სახელოვან მამულიშვილთა
დიდ გალერეას ამშვენებენ თითქმის ყველა საუკუნის ადამიანები,
მაგრამ ყველა იმ დიდი თუ მცირე მოღვაწის სახელი, ვინც რუსეთ-
საქართველოს მეგობრობის ხიდს აშენებდა საუკუნეების მანძილზე
და მტლად დაედო ამ საქმეს, რა თქმა უნდა, ცნობილი არ არის.
საუკუნეთა მიღმიდან ანათებს მათე კეთილი საქმეების უქრობი სხივი.

სწორედ ასეთი სხივით არის გაშუქებული რუსეთში 1773-1775
წლებში გლეხთა აჯანყების ბელადის ემელიან პუგაჩოვისა და
ქართველი ბარათაშვილის ურთიერთობის ერთი ეპიზოდი. გლეხთა
ომი იაიკელი კაზაკების ლეგენდარული ბელადის ემელიან პუგაჩო-

ვას ხელმძღვანელობით მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა, ის უკვდავია და ამოუწურავი, ამიტომ მისი ყოველი დეტალი მუდამ საინტერესოა.

ერთ-ერთი ასეთი დეტალია პუგაჩოვისა და ბარათაშვილის, თავისუფლებისმოყვარე რუსი გლეხების ბელადისა და ქართველი მამულიშვილის, თავად ბარათაშვილის ერთგულების ფიცის დადების ფაქტი. მოსკოვში ძველი აქტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ინახება „სიმბირსკში 1774 წლის 2-6 ოქტომბრის პუგაჩოვის დაკითხვის ოქმი“, სადაც ვკითხულობთ: „არტილერიის კაპიტანმა თავადმა ბარათაშვილმა მას (ემელიან პუგაჩოვს — ვ. ა.)... ძმობა შეჰფიცა. (შემდეგ პუგაჩოვმა ისიც უჩვენა, რომ ძმადნაფიცობა ხანმოკლე აღმოჩნდა). მაგრამ ომში სად გაუჩინარდა იგი (ბარათაშვილი — ვ. ა.), მან არ იცის, გაუგონია (პუგაჩოვს), რომ ის გაიქცა, სხვა ხმებიც დადის, ის (ბარათაშვილი) აკუწესო“.

აღნიშნული ცნობა 1966 წელს ჟურნალ „ვოპროსი ისტორიის“ მე-5 ნომერშიც არის გამოქვეყნებული, უფრო ადრე კი, ჯერ კიდევ 1858 წელს, რუსეთის ისტორიის და სიძველეთა საიმპერატორო საზოგადოების ჟურნალმა გამოაქვეყნა ფრაგმენტები პუგაჩოვის დაკითხვის ზემოხსენებული ოქმიდან.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი რ. ოვჩინიკოვი, რომელსაც ეკუთვნის ე. პუგაჩოვის საქმის გამოძიებისა და გასამართლების პირველი სრული მეცნიერული პუბლიკაცია, კომენტარებში შენიშნავს ბარათაშვილის შესახებ: „ბარათაშვილი არის თავადი, არტილერიის კაპიტანი სარატოვის გარნიზონისა, პუგაჩოვის მხარეზე გადავიდა მისი რაზმების მიერ სარატოვის აღების დროს. სხვა ცნობები მასზე არ მოგვეპოვება“.

რა დასკვნები შეიძლება გავაკეთოთ ამ წყაროებიდან? მართალია, არცერთი მათგანი არ მიუთითებს, რომ თავადი ბარათაშვილი ქართველია, მაგრამ ეს ხომ აქსიომაა და მტკიცებას არ მოითხოვს. ჯერ-ერთი, ცნობილია, რომ ბარათაშვილების გვარი, ისევე, როგორც ბევრი სხვა ქართული გვარი, წარსულში რუსულ ყაიდაზე იწერებოდა ბარათაშვილად ან ბარათოვად, მათ შორის დიდი მგოსნის ნიკოლოზ ბარათაშვილის გვარიც, დავით გურამიშვილი — გურამოვად და ა. შ. ცხადია, ბარათაშვილი რუსული გვარი არ არის. არც სხვა ხალხთა შორის მოიხსენიება ასეთი გვარი. მეორე — პუგაჩოვის ძმადნაფიცი ბარათაშვილი თავადია. ცნობილია, რომ ბარათაშვილები თავადები იყვნენ. მესამე — მართალია, პუგაჩოვის აჯანყება (1773-1775 წლები) მოხდა საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე (1801 წელი), მაგრამ ცნობილი ისტორიული ფაქტია, რომ რუსეთის არმიაში მანამდეც მსახურობდნენ ქართველები.

ჩვენს მოსაზრებებს ისიც აძლიერებს, რომ იმდროინდელ რუსეთში ბარათაევი გამონაკლისი არ არის. სხვა ქართველებიც ჩანან პუგაჩოვის ეპოქის რუსეთში. მაგალითად, პუგაჩოვის საქმეებში, რომელიც გამოაქვეყნა რ. ოვჩინიკოვმა, მოხსენიებულია მეფის არმიის ოფიცერი ვინმე პაპავა, რომელიც არ გადასულა პუგაჩოვის მხარეზე, პირიქით, გააფთრებით ცდილობდა აჯანყების ჩაქრობას.

მაინც რა გზით შეიძლებოდა მოხვედრილიყო ქართველი თავადი ბარათაევი (ბარათაშვილი) სარატოვის გარნიზონში XVIII საუკუნის 70-იან წლებში? შესაძლოა, ეს ბარათოვი იმ ქართველ ჰუსართა პოლკიდან იყოს, რომელიც შეიქმნა რუსეთში ვახტანგ VI ამალის წევრებისაგან 1738 წელს იმპერატრიცა ანა იოანეს ასულს დროს. როგორც ცნობილია, მათ მამულები დაურიგეს უკრაინაში, ურალში, ყაზანში, ვოლგისპირეთში და რუსეთის სხვა ოლქებში. პუგაჩოვის ძმადნაფიცი ბარათოვი, ეტყობა, ვოლგისპირეთში დასახლებული ქართველი ჰუსარია ან მისი შთამომავალი. ის სარატოვის გარნიზონის ოფიცერია. ზუსტად მისი დადგენა შეიძლება ალბათ 1739 წლის ისტორიული დოკუმენტიდან — ქართველ ჰუსართა პოლკის ნუსხიდან.

ერთი რამ მაინც ფაქტია: ეს ბარათაევი მოსკოვში ქართული კოლონიის წევრია, დავით გურამიშვილის თანამედროვე ბარათაევი. დავით გურამიშვილი ხომ პუგაჩოვის აჯანყების მომსწრეა, უფრო მეტიც, მას შემდეგ პოეტმა თითქმის ორი ათეული წელი იტოცხლა. ასე რომ, პუგაჩოვის ძმადნაფიცი ბარათაშვილი სავსებით დასაშვებია ქართველ ჰუსართა პოლკიდან იყოს.

მართალია, პირველი ქართული კოლონია რუსეთში იმერეთის მეფემ, პოეტმა არჩილ II დააარსა 1685 წელს, პეტრე I დროს, მაგრამ ბარათაშვილი მაინც ვახტანგ VI ამალაში უნდა ვეძიოთ.

კვლევა-ძიების შედეგად, საბოლოოდ, ბარათევის რომელიც გნებავთ იმ ქართველი ბარათაშვილის პიროვნებასთან ისტორიული იდენტიფიკაცია რომ არ მოვახდინოთ, მთავარი მაინც ის არის. რომ ეკატერინე II არმიის ქართველი ოფიცერი თავადი ბარათაშვილი დალატობს სამეფო ტახტს და გადადის აჯანყებული გლეხებისა და კაზაკების მხარეზე, მეგობრობისა და ძმობის ხელს უწყდის რუსეთის გლეხთა აჯანყების ბელადს ემელიან პუგაჩოვს. ეს იყო ორასი წლის წინათ.

ეს საქართველოს და რუსეთის მოწინავე ადამიანების მეგობრობის ერთ-ერთი ამაღელვებელი და ღირსსახსოვარი ფაქტია.



ოგის ეკო

სიძღვრა სხსხლში

ლიტვა ეპიკოდა თავის გმირს...

ვარსკვლავები ქრებიან, მაგრამ მათი შუქი დიდხანს უნათებს ადამიანებს. ასე გამოანათა დაეიწყების ბურუსიდან გიორგი დვალაძის ცხოვრებამ.

ლიტვაში 1943 წელს ფაშისტებთან ბრძოლაში გმირულად დაცა პარტიზანული რაზმის „სამშობლოსათვის“ მეთაური კაპიტანი არტილერისტი გიორგი დვალაძე.

ქარს მიმოეფანტა ამ ადამიანის ცხოვრების ფურცლები. უამთასვლას და დაეიწყებას წაეშალათ ისინი. ჩვენ ვაგროვებდით მისი ცხოვრების გაფანტულ ფურცლებს... შრიალებდნენ ისინი ლიტვაში, ციმბირში, ბელორუსიაში, საქართველოში. ვაგროვებდით, რომ შეგვეკრა ისინი გიორგი დვალაძის ცხოვრების წიგნად.

! ზზა რაჭაში მიდის...

...რაჭა-ლეჩხუმის დალოცვილ მიწაზე, რიონის პირას ჰყვავის ქართული სოფელი კვაცხუთი. თუ ლეგენდებს დაეუჯერებთ, კვაცხუთიდან მოჩანს მწვერვალი, სადაც პრომეთემ ხალხს დაურიგა მოტაცებული ცეცხლი. ამიტომ ანთია პრომეთეს ცეცხლი ამ მთების მკვიდრთა ძარღვებში. აქ ეზიარა გმირობის ცეცხლს გიორგი დვალაძეც. შევენახეთა და მწყემსთა მიწაზე, მიწაზე, რომელსაც ლეგენდათა და თქმულებათა სურნელი ასდის. სვანეთის საზღვართან, ამბროლაურის რაიონში სოფელ კვაცხუთში დღესაც ბოლავს დვალაძის კერა, რომლის სხვენზე დგას მუხის აკვანი, ქართული ორნამენტით მოხატული. ამ აკვნიდან აფრენილ არწივებს ფრთები შეაღწა დრომ. მთელ რაჭაში განთქმული მზარეულის ლუკა დვალაძის უფროსი ვაჟი მენშევიკებმა დახვრიტეს ბათუმში. მეორეს კი — გიორ-

ვის, კომუნისტსა და პარტიზანს, საუკუნოდ სძინავს ლიტვის მიწაში. აქ, ლიტვის ცის ქვეშ, ის იცავდა მშობლიურ კერას, დედის ჰალარას, მიძინებული აკვნების სიჩუმეს, ნერისის სუფთა ჰავლები ისევე იტაცებდნენ მას, როგორც მტკვრის ლაქვარდები. სიკვდილის წინ მისი ბაგენი დედის მკერდს კი არა, ლიტვის თბილ მიწას ეამბორნენ...

რიონის პირას დაბადებული ბიჭი მტკვრის ნაპირას დავაჟკაცდა. უმამო ბიჭის ხასიათი მკაცრმა მთებმა გამოაწრთო. თბილისში წამოიყვანა შუათანა ძმამ შაქრომ ჟორჯი. აქ ჯერ ხელოსნობას სწავლობდა გიორგი, მერე მუშტაკში შევიდა. ძალიან უყვარდა თურმე სამხედრო ხელოვნება. მაკედონელიდან ჩაბაევამდე სულ გაზეპირებული ჰქონდა მხედრიონის დიდოსტატთა ბიოგრაფიები. როცა ჯარში მიდიოდა, ნათესავები ტიროდნენ, გიორგი კმაყოფილი იყო: ახლა კი ნამდვილი სამხედრო გავხდებო. ჯიუტი იყო. იტყოდა, გააკეთებდა. ჯარიდან შინ არ დაბრუნებულა. ზევადიან სამსახურში დარჩა... აქ თავდება გიორგი დვალაძის ცხოვრების ქართული ფურცელი.

ლიტვის ეპოპეამდე ჯერ კიდევ წინ არის ციმბირული და ბელორუსული ფურცლები გიორგი დვალაძის ცხოვრებისა.

მონუსი ეპიკოს ნაამგოვი

...ციმბირი, მეირმეობის კოლმეურნეობა ტომსკის ოლქის ჩრდილოეთში. გათოშილი მთვარე ჰკიღია ციმბირის ნაძვებზე. ხეებს სიცივისაგან აკანკალებს. 1937 წელია. ღრმა ტაიგაში მიდის ჟორჯი მეგობრებთან ერთად. გადის ერთი დღე, მეორე.. გზას კარგავენ. ჟორჯი არ ეცემა სულით, არც სიცივე, არც შიმშილი არ აკრთობს. ტაიგაში მონადირე ძველი ადათის მიხედვით წასვლის წინ ხტუმართათვის ტოვებს შეშას, ცეცხლს, საკვებს.

გიორგის ცრემლი ერევა. ნუთუ ამ კლდისგან ნათალ კაცს ტირილი შეუძლია. ის აადელვა ადამიანის ზრუნვამ ადამიანზე. აი ვიღაც მიდის შენზე წინ გათოშილ ტაიგაში და გიტოვებს სითბოს.

ვიღაც ცეცხლს ანთებს. გიორგი უსიტყვოდ აქრობს.

— ჩვენ რა შეგვიძლია დავუტოვოთ ადამიანებს, როდესაც წავალთ? ჩვენ ჯარისკაცები ვართ, ავიტანთ. იქნება სუსტები მოდიან ჩვენს ნაკვალევზე.

— ყველაფერი დავტოვებთ როგორც იყო... იმ ადამიანებს დავუტოვებთ, რომლებიც ჩვენს უკან მოდიან.

მობხუცი ევენკი, რომელიც გიორგის ამბავს ჰყვებოდა, გაჩუმდა. თითქოს გულში რაღაც ჩაწყდა.

— თავისი დაუმთავრებელი ცხოვრებაც აღამიანებს გაუყო გიორგიმ, რომ მისი წილი სხვებმა იცხოვრონ...

სიმბირი, ხასანი, ფინეთი...

ვფურცლავ გიორგი დვალაძის ცხოვრების წიგნს. ეს სტრიქონები აღამიანთა მეხსიერებიდან და მტვრიანი არქივებიდან არის ამოკრეფილი. ისინი იწერებოდნენ დროის ნერვული ხელწერით, ხან ბუნდოვნად, ხან გარკვევით.

...ციმბირის საარტილერიო სასწავლებელში, რომელიც 1936 წელს დაამთავრა გიორგი დვალაძემ და მიიღო ლეიტენანტის წოდება, მე მივედი დეკემბრის სუსხიან დილით, მეოთხედი საუჯუნის გავლის შემდეგ. მე დავაგვიანე 25 წლით. თვითონ გიორგი ყველაზე უკეთ მოგვითხრობდა ყოველივეს, მაგრამ, ამბობენ, თავის თავზე ლაპარაკი არ უყვარდაო.

ციმბირში მან საბოლოოდ გამოაწრთო თავისი ბასიათი. გაყინულ ობში ჩადიოდა თურმე საბანაოდ.

ტომსკში დაქორწინდა გიორგი ციმბირელ ქალიშვილზე — ოლგა ბორზუნოვაზე. აქ დაებადა ვაჟიშვილი შალიკო, რომელიც ამჟამად კუზბასის შახტებში მუშაობს.

გიორგი დვალაძე იყო ჩასკვნილი, შავგვრემანი, საშუალო ტანის, არწივული ცხვირი ჰქონდა, — ამბობს გიორგი ბორზუნოვი, — დვალაძის ცოლისძმა.

სიძნელეებით იყო აღსავსე გიორგი დვალაძის თაობის ბიოგრაფია. გიორგიმ თავისი თაობის ჭირიც და ლხინიც გაიყო.

ომის ღმერთი არესი შეიქრა გიორგი დვალაძის ცხოვრებაში. 33 წლის კაცი (როგორც პიტლერელები წერდნენ, „ქრისტეს ასაკში“ შეებრძოლნენ გიორგი დვალაძეს) სამ ომში მონაწილეობდა: ხასანის ტბაზე იაპონელების წინააღმდეგ, ჩრდილოეთში თეთრ ფინელებთან, ლიტვაში გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ. პირველი ტყვიის გასროლა სამივე ომში მის თვალწინ მოხდა. სამივე ომში ბრძოლის პირველ დღეს დაიჭრა. პირველი საბრძოლო ნათლობა მან მიიღო ხასანის ტბასთან 1938 წელს, როცა საბჭოთა არმიამ გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა იაპონელ იმპერიალისტებს.

ხასანთან ბრძოლის ეპიზოდზე გიორგი დვალაძის ნაამბობს ასე იგონებს გიორგი დვალაძის ძმისშვილი, კომუნისტი სოსო დვალაძე, რომელიც თბილისში ცხოვრობს.

...დვალაძის ბატარის ოთხი ზარბაზნის ლულა დამიზნებული ჰქონდა იაპონელთა ზღუდეებს. აუღელვებლად გაჰყურებდა ზინოკ-

ლით დვალაძე, თუ როგორ უახლოვდებოდა იაპონელთა ბატალიონი მის პოზიციებს.

— ცეცხლი! — შესძახა ბოლოს მეთაურმა, და ერთდროულად დაიქუხა ოთხმა ქვემეხმა. ამ ხმაურში არავის არ გაუგია, თუ როგორ გაუარა ყბაში მეთაურს იაპონელი სნაიპერის ტყვიამ. გიორგი დვალაძე მხოლოდ ჩიტაში, სამხედრო ჰოსპიტალში მოვიდა გონს. იმ ბრძოლაში იაპონელებმა მწყობრიდან გამოიყვანეს გ. დვალაძის ბატარიის ერთი ზარბაზანი. მაგრამ თვითონაც ბევრი დატოვეს დაქრილთა და დახოცილთა სახით. ხასანთან ბრძოლის სახსოვარს ეძახდა თურმე გ. დვალაძე ნატყვიარს, რომელიც ყბაზე აჩნდა.

ციმბირის საარტილერიო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გ. დვალაძე ერთხანს მსახურობდა თბილისში, — მოგვითხრობენ შალიკო დვალაძე და გიორგი ბორზუნოვი. შემდეგ უორჯი გადაიყვანეს ბელორუსიაში, გომელში, ხოლო ფინეთთან ომის წინ გიორგი ლიტვის ქალაქ კლაიპედაში ცხოვრობდა.

ერთხელ იქიდან მივიღეთ წერილი მე მთელი სიცოცხლე მახსოვს სტრიქონები იმ წერილიდან, — ამბობს გიორგი ბორზუნოვი, — „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

გიორგი სიტყვის კაცი იყო. როცა ატყდა ფინეთთან ომი, გიორგი პირველსავე დღეს ფრონტის წინა ხაზზე იყო და მძიმედ დაიჭრა. 7 თვე იწვა ჰოსპიტალში. ტომსკში იღებდნენ მის ბარათებს ქალაქების — კელდანიის, კლაიპედის, შაულიაის შტემბელებით.

...ამას გვიამბობენ ცოცხალი ადამიანები.

ახლა მივმართოთ დოკუმენტებს, რომლებსაც ამას წინათ მოშორდა არქივის მტვერი.

ჩვენ წინ დევს მასალები, რომლებიც მოგვითხრობენ გიორგი დვალაძის, ლეგენდარული უორჯის შესახებ.

ჯიშკარიანის ბარათი

გადავფურცლოთ გიორგი დვალაძის ცხოვრების კიდევ ერთი ფურცელი. ეს ფურცელი შემოგვინახა ომის ვეტერანმა ქუთაისელმა მირიან ჯიშკარიანმა.

ჯიშკარიანი დვალაძესთან ერთად იბრძოდა ლიტვის მიწაზე ფაშისტების წინააღმდეგ. 1940 წლის სექტემბერში. მ. ჯიშკარიანი შეხვედრია გიორგი დვალაძეს ლიტვის ქალაქ კელდანიისში, სადაც იმჟამად დისლოცირებული იყო მეორე სატანკო დივიზიის მეორე საარტილერიო-საჰაუბიკო პოლკი. ამ პოლკში დვალაძე მსახურობდა ბატარიის მეთაურის მოადგილედ. ამასვე ადასტურებენ

ფუროსი ლეიტენანტის გიორგი ლუკას-ძე დვალაძის პირადი საქმის გაცვეთილი ფურცლებიც, რომლებიც ინახება ტომსკის საოლქო სამხედრო კომისარიატში. ეს ადამიანური დოკუმენტი, გერბიანი ბეჭდით დამოწმებული, 97 გვერდზე მოგვითხრობს ლიტვის გმირზე. აქაც სწერია, რომ გ. დვალაძე მსახურობდა მეორე სატანკო დივიზიის მეორე საარტილერიო-საპაუბიცო პოლკის ბატარიის მეთაურის მოადგილედ. აქ პაუბიცების კალიბრიც კი არის აღნიშნული — 122 და 152 მმ და, ბოლოს, ჩვენ წინ დევს სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს კადრების მთავარი სამმართველოს 1943 წლის 10 თებერვლის ბრძანება № 130-ის ამონაწერი, რომელშიც კონსტატირებულია, რომ გ. ლ. დვალაძე იყო მეორე სატანკო დივიზიის მეორე საარტილერიო-საპაუბიცო პოლკის მე-8 ბატარიის მეთაურის მოადგილე.

ჯიშკარიანი მოგვითხრობს, რომ გიორგი დვალაძე ძლიერ უყვარდათ ჯარისკაცებს. მას სიყვარულით ეძახდნენ „ჟორჯს“. ალბათ აქედან მოდის გიორგი დვალაძის პარტიზანული მეტსახელი „ჟორჯი“.

22 ივნისს საბედისწერო დილა გათენდა. ომის პირველსავე დღეს გ. დვალაძე ცეცხლის წინა ხაზზე იყო. 22 ივნისს 7 საათზე მესერშიტები უკვე ბომბავდნენ მეორე სატანკო დივიზიის პოზიციებს. დღის 12 საათზე ბრძოლაში ჩაებნენ ნაწილები, სადაც ჯიშკარიანი მსახურობდა. ეს იყო რასეინიაის რაიონში. 5-6-ჯერ გადავიდა ხელიდან ხელში ლიტვის პატარა ქალაქი რასეინიაი. დღის 3 საათზე ჯიშკარიანი დაიჭრა. მან გვიან გაიგო, რომ ამ დროს გ. დვალაძეც დაჭრილი იყო. ჯიშკარიანი 3 რუს და ლიტველ ამხანაგთან ერთად ტყე-ტყე უგზო-უკვლოდ ხეტიალის შემდეგ მოხვდა ფაშისტების ალყაში. დაკითხვისა და წამების მერე ისინი კედაინიაის სამხედრო ტყვეთა ჰოსპიტალში მოათავსეს, საიდანაც ისინი მალე გაიქცნენ.

კედაინიაიში ჯიშკარიანი დაუკავშირდა საბჭოთა ოფიცრების ცოლებს: ვალინა ბოლბერგს, შაკუნეტს, იგივე ალექსანდრა ივანეს ასულ კოროტკოვას, როგორც ეს დაადგინა ვახეთმა „სოვეტსკაია ლიტვამ“, და ვალია დოროშენკოს, რომლებმაც ვერ მოასწრეს უფაქუჩრება. მათი საშუალებით ჯიშკარიანსა და დვალაძეს შორის დაიწყო მიწერ-მოწერა. გ. დვალაძე ამ დროს უკვე აყალიბებდა პარტიზანულ რაზმს ლიტვაში.

მტრის ზურგში გამოჩანმრთელებული ტყვეები ფაშისტებმა გადაიყვანეს სამხედრო ბანაკში, რომელიც მეორე საარტილერიო-საპაუბიცო პოლკის ყოფილ საწყობში მოაწყვეს.

პარტიზანები ხელმძღვანელობდნენ ამ სამხედრო ტყვეთა გაქ-

ცევის. გესტაპოს ცხვირწინ მათ შექმნეს ტყვეთა გაქცევის მომწყობი არალეგალური კომიტეტი, რომელშიც გ. დვალაძეც შედიოდა.

დვალაძის პარტიზანთა დახმარებით ბანაკიდან მოაწყეს ტყვეთა გაქცევა გლადირმა და ჭიშკარიანმა, როგორც ეს უკანასკნელი წერს თავის წერილში. გიორგისა და არალეგალური კომიტეტის სხვა სამ წევრს ისინი შეხვდნენ კედაინიაში კომუნისტი ქალის ნასტიას სახლში. ნასტიას სახლში ჭიშკარიანმა და გლადირმა მიიღეს გრანატები და სხვა იარაღი და გიორგი დვალაძემ იმავე ღამეს ისინი გაგზავნა სოფელ მაციუნაში, რომელიც ქ. კედაინიაიდან 15 კილომეტრზე მდებარეობს. აქ იყო უორჯის პარტიზანული რაზმის მოქმედების ცენტრი.

პარტიზანები გ. დვალაძის მეთაურობით ავრცელებდნენ საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობებს, კაუნასში და ვილნიუსში დაბეჭდილ კომუნისტურ დოკუმენტებს, აგრეთვე ფურცლებს, რომლებსაც ყრიდნენ საბჭოთა თვითმფრინავები. მტრის ზურგში მოქმედებდა არალეგალური ორგანიზაცია ვიტასის მეთაურობით, რომელიც ქმნიდა პარტიზანული მოძრაობის კერებს, აიარალებდა მათ, ავსებდა ბანაკებიდან გაქცეული ტყვეებით, აფეთქებდნენ ხიდებს, რკინიგზებს და სამხედრო საწყობებს. ყოველივე ამაში აქტიურად მონაწილეობდა გ. დვალაძე. ფაშისტები ეძებდნენ პარტიზანებსა და კომუნისტებს. რამდენიმე ათეული კაცი მათ შეიპყრეს და მხეცურად აწამეს. მდგომარეობა კრიტიკული იყო.

— 1942 წლის აგვისტოში ტყეში გ. დვალაძის პარტიზანებს თავს დაგვესხნენ ფაშისტები, — ამბობს ჭიშკარიანი. ბრძოლით შევძელით ტყეში მიმალვა.

„ატივიზმი“

ჩვენ ხელთ არის გიორგი დვალაძეზე სხვა მასალებიც.

ფაშისტი ოკუპანტები ლიტვაში სცემდნენ უბადრუკ გაზეთს „ატეიტისს“ („მომავალი“) ლიტვურ ენაზე. ეს გაზეთი შემონახულა ლიტვის კვ ცენტრალური კომიტეტის პარტიის ისტორიის ინსტიტუტის არქივებში.

...1943 წლის სექტემბრის ერთ საღამოს კაუნასის კაფეებში და გზაჯვარედინებზე, თეატრებში და მოედნებზე გაზეთის გამყიდველი პატარა ბიჭუნები და მოხუცები 5 პფენინგად ჰყიდდნენ—„ატეიტისის“ ნომერს. ხმაჩახლეჩილნი გაჰყვიროდნენ:

— სენსაცია!.. სენსაციური ახალი ამბავი! წითელი პარტიზანების მეთაური უორჯი მოკლულია.

კმაყოფილების ღიმილით კითხულობდნენ გაზეთს დასავლეთი-

დან დაბრუნებული მისტერები, სვასტიკიანი ფაშისტები, ლიბიახი ლიტველი მემამულეები, აბოლებდნენ სიგარებს და სვამდნენ შავ ყავას...

...და გავიდა ოცი წელი. იმავე კაფეებსა და თეატრებში, კაუნასის იმავე ქუჩებში 1963 წლის 5 იანვარს აშრიალდნენ „ტიესისა“ და „სოვეტსკაია ლიტვას“ საღებავშეუქმურალი ფურცლები, რომლებმაც ამცნეს ლიტველებს, რომ ჟორჯი მეორედ დაიბადა, წითელ პარტიზანთა მეთაური ჟორჯი ცოცხალია. მაგრამ სადღა არიან ლიბიანი მისტერები, რომლებსაც ასე ახარებდათ ჟორჯის სიკვდილი. ეს პოლიტიკური ლემები აღგვილი არიან ხალხის ნებით, დროის მსახურალი ხელით პირისაგან მიწისა...

„ატეიტისი“ 1943 წლის 29 სექტემბრის № 226-ში წერდა, რომ რასეინიანის ტყიდან პარტიზანული ჯგუფი გადმოვიდა კაუნასის მაზრაში, ჩეკისკესის თეშში ტყეში მათ მოაწყვეს მიწისქვეშა ბინა. ედვ. სოკოლნიკასისა და ვლ. ჩიბილისის საშუალებით ჯგუფმა დაამყარა კავშირი მ. კიაუპას ანტიფაშისტურ არალეგალურ კომიტეტთან. მ. კიაუპა, ანტიფაშისტურ ორგანიზაცია „ბრძოლის“ მეთაური, მიდის პარტიზანთა ბანაკში, ხვდება წითელ პარტიზანთა მეთაურს (დედანში ნახმარია სიტყვა „ბელადი“), გადსცემს მას ფულს და იარაღს, მაგრამ ჟორჯი არ კმაყოფილდება რეგოლვერებით და მოითხოვს პარტიზანთა კომიტეტისაგან მეტ იარაღს. მ. კიაუპა და ვ. ტამოშაიტისი, ი. კოზლოვასა და პ. რიმშას დახმარებით შოულობდნენ იარაღს და მიჰქონდათ ტყეში. იმავე ვ. ტამოშაიტისის გვიან პარტიზანებთან მიაქვს იარაღი, აღჭურვილობა, რუკები, მიჰყავს პარტიზანულ რაზმში სამხედრო ბანაკებიდან გაქცეული ტყვეები.

1943 წლის 1 ივლისს წითელ პარტიზანთა ახალი ბინა მიგნებულ იქნა. მათი მეთაური და მისი მოადგილე ფაშისტებმა ადგილზე დახოცეს.

რა მოხსენდა ბერლინს...

„ატეიტისის“ ცნობა საინტერესოა იმით, რომ აქ ნათქვამია, წითელმა პარტიზანებმა ახალი ბინა დაიდეს იმ ტყეში, სადაც მოკლულ იქნენ გ. დვალაძე და მისი მოადგილე პ. ბარკოვეცი. მანამდე ეს რაზმი სხვაგან მოქმედებდაო. მაგრამ მის საომარ მოქმედებაზე ვერაფერს მოგვითხრობს, რადგანაც რაზმის ყველა წევრი გაუღეტილია. გადარჩენილნი მხოლოდ ეპიზოდურად მონაწილეობდნენ გ. დვალაძის რაზმის მოქმედებაში. მაგრამ გ. დვალაძის რაზმმა რომ დიდი ზიანი მიაყენა ფაშისტებს და იგი სერიოზული ორგანიზაცია იყო, ამაზე მიგვითითებს მეორე დოკუმენტი გერმანულ ენაზე, რომელიც ინახე-

ბა ლიტვის სსრ ცენტრალურ არქივში. აქ (კარადა № 1, საქმე № 10, ს, გვ. 73-74) ინახება „სს“-ელთა კაუპტშაფფიურერის ბორნაჟის მოხსენებითი ბარათი, რომელიც ბერლინში გაიგზავნა 1943 წლის 2 ივლისს, გიორგი დვალაძის პარტიზანული რაზმის განადგურების მეორე დღეს. დოკუმენტი შედგენილია 1943 წლის 1 ივლისს. მასში ნათქვამია:

„1943 წლის 1 ივლისს დაახლოებით 8 საათზე ლიტვის განყოფილებამ გვაცნობა, რომ 1 ივლისს ღამით ბაბტაის ოკრუგში (იგივე მაციუნაი) პარტიზანთა ბანდამ, რომელიც 30-ზე მეტი კაცისაგან შედგებოდა, შეიპყრო ერთი მეტყევე და წაიყვანა თავის მიწისქვეშა სადგომში. მეტყევემ შეძლო გაქცევა და აცნობა ბანდის შესახებ პოლიციას. გაქცევის დროს მეტყევე რამდენიმე გასროლით მსუბუქად დაჭრეს.“

ჩვენ დავადგინეთ, რომ ეს მეტყევე იყო ანტანას პრალგაუს-კასი, ლიტვის ნაციონალისტური პროფაშისტური ორგანიზაციის წევრი. იგი შემდეგში მოკლულ იქნა, — გვითხრა ანტანას გაბშისმა, ჟორჟის თანამებრძოლმა პარტიზანმა.

„ამ ცნობის მიღების შემდეგ, — განაგრძობს ესევე კაუპტშაფფიურერი ბორნაჟი, — პარტიზანთა ბანდის გასანადგურებლად შედგენილ იქნა დამსჯელი რაზმი ჰინდენბურგის სახელობის საავიაციო ესკადრილის, საველე ჟანდარმერიისა და გერმანული და ლიტვური პოლიციის ნაწილებისაგან. დამსჯელ რაზმს ებრძანა ბანდის აღმოჩენა, დევნა და განადგურება. და როცა ჩვენ ჩავედით ბაბტაისში (ს. მაციუნაი), აღგილობრივ პოლიციას უკვე ალყა შემოერტყა პარტიზანთა ბანდის მიწისქვეშა სადგომისათვის და დაედგინა, რომ ბანდა ტყეში მიმალულიყო.“

ამის შემდეგ ბორნაჟი აგვიწერს, რომ მიწისქვეშა სადგომი გაეთხარათ პარტიზანებს ს. მაციუნაიდან 1 კმ-ის დაშორებით, ჩრდილოეთით, ტყეში. მას ჰქონდა დაახლოებით 8 მეტრი სიგრძე და 3 მეტრი სიღრმე. სადგომში თავისუფლად დაეტეოდა 10-12 კაცი. პარტიზანებს ჰქონდათ აგრეთვე კარვები. პარტიზანებს გვერდით გაეთხარათ კა.

— მეტყევე გაიქცა დილის 4 საათზე, — განაგრძობს ესევე ოფიცერი, — ამიტომ ბანდას არ შეეძლო შორს წასულიყო. გადაწყვეტეს გაეჩხრიკათ ტყეები. პირობითი ნიშნები ამ ტყეებისა ოკუპანტების აღნიშვნით იყო 828/28 და 841/42. ესეველთა კაუპტშაფფიურერმა ბორნაჟმა ჰინდენბურგის სახელობის საავიაციო ესკადრილის, საველე ჟანდარმერიისა და გერმანული და ლიტვური პოლიციისაგან შემდგარი დამსჯელი რაზმი დაყო 2 ნაწილად. ერთმა მათგანმა ავიაციის ლეიტენანტის შელესის მეთაურობით ტყე გაჩხრი-

კა სამხრეთის მიმართულებით. მეორე ნაწილმა, რომელსაც საველე ჟანდარმერიის ობერლეიტენანტი ესკე ხელმძღვანელობდა, სრულიად მოულოდნელად პარტიზანთა თავდასხმა განიცადა. ესკეს შუბლში აძგერეს პისტოლეტების ტყვიების ჭერი. „სროლის შემდეგ ერთი ბანდიტი მოკლულ იქნა, — წერს ბორნაკი, — მეორე ცოცხლად შევიპყარი. მესამე გაგვექცა ხშირ ტყეში. მოკლული აღმოჩნდა ბანდის მეთაური“.

ბორნაკმა ბერლინში შეფების გული რომ მოეგო, კაპიტანი დვალაძე ებრაელ პოლკოვნიკად გაასაღა. ბორნაკის მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, რომ გიორგი დვალაძის მოადგილე პეტრე ბარკოვეციც, რომელიც ცოცხლად შეიპყრეს ფაშისტებმა, გმირულად მოკვდა. ფაშისტების კითხვაზე პეტრე ბარკოვეცმა უპასუხა, რომ ის არის სამხედრო ბანაკიდან გაქცეული მებრძოლი, პოლიტბელი, მაგრამ ბარკოვეცს სიტყვაც ვერ ათქმევინეს, თუ სად იმყოფებოდნენ პარტიზანები. იგი ჭიუტად დუმდა. ესეგელთა კაუბტშაფფიურერის ბრძანებით იგი ადგილზე დახვრიტეს. ასეთ ადამიანებს ზრდიდა და აწრთობდა გიორგი დვალაძე, — ამბობენ მისი თანამებრძოლები და ამყობენ გიორგისა და მისი მოადგილის პეტრეს გმირობით.

ბორნაკი შემდეგ წერს, რომ მოკლულ პარტიზანებს აართვეს მაუზერის და 08 სისტემის პისტოლეტები, რომლებიც, ბორნაკის აზრით, ბანდიტებმა წაართვეს საველე ჟანდარმერიას.

გიორგი დვალაძის პარტიზანული რაზმი რომ სამხედრო დისციპლინით განმტკიცებული, პოლიტიკურად მომწიფებული ორგანიზაცია იყო, ამაზე მეტყველებენ ნივთები და დოკუმენტები, რომლებიც იპოვნეს ფაშისტებმა პარტიზანთა მიწისქვეშა სადგომში დვალაძისა და ბარკოვეცის მოკვლის შემდეგ. აი ისინიც. პარტიზანთა ბანაკში დაცვის სამსახურის სტატუტი — 1 ცალი, საბანაკო სამსახურის ივლისის თვის გეგმა 10 გვარის დასახელებით, 2 ფურცელი სელნაწერი ადგილობრივი მოსახლეობისაგან რეკვიზირებული ნივთების ქვითრების დართვით. აქედან ირკვევა, რომ გ. დვალაძის პარტიზანები საჭირო შემთხვევაში ახდენდნენ მოსახლეობის ნივთების რეკვიზირებას და არა კონფისკაციას. მათ იცოდნენ, რომ მოსახლეობასთან კავშირშია პარტიზანული მოძრაობის ძალა. გლეხებს თავად მოჰქონდათ პარტიზანებთან სურსათ-სანოვაგე, ტანსაცმელი. დასახელებული ნივთები ალბათ კულაკებისაგან ან ბობოლებისაგან არის შეძენილი. გარკვეულ ეტაპზე ამ ფენებთანაც არ ღირდა ურთიერთობის გაფუჭება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 1941 წელს ლიტვაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მხოლოდ მე-2 წელი იყო. პარტიზანებს არა მარტო ფაშისტები, სოფლის მერყევი ელფ-

მენტებიც სდევნიდნენ. ამიტომ ძალიან რთულ პირობებში მოუხდა მოქმედება გიორგი დვალაძის რაზმს. აღსანიშნავია, რომ გ. დვალაძე შესანიშნავად გაერკვა მოქმედ კლასობრივ ძალებში. ის გონივრულ ორგანიზაციულ და ტაქტიკურ გეგმას ახორციელებდა.

ფაშისტებმა გ. დვალაძის პარტიზანული რაზმის ბანაკში იპოვეს წიგნი, რომელიც პარტიზანებისათვის ინსტრუქციებს შეიცავდა. „ეს იყო რომელიღაც ცნობილი საერთო საბჭოთა პარტიზანული სტატუტის ასლი“ — დასძენს ბორნაკი. აქვე ნახეს ესეივლებმა ბეკედი წარწერით „სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს! პარტიზანული რაზმი“. შუაში ამოჭრილი იყო საბჭოთა ვარსკვლავი, რომელშიც თავის მხრივ იყო ამოტვიფრული სიტყვები: „პარტიზანული ჩგუფი. სიკვდილი გერმანელ ფაშისტებს!“ იპოვნეს სხვა ბეკედიც „პარტიზანული ჩგუფის მეთაური“. ეს გ. დვალაძის პირადი ბეკედი იყო. ნახეს წითელი არმიის სამწყობრო სტატუტის რამდენიმე ფურცელი. ამ დოკუმენტების სულისკვეთებით ზრდიდა და აწრთობდა გ. დვალაძე თავის რაზმს. გარდა ამისა, პარტიზანული რაზმის პორტფელებში აღმოჩნდა კომუნისტური ფურცლები ლიტერურ ენაზე წარწერით „სახალხო ფრონტი“, რომლებიც დაბეჭდილი იყო 1943 წლის 1 ივნისს ქ. ვილნიუსში. იპოვნეს ფურცლები უკრაინულ ენაზე, რომლებიც ასევე ვილნიუსში იყო დაბეჭდილი მოწოდებით: „ამხანაგო უკრაინელებო! ძირს ფაშისტები! კმარა მათი ბოგინი!“. შემდეგ მოდის ფრაზები, რომლებიც გვაგონებს ზაპოროჟიელ კაზაკთა ცნობილ წერილს თურქეთის სულთანისადმი.

გერმანელებმა იპოვნეს სსრ კავშირის, ლიტვის გეოგრაფიული რუკები რასეინიასა და მაციუნაის ტოპოგრაფიული გეგმით. ფაშისტებმა ნახეს სამხედრო გეგმის ორი ესკიზი „გაუგებარ ენაზე“, როგორც წერს ბორნაკი. ჩვენი აზრით, ეს გ. დვალაძის ქართული წარწერებია. „სს-“ელთა კაუფშტაფფიურერი ბორნაკი წერს: „ნაპოვნი გეოგრაფიული რუკების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენ საქმე გვქონდა იმ ბანდასთან, ან იმ ბანდის ნაწილთან, რომელიც ცოტა ხნით ადრე მოქმედებდა რასეინიას მაზრაში. იქ მან ააფეთქა რამდენიმე მატარებელი და ტყვია-წამლის საწყობები“.

ასე წერდა ფაშისტი ბორნაკი გიორგი დვალაძის პარტიზანული რაზმის მოქმედებაზე. უფრო დაწვრილებითი ცნობები ჟორჯის პარტიზანული რაზმის აქტიურ მოქმედებაზე არ არსებობს, უფრო სწორად, ჩერჩეობით არ არის მიკვლეული. როგორც ლიტვის რესპუბლიკურ გაზეთ „ტიესის“ რედაქტორი გ. ზიმანასი წერდა გაზეთ „კომუნისტში“, გ. დვალაძის პარტიზანული რაზმის ყველა წევრი ამოქლიტეს ფაშისტებმა. ამბის მთხრობელიც არავინ დარჩა.

ამიტომ არის ერთგვარი ბურუსით მოცული გ. დვალაძის პარტიზანული რაზმის საომარ მოქმედებათა კონკრეტული ფაქტები ვინც ცოცხალი დარჩა, ისინი ეპიზოდურად მონაწილეობდნენ პარტიზანული რაზმის მოქმედებაში, ხოლო მეკავშირეები სამხედრო მოტივების გამო არ შეჰყავდა გ. დვალაძეს დაწვრილებით საქმის კურსში. მათ ეძლეოდათ მხოლოდ ერთდროული დავალება.

აი რამდენიმე მაგალითი, თუ როგორ დავალებებს აძლევდა ჟორჯი მებრძოლებს.

სამეფო ტყუილი

სიმონას რიშასს, რომელიც ამჟამად ს. მაციუნაიში ცხოვრობს, ჟორჯმა მისცა დავალება აეფეთქებინა რკინიგზა. მაგრამ რიშასი შეიპყრეს ფაშისტებმა და საფრანგეთში ამოყო თავი საკონცენტრაციო ბანაკში.

— მე ჟორჯმა დამავალა კაუნასიდან ტყვიამფრქვევი ჩამეტანა ტყეში, — ამბობს ანტანას გაბიში, რომელიც ამჟამად ქ. კედიანიში ცხოვრობს. მე ცხენი ვერ ვიშოვნე. ჟორჯი ლიტვურად უკვე ლაპარაკობდა. წავიდა სოფელში და ცხენი მომგვარა. საჭირო ინსტრუქცია მომცა. ფურგონით მომქონდა კაუნასიდან თივის ქვეშ დამალული ტყვიამფრქვევი. გზაში გესტაპომ გამაჩერა.

— სად მიხვალ? — გვითხრა მრისხანედ შტურმფიურერმა.

— ექიმთან, ჰერარ შტურმფიურერ, ხელი მტკივა, — თავი მოვისაწყლე, — ამბობს გაბიში. — ხელი მართლა შეხვეული მქონდა. — ეს თივა კი ნათესავთან მიმაქვს ქალაქში.

— საბუთები!

— მე გავუწოდე საბუთები.

ამხედ-დამხედა. და, ჰოი სასწაულო, არც გაუჩხრეკია ჩემი ფურგონი. თივის ქვეშ ტყვიამფრქვევი, ოთხი გრანატი, 1000 ვაზნა იყო დამალული. მე შშვიდობიანად მივალწიე კარალგინის ტყეს, რაც „სამეფო ტყეს“ ნიშნავს ლიტვურად. ჩემს უკან თურმე ჟორჯ დვალაძის ორი პარტიზანი — საიდუმლო დაცვა მოდიოდა. ისინი ამბობდნენ, ის იყო გრანატების აფეთქებას ვაპირებდით, რომ შტურმფიურერმა უვნებლად გაგატარაო.

კიდევ ერთი დრამატული ეპიზოდი გვიამბო გაბიშმა ჟორჯის ცხოვრებიდან. როცა მეტყვევებ გაექცათ, ჟორჯმა განკარგულება გასცა, რომ რაზმს ადგილსამყოფელი გამოეცვალა. ეს სწრაფად მოხდა. მაგრამ ჟორჯს გაახსენდა, რომ მიწისქვეშა სადგომში დაგვრჩა გრანატები. ამასთანავე ჟორჯი ელოდა რაზმის შევსებას, რომელიც იმ სადგომში უნდა მოსულიყო

— ლაჩრებად ჩავგვთვლიან, რომ არავინ დავხვდეთ მათ იქ, — თქვა ქორჟმა და წასასვლელად მოემზადა. იცოდა, რომ აშკარა სიკვდილზე მიდიოდა, მაინც წავიდა. ჩვენს გასამხნევებლად კი თქვა:

— ნუ გეშინიათ, ბიჭებო, ფაშისტები ასე მალე არ მოვლენ, კიდევაც რომ მოვიდნენ, ვერაფერს დაგვაკლებენ...

ქორჟს პეტრე ბარკოვეციც გაჰყვა.

ნახევარ საათში სროლის ხმა გავიგონეთ.

მერე მითხრეს, — ამბობს ვლადისლოვას მალინაუსკასი, პარტიზანული რაზმის მეკავშირე, — რომ ქორჟმა პირველმა აუტეხა სროლა ფაშისტებს. იგი ტყვიამფრქვევის ჯერით დაცხრილეს.

უფარაჯო ჯარისკაცები

— გიორგი საოცარი სიმამაცის კაცი იყო, — ამბობს მალინაუსკასი. ქორჯი ჩემს სახლში იმალებოდა. მე ქალაქის აბანოს უფროსი ვიყავი ოკუპაციის დროს. ვახმისტრი ხშირად დადიოდა ჩემს სახლში. რატომღაც გული მეუბნებოდა, რომ ვახმისტრის ხშირი სტუმრობა კეთილის მომასწავებელი არ იყო. ქორჯი ვახმისტრის სტუმრობის დროს ღუმელს ამოეფარებოდა ხოლმე.

როცა არასასურველ ჩინოვნიკს გავისტუმრებდი, ქორჯი იტყოდა: როგორ მინდა მაგ შენს ღორის დინჯიან ვახმისტრს უღვაშები ავაგლიჯო... მოვა დრო, მოვა, ვლადისლოვას...

ფაშისტები ისე იყვნენ გამწარებული, რომ ქორჯის დამალვისათვის კი არა, მისი ხსენებისთვისაც ხვრეტდნენ ან საკონცენტრაციო ბანაკებში მიერეკებოდნენ ადგილობრივ მცხოვრებლებს. სახელი და პატივი იმ მოძმე ლიტველებს, რუსებს, რომლებიც სასიყვდილოდ სწირავდნენ თავს და იფარებდნენ გიორგი დვალიძეს. აი მათი სახელები.

ვლადისლოვას მიკალაუსკასი, ქსენია ალექსეევა, ონა პოვილაიტენე, მარიამ რუკუიენე, ანტანას გაბიში, სიმონას რიშასი, ვლადისლოვას მალინაუსკასი, გაბრიელ კალენსიკოვი, მიხალოვსკის ვლადას, ლეოპოლდას მონტვილა, რაჩკუვენე მარიონა და სხვ.

ესენი ძლიერი სულისა და გაუტეხელი ნების ადამიანები არიან. მათ დანახვაზე გახსენდება პოეტის სიტყვები: ამ ადამიანებისაგან ფოლადი შეიძლება გამოადნო, თანაც ისეთი, რომ ყველა ფოლადზე მტკიცე იქნება.

ჩვენ წინ დევს ლიტველი ჟურნალისტების კალმით შექმნილი წიგნი „უფარაჯო ჯარისკაცები“, რომელიც გასულ წელს გამოცემა ლიტვის სახელმწიფო გამომცემლობამ. ეს არის ნარკვევები ლიტვის პარტიზანულ და იატაკქვეშა ანტიფაშისტურ მოძრაობაზე. იგი გა-

იმოსაცემად მოამზადეს ლიტვის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის, გაზეთების „ტიესას“, „კაუნო ტიესას“, „კომოიუნიმო ტიესას“ მუშაუბრეებმა. ამ წიგნში მოთავსებულია ლიტველი ჟურნალისტის ი. შინკუჩაიტეს სტატია „კოვას“ („ბრძოლის“) ორგანიზაცია“, რომელშიც მოთხრობილია გიორგი დვალაძის პარტიზანულ რაზმზეც. მასში ნაწილობრივ ნათქვამია, რომ მიწისქვეშა სადგომის გათხრის და ჟორჟის პარტიზანთა რაზმის მეთაურად არჩევის შემდეგ მათ კავშირი დაამყარეს ცნობილ პარტიზანთან მარიონა მარმენესთან. ხშირად ტყის პირას მიდიოდნენ მამაკაცები და ჰკითხავდნენ მარიონას:

— სად არის გრძელუღვაშა ირემი?

ეს იყო პარტიზანთა პაროლი. მარიონას ისინი მერე მიჰყავდა ტყეში ჟორჟთან. მარტო ერთ ღამეს რაზმში მოვიდა 32 მამაკაცი, რომლებსაც თან მოჰქონდათ ხელის ტყვიამფრქვევები, ავტომატები, გრანატები. ეს ფაქტი მიგვითითებს, რომ საკმაოდ დიდი პარტიზანული რაზმი უნდა ჰყოლოდა გიორგი დვალაძეს.

სამწუხაროა, რომ უფრო დაწვრილებითი ცნობები არა გვაქვს ჟორჟის პარტიზანული რაზმის საომარ მოქმედებაზე. ზოგიერთს მიაჩნია, რომ გიორგი დვალაძის რაზმი მხოლოდ ემზადებოდა დიდი საომარი მოქმედებისათვის. ამ შეხედულებას ჩვენი აზრით, აბათილებს ზემოთ მოყვანილი მასალები. მაგრამ ყველა ერთ აზრს გამოთქვამს: გიორგი დვალაძე იყო თავგანწირული გმირი, ლიტვაში პარტიზანული მოძრაობის ერთ-ერთი უმამაცესი მეთაური, რომელმაც დარაზმა ხალხი ფაშისტებთან საბრძოლველად ურთულეს პირობებში. გიორგი დვალაძე იყო დიდი პატრიოტი. იგი უყვარა ლიტვაში.

ლიტვური საგა დვალაძეზე

ლეგენდაც კი მოვისმინე გიორგი დვალაძეზე.

...ცხრა მთას იქით მოარტყამდა ტყვიას ჟორჟი ფაშისტებს. ცხრაჯერ მოკლეს, მაგრამ ცხრაჯერ აღდგაო მკვდრეთით.

ფაშისტებმა ერთხელ ცეცხლი წაუკიდეს თივის ზვინს, სადაც დაქრილი ჟორჟი იმალებოდაო. ცეცხლმა გიორგი არ დაწვა, რადგანაც გიორგი ცეცხლის შვილი იყოო, ფაშისტებმა სასწაული ნახესო. „მინ გოტ“-ის (ღმერთო ჩემო!) ყვირილით დატოვეს ტყე, ჟორჟი კი თავის დედას — ცეცხლს ეხვეოდა და გამარჯვების სიმღერას მღეროდაო.

ასეთია თქმულება გიორგი დვალაძეზე.

ასეთია ამ მამაცი ადამიანის ცხოვრება.

„გეორგიას“ — მხვენელ-მთესველთა ქვეყანას ეძახიან ოდითგან

საქართველოს მოგზაურნი და გეოგრაფნი. გიორგის — მხენელ-მთესველს ეძახის თავის შვილებს დედა-საქართველო. შენ კი, გიორგი, არ გეღირსა ხელში გკუროდა გუთანი, შენ მაშხანა გეკირა ბელში. მაგრამ შენი ქართული გუთანი ხნავდა და ხნავს, და იმ სიკეთეს, შენ რომ დათესე, ვიმკით ჩვენ, შენი შთამომავალნი. შენი სიცოცხლე და სიკვდილი ჩვენთვის არის გამირობისა და მამულიშვილობის მაგალითი.

შენ გასწირე თავი, რომ ჩრდილი არ დასცემოდა ბავშვების ღიმილს, საპატარძლოთა უძირო თვალებს, რომ არ დაერღვიათ სიჩუმე შენი მთებისა, რომ არ აემღვრიათ სილაყვარდე შენი ზეცისა. დაე ყველაფერი ეს იყოს შენი საუკეთესო ძეგლი, გიორგი. შენზე გამოთქმულ ლიტერურ საგებს და ლეგენდებს ჩვენს მომავალ თაობებს გადავცემთ. შენ მეგობრობის კიდევ ერთი ბილიკი გაავლე საქართველოს, ლიტვას, ციმბირს და ბელორუსიას შორის. ამიტომ შენ უკვდავი ხარ, გიორგი.

ვილნიუსი-თბილისი.

ჟამი ყინვართა დნობისა

ნამდვილი ამბავი

მარუხის უღელტეხილზე ოცი წლის წინათ სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლები წარმოებდა გერმანელ ფაშისტებთან. აქ წყდებოდა ბედი ამიერკავკასიისა და ახლო აღმოსავლეთისა, რომელთა დაპყრობა განზრახული ჰქონდა ჰიტლერს.

ოცი წლის შემდეგ ყინვარები დადნა და სამამულო ომის ისტორიაში ახალი თავფურცელი ჩაწერა მარუხის უღელტეხილზე ნაპოვნმა დოკუმენტებმა.

გაჯითიზიადან.

მთის ფერდობზე ორბის ბუდესავით მოჩანს მწყემსთა ფარები. აქ ცა ისე ახლოსაა, კომბლით მისწვდები. ღამით ხევებში დევები ახველებენ, განთიადისას ხეობებს ოხშივარი ასდით.

— ეს დევები ხარშავენ ხაშს ირმის ჩლიქებისაგან, — იტყვის ხოლმე მცნობარი პაპა.

ნისლი თეთრია, როგორც ქალწულის მანდილი.

ცხრაწყაროს იქით სიბერისაგან დანაოკებული თოვლიანი მწვერვალებია. საოცარია მარუხის თოვლი, აისის ქამს ის ცისფერი, შუადღეზე — თეთრი, მწუხრისეჟამს კი — მეწამული...

ქალიშვილმა კაბის კალთები ოდნავ აიწია, შიშველი ფეხები მდინარეში ჩაყო. გააქრჟოლა; ეამა. ნისლი ფარავდა მარუხის უღელ-

ტეხილს, სქელი თეთრი ნისლი. ცნობისმოყვარე თვალისაგან დაცული იყო: მწყემსებმა დილით შორს გარეკეს ფარა და საღამომდე არ დაბრუნდებოდნენ. შიშველ ქალიშვილს ირმები თუ დაინახავდნენ ან ჯიხვები, ისიც არწივის საფრენი სიმაღლიდან. ქალიშვილმა ტანთ გაიხადა და გიჟმა მდინარეში ათრთოლდა თეთრი სხეული.

ვინ იცის რას ნატრულობს ქალწულის გული, როცა მთებში დგას უამი ყინვართა დნობისა და სხეულში მთის მდინარესავით ხმაურობს სიყვარულის ასაკი.

როცა სხეული ივსება მთის ჰაერით, ხეობათა სიცივით, თოვლის სითეთრით და მთის ყვავილების სუნთქვით, როცა მღვიმეთა შორის მეფობს რაღაც იღუმალება, პირველყოფილი, ჩუმი და მიმზიდველი, როცა პირველქმნილი უმანკოებით სავსე მარუხის თოვლში გეგულება თეთრი ყვავილი, სიყვარულის ყვავილი. და გესიზმრება კაბუჯი მთრთოლვარე ბაგეთი და თეთრი ყვავილით ხელში. მაშინ ყველაფერი გიყვარს: ხავსიანი ლოდებიც, კლდიდან გადმონადენი ჩანჩქერებიც, ირმის ნაფეხურებიც, მწყემსთა ფარეხიც, ლეგა ღრუბლებიც, ყველაფერი, რასაც თვალი ხედავს.

მდინარეს მოჰქონდა თეთრი ყვავილი, მარუხის თოვლზე უთეთრესი და უწმინდესი. ქალიშვილმა გრძელი და მოქნილი თითებით დაიჭირა, ბაგე დააკონა, თმაში ჩაიწნა და სარკესავით ჩაიხედა ლურჯი თვლებით მთის ანკარა წყაროში. ნატამ ცხადად დაინახა: გამკვირვალე ჩქერებში მის ტანს შეეხო რაღაც უცნაური სხეული, ჩონჩხის მსგავსი.

ქალიშვილმა შეჰკიეღა და კალმახივით ადგაფუნდა წყალში. ხეობამ ხეობას გადასცა კივილი და ერთბაშად მთელმა ხევმა დაინახა აცხცახებულ ქალიშვილი, შიშით რომ იხედებოდა ჩქერებში. ტალღებს კი მიჰქონდათ ხავსიან ლოდებზე ადამიანის თავის ქალა, სწორედ ისეთი, როგორც ინსტიტუტის ლაბორატორიაში შემოქმონდა პროფესორის გამხდარ ასისტენტს ლექციის დაწყების წინ.

ხმაურობდა მდინარე, მაგრამ თითქოს უკვე ხეობაში კი არა, ქალიშვილის ძარღვებში. ეს ხმაური იყო რაღაც უცნაური, მრისხანე და მწუხარე. თითქოს ხავსიანი მწვანე ლოდები ხმაურობდნენ, სფინქსებივით ცას შებჯენილი კლდეები ყელში წაქერილი ლომებივით ბუხუნებდნენ, კისერს იტეხდნენ ჩანჩქერები.

ქალიშვილის თვალღებში ფერთა ქაოსი კრთოდა, როგორც აბსტრაქტულ ტილოზე, ქალიშვილის ყურებში ხმაურობდა კლდეთა სიმღერა — მწუხარე რეკვიემი. წყლიდან ამოვიდა, ხელის კანკალით კაბა ჩაიცვა.

ნატას უცებ ჰამლეტი მოელანდა თავის ქალით ხელში.

მერე არზაყან ზვამბაია მამის ძვლებით ავსებული ხურჯინით...

უცებ საშინელმა აზრმა გაუელვა ქალიშვილს.

— იქნებ დადგა ქაში მარუხის ყინვართა დიდი ღნობისა... იქნებ ეს მამის ძვლებია... ლეკვი ლომისა სწორია, — ფაიფიქრა ნატამ და გაეკიდა მამის ძვლებს.

ჩქარი დინება ფეხზე არ აყენებდა ქალიშვილს. არა, ეს არ იყო უკვე ნაზი ქალიშვილი, წუთის წინ მდინარეში რომ ბანაობდა. ეს იყო ძუ ვეფხვი; რომანტიკა ნაპირზე დარჩა, მდინარეში მიცურავდა ექიმი ქალიშვილი, რომელსაც ქირურგის დანით არაერთი გვამი გაუფატრავს, არაერთი თავის ქალა ასო-ასო დაუშლია. და ბოლოს ეს იყო შვილი, რომელსაც თავისი გაჩენის დღიდან დაკარგული მამის უქანასკნელ ნეშტს ართმევდა მდინარე.

ოცი წელი ელოდა ქალიშვილი მარუხის თოვლში ჩაფლული მამის დაბრუნებას.

...ღედა სხვას გაჰყვა, ლოდინმა დაღალა.

მამა არ ჩანდა. მამა, რომლის ქალა ახლა მდინარეს მოჰქონდა.

პაპა ტიმოთე ყოველ ზაფხულს აქეთ მოერეკებოდა კოლმეურნეობის ცხვარს. იმედი ჰქონდა: იქნებ ერთხელაც დადგეს ქაში მარუხის ყინვართა დიდი ღნობისა. აქ დავხვდები გამდნარ ყინვარებს, იქნებ მდინარეს ღვიძლი შვილის ძვალი მაინც წავართვაო. იხტიბარს არ იტენდა მოხუცი, შვილის საფლავეი მაინც მეცოდინებო...

..ტანზე ეკვროდა ქალიშვილს ვიწრო სველი კაბა. მანდილი წაართვა მდინარემ, ჩაინც მისდევდა მამის ნეშტს. მორევთან უწია. ხელი შეახო თავის ქალას და ისევ გააქრკოლა... ეს სიკვდილთან შეხვედრას უფრო ჰგავდა, ვიდრე მამასთან... ცივი და ჟრუანტელის მომგვრელი იყო თავის ქალა...

შორს იყო ფარეხიდან. ნუთუ გზას ვერ გაიგნებს. არა, ეს შეუძლებელია, მთებს კარგად იცნობს.

თვალწინ ახოვანი ვაჟკაცი წარმოუდგა. ეს მამის ჩვენება იყო. მდინარეს მიჰქონდა თავის ქალა... მაგრამ...

ეს არ იყო ნაშთი მამამისისა. ეს იყო ოდესღაც ლამაზი ჰაბუკის თავი, ჰაბუკისა, რომელსაც სიცოცხლეში არ რგებია ქალწულის გულმკერდის სითბო.

მდინარემ წაართვა თავის ქალა ქალწულს...

ეჰ, მთებს რომ შეეძლოთ ლაპარაკი, მარუხის თოვლის სევდიან საიდუმლოს გაუმხელდნენ ქალიშვილს.

არა, კლდენი ლაპარაკობდნენ, საზარელ ამბავს ყვებოდნენ, მაგრამ ქალიშვილმა არ იცოდა ენა მთებისა. კლდენი ყვებოდნენ. ოცი წლის წინათ მარუხისა და ქლუხორის უღელტეხილზე წყდებოდა საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ბედი, ფაშისტური სვასტიკის აჩრდილი დაეცა საქართველოს მთებს. მტერს უნდოდა ბათუმ-

თან შეერთება თურქეთის ჯართან. თურქი ღრინავდა და მოხრილი ნახევარმთვარიით ხარის რქასავით ირქინებოდა. გერმანელებმა ყველაზე პოეტური სახელები შეარქვეს თავიანთ დივიზიებს, „ნახტიგალი“ — ბულბული, „ედელვაისი“ — ულამაზესი თეთრი ყვავილი. თითქოს ცა შემოსწყრა პოეზიისა და ცეცხლის ქვეყანას — კავკასიას — ბულბულისა და თეთრი ყვავილის ნილაბიან ჰრელ გველებს უნდა დაეშხამათ ის.

ქულზე კაცი აღგა და მკერდი უფარა კლდეკარებს.

შენ, ქალიშვილო, მდინარეში თავის ქალა რომ დაინახე, ოცი წლის წინათ ის ულვაშებამწვანებული სვანი ვაჟკაცი იყო, გვარად წალანი.

მას აღიდებენ ლეგენდები მშობელ მიწაზე.

ჯიხვიც ვერ გაივლიდა იქ, სადაც წალანს გაჰყავდა მზვერავეები. მთამსვლელი იყო უშბა წალანი, მონადირე და მეცხვარე ბიჭი. უშბასავით უკვდავი ეგონა იგი ყველას, იმიტრომაც შეარქვეს უშბა.

...ერთხელ საბჭოთა მზვერავეების ჯგუფს მიუძლოდა თვალშეუდგამ ქარაფებზე. დაღამებამდე უნდა მიეღწია მღვიმემდე. ყინავდა, თოვლში ეფლობოდნენ მზვერავეები. სისინებდა მარტის თოვლიანი ცივი ქარი და ფარაჯას უფხრეწდა წითელარმიელებს. ასეთ ამინდში ორბებიც თვლემენ, ნადირები მღვიმეებს ეფარებიან. ადამიანიც გამოქვამულს ეძებს. ომმა თითქოს პირველყოფილ სადგომს დაუბრუნა ადამიანი, მის ხორცში ველური ვნება გააღვიძა და ნადირივით სისხლი მოაწყურა.

საით მიდიხარ, ადამიანო?

შეჩერდი!

— რათ არის მარუხის თოვლი სისხლიანი? — ეკითხება წალანი მთებს, მყინვარებს, ქარებს...

მღვიმეებში ფიქრებივით გაყინულან სტალაქტიდები.

ირგვლივ თეთრი და ცივი ღუმილი ღვას.

ზეავები არ მოვარდნილან ზათქით და მერეხით. არც ვულკანებს ამოუფრქვევიათ ცეცხლი და ლავა.

და მაინც აფეთქდა სიჩუმე მთებში.

წალანის რაზმი ჩასაფრებულ გერმანელ მზვერავეებს შეეფეთა, შეეფეთა და ხანჯლური ცეცხლი დაანთეს ავტომატებმა.

თოვლი ჯერ წითელი გახდა, მერე შავი, შუადღისას დაბნელდა უცებ.

...როდესაც გამოერკვა, წალანმა იგრძნო მკვდართან იწვა, როგორც კუბოში. გაიწია, ყინულის ლოლუები შემომბტვრია და ფეხზე ადგომა სცადა. ხელები უკანკალებდა.

გვერდით კვნესა მოესმა, მერე უცხოურმა სიტყვებმა გაბურღა ცივი ჰაერი.

მათი ფართოდ გახელილი თვალები ერთმანეთს შეეფეთა. ფრიცმა მღვრიე თვალები შეანათა წალანის მრისხანე და დაღლილ სახეს და ფინური დანა იძრო. წალანმა ავტომატი ასწია და ახლა შეამჩნია, რომ ბავშვური სახე ჰქონდა ფრიცს. წალანს უცნაურმა სურვილმა მოუარა. რატომ უნდა მოკლას იგი? მასაც ჰყავს დედა, სატროფო, სწყურია მზე, სიცოცხლე. ვინ მისცა ადამიანს ადამიანის მოკვლის უფლება?

ფიქრის დრო არ იყო. გერმანელი მოიწვედა. წალანმა სუსტი ხმით უყვირა, ხევებმა დააბოხეს მისი ხმა:

— გადააგდე დანა!

მაგრამ ისინი სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ.

ფრიცი კი თავად ეძებდა სიკვდილს. ავტომატიან მტერზე მოწვედა დანით ხელში. მისთვის სულერთი იყო: მიანიც სიკვდილი ელოდა მთებში.

წალანმა სასხლეტს დააკირა თითი. ავტომატი დუმდა.

ნუთუ ტყვიები გათავდა?! ამ აზრმა ტყვიასავით გაუარა თავში წალანს. ფრიცმა ხელი ჩაავლო ავტომატის ლულას. წალანი ხედავდა მის გალურჯებულ აკანკალებულ ბაგეს, ქუთუთოები ნერვიულად უთამაშებდა, წალანს სპირტის სუნი ეცა: შნაპსით იყო გახეთქილი გერმანელი მზვერავი.

ფიქრის დრო არ იყო. წალანმა ჯერ ავტომატის ლულა აძგერა მკერდში მომხვდურს, მერე ხელი სტაცა ფრიცს მარჯვენაში, დანის წართმევა მოუნდომა.

უფსკრულის პირას სამკვედრო-სასიცოცხლოდ შეება ერთმანეთს ორი კაბუჯი.

ქვრივდებოდა ორი გაუთხოვარი პატარძალი.

ცრემლი და ჭაღარა ემატებოდა ორ დედას.

ქარი ღრინავდა და უსტვენდა უფსკრულის თავზე.

მოქუფრული მწვერვალები ჩამავალი მზის სხივებმა სისხლისფრად შეღებეს.

წამით წამოდგა წალანი და მისი ვეებერთელა ლანდი დაეცა მწვერვალებს.

ხეობა ყვირილმა შესძრა. უფსკერო ხევისკენ მიჰქროდა ფრიცი. ველური ყვირილი იყინებოდა ჰაერში.

წალანი როგორც წამოდგა, ისევე ჩაიკეცა. მარუხის თოვლს მუწამული ფერით ღებავდა ქართველი ვაჟაკი.

ქარი სისინებდა გველივით.

წალანი დაქრილი იყო.

შიოდა...

სციოდა...

სწყუროდა...

არც წყალი, არც სითბო, არც პური.

იგი ფორთხვით წავიდა... მაგრამ საით წავიდეს? ირგვლივ თოვლი... თოვლი... თოვლი...

მარუხის თეთრი და მეწამული თოვლი.

ცივი, მუნჯი და ყრუ კლდეები.

ამ სიცივეში მხოლოდ ერთი გული ფეთქავს, ყინულზე სიცოცხლე სუნთქავს.

ძალა ელევია... მაგრამ ეს რა არის?

თეთრი ყვავილი თოვლზე, თეთრი ყვავილი. ყვავილი ცოცხლობს ყინულზე! წალანს ცრემლები მოერია. სუნთქვით გაათბო ვარდი ყინულზე.

— რა გაცოცხლებს ამ ყინულზე, საცოდავო თეთრო ყვავილო? — ეს გაიფიქრა, ვერ წარმოთქვა. წალანს ძალა არ ეყო, სტკიოდა მუხლის თავები და იდაყვები. ტენდა და ზარავდა ტანში.

— სიყვარული, სიცოცხლის სიყვარული, — უნდოდა ეთქვა თეთრ ყვავილს, მაგრამ წალანს გული წაუვიდა.

როცა გონს მოვიდა, გათოშილი ბაგით ეამბორა თეთრ ყვავილს. ეამბორა და თეთრი ყვავილი სისხლის წვეთებით შეღებდა. პირიმიზეს უყვარდა ეს ყვავილი, მის სატრფოს.

— შენ არა გაქვს სიკვდილის უფლება, — ჩურჩულებდა თეთრი ყვავილი, — წადი, ვაჟკაცო, ძალა მოიკრიბე.

— წავალ, — უნდოდა ეთქვა წალანს, მაგრამ ძალა არ ეყო.

ყომრალი ღამე საცაა წანიწვება მთებში. ხეებს მშვიერი ღამებით დაუღიათ ხახა. სისხლი სდის წალანს. სვავმა სისხლის სუნი იგრძნო. ქარაფიდან დაეშვა ქარიშხლის ფრთებით და შავი სიკვდილივით შეება მომაკვდავ კაბუქს... ხეში კვნესა და სვავის ფრთების ტკაცუნის ისმოდა.

დილით მზემ დახედა მარუხის თოვლს. იპოვნა ვაჟკაცის გვამი. ის ცალთვალა იყო. მეორე თვალი სვავს ამოეთხარა. ერთადერთ თვალში, როგორც სუფთა წყაროში, ჩარჩენილიყო შემზარავი სურათი: სვავს ბრჭყალებით მიჰქონდა ვაჟკაცის ამოთხრილი სისხლიანი თვალი...

ის ვაჟკაცი წალანის იყო, ქალიშვილო. ოცი წელიწადი მარუხის ყინვარი თოვლქვეშ ინახავდა მის ნეშტს. დღეს კი მდინარემ თავის ქალა ზღვისაკენ წაიღო. შენ კი მიდინარე, ნატა, მთაში, იქ სადაც ხარობს თეთრი ყვავილი და ბუდობს სისხლიანი სვავი.

— სად მიხვალ? — გეუბნება ლოდი, — ხიფათი არ შეგემთხვეს.

ბილიკი თითქოს წვიმას გაქცევია, მღვიმისკენ გარბის. უნც გაურბიხარ წვიმას, მღვიმეს გინდა თავი შეაფარო, შედინარ მღვიმეში, სიბნელეში რაღაც საგანს წაჰკარ ფეხი, ცეცხლმქრობივით აშიშინდა იგი და უცებ მთები შეარყია ქუხილმა.

ექომ მერეხივით გადაუარა კიუხებს. მწყემსები შეაძრწუნა ქუხილმა, ყვირილითა და თოფის სროლით უპასუხეს მთების რისხვას. მღვიმისაკენ მორბოდნენ ისინი.

და იხილეს საშინელი სურათი.

კართან ეყარა ქალიშვილს კაბის ნაფლეთები, სისხლი შეშხეფებოდა მღვიმის ნესტიან კედლებს, კართან ესვენა ნაღმით დაფლეთილი ქალწულის მკერდი, რომელსაც ჯერ არც ვაჟკაცის ხელი, არც ფუნჩულა ბავშვის ბაგე არ შეხებია.

გულშემზარავად ტიროდა მოხუცი მცნობარი და ხევეები ზარით აძლევდნენ ბანს.

ზევით მთებში კი მყინვართა დიდი დნობის უამი დამდგარიყო და მარუხის თოვლში ოც წელს შენახული გვამები მდინარეებს ჩამოჰქონდათ ძირს.

— რა მოხდა?

ვერავინ გაიგო, თუ ვინ იკითხა. იქნებ მთებმა აიღგეს ენა და იკითხეს.

— ომის ექოა, ფაშისტთა დანატოვარი ნაღმები აფეთქდა გამოქვამულში.

ვინ უპასუხა?

— ადამიანმა.

ქალარა მცნობარი კლდეებს ელაპარაკება კაცივით:

— აქ ფარეხი კი არა, „რა მექნას“ ციხე მედგა, ზედ ჯავრი მქონდა კარად შემბული, ესლა რალა ვქნა?

სიყვარულის ასაკში რად მოჰკალი ქალწული, სიკვდილო?

— იმედის ციხე აიგე, მოხუცო, — ამბობენ მთები, — ზედ სიხარული შეაბი კარად.

...მარუხის მთებში წყალდიდობაა. ნიაღვრებს მოაქვს სევდასავით მძიმე ლოდები. ხმაურობს ხევი, ბლავიან ირმები.

მთებში კვლავ მოვა უამი მყინვართა დიდი დნობისა, ახმაურდებიან ნიაღვრები, მაგრამ ისინი არასოდეს არ ჩამოიტანენ ადამიანთა გვამებს მწვერვალებიდან.

კლდიდან დაგორებული ქვებიც ნატრობენ მარუხის მთებში: — ნეტავ არ გავხდეთ ქვა საფლავისა.

და მარუხის თოვლში მზისკენ მიიწევენ თეთრი ყვავილები.

ოპერაცია „ედელვაისის“ აღსასრული

ქართული დივიზიის საგმირო ეპოპეა ელის თავის პოეტს და ყალმის ოსტატებს. თუმცა უკვე დაიწერა წიგნი. გადაღებულია დოკუმენტური ფილმი, დიდი ტრაგედია და დიდი გმირობა ამ მხედრობისა ეკრანზე, ტილოზე, მარმარილოში მხატვრული გამოკვეთის ღირსიც არის.

მე რომ მოქანდაკე ვიყო, ქვაში გავაცოცხლებდი მოცარტის „რეკვიემს“ და დავდგამდი აზოვის ზღვის პირას ანაპაში, ყუბანის დაბა ჩერნოერკოვსკოეში, ხუტორ კალაბატკაში, ხუტორ ბელიკოვში. სადაც 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის მეომართა ასეულები მარხია...

ვინ მოთვლის კიდევ სამომ საფლავებს...

დედა თბილისსაც დაამშვენებდა გმირთა მოედანზე დიდ სამამულო ომში დაღუპული მეომრებისადმი მიძღვნილი ძეგლი. სიტყვა მოქანდაკეებს ეკუთვნით... ვინც შეძლებს ქვაში გამოკვეთოს რუსთაველის აფორიზმი „სჯობს სიცოცხლესა, ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“, ის აუგებს ქემპარიტ ძეგლს ქართულ დივიზიას, მის ლეგენდარულ პოლკებს, რომლებმაც ამიერკავკასიისა და ჩრდილო კავკასიის ფრონტების ჯარებთან ერთად ჩაფუშეს ჰიტლერის ყბადაღებული სამხედრო ოპერაცია „ედელვაისი“.

„ედელვაისი“ ლამაზი ალბური ყვავილია, ხუთქიმიან ვარსკვლავს ჰგავს. გოეთეს ენაზე ის „კეთილშობილურ სითეთრეს“ ნიშნავს. რა ქკუაზე იყო ცოფიანი ფიურერი, როცა კავკასიის დაპყრობის ველურ გეგმას „ედელვაისის“ არქმევდა, ამის შესახებ ისტორიკოსები სდუმან. იმას კი ამბობენ, რომ ეფრეიტორი ადოლფ ჰიტლერი იშვიათად იყო პოეტურ განწყობილებაზე, მას შემდეგ, რაც სამხატვრო აკადემიაში ვერ ჩააბარა გამოცდები... და ჩაიქრა.

ასე იყო თუ ისე, ერთი რამ ფაქტია.

ჰიტლერის კკუთით ოპერაცია „ედელვაისის“ განხორციელება პირველ რიგში მესამე რაიხის ნალებიანი ჩექმებით საბჭოთა საქართველოს გათელვას ნიშნავდა. სისხლიანი ტევტონური მახვილი სასიკვდილოდ დაუმიზნეს საქართველოს გულს.

ყბადაღებული „დრანგ ნახ ოსტენის“ გეგმით 80 დივიზია დაძრა ჰიტლერმა მარტო კავკასია-სტალინგრადის მიმართულებით. ეს 80 დივიზია დაიყო ორ დაჯგუფებად. დაჯგუფება „ა“, რომელსაც უნდა დაეპყრო შავი ზღვისპირეთი ყირიმიდან ბათუმამდე, და დაჯგუფება „ბ“, რომელსაც ვოლგისპირეთი უნდა დაელაშქრა. დაჯგუფება „ა“-ს ჯარებს, მათ შორის სპეციალურ ალბურ კორპუსს და 49-ე ალბურ მთიელ მსროლელთა დივიზიას, რომლებსაც ნორვეგი-

ის, იუგოსლავიის, საბერძნეთის მთებში ბანდიტური ბრძოლების უდიდესი გამოცდილება ჰქონდათ, უნდა დაელაშქრათ საბჭოთა საქართველო, აეღოთ ქალაქები — სოხუმი, ქუთაისი, თბილისი, ბათუმი. ორ სატანკო არმიას უნდა აეღო გროზნი და ბაქო.

ასეთი იყო კავკასიის დაპყრობის ფაშისტური გეგმა „ედელვაიკი“. ამ მრისხანე ძალას წინ ედგა საბჭოთა არმიის სხვა ნაწილებთან ერთად სახელგანთქმული ქართული 414-ე მსროლელი დივიზია (მეთაური პოლკოვნიკი გ. ყურაშვილი) თავისი ლეგენდარული პოლკე-აით. დივიზიას ანაპის, ხოლო პოლკებს სეფასტოპოლის პოლკების საპატიო სახელი მიანიჭა უმაღლესმა მთავარსარდლობამ. ამ პოლკებს მეთაურობდნენ გ. მანაგაძე და ე. ქანთარია.

პიტლერი, „ედელვაიკის“ გეგმით ითვალისწინებდა ქართული საბჭოთა პოლკების გასრესასაც. ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტების საბჭოთა ჯარების წარმატებებში თავისი წვლილი შეიტანა ქართულმა დივიზიამაც.

ფაშისტებმა დროებითი წარმატებები მოიპოვეს. მათ ბოლწი ლეხიცი დააბიჯეს ქართულ მიწას. ცეცხლი წაუკიდეს ქლუხორის, მარუხის, სანქარის გადასასვლელებს. გერმანელები ცდილობდნენ ენგურის და კოდორის სათავეებში დაშვებას. შემოიპყრნენ საქართველოს ტერიტორიაზე სოფლებში გვანდრასა და ფსნუში... ჯარველი მეომრები, ისევე როგორც რუსები. უკრაინელები. სომხები. აზერბაიჯანელები, ჰამავიეროს უზღავდნენ მტერს კავკასიის ფრონტებზე. სამხედრო ჟურნალისტები ა. ზავიალოვი, ტ. კალიადინი იხსენებენ ქართველ მფრინავს: ელაშვილს, რომელიც „ტ-2“ თვითმფრინავით ლეგენდარულად იბრძოდა მტრის ზურგში, კავკასიონის უღელტეხილებზე.

— ყველა ქართველ გმირს ვერ გაიხსენებ. — აპობენ რუსი ჟურნალისტები. დივიზია მართლაც ამაყობს საბჭოთა კავშირის გმირების — ს. ჩხაიძის, ვ. პაპიძის, გ. სამხარაძის, ხ. იოდისის სახელებით, ისეთი ჯარისკაცებით, როგორც იყვნენ სულაბერიძე, დვალაშვილი, ჩახავა, მათიაშვილი, მახარაშვილი და სხვ.

ეს იყო ოცდასამი წლის წინათ...

ქართული დივიზია საბჭოთა არმიის სხვა შენაერთებთან ერთად ტამანის ნახევარკუნძულისა და ქერჩის სრუტისაკენ მიერეკებოდა მტრის იმ 80 დივიზიის „ა“ დაჯგუფების ნარჩენებს, რომლებმაც კრახი განიცადეს.

ყუბანის გულში — კრასნოდარში თავის ბინაში ვესაუბრები ქართული დივიზიის ყოფილ მეთაურს, თადარიგის გენერალ-მაიორს პ. მატალნიკოვს. მისგან ჩაიბარა ქართული დივიზიის სარჯლობა გენერალ-მაიორმა გ. ყურაშვილმა და გ. მარჯულების გზებით ატარა ივს

ქერჩის სრუტემდე. დივიზია დაჯილდოებულ იქნა წითელი დროშის ორდენით.

რუსი გენერალი აღფრთოვანებით ლაპარაკობს ქართველ მებრძოლთა გმირობაზე.

— გერმანელებმა თავდაცვის „ციხური ხაზი“ გაიყვანეს ტამანის მისადგომებთან. ეს იყო „ედელვანისის“ უკანასკნელი ბასტიონი. აქ 25 იზოლირებული დივიზია იხევდა უკან ქერჩზე გავლით. გერმანული გაზეთის „კრაუჟერ ცაიტუნგის“ წინასწარმეტყველება — „ყოველი გერმანელი ადგილობრივ მკვიდრთა (ე. ი. კავკასიის ხალხების) კოლონიზატორად, უფროსად და ბატონად იქცევა“ — საპნის ბუშტივით სკდებადა.

გერმანელი გენერალი ზ. ვესტფალი მემუარებში წერს: „სტალინგრადისა და კავკასიის ამბებმა შეაძრწუნეს გერმანია და მისი არმია“.

ამ ამბებში თავისი წვლილი შეიტანა ქართულმა დივიზიამ.

გენერალ-ლეიტენანტი პ. მატალნიკოვი იგონებს ერთ ეპიზოდს, რომლის შესახებ მას მოახსენეს. სტანიცა დინსკაიასთან გამართულ ბრძოლებში თავი ისახელა ქართველმა მეთევამფრქვევე კონსტანტინე პაქსაშვილმა. იგი სტანიცაში ერთ-ერთი პირველი შეიქრა. ავიდა ერთ-ერთი სახლის სხვენზე და ავტომატის ჭერით დახოცა 5 ფაშისტა, ათიოდე უკუაგდო. ხელში დაიჭრა, მაგრამ კიდევ ორი გერმანელი მაინც მოკლა. მერე ორი ჭრილობა მიიღო და გონება დაკარგა. როცა იგი სანიტრებმა მოასულიერეს, თურმე თქვა:

— ავტომატი ჰოსპიტალშიც ჩემს გვერდით იყოს, კიდევ გამომადგებაო.

კრასნოდარში გაზეთ „სოვეტსკაია ყუბანის“ რედაქციაში ვფურცლავ ფრონტულ გაზეთს. აი ერთი საინტერესო ცნობა:

„პირველ მსოფლიო ომში, — წერს წერილის ავტორი, — ერთი ჯარისკაცის გასანადგურებლად 46 ჭურვი და 2.100 ვაზნა დაიხარჯა. ქართველი ხალხის გმირმა შვილმა ნიკოლოზ რამაზაშვილმა 100 გასროლით 90 ფაშისტი გაანადგურა. სნაიპერი რამაზაშვილი დაჯილდოებულია საბრძოლო წითელი დროშის ორდენით“.

წიგნში „სამშობლოს ერთგული შვილები“, რომელიც კრასნოდარში გამოიცა, ვკითხულობთ:

„სამი დღე-ღამე მიმდინარეობდა ჩვენი ნაწილების დაძაბული ბრძოლები კალაბატკასთან და მის ჩრდილოეთით, ნაწილებისა, რომლებსაც არ ჰქონდათ არტილერია, მტერთან, რომელსაც ჰქონდა ტანკები, არტილერია, ავიაციის მნიშვნელოვანი ძალები. შესამედლის ბოლოს გაუთავდა ჩვენს მებრძოლებს სურსათი და ტყვია-წამალი. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა ხიმტებით“. ამ ბრძოლებისა

მონაწილეა ქართული დივიზია. აქ ჩვენი დივიზიის პოლკებმა უმა-
კალითო სიძნელეები გადალახეს.

ყუბანის ციდან მტერი ბომბებს ყრიდა რჩეული საავიაციო
ესკადრილიებით „უდეტ“, „მელდერესი“, „მწვანე გული“... ჩვენს
პოზიციებს ურტყამდა არტილერია... გაუვალ ღიმახებსა და ქაო-
ბებში გაზაფხულის წყალდიდობის დროს წინ მიიწევედა 414-ე
წითელდროშოვანი ანაპის ქართული დივიზია საბჭოთა არმიის სხვა
გპირულ ნაწილებთან ერთად, რომ აღეგავა პრაზაგან მიწისა ოპე-
რაცია „ედელვაისის“ გადარჩენილი დივიზიები...

ხუტორი კალაბატკა შეიდგერ გადავიდა ხელიდან სელში. მე-17
გერმანული არმიის სარდალი გენერალი ენიკე არმიის ეურნალში
წერდა, რომ მის ოფიცრებს ერთი სული ჰქონდათ ყირიმში გადასუ-
ლიყვნენ, „ცისფერი ხაზი“ მათ არ მიაჩნდათ იმ ჭავშნად, რომელ-
საც შეეძლო კავკასიის ფრონტების ჯარების შეტევის შეჩერება.

მტერს ურტყამდა აქ მე-18 საბჭოთა არმია, რომელსაც გენერა-
ლი კ. ლესელიძე მეთაურობდა, ხოლო პოლიტგანყოფილების უფ-
როსი იყო ლ. ი. ბრეჟნევი. ამ არმიაში შედიოდა 414-ე ქართული დი-
ვიზია.

1943 წლის 9 ოქტომბერს დილის 10 საათზე ფაშისტებისაგან
გაიწმინდა ტამანის ნახევარკუნძული და, მასასადამე, მთელი ჩრდი-
ლოეთი კავკასია. ასე ჩაიფუშა ჰიტლერის ოპერაცია „ედელვაისი“.

გერმანული სტატისტიკის მიხედვით, მტერმა მარტო ამ უკანა-
სკნელ ბრძოლაში 100 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, ათას-
ზე მეტი თვითმფრინავი და თითქმის ყველა ტანკი დაკარგა. ცოფი-
ანი ფიურერის ჯარების „ა“ უზარმაზარი დაჯგუფების მხოლოდ რამ-
დენიმე დივიზია გადავიდა ქერჩის სრუტეზე.

ამ ბრძოლაში თავი დადეს ქართველმა ვაჟკაცებმაც 414-ე ქარ-
თული დივიზიიდან. მათი საძმო საფლავეებით მოფენილია ყუბანის
ველები. ამ ბრძოლების ბევრი გმირი დღესაც ცოცხალია და მშვი-
დობიან შემოქმედებით შრომას ეწევა. მათზე წიგნები უნდა დაი-
წეროს. ამ წერილის დაწერის მიზეზი კი აი რა: ყუ.

გვარდიის გამამდგარმა პოდპოლკოვნიკმა პეტრე სილვესტროვ-
მა საარქივო დოკუმენტებით დაადგინა ხუთასამდე ქართველი მეომ-
რის გვარი, რომლებიც ყუბანის აზოვისპირა დაბების საძმო საფლა-
ვეებში განისვენებენ. სლავიანსკი ყუბანში პატარა რაიონული ცენ-
ტრია. ამ ქალაქის მახლობლად ხუტორში ცხოვრობს პეტრე სილვეს-
ტროვი. პოდპოლკოვნიკმა გვაჩვენა საძმო საფლავეები სტანიცა
ჩერნოერკოვსკაიაში, ხუტორ ბელიკოვში, სტანიცა პეტროვსკაიას
ჩრდილოეთით. მარტო ამ ორ საძმო საფლავეში, ოთხასზე მეტი ქართ-
ველი მეომარი მარხია. მათ საფლავეზე დგას ძეგლი — კვარცხლბეკზე

აღმართული ავტომატიანი ჯარისკაცი. აქვე შევხვდი თბილისიდან ჩამოსულ ქართველ არქიტექტორებს სოლომონ რევიშვილსა და ზურაბ კობალაძეს. ისინი სპეციალური დავალებით ჩამოვიდნენ, რომ შეიმუშაონ პროექტი ძეგლისა, რომელიც ქართველ მეომართა სამშო საფლავებზე აღიმართება. საინტერესო ეპიზოდები გაიხსენა ქართული დივიზიის მიერ კალაბატკასთან და ჩერნოერკოვსკაიასთან წარმოებულ ბრძოლებზე მისმა მონაწილემ არქიტექტორმა ს. რევიშვილმა.

ყუბანი მადლობას უთვლის საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომელიც ასე ზრუნავს დალუპულ მეომართა ხსოვნის უკვდავსაყოფად.

ყუბანში გვესაუბრებოდნენ 414-ე დივიზიაზე პარტიის სლავიანსკის რაიკომის მდივანი ვიქტორ ანდრიუშენკო, სლავიანსკის რაიონის სამხედრო კომისარი მაიორი მიხეილ პოლოსიანი. ჩერნოერკოვსკაიას მეთევზეთა კოლმეურნეობა „მე-2 ხუთწლედის“ თავმჯდომარე ვასილ დუდკო, ომების მონაწილე ყეთევზე პავლე შაპირი. რომელიც დიდად ეხმარებოდა ქართულ დივიზიას, დაბის საბჭოს თავმჯდომარე დანიელ სოკოლოვი, ხუტორ კალაბატკის ყოფილი მცხოვრებნი კონან ობერტასი. ჩერნოერკოვსკაიას საბჭოთა მეურნეობის პარტოგანზიხაციის მდივანი იური პობირენკო, რაიონული გაზეთის „ზარია კუბანაა“ ჟურნალისტები..

ეს ის ამხანაგები არიან, რომლებიც ზრუნავენ ქართველი მეომრების ვინაობის დადგენისათვის, უვლიან მათ საფლავებს. ჩერნოერკოვსკაიაში კარგი ტრადიცია მკვიდრდება: დღესასწაულზე პიონერები საპატიო ყარაულში დგებიან ქართველ მეომართა სამშო საფლავთან. ეს მეგობრობისა და პატრიოტიზმის იდეებით ახალგაზრდობის აღზრდის და გმირების ხსოვნის უკვდავყოფის შესანიშნავი საშუალებაა.

ხუტორ ბელიკოვში ვნახე ქართველ გმირთა საფლავები. პიონერებს ცოცხალი ყვავილები მოეტანათ. ქედი მოვიხადე და მღუპარედ ვიდექი... გაისმა სამკლოვიარო მუსიკა საფლავზე, სადაც 100 ქართველი მარხია...

მუსიკის ჰანგზე პიონერები კითხულობდნენ დალუპულთა გვარებს.

სულაქველიძე გიორგი, შაქარაშვილი სამსონი, ყოლბაია ნიკოლოზი, კალანდაძე კვიციკო, სინარულიძე ნიკოლოზი, ჩუბინიძე ლეონ, მამალაძე ზაქარია, ლომიძე ვასილი, მინდაძე ერმილე, კვარაცხელია გრიგოლი, იოსელიანი დავითი, სიკინაევა კონდრატე, ფიფია გერასიმე, ქვაჩახია ალექსანდრე, მანჯგალაძე გრიგოლი, დავითური ხეთისო, შიოშვილი გრიგოლი.

მათი სახელი ლეგიონია...

მგზავრო, ყუბანის პირას და ტამანის ნახევარკუნძულზე თუ ჩაივლი, ქუდი მოიხადე, იქ განისვენებენ ჩვენი დროის გმირები. მათ საფლავებზე. იმ კაბუჯთა საფლავებზე, რომლებსაც უღვაშებიც კი არ ჰქონდათ ამწვანებელი. აპოსულა მწვანე ბალახი...

ქრანოდარი-თბილისი.

ქასი-ლეგენდა

თეთნულდ-დან მეთვრამეტეჯერ ჩამოაგორა კლდეები ენგურმა. ლექანთარეს მწვანე გორაკებზე მეთვრამეტეჯერ აყვავდა ვაშლის ხე...

ყვავილთა თეთრმა ნამქერებმა მეთვრამეტეჯერ წაღეკეს ჯვარ-ზენი.

როგორც 1945-ის გაზაფხულზე, სვანეთის მთებში ისევ ყვირიან ირმები...

ენგურზე ისევ ყვავიან ყვავილები, როგორც შპრეზე....

თვრამეტი წლის შემდეგ...

აი ეს კაცი, ახლა ჩემთან რომ ზის, მზედაკრული. კოყრიანი ხე-ლებით, კეთილი, დაღარული სახით ლექანთარეს ბროწეულებს ქვეშ და ამბავს მიყვება, ასე მგონია, ერთი წუთის შემდეგ აღგება, ქუდს დაიხურავს და... ლეგენდაში დამემალება....

...მისი სახელი რაინსტაგის კედლებს აწერია.

ამბობენ, ბერლინში მდგომი ბრინჯაოს კაცი, მკერდზე მიკრული ბავშვით, ხელში დაშნა რომ ლჰყრია, მისი განსახიერებაც არისო.

ვინ იცის, ჯვარში, ამ მითთა ქაშის დროინდელ ქართულ სოფელში, ამ ბროწეულების ქვეშ ერთ დროს ექნებათ მუზეუმი. იქ მოუთხოვრებენ არა მარტო ბერლინის დაცემაზე და ენგურაქესის მშენებლობაზე... მუზეუმში მიუჩენენ ბინას არა მარტო მუზარადასა და შამხანას, იქვე მიიტანენ მარისხანე რაკეტას და მშვიდად დადებენ პრეისტორიული მშვილდისარის გვერდით.

— მე მძულს ომი, მძულს, — ამბობს იგი, თითქოს ვილაცას ეკამათებოდ და ჩექმით თელავს პაპიროსის ნამწვავს.

ჯვარში იქნება ასეთი მუზეუმი.

ეს იქნება ხვალ...

დღეს კი ლექანთარეს გორაკების კალთებზე ველაპარაკები ლეგენდიდან მოსულ ადამიანს.

რა არ უნახავს და რა არ განუცდია ამ კაცს...

მკვდრებთან ერთად წოლილა ფრონტის წინა ხაზზე, ათასი ტყვიო

ასკდენია და ათას მეერთეს გაუხერხეთია მისი სბეული. ოდერზე თუ ვისლასთან, ვარშავასთან ოუ ბრანდერბურგის კართან უსუნთქავს სისხლისა და გვამის სუნით გაქლენთილი ჰაერი.

ძვლებით იყო მოფენილი მისი გზა ბერლინამდე.

მელიტონ ქანთარია ბზვერაფი იყო. 1943 წლის მრისხანე დღეებში ვისლაზე შეუპყრია „ცოცხალი ენა“ და მოუყვანია შტაბში..

ოდერზე შეხვედრია მოკავშირე არმიებს და გამარჯვებისა და მშვიდობის სადღეგრძელოდ შნაპსი დაუღევია...

...გერმანულ მიწაზე ინგლისელმა მეავტომატეებმა ცეცხლი დაუშინეს „ფრიცს“ — შილერის ძეგლს. ეს ძეგლი გადაურჩენია საბჭოთა ჯარისკაცს მელიტონ ქანთარიას. ეს ძეგლი გრაუს ბრწყინვალე ნაწარმოები აღმოჩნდა. ეს იყო ბრინჯაოს შილერის გადარჩენა.

მისი საომარი ეპოპეის აპოთეოზი დაიწყო... ბერლინში შპრეეს ნაპირებთან.

ამის შესახებ პლანეტამ იცის.

1945 წლის 29 აპრილი ოდგა შპრეეზე. საბჭოთა ჯარები უტევდნენ ბერლინს.

ჰიმლერის სახლში, სადაც განლაგდნენ საბჭოთა მეომრები, რაინსტაგრიდან 500—600 მეტრზე. სარდლობამ გასცა განკარგულება:

— დროშა რაინსტაგზე!..

ეს იყო სამშობლოს ბრძენება.

მიდიოდნენ და ეცემოდნენ.

რაინსტაგის კედლებთან ენთო ცეცხლი. გერმანელი სნაიპერები უშეცდომოდ ურტყამდნენ მიზანში...

—დროშა წინ მიიწევდა.

ის მიჰქონდათ ქანთარიას, ეგოროვის, იუსუპოვის ძლიერ ხელებს. დაეცა რუსუპოვი...

დაეცა დროშა...

ის ისევ აიტაცეს ქანთარიასა და ეგოროვის ხელებმა.

დროშა მიიწევდა წინ და მალღდებოდა რაინსტაგზე.

და ყველა გახელილი თვალი მას უქურებდა...

ეს იყო 1945 წლის მაისის თეში...

ომის მრისხანე ღმერთი დაემხო...

დამთავრდა ჟამი სიკედილისა, იწყებოდა ჟამი სიცოცხლისა...

აქ დღისა და ღამის, სინათლისა და სიბნელის გასაყარზე იწყებოდა ახალი მიჯნა მელიტონ ქანთარიას ცხოვრებაშიც.

ჩაიარა სისხლის წარღვნებმა... ოსვენციმიზის და ბუხენვალდის ფერფლი და მტვერი მიჰქონდა ქარა ევროპის მთებზე და ველებზე...

ხეებზე ჭერ კიდევ ეკიდა ბავშვებისა და ქალიშვილების თბილი გვამები...

მაგდებურგის ლურჯი ცის ქვეშ იქვეა მხედრულმა ვაშამ, როცა მელიტონ ქანთარია და მის მეგობარ — ეგოროვს მიანიჭეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

მერიდიანიდან მერიდიანზე მიჰქონდათ რადიოტალღებს, გაზეთების სტრიქონებს ქანთარიას და მისი მეგობარი ძმის — ეგოროვის სახელები.

მელიტონს ენატრებოდა ჯვარი და ენგური, მამა-პაპის კერა და თეთნულდის შორეული თოვლი...

ნანობდა, რომ მკედელი არ იყო: ყველა მახვილისაგან გამოკედავდა სახნისს... ეს ყველა მეომრის ოცნება იყო ოდიდან...

ბერლინში მან სძლია ომის ღმერთს.

აქ თითქოს ზღაპარი იწყებოდა.

მოდის ცოცხალი კაცი ლეგენდიდან და იწყება შებმა მრისხანე სტიქიონთან. ყოფილი მშვერავი და მეშახტე, დურგალი და კოლმეურნე, რომელმაც გადალახა ოდერი და შპრეე, ახლა ეკვეთა შავო ზღვის ბობოქარ ტალღებს ოჩამჩირეში.

რკინა და ბეტონი, ქვა და ღორღი... და ადამიანის ხელები, რომლებმაც დროშა აღმართეს რაიხსტაგზე, აქ აღმართავენ კედელს, რომელიც ზღვას გააჩერებს...

კაცის წინაშე ზღვამ დაიხია...

მეგობრებმა დახატეს შარკი: ბებერი ნეპტუნისათვის წვერში ჩაუვლია ხელი მელიტონ ქანთარიას და ზღვაში აგდებს.

ღიახ, მელიტონი ებრძოდა ომის ღმერთს, ზღვის ღმერთს...

ის ხომ პრომეთეს ჯიშისაა...

კაცის წინაშე ზღვამ დაიხია...

დღეს მელიტონი დურგალია. გუშინ ის იყო ტყვარჩელის მალაროელი და შავი ოქრო — „მრეწველობის პური“ ამოჰქონდა მიწიწილიდან. გეოლოგებს ეხმარებოდა საქართველოს მთებში რუკის შედგენაში და ფეხით შემოიარა მშობლიური მხარე. მერე ტუნგოს ზეთს ღდიდა, აგუბედიაში სიმინდი მოჰყავდა. დღეს კომუნისტური შრომის დამკვრელია. სკოლა აშენებს იმ ზღვის პირას. რომელიც მან მოთოკა და ჯღბირის არტახებში ჩაკეტა ოჩამჩირესთან.

მელიტონ ქანთარიაზე არ შეიძლება წერა მინორულ პანგზე. მთელი მისი ცხოვრება მყოფოელი ქუხილია.

კაცი შიბიჩებს ლეგენდისაკენ მიმავალ გზაზე. მე ის ერთოწუთით შეჰაჩერე და ვესაუბრე. არაფერია... ლეგენდაში ვადასტურას მოასწრებს...

თუმცა ჯერ აღრეა: ჯვარში მამა-პაპის ნაფუქვარზე დღეს ენგურს სტაცებენ ცეცხლს ვაჟკაცები... ვინ იცის, მელიტონს იქნებ

აქეთ გაუწიოს გულმა... ვინ იცის კიდევ რამდენი საქმეა ამ ქვეყნად.

ლეგენდა?!

ლეგენდის კარი კი მისთვის მუდამ ღიაა...

შეძახილი — ქართველთა გმირობის ეპოპეა

პოლანდიაში იმყოფებოდა ომის საბჭოთა ვეტერანების დელეგაცია, რომელიც ეწვია კუნძულ ტექსელს, სადაც ფაშისტებთან უთანასწორო ბრძოლაში დაეცა თავისუფლებისა და სამშობლოსათვის 500-ზე მეტი ქართველი ვაჟკაცი 1945 წლის აპრილში, ქართული ბატალიონის აჯანყების დროს.

18 წლის შემდეგ პოლანდიას ისევ ეწვია ტექსელის აჯანყების მონაწილე ქართველი ინჟინერი გიორგი ჭიმშელიშვილი. ცხრა მთასა და ზღვას იქით წაიღო ქართველმა კაცმა საქართველოს მიწა, რაიმე ხუთასი ქართველის საფლავზე მიმოებნია რემბრანდტის ქვეყანაში.

ტულიპების ლამაზი მხარე სტუმართმოყვრულად დახვდა დიდი საბჭოთა ქვეყნის წარგზავნილებს — საბჭოთა კავშირის გმირს მფრინავ ქალს მ. ჩერნევას და საბჭოთა ინჟინერს გ. ჭიმშელიშვილს.

ქუთაისში, მის მშობლიურ ქალაქში შეეხვდი პოლანდიიდან დაბრუნებულს შემდეგ გ. ჭიმშელიშვილს.

...ეს ულაჰახესპა საბჭოთა ლაინერმა ჩაიყვანა პოლანდიის ქალაქ ამსტერდამში ჩვენი დელეგაცია. საბჭოთა ქვეყნის წარგზავნილებს პაეროდრომზე დახვდნენ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები — პოლანდიაში წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეები პოლანდიის კომუნისტური პარტიის, პოლანდიის ყველა ჯურის პრესის წარმომადგენლები, საბჭოთა საელჩოს თანამშრომლები...

მეორე დღეს პოლანდიის პრესა აქრელებული იყო ცნობებით საბჭოთა დელეგაციის ჩამოსვლის შესახებ.

ჩვენ წინ დევს პოლანდიური ექვრანალ-გაზეთები...

„დე ვარჰეიდი“ — ნიდერლანდის „პრავდა“, კომუნისტური პარტიის ორგანო, „ალზემეენ ჰანდელს ბლად“ — ლიბერალურად განწყობილი მსხვილი ბურჟუაზიის უძველესი გაზეთი (გამოდის 1828 წლიდან) და, ასე გასინჯეთ. დღეს მილიტარიზმის, კოლონიალიზმის აპოლოგეტი, ხოლო ომის დროს წინააღმდეგობის მოძრაობის იატაკქვეშა გაზეთი „ტროუტ“, რომელიც ხშირად ოპოზიცი-

ამი უდგას მთავრობას. ფართოდ გამოეხმაურა საბჭოთა დელეგაციის ჩასვლას პოლანდიაში.

პოლანდია კათოლიკური პრესის ბატონობის ქვეყანაა. ვატიკანის რუპორი პოლანდიური „ხელაღერსე კურანტიც“ ბევრ ადგილს უთმობდა ტექსელზე დალუპულ ქართველ გმირთა ხსოვნის აღსანიშნავად პოლანდიაში ჩასულ საბჭოთა დელეგაციას.

— პოლანდიის რეაქციული წრეები თავშეკავებით შეხვდნენ საბჭოთა სტუმრებს. ერთხელ სიტყვაში ვთქვი, — შენიშნავს ჯიმშელიშვილი, — პოლანდია ლამაზი ტულიპების ქვეყანაა, არ მინდა ლამაზ ყვავილებს შორის ეკალ-ბარდი დაეინახო-მეთქი.

რეაქციული პრესის წარმომადგენელმა იმჟამსვე თავი წაპოყა:

— განჰარტოს ბატონმა ჯიმშელიშვილმა, რას გულისხმობს ეკალ-ბარდის ქვეშ.

— პროფაშისტური და მილიტარისტული ელემენტების აღორძინებას. გზა გადაუუკეტოთ ომს! — იყო პასუხი.

ყვითელი პრესის წარმომადგენელს უნდოდა ეყვირა, ეს კომუნისტური პროპაგანდაა, მაგრამ ხალხის მქუხარე ტაშმა ჩაახშო ჩისი ხმა. — პოლანდიელებს უნდათ მშვიდობა. პოლანდიელებს უნდათ მეგობრობა საბჭოთა ხალხთან. — ამბობს ჯიმშელიშვილი.

ტექსელზე, 500 ქართველის ძმათა სასაფლაოზე, გ. ჯიმშელიშვილს და მ. ჩერნევის თან გაჰყვნენ კომუნისტური პარტიის. პარლამენტის, პაავის, ამსტერდამის, ჰარლემის მცხოვრებთა წარმომადგენლები: იქ იყვნენ აგრეთვე საბჭოთა საელჩოს, საედესის მუშაეები.

კუნძულზე მოეწყო სამგლოვიარო მსვლელობა ქართველ მებრძოლთა სასაფლაოზე. ტექსელის მოსახლეობა უფრთხილდება საბჭოთა მემორების აკლამას, საძმო სასაფლაო გაწყობილია მარმარილოთა. მას ამშვენებს სსრ კავშირის გერბი და დროშა.

საბჭოთა დელეგაციამ გვირგვინებით შეამკო აგრეთვე პოლანდიელ ჯარისკაცთა საძმო სასაფლაო ტექსელზე.

კუნძულ ტექსელის ბურგომისტრმა მოუწყო მიღება საბჭოთა დელეგაციას.

კუნძულის მთავარ ქალაქში დენბურგში გ. ჯიმშელიშვილმა საბჭოთა მთავრობის საჩუქრები გადასცა მეზღვაურ იოან ბაეერს. რომელმაც კატორღით „იოან ხოდსონი“ ქართველ მემორათა დელეგაცია ლონდონში წაიყვანა აჭანყებული ქართული ბატალიონისათვის დახმარების სათხოვნელად. „ბრიტანეთის ლომს“ არ ეცალა აჭანყებული ქართველებისათვის.

ქალარა პოლანდიელ პატრიოტ ქალს კორნელია ბოონს წაქითხული ჰქონდა კუნძულის კომენდანტიან მრისხანე ბრძანება: „თუ ფერმის ტერიტორიაზე შემჩნეული იქნება საბჭოთა არმიელი, რომლის შესახებ არ განაცხადა ფერმის პატრონმა ან მისი ოჯახის რომელიმე წევრმა ან მოსამსახურემ, სამხედრო საველე სასამართლოს განკარგულებით დახვეტილ იქნება ფერმის ყველა მცხოვრები, ხოლო ფერმას დაწვევათ. ეს არის უკანასკნელი გაფრთხილება“.

კორნელია ბოონი მაინც დაეხმარა მეოძრებს, უვლიდა დაჭრილით, მალავდა მათ. საბჭოთა ხალხი არ იფიწყებს მეგობრებს.

გ. ჭიშქელიშვილმა მთავრობის ჭილდო გადასცა მას.

საბჭოთა დელეგაცია შეხვდა ანი ავერინეს. — პოლანდიის კომპარტიის წევრს, რომელიც აკავშირებდა აჯანყებულ ქართველთა ზელმძღვანელებს შ. ლოლაძეს, ნ. გონკლაძეს, ე. არტემიძეს, ს. გუზაბიძეს, შ. ნოზაძეს, ი. ჯანჭლავას და სხვებს პოლანდიის კომუნისტებთან.

არც პოლანდიელები იფიწყებენ ქართველ მეგობრებს.

ანი ავერინესა ჭიშქელიშვილს საზოგადოებრივი საქმეები გადაეცა თბილისში წიგნის -ქართული პარტიზანები პოლანდიაში“ ავტორისათვის მ. ქაჩიაშვილისათვის და ტექსტის აჯანყების ერთ-ერთი მეთაურისათვის — ევგ. არტემიძისათვის.

გ. ჭიშქელიშვილს ანუქეს პოლანდიაში ვან დე ფრანსის განხორციელებული წიგნი „ტექსტის ტრაგედია“, რომელშიც პოლანდიელი მწერალი მოგვითხრობს ქართულ ბატალიონის გვირუკ ბრძოლაზე ფაშისტებთან.

წიგნი ხუთჯერ გამოიცა პოლანდიაში. იგი უხვად არის ილუსტრირებული.

ჭიშქელიშვილი სიამოვნებით იგონებს შეხვედრას პოლანდიელ მხატვარ პორსტთან. რომელსაც მას უძღვნა თავისი ანტიფაშისტური ნახატების სერიის „ბუხენვალდის“ რეპროდუქციები და აღუთქვა, რომ შექმნის ნახატების სერიას ტექსტის აჯანყებაზე.

გამოჩენილმა მოქანდაკემ ფრის სიგერმა უახრა თურმე ქართველ ინჟინერს, რომ ამირებს შექმნას სკულპტურები ტექსტზე ქართველ ჯარისკაცთა გმირობის შესახებ.

სიამოვნებით იგონებს გ. ჭიშქელიშვილი საბჭოთა კავშირ-პოლანდიის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდენტთან ცნობილ მწერალ ვან დე ფრისთან შეხვედრას.

პოლანდიის მთავრობამ საბჭოთა დელეგაციას დართო მთელ სახელმწიფოში თავისუფალი მოძრაობის უფლება. საბჭოთა ქვეყნის წარგზავნილებმა გვირგვინებით შეამკეს 101 საბჭოთა ჯარისკაც-

ცის სასაფლაო ქ. აქესფორდში. ჰააგაში და ჰარლემში გულაზილო
შეხვედრები ზოუწყეს ადვილობრავმა მეცხოვრებლებმა საბჭოთა
ადამიანებს. ბევრ ქალაქში ექსპონირებულია ტექსელის აჯანყების
ამსახველი მასალები.

საბჭოთა დელეგაცია ეწვია აგრეთვე რემბრანდტის მუზეუმს.

— მოლოდინს გადააქარბა ჰოლანდიელთა სტუმართმოყვარეო-
ბამ. — ამბობს გ. ჯიმშელიშვილი. — ამსტერდამში შევხვდით ახა-
ლგაზრობას, სტუდენტებს. მოეწყო პრეს-კონფერენცია ჰოლანდი-
ელი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის ჰოლანდიის პარლამენ-
ტის პრესკლუბში.

თავისი მისია წარმატებით შეასრულა ომის საბჭოთა ვეტერ-
ნების დელეგაციამ ჰოლანდიაში.

...კუნძულ ტექსელზე. მარმარილოს საძმო სასაფლაოზე მშვი-
დად სძინავთ ქართველ ვაჟკაცებს, ვისმა გმირობამაც განაცვიფრა
სახელმწიფოები და ხალხები.

ტექსელი მორწყულია ქართველთა სისხლით. ჩრდილოეთის
ზღვის ცივი ტალღები ლოკავენ კუნძულის ნაპირებს...

მემატიანეს უწერია...

9 ძმა ღერხეულიძე...

300 არაგველი...

500 ტექსელელი...

მატიანეს და ხალხს ახსოვთ იქ დაღუპული გმირები: კაპიტანი
ბ. ლოლაძე, კომისარი ს. გუჯაბიძე, პარტიული კომიტეტის წევრი
ი. ჯანჭღავა, 500 რჩეული ვაჟკაცი.

ტექსელი ქართველთა გმირობის ეპოპეა.

ტექსელი დიდი ტკივილი და დიდი ფიქრია.

ტექსელი 800 ქართველი ვაჟკაცის გმირობა და 500 ქართვე-
ლის საძმო სასაფლაოა.

ტექსელი გაფრთხილება: ადამიანებო, იყავით ფხიზლად, არ
გამეორდეს ტექსელი...

გადარჩენის ბალადა

განრისხებული ყვიროდა წეროსფეხება ხმელხმელი ესესფიუ-
რერი, სილის გარტყმასავით ლაწა-ლუწი გაჰქონდა ყურებში მჭახტ
გერმანულ ფრაზებს...

მაგრამ, ის მაინც დუმდა, როგორც ლულაში ტყვია.

„ნუთუ ასეთი უხეშია გოეთეს, ენა“, — გაიფიქრა მან.

ბოლთას სცემდა ოთახში გერმანელი ოფიცერი.

ბოლოს ისევ თავიდან დაიწყო ე' ესფიურერა?

— გვარი?

— ლოლობერიძე.

— სახელი?

— აკაკი.

— დაბადების ადგილი?

— ფოთი, საქართველო...

— ...„დოიჩლანდ, დოიჩლანდ იუბერ ალეს!“ — ისმოდა მთვრალი ჭარისკაცების ღრიალი კაფედან.

— ებრაელი ხართ?

— ?!

— კომუნისტი“

— ?!

ის მანკ დუმდა...

მერე არაფერი ახსოვს. გონს რომ მოვიდა, ჯოჯოხეთური ტყვილები იგრძნო.

წყალი ითხოვა.

მოგონებები მოჩვენებებად წამოიშალნენ...

ქუჩას გახედა სარკმლიდან, თვალს არ დაუჭერა.

ხაკისფერ უნიფორმიანი მევტომატე მიაკოვსკის ძეგლს ესროდა... და უეცრად გაუელვა თავში სურათმა: 1941 წელი, სმოლენსკის ოლქი, ქალაქი დუხოვშიჩინა... მოედანზე ლენინის მონუმენტი იდგა...

...ციდან „მესერაშიტების“ გამაყრუებელი ზმაური ისმოდა. მიწაზე მუაღუხიასი „ვეფხვები“ და „ავაზები“ მობობლავდნენ. ცა დაწეული იყო დატლა ისე, რომ იფიქრებდი. საცაა მიწას უნდა დაემხოსო... ამ ჭანღში იდვა ბრინჯაოს ლენინი მომავლისაკენ გაწვდილი ხელით... აკაკი ლოლობერიძე მე-13 არმიის 21-ე დივიზიის 67-ე პოლკში ტანკსაწინააღმდეგო ოცეულის მეთაური იყო... მან ბრძანება მიიღო დაეხია უკან და ქალაქ დუხოვშიჩინის მისადგომებთან დახვედროდა ფაშისტების ექვს „ავაზას“.

თავდაცვის ხაზზე მოვიდნენ ბატარიის პოლიტხელი მოროზოვი, ფაშისტთა ტყვეობიდან გაქეული ხარკოველი ინჟინერტეჟნიკოსი ბელოვი და კიდევ სამოქალაქო ტანსაცმლიანი ბუგაევი თუ ბოლატოვი. კარგად არ ახსოვს მესამის გვარი აკაკი ლოლობერიძეს. მათ თხოვეს ოცეულის მეთაურს დახმარებოდა ლენინის ბიუსტის გადარჩენაში.

ოცეულის მეთაურმა ლოლობერიძემ ცხრა წითელარმიელი აიყვანა, მათ შორის ოცმეთაურის თანაშემწე კილესა, რიგითი ციგანკოვი და სხვები და სწრაფად გაემგზავრნენ დუხოვშიჩინოს ცენტ-

რალურ სკვერში, სადაც მრგვალ კვარცხლბეკზე იდგა ლენინის ბიუსტი.

ირგვლავ სკდებოდა ნაღმები. ორ ნაბიჯზე იყო აბჯარასხმული სიკვდილი... ღოღობერიძემ ბრძანება გასცა უახლოეს სანგარში გადაეტანათ ლენინის ბიუსტი.

— ლენინი სანგარში!

ეს უკვე იდგა იყო, ეს იყო ძალა, რომელზეც კლანჭები გაუცვდებოდა ფოლადის ყველა „ავაზასა“ და „ვეფხვს“... მაგრამ, სამწუხაროდ, ახლოს სანგარი არ აღმოჩნდა.

ირგვლავ ისევ სკდებოდა ნაღმები.

მსუბუქად დაიჭრა აკაკი. ბრძანა ბიუსტი შორს წაეღოთ და სანგარი გაეთხარათ. ჯარისკაცებმა ცოცხალი ადამიანივით ფრთხილად აიყვანეს ხელში ბრინჯაოს ბიუსტი და ტყვიების წვიმაში სიბნელეში გაუჩინარდნენ.

მსუბუქად დაჭრილი აკაკი ოცეულის თავდაცვის პოზიციებზე დაბრუნდა. ღამით, როდესაც საცეცხლე წერტილებს სინჯავდა წინა ხაზზე, ოცნეთაურის თანამემწემ მოახსენა აკაკი ღოღობერიძეს, რა ვალემა შესრულებულიაო. აკაკიმ იმ ღამესვე უპატაკა წერილობით ამის შესახებ ბატარიის პოლიტბელს.

...ბრძანება ბრძანებაა. გინდა თუ არა უნდა დაიხიო, როცა ამას ომის ხელოვნება მოითხოვს. აკაკი ღოღობერიძემ ოცეულის თურთ უკან დაიხია და ახალი თავდაცვის ხაზი გაამაგრა. მაგრამ არ ასვენებდა ფიქრი ბიუსტზე. ხომ არ შიავნეს ბარბაროსებმა საკრეთლით გაცოცხლებული ლენინის სახეს. ფაშისტი იმის ფაშისტია, რომ არც კეჟა დაუშლის და არც ადამიანობა — ისევე მოეპყრობა ბელადის ბიუსტს, როგორც ის ხაკისფერ უნიფორმიანი ყვეყჩი ოფიცერი ექცეოდა მაიაკოვსკის ძიგლს...

67-ე პოლკის პოლიტბელისაგან მადლობა მოვიდა, მაგრამ პოლიტბელი დასძენდა, სანგრის გათხრას სკობდა ბიუსტი ღრმა ზურგში ტრანსპორტით გავეხიზნათო.

მოსვენება დაკარგა აკაკი ღოღობერიძემ. მზვერავეები გაგზავნა ამ ადგილას, სადაც მისი ბრძანებით ბეუსტი დააბინავეს წითელარმიელებმა. მზვერავეთა ცნობა სანუგეშო არ იყო: იმ სანგრის რაიონში ფაშისტთა ტანკები დგანანო.

ფრონტის გზა კი გრძელდებოდა.

...ფილოსოფოსები ხან ზედმეტად ართულებდნენ. ხან ძალიან ამარტივებდნენ ცხოვრებას. ცხოვრება გზაა, მოდი, ნახე და გაიარეო, იტყოდნენ ბრძენნი ძველ რომში. იოლი სათქმელია — მოდი, ნახე და გაიარეო... ფრონტის გზებზე ზეზე ეძინა აკაკი ღოღობერიძეს. მიდის მწყობრი, მიაბიჯებს და სძინავს ადამიანს. ადგილ-

ზე რომ მიხვალ, უნდა იბრძოლო, იქ ძილის დრო არ არის. გზაში უნდა გამოიძინო.

ან სცადეთ თოვლში და ყინვაში ფეხშიშველად გავლა: სანგარში მკვდრების გვერდით წოლა. ფორთბვა დღედაღამე, როცა შიმშილად ხარ დაჭრილი და თან სიკვდილი მოგდევს მგელივით...

დუხნოვშინიდან უკან დახევის შემდეგ 2-4 აგვისტოს ლოლობერიძე ოცეულის მე-13 არმიის სხვა ნაწილებთან ერთად ფაშისტების რკალში მოექცა. ბატარეა თავგანწირვით იბრძოდა. აკაცი იგონებს: ორი ჭავჭავიანი და შვიდი ტანკი ააფეთქეს მებრძოლებმა. სისხლისმღვრელი ბრძოლები გაუპირობეს მტერს წითელარმიელებმა. 4-12 აგვისტოს მათ გაანადგურეს ფაშისტთა ოთხი სატვირთო ავტომანქანა, 3 ჭავჭავიანი და 5 ტანკი.

12 აგვისტოს ლოლობერიძე პუცელში, შუბლში და მარჯვენა მხარში დაიჭრა...

...და გერმანელ ფაშისტთა რკალიც შეიკრა საბჭოთა ჯარის ნაწილების ირგვლივ. ლოლობერიძემ ბრძანება გასცა აფეთქებინათ ტყვიანობის მარაგი, რომ ფაშისტებს არ ჩაეარდნოდათ ხელში. აფეთქების ადგილს გერმანელებმა ცეცხლი დაუშინეს და ლოლობერიძემ ორივე ფეხში ჭრილობა მიიღო. გრძნობა დაკარგა... გლეხებს გაეყვანათ ტყიდან მტრების მიერ აღებულ როსლავში, სადაც საექიმო დახმარება აღმოუჩინეს. დაიწყო იატაკქვეშეთში ცხოვრება.

არაერთხელ დაჰკითხა გერმანელთა პოლიციამ, როგორც საეკვო პირო.

აკაცი ლოლობერიძე გვარს იცვლიდა. ხან გოცირიძედ იწერებოდა, ხან აბდულაევად, ხან ზახაროვად. მერე მოგილევში ისევ მოხვდა ესესელთა ხელში, მაგრამ საოცრებით ისევ დააღწია თავი მტრებს.

შემდეგ უკავშირდება პარტიზანებს და თელაველ გიორგი ქარელაშვილთან ერთად ხსნის სადალაქოს რეპუბლიკულ მოგილევში. ლენინის ქუჩაზე, № 20 სახლში.

სადალაქოს პარტიზანებთან და სამხედრო ტყვეებთან ჰქონდა კავშირი. ესესელებს ძალის უნოსვამ არ უღალატათ და საეკვო სადალაქოს პატრონი ქარელაშვილი „ჩაქარდა“. ლოლობერიძემ მოიღილეიდან გაასწრო ფაშისტებს, მაგრამ 1943 წლის აპრილში ისევ ჩაუვარდა გენტაპოს ხელში. სწორედ ამ დაკითხვის აღწერით დავიწყეთ ჩუგინი თხრობა აკაცი ლოლობერიძეზე. ბრალდებულ წაუყენეს პარტიზანებთან კავშირი, ანტიგერმანული პროპაგანდა, და ვინ იცის კიდევ რა. რას არ გადაურჩება კაცი. ეშელონით ტყვეების გადაყვანის დროს შოახერხა გაქცევა.

მერე ისევ პარტიზანებთან აღმოჩნდა. 1943 წლის ოქტომბერში პარტიზანთა რაზმს ხელმძღვანელობდა ბელორუსიაში. პარტიზანთა თავკაცმა როცა გაიგო, რომ მოსული ქართველი იყო, აჩვენა მანქანა. რომლის ძარანზე ეწერა „თავაძე დავით ლეონტის ძე, სამტრედიიდან“, აკაკიმ მიაწერა თავისი გვარი და სახელი ძარანზე. ასეთი „ფოსტის“ წყალობით მათ გაიცნეს ერთმანეთი.

დ. თავაძე ამჟამად თბილისში ცხოვრობს.

1944 წელს ფაშისტებმა ჩხრეკა-ძიება მოაწყვეს და აკაკი ლოლობერიძემ ებრაელთა ბანაკში ამოჰყო თავი. იმ საშინელი დღეების მოგონებაც ეზარება დღეს აკაკის. ადგილობრივი მოსახლეობისა და კარტიზანების დახმარებით ლოლობერიძე გაიქცა და მონაწილეობას იღებდა ხიდების აფეთქებაში, ავრცელებდა საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობებს.

1944 წლის მაისი. ისევ გესტაპო. სოფელ კუბელში ზახაროვის გვარით შეპყრობილი აკაკი ებრაელად ჩათვალეს. ძალი მიუშვეს, კონან დოილის წიგნში ამოკითხულ ბასკერვილების შემაზარზენ ცეცხლოვან ძალს აგონებდა აკაკის გესტაპოს მგელძალა. ხელზე საკეტი დაადეს.

მესამე რეიხის ცივილიზებული ბარბაროსები ადამიანში ხედავდნენ მხოლოდ საზარბაზნე ხორცს.

მითური ხარონის პერსონალური მახქანები — გაზიო სულთამხუთავეები ყოველ ნახევარ საათში ასრულებდნენ რეისს „სააქაოსაიქიო“. ერთ-ერთ ასეთ რეისზე, ბილეთი უკვე შეკვეთილი იყო აკაკი ლოლობერიძისათვისაც. კარცერში მკერდამდე წყალში აგდებდნენ მას, სცემდნენ ველური ჟინით.

აკაკისთან ერთად კარცერში ორ დღეს იჯდა ერთი თეთრწვერა მოხუცი, რომელსაც აკაკი იმედს პურივით უყოფდა.

26 ივლისს კი დახვრეტის განაჩენზე მოაწერინეს ხელი. ასე გაუყენეს საიქიოს გესტაპოელებმა აკაკი ლოლობერიძე.

მერე მოხდა შოთლოდნელი, მაგრამ საინხაზულო ამბავი. საბჭოთა თვითმფრინავებმა დაბომბეს ქ. ბორისოვი. სადაც ტყვეობაში იმყოფებოდნენ საბჭოთა არმიელები. ამით ისარგებლეს ეფიმ სადოვნიკოვმა, ვასილ ბარანოვსკიმ, აკაკი ლოლობერიძემ, გაიქცნენ და ტყეში პარტიზანებს შეუერთდნენ.

ომში მისი მონაწილეობა საბჭოთა მთავრობამ წითელი ვარსკვლავის ორდენითა და მედლებით აღნიშნა.

აკაკი ლოლობერიძე ომის ინვალიდია. უკვე კარგა ხანია მშვიდობიან შრომას ეწევა, მაგრამ ამას წინათ რადიოს უეცარმა ცნობამ ისევ დააბრუნა ომის დღეებში.

საკდესმა ქვეყანას აცნობა რომ ღუბოვშიჩინაში იპოვეს ლენინის მონუმენტი, რომელიც ომის დროს გადაარჩინეს საბჭოთა არმიელებმა.

გმირების სახელი არავენ იცოდა. ჩვენ დღეს ვიცით ვინ არიან ისინი. ოფიცერი აკაკი ლოლობერიძე, მაიორი ბელოვი, წითელარმიელები კილესა, ციგანკოვი, პოლიტბელი მოროზოვი და კიდეც ცხრა წითელარმიელი, რომელთა სახელი დღეს მათს თანამებრძოლებსაც არ ახსოვთ, მაგრამ ხალხის ხსოვნა დიდი სარკეა, რომლებშიც არეკლილი გმირობა არასოდეს წაიშლება.

ეს გადარჩენის ბალადაც იმ მებსიერების ანაკეკლა.

უკვდავება

მარმარილოში გამოკვეთილი რეკვიემია გენერალ კარბიშევის ძეგლი მაუტჰაუზენში. ეს მართლაც ქვაში გაცხადებული სიმღერაა გმირობისა. ავსტრიაში, იქ, სადაც შუე პოსტამენტზე გახლეჩილი გული მილიონთა ძეგლად აღმართულა, საბჭოთა ჟურნალისტებმა ვნახეთ გენერალ კარბიშევის მონუმენტი, ისეთივე მაღალი წმინდა და განუმეორებელი, როგორიც თვითონ გენერალ კარბიშევის გმირობაა.

...ქარები არხევენ მილონების ფერფლს ამ ულაშაზეს ავსტრიულ სოფელში. რომელიც სწარადკამოდ სიკვდილის სინონიმად აქციეს ფაშისტებმა.

ცრემლისა და სისხლის გემო აქვს მაუტჰაუზენის მიწას. აქაური ღვინო წითელია, რადგანაც სისხლი ურევია, ამბობს პოეტი.

ოცი წლის წინათ აქ გაზის ლუმელებში წვადნენ ადამიანებს. დიახ, სწორედ იქ, სადაც „ცისფერ ღუნის“ წერდა შტრაუსი, იქ ადამიანებს ტყავს აძრობდნენ, რომ პერლინის სალონების ქალები-ხათვის ხელჩანთები შეეკერათ. მკვდრებს ოქროს კბილებს გლეჯდნენ, რომ მესამე რაიხის საიმპერიო ზაზინა გაეცნოთ.

ესეულთა რაიხსფიურერი ჰიმლერი ეკვებნიდა, მაუტჰაუზენში ჯოჯოხეთს კიდეც ერთი კარი შევებო.

ჯოჯოხეთის არქიტექტორს ერთმა ფაშისტმა გიჟ-პოეტმა ლექსიც დაუწერა: მაუტჰაუზენის ცაზე უაირწინალოდ გამოსვლას მზეც ვერ ბედავსო.

და ამ მიწაზე უაირწინალოდ იდგა სიკვდილის წინ სამოცდასამი წლის ქარმაგი გენერალი კარბიშევი. გენერალი, რომელიც ვერ დააჩოქა ვერც შიმშილმა, ვერც ტყვიამ, ვერც წამებამ, რომელმაც ამაყად გაიარა ჯოჯოხეთის ყველა ცხრა წრე — ყველა ფაშისტური

საკონცენტრაციო ბანაკი. სამშობლოს არ უღალატა და შეუბღალავად დაუტოვა თავისი სახელი შთამომავლობას.

ერთმა ყურნალისტმა მაუტჰაუზენის სიკვდილის ბანაკის კედლებთან მაინენა ჰალარა მოხუცი. რომელიც ნაგავს ქეჩავდა.

— ადრე ბავარიის მეფე ფრიდრიხი ვიყავი, ახლა მგონი ფაუსტი ვარ. — თქვა მოხუცმა, თუმცა ჩვენ არაფერი გვიკითხავს, — და მერე ისევ განაგრძო თავის თავთან საუბარი.

— კარბიშევ! კარბიშევ! კარბიშევ!

იგი ისე წარმოთქვამდა სიტყვა კარბიშევს, თითქოს ის მარადიული ჰემარიტების გასაღებიყო.

ეს მოხუცი კკუიდან შეიშალა ოფრმე გენერალ კარბიშევის წამების ღამეს.

წინა დღით კინალამ ესესელთა რაიხსფიურერი ჰიმლერი შეიშალა.

ბერლინში ესესელთა შტაბბინაში უკრავდნენ ცირერის მარშს. ჰიმლერი უსმენდა. ჰიმლერს მოახსენებდნენ კარბიშევის შესახებ.

— დაგვნებდა ეგ კომუნისტი? — იკითხა ჰიმლერმა.

— არა! — იყო პასუხი. — იგი უშიშარია, ვითარცა უხორცო. მან გაიარა თქვენი ბრძანებით ჯოჯობეთის ყველა წრე. ვცემდით და ვაშიმშილეთ, ქვეები ვათრევიანეთ ზამოსტიეში, ჰამელბურგში, ნიურნბერგში, ფლოსენბურგში, მაიდანეიკში, ოსვენციმში, ზაქსენჰაუზენში. ჩერ არ შობილა ადამიანი, რომელსაც ამდენი წამებისათვის გაეძლოს.

— ო, მაინ გოტ! — რეგვენებო! ზამოსტიე, ჰამელბურგი, ნიურნბერგი, ფლოსერბუგი, მაიდანეიკი, ოსვენციმი, ზაქსენჰაუზენი სიკვდილის სახელებია, თუ სანატორიუმები, ერთი კომუნისტი გენერალი რომ ვერ მოაშთეთ?

ახალგაპარსული ჰიმლერი საოცრად ჰგავდა გაბერილ გომბეშოს.

— მოიგონეთ ყველაზე საშინელი სიკვდილი კარბიშევისათვის! — იყვირა ჰიმლერმა. და ბნელა ზოუვიდა. ამბობენ, რომ ჰიმლერს ფიურერისადმი განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად მოსდიოდა და ბნელა. — სიტყვა მიეცით მაუტჰაუზენს... თქვა ჰიმლერმა, როცა გონს მოვიდა.

და მართლაც თქვეს ფაშისტებმა სამარცხვინო სიტყვა მაუტჰაუზენში.

შუალამისას გამოიყვანეს ტანშიშველი მოხუცი გენერალი სხვა ტყვეებთან ერთად მაუტჰაუზენის „სიკვდილის მოედანზე“ და დაუშინეს ცივი წყლის ქავლები 15 გრადუსიან ყინვაში. ფაშისტებო

ველური ხორხოცი თუ უყურებდნენ, თუ როგორ იყინებოდა ადამიანი მათ თვალწინ.

ამის მოწმე ერთი კანადელი მაიორი წერს: კარბიშევი წამოიმატა მიწიდან და თითქოს მთელი ევროპის გასაგონად ფრანგი კომუნარების ენაზე წარმოთქვა:

— ამაყად, ამხანაგებო! იფიქრე, სამშობლოზე და ვაჟკაცობა ზოგემატებთ!

ეს იყო კარბიშევის უკანასკნელი სიტყვები. გაყინული კარბიშევი ფერფლად აქციეს მაუტპ:უზენის გაზის ღომელებში. ასე დასრულდა საინჟინრო ჯარების გენერალ-ლეიტენანტის, კომუნისტისა და მეცნიერის, საბჭოთა კავშირის გმირის დიმიტრი მიხეილისძე კარბიშევის ლეგენდარული ცხოვრება.

უკვდავებისაკენ მიმავალი გზა კი დაიწყო 1884 წელს ციმბირის კალაქ ომსკში. აქ დაიბადა დიმიტრი მიხეილის ძე კარბიშევი, აქვე დაამთავრა ციმბირის კადეტთა კორპუსი. 1900 წელს ამთავრებს ნიკოლაევის საინჟინრო სასწავლებელს. XX საუკუნის გარიჟრაჟზე კარბიშევი მსახურობს შორეულ აღმოსავლეთში. რუსეთ-იაპონიის ომის დროს დაჯილდოებულ იქნა ხუთი ორდენითა და ორი მედალით. მალე შემჩნეულ იქნა მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციაში და გადაიყვანეს თადარიგში. 1908 წელს კარბიშევი შედის საინჟინრო აკადემიაში და 1911 წელს წარჩინებით ამთავრებს მას. მის სადიპლომო პროექტს ფორტიფიკაციის დარგში მიენიჭა პორტარტულის გმირის გენერალ კონდრატენკოს სახელობის პირველი ხარისხის პრემია.

კარბიშევი არა მარტო რუსეთ-იაპონიის ომის, არამედ პირველი მსოფლიო ომის მონაწილეც იყო. იგი იყო დივიზიისა და კორპუსის ინჟინერი. ამ ომში დაჯილდოვდა ერთი ორდენით და გახდა პოდპოლკოვნიკი. კარბიშევის ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება 1917 წლის დეკემბერში, როცა იგი შედის წითელ გვარდიაში. მან თავისი ხელით მოიგლიჯა მეფის პოდპოლკოვნიკის ნიშნები და გახდა წითელი გვარდიის ინჟინერი. 1918-1920 წლებში კარბიშევი ჰუმანობის მუშეთ-გლუხური წითელი არმიის მთავარ სამხედრო-ტექნიკურ სამმართველოსთან არსებულ ქვეყნის თავდაცვის კოლეგიაში, ხელმძღვანელობის ცარიცინის დაცვის სამუშაოებს, შემდეგ მონაწილეობს მ. ვ. ფრუნზესა და მ. ვ. კუბიშევის ხელმძღვანელობით კოლჩაკისა და ვრანგელის წინააღმდეგ ბრძოლაში. სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ კარბიშევი არის უკრაინისა და ყირიმის საინჟინრო ჯარების უფროსი, მთავარი საინჟინრო სამხედრო სამმართველოს საინჟინრო კომიტეტის თავმჯდომარე. ეწევა ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას მ. ვ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო საპა-

ერო აკადემიაში, გენერალური შტაბის აკადემიაში. ის იყო გენერალური შტაბის აკადემიის პროფესორი. სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი. ასწავლიდა თითქმის ყველა სამხედრო აკადემიაში. მსოფლიოს სამხედრო საქმის ცნობილი თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები ფანქრით ხელში სწავლობდნენ საბჭოთა სამხედრო მეცნიერის შრომებს.

ყველაზე ღირსახსოვარი ეტაპი კარბიშევის ცხოვრებაში იყო 1940 წლის დეკემბერში სკკპ რიგებში შესვლა.

დიდმა სამამულო ომმა დიმიტრი მიხეილის ძე კარბიშევის დასავლეთის საზღვარზე მოუხსწრო. სადაც ის თავდაცვითი მშენებლობის მიმდინარეობას ამოწმებდა. ომის პირველსავე დღეებში მტრის ილუაში მოექცა. მიიღო კონტუზია და უგრძობელ მდგომარეობაში ჩავარდა ტყვედ. სამნახევარი წლის განმავლობაში დ. მ. კარბიშევი იყო სიკვდილის ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში პოლონეთში. გერმანიაში, ავსტრიაში.

მას ერთი წუთითაც არ დაუშალავს. რომ საბჭოთა გენერალი იყო. ხოლო როდესაც ფაშისტი ჯალათები ჩამწკრივებულ ტყვეებს უბრძანებდნენ კომუნისტებს ნაბიჯი წინ გადაედგათ, პირველი, ვინც წინ ნაბიჯს დგამდა, იყო გენერალი კარბიშევი.

საბჭოთა პარტიოტი საკონცენტრაციო ბანაკებში აქტიურ მუშაობას ეწეოდა იატაკქვეშეთში. ხელს უწყობდა ტყვეების გაქცევას სიკვდილის ბანაკებიდან.

ფაშისტმა ჯალათებმა ყოველი ძალა იხმარეს, რათა გაეტეხათ დიდი სამხედრო სპეციალისტის ნება. ჯერ ესესელებმა და გესტაპოელებმა ის საკონცენტრაციო ბანაკებში აწამეს, ამწყვდევდნენ საკნებში, აშიმშილებდნენ, შემდეგ შეახვედრეს ნაცისტ გენერალს. პროფესორ ჰენც რაუბენჰეიმერს.

მან უთხრა, რომ გერმანიაში იცნობენ კარბიშევის და თვითონ გერმან გერინგი დაინტერესდა მისი შრომებით. კარბიშევემ წმინდა გერმანულით უპასუხა, რომ ის ილაპარაკებს მხოლოდ რუსულად. ხოლო რადგანაც გერინგი თარგმანში არარაობას ნიშნავს, ამიტომ მისი აღიარება კარბიშევეზე შთაბეჭდილებას ვეღარ მოახდენს.

ფაშისტებმა შესთავაზეს გენერალს ბინა ბერლინში, მაღალი სამხედრო ხარისხი, დიდი ხელფასი, მსუბუქი ავტომანქანა „მერსედეს ბენცი“, მოითხოვდნენ მისგან თავდაცვითი ზღუდეების გამაგრებას. გენერალმა კარბიშევემ უარი განაცხადა. სამი დღე მისცეს მოფიქრებისათვის. სამი დღის შემდეგ გესტაპოს ცენტრალურ სამმართველოში ესესელთა რაისხსფეჟერმა და გერმანიის პოლიციის შეფმა ჰიმლერმა მიიღო საბჭოთა გენერალ-ლეიტენანტი.

— მოიფიქრეთ, გენერალი? — ტყვიასავით ესროლა ჰიმლერმა კარბიშევს.

— რა არის აქ საფიქრალი? ცუდია ის გენერალი, რომელიც სამშობლოს უღალატებს. მე რუსი ვარ...

— მაშინ თქვენ ომის დამთავრების დღეს ჩამოგახრჩობთ. როგორ ფიქრობთ, ბატონო პროფესორო. როდის დამთავრდება ომი?

— როცა რუსეთში არც ერთი ფაშისტი აღარ იქნება! — იყო პასუხი.

ამის შემდეგ გენერალი კარბიშევი გაათრიეს. გვერდზე გაუქეთეს წარწერა „რუსი“, ზურგზე მიაწერეს „სოციალურად საშიში პიროვნება“ და ქვებს ამტვრევიანებდნენ. გენერალს სცემდნენ, აწამებდნენ, სანამ მალტპაუზენში არ გაყინეს და გაზის კამერაში არ დაწვეს.

კარბიშევის სიცოცხლე და გმირობა გაფრთხილებაა. „ადამიანებო, იყავით ფხიზლად! არ გამეორდეს მალტპაუზენი!“

გენერალმა კარბიშევი არ იცოდა, რა იყო შიში. ის იმეორებდა სუვოროვის სიტყვებს: „შეშინდი“ ნიშნავს „დამარცხდი“. მას უყვარდა ვოლტერის სიტყვებიც: „მოსპეთ ქვეწარმავალი!“ კარბიშევი ამ სიტყვებში ფაშიზმს გულისხმობდა.

საბჭოთა ჟურნალისტებმა ავსტრიაში ქული მოვიხადეთ გენერალ კარბიშევის ძეგლთან. და განა მარტო ჩვენ! მთელი მსოფლიო იხდის ქულს ამ ლეკენდარული ადამიანის გმირობის წინაშე.

ჩვენ ვნახეთ „სიკვდილის საამქრო“, სადაც მიიტანეს გაყინული კარბიშევი, ვნახეთ სისხლის საწრეტი არჩი, სადაც მიედინებოდა საბჭოთა პატრიოტების სისხლი, ვნახეთ გაზის კამერა, სადაც დაწვეს გენერალი კარბიშევი. ყოველივე ამ საშინელების მაღლა ამოტვიფრულია სიტყვები ევროპულ ენებზე: „მარადიული ხსოვნა საბჭოთა კავშირის ღირსეულ შვილს გენერალ კარბიშევს“...

ვენა-თბილისი.



მომოგლიურ პერიდიანაზაზ

შხხვედრაბი საში და მიჩაზა

ჩემო სამშობლოვ, შენი მეკლე ვარ,
— შეშოდგი ფეხი,
ვარ მომლოცველი,
თვითეულ მოძმის გადამყოცნელი!..
ხალხო ქართველო,
შენ გაიხარე,
ბედნიერების ვარ მომლოცველი!..

გიორგი ლეონიძე

ეს ფანტასტიკური მოთხრობა არ არის. თუმცა ახალი წლის წინა დამეები ისეთი ფანტასტიკით ავსებს ადამიანის სულს, რომ მასთან ვერცერთი ჟიულ ვერნი ვერ მოვა.

ჩვენი საახალწლო მოგზაურობა წყნარი ოკეანის ნაპირებზე დავიწყეთ.

სახალინზე მებადურებთან ერთად უკვე დაღეული ჰქონდა ახალი წლის სადღეგრძელო ქართველ მხატვარს გივი მანტაკეაძე... თვით-მფრინავის სალონში, ცაში გავიცანი ქართველი ინჟინერი გიორგი მენაბდე. მას ირეშმებნული მარხილით ევლო შორეული ჩრდილოეთიდან კამჩატკის-პეტროპავლოვსკაჲდე. გზაში დროის სხვადასხვა სარტყელში უკვე მოესწრო რამდენიმეჯერ შეხვედროდა ახალ წელს. ჩვენს ქვეყანაში ხომ ყოველი ახალი წელი 11-ჯერ დგება.

მენაბდე ბრატსკესს აგებს.

— ენგურჰესის მშენებლებს ვეჯიბრებით, ეს კარგია. — ამბობს იგი. ისეთი ამბები ხდება, რაც აღრე ზღაპარშიც წარმოუდგენელი იყო. ციხზირის მეცხრე ცაში, სტრატოსფეროს მე-10.000 მეტრზე ვსვამთ ქართულ შაჰჰანურს, ახალი წლის სადღეგრძელოს, ბრატსკესის და ენგურჰესის მშენებელთა სადიდებელს, ცეცხლის მოტაცების სადღეგრძელოს.

— ბრატსკი მშენიერდება, — ამბობს მენაბდე, — ადამიანი არ ემორჩილება კალენდარს. დროს უსწრებს. ბრატსკში ბევრი ქართველი მუშაობს. გვეწვიეთ, საინტერესოა.

ნეონის რძინფერი დღე ანათებდა ნოვოსიბირსკის შუალამეს... აქაც შევხვდით ახალ წელს.

ციმბირი ძველად ცრემლის ქვეყანა იყო.

...ჩამოპარსავდნენ გლესკაცს ცალ წვერს და საციმბიროდ გაამწებდნენ. ქართველთა ძვლებითაც არის მოფენილი ციმბირის მიწა. ციმბირის ნაძვებს ის მიწაც მატებს სიმაღლეს, რომელიც საქართველოდან წაუღიათ მეგრებზე დასაყრელად ბელისაგან განწირულებს.

ციმბირი ღიმილის ქვეყნად იქცა.

ერთმა ბრძენმა თქვა. რომ ადამიანმა თავი მაშინ იგრძნო ადამიანად, როცა ღიმილი ისწავლაო. ბედნიერებას ნიშნავს ღიმილი. საბჭოთა ადამიანი დიდ ბედნიერებას კედს დედამიწაზე. საბჭოთა ადამიანი ქმნის ახალ თქმულებას ციმბირის მიწაზე. ეს არის ლამაზი თქმულება ატომგულის წილში სვლაზე და იაკუტიის ალმასებზე, ზოღაიბოს ოქროზე და ანგარსკის ჩირაღდნებზე, მეირმეობის კოლმეურნეობაზე და პოლარული წრის ყვავილებზე...

ამ ლამაზ თქმულებაში, რომელსაც მთელი საბჭოთა ხალხი ქმნის, ქართული ხელით დაწერილი სტრიქონებიც ბევრია.

გამახსენდა ტომსკში გაგონილი იაკუტი გეოლოგის სიტყვები.

— საბჭოთა ადამიანის ცა ალმასებით უნდა იყოს გაწყობილი. ციმბირის ყველა ნაძვი საახალწლოდ უნდა იყოს მორთული.

ციმბირის ცაში თხილავურებათ დაფრინავს — კაკი-ტორპედო — კობა წაქაძე.

ციმბირში დაიწერა სიხლით და ცრემლით ჩვენი პარტიის ისტორიის საუკეთესო თავები. თითოეული მათგანი ეპოპეას უღრის.

— დღეს ჩვენი მეცნიერული და ინდუსტრიული დიდება იქმნება აქ, — თქვა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის ფილიალის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა მიხეილ ლაუერენტიევმა. ამ დიდებაში ბრწყინავს ქართველ მეცნიერთა წვლილიც. საკმარისია ვახსენოთ ლენინური პრემიის ლაურეატის აკადემიკოს ი. ვეკუას, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ა. ბიწაძის სახელები.

ნოვოსიბირსკი — სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების ბრწყინვალე თანავარსკვლავედი.

...ფრთებქვეშ უჩინარი საზღვარი გადის ევროპასა და აზიას შორის. მზის მარშრუტით მოდის აღმოსავლეთიდან ახალი წელი. მიწის ქვეშ, კუზბასის შახტებში ეშვება ახლა ქართველი ქაბუჯი მუშახტე ბონდო გიგაური. ახალ წელს იგი მიწის ქვეშ შეხვდება.

რომანტიკა! დიას, რომანტიკა, ძლიერთა და მამაცთა რომანტიკა.

იქ, სადაც ჰორიზონტის რკალი ისახება, ახლა ყინულებს მიაპობს ჩრდილოეთის საზღვაო გზაზე ხომალდი „თბილისი“...

...თვითმფრინავი ეწევა დროს. არც ეს არის ფანტასტიკა. 12 საათზე ნოვოსიბირსკისაკენ გამოფრენილი თვითმფრინავი მოსკოვშიც 12 საათზეა!.. თითქოს დრო „გაჩერდა“, რომ ადამიანებმა მეტ-ტანს იზეიმონ თვითმფრინავში ახალი წელი. რამდენ ასეთ სასწაულს მივეჩვიეთ.

მოსკოვში მეტროში, ტრამვაიში, ავტობუსში მოგზაურობენ ნაძვის ხენი. თითქოს ტყეს ფეხი აუდგამს და ქალაქში მოსულა... — „ლარიქს სიბირია“ — ნაძვი ციმბირული, ასე რომ აღელვებდა გალაკტიონ ტაბიძეს, გაკაშვამებულა კრემლის სასახლეში და ქალაქის ქუჩებში. მოსკოვმა ერთი კვირით ადრე აანთო საახალწლო ნაძვის ხენი ახალ სახლებში...

მოსკოვი საათობით იზრდება, როგორც გოლიათად დაბადებული ზღაპრული რაინდი. ციმბირში გაფრენის წინ ჩერიოჰმუშეებში ახალ სახლებს საძირკველი ეყრებოდა. ერთი თვის შემდეგ ის რაიონი ვერ ვიცანით, სახლები თითქმის აშენებული იყო. ეს ზღაპარს ჰგავს. გორკი გახანდება: — ჩვენ შობილნი ვართ იმისათვის, რომ ზღაპარი სინამდვილედ ვაქციოთ.

— ყოველი მესამე მოსკოველი ახალ ბინაში ცხოვრობს! — გვითხრა ინჟინერმა მშენებელმა გ. ბედიამძემ, რომელიც ახალ ჩერიომუშეებში გავიცანით.

ახალი წლის მეკვლე აკაკუნებს მოსკოველთა ბედნიერ ბინებზე. ჩვენ გვინდა მოგიტხროთ მოსკოვის ერთ ქუჩაზე. იგი თითქმის ყველაზე ახალგაზრდა ქუჩაა დედაქალაქში და გენიალური რუსთაველის სახელს ატარებს.

— ჩვენს ქუჩაზე დაიწერა ყველაზე მეტი საახალწლო ლექსი. გვითხრა შავგვრემანმა ქაბუკმა სტუდენტმა ივანე გაგუამ. თქვენ შეიძლება გაგიკვირდეთ. ვის შეუძლია ასეთი სტატისტიკური მონაცემები ჰქონდეს. არც ესაა ფანტასტიკა. მოსკოვში რუსთაველის ქუჩაზე ცხოვრობენ მ. გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის სტუდენტები. რუსთაველის ქუჩაზე 60 ენაზე წერენ და კითხულობენ ლექსებს, შოთხრობებს. სცენარებს. უძილო ფანჯრები განთიადამდე ანათებენ არა მარტო ახალწლის ღამეს... ახალგაზრდა ევენკი პოეტი კითხულობს ლექსს რუსთაველზე, ტუნგუსი, რომელიც ველურ ტომს წარმოადგენდა პუშკინის დროს, წერს მოთხრობას პუშკინზე. ესეც დროის ხილული ნიშანია.

რუსთაველის ქუჩაზე ყველა ოჯახში ნახავთ „ვეფხისტყაოსანს“. მესმის, თუ როგორ კითხულობს ღამაში რუსთაველის ქალიშვილი:

რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან;
მისვე ხმისა სიტყბოსაგან წყლით ქვანიცა გადმოსხდინ;
ისმენდიან, გაჰკვირდიან, რა ატირდის ატირდიან,
იმღერს ლექსთა საბრალოთა, ღვარისაებრ ცრემლნი სდიან.
მოვიდიან შესამკობლად ქვეყნით ყოვლნი სულეორნი,
კლდით ნადირნი, წყალშიგ თევზნი, ზღვით ნიანგნი,
ცი თ მფრინველნი.

ინდო-არაბ-საბერძნეთით, მაშრიყით და მალრიბელნი,
რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით მეგვოტელნი.

რუსთაველის ქუჩაზე მოსკოვში ჟღერს უკვედავი აფორიზმი:
ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერაა.

ყავლგაუხსვლელია ეს სენტენცია.

ჰყვავიან ქართული და რუსული, უკრაინული და ბელორუსული, უზბეკური და სომხური ოჯახები რუსთაველის ქუჩაზე მოსკოვში.

დღეს ყველა გზა მოსკოვში მიდის. აქ ჭვარდინდება ყველა მერიდიანი, რომელიც მიისწრაფვის ვარსკვლავეთში თუ ოკეანის გაღმა. „ინტურისტის“ რეკლამებთან პარიზისა და ნიუ-იორკის სახაბებს ჩრდილავს საქართველოს მთისა და ბარის ლამაზი პეიზაჟები. „ეწვიეთ საქართველოს“, „ნახეთ თბილისი“ — აწერია ინგლისურად, ფრანგულად, გერმანულად, ესპანურად ფერად სურათოვან რეკლამებს...

აფიშები იუწყებიან, რომ დიდ თეატრში და კრემლის ყრილობათა სასახლეში პრემიერაა. ვანო მურადელის ოპერა „ოქტომბერი“. ეს არის პირველი ოპერა, რომელშიც დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის სახეა მუსიკალურად გამოკვეთილი. ილიჩის როლს ასრულებს ცნობილი მომღერალი არტურ ეიზენი.

ნეონის შუქრეკლამებით გაჩირადდებულ კიოსკში პოტელ „ნაციონალთან“ უცხოელები ყიღულობენ ამერიკელი მწერლის მიტჩელ ულსონის რომანს „შეხვედრა შორეულ მერიდიანზე“. აქ ქართველ საბჭოთა ფიზიკოსებსაც ეძღვნება რამდენიმე თავი. ადრე საქართველოში ეთნოგრაფიული ეგზოტიკა იტაცებდა უცხოელს. რამდენად სასიამოვნოა, რომ დღეს საქართველო მსოფლიო ცივილიზაციის დონეზე ავიდა. აგერ ვხედავ ქართული მათემატიკური სკოლის ქურუმს ნიკოლოზ მუსხელიშვილს... მისი შრომები მოჩანს. მაღაზია „აკადემიური წიგნის“ ვიტრინებში... ადრე მხოლოდ ქართული ეპოსით, რუსთაველის პოემით თუ იცნობდნენ საქართველოს... დღეს მსოფლიო იცნობს მის ღვიწივებსა და ტექნიკასაც.

კაფე „იალბუზში“ სვამენ კახურ კოქტილს. ქართული ვაზის მადლით ტკბებიან დედაქალაქის სტუმრები.

ევროპის ერთ-ერთ ულაპაზეს და არქიტექტურული თვალსაზ-

ჩრისით უთანამედროვეს კინოთეატრში „როსიაში“ მიღის ქართველი რეჟისორის გ. დანელიას ფილმი „მე მივაბიჯებ მოსკოვში“. ეს არის კინოპოემა მოსკოვზე. დედაქალაქი თვისი ყოველდღიური ცხოვრებით — აი ვინ არის ამ ფილმის მთავარი გმირი. ფილმის ერთ-ერთი გოქმედი პიროვით მივაბიჯებ მოსკოვის მთავარ ქუჩაზე. თვალს ახარებს ირგვლივ ყველაფერი. საბჭოთა კავშირის მთავარი ქუჩა, რომელიც მარქსის პროსპექტით უერთდება წითელ მოედანს, დიდ მდინარეს ჰგავს. ამ ილუზიას ქმნის არა მარტო ხალხისა და ტრანსპორტის ნაკადები. აქ ხედავ დროის დინების სიჩქარეს. აქ წუთი წუთში არ ეტევა. ყური დაუგდეთ ახალი ამბების სააგენტოს ტელეტიპებს და იგრძნობთ პლანეტის მაჯინაცემას... ახალი ამბების სააგენტოს მყუდრო ოთახში შეგობარი ურნალისტი წერს სჯატიას მეცნიერობზე. რომლებიც ცდილობენ ატომურ საწვავად აქციონ ჩვეულებრივი წყალა... დიახ. ეს არის დროის ხილული ნიშანი.

...გავიაროთ გორკის ქუჩაზე. ფიქვების ქვეშ ყოლიან მსოფლიოს ურნალ-გაზეთებს. „ბერლინერ ცაიტუნგი“. ახლა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაშიც, უნტერ დენ ლინდენზეც კითხულობენ ამ ნომერს. მასში იოჰანეს ბეხერის ლექსია დაბეჭდილი საქართველოზე.

გორკის ქუჩაზე მოდის ნიკოლოზ ტიხონოვი. ნიკოლოზ ტიხონოვი თითქოს უხმოდ კითხულობდა თავის სტრიქონებს:

მე მიყვარს, როცა ლამაზ თბილისში
ბანდისას მივხედუე რუსთაველის პროსპექტს.

მესმოდა მგოსნის ხმა მისი ქართული ლექსებიდან.

მე ამ კუთხეში ყველაფერს ვიცნობ,
თქოს აქ ვაყო დაბადებული.

მ:რალაც, რომ ნიკოლოზ ტიხონოვივით ძნელად თუ იცნობს ვინმე საქართველოს და ქართულ პოეზიას.

ის პუშკინის ნაკვალევს მისდევს.

თეატრალურ აფიშებთან ხალხმრავლობაა. გორკის ქუჩაზე, იქ, სადაც ჩაფიქრებული პუშკინი დგას ხელთუქმნელ კვარცხლბეკზე, ძალაუნებურად გესმის საუბარი.

— დღეს ხოხეს პარტიას მღერის ზურაბ ანჯაფარიძე.

— ბრწყინვალე ტენორია...

აფიშები გორკის ქუჩაზე გიწვევენ სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიურ თეატრში ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის პიესაზე „მე ვხედავ მზეს“. აქვე ხედავთ ო. იოსელიანის აბიბო ბოგვერადეს.

იური დოლგორუკის ძეგლიდან ორიოდ ნაბიჯზეა წიგნის უნივერსალური მალაზია „მეგობრობა“. აქ სოციალიზმის ქვეყნების ლიტერატურა იყრილება მსოფლიოს 15 ენაზე. ყოველ თაზოზე წააწყდ-

ბიზნის წიგნს, რომელიც მოგვითხრობს რუსეთზე, უკრაინაზე, საბჭოთა საქართველოზე. აგერ პრალაში ჩეხურ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ ენებზე გამოსული ფერადი ფოტოგალერეა „კავკასიის მარგალიტის“ სახელწოდებით, რომლის 30-მდე ფერადი ფოტო მოგვითხრობს საქართველოს ცხოვრებაზე. აგერ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოცემული ენციკლოპედიური ერთტომეული „მაიერ ტაშე ლექსიკონი“, სადაც შეგიძლიათ წაიკითხოთ სტატიები „საქართველოს ასრ“, „ქართული ენა და ლიტერატურა“. „რუსთაველი“. რომელი ერთი ჩამოვთვალო.

გორკის ქუჩაზე იყ ვერ ჩაუვლით ვ. ნაიკოვსკის ძეგლს. რომ საქართველო არ გაგახსენდეთ. „შენი ვალი მაქვს, ბალდადის ხეცავ“... თვითონ გორკი, სოციალისტური რეალიზმის მამამთავარი, საქართველოში დაიბადა როგორც მწერალი. აგერ აღექსანდრე პუშკინი, რომელიც ქართველებს ისევე გვიყვარს, როგორც ჩვენი ეროვნული პოეტები. ასე ჩაივლის თქვენს წინ დიდ აღაპიანთა დიდი გალერეა, რომელიც ჰგავს ქვაში გამოკვეთილ დიდ საგალობელს მეგობრობისა.

ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზი. იგი ქოშმეა დიდი გემოვნების მქონე მოსკოველი მაყურებლის წინაშე ქართველ მსახიობთა ტრიუმფალური გამოსვლებისა. ამ დღეებში აფრებები იფრებებიან, რომ აქ იმართება ნიქიერი ქართველი კომპოზიტორის ო. თაქთაქიშვილის საავტორო სადამო.

ბრწყინავენ რეკლამები.

გორკის ქუჩაზე მინიატურულად, მაგრამ თითქმის ყოველმხრივ არის წარმოდგენილი საბჭოთა საქართველო.

ყოველ ნაბიჯზე ხედავ მეგობრობის გამოვლინების უთვალავ მაგალითს.

ქუჩები ერთმანეთისაკენ მიისწრაფვიან. დღეს მოსკოვში ყველა ქუჩა. ასე გგონია, გორკის ქუჩისკენ მიისწრაფვიან. გორკის პროსპექტს სამი ქუჩა კრის, რომლებიც საქართველოს სახელს ატარებენ. აქეთ ისწრაფვიან რუსთაველისა და ფალიაშვილის ქუჩები, საქართველოს დიდი და მცირე ქუჩა. და ყველგან ფეთქავს დღევანდელი საზოგადოებრივი ძალა, ყველა ქუჩაზე გაზაფხულისა და კვირტების ხმაურით სკდომის დროა.

ჩვენ ქართველი კაცის თვლით შევხედეთ დედაქალაქის ერთ უკრედს — გორკის ქუჩას. იგი მშობლიურია ქართველი ადამიანისათვის. ამ ქუჩაზე რამდენ ზოგადკაცობრიულს, მშობლიურს და საკუთარს დაინახავს რუსის. უკრაინელის, ბელორუსის, ყაზახის, ლიტველისა თუ უზბეკის თვალა. ამაშია მოსკოვის დიდი გულის ჯადო,

რომელიც სიყვარულით ათქმევინებს ყოველ საბჭოთა ადამიანს — მოსკოვი ჩემი დედაქალაქიაო. ყოველივე ამას ჩვენ ვუმადლით ჩვენს დღევანდელობას, რომელსაც ათეული წლებით ადრე კვრეტდა კრემლის „დიდი მეოცნებე“ ვლადიმერ ლენინი.

...„ქეტროპოლიტენში“ გადის ფილმი „ლურჯი რვეული“. რაზ-ლივში დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოგვითხრობს ეს ფილმი. მასში ლენინის თანაქებრძოლის სერგო ორჯონიკიძის როლს ასახიერებს ე. მაღალაშვილი. ფილმი ძრავალმეტყველი და საინტერესოა.

გორკის ქუჩაზე ჰევრჯერ მინახავს გალაკტიონი. პოეტი ახლაც მომელანდა. თითქოს თავის ლექსს კითხულობდა:

შეხედე რა ცაა! —
ეს არის რაცაა!

გორკის ქუჩაზე დეკემბერშიც გაზაფხულის ქარები ქრის. გორკის ქუჩაზე ფეთქავს მოსკოვის დიდი გული.

...ახალი წელი დასავლეთისაკენ მიდის. ჩვენ მას ვილნიუსამდე ღივყვებით.

ლიტვის მიწაზე, ღიმილის დროა.

ნერაისა პირას ხალისით ვესებათ ოჯახი ქართველ ქალს თანარ სიხარულიძეს და მის ქმარს, ლიტველ ვაჟაკს ვაცლავას ყურაიტისს.

ვილნიუსში გვაჩვენეს ლიტვეური ვარდი — რუტა. იგი ზამთარ-ზაფხულ ყვავის, მას არ ეშინია ყინვისა. იგი სიყვარულის ცეცხლით არის გამთბარი. რუტა ამშვენებს ახალ დაქორწინებულთა მხრებს, საპატარძლოს მკერდს, ის მშვიდობისა და სიყვარულის ყვავილია.

ლიტვაში იტყვიან ახალ წელს: — მეტი რუტა აგეყვავებინოსო. რუტა სიხარულისა და სიყვარულის სიმბოლოა.

დაილოცოს ქართული ადათი: ახალი წლის ღამეს კერიის ღედა რომ დაჰყრიან მუგუზლის უთვალავ ნაკვერცხლებს და იტყვიან:

-- ახლო წელო, ამდენი სიხარული, ღიმილი, ოქრო დაგვიბედეო.

დე, ბედნიერი იყოს შენი შემოსვლა, ახლო წელო, გვიმრავლე ქორწილი და ძეობა, მშვიდობა, ბედნიერება, სიხარული, სიყვარული დაგეთესოს ყველგან, ცასა და მიწაზე...

ნოვოსიბირსკი-მოსკოვი-ვილნიუსი

ვაზი და ქალიშვილი

შემოდგომა არჩევს ფერებს კრეშიატიკის დასახატავად...

შორს არის ცისფერი ალაზანი და კახეთი — დედა ვაზისა.

ქარები ქრიან და ფერები ჰღერიან წვიმაში... მილელავს დნეპრი და ალაზანთან ერთად ერთ საფიქრალს ფიქროსს...

დნეპრზე ერთმანეთს ესალმებიან თეთრი ხომალდები „საქართველო“ და „უკრაინა“ და აღვიძებენ შორეულ ზართა ექოს. გემების ხმასა და ზართა რეკვაში არის დიდი და ენით გამოუთქმელი გრძნობა, შინდიას ყურით მოსასმენი და პოეტის თვალთ დასანახავი.

...შევიჩნეოს ბულვარის ალვისსეები ეჭვევიან რუსთაველის ქუჩის ცაცხეებსა და კადრებს.

წვინს რუსთაველის ქუჩაზე და მღერის ვაზები მზის საგალობელს. კიევში ხარობს რქაწითელი რუსთაველის ქუჩაზე!

დილით, ვეებერთელა მზე რომ ამოვა დნეპრზე, რუსთაველის ქუჩის სახლების ფანჯრებში ქართული ვაზი შეიხედავს. და ჩუმად, ბუთხუზა ბავშვები რომ არ გააღვიძოს, ეტყვის უკრაინულ ოქანს.

— დილა მშვიდობისა!

დნეპრიდან მოფრინდებიან თეთრი მტრედები და ქართულ ვაზზე ჩამოსხდებიან.

მზე, მტრედი და ვაზი „სამაიას“ უვლიან უკრაინული ოქანის ფანჯარასთან ცისკრის ეამს.

რუსთაველის ქუჩას თოლიებივით მოედებენ ქალიშვილთა გუნდები.

იღება ფანჯრები.

ქერა ქალიშვილი ვაზს და მტრედს ეაღერსება. მზეს ესალმება. უკრაინელი ქალიშვილი და ქართული ვაზი!.. ქალიშვილის ყელს ეხვევა ვაზის ლერწი.

ვაზს რქაწითელი ჰქვია. ქალიშვილი — ოქსანაა, გვარად — კვოტკო. კვოტკო — ყვავილს ემშავს უკრაინულად. ოქსანა აგრონომ-ლეკორატორი ქალიშვილია და საყვარელი კიევის ვარდებსა და ვაზებს დაჰხარის.

ვაზი თითქმის გრძნობს ქალიშვილის მართოლვარე ხელის შეხებას, ქალწულის სუნთქვას...

დაისის ეამს დნეპრის ბაღები კიეველ შეყვარებულთა საპაემნო ადგილია. აქ კაბის შრიალთ ჩივილის ოქსანა. ისე ლამაზია მაშინ იგი, როგორც ვენახი მწიფობის თვეში. მერე დნეპრის პირას ერთ ჭაბუკს უყვება ოქსანა ქართული ვაზების ამბავს. ვაზის ყვავილობას ჰგავს ოქსანას ღიმილი.

მერე ის კაბუჯი მოღებრტით ხელში რუსთაველის ქუჩაზე მოდის. ვაზებს ხატავს მზის ამოსვლამდე, ხატავს შთაგონებით. ცა ტილოდა აქვს წინ გაშლილი და ფერებს დნებრის წყალში აზავეებს. კაბუჯი ხატავს ვაზს და ქალიშვილს.

კანთიადისას მთვარე ოქროს ფასკუნჯივით ფრთხება და ცისკარი ლოყის სიწითლეში ეჯიბრება ქალწულს.

დნებრის ცისფერი ქარები ფურცლავენ „ვეფხისტყაოსანს“ ოქსანას ფანჯარაზე...

ვაზები ოთახში შემოსულან, მოხვევიან ლესია უკრაინკას ბიუსტს და ცოცხალ გვირგვინს უწნავენ.

ვაზები კაბუჯის ტილოზე გაცოცხლებულან და ოქსანას თავსას-ოუშალოთან ბტევნებს ამწიფებენ.

ვაზები ოქსანას სულში შემოსულან და ლერწებს ხელებივით აფათურებენ.

მე ვკითხე ქალიშვილს: — როგორ ახარე ვაზი კიევში-მეთქი.

— ქართული ვაზები იმიერპოლარეთშიც ხარობენ. ადამიანური სითბო ყოველგვარ ყინვას აღბობსო, — მითხრა ქალიშვილმა.

მღერიან ვაზის ფოთლები ქარში: შენ ხარ ვენახი...

მტრედისფრად თენდება რუსთაველის ქუჩაზე კიევში. ქალწულის თავშალივით ფრიალებს თეთრი ნისლი რქაწითელის სამამულე რქაზე.

რა არის ვაზზე შეყვარებულ ქალიშვილზე უფრო ლამაზი, რა არის იმაზე ლამაზი, ვიდრე რქაწითელი რუსთაველის ქუჩაზე კიევში.

მრავალეამიერ იყოს მტრედის ლულენი და ვაზის ყვავილობა, მზისა და ქალწულის ღიმილი რუსთაველის ქუჩაზე.

კიევი.

ზღვის კასი

ზეთისხილის სანაპიროზე გავიცანით იგი.

მზითა და ქარით გარუჯულა სახე აქვს. ოდნავ კეხიანი ცხვირი და კროლა თვალეები, წითლური უღვაშები, ძლიერი ხელები, ასეთი ხელებით მგონი ნავთობის კომკურა შეგიძლია ასწიო და ჩადგა ზღვაში. მას სერგო ჰქვია, ხაჩიძეა გვარად.

— ზღვაში გადინხართ? კარგია! — გაიღიმა და მეგზურად გაგვიძღვა.

ოწინარებივით სწოვდნენ მიწას ძუძუს ვეებერთელა კაბურღილები, ჰაერს ნავთობშემზავებელი მარილის გემო ჰქონდა.

როცა კომკების ტყე გავიარეთ, ზღვა:ც გამოჩნდა. ნაპირთან დაბმულ კატარლას ფერდზე ტალღები სცემდა და საცოდავად აქანა-

ვებდა. ბრეზნევის ჯუბანი და ქირზის ჩექმებიანი მუშები ტვირთადნენ კატარას. გემბანზე ეყარა ხის ყუთები. კონსერვები, საწვავი მასალა. მენავთობები, ზღვის ფსკერთა მზვერავეები მორიგი რეისისათვის თადარიგს შესდგომოდნენ...

კაპიტანმა ექვის თვალით ერთი ბეგვათვალიერა თავით ფეხებამდე ფოტოაპარატებითა და ავტოკალმებით შეიარაღებული ყურნალისტები, — სწორედ თქვენ გვაკლდით ალაო — გაიფიქრა და დარიგება დაგვიწყო, იპგვარად, როგორც პატარა ბავშვებს ტუქსავენ მამები.

— საკმაოდ ძლიერი ქარია, — კაპიტანმა თითქოს პეშვით დაიპირა ქარი, — თქვენ ვერ გაგიყვანთ ზღვაში. 5 ბალია... მალე ათიც გახდება. ლელვას ვერ აიტანთ... ღია ზღვა კიდევ რუსთაველის პროსპექტი როდია... ეპ, დამანებეთ თავი...

ჩვენ არ დავანებეთ თავი.

კაპიტანი კიდევ კარგა ხანს პუზღუნებდა, მაგრამ ბოლოს ხელი ჩაიქნია...

— წამოდით, კეუ-ს ისწავლით...

უკან დარჩა ზეთისხილის სანაპირო.

კატარლა ღია ზღვაში გავიდა. რაც უფრო ღრმად პივდიოდით ზღვაში, მით უფრო მატულობდნენ კოშკები.

სანაპირო კუნძულებს გავცდით, ზღვაში კოშკები მომრავლდნენ. თუმცა ნისლია, მათი კონტურები მარცხ სხანს გარკვევით. ეს კოშკები ადამიანების ხელების გაგრძელებაა. ადამიანი ხელებს აფათურებს ზღვის ფსკერზე, ეძებს იქ ნავთობს, გაზს...

ვინც ეძებს, ის პოულობს.

კასპიის ზღვის ფსკერი სისხლძარღვებით დაუსერავთ მილებს, რომლებშიც გადის ცეცხლი — გაზი და ნავთობი. მათში სერგო ხაჩიძის ბრიგადის მიერ აღმოჩენილი ნავთობი და გაზიც გადის. და თვით საქართველოს შავიზღვისპირეთშიც კი აღწევს. სერგო ამბობს იმით, რომ მისი ნაპოვნი გაზიც ათობს საქართველოს კერებს. კიდევ ორი თვე, და ხაჩიძის ბრიგადა ვადაზე ადრე ჩააბარებს მე-9 კაბურღილს კასპიის ზღვაში... ეს ჩქაროსნული ბურღვის ახალი მიღწევა იქნება. ყარადაღ-თბილისის გაზსადენში სერგო ხაჩიძის ბრიგადის მიერ ნაპოვნი გაზიც გაივლს და მეგობრობის ცისფერ ალად აენთება ქართულ ოჯახებში.

ტალღებმა იძალეს... ხან კატარლის ქიმზე იმსხვრევა მარილიანი წყალი, ხან კიდევ გემბანს რეცხავს ტალღა. კაიუტაში ჩავდივართ.

კატარლა ირწევა და თანებრუ გვეხვევა. გამშავებული ზღვა ღრიალებს. ტალღების თხემზე კი არ მიკურავს, მიხტუნავს კატარლა.

საუბრის თავი არა გვაქვს.

ვუყურებ მენავთობეთა მშვიდ სახეებს და მათ მიმართ პატივისცემის გრძნობა მიპყრობს. ისინი იზრდებიან ჩემს თვალში. ისინო ყოველდღე გადიან ასე ზღვაში. სამუშაო ადგილამდე — რკინის ბოძზე შემდგარ კოშკებამდე მიღწევა ასეთ ღელვაში ნამდვილი გმობობაა; და თუ ეს გმობობაა, მაშინ რა დავარქვათ მენავთობეთა შრომას ზღვის ფსკერზე, ნავთობის საბადოთა დაზვერვას, ღია ზღვაში ღამის გათევას.

— 6 ბალია, — წინ ვერ წავალთ! — ამბობს სერგო ხაჩიძე, ბურღვის ოსტატი. შავგვრემანი ჩასკვნილი ვაჟკაცი, — აფხუს, ერთოდღე გვეკარგება... ისევე ხმელეთზე უნდა გავებრუნდეთ.

მეორე დღეს ჰაერიდან წევუტივთ ზღვაა. ვერტმფრენი კაბურღილებისა და ტალღების სამეფოში ეშვება. ერთი საათი კატარლით, და „ოჩოფეხებზე“ — ფოლადის ბოძებზე მდგომ კუნძულებზე ვართ. აქ, ხმელეთიდან 100 კილომეტრზე, ერთი კვირა ცხოვრობენ და მუშაობენ ადამიანები. აქ ეძებენ ნავთობს.

კასპიის ზღვაზე ბაქოელი მენავთობე მღეროდა სამედ ვურღუნის ლექსს:

კარგი რომა ხარ, ქვეყანამ იცის,
ჩემი რომა ხარ, იციან ისიც,
ჩემი ზორცი ხარ და ჩემი სისხლო,
ხარ ვარსკვლავებით სავსე ხალიჩა,
ახერბაიჯან, ახერბაიჯან!

სერგო ხაჩიძე ერთხანს უხმოდ უსმენდა ამ სიმღერას და მერტე იმავე პოეტის სტრიქონებით მითხრა:

რა მოჰკლავს ხალხის სულსა და მიზანს,
რა მოჰკლავს ფიზულს, რა მოჰკლავს ნოზამს?!

მართლაც, რომ უკვდავია ხალხი და პოეზია.

რუსთაველის მიწიდან მოსული კაცი ნიზამის მიწაზე გმობობას სჩადის.

...მე-9 კოშკზე ხაჩიძის ბრიგადა 4500 მეტრზე ეძებს ნავთობსა და გაზს ზუსტად შემუშავებული გეოლოგიურ-ტექნიკური გეგმების მიხედვით.

კასპიის ზღვაში ჩვენ ვეძებთ რომანტიკას, ხაჩიძის ცვლა — ნავთობს.

ერთიც და მეორეც აქ ბლომად მოიპოვება.

სერგო ხაჩიძეს, ბორჯომის რაიონში დაბადებულ ვაჟკაცს, ზღვა ადრე თვალითაც არ ენახა, მერე კი... „მოვიდა, ნახა და გაიმარჯვა“..

ხშირად ასე წერენ მასზე, სინამდვილეში კი. .

... როდესაც სერგო პირველად აღმოჩნდა შუა ზღვაში და კა-

ტარლა ნაფოტივით აათამაშეს ტალღებმა, მას ზღვის ფსკერზე ხელის ფათურის განწყობილება დაეკარგა.

სერგომ ფიჭვის თვალთ გახედა წარსულს. ბორჯომის ხეობა, სოფელი ტბა, მერე თბილისი, ნავთობის ტექნიკუმი, გეოლოგიური პარტია კაპრეთში, პირველი გამარჯვება, პირველი წარუმატებლობა...

ხაჩიძე უყურებს თავის ცხოვრებას, როგორც ფილმს, რომლის რეჟისორი და ოპერატორიც თვითონ იყო...

ამ ფილმში არაფერია ამოსაქრელი და გადასადები, ყველაფერი ადგილზეა აგერ ბაქო, აზიზბეკოვის სახელობის ნავთობის ინსტიტუტი. ნავთობის ბურღვის ფაქულტეტი. 1960 წელი... დიპლომით ხელში სერგო ბურღვის №1 კანტორაში მივიდა. ეს არის ბაილოვში, ბაქოს ჩრდილოეთ სატვირთო ნავადგურთან... მივიდა სერგო და პირველსავე დღეს... შეაშინა ზღვა.

— იქნება ამოვკრათ ეს კადრები ცხოვრების ფილმიდან? — ეკითხება სერგო თავის თავს.

— არა... მაშინ როგორ გაიგებს ჩემი შვილი ჩემს გზას. პირველი შიშიდან იმ სიმშვიდემდე, რომელიც მეუფლებოდა იანვრის ქარბუქიან ღამით შუა ზღვაში, 30 გრადუსიან ყინვაში, როცა ხმელეთზეც არ მუშაობდნენ, ხოლო ჩვენი ჰაბურღილი შუა ზღვაში მინც ზვერავედა ზღვის ფსკერს?... გაზეთებმა ამას გმირობა უწოდეს. მე მას სიმშვიდეს ვეძახი. ეს სიმშვიდე იყო და მეტი არაფერი... დიახ, ეს იყო ზღვის მომთენიერებლის სიმშვიდე...

ეს იყო იანვარში. გაზეთებმა მთელ ქვეყანას მოსდეს სერგო ხაჩიძის ბრიგადის უმაგალითო გმირობის ამბავი. ისეთი ქარი იყო, რომ ადამიანები ხელიხელჩაკიდებულები გამოდიოდნენ სამუშაოზე. ზღვაში იყვნენ მბურღავები ლეკი ბაგადინ ტახმაზოვი, სომეხი ელიკ ასლანიანი, რუსი ვასილ ვასილიევი, აზერბაიჯანელი გაჯი მამედიაროვი, ქართველი სერგო ხაჩიძე... ოცამდე სხვადასხვა ეროვნების 24 კაცი... მათ სათავეში ედგათ სერგო ხაჩიძე... ამ ადამიანებმა აქ ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ ისინი ღირსეულად ატარებენ კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელს.

...ღმუროდა გაავებული კასპიის ზღვა... შხეფები საცხოვრებლის ფანჯრებს სცემდა. მთელი „კუნძული“ თითქოს გემი იყო, რომელიც მიარღვევდა 12 ბალიან ღელვას. არა, „კუნძული“ ჰგავდა ხომალდს, რომელმაც შუა ზღვაში ჩაუშვა ლუზა. მაგრამ ის ლუზა არ იყო. ის იყო ბურღი, რომელიც ოთხი-ხუთი კილომეტრის სიღრმეზე ექებდა ნავთობს და გაზს... და „კუნძული“ ირწეოდა როგორც ხომალდი. როდესაც ქარიშხალმა გადაიარა, ერთი კვირის ღრეიფის შემდეგ, ნაპირზე დამტრუნდნენ ს. ხაჩიძე და ზღვის მამაცი მზვერავები. მათ უპატაკეს

პირველ შემხვედრს, კანტორის მთავარ გეოლოგს მუხტარ რასულოვს:

— არც ერთნახევარი გეგმა...

გაოცებული თვალები მიაპყრო რასულოვმა ხაჩიძის არწივებს.

— ეს მართლა ზღაპარს ჰგავს...

სალამოს გაზეთ „ბაქოს“ ფურცლებზე ს. ხაჩიძემ ნახა ფოტოსურათი წარწერით: ეს ანტარქტიკა არ გეგონოთ, ეს კასპიის ზღვაა. ზღვას მოჰქონდა ყინულთა ნამსხვრევები. ამ პირობებში შრომობდა „ბაქოს ანტარქტიკაში“ ს. ხაჩიძის ბრიგადა.

...დაღამდა. „კუნძულზე“ შრომა დულს. მეორე ცვლა გავიდა ჩამუშაოდ. ხაჩიძემ თვალი უნდა მოატყუოს ცოტა ხნით. არ დაემინა.

...ხაჩიძემ გვერდი იცვალა და ტელევიზორი ჩართო. ჩემი საწოლი მაგრად იდგა, მაგრამ მეჩვენებოდა, თითქოს ზღვა აკვანივით არწევდა მენავთობეთა ამ პატარა კუნძულს. ფანჯარაში ყვეთელი სავსე მთვარე იხედებოდა და ზღვაში მუხლამდე ჩამდგარ კომკებზე ეშვებოდნენ მარტის ცივი და მსხვილი ვარსკვლავები.

— რაზე ფიქრობდით, სერგო, აქ შუა ზღვაში იმ გაუგონარ სტიქიასთან ბრძოლის დროს?

— რაზე? ძალიან ხშირად ოჯახზე. ბავშვებზე, — მეუბნება სერგო... ორი ქალიშვილი მყავს. უფროსი მარინე მეოთხეში სწავლობს. უმცროსს, 6 წლის ირინეს, მუსიკა და ხატვა იტაცებს, კომკებს ხატავს და გვერდით კიდეც ადამიანის ფიგურას. მერე მეუბნება, მამოკო, ეს შენა ხარო.

შუა ზღვაში... ტელევიზორის ეკრანიდან იღვრება „სიმღერა თბილისზე“...

სერგო იგონებს ეპიზოდებს თავისი ოჯახიდან.

— გინახავთ ნავთობების შადრევანი: არა? მენავთობისათვის ყველაზე ბედნიერია ის წამი, როცა ნავთობის შადრევანი ამოხეთქავს ზღვის წიაღიდან. გეოლოგი—მენავთობე შუა ზღვაში მებადურს ჰგავს. მთელი წელიწადი ეძებს ნავთობს და გაზი შერჩება ხელში. ესეც კარგია. ხელის მოცარვაზე ძნელი რა უნდა იყოს შუა ზღვაში. იე ბედი მწყალობდა. ჩემ მიერ გათხრილმა შვიდივე კაბურღილმა ჩომცა ნავთობი. მაგრამ შადრევანმა მხოლოდ ერთხელ ამოხეთქა. — ამოხეთქა და წალეკვით დაგვემუქრა. — ნავთობის შადრევანსაც უნდა მოთვინიერება. სამი საათი ვებრძოლეთ შადრევანს, სანამ ფოლადის მილებში არ ჩავკეტეთ... ეშმაკებს ვგავდით. ნავთობში ჯობანავეთ. ესეც მენავთობეთა თავისებური რიტუალია.

რადისტმა მამედოვმა კარში თავი შეპოკო:

— „დიდი მიწიდან“ გვაცნობეს, ხვალ ამინდი ჩვეულებრივიაო. ასურსათს ამოგვიტანენ კატარლით 9 საათზე, ფოსტა ვერტმფრენით

ქუნძულ „ჟილოედან“ დილამდე ვერ მოვა... კვირას „ჟილოეში“ მსახიობები ჩამოდიან ბაქოდან. თეთრეულს გამოცვლიან შაბათს.

მამედოვი გავიდა. ხაჩიძემ ტელევიზორი გამორთო და უცებ გარკვევით გაისმა ტალღების ტყლაშუნი.

— არ გეძინებათ? არა? მეც ასე ვიყავი პირველ ღამეს... შუა ზღვაში ღამის თევა, თუ მიჩვეული არა ხარ...

სიტყვა არ დაამთავრა ხაჩიძემ, ერთხანს დუმილი ჩამოწვა.

— იცით, ბავშვობაში პაპაჩემი მიყვებოდა ზღაპარს, შუა ზღვაში ზღვის კაცები ცხოვრობენო. მე არ მჭეროდა. აკი თვითონ გავხდი ზღვის კაცი.

— ამას უთუოდ ჩავიწერ ბლოკნოტში, — გავიფიქრე მე.

ტალღები ისევ ტყლაშუნობდნენ.

ხაჩიძე ღამის ოთხ საათზე უნდა ადგეს. ცვლას უნდა მიხედოს, — გამახსენდა ოსტატის ნათქვამი. ძილი მაინც არ მეკარებოდა თითქოს შუა ზღვიდან ერთად მიერეკებოდა ქარი ძილსა და ტალღებს ნაპირისაკენ.

ტალღაც ჩათვლემს შუალაზისას წამით. ადამიანებს კი არ სძინავთ, ეძებენ ნავთობს და გავს ზღვის ფსკერზე... მე არ ჰძინებდა ფიქრი მამაც მენავთობებზე, რომლებიც ვახტზე იდგნენ. მენავთობებზე, რომლებიც მეზღვაურებიც არიან, იმ მამაც ადამიანებზე, რომლებიც ამაღამ მყვინთავთა სკაფანდრებს იცვამენ და შუალაზისას შუა ზღვის ფსკერზე ეშვებიან, თუ რამემ შეაფერხა ნავთობის ძიება.

გამახსენდა მამედოვის ნათქვამი: ხაჩიძე სოფელ ტბიდან ყოფილა, ბაქოში ჩამოვიდა და აქ ზღვაც კი დაიპყრო.

ეს ადამიანები ზღვის ფსკერზე იპყრობენ ცხოვრების უმაღლეს მწვერვალებს...

ეს ადამიანები ზღაპრისგან სინამდვილეს ჰქმნიან...

ბარაქალა მათს მარჯვენასა და ვაჟაკობას.

ქარების ქალაქს ნიშნავს ბაქო ქართულად.

კასპიის მარგალიტს უწოდებენ მას ჟურნალისტები.

„შავი ოქროსა“ და ცეცხლის ქალაქს ეძახიან პოეტები.

ქალაქი, რომელიც უქია ნიზამისა და ფიზულის მუხას, ზეთის ხილის ხეების ვერცხლისფერი რტოებისა და ლურჯი ტალღების ყდაშია ჩასმული და თვითონაც ხელოვნების საოცარი ქმნილებაა.

ბაქო იკითხება, როგორც პოემა, რომელსაც მთელი აზერბაიჯანელი ხალხი წერდა. დრონი წასულან და ხელწერა დარჩენიათ სახლების ფასადებზე...

ქარების ქალაქში გაზაფხულის ქარები ქრის.. ცეცხლის ქა-

ლაქში მეგობრობის მარადიული ცეცხლი ანთია. შხის ქილაქში მზე არ ჩადის. და როგორც მარადიული ძმობის სადღეგრძელო, ჩქეფენ ნავთობის — შავი ოქროს შადრკეცნებჩ, როსელთა მოთვინიერება მხოლოდ ზღვის კაცებს შეუძლიათ.

ზაქო-თბილისი

ბედნიერი ნაოსნობა, „შოთა რუსთაველი“!

პირველი ქართული საოკეანო ტრაულერი, თეთრი გემი „შოთა რუსთაველი“ დგას ხუთი ათასი კილომეტრის დაშორებით საქართველოდან — მდინარე პრეგელზე, ბალტიის ცის ქვეშ. ეს ხუთი ათასი კილომეტრი ხუთ საათში დაფარეს ცის ულამაზესმა ლანდურებმა -ტუ-104“-მა და „ან-10“-მა. ამ ხუთი ათას კილომეტრზეა გადაქმული დღეს რუსთაველის პროსპექტი! არა, ეს პარადოქსი არ არის. დილით თბილისში რუსთაველის პროსპექტზე დაიწყო ჩვენა გზა მთაწმინდის კალთებთან და შუადღისას ვარშავასა და კოპენჰაგენისაკენ მიმავალ სახმელეთო და საზღვაო გზების გასაყართან „სამეფო მთასთან“ დამთავრდა რუსთაველის სანაპიროზე... შავი ზღვიდან ბალტიის ზღვამდე რუსთაველის ქუჩით მივდიოდით. თბილისის აეროპორტისაკენ გზა რუსთაველის პროსპექტზე გადის. შოსკოვში ვნუკოვოდან შერემეტეევოს აეროპორტისაკენ მიმავალმა რუსთაველის მშენიერი ქუჩა გავიარე, მინსკში ერთი საათით გაჩერებულმა -ცის არწივების ნაფსაყურარისაკენ“ მიმავალი რუსთაველის ქუჩა ვპოვე, კალინინგრადში რუსთაველის სანაპიროდ იყო ქცეული პრეგელის ულამაზესი სანაპიროები, სადაც ნელა ირწეოდა ტალღებზე თეთრი ხომალდი ჭიმზე ამოტვიფრული ოქროს ასობით: „შოთა რუსთაველი“... ცდებდა. ვინც ფიქრობს, რომ საქართველოს საზღვრები კავკასიის მთებში თავდებოდეს. დღეს ქართველი ადამიანის მამულს ოკეანეთა ტალღები სცემს...

ხვალ, როცა ეს ქართული საოკეანო ხომალდი დია ზღვაში გადა და ხრახნებით დახნავს ზღვის ტალღებს, ოკეანეებზე და ზღვებზე დარჩება კვალი — გაგრძელება რუსთაველის პროსპექტისა, რომელიც შემოეჭრობა ევროპას, გაივლის აფრიკის სანაპიროებზე ხუთ ზღვასა და ერთ ოკეანეში და კეთილი იმედის კონცხს მიღწეულა წრეს შეკრავს შავი ზღვის სანაპიროებზე, — „შოთა რუსთაველი“ დაბრუნდება ფოთში.

ამ უძველეს ქართულ ნავსადგურში დაივანებს ქართული საოკეანო ფლოტის სამი ხომალდი: „შოთა რუსთაველი“, „გალაკტიონ ტაბიძე“, „ვასილ კიკვიძე“.

ქართველ მეზღვაურთა ოდისეა დაიწყო ბალტიის ზღვაში და გაგრძელდება 141 დღე-ღამეს ჩრდილოეთის, ხმელთაშუა, მარმარილოს, ეგეოსის, შავ ზღვასა და ატლანტის ოკეანეში.

„ქართველი არგონავტები“ გადიან ღია ზღვაში... მათი მისია მსოფლიოს წყლებში ჰუმანურია, როგორც მაღალი სახელი მათი ზოპალდისა — „შოთა რუსთაველი“. ისინი საბჭოთა საქართველოს მეგობრობის ელჩები არიან. ჰიპრალტარში, დაკარში, ტაკარადში, ტაშაში თუ სხვაგან, სადაც ისინი შეჩერდებიან აფრიკის უძველეს მიწაზე, ყველგან მიიტანენ საქართველოს მთების სუნთქვას, კლიმატ-ჯაროს მთებს გადასცემენ მყინვარის ქართულ საღამს...

„ქართველ არგონავტთა“ ოქროს საწმისია ცამეტი ათასი ცენტ-ფერი ატლანტიკური სტავრიდა.

„შოთა რუსთაველის“ კანტაქსი, აბესალომ ზენაიშვილს მანინ შეეხვდით, როცა მას, გემბანზე საბჭოთა კავშირის ოქროთი მოვარაყებული წითელი დროშის ქვეშ მდგომს, თბილსის მეცნიერულ-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების კინოსტუდიის ოპერატორი იღებდა. სხვათა შორის, ამ სტუდიის ოპერატორი მიემგზავრება შორეულ რეისში, რომ გადაიღოს ორი დოკუმენტური ფილმი „აფრიკის ნაპირებზე“ და „ტრაულერი „შოთა რუსთაველი“.

„კაიუტ-კომპანიის“ ვართ შორეული ნაოსნობის გამოცდილი კაპიტანი აბესალომ ზენაიშვილი, ტრეპტ „საქართვემრეწვის“ ფლოტის განყოფილების უფროსი, სამამულო ომის დროს პრესის მიერ „ზღვის ლომად“ წოდებული მიხეილ ცქიტიშვილი და მე.

კაიუტის ფანჯრებიდან ჩანს თეთრი თოლიების გუნდები. ისინი ბალტიის ზღვიდან მოფრინდნენ ალბათ. ქაჯვის სანაპიროდან — იანტარნოდან. ადიდებულ პრეგელს ზღვისკენ მიაქვს „პატარა აისბერგები“ — ყინულთა ნამტვრევები. აბესალომ ზენაიშვილს, ამ შხნე, ენერგიულ, დიხჯ ადამიანს 14 წელი ანტარქტიდაში ვეშაპებზე ხადირობაში გაუტარებია. იქ ნამდვილი აიბერგები უნახავს სახელმოსხვეჭილი ფლოტილის „სლავას“ ხომალდების „ბრავის“ და „გნენის“ მამაც კაპიტანს. მას სახეში სცემდნენ პოლარული ქარები. მის თვალებში არეკლილა ანტარქტიდის თეთრი ღამეები, მას ხელში აუყვანია „იმპერატორის პინგუინები“ — ეს სასაცილო არსებები. ლახჩხუთნი დაბადებულ ვაჟკაცს ღამეები უთენებია პოლუსის ვარსკვლავების ქვეშ თეთრი დათვებისა და სელაპების სამეფოში. გურიისაში ზღაპრები მოუსმენია ბავშვობისას გემების გადამყლაპველ ვეშაპებზე, მერე მოწიფულობაში გემებით უნადირნია ვეშაპებზე პოლუსის ახლოს, იქ სადაც დედამიწის ღერძი ტრიალებს...

შორეული ნაოსნობის კაპიტნობაზე ბავშვობაში უოცნებია. აბესალომი იგონებს: მეორე თუ მესამე კლასში ვიყავი, ერთი მოთხრო-

ბა წაიკითხე: ტბა ონტარიოზე მიმავალ გემს ცეცხლი გაუჩნდა. მგზავრები საცაა დაილუპებინან, მაგრამ მამაცი კაპიტანი პოსტზე დგას და იძლევა განკარგულებებს, თვითონ ილუპება, მაგრამ მგზავრებს გადაარჩენს.

— შე ჩემს ოცნებაში თავი ჩემ კაპიტნად წარმოვიდგინე, — ამბობს აბესალომი ღიმილით, — მაგრამ კაპიტანი გადავარჩინე, ასე ვთქვათ, შევქმენი იმ მოთხრობის ჩემეული ვარიანტი და ოცნებით დავაქროლებდი ხომალდებს მსოფლიოს ზღვებში...

ზღვა ეძახდა ადამიანს და ატყვევებდა მას. აბესალომმა ბათუმის საზღვაო სასწავლებელში მიიღო „მეზღვაურული ნათლობა“.. შემდეგ ოდესაში განაგრძო სწავლა. აბესალომი ახლაც სწავლობს ოდესის მეჩნიკოვის სახელობის უნივერსიტეტში, გეოგრაფიის ფაკულტეტზე დაუსწრებლად. მალე შორეული ნაოსნობის სახელმძღვანელო კაპიტანი ეკონომიური გეოგრაფიის სპეციალისტის დიპლომს მიიღებს.

აბესალომი ნამდვილი ზღვის ლომია. ის მარტო ანტარქტიდაში როდი ნადირობდა ვეშაპებზე, ის „ზვერადა“ ახალი ზელანდიის, სამხრეთ აფრიკის, სამხრეთ ამერიკის ნეიტრალურ წყლებში თევზის ქარავენებს. მის თავზე ზენიტზე მდგარა მზე, მას გადაულახავს ეკვატორი, მოუსმენია ჭუნგლების ხმაური, მას სახეში სცემდა თბილი ტროპიკული წვიმები და ციკლონები... მერიდიანიდან მერიდიანზე ისე გადაუბიჯებია, როგორც ალაგედან ალაგეზე ბავშვობაში...

აი ეს ადამიანი ახლა ზის ჩემს წინ. მის თავზე კაიუტაში გერმანულ ქალაქ როსტოკში დახატული შოთა რუსთაველის სურათი ჰკიდია, მის ხომალდს აწერია „შოთა რუსთაველი“ და კურსი იმედის კონცხისაკენ აქვს აღებული.

აბესალომი გვიყვება ტრაულერ „შოთა რუსთაველზე“.

— ეს პირველი საოკეანო ქართული თევზსაჭერი ხომალდი საბჭოთა მთავრობის დაკვეთით, საბჭოთა ინჟინრების პროექტის მიხედვით ააგეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ორ უდიდეს გემთსაშენში — ვარნემუნდესა და შტრალზუნდში.

საუბარში ჩაერია მიხეილ ცქიტაშვილი. ამ ადამიანს მეზღვაურის კლასიკური სახე აქვს. ასე გგონია, რომ რომელიმე საზღვაო რომანის გმირი გაცოცხლდა, დატოვა წიგნი, მივიდა ხომალდ „შოთა რუსთაველის“ კაიუტკომპანიაში და ინტერვიუს გაძლევს.

— ტრაულერმა ტექნიკური და საექსპლოატაციო გამოცდა გაიარა ბალტიის ზღვაში, მეკლენბურგში კაპიტნის აბესალომ ზენი-შვილის და გემის მთავარი მექანიკოსის დევი კარტოზიას მონაწილეობით.

— „შოთა რუსთაველი“ „ტროპიკის“ ტიპის საოკეანო ხომალ-

დია, აღქურვილია თევზის რეწვის უახლესი ტექნიკით. ტრაულერი „შოთა რუსთაველი“ იჭერს თევზს, გიგანტურ მაცივრებში ყინავს მას, ამზადებს თევზის ფქვილს, ტექნიკურ და სამედიცინო თევზის ქონს, — განაგრძობს მიხეილი, — ერთი სიტყვით, ეს არის მცურავი ქარხანა, მცურავი ქალაქი.

კაიუტ-კომპანიიდან გავდივართ. ვათვალიერებთ კაიუტებს. ჯველგან კონდიციუ თბილი და ცივი პაერი, რადიო, თბილი და ცივი წყალი, რბილი ლოგინი. აგერ ბიბლიოთეკა ქართული და რუსული ლიტერატურით, კინოდარბაზი, ლექტორიუმი, სასადილო, მუსიკალური სალონი, ტელევიზორი...

— ეკრპაეი ჩინებული გეყავს, — ამბობს ბოცმანი, — 80 კაცია ეკრპაეში, არწივივით ბიჭები არიან.

გემბანის წინა ქიმზე ვართ, კაპიტნის ხიდურზე.

აბესალომ ზენაიშვილი გვაცნობს გემის სამართავ პულტს. გემს აქვს ავტომატური მართვა. მესაქე დააყენებს კურსზე და „ჰკვიანი“ მანქანები გემს უშეცდომოდ ატარებენ მსოფლიოს წყლებში.

თევზის რეწვაშიც ჰკვიანი მანქანები ეხმარებიან ადამიანს. „შოთა რუსთაველს“ აქვს სპეციალური აპარატი — ჰიდროლოკატორი, რომელაც „ეძებს“ თევზის ქარავნებს, 4 ათასი მეტრის სიღრმეზე და 2 ათასი მეტრის სიშორეზე „ხედავს“ თევზს და გიკარნახებს მონაცემებს, რომელთა საშუალებითაც გემბანზე ფანქრით ხელში შეგიძლია წინასწარ გაიანგარიშო რამდენი ცენტნერი თევზი შეგიძლია დაიჭირო ამ მიკრორაიონში. თუ თევზი ბევრია, გაშლი სპეციალურ ბადეს — ტრალესს და ტრაულერი შეუდგება თევზის რეწვას.

გემბანზე ვნახეთ გამოცდილი ტრალმისტერები სოხუმელი ო. ნადარეიშვილი და კიათურელი ჯ. კაპანაძე.

— თევზი ბევრი იქნება, — ამბობენ ისინი.

— თევზის გადამუშავება ჩვენი საქმეა, ოღონდ თქვენ დაიჭი რეთ. — ამბობს კაპიტნის თანაშემწე წარმოების დარგში ტექნოლოგი გ. დონაძე.

აბესალომ ზენაიშვილმა თქვა. რომ ტრაულერ „შოთა რუსთაველს“ მიერ გადამუშავებულ პროდუქციას 141 დღიან არგონავტობის დროს წამოიღებენ სპეციალური საოკეანო საბჭოთა გემები, იგივე გემები მიაწვდიან საწვავს „შოთა რუსთაველს“ ოკეანეში.

...დგას პრეგელზე თეთრი ხომალდი „შოთა რუსთაველი“. წინ გაშლილია ცისფერი გზები უსასრულო ოკეანეთში. „შოთა რუსთაველის“ სირენები აღვიძებს რუსთაველის ხნის ქალაქს — კალინინგრადს, „სამეფო მთაზე“ გაშენებულს. კაიუტიდან ჩანს ცაში ატყორცნილი მარმარილოს სვეტი — 1.200 გმირი საბჭოთა გვარდიელის ძეგლი, ვინც შეეწირა ფაშისტთა ურდოებს. კაპიტნის ჰოგ-

რიტით შეიძლება წარწერის ამოკითხვაც: „აქ დასაფლავებულია 1200 გვარდიელი — მე-11 გვარდიული არმიის მამაცი მებრძოლები, რომლებმაც ოთხ დღეში დაღწეს პრუსიის ციხე-სიმაგრე კენიგსბერგი. 6-10 აპრილი, 1945 წ.“ აქ განისვენებენ ჩვენი სამშობლოს სხვა ხალხების შვილებთან ერთად ქართველი გვარდიელები პ. გენაძე, დ. დოლიძე, გ. შუბლაძე, ი. ბუილიშვილი...

ფიქრები კაიუტიდან დანახულ სურათებს ესევიან. ჩვენს მარცხნივ, იქ, სადაც ოდესღაც ძღვეამოსილად ჩაუვლია გენერალ პეტრე ბაგრატიონს, გაკვალულა ნეორე გზა — გენერალ-ლეიტენანტ პორფილე ხანჩიბაძის არმიის მიერ მეორე სამამულო ომის დროს განვლილი საბრძოლო გზა.

ამაზე დაღადებენ ქვები ბალტიის ციხეებში, იქ, სადაც დგას მღვრეგელზე „შოთა რუსთაველი“. იმ ქვებს იქით კენიგსბერგის უნივერსიტეტის ნანგრევებია, რომლებსაც აცოცხლებს საბჭოთა ადამიანის ხელი. ომმა არ დაინდო არაფერი. ომის კრილობები ჭერ არ მოუშუშებია ევროპას. ოკეანის გაღმა ისევ ომზე ფიქრობენ.

კაიუტიდან ჩანს მტრედების გუნდები. გოთური სტილით ნაგებ შენობაზე ხატია მუზარადზე ჩამომჭდარი მტრედი.

მშვიდობის ელჩებად მიდიან ხომალდ „შოთა რუსთაველის“ მეზღვაურები შორეულ ზღვებსა და ოკეანეში, იმედის კონცხისაკენ.

კაიუტაში ნახატი ჰკიდია: ბებერი ნეპტუნი — ზღვათა ღმერთი გზას ულოცავს მეზღვაურებს: „გწყალობდეთ ბედი, ქართველო! თქვენ გელათ ტროპიკული წვიმა, ნისლი, ავი ოკეანის კაპრიზები. ნუ შეუშინდებით მკაცრ სიძნელეებს“.

ჩვენც ვიმეორებთ კალინინგრადიდან წამოსვლისას ბებერი ნეპტუნის სიტყვებს: გწყალობდეთ ბედი, ქართველო მეზღვაურებო!

ახლა, როცა ამ სტრიქონებს კითხულობთ, „შოთა რუსთაველი“ კურსს იღებს კეთილი იმედის კონცხისაკენ.

სულ კეთილი გზით გველოს. „შოთა რუსთაველო“!

კალინინგრადი-მოსკოვი

ქართული სოფელი ყუბანის მიწაზე

გზადაგზა

ელექტრომატარებელი „სოხუმი—სოკი“ თვლებზე იხვევს კილომეტრებს... ფანჯარაში სადგურები მიჰქრიან კადრებივით: გაგრა.. ადლერი... ხოსტა... მაცესტა...

აგერ სოკის სადგური.

...ზოდიაქოს ნიშნებზე ნელა მიცოცავს საათის ისარი... ამ კოშ-

ჯოდან ან ახუნის მთის თხემიდან რომ გადაიხედოთ, თვალწინ გადავიწვებათ ქართული სოფელი მდინარე სოკის ნაპირებზე — პლასტუნკა...

250 ქართული ოჯახი. სოფლის სანახებს იქით. იისფერ კვამლში მოჩანს ბიჭვინთა... უფრო ახლოს არის მდინარე ფსოუ, რომელზეც გადის დეკრეტული დროის სარტყელი.

ამ პატარა მდინარის მარცხენა ნაპირიდან მარჯვენა ნაპირზე მანქანით გადასვლა ნიშნავს ერთი საათით განვლილ დროში უკან მოგზაურობას...

ახუნის მთიდან დაინახავთ სოკის თეატრის ულამაზეს შენობას...

იქ თბილისის ოპერა ხშირად არის სტუმრად. გასტროლების დროს ზღვისპირა პარკში მაყურებელთა შორის უთუოდ შეხვდებით პლასტუნკელებს... სოფლის თავკაცს, ახალგაზრდა შავგვრემან ვაჟკაცს ვანო უჩაძეს; ქართული სოფლის მკვადრთ ფრუიბეებსა და ცხველიანებს. ჩაკვეტაძეებსა და სვანიძეებს, ბალიშვილებსა და გაბელაიებს...

ყუბანში მოგზაურობისას უთუოდ მიიქცევს თქვენს ყურადღებას სტანიცებრსა და სოფლების ქართული სახელები... გიჟმაგი ყუბანის ნაპირებზე გაშლილია სტანიცა „ტბილისსკაია“, ხილის ბაღებში ყვინთავს სტანიცა „ყუბანისსკაია“, თეთრი ყუბანური სახლები — ხატებიანა და ჩინარების სავანეა სოფელი „გურიისკაია“...

სოკის შენაკადის ფირუზისფერი მდინარის სოვეტსკაია ბაღკას ნაპირებზე კი პყვევის სოფელი პლასტუნკა — გურულთა, რაკველთა და ლეჩუმელთა სოფელი: ყუბანელ კახაკთა მეზობლად სახლობენ ავბედიტობის უამს მშობლიური მთებიდან აყრილი მთიელები...

მოვიდნენ ამ სანახებში ხიზნები და გააგონეს ყუბანის მთებს ქართული ლაპარაკი...

ყველა სოფელს აქვს თავისი მატთანე... პლასტუნკასაც გამოუჩინდნენ თავისი უამთაღმწერლები.

მისი მატთანის ფურცლებია სოკის ბუზეუმის ექსპონატები, მთიან სოფელში შემონახული ქართული ლეგენდები და ლექსები. მისი მატთანე დღეს იწერება ტრაქტორის სახნისითა და მეჩაიეთა დალოცვილი მარჯვენით, მეფუტკრეთა და მებოსტნეთა ნაამაგართ...
ჯერ მატთანის თავფურცლები გადავშალოთ...

ბრიკატივი პლასტუნკაში

სერაფიმოვიჩის „რკინის ნიაღვრის“ ბატალური და ყოფითი სურათები ცოცხლდება თვალწინ...

ეს რომანი პლასტუნკელებზე არ დაწერილა. მაგრამ იმ რკინის ნიაღვარმა პლასტუნკაზეც გადაიარა...

დრომ შექმნა ფერწერული ტრიპტიქი პლასტუნკაზე.

ტრიპტიქის პირველი სურათი

„ზღვას დამხობნია ჩამოქუფრული ცა...
ანძები...“

შიშისაგან გაღმოუქარკლავთ თვალები ბანდიტებს. წინ რომ
გარბის, მახნოა — თეთრგვარდიელი ჭალათი...

იწვის სანაპირო.

წითლად იღებება განთიადი — ცას თითქოს ადამიანთა სისხლი
შეეშხეფაო. შორს ჩანს, თუ როგორ მოდის რკინის წითელი ნიაღვარ-
რი. იმ წითელ განთიადს ფერები უმატეს პლასტუნკელებმაც... ვეე-
ბერთელა მეწამული მზე საცაა ამოვა.

ტრიპტიქის მეორე სურათი

„ველური დივიზია“ „კეუას ასწავლის“ პლასტუნკელ ქართვე-
ლებს. რომლებმაც ცეცსლი შეუნთეს თეთრგვარდიელებს...

ეს ხდება 1919 წლის თებერვალში.

თვალწინ ცოცხლდება როზგებითა და შიშველი ხმლებით
პლასტუნკელების ცემა „ველური დივიზიის“ მიერ.

გაუგონარი სიველურე ჩაიდინა პლასტუნკაში „ველურმა დივი-
ზიამ“... დახოცეს ძუძუთა ბავშვები, ჩიხტიკოპიანი დიაცებო, აჩეხეს
ვენახი...

ეს იყო ახალი დროის ალა-მაჰმად-ხანის შემოსევა პლასტუნ-
კაში...

ტრიპტიქის მესამე სურათი

„პარტიზანთა დახვრეტა სოფლის მესამე უბანში“. ეს პლასტუნ-
კის ერთ-ერთი კუთხეა. აქ ქართული ჩუქურთმებით მოხატული ეკ-
ლესიის ფონზე ხვრეტენ დენიკინელები პლასტუნკელ პარტიზანებს...
შორს მთების მწვერვალებზე კი ცისკარი ღვივის და დახვრეტილთა
თვალებში ირეკლება დიდი სინათლე.

ეს დიდი სინათლე ანათებს დღეს პლასტუნკის ნაყოფიერ მთებ-
სა და ველებს. ვინ არიან ეს უსახელო გმირები, რომელთა სახელე-
ბი არც „რკინის ნიაღვარში“ და არც ტრიპტიქში არ არის მოხსენიე-
ბული, თუმცა ბევრი გმირის პროტოტიპები კი გახდნენ.

დაიხსომეთ ეს სახელები: არტემ ბატას-ძე ნადარეიშვილი, თით-
ქმის საუკუნეს მიღწეული ბერი არწივი. ძველი რევოლუციონერი,
რომელიც დღეს გაგრაში ცხოვრობს. სოჭის მუზეუმში ინახება მისი
თოფი. ეს თოფი ტყვიებით წერდა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯ-
ვებას სოჭის მთებში ყუბანელი რევოლუციური კაზაკების ხმლებისა
და თოფების გვერდით. მემბტიანე წმინდად ინახავს ძველი

ბოლშევიკების გ. ხუციშვილის, ს. გურგენიძის, ვ. ხმელიძის სახელებს.

1905 წლის რევოლუციამ დიდი გამოძახილი ჰპოვა სოკში.

შეიარაღებული აჯანყების სულისჩამდგმელები იყვნენ პ. პროკოპოვიჩი და ა. გვათუა. აჯანყებულებს აფხაზი თავადის ინალ-იფა, სახლში ჰქონდათ ტყვია-წამლის საწყობი, ხოლო სოკში, მ. ხორავას დუქანში — საკმელ-სასმელი.

ყველაფერი ეს ახსოვს მატთანეს.

ყოველივე ამით ამაყოფს ქართული სოფელი პლასტუნჯა.

იმ დღეებზე პლასტუქელმა ხალხურმა მთქმელმა გარსევანი-შვილმა ავტობიოგრაფიული პოემაც კი დაწერა...

ლომის ზოდიაქო...

მატიანის თავფურცელზე აი რა წერია:

...ნიკორწმინდაზე სერობა გადაიხადეს. ზოდიაქოს ათორმეტი ნიშანი ამოაცნევიანეს მენცარათ. ლომის ზოდიაქო და სამთვარო გზა კეთილს ჰპირდებოდა მკოდოვანთ და უპოვართ. რაქა-ლეჩხუმის ულამაზესი სანახებადან აყრილ გუთნისდედებს, მეკურტნეებს, მზარეულებს, კირით-ხუროებს, დროულებსა და ჭეელებს, ყარიბებსა და მწირებს...

დედულეთი დედინაცვლად ექცათ...

მერეკებოდათ შიმშილი,

ფეოდალის შოლტი,

კოყრზე დაბიჯებული ცარიზმის ჩექმა...

გადაიარეს ცხრა მთა...

იარეს ზღვის პირას...

ჯან იცის, რამდენი საფლავი გათხარეს გზაში... გადაიარეს ივერჩიის მთა და გაგრის თხემი...

და. პოი საკვირველებავ, ისევ განახლდნენ სანახები რაქა-ლეჩხუმისა. გურჩისა, იმერეთისა...

არა, ეს ჩვენება არ იყო... მთა მთას ჰკავდა, წყალი — წყალს.

აპყვენენ სოკის ხეობას და მთის უბეში დაანთეს კერა.

აყივლდა მამალი.

დაირწა აკვანა.

და სამყაროს შექმნის დღიდან გაუცინარმა მთებმა პირველად გაიგონეს „იანანა“. გაზაფხულზე „ოროველას“ ხმა დაირხა, „ოროველას“ „მაყრული“ მოჰყვა, „მაყრულს“ „მრავალკვამიერი“, მერე მოვიდა სისხლის წვიმები, მერე შიმშილი, მერე სახადი და შავი კირი...

მიანც აშენდა ქართული სოფელი სოკის ნაპირებზე...

...მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა სოკში, ბევრმა ქარბორიომ გადაიგრილა კავკასიონზე...

ეს იყო გუშინ... დღეს კ...

„ასეა, ძამა, და რა ვქნა!“

...მივყვები ანკარა სოკის ნაპირებს. მთიანი ყუბანის დალოცვილი ბუნება საქართველოს ბუნებას ჰგავს. ხეებზე მიცოცავს მალღარი, აგერ მტევნებით დახუნძლული ვაზები, ლურჯი ნაკადულები, ბონდები, ტყრუშული ღობე, ოდიშური, გურული, რაჭული და ლეჩხუმური სახლები და ეზოები, ნალიები, ქართული ჩუქურთმები...

ამ პეიზაჟს მხოლოდ ჩაის პლანტაციები აკლდა.

აგერ იხიე.

ანასეულიდან გამოგზავნილი ჩაის ბუჩქებიც ხარობენ პლასტუნკაში.

გზის პირას პლანტაციის სიღრმეში გურული ოდა-სახლი დგას.

— მაი. ეფროსინე ფრუიძის სახლია, ჩვენი სოფლის მოწინავე მკრეფავისა, — ხელს იშვერს ჩემი თანამგზავრი ჭილობისქუდიანი ქალისაკენ, რომელიც ეზოში ქათმებს უყრის საეცნეს.

— დღეში 20 კოლოგრამს კრეფს, — ამაყად ამბობს იგი.

— ეს არც ისე ბევრია, — ვამბობ მე.

ჩემს თანამოსაუბრეს ეწყინა, მაგრამ არ შეიმჩნია.

— იცით, რა გითხრათ, — გაგიგონიათ, ალბათ, უმჯობესია ცოტა და კარგო. ყუბანის ჩაიმ ბრიუსელის საერთაშორისო გამოფენაზე მეორე ადგილი აიღო ცვილონურის შემდეგ, — მითხრა ნიშნის მოგებით მან.

— თქვენ გინდათ თქვათ, რომ აქაურმა ქართველებმა საქართველოს მეჩაიეებს აჯობეთ?!

— ასეა, ძამა, და რა ვქნა!... — ღიმილი აუყვავდა სახეზე ჩემს გურულ მეგზურს.

მთავს მოხსნათ რუსთაველის ენა...

ხეობის შრომანივით ჰყვავის ბალღების სახეზე ღიმილი...

პლასტუნკისაკენ მიმავალ გზებზე, კლდეთა კედლებზე აუცილებლად წააწყდებით წარწერებს „რეზო“, „ავაგ“ „გია“, „ავთანდილ“, „მზია“ „ვახუშტ“... პლასტუნკელი პატარებიც ჭერჭერობით მსოფლიოს ყველა კუთხეში ცნობილი, ამ ბანალური წესით აპირებენ თავიანთი სახელების უკვდავყოფას.

ხატავენ კოსმონავტებს.

როგორც ყველა სოფელში, აქაც ეძებენ ცაში ვარსკვლავებს შეყვარებულები...

მთოდან მეჯოგეთა ქართული ლაპარაკი ისმის, ვენახში, პლანტაციებში — ქართული სიმღერა. აგერ თვითსაცლელების მთელი კოლონა შოდის. მას მართავენ რაქველი, ლეჩხუმელი, გურული ვაჟკაცები... ერთმანეთს ვრწყმის ქართული და ყუბანელი კახაყვის უკრაინული კილო...

—გოგებაშვილის „დედა-ენითა“ და რუსთაველის „ვეფხისტყაოსნით“ აღებენ ქართულ ენის ბუნების კარს პლასტუნკელი პატარები... პლასტუნკაში ორი ქართული სკოლაა: დაწყებითი და რვაწლასანი.

ამ სკოლაზე შეფობა აქვთ დაწესებული დიდი ჩიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმს, ბორჯომის სატყეო ტექნიკუმს, სოფელ განთიადის საშუალო სკოლას.

პლასტუნკელი პიონერები მეგობრობენ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლესთან. მათი დელეგაცია სტუმრად იყო საქართველოს დედაქალაქში.

აწასეულის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა სკოლის ნორჩ ბიოლოგებს „ახალი ქართული № 1 და № 4“ ჩიშების ჩაი გაუგზავნა.

პლასტუნკელებს კავშირი აქვთ ეგ. ნინოშვილის სახლ-მუზეუმთან.

სოხუმის დრამატული თეატრი აქ ხშირად მართავს სპექტაკლებს.

საქართველოს გამომცემლობა „განათლება“ შეფობას უწევს ქართულ სკოლას, უგზავნის წიგნებს, სასწავლო ნივთებს. სკოლის დირექტორი ვერა ფრუიძე, პედაგოგები გ. აბაშიძე, გ. უორჯოლიანი, შ. ფრუიძე ამაყობენ თავიანთი აღზრდილებით.

თბილისისა და როსტოვის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ პლასტუნკელები — მ. ცხვედიანი, ა. გაბელაია, ვ. ჩაკვეტაძე, ს. ჩაკვეტაძე და სხვ. თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში დაუსწრებლად სწავლობს ვანო უჩაძე, მეხილეობისა და მებოსტნეობის გიგანტი საბჭოთა მეურნეობის მე-2 განყოფილების უფროსი...

—რეპროდუქტორებიდან იღვრება ქართული სიმღერები...

ლაპარაკობს თბილისი. ფოსტალიონს დააქვს ახალი ფოსტა და ხიხარულთ არიგებს ეზო-ეზო „კომუნისტს“, „სოფლის ცხოვრებას“, „თბილისს“, „ნორჩ ლენინელს“, „დილას“, „პიონერს“...

ხვეწი და გარაჟი

—ოგი ოღნავ კალარაა, ხმელ-ხმელი, შავი ულვაშები და გაღარბებული წარბები აქვს, ენერგიული გამოხედვა...

პლასტუნკელი კომუნისტების თავკაცია ევგენი ბალიშვილი, ზრიგადირი და ჩაის მიმღები პუსქტის გამგე.

პლასტუნკელებმა კრასნოდარის მხარეში საუკეთესო მეჩაიე-ების სახელი დაიმკვიდრეს. დაგომისის ჩაის ფაბრიკაში ამბობენ, პლასტუნკელთა მიერ მოკრეფილი ჩაი საუკეთესო ხარისხისააო.

საკუთარი კოლექტივის ღირსებისათვის იბრძვიან პლასტუნკე-ლი კომუნისტები.

ჩაის მოწინავე მკრეფავეები ვერა სვანიძე, თამარ ბურჯანაძე, ნადეჟდა ფრუიძე და სხვ. დავალებებს ორმაგად და მეტად ასრუ-ლებენ.

აქებენ არა მარტო პლასტუნკის ჩაის. აქაური ყურძენი და ღვინო, ვაშლი, მსხალი, თხილი, ქლიავი, თაფლი მთელ კრასნო-დარის მხარეშია განთქმული.

ვაზნარებითა და ჩაის ბუჩქებით მოხატულია მდინარე სოკისა და სოვეტსკაია ბალკას ნაპირები...

კარგი შრომის შემდეგ პლასტუნკელებმა კარგი დასვენებაც იციან. ადღერში მოეწყო „სიმღერის დღე“.

პლასტუნკელებმა ქართული სიმღერები სკექეს: „მრავალჯა-მიერი“, „ხასანბეგურა“, „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“, „თბილი-ხო“... შერე ცეცხლოვანი ქართული ცეკვებით მოხიბლეს მაყურე-ბელი.

სოლისტებმა შოთა და ნათელა ფრუიძეებმა, შალიკო ირემიძემ საპრაზო ადგილები აიღეს.

...ნისლის ფთილები მიცურავენ ვენახებსა და ჩაის ბუჩქებზე... კალმახი ამოხტება სოკის ფირუზისფერი ზვირთიდან და მისი ქიც-ვივით დაწინწკლული ხმელეთი ეგებება მთვარის ამოსვლას მთებში.

სწორედ ისე, როგორც რაქა-ლეჩხუმში, გურიაში, ოდიშში, კახეთში, იმერეთში, ლეიძავს ქართულ ოდებში ქართულ ბუხარებს... ყივის ხოხობი სოფლის შემოგარენში...

ქართულ სოფელს ხელხვაიანი შემოდგომა მოსდგომია კარზე. პლასტუნკაში მაქრის დაღვინებისა და ქორწილების დროა...

ქ. სოკა

ლხინი თემურ-ლენგის საფლავზე

იმ წელს ადრე აყვავდა ნუში და ალუჩა ფერგანის ველზე...

მე ყარა-ყუმის უდაბნო გადავკერი აქლემით, თვითმფრინავით, მანქანით, მოვუსმინე „მომღერალ ქვიშებს“ და ხორეზმის, ბუხა-რის, სამარყანდის სანახები ვიხილე...

გადავლახე ხივა და კოკანდი...

უღაბნოში ვეძებდი „საგაზეთო პურს“.

თუ ბედმა გაგიღიმა, თვით ყარა-ყუმის კვიშა შეიძლება საგა-ზეთო პურის მარცვლად აქციო...

მივარღვევ შორეთს.

...აჰა, ესეც ხვარაზმშას სამეფო ..

ასე მეგონა, განა სივრცეში, დროის სიღრმეში ვმოგზაურობდი...

— ჰაუ, რამდენი წარღვნა მოვარდნილა ქართულ მიწაზე იმ ბნელ საუკუნეებში ამ ქალაქებიდან და სამეფოებიდან, — ვფიქრობდი შუა აზიის დიდი და მცირე ქალაქების სასტუმროებში, იმ გაზაფხულის ღამეებში, რო-ლებსაც ადრე აღვიძებდა გუგულის „კაფე-თესე“, სწორედ ისე, როგორც საქართველოში იცის აბრალოში.

ჩინგიზ ხანები გრიგალივით ამოვარდებოდნენ წყნარი ოკეანის ნაპირებიდან და შუა აზიის ბნელით მოცული წიაღიდან და მათი შიშით ყველა ჯურის ჯალალედინები ტოვებდნენ თავიანთ სამეფოებს და მათი ველური არმია კავკასიის კლდეთა კედლებზე გვიპირებდა მიქყლეთას..

იმ დღეს მე ნიგაბიჭები ტაშენტიში შოთა რუსთაველის პროსპექტზე, და ვფიქრობდი „ვეფხისტყაოსანზე“, იქ ხვარაზმშას შვილიც ჩამოდის საქართველოში თამარ-მეფის ხელის სათხოვნელად...

აღვიღან მიწისაგან პირისა ძველი სამეფოები...

ქართულ მიწაზე ისევ ჰყვავის კარდი და პირიმზე...

იმ ღამეს ტაშენტის სასტუმროებში ადგილი არ იყო და „უზილ უზბეკისტონის“ რედაქტორის მოადგილემ შინ წამიყვანა...

ტაშენტის გარეუბანშიც იღვიძებდნენ გაზაფხულის კვირტები ფართო უზბეკურ ეზოებში...

მასპინძელს მშვენიერი სასახლე ედგა.

კედლები, იატაკი, კერი, დერეფანი ნოქებით იყო მოფენილი. თუმცა ავეჯი ბევრი იყო მასპინძლის ოჯახში, მაინც ფეხმორთხმულად დაეჯექით იატაკზე და მწვანე ჩაი დავლიეთ.

საქართველო ვახსენეთ.

სუფრა სავსე იყო აღმოსავლური ტყბილეულით. დიასახლისი ქალები კი არსად ჩანდნენ.

ბოლოს ფარდის იქით ქალარა ქალიც გამოჩნდა.

— ეს დედაჩემია, — მოთხრა მასპინძელმა და გამაცნო.

დარბაისელი ქალი ჩანდა. მომიახლოვდა და დედაჩემი მოიკითხა.

— გადაეცით, რომ უზბეკეთში ჩემი სახით ღვიძლია და ჰყავსო.
მერე დაუმატა:

— რადგანაც ჩემი მეუღლე სულთა ქვეყანაშია გადასული, მე უფლება მაქვს მოვიკითხო მამა თქვენი ჩემი მეუღლის მაგივრად.

ასეთია თურმე უზბეკური ჩვეულება, ასეთია თურმე მათი ადამათი: მამაკაცი მამაკაცს მოიჭობხავს, დედაკაცი — დედაკაცს.

ამის შემდეგ მასპინძლის მეუღლეს გამოჩნდა. სანდომიანი სახის ახალგაზდრა ქალი. უმცროსმა დიასახლისმა თავის მხრივ ჩემი მეუღლე მოიკითხა და მისი დადნაფიცობა გამოაცხადა.

მაშინ უცოლო ვაყავი და ჩემი მომავალი მეუღლის მაგივრად მადლობა მოვახსენე. უზბეკ ქალს გაეცინა და დამპირდა, რომ ერთ მის დადნაფიც უზბეკ მზეთუნახავზე დამაქორწინებდა...

მერე ოჯახის მემკვიდრეს გამოჩნდა ცხენის ჯოხზე ამხედრებული და მომესალმა:

— გამარჯობათ. მამაჩემის ძმაო!

ამის შემდეგ არაფერი დაგვრჩენოდა, — ის უზბეკი ეურნალისტი და მეც ძმადნაფიცები გავხდით.

როცა დავწექი, მასპინძელი შემოვიდა ჩემს საწოლ ოთახში და მითხრა: — დედაჩემი კითხულობს, ხომ არაფერი სკირდებო სტუდენტს. რა გავურეცხოთ, რა გავუთოვოთ, რა საგზალი გამოვუცხოთო.

ასეთია უზბეკური სტუმართმოყვარეობის ადათი.

ხალხი ბრძენია: თავისი ბრძნული ადათ-წესები აქვს შემუშავებული საუკუნეების მანძილზე.

მართლაც, რომ საოცარია აღმოსავლური სტუმართმოყვარეობა.

...ერთ დღეს ჩემმა უზბეკმა მეგობრებმა სუფრა გაშალეს უძველესი მეჩეთების, მინარეთების და ციხეების ჩრდილში...

შორიდან ჩანდა შუა აზიის განთქმული მავზოლეუმები...

მიიზღაზნებოდა აქლემების ქარავანი და ნალარის ხმები მოკონდა ნიავს.

უკრავდა ზურნა, გაფიცდა დაირა...

ეშხში შედიოდა უზბეკური ლხინი.

თემურ-ლენგის მავზოლეუმის შემოგარენში იფრქვეოდა აღმოსავლური მკერამტიკვლევა, უიშინებდა ცვრიანი მწვადი.

დავლიეთ უზბეკეთის და საქართველოს სადღეგრძელო, ვადიდეთ მეგობრობა და ძმობა, ფერგანის ველზე აყვავებული ნუშა და ქართულ მიწაზე რქანაყარი ვაზი...

და აჰა, წამოდგა თამადა, ხელში იღო ფიალა და მიმართა სუფრას:

— აღქოსაველეთში იტყვიან, ყველა ბრმა ჰომეროსი როდია. ყველა ისკანდერი — მაკედონელი და ყველა კოკლი — თემურ-ლენგო. ეს თემურ-ლენგს გაუმარჯოს! — თქვა თამადამ და ფიალა მესროლა.

ფიალა კი არა, თითქოს ტყვია მესროლა.

მე წავებარბაცდო.

მა:პინძლებმა იფიქრეს: ღვინის ბრალიაო.

უფრო მცირე ფიალა ნომიტანეს.

— არც ამ მცირე ფილაში არ დავიჯობი თემურ-ლენგის სადღეგრძელოს. — ვთქვი მე. — ეს ფრანა აღბათ არასოდეს არ თქმულა საქართველოში, აზრად არ მოიყვება ქართველ ელს. რომ შეიძლება გაიშალოს ისეთი სუტრა, სადაც თემურ-ლენგის სადღეგრძელოს იტყვიან.

მე ვთქვი, თუ ვინ იყო თემურ-ლენგი ზეენოვის. ქართველებსთვის.

...როცა მე „ქართლის ცხოვრების“ ციტატას მოვრჩი. ნომე-ვენა. რომ ტიროდა შუა აზიის ქვიშა და ბრემო. ჩემი წინაპრების იმ საცოდაობით და უბედურებით, რაც მათ თავს დაატეხა ბნელ საუკუნეებში კოკლმა თემურმა. რომელსაც „შეშლილ ხარს“ უწოდებენ ქართველი პოეტები და ნემატიანენი.

მეინახებებმა ფიალები ძირს დაუშვეს, თითქოს საამაუ შედე-რილი ხმლები ჩააგეს ქარქაშში...

და ღვინო განზე გადასხეს.

ასე მეგონა, თამადა კი არა. თემურ-ლენგის ყარა-ყუმის ქვა-მაზე ურიცხვი ჯარი დავამარცხე.

...ისევ გაფიცბდა ლხინი თემურ-ლენგის საფლავეზე.

და თამადამ თქვა:

— მე თუ ოდესმე ვიქცევი მიწად, არ მინდა თემურ-ლენგის საფლავის მიწა ვიყო, თუ ოდესმე მე ვიქცევი ბალახად, და თუ თემურ-ლენგის საფლავეზე ამოვედი, დე გავხმე, თუ ოდესმე ვიქეცი ქვად, მე არ მინდა მისი მავზოლეუმის ქვა ვიყო... კოკლი თემურის მავზოლეუმის ქვებმა არ იციან თუ ვის საფლავს დარაჯობენ. თორემ უმალ მშვიერი ველის ქვიშად იქცეოდნენ, ვიდრე იმად, რაც არიან...

ვილატამ სველი სურა მოიტანა და მეინახებები ერთად დაე-წაფნენ: ღვინისა და ყურანის სურას...

კარგი იყო ის ლხინი აღმოსავლეთში, ლხინი სამარყანდის ძველ მიწაზე, ნუშის ყვავილობის ქამს...

მე ეფიქრობდი „ქართლის ცხოვრების“ ავტორებზე...

მართლაც „ქართლის ცხოვრებამ“ რა ჰქმნა იმ უშორეულ ხორეზმსა და სამარყანდში?!

სამარყანდი-ხორეზმი-ტაშკენტი..

საქართველოს ნადი ყაზახეთში...

(ყამირული დღიურიდან)

ოქროს თავთავებით დახუნძლულ ველზე დღი და ღამ არ წყდება კომბაინების გუგუნი. საუკუნეობრივი ძილისგან ახალგაზრდობის ყიფინით გამოფხიზლებული ყაზახეთის მიწები დღეს ზღაპრულ ხევსა და ბარაქას იძლევა.

საქართველოს ვაჟკაცები და ქალიშვილები სხვებთან ერთად თავდადებით შრომობენ ახლა აქ პურეულის მოსავლის აღებაზე.

ბევრი ჩვენგანი ყაზახეთს მხოლოდ აბაისა და ჭამბულის ლექსებით იცნობდა, ახლა საკუთარი თვალით რომ ვნახეთ, მოგვნიბლა მოძმე რესპუბლიკის თავისებურმა მშვენიერებამ. თვალწვდენელი ველები, ყაზახი ჩიტიები, აურაცხელ ფარებს რომ მწყემსავენ, ველის ანკარა მდინარეები, აქა-იქ თეთრი არყები, — ყველაფერი ეს მშვენიერია და მიმზიდველი.

ჩრდილოეთ ყაზახეთის ველებში მიღველივებს ცისფერი სინტასტი... მის მარჯვენა სანაპიროზე სამი წლის წინათ მოვიდნენ ყამირის პირველი მკვიდრნი და გაავლეს კვალი ბარდაუკრელ ველზე-ასე გაჩნდა კუსტანაის ოლქის ჩიტიგორის რაიონში საბჭოთა მეურხეობა „პრიგოროდნი“, სადაც მკლავმოულღელად შრომობს ამჟამად აფხაზეთიდან საქართველოს კომკავშირის საგზურებით ჩამოსული 350-ზე მეტი კაბუჯი და ქალიშვილი.

კომბაინის შტურვალთან ამაყად დგას სოხუმელი კომკავშირელი შოთა ბენდელიანი.

შავიზღვისპირელი კაბუჯები ვლადიმერ და შოთა კოპალიანები და ვიაჩესლავ ლებედევი გეგმას ორმაგად ასრულებენ, დღე და ღამ აგრიალებენ კომბაინს ოქროსფერ ველებზე.

— სოხუმში ერთმანეთს არ ვიცნობდით. აქ ყამირზე დაემეგობრდით მე და მიხეილ იაკოვლევი. ორივენი ტრაქტორზე ვმუშაობთ. — ღიმილით ამბობს იური ჭულელი.

— ბიჭები კი არა, არწივებია, — ამბობს მესამე ბრიგადის ხელმძღვანელი ა. შეკი, — მომავალი წლის მოსავალს უყრიან საფუძველს.

დინა აზარიანი აქ დაეუფლა მიმბმელის სპეციალობას და სამუშაოს თავს ჩინებულად ართმევს. აგრეგატები, რომლებზედაც

შიშობებულად მუშაობენ სოხუმელი ქალიშვილები ნინა ვლასოვა და ინა ჩერნიხი, ყოველდღიურ დავალებებს ორმაგად ასრულებენ.

მთელი დამე ციმციმებენ ილიჩის ნათურები ცენტრალურ კალოზე, სადაც ოქროსფერი პურის გორებია აღმართული. შეუწყვეტლად გუგუნებენ აგრეგატები...

შესანიშნავი შრომითი მაჩვენებლები აქვს კომკავშირულ ცვლას. რომელსაც გულრიფშელი აკაკი არღვლიანი ხელმძღვანელობს.

ამ ცვლაში მუშაობენ სოხუმელი, ოჩამჩირელი, გულრიფშელი, გალელი ახალგაზრდები და იაროსლავლა პედაგოგური ინსტიტუტის სტუდენტები. აქ, შრომაში დამეგობრდნენ ისინი.

მთელი დამე ანთია კალოზე ნათურება.

ნიავეს შორს მიაქვს ოქროსფერ შორეთში სასიამოვნო ბარითონი... ეს ლი ჩანის ხმაა. „დილის ნიავე“ ქვეყნიდან- მოსული კაბუკი მღერის სიცოცხლესა და სიყვარულზე, გმირულ შრომაზე და ვარსკვლავიან დამეზე... ლი ჩანი სოხუმის მუსიკალურ სასწავლებელში სწავლობს. აქ, ყამირზე დაეუფლა მოტორისტის პროფესიას და მისი მარცვალსაწმენდი აგრეგატი დღე და დამ შეუსვენებლად გუგუნებს.

— უფრო მეტი უნდა იმუშაო. შენ უნდა უჩვენო საბჭოთა კაბუკებსა და ქალიშვილებს კორეელი გლეხკაცის შრომისმოყვარეობა, — ღიმილით ეტყვის ხოლმე საბჭოთა მეურნეობის პარტიზეროს მდივანი კორეელი ლევ ცოი მომღერალ კაბუკს და ლი ჩანიც ღიმილით იბადრება.

მეორე კალოზე ახლა ლის ყველა იცნობს. მის გვერდით კომბაინთან მუშაობენ ქართველი გოგონა სულიკო კინწურაშვილი და აფხაზი ქალიშვილი ლალა ინალ-იფა.

ლი ჩანი ხშირად მღერის აკაკის „სულიკოს“ ქართულად და თან სულიკო კინწურაშვილთან ხუმრობს, სულიკო შენ ხარ ნამდვილადო.

— ცანგალას კუპლეტები იმღერე, — თხოვს კორეელ კაბუკს მამრი ბულისკერია, სოხუმელი სტუდენტი, მომავალი პედაგოგი და ლი ჩანიც სიამოვნებით იწყებს ტკბილი ბარითონით „ღვინოვ. კახურა“... და ყაზახეთის ველებში ირხევა კორეელი და ქართველი კაბუკების ხმაშეწყობილი სიმღერა.

მეორე კალოზე საუკეთესო შრომითი მაჩვენებლები აქვს კომკავშირულ რგოლს, რომელსაც ხელმძღვანელობს ვ. ზარანდია, სოხუმის ა. მ. გორაკის სახელობის პედაგოგიკური სტუდენტი. რგოლში თავდადებულად შრომობენ უკრაინელი ს. ზალოშჩენკო და ლიტველი ზ. რაგელისი, ქართველი კ. ჩალაქე და აფხაზი ა. ლომია, ისომეხი ა. ზურაბიანი და რუსი ბ. ვლადიმეროვა.

შრომითი ცხოვრება დულს სინტასტის მარცხენა ნაპირზეც. აქ მუშაობს ახალგაზრდულ-კომკავშირული საკვებმომპოვებელი ბრიგადა. რომელსაც სათავეში უდგას კომუნისტი ივანე ქობალია. ამ საკვებმომპოვებელ ბრიგადასთან სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული მთიბავთა რგოლი, რომელიც მზინარე ტობოლის ნაპირებზე შრომობს, ჩვენი მეურნეობიდან 200-მდე კილომეტრის მანძილზე. ამ რგოლს ხელმძღვანელობს გალის რაიონის აზიგვარის ქართული სკოლის მასწავლებელი კომუნისტი რაქდენ ჭანტურია. მთიბავთა რგოლი დავალებებს სავაგად და ოთხვაგად ასრულებს.

დულს შრომითი ცხოვრება ყაზახეთის ოქროსფერ ველებზე-მოდის ყამირული ხორბლის უხვი მოსავალი. პურისათვის მებრძოლი საერთო-სახალხო ლაშქრის გუგუნში საქართველოს ახალგაზრდობის ხმაც ისმის.

სქექეს ბიკებმა სიმღერა, ის ძველი. მამა-პაპური.

და ყაზახეთის ველებში დაირბა ტბილი ნადური.

ი' ველი იყო ნეტავი, თუ ქვეყნის გადასახედი,
თვალწინ დამიდგა ოღიმი, ჩემი ქართლი და კახეთა...

ჩემი ალაზნის ვაზნარი. ჩემი მტკვარი და ენგური,
რაც ჩემთვის მშობლიურია, ტბილი არის და დედური.

ოქროს პურს მკიდნენ ბიკები, ალგეელი და კოლხელი,
კალოზე გავეფხვებული ხორბლის ხეავს დგამდა მოხევე.

ველთა ხომალდის საქესთან ამაყად იდგა კახელი,
შტურცავს მართავდა ხევსური მარჯვენით დაუზრახველით.

ვით არწივების ყვილი, იყო ძახილი მოყმეთა...
ამდენი ოქროს ხორბლი ერთად რა ძალამ მოხევეთ.

ჩანჩქერთა ძალა ჰქონიათ იმ მაღალმთიურ არწივებს,
ქართულმა ზეცამ აჩუქა თუ მთებმა გაუნაწილეს

იქ ყაზახური მზე წვადა პირმთვარისას და პირიმზეს,
ყანებს მზე ემატებოდათ იმათ ეშხიან ღიმილზე.

და როგორც ირემს ირემი, აულს უხმობდა აული,
იდგა ხეავი და ბარაქა, მოსავლის დღესასწაული.

სქექდა ყაზახთა ველებზე სიმღერა მამა-პაპური,
ვაეცათა მკერდით მომსყდარი, ტბილი ქართული ნადური.

მღეროდნენ რუსნი, ყაზახნი სიმღერას გამარჯვებისა,
ქართველთა ხმაში ისმოდა ძალა სამშობლოს მთებისა.

ბრწყინავდა სიერცე ოქროსფერ ვარაყით შემოხატული.
ყაზახთა ველზე გრგვინავდა ქართული მამითადური

¹ ეს ლექსი ხალხურ სიმღერად იქცა და ხშირად ვადასცემდა საქართველოსკ. რადიო 50-იან და 60-იან წლებში. (რედ.).



კველი ის არის. რას დიდი ხნის წინათ იყო ხსალი...

(წიგნიდან „ქართული რჯული და ადათი“)

I.

ადამიანი მაშინ იქცა ჭეშმარიტ ადამიანად, როდესაც ქალისადმი პატივისცემა ისწავლა.

საქართველოში მიწყივ ყოფილა გამეფებული ქალის კულტურა როგორც სიმშვენიერისა და უზენაესი სიწმინდისადმი ადამიანური თაყვანისცემის ერთ-ერთი ჭეშმარიტი გამოვლინება.

ეს აისახა ქართულ ხასიათში, ქართულ კულტურაში, ქართულ ცივილიზაციაში.

ქართული პოეზია ქალის სიმშვენიერის მსოფლიო ქებათა-ქეზაა. საკმარისია ვახტანგის გენიალური რუსთაველი, სწორუპოვარი ვაჟა და იგავმიუწვდომელი გალაკტიონი.

ქართული ქორეოგრაფია ქალისადმი პატივისცემისა და მოკრძალების პოეზიაა, ცეკვაში ამეტყველებული დიდი პოეზია. გავიხსენოთ თუნდაც „ქართული“, ან „ფარეკობა“ — მსოფლიო ქორეოგრაფიული ფოლკლორის ეს ორი მწვერვალი.

მსოფლიო პოეზიამ უმღერა ქართველი ქალის სიმშვენიერეს.

ქალისადმი ასეთი ამალღებული, პოეტური დამოკიდებულების ფონზე ქალის მიმართ უპატივცემლობის გამოვლინების ყოველი ეპიზოდი და ფაქტი ხალხის სამართლიან გულისწყრომას იწვევდა და ათადანბაბადან ის მორალის, ადათის, კანონის დარღვევას ნიშნავდა. ხალხი ყოველ ასეთ ანტიპოდურ გამობდომას ადათისა და კანონის მთელი სისასტიკით სჯიდა.

ასეთი დანაშაულის დასჯისა და აღკვეთის ყველაზე სრულყოფილი სისტემა საბჭოთა კანონშია განხორციელებული.

ინტერესმოკლებული არ იქნება ისიც გავიხსენოთ თუ როგორ იქცეოდნენ ჩვენი მამა-პაპები მსგავს შემთხვევაში.

ვახტანგის კანონთა კრებულში, ერთ-ერთ უცხოურ კანონთა-ქართულ ვერსიაში, ნათქვამია: „უკეთუ კაცმან მოიტაცოს ღედაკაცი, სხვის დანიშნული ან დაუნიშნავი, ანუ ქერივი, აზნაური იყოს თუ გლეხი, თავისუფალი იყოს თუ მონაზონი, ანუ თავისი დანიშნუ-

ლი იყოს, — უკეთუ იარაღითა მივიდა და ისე მოიტაცა; შუბითა ისრითა, ხმლითა ანუ კეტითა... თავი მოეჭრას“.

ასე მკაცრად სჯიდა ქართული ადამი და სამართალი, სინდისი და ნამუსი დამნაშავეს, რომელიც ხელჰყოფდა ქალის ღირსებას.

აქ საიტერესოა ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ მამაკაცს თავისი დანიშნული ქალიც კი არ შეეძლო გაეტაცა.

დამნაშავესთან ერთად ისჯებოდნენ თანამონაწილენიც.

ვახტანგის კანონთა კრებული ამბობს: „და ვიცავინ მას (დამნაშავეს. — ვლ. ა.) ასაბიათ მოჰყუნენ; ანუ თუ იცოდა ვინმემ და არა გაამხილა, ან თუ მოეხმარა ვინმე, ისინი დაიჭირონ, გაკრიკონ, სცენ და ცხვირი მოსჭრან, ამისათვის რომე ამისთანას საქმეზედ რომელსიც წავლენ ან წაჰყევიან იგინი გაცმადებული არიან კაცის საკუდავად“.

ასე ლაღადებდა წინაპართა სიბრძნე. ამ კანონით ცხოვრობდნენ ჩვენი მამა-პაპანი.

ვისაც ოდნავ მაინც აქვს გახსნილი გული და გონება, მან იცის, რომ მსგავსი დანაშაულისათვის მეტად გონივრულად სჯის ჩვენი თანამედროვე კანონი.

მამა-პაპათა ძველი კანონი იმასაც ამბობს:

„უკეთუ უხმლოდ, უშუბოდ, უისროდ და უკეტოდ მივიდნენ და ისე მოიტაცონ დედაკაცი, რომელმან კაცმან მოიტაცოს, მას ხელი მოსჭრან და რომელიცა მას ასაბია მიჰყუნენ, მას ძლიერად სცენ, გაკრიკონ და ექსორია (მოკვეთა — ვლ. ა.) უყონ“.

წინაპრებმა ქალის ღირსების გაფრთხილების დიდი ტრადიციები დაგვიტოვეს, რადგანაც ქალის ღირსებასა და პატიოსნებაზე შენდებოდა ოჯახისა და ერის ფუძე.

ამიტომ იცავდა ქართველი ქალი თავის ღირსებას. ის ნამუსსა და უბიწოებას სიცოცხლეზე მეტად აფასებდა (გავიხსენოთ თუნდაც ა. წერეთლის „ბაში-აჩუკი“).

ქალს იცავდა ადამი და რჯული.

ეს ხალხური ზნე-ჩვეულებანი, ადამიწესები ათასწილად უფრო მეტად ფასობს, ვიდრე ე. წ. ყბადაღებული ეროტოლოგების, სექსოლოგების და სხვა „სპეციალისტთა“ მეცნიერული რეკომენდაციები, რომელსაც ბაძავს ზოგიერთი უმწიფარა.

როცა ამ თემაზე ფიქრობ, უნებლიეთ ყაზბეგი გახსენდება; „გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ“.

ძველად თემიდან დამნაშავის ნოკვეთის სცენები ყველა ქარაულ სოფელში შეიძლებოდა გენახათ.

მამა-პაპათა დაუწერელი კანონი, — ადამი მოითხოვდა დამნაშავის გარკვეულ კატეგორიათა მოკვეთას, თემიდან ამა თუ იმ სახის სძიმე დანაშაულისათვის. იმ პირს, რომლის მიმართ ხორციელდებოდა სასჯელის ეს ზომა, მოკვეთილი ერქვა.

ვაჟა-ფშაველას ცნობილ პიესასაც „მოკვეთილი“ ეწოდება. გაუხისხნოთ რანდენიმე დეტალი ამ პიესიდან. მთელი ხევის წინ, ხატობაზე, თემის დროშასთან დგას ხევიბერი. მსაჯული. დასტურნი. დამნაშავეთა საგვარეულოც. ბრალმდებელი ქუქა ბრალს დებს ხევის მოლაღატეს (ბახას); „ხალხნო, ქუდოსანნო და მანდილოსანნო, სმუნა იყოს და გაგონება... ლაშარის ჯვრის დროშას ერთბა უგუნურმა ფლადი ესროლა... იმ უკეთურმა, იმ შეჩვენებულმა, იმ არგასაჩენმა მთელ ფშავის ხევს ჩირქი მოსცხო, რატომ არ მოუტყდა ის მარჯვენა. რომლითაც ეს ხმალს ლესაჟა. რატომ მანამდე არ დაეშრიტა თვალები, მანამ მტერს ფშაველების სალაშქრო გზაზე მოუძღვა“.

ხალხი უპასუხებს:

„ჩაეჭოლოთ, ჩაეჭოლოთ!“

ბრალმდებელი განაგრძობს:

„ხუ აჩქარდებით, გულისთქმას სადავე დაუქირეთ... ჩვენ ჩაქოლვანე უფრო მეტი სასჯელი გვაქვს გულში გადაწყვეტილი... ბახა ჩვენი აღარ არის. აღარ არის ლაშარის ჯვრის ვმა, აღარ არის ფშაველი“.

ამ დროს თემი იქუხებს:

„მოკვეთილი იყოს ჩვენგან, მოკვეთილი!“

მოკვეთა, როგორც ვაჟა-ფშაველას ერთი პერსონაჟი ამბობს, სიკვდილზე საშინელი სასჯელი იყო.

თემის სახელით ბრალმდებელი ბრძანებს:

„ვინც ამას იქით ბახასთან ან გაიაროს მკედარზე, ან ცოცხალზე, ან თავის სახლში გაატაროს, გზაში შეყრილს გამარჯვება უთხრას, ესე დაიქცეს იმისი ყოფა-ცხოვრება“.

ამ განაჩენის გამოტანის შემდეგ, როცა ბრალმდებელი იტყოდა „ასე დაიქცესო“, სავსე თასს აქცევდა. შემდეგ ბრალმდებელი იტყოდა „ასე გაქრესო“ და კელაპტრებს აქრობდა.

თავის წილ თასს აქცევდა და კელაპტარს აქრობდა ხევისბერიც. ხალხი დასტურის ნიშნად იძახდა: „ამინ!“

შვილთაშვილამდე გასდევდა წყევლა და კრულვა დამნაშავეს.

ასეთი საშინელი სასჯელი იყო მოკვეთა.

ამ ძველ ადათ-წესში საინტერესოა ის ფაქტი, რომ ხევი. თემი. სოფელი საჯაროდ სჯიდა და ერთსულოვანი იყო განაჩენის გამოტანასა და მის აღსრულებაში.

ვახტანგ VI სამართლის ერთ-ერთ ძეგლში, რომელიც დასავეთ ევროპულ კანონთა კოდექსის ქართულ ვერსიას წარმოადგენს, ნათქვამია: „ძველი წესი, ვითარცა სჯული, ესრეთ უნდა შეინახოს, როგორათაც სჯულის რაგი. რომელიც დაუწერილა ანუ დაუწერელი... ისრე ადგილის მის წესა და რაგი უნდა დაიწავლოს მოსამართლეჲ“.

ამით კანონმდებელი მოითხოვდა ქართული ეროვნული ადათ-წესების ვანაყენებას დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ დაწერალი თუ დაუწერიელი ადათის გამოყენება კი ხალხის ძალის გამოყენებას ვულისხმობდა, უწინარეს ყოვლისა, თუმცა კანონი მდორებს აფარებდა მოწყალეების კალთას.

მოკვეთას, როგორც დაუწერიელი კანონის-ადათის ტერმინს ქართული სამართლის წერილობით ძეგლებში ხშირად შეეატყვისება ტერმინი ექსორია, რაც „გაძევებას“, განდევნას ნიშნავს.

ვახტანგ VI კანონის კოდექსის თანახმად ექსორიად (მოკვეთით) უნდა დააჯილიყვნენ ქურდნი, ავაზაკნი, უღირსი შვილები. „რომელნიცა შვილნი ლანძღავენ დედ-მამასა თვისსა“. თვით მოსამართლენიც, რომელნიც არასწორ სასჯელს გამოიტანენ და ა. შ. ექსორია შეიძლებოდა ყოფილიყო დროებითი და მუდმივი, — გააჩნდა დანაშაულის სიმძიმეს.

III.

ქართველმა კაცმა მუდამ იცოდა ერისა და მამულის წმინდა ზიმბოლოების პატივისცემა. დიდი ეროვნული, ხალხური ადათ-წესები თაობათა საწვრთნელად და მათი მორალური სიწმინდის ასამღლებლად იქმნებოდა.

ქურდობა ძველ საქართველოში დიდ აუგად ითვლებოდა. დიდი მეცნიერის ი. ჯავახიშვილის ცნობით, ძველად, ჯერ კიდევ XI-XII საუკუნეებში ქურდობასთან საბრძოლველად განსაკუთრებული მოხელეები მიუჩენიათ, რომელთაც თურმე „მპარავთ-მეძებელი“ ერქვათ, მაგრამ მე-12 საუკუნის ქართველი „მპარავთ-მეძებელი“, თანავედროვე ტერმინით რომ ვთქვათ. დაახლოებით სინხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორი, აბა რას გახდებოდა შუასაუკუნეების პირობებში „მპარავთა“ და „მძღავრებელთა“ წინააღმდეგ ბრძოლაში.

საკმარისია გადავათვალიეროთ გიორგი მერჩულეს, თამარის ისტორიკოსების, ლაშა გიორგისდროინდელი მემატიანის, „ქართლის ცხოვრებისა“ და ძველი ქართული სამართლის გადარჩენილი

ფერკლები, ბევრი სხვა სამატიანო წყარო, რომ დავრწმუნდეთ, თუ რამდენად რთული, თანამედროვე ტერმინოლოგია რომ ვინმაც, ოპერატიული ვითარება იყო ძველ საქართველოში ამ მხრივ. თუმცა ბევრი მემატიანე იმაზეც ღაღადებს, რომ „ჰჰაჰაჰა და ძვირის-პოქქელი არა იპოვებოდაო“. ეს გადაქარბება და ისტორიული სინამდვილის შეღამაზება, მაგრამ თუ მართლა იყო მსგავსი რამ ზოგჯერ, დროებით მაინც (რაც მეტად საეჭვოა!) ძველ ისტორიაში, ეს ალბათ იმ დიდი ხალხური ტრადიციების წყალობით. რომლებიც კრძალავდნენ დანაშაულს, მთელ ხალხს, ერსა და ბერს აბამდნენ დანაშაულს წინააღმდეგ ბრძოლაში. თვით ფეოდალურატირანიის პირობებშიც კი ხალხი ქმნიდა თავის საშვილიშვილო ტრადიციებს.

ასე, მაგალითად, ერთი მემატიანის თქმით, ძველ საქართველოში ყოფილა ასეთი ხალხური ტრადიცია: „თუ ნაპარევი ვინმე პოვის, კარსა ზედა მიილოს და დროშათა ქუეშე დადვის“.

მაშასადამე, ძველ ქართველს ასეთი ტრადიცია ჰქონია: თავისი მორალური სიწმინდე ერის წმინდა სიმბოლოსთან — დროშასთან დაეკავშირებინა. ამით ტრადიციის კანონმდებელი მინიმუმ ორ საქმეს აკეთებდა: ყოველ ქართველს ზრდიდა ერის წმინდა სიმბოლოებისადმი მოკრძალებისა და უზენაესი პატივსაცემის სულსკვეთებით და სხვისი საქუთრების გადარჩენას გარკვეულ რიტუალს უკავშირებდა, საზეიმო იერს აძლევდა მას.

არის ცნობები, რომ ეს ხალხური ტრადიცია შემდეგ ძველ ქართული სამართლის ნორმად ქცეულა.

ეროვნული სიმბოლოებისადმი მოკრძალების, მათი პროპაგანდის ამ მეთოდმაც შეასრულა, ალბათ, გარკვეული როლი ქართველ მამულიშვილთა აღზრდაში. კარგად თქვა ქართველმა პოეტმა ძველ ქართულ დროშებზე, რომ „საქართველოს ჩაღსფერ დროშებს, არ დადებიან ფასი ჩალისა“. და ამ ისტორიული ქვეყნის ტრადიციების ხორცშესხმა შეუძლებელი იქნებოდა ქართველი ხალხის დიდი საბრძოლო, შრომითი, ზნეობრივი, ჰუმანური ტრადიციების გარეშე.

ეს ტრადიციები ღირს გახსენებად...

IV.

ძველ იურიდიულ სასჯელთსისტემაში თავს ლაფის დანხმას განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. ადამიანს ხშირად დამნაშავეს ფაზიკური მოსპობის ნაცვლად (მაგალითად, ჩაქოლვა), ზოგჯერ სჯერდებოდა უფრო მსუბუქ სასჯელს, ვთქვათ, თავზე ლაფის დანხმას, რაც მორალურ სიკვდილს უდრიდა.

ეს ფრაზა ხშირად გვხვდება მწერლობაში, ზეპირსიტყვიერებაში, მაგრამ როგორც სამართლებრივი ტერმინი დიდი ხანია დავიწყებას მიეცა.

თავზე ლაფის დასხმა აკრძალულია საბჭოთა კანონის ძალით, როგორც ყავლაგასული ადათი.

წარმოვიდგინოთ შუა საუკუნეების ქართული სოფელი: შეკრებილია მთელი თემი და არჩევს ზნეობის დარღვევის საქმეს.

თემი, ჯამათი, მოსამართლენი საკრებულოზე უსმენენ მოწმეებს, დიდხანს ბკობენ, ცოდვა-ძაღლის სასწორით აწონ-დაწონიან ყველაფერს და გამოაქვთ განაჩენი:

— ძვეანსა და მძევანს სიძვისათვის (რაც თანამედროვე ენაზე პროსტიტუციას ნიშნავს), თემის ადათის დარღვევისათვის თავა ლაფი დავასხათო.

მთელი სოფელი იხუვლებდა:

— მან შეარცხვინა სოფელი და გვარი. თავს ლაფი დავასხათო. .

აი როგორ ხდებოდა ეს პრაქტიკულად.

საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ფაქტი, რომელიც საქრესტომათიო მასალადაა ქცეული და არაერთხელაა მოხსენიებული იურიდიულ თუ სხვა სახის ლიტერატურაში:

„1805 წლის მაისში, ბოღბისხეველები (ქიზიყში), 500 კომლზე მეტი, გამოსულან და მარიამ ყორღანაშვილის სახლიდან გამოუთრევით მისი ქალი ბარბარე, რომელსაც ქმრისათვის თავი დაუნებებია და მეძაობდა თურმე, შეუსვამთ ვირზე, სოფელში კარდაკარ ჩამოუტარებიათ და ყველანი ლაფს ასხამდნენ თავზე. ბოლოს, მისი სახლიც დაუწვავთ“, — ნათქვამია დ. ბაქრაძისა და ნ. ბერძენიშვილის წიგნში „ტფილისის ისტორიულად და ეთნოგრაფიულად“.

ეს იყო არა მარტო წარმართობის დროიდან მოსული ადათის, არამედ ბიბლიური „არა იმრუშოს“ დარღვევა.

ასეთ დარღვევას კი თემი და მრევლი არავის აპატიებდა. ამ ფაქტიდან ჩანს, რომ:

— განაჩენი სისრულეში მოჰყავს მთელ სოფელს (500 კომლს).

— განაჩენი სისრულეში მოჰყავდათ საჯაროდ.

— დამნაშავეს შეურაცხყოფის მიზნით შესვამდნენ ვირზე („ზოგჯერ უკულმა და ხელში ვირის კუდს დააქვრინებდნენ“).

— იყენებდნენ არა მარტო მორალურ, არამედ მატერიალურ სასჯელსაც (მაგ. სახლის დაწვა და ა. შ.).

როგორ ხდებოდა დამნაშავეისათვის თავზე ლაფის დასხმა?

გამოიყვანდნენ დამნაშავეს და განურჩევლად სქესისა თავს გაუტიტვლებდნენ. ადათის მიხედვით ქალისათვის მანდილის მოხდა, ან მამაკაცისათვის ნამუსის ქუდის მოხდა არა მარტო საქართველო-

ში, მთელს აღმოსავლეთში დიდ სირცხვილად და სააუგო საქმედ ითვლებოდა. და როგორც ხალხში იტყოდნენ, „ერთ სიკვდილს უღრიდა“.

ამის შემდეგ მთელი სოფელი ტიტველ თავზე ასხამდა ლაფს ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ყველასათვის სავალდებულო იყო თავზე ლაფის დასხმის ცერემონიალში მონაწილეობა.

საინტერესოა, რომ ძველ ქართულ სოფელში ხმა მსაჯელისა და ხმა ერისა ერთი იყო!

დამნაშავე თავლაფდასხმულად ითვლებოდა 2-3 წელიწადი და ბოიკოტირებული იყო.

სასჯელის მოხდის შემდეგ, ე. ი. 2-3 წლის გასვლის მერე, თავლაფდასხმული შეუჩნდებოდა მეზობლებს, გავლენიან პირებს და მოამზადებდა ნიადაგს სასჯელის მოსახსნელად.

ისევ იკრიბებოდა მთელი სოფელი და საჯაროდ გადაწყდებოდა ღია კენჭის ყრით სასჯელის მოხსნა.

თუ თავლაფდასხმული არ ავლენდა გამოსწორების ნიშნებს, ან ჩაიდენდა განმეორებით დანაშაულს, სოფელი მას არამც თუ სასჯელს არ მოუხსნიდა, უფრო მკაცრადაც დასჯიდა.

ერთხელ დასჯილს მაინც იარლიყივით ჰქონდა მიკერებულა თავლაფდასხმულიაო. ამიტომ ყველა უფრთხილდებოდა ამ სასჯელს და ამდენად თავზე ლაფის დასხმას დიდი პროფილაქტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

V.

ქართველმა კაცმა ბუნებისადმი თავისი სიყვარული გამოხატა გენიალურ ხალხურ მითოსში მინდიას სახით, რომელსაც ესმოდა ხეების, ბუნების ენა. საკმარისია ითქვას, რომ ამ მითურმა ჰმნილებამ შთააგონა ვაჟს „გველისმკამელი“ და კონსტანტინე გამსახურდიას „ხოგაის მინდია“.

თითქმის იმ ძველი მითებისდროინდელია ქართული სამართლის ძეგლებიც, რომლებიც ბუნების სიყვარულს უნერგავდნენ ქართველს.

პოეტმა, მეცნიერმა და ენციკლოპედისტმა ვახტანგ VI როცა შეადგინა „სამართლის წიგნთა კრებული“, თავის „სწავლულ კაცთა“ კომისიის მეშვეობით, ქრონოლოგიის მიხედვით პირველ ადგილზე მოათავსა ბიბლიური ე. წ. მოსეს კანონების ქართული ვერსია, როგორც უძველესი ქართული სამართლებრივი წყარო.

ქართული სამართლის ამ მეტად საყურადღებო ძეგლში კანონმდებელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მცენარეთა და ფრინველ-

თა დაცვაში კანონით გათვალისწინებული სასჯელების გამოყენებას.

ამ ძველქართული სამართლის კოდექსის მე-19 მუხლში ბრძენი კანონმდებელი ამბობს: „ნაყოფის გამამღებელი ხე მტრისა არა მოსკრა“.

ქეშმარიტად რომ ბრძნული სიტყვებია.

„უკუეთუ ჰბრძოდი მრავალ ჟამ მტერსა შენსა გარემოდგომითა, ნუ დაჰკაფ ნერგსა მათსა მახვილთა შენითა, არამედ ჭამოთ სკამდე მათ შენ. და ნუ მოჰკუთუთ ხეაა ხალისა გამამღებელსა“.

არქაული, თითქმის ყველგასული ქართულით ნაწერი ეს სტრიქონები დღესაც ინარჩუნებენ თავის მნიშვნელობას.

ბრძენი კანონმდებელი ჭერ კიდევ ცივილიზაციის გარიყრაჟზე არამც თუ მშვიდობიან მეურნეს, მტრის ალყის შემომტყემელ ჯარსაც უკრძალავდა თვით მტრის ხეხილის აჯაფვასაც კი.

ქართული კანონის ამ ბრძნული დისპოზიციის ფონზე რაჩიგ ველურად ჩანს შაჰ-აბასის და მისი მსგავსი ბარბაროსების მიერ ქართული ვაზის გაკაფვის ისტორიული ფაქტი, რაც საშინელ ტრაგედიად დაატყდა თავს ქართველ ერს ამ რამდენიმე საუკუნის წინათ.

ძველი კანონმდებელი ქალაქის ალყის დროს, უკიდურეს შემთხვევაში ჯარს ნებას რთავს „ძელი მოჰკაფეთ“, რომელაც „არა ხილისა გამომღები იყოსო“.

ალბათ ამ ათაჰაპის დროინდელი კანონის წყალობაც არის, რომ ქართველს კაცს ასე უყვარს ხეხილი, ბაღა-ბაღი, ყანა და ვენახი.

გავიხსენოთ დიდებული სერგო ზაქარიაძე ფილმში „ჯარისკაცის მამა“. როგორ სჯის კახელი მეზვერე-მევენახე გლეხი გიორგი მახარაშვილი ახალგაზრდა ტანკისტს, რომელმაც მტრის ვენახი უნებლიეთ, დაუფიქრებლად გადათელა.

ქართულ კანონთა წიგნში არის კიდევ ერთი მეტად საინტერესო თავი. კერძოდ, 25-ე მუხლში, რომელსაც „ფრინველის პოვნა ბუდეზე“ ეწოდება, მოცემულია ტყის ფრთოსანთა დაცვის უძველესი იურიდიული პრინციპები.

მასში ნათქვამია: „უკუეთუ ჰპოვნე შენ მართუენი ფრინველთანი ბუდეთა ზედა, ანუ ქუეყანასა ზედა, მართუენი ანუ კუერცხნი, და დედათ იგი ზედა ჯდეს ანუ აცხოზდეს, ანუ ზრდიდეს, ნუ წამოჰკრებ მართუეთა დედითურთ. ხოლო დედაცა და მართუენიცა უტევენ მშვიდობით, რათა კეთილ გეყოს შენ და დღეგრძელი იყო“.

ნუთუ ნიწა არ უნდა გაუსკდეს ყველა ბრაკონიერს, ბუნებისა და ფრინველების მტერს. ჰაუ, რა დროიდან შეიგნო ადამიანმა, რომ ბუნებისა და ფრინველის დაცვა მისი, როგორც „ჰომო საპიენსის“ — „გონიერი არსების“ ზრუნვისა და რულუნების საგანია, და რამდე-

ჩად გასაოცარია, რომ ბევრ თანამედროვე ადამიანს დღესაც არ ესმის მისი ეს დიდი დანიშნულება დედამიწაზე.

ქემშარიტად, ძველი კანონები თანამედროვეობის უკეთ გაგებაში გვეხმარებიან და ამ თვალსაზრისით ყველგაუსვლელია მათი საუკუნეებგამოვლილი აზრი და სიბრძნე.

VI.

ქართულ ფოლკლორში ფართოდაა ცნობილი ხალხური ლექსა სვეტიცხოვლის მშენებლის არსუკიდის შესახებ:

ხეორძულას წყალი მისვამს.
მცხეთა ოსე ამიგია,
ღამიკირეს. მკლავი მომპრეს,
რატომ კარგი ავიგია.

ამ ლექსმა შთააგონა კონსტანტინე გამსახურდიას შეექმნა XX საუკუნის ერთ-ერთი თვალსაჩინო რომანი: — „დიდოსტატის მარჯვენა“.

ამ ნაწარმოებში ძველი ქართული საპართლის სასჯელთა სისტემის, კერძოდ, ე. წ. „ასოთა მიღების“ გამოყენების ფაქტიც არის აღწერილი. ძველ ქართულში „ასოთა მიღება“ ეწოდებოდა დამნაშავეის დასჯას სხეულის რომელიმე ნაწილის (ხელის, ფეხის, თათის და ა. შ.) მოჭრით.

არსუკიდის მაგალითი გვიჩვენებს, რომ ღოუდალური ტირანიის ეპოქაში უსამართლოდ დაისაჯა გენიალური ქართველი ხუროთმოძღვარი მარჯვენის მოჭრით.

საინტერესოა, რომ „ასოთა მიღება“ მარტო საქართველოში მოქმედი სასჯელთა სისტემა როდი ყოფილა.

არსებობს თქმულება, რომ ძველ დროში ვაიხლ ნეტარის ტაძრის მშენებლებს, ბარმას და ბოსნიკს, დაუძახა მეფემ და ჰკითხა.

— თქვენ შეგიძლიათ მსგავსი ტაძრის სხვაგან აშენება?

— შეგვიძლია! — უპასუხეს რუსმა ხუროთმოძღვრებმა.

— ორივეს მოსჭერით მკლავი და დააბრმავეთ! — ბრძანა მეფემ.

— რატომ, მეფეო? — ჰკადრეს ხუროთმოძღვრებმა.

— სხვა სამთავროში რომ ვერავის აუგოთ მსგავსი ტაძარი, — ცივად მცუგო მეფემ.

ტირანიის პირობებში „ასოთა მიღებას“ სასჯელთა სისტემის მსხვერპლი გახდნენ გენიალური ხუროთმოძღვრები, არა ერთი და არც სხვა ცნობილი და უცნობი პიროვნება.

ბიზანტიონში, რომელიც საქართველოს სამხრეთი მეზობელი იყო, ასევე არსებობდა „ასოთა მიღების“ წესი.

სასჯელთა ეს სისტემა ცნობილია რომაულ სამართალშიც.

იგი გავრცელებული იყო თითქმის მთელ მსოფლიოში.

ჩვენ ხშირად გვესმის ხოლმე ასეთი ფრაზები: „ენას მოგაკერი“ „ყურს მოგაკერი“, „ტყავს გაგაძრობ“, „ცხვირს მოგაკერი“ და ა. შ. ან გავიხსენოთ გამოთქმა „ყურმოკერილი მონა“.

ეს ანაქრონიზმები ძველი სამართლის ნორმების შორეული გადმონაშთებია, რომლებიც შემორჩნენ ლექსიკას და სასაუბრო-ცნას, თუმცა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა დიდი ხანია დაცარგეს.

უახლეს ისტორიაში ამ ძველი ვანდალური წესების აღდგენა, როგორც ცნობილია, სცადეს ფაშისტებმა. მათ ხომ ადამიანის ტყავის გაძრობა და „ასოთა მიღება“ თავიანთ სახელთა სისტემის ამაზრ-ზენ ფაქტებად აქციეს.

რატომ გავიხსენეთ დღეს ძველი დასჯის სისტემა, კერძოდ „ასო-თა მიღება?“ რა დასკვნები შეიძლება გავაკეთოთ აქედან?

ჯერ ერთი. „ასოთა მიღების“ სისტემის ვახსენების ფონზე უფრო ნათელი ხდება დღევანდელი დასჯის სისტემის დიდი ჰუმანური, კაცთმოყვარული ხასიათი. ამის შეგნებას დიდი მნიშვნელობა აქვს აოსახლეობის სამართალშეგნების კულტურის ამაღლებაში.

ძეორე. ძველად, არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში ჰქონდათ დასჯის უმკაცრესი წესები, თვით „ასოთა-ნიღების“ სისტემის გამოყენებით, მაგრამ დანაშაული მაინც ხდებოდა. ე. ი. დაძნალებების აღმოფხვრა მხოლოდ დასჯის შიშით როდია შესაძლებელი.

დანაშაულის აღმოფხვრის გარანტიაა ჩვენი სოციალისტურ-სისტემა, დარწმუნების მეთოდი, პასუხისმგებლობა ამაღლება, აღზრდისა და საზოგადოებრივი დისციპლინის ნორმების უმკაცრესად დაცვა, მათი სწორად გამოყენება.

მესამე. ჰუმანიზმი, შეგნებულა დისციპლინის აღზრდა ლიბერალიზმსა და ყოვლის მოთმენას და პატიებას კი არ გულისხმობს, არამედ გამორიცხავს მათ.

სწორად შენიშნავს ერთი პოეტი, რომ შემოსეული მტრის-ამოყლელთა ყველაზე დიდი კაცთმოყვარეობააო.

უძველესი ბოროტება — დანაშაული ჯერ კიდევ ბოგინობს დედამიწაზე, მაგრამ მას დღეს ახალ პირობებში, ახალი მეთოდებით ვებრძვით და წარმატების საწინდარიც სწორედ ეს არის.

დანაშაული კაცთმოძულეობაა, მის წინააღმდეგ ბრძოლა —
კაცთმოყვარეობა.

ჩვენ გვწამს, რომ: ჰუმანიზმი სძლევს ანტიჰუმანიზმს.

VII.

„თქვა: დამქოლეთ, მოდიო, ქეთო
მომადეგით, მომაკარინო“
შ. რუსთაველი.

სასაჩუქრის ეს ზომა-და მისი სისრულეში მოყვანის წესი კველთა-
ქველია. ამას ადასტურებენ ფოლკლორული და წერილობითი ისტო-
რიული. სამართლებრივი და სიტყვაკაზმული მწერლობის ძეგლები
— ძველი ალთჰმიდან — ვიდრე დღევანდელობამდე.

რა მართო საქართველოში. არამედ ახლო და შუა აღმოსავ-
ლეთის ქვეყნებში ეს ადათი, წინაპრის დაუწერელი კანონი მტკიცედ
იყო დაცული: ვინც დაარღვევდა მამა-პაპათა კანონს და წესრიგს,
მას ხალხი და ჯამათი (გაეიხსენოთ ვაჟა და ყაზბეგ: თემი და ჯა-
მათი) ჯერ საქვეყნოდ დაკითხავდა, საჭაროდ გამოაცხადებდა მის
დანაშაულს და მერე საქვეყნოდ, ყველას თვალწინ მთელი თემი,
მისი თითოეული წევრი მიიღებდა მონაწილეობას მის ასრულებაში.

თ. სახოკიას ცნობით ჩაქოლვას მე-19 საუკუნეში და, ასე გან-
საჩეთ, მეოცე საუკუნეშიც კი ჰქონია ადგილი საქართველოში. მა-
გალითად: მე-19 ს. 30-იან წლებში ზემო ქართლის სოფელ ჩოჩეთ-
ში, 1905 წელს თელავში, 1918 წელს ბაქურციხეში და ა. შ.

რა დანაშაულისათვის ჩაქოლავდნენ? მკვლელობა, ქურდობა,
ქმრია ლალატი, სათესავია შეყვარება და სხვ. მძიმე დანაშაული ძვე-
ლი ადათით ჩაქოლვით ისჯებოდა.

დღეს ჩაქოლვა საბჭოთა კანონით. რა თქმა უნდა, აკრძალულია.
ეს ძველი ადათი დრომოკმული იურიდიული ინსტიტუტია.

მამ რატომ ვიხსენებთ მას?

ის საინტერესოა, როგორც ქართული სამართლის ისტორიის
— ფაქტი, მას სპეციალურად განიხილავს აკად. ივანე ჯავახიშვილი თა-
ვის ფუნდამენტურ მრავალტომიან ნაშრომში ქართული სამართლის
შესახებ.

ძველი კანონმდებლის სიბრძნე შელავნდება იმაში, რომ კანო-
ნის (ადათის) დაცვა, მისი დარღვევის გამოძიება, განაჩენის გამო-
ტანა და სისრულეში მოყვანა თემის და უკლებლივ მისი თითოეუ-
ლი წევრის საქმე იყო.

თემის თითოეული წევრი ადათის დარღვევის გამოძიებაში და
ჯანაჩენის სისრულეში მოყვანის პროცესში თვითონაც იზრდებოდა

კანონისადმი კრძალვის, რიდის და სიყვარულსა და ადათის დარღვევისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით.

ბრძენმა, ძველმა ქართველმა კანონმდებელმა იცოდა ხალხის თემისა, თანამედროვე გაგებით ფართო საზოგადოებრიობის ფასი რჯულის, ადათ-ჩვეულების, კანონის ძალის განმტკიცების საქმეში.

აძიტომაც ადათის მიხედვით სოფლის ყველა მცხოვრებისათვის საეალღებულო იყო:

— თუ ია დანაშაულია მოწმე იყო, პირველს უნდა ესროლა ქვა დამნაშავესათვის. შავრამ მას შემდეგ, რაც ჯამაათი განაჩენს გამოტანდა და ხალხი მოიწონებდა მას.

ბრძენი კანონმდებელი ასე ამბობდა ძველად მოწმის როლს.

— მოწმეების შემდეგ იმ სოფლის ყველა მცხოვრებს უნდა ესროლა თითო ქვა დამნაშავესთვის. ეს საეალღებულო იყო უკლებლივ ყველასათვის, იმის ნიშნად, რომ ერთიანი საზოგადოებრივი აზრის მომხრე იყო ადათის დამრღვევთა წინააღმდეგ.

ძველ კანონმდებელს ესეც ეცოტაებოდა. ის მოითხოვდა, რომ ყველას, ვინც შემდეგ ჩაივლიდა საქოლავეთან, უნდა დაედო ერთი თავისი ქვა, იმის ნიშნად, რომ უერთდებოდა ჯამაათის განაჩენს და თემის აზრს.

ასე უზრუნველყოფდა ძველი კანონმდებელი, რჯულმდებელი თავის ადათების სიმტკიცეს და ძალას, ასე იყენებდა ის ხალხის ძალას. ეს უდავოდ საინტერესო ისტორიული გაკვეთილია.

დიდი გოეთე იტყობდა: „მარად ზეადმავალი ბუნების უკანასკნელი შედეგურაო მშვენიერი ადამიანი“.

სანამ მშვენიერი ადამიანი ჩამოყალიბდებოდა ბუჩებისა და საზოგადოების გვირგვინად, მან სამართლებრივი აღზრდის ძნელობა გავლო.

ამ ძნელ გზაზე ფიქრებმა შვა ეს სტრიქონები.

განვლილი ცხოვრების ეს ადათ-წესები თანამედროვეობის უკეთ გაგებაში გვეხმარება.

„თავისუფლების და სიცოცხლის ღირსი ის არის, ვინაც ყოველდღე ამისთვის იბრძვის!“

დიდ წინაპრებს ასე ესმოდათ მაღალი იდეალებისათვის ბრძოლის ფორმა და არა. მათი მასწავლებელი ცხოვრება იყო. რადგანაც როგორც „ფაუსტშია“, ნათქვამი, მართლაც რომ „ეპ, თეორია, ჩემო კარგო, უფერულია, ხოლო ოქროს ზე სიცოცხლისა მუდამ მწვანეა“.

შემთხვევითი არ არის, რომ ეს სენტენცია უყვარდა ლენინს. მასში დიდი ცხოვრებისეული სიბრძნეა ჩაქსოვილი.



ამ დღეთა სუნთქვა...

მებრძოლი სულის ადამიანები

გაზეთი და ჟურნალი ხალხის სრულუფლებიანი ელჩია, რომელიც მიარდევს სივრცეებს მერიდიანიდან მერიდიანზე, კონტინენტიდან კონტინენტზე. ერთმა პუბლიცისტმა საესეებით სამართლიანად უწოდა პრესას მსოფლიოს მეექვსე უდიდესი სახელმწიფო.

დიდია ჟურნალისტის პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე. მისი სიტყვა უნდა ეუფლებოდეს მილიონობით ადამიანის გულსა და გონებას.

პრესის — ამ მძლავრი იარაღის პუმანური იდეალების სამსახურში ჩაყენება ამოძრავებდათ დედამიწის პროგრესულად მოაზროვნე ჟურნალისტებს, როცა შექმნეს ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაცია. მაგრამ დღეს, როდესაც ომისა და რეაქციის შავი ძალები დედამიწაზე ჭერ კიდევ ბოგინობენ, როცა აფრიკასა, ლათინურ ამერიკასა და აზიაში განმათავისუფლებელი მოძრაობის ქვეა-ქუხილი გაისმის კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის შავ ღრუბლებში, ძნელია სიმართლის თქმა რკინის ფარდის იქით. იქ თავს კრიან სიმართლეს, ციხეებში ამწყვდევენ პროგრესულ ჟურნალისტებს, დღისით, მზისით „ნადირობენ“ მათზე სიმართლის ჭალათები.

ავის წინააღმდეგ კეთილის ბრძოლის იდეამ შეაკავშირა მსოფლიოს ბეკდვითი სიტყვის ქურუმები.

მათ 8 სექტემბერი გამოაცხადეს მსოფლიოს ჟურნალისტთა სოლიდარობის დღედ.

8 სექტემბერი...

ამ დღეს ფამისტებმა აწამეს თანამედროვეობის უნიჭიერესი და უმამაცესი ჟურნალისტი, ჩეხოსლოვაკიის ეროვნული გმირი იულიუს ფუჩიკი, რომელმაც თავისი სისხლით დაწერა კლასიკური, მებრძოლი პუბლიცისტური წიგნი „რეპორტაჟი სახრჩობელიდან“.

მტრებს ეგონათ, რომ სიმართლე ჩამოახრჩვეს. მაგრამ სიმართლე უკვდავია. ფუჩიკი ცოცხლობს ყველა ჟურნალისტში, რომელიც

სიმაართლეს და ხალხს ემსახურება. დღესაც მკვეჭარედ გაისმის მისი ხმა „ადამიანებო, იყავით ფხიზლად!“

ჟურნალისტები, ვინც ყვითელ ეშმაკს მიყიდეს სული, ვერ იქნებიან ხალხის გულისთქმის გამომხატველი.

ბურჟუაზია ძალიან ბევრს იხდის ჟურნალისტის მოსასყიდად. ასე, ზაგალითად, ინგლისის ერთ-ერთი ბურჟუაზიული გაზეთის „დეილი ექსპრესის“ რედაქტორი წელიწადში იღებს ათი ათას ფუნტ სტერლინგს, ე. ი. იმდენს, რამდენსაც ინგლისის პრემიერ-მინისტრი.

ისტორიის კურიოზია, რომ ამ გაზეთში მოღვაწეობს ბურჟუაზიის კლერკი ვინმე მარქსი, გენიალური კარლ მარქსის შოგვარე.

ელადის მუშები ჟურნალისტებს არ სწყალობენ. თუმცა ჟურნალისტისკაცს უძველეს პროფესიად თვლიან. ოლიმპოს ეკვიანმა და შურიანმა ღმერთებმა არც ერთ მუზას არ შესთავაზეს ამ საქმის გაძველობა... ამიტომ ჟურნალისტებმა თვითონ შექმნეს თავიანთი ღმერთი — სიმაართლე და ხალხმა საქვეყნოდ უწოდა იგი პლანეტის უდიდეს გაზეთს — „პრავდას“.

ჟურნალისტები წერენ ღლეების ბიოგრაფიებს, ყოველდღიურ მატრიანეს — გაზეთს.

საოცარი ის კი არ არის, რომ შუა საუკუნეებში იტალიელებმა მონეტის სახელო — „გაძეტა“ უწოდეს ცხოვრების მატრიანის დასტამბულ ფურცლებს, არამედ ის, რომ ეს სახელწოდება უყოყმანოდ მიიღო მსოფლიოს მრავალმა ხალხმა.

ქართველებიც გაზეთს ვეძახით ჟამთააღმწერლის მიერ მხედრული შრიფტით დასტამბულ ფურცლებს.

რალაციით მართლა გვაგონებენ ძველ ჟამთააღმწერლებს ჟურნალისტები. ისინი ერის სულიერი, პოლიტიკური, ეკონომიური ცხოვრების მემატრიანენი არიან მაშინაც კი, როცა მარტოოდენ ფაქტების კეთილსინდისიერ რეგისტრაციას ახდენენ.

ღღეს მათ ძველი მემატრიანეებისაგან მარტო ევროპული კოსტიუმი და ავტოკალამი როდი განახსვავებს; ისინი მებრძოლი მემატრიანენი არიან და არა მოვლენათა შორიახლო მეთვალყურენი, ან ფაქტების უბრალო რეგისტრატორები. ისინი ჩვენი ეპოქის უდიდესი იღეების არა მარტო პროპაგანდისტები და აგიტატორები, არამედ მათი ხორცშესხმის ორგანიზატორებაც არიან.

ბეჭდვითი სიტყვა გვკვირდება ისევე, როგორც პური არსობისა. ჩვენ ყოველდღე ვკითხულობთ „პრავდას“. თვალს გადავაველებთ ნაცნობ სტრიქონებს:

„გაზეთი დაარსებულია ვ. ი. ლენინის მიერ 1912 წლის 5 მაისს“...

არ ვიცი, შეიძლება ხვალინდელი ღღის მემატრიანისათვის ეს

თარიღი ნიშნავდეს 5 წელიწადს ახალ წელთაღრიცხვამდე, რადგანაც სავსებით შესაძლებელია წელთაღრიცხვა მომავალმა თაობებმა ოქტომბრის რევოლუციიდან დაიწყონ.

ჩვენთვის კი ეს თარიღი ძვირფასია იმით, რომ საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის დაბადების დღეა. ლოზუნგია — „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით!“ ჩვენ გვახსენებს კარლ მარქსს და ფრიდრიხ ენგელსს, უდიდეს ადამიანებს კაცობრიობის გენიოსთა შორის. იქნებ არც იყოს შემთხვევით, რომ საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის დღე, ლენინური „პრავდის“ დაბადების დღე — 5 მაისი — კარლ მარქსის დაბადების დღეც არის.

კარლ მარქსი ხომ პროლეტარული პარტიის ერთ-ერთი ფუძემდებელია — „ახალი რეინის გაზეთის“ ერთ-ერთი რედაქტორი. მარქსის გაზეთის ესტაფეტა ლენინურმა კავშირმა და „პრავდამ“ წაიღეს წინ და შორს... მარქსი, ენგელსი, ლენინი ხშირად აღნიშნავენ ანკეტებში, რომ ისინი ჟურნალისტები არიან: მსც. — სსრკ.

რამდენად საამაყო და სახატოა აქო მარქსისტული ბეჭდვითი სიტყვის მუშაჲი!

...მუზეუმის სიწყნარეში ვფურცლავ „პრავდის“ პირველ ნომერს. 1912 წლის 5 მაისი (ტეტერბურგი. მოახლოებულ რევოლუციის სუნთქვა იგრძნობს გაზეთის ფურცლებზე... აშბოხეშული სტრიქონები ხმაურობენ. უტანჯვამ აგვივსო მოთმინების ჭიანჭა — ისმის მუშის გულისთქმა პროლეტარული პარტიის დემიან ბედნის ლექსში.

„პრავდა“ მოწოდებულა სიმართლე თესოს! — ჰყვებიან სარედაქციო სტატიის სტრიქონები.

„ბრძოლა შტრეიკბრებერებს“ — მოუწოდებს ინფორმაციის სათაური...

„სისხლი დაიღვარა ლენაზე“... — შროსხანედ ამბობს გაზეთი, და ასე მგონია, „პრავდის“ პირველი ნომერი ლენაზე დაღვრილი მუშათა სისხლით არის დაწერილი.

„პრავდამ“ სიმართლე თქვა.

„ხალხთა საპყრობილეში“ სიმართლეს თქმა გმირობა იყავს პოლიციამ „დაპატიმრა“ „პრავდა“. მაგრამ მუშური სიმართლის დამატიმრება ვის შეუძლია?! „პრავდა“ წერდა: ჩვენ ბტკიცებან კმარ ვიწყებთ, საპიროა თუ არა მუშური გაზეთი რუსეთში, ჩვენ ვასრულებთ მუშათა კლასის ნებას და ვცემთ გაზეთს მუშების მიერ შეგროვილი თანხით.

სწავლენი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იმას, რომ მუშებს თავიანთ სახსრებით შეეძარჩუნებინათ გაზეთისათვის დიქტონლე. ეს ნა...

მუშათა კლასის პოლიტიკური სიმწიფის ერთ-ერთი საზომი, შენიშნავდა ბელადი.

„პრავდის“ ეს სტრიქონები გაგვახსენდა, როცა ქართველ პრავდისტთა მიერ დაარსებულ გაზეთ „კომუნისტის“ პირველ ნომერს ვათვალისწინებდით...

„კომუნისტი“ № 1, 1920 წლის 3 ივნისი, თბილისი... მიხა ცხაკია სთხოვს რედაქციას მიიღოს მისგან გლუხების მიერ შეგროვილი თანხა, რომელიც განკუთვნილი იყო გაზეთ „ბრძოლისათვის“. თუ როგორ ემთხვევა პარტიის აზრი მასების აზრს გაზეთ „კომუნისტის“ შეფასების დროს, ჩანს საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის განცხადებიდან:

„საქართველოს კომუნისტური პარტიის ყველა ორგანიზაციასა და წევრს.

ძვირფასო ამხანაგებო! „კომუნისტი“ გამოდის „ბრძოლის“ მაგიერ. როგორც „ბრძოლა“, ისე „კომუნისტი“ მუშების და გლუხების გაზეთია. იგი დაიცავს მთელი მშრომელი მასის, ყველა ჩაგრულთა და შევიწროებულთა ინტერესებს“...

ქართულ პრავდას“ ეძახდნენ მშრომელი მასები „კომუნისტს“. „კომუნისტის“ ბიოგრაფია ძალიან ჰგავს „პრავდის“ ბიოგრაფიას.

„იუნესკო“ ამ თუ იმ ერის კულტურული განვითარების ერთგვარ საზომად იყენებს ჟურნალ-გაზეთების ტირაჟს ყოველ ათას სულ მოსახლეზე. ჩვენ ძალიან შორს მოვიტოვეთ ამ მხრივ ბევრი დიდი სახელმწიფო. უფრო მეტიც, ჩვენ შეგვიძლია შევადაროთ გაზეთ „კომუნისტის“ და მსოფლიოს უმსხვილესი გაზეთების აბსოლუტური ტირაჟიც. მაგალითად „კომუნისტის“ ტირაჟი მეტია, ვიდრე ტირაჟი იტალიური „გაზეთის“ „ავანტისა“, ბერძნული გაზეთის „ავგისა“, ან ცნობილი დასავლეთ გერმანული გაზეთის „დი ველტისა“. „კომუნისტის“ ტირაჟი მეტია, ვიდრე ინგლისურ გაზეთ „გარდიანისა“ ან უმსხვილესი ფრანგული გაზეთებისა, როგორიც არის „კომბა“ და „ლიბერასიონი“.

„კომუნისტი“ უფრო დიდი გაზეთია თავისი ტირაჟით, ვიდრე ამერიკული გაზეთი „ვაშინგტონ დელი ნიუსი“.

ასე წავგიყვანა წინ იმ რევოლუციურმა გზამ, რომელსაც ჯერ კიდევ მენშევიკური მთავრობის ბატონობის წლებში უჩვენებდა გაზეთი „კომუნისტი“ — გაზეთ „პრავდის“ იდეების ერთგული დამცველი — საქართველოს მშრომელებს.

პრესის დღე არა მარტო „პრავდის“ დღესასწაულია, ამ დღეს ზეიმობს მსოფლიოში ყველა პროგრესული გაზეთი. „რუდე პრავო“ თუ „ნოიეს დოიჩლანდი“, „ლუმანიტე“ თუ „მორნინგ სტარი“... ამ

დღეს ქული უნდა მოვიხადოთ „ისკრის“ ჟურნალისტების წინაშე, რომლებიც კალმით და ზიშტით ემსახურებოდნენ რევოლუციას;

იმათ, ვინც წერდა და აწყობდა „ახალი რეინის გაზეთს“ ევროპის ბნელ ღამეში;

იმათ, ვინც არალეგალურ სტამბას ქმნიდა ბაქოში და „ნინას“ არქმევდა მას;

იმ ჟურნალისტებს — გლეხებსა და მუშებს, რომელთა წერილებს განთიადამდე ასწორებდა ლენინი და მერე ლენინის გაზეთს განთიადამდე რომ კითხულობდნენ;

იმათ, ვინც ზიშტზე წამოაგვის ბოლშევიკების პროკლამაციის დაწერის გამო, მუშათა და სოფლის კორესპონდენტებს, ტყვია რომ მოართვეს კულაკებმა;

ჟურნალისტებს, რომლებიც სამამულო ომის ფრონტზე დაეცნენ.

ყველას, ვისაც სისხლი და ოფლი დაუღვრია ბოლშევიკური ბეკდვიითი სიტყვის საკურთხეველზე.

„კომუნისტის“ 1921 წლის 2 მარტის ნომერში, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ გამოსულ პირველ ნომერში, დაბეჭდილია გულში ჩამწვდომი სიტყვები:

„ხაქართველოხ მშრომელოი დღეს შენ თავისუფალი ხარ, დაამტკიცე, რომ ღირსი იყავ ამისი“.

გინდა თქვა: საბჭოთა ჟურნალისტო, შენ კომუნიზმის მშენებლობის ეპოქის პრესის მუშაი ხარ. დაამტკიცე, რომ ღირსი ხარ ამისა. შენ უნდა შეძლო ხალხის სიხარულისა და ტკივილების განცდა და გაღმოცემა.

შენ ამ დღეების მემატთანე ხარ. შენ სუფთა სინდისითა და მგზნებარე გულით უნდა წერდე ამ მატთანეს. შენ უნდა შეძლო ისე ცოცხლად და მართლად შექმნა შენი დღეების მატთანე, როგორც „პრავდამ“ და პრავდისტებმა გააკეთეს ეს კაცობრიობის ახალ ერის განთიადზე — 1917 წლის 8 ნოემბერს.

მე ვფურცლავ ახლა ამ ნომერს.

„მთელი ძალაუფლება საბჭოებს! მშვიდობა ხალხებს!“ . საუკუნეებში რეკავენ „პრავდის“ სტრიქონები...

ჟურნალისტი ზვალინდელი დღიდან დღევანდლობაში მოვლინებული კორესპონდენტია და თუ გაამართლა ეს საპატიო წოდება, მისი გაზეთი, რომელსაც იგი ემსახურება, მივა მომავალ თაობებთან არა როგორც ეგვიპტის მტვრიანი პაპირუსები, ან მკვდარი ზღვის ყვითელი გრაგნილები, არამედ როგორც ჩვენი პეროიკული დღეების ცოცხალი სუნთქვა...

მთაწმინდის მთვარე დაჰყურებს დედა თბილისს.

და მოგონებებს წიგნივით ფურცლავ... გლობუსს კი არა, ასე
გონივით, აწვით დედამიწას ატრიალებ და მერიდიანიდან მერიდიანზე
მიაბიჯებ.

ახლა მთაწმინდის მთვარე მიუნხენსაც ხედავს.

შენი ფანჯრიდან, კარლ შონევილი, ლამაზო ბიჭო, ადამიანის
ორი ლანდი ჩანს. ისინი კაფესთან დგანან. ერთს ცალი ფეხი არა
აქვს და ვესტფალიის ტყეში მოკრილი მუხა აქვს ფეხად, მეორეს
ორივე ხელი მოკვეთეს და პროთეზიანი ხელებით პაპიროსს ვერ
უკიდებს. ისინი შენსავით ლამაზი ბიჭები იყვნენ ერთ დროს. უნი-
ვერსიტეტში მათაც ჰყავდათ საცოლეები... ისინიც კრეფდნენ ალპე-
ებში ელელვარისებს სტუდენტობის უამს. დღეს ერთი მათგანის ხელე-
ბი ნემანის პირას მარხია, მეორის ნახევარ სხეულს ტიურინგიის კიები
ქავენ.

ხელები არა აქვს ფრიცს, რომ სოროდან გველივით გამოსუ-
ლი შავი სვასტიკა წაშალოს კედლებზე, კარლ, შენი მარჯვენა მოახ-
მარე ფრიცს და წაშალებთ ფაშისტური გველის სახება მიუნხენის
ქუჩებში.

ფეხები არა აქვს გიუნტერს, რომ გათელოს ფიურერის „მაინ
კამფი“. შენ კი ორივე ფეხი ჯალი გაქვს, კარლ...

მე შენი მჯერა, კარლ. გახსოვს, ყამირზე ჩამოხვედი მოსკოვის
ფესტივალიდან სტუმრად, ყაზახეთში აგვისტოს ცხელი მზე აცხუ-
ნებდა. ჩვენ მივაბიჯებდით მწიფე ყანაში. კალოზე შენ ტუფლები
გაიძრე, რომ არ დაგებიჯებინა ფეხსაცმელი ოქროს მარცვლებისა-
ფის.

მე მწამს, შენი ფეხი არ გათელავს ადამიანს, კარლ შონევილი,
შენ იცი პურის გემო და ოფლის ფასი!

შენ იცის კიდევ სად შეგვეყრის ბედი, რომელ მერიდიანზე. გახ-
სოვს შენ მღეროდი ტიროლოურ სიმღერებს, ქართულ „სულიკოს“. ახლაც
იმ პანგს ყურში ჩამჩურჩულებს ნიავეი, ძველ შვაბთა შთა-
მომაველის მიერ მწიფე ყანაში ნამღერს ყაზახეთის ცის ქვეშ.

იქნებ ოღერზე მთვარიან ღამით ამბობდნენ ძვლები ჩვენთა მა-
მათა.

შავი ფერფლიდან აღვსდები წუხელ,
კვლავ სცემს შანთებით ნაფლეთი გული.
მე ბუხენვალში წამებულთ ვუხმე,
ისე, ვით სხეულს მოუხმობს სული.
ვარ ოსვენციმის მტვერი და ძვალი,
მიშვილით მკლავდნენ, მახრჩობდნენ გაზით,

მე ამომთხარეს მარწუხით თვალი,
 და ჭვარზე მაცევეს გოლგოთის გზაზე.
 ზჭაროს მონებმა ამგლიჯეს კბილი,
 ბეკდად მიართვეს ჰიმღერის ხასას.
 და ძუჭუმოჭრილ დედების კივილს
 ერთგოდა ჩემი მეუღლის ხმაცა.
 ტანჯილ ვასრისეს გოგონა ჩემი,
 სვავეებმა კორტნეს გულ-ღვიძლი მისი.
 მე ვიხრჩობოდი ვით ზღვაში გემი.
 ზღვა იცია ჩემი გოგონას სისხლი...
 ჩემი ტყავისგან ხელჩანთა ქსოვეს,
 არესს შემწირეს მსხვერპლად, ვით ვერძი.
 ფერულადან აღდგეჲ და ისევ მოველ
 და მკედარი კაცი კვლავ ბოროტს ვებრძვი.
 მე ისევ ვხედავ სისხლიან ქისებს,
 ხიშტზე აუცვამთ მოჭრილი თავი...
 ზღაზუნით გამოდის სოროდან ისევ
 გველზე საშიში სესატიკა შავი.
 მე ცოცხლებს ვუხმობ დაფდაფის ხმებით,
 მე, ბუხენვალდში აღმსდგარი მკედარი.
 ამოვანგრეე საფლავის ქეები,
 რომ საოცარი დაერეკო ზარი!
 მშვიდობა გვექონდეს უმადლეს მიზნად,
 ფხიზლად, მსოფლიოვ! მსოფლიოვ, ფხიზლად!

ბურღიბა დიოპ! ზანგო ბიჭო, სადა ხარ ახლა? ბაობაბების ქვეყ-
 ნიდან მოსულო დიოპ! მოსკოვში გეძებდი დიდხანს, ლუმუმბას უნი-
 ვერსიტეტში, მაგრამ ვერ გპოვე. გახსოვს, ყამირი... ტამტამების
 ხმები ფიცხელი, ყაზახური იურტა, ცივი კუმისი და ალმაატური
 ვაშლი...

„თეთრ ზანგს“ გეტახდნენ, 19 წლის ქალარა ბიჭო. შენმა ამ-
 ბავმა შემადრწუნა, ახლაც მესმის ჩურჩული შენი:

...თეთრი ზომალდა მიარღვეეს კონგოს... ის ნავსადგურში ჩაუ-
 შვებებს ლუზას. ვისკით დაძთვრალი თეთრკანიანი პირში სიგარაგა-
 მოჩრილი ჭუნგლებში მიდის... ის ქოხს ეძებს და ქალი შია... შენ
 პატარა ხარ, პატარა დიოპ, და ცრემლი გახრჩობს... თეთრი ზომალ-
 დის მეზღვაური ნაწუსს ხდის დედაშენს, აგერ შენს თვალწინ... მერე
 ღაჯახით ხელში მორბის ქალარა მამა... მერე ბრაუნინგს ეძლევა
 სიტყვა და დაჭრილი მამის ყვირილი ჭუნგლებში კვდება.

თეთრკანიანი ბატონი შენ გიყვარის:

— ეი, შენ, ძაღლის ლეკვო, წყალი მომიტანე და ხელი დამა-
 ბანინე...

სადა ხარ, დიოპ? რადიოს საგანგაშო ამბები მოქჷონდა აფრიკი-
 დან.

იქნებ შენ დაგახრჩვეს ჩომბეს ქალათებმა.

მე მახსოვს, დიობ, შენ მრისხანე სახე გქონდა და იმეორებდი მაიაკოვსკის სიტყვებს: — მე ამერიკას დავხურავდი და ხელახლა აღმოვაჩენდი.

შენ მოგწონს მაიაკოვსკი. ჩამოდი ერთხელ საქართველოში, იხილე ლურჯი ბაღდათის ზეცა.

შავი კონტინენტიდან ხმა მომაწვდინე, ბიკო. შენ სტუდენტობაზე ოცნებობდი. დღეს მოსკოვში ლუმუმბას უნივერსიტეტის კარები ღიაა. შენ კი სადა ხარ...

მიჩიგანელო ბიკო, სორელი. მაღალო ბიკო, ჯეკ.

ვიითხულობ შენს სადარბაზო ბარათს, მე რომ დამიტოვე.

გახსოვს, ჭიტიგარა... სტუდენტთა ბალი ღია ცის ქვეშ. შენ უკრავდი ფლეიტაზე...

შუალამისას მოგინდა ვენეციაში დარეკვა. ლოცვასავით იმეორებდი მისამართს:—ვენეცია, შადრევნების 13, ლუჩია დონიციეტი. ცისფერთვალა ქალიშვილი, სატრფო შენი. იტალიის კომკავშირის ერთი მფეთქავი გული, ერთი ძარღვი.

მოტოციკლეტით ჩვენ წავედით ჭიტიგარაში.

ჭიტიგარა — აღმა-ათა — მოსკოვი — რომი — ვენეცია... იმ დამეს ევროპის ტელეგრაფის მავთულებს არ ეძინათ.

არ იყო პირდაპირი კავშირი რომთან.

ვთხოვეთ ვენას, პარიზს, ბუდაპეშტს.

— არ შეგვიძლია, — იყო პასუხი.

თეთრად გაეათენეთ ჭიტიგარაში.

განთიადისას ხმა ვაწვდინეთ ვენეციას.

ლუჩია დონიციეტი ავად იყო.

...მახსოვს მეორე შეხვედრა შენთან, სორელი. მიჩიგანის უნივერსიტეტის სიბფონიური ორკესტრის გასტროლებზე მოსკოვში.

შენ ინტერვიუს მაძლევდი. ჰყვებოდით ლუჩიას ამბავს. ცისფერთვალა ქალიშვილს აღმოაჩნდა კიბო. შენ ბაგეები გითრთოდა, ჯეკ, როცა ჰყვებოდით ლუჩიას ამბავს. შენ სთხოვე ყველა კონტინენტის სტუდენტებს დახმარება და როგორც იმედის მტრედები მოფრინავენ ბარათები და წამლები მოსკოვიდან, პარიზიდან, პრალიდან. ლუჩია გადარჩა.

და მისი ღიმილი ჰგავს რაფაელის ფრესკების ღიმილს ვენეციის ცის ქვეშ.

ჟანა ბოკადორო!

ფრანგო ქალიშვილო, ბაღეტის ვაჟსკვლავს გეძახიან, ჰაბუკიანზე ასე უღვთოდ შეყვარებულს. მონმარტრის იასაც გეძახდით.

გახსოვს, გეუბნებოდა ერთი ქართველი სტუდენტი მოსკოვში:

— წერილს მიღწერ დე გოლს, რომ მონმარტრის ერთი ია მოვწყვიტო...

იისფერი თვალეზი გაქვს, ჟანა ბოკადორო, და კეთილი გული. მახსოვს შენი ნათქვამი:

-- ამხანაგებო! დროა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეიქმნას სიყვარულის დაცვის კომიტეტი. ასამბლეამ უნდა იმსჯელოს თაფლობის თვეზე, საქორწილო მოგზაურობაზე, მე მგონი ეს უფრო საინტერესოა, ვიდრე ატომურ ომზე ლაპარაკი. სიტყვა „ომი“ უნდა მოისპოს.

...ტრიალებს დედამიწა თავისი ღერძის გარშემო. სხვადასხვა მერიდიანებზე ვცხოვრობთ ჩვენ, კარლ, ჟანა, ჭეკ, დიოპ, ვუყურებთ ერთ მთვარეს და ერთ მზეს.

ჩვენ ერთხელ ვიყავით ერთად, ყამირზე, სულ ერთ დღეს.

ვინ იცის, იქნებ ხვალ ბედად გვიწერია მარსის მტვრიან გზებზე დავეტოვოთ ნაფეხურები...

ეგ სულ ერთია, რა გქვია ჭეკი თუ ჟანა, ქართველი ვართ თუ ზანგი, ჩვენ გვინდა ყანებმა მოისხან თავთუხი, რომ ამურის ისარი ხვდებოდეს გულებს და არა ტყვია, ჩვენ არ გვინდა სვასტიკების ხატვა, ჩვენ გვინდა სიყვარულის, სიცოცხლის, მშვიდობის მხატვრები ვიყოთ.

ამ კეთილ ფიქრთა ახლომისა იყოს, მეგობრებო!

აჰა, გასრულდა ერთი ნაწილი იმ სათქმელისა, რაც მამულისა და მსოფლიოს გზებზე მოგზაურობისას ვნახე და განვიცადე...

ბელეტრისტი ამას სხვაგვარად იტყოდა... ეს გასაგებიცაა. ლიტერატურას და ხელოვნებას ბარე ცხრა მუზა მთარველობს, ჟურნალისტიკას — არც ერთი.

დიდი უსამართლობა გვკირს, მაგრამ რას იზამ. ასეთია ტრადიცია.

...რა უზარმაზარია კაცობრიობა და რა ცოტაა იმათი რიცხვი, ვისაც ჩვენ ვიცნობთ...

რა უსაზღვროა მარადისობა და რა მცირეა ადამიანის სიცოცხლე...

საჭიროა ადამიანი ქმნიდეს მის მიერ გატარებული ყოველი წუთისა და წამის ბიოგრაფიას, ყოველი ადამიანის ცხოვრების ჟამთა აღწერას, რადგანაც ღრმად ვარ დაწმუნებული, რომ არასაინტერესო ადამიანები საერთოდ არ არსებობენ...

ადამიანები მეორედ არ იბადებიან.

ყველა ადამიანი ბუნების თვითმყოფადი შვილია და ის არასოდეს არ მეორდება, ისევე როგორც არ მეორდება ადამიანის სახე და ხასიათი.

ყოველი წამი ჩვენი ცხოვრებისა ასევე განუმეორებელია.

ჯერ კიდევ ძველმა ბრძენმა თქვა: ერთ მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალა.

ჩვენი ცხოვრება დიდი სოციალური მდინარეა და მასში ადამიანის ცხოვრების არც ერთი წამი, არც ერთი ტალღა არ მეორდება.

ამიტომ ყოველი განვლილი წამი მხოლოდ ჩვენ განვიცადეთ, ვისაც ბედნიერება გვქონდა ამ დღეებში გვე-

ცხოვრა, განვიცადეთ ჩვენებურად, სხვებისაგან რაღაცით განსხვავებულად. ჩვენ ვიგრძენით და ჩვენვე უნდა აღეწეროთ, ავად თუ კარგად, რადგანაც სხვას არავის ეძლევა იმ წამების ჩვენებურად განცდისა და სინამდვილის ჩვენი თვალებით დანახვის საშუალება.

საათები სამუდამოდ არის ჩართული და შეუჩერებლად იხარჭება ჩვენი სიცოცხლის წლები, თვეები, დღეები, საათები, წამები... დროის დინება შეუჩერებელია.

და მაინც მშვენიერია დროის დინება.

ის ახალს აძველებს, ძველს განახლებს.

...ამ წიგნს მინდოდა ჰქონოდა ბჭე და ამიტომ დავწერე შესავალი.

ამ წიგნს მინდა ჰქონდეს ხვალისდელ დღეში გადასახედი ფანჯარა. ამიტომ ვწერ ბოლოთქმას.

ბოლოთქმა — დასასრულია, მაგრამ ყოველი ბოლო ხომ რაღაცის თავია?

ყოველი დასასრული რაღაცის დასაწყისია.

და მწამს, რომ ეს დასასრულიც რაღაც ახალის დასაწყისია.

და ის ახალი, მჭერა, ისევე განუმეორებელია და ჭერ განუცდელი, როგორც ხვალისდელი დღე...

მიეცით ცხოვრების ყოველ წამს ახალი შინაარსი და თქვენი სახე და სახელი მიეცემა მათ.

მე ვხედავ წამებს, რომლებსაც ადამიანის სახეები აქვთ...

მე ვხედავ ცოცხალ წამებს...

მშვენიერია დროის დინება ფიქრიან გზებზე...

ამ წიგნის სტრიქონები განვლილი გზების გავრძელებაა...

ათასობით კილომეტრი დამრჩა ზურგს უკან...

წინ ახალი ჰორიზონტებისაკენ ისწრაფვიან გზები... ხელში მიჭირავს ეურნალისტის სამოგზაურო კვერთხი, ცა ქულად მაქვს და დედამიწა ქალამნად...

ფართო ჰორიზონტებისაკენ გარბიან გზები და ახალ შეხვედრებზე ვოცნებობ...

ვიცი, რომ გზები უსასრულობაში მიდიან...


მაინც მივლევ მათ.

ვიცი, რომ ჰეშმარიტება უსასრულოა...

მაინც ვეძიებ ჰეშმარიტებას...

ვიცი, რომ შეხვედრებს არ ექნება დასასრული...

შაინც ახალ შეხვედრებს ვესწრაფვი...
გულს სიყვარული სჭირდება, ვით არწივს ფრთებში,
გზას მგზავრი სჭირდება, ვით გათენებას — მზე...
გაფდივარ გათენების პერიდიანზე...
როგორც პირველ პაემანს, ველოდები ახალ გზებს და
ახალ შეხვედრებს...



ფურნალისტის სამოგზაურო კვერთხი 3

რეპორტაჟი, ჯერ არ ნახულს, ჯერ არ გავრინულს

ოქტომბრის ცეცხლით შობილნი	
ქვებოდა კრემლში ადგილის დედა	9
„აერორას“ თბილისელი მეზღვაური	17
და, აა, აღმოსდა მზე	22
მარქსის ბაღში — ფრედერიკ ლონგე	28
ლეგენდა სერგო ორჯონიკიძეზე	32
ერთხელ ბუდიონის ლეკციაზე	37
ხო ში შინი — პოეტი	39
იმ საღამოს ველოდით პასიონარისას	41
ლეგენდა ლუის კორვალანზე	44
გაგარინის თანავარსკვლავედი	
პირველი კოსმონავტიკების საღამო საქართველოს	53
კოსმოსის მაგელანი	55
ნიკოლაევი და პოპოვიჩი	57
ვარსკვლავეთს მოსწყდა და ვარსკვლავი	60

დიალოგები და კომენტარები

შეხვედრები საბჭოთა მწერლებთან	65
ილია ერენბურგი, ტიციანი და პაოლო	65
პაუსტოვსკი, კოლხეთი, ფაუსტი	70
ილია სელვინსკი, ჩუქჩები და კავალერიძე	74
ფიქრები ვიორჯი ლეონიძეზე	79
საქართველო ორმოცი პოეტის თვალთ	83
ბმა დალესტინის მთებიდან (რასულ გამზათოვი)	100
შარაიანის მუხა სამურზაყანოში	101
ვიორჯი გულია	104
შეხვედრები საბჭოთა ფუნქის ოსტატებთან	
ივანოვიჩი და სარაიანი	114
იქ, საღდაც ვათენების მერიდიანის ახლოს	116

შეხვედრები ხაბუთა მუხიკის დიდობატებთან	
არამ ხაჩატურიანი — ქართული მუსიკის ტრფიალი . . .	120
ჯიხვებზე ნადირობა იალბუზის კალთებზე (ვანო მურადელი)	124
ის მუსიკალური გაზაფხული (მარინე მდივანი, ელისო ვირსალაძე)	127
ელისაბედ II და ელისო III	132

უცხოელი მწერლები	
პოეტი, რომელიც ხუნტაზე ძლიერია (პაბლო ნერუდა)	135
ნახიმ პიკმეთი	142
ვენახი, რომელიც „მრისხანების მტევენებს“ ისხამს (ჯონ სტეინბეკი)	145
საქართველო და ამერიკელი პოეტი (რობერტ ფროსტი)	149
შეხვედრა შორეულ მერიდიანზე (მიტჩელ უილსონი)	155
პუგო პუპერტი	157
კოსტას კოძიასი — ბერძენი კომუნისტი და მწერალი	159
კალამი და ზეთისხილის რტო (პენრიხ ბიოლი)	162

ხაზღვარგარეთელი მხატვრები	
პერლუფ ბიდსტრუმი	165
რენატო გურუზო — კომუნისტი და მხატვარი	167

ტერფხიქორახ ღიმილი	
ლურია ჩეიზი — ბალანჩინის პირველი მაცნე	171
ფრანგული ბალეტის ორი ვარსკვლავი	173

მხახობები	
პოლ რობსონი და ქადრაკის ფილოსოფია .	176
პაემანი „XX საუკუნის ვენერა მილოსელთან“	177
მოუერინ ფორესტერის დაუვიწყარი დღე და საათი	179
იმა სუმაკი — ინკური საოცრება	181
ხაჭშიანი შეხვედრები	
სენეგალის მამა — მაქემუტ დიოპი	184
სტუმრად ინდოეთის ელჩთან	187

ზინ ღა გარეთ

უცხოეთის ცის ქვეშ	
ათას მეორე ღამე არაბეთში	193
ჭირჭი ზეიღანი და მამლუქების მკვლარი ქალაქი	206
აქლემიანი მაცარი	208
ეგვიპტური პოემა ქართველ მამლუქებზე	213
ქართველი მამლუქების ტრაგედია ფრანგი მხატვრის ტილოზე	216
მარგალიტის ხე — შაჰარ ად-დურ (არაბეთის „თამარ მეფე“?) .	220
საქართველოს მეზობტე არაბი პოეტი (რიზკალაჰ ჰასუნი)	225
ანთარის საიდუმლო	229
თურქეთი. ალი ბაბას ბაზარი — 72	233
სტამბულში, აპრილის მშვენიერ საღამოს	243
თურქი გველისმკამელი?!	246
მეფისტოფელის მეტამორფოზები (ფრაგმენტი წიგნიდან „Salut au Monde“)	248
მონტე-კარლო	277
პალერმოს პალმები და ზეთისხილის რტო	281

სანტ-ანჯელო (სათანჯო)	287
ფიქრები მალტის კუნძულზე	292
ედელეაისი დუნაის მღვრიე ტალღებში	295
დანაის გზებზე	307
მალრიბში, კართაგენის ნანგრევებზე	315
სტალინგრადის ბულვარი ნიკაში	321
მეგობრებთან	
„ვარციხე“ და „ნაპოლეონი“	326
უნგრული თქმულება ვეფხის წიგნის ქვეყანაზე	328
მამულის გზებზე	
პოემა ქართულ ვაზზე და ბრმა პოეტზე	333
უშბის ღიმილი	336
ლეგენდა გრძელდება მთაში	342
როცა შენი საქმის პოეტი ხარ	347
ლამაზი დასტაქარი (პიპოკრატეს ფიცი)	353
სათანჯოელი ქალიშვილი	359
ევგრისის წყაროები	363
ოტობაია	366
წიფურია	384
ბერლინელ ჟურნალისტთა „ოღისეადა“ ვალში	394
ალექსანდრე დიუმას სამურზაყანული ქრონიკა	399
მარიამ დემურია	402
მივიწყებული სამურზაყანოელი პედაგოგი და მგოსანი	408
სათარ-ხანის ოქუშელი ჯარისკაცი	416
ძმობის მატთანედან	
ბოროდინოს არწივი	421
პუგაჩოვის მმადნაფიცი ბარათაშვილი	426
ომის ექო	
სიმღერა ცეცხლში	429
ვაში ყინვართა დნობისა	442
ოპერაცია „ედელეაისის“ აღსასრული	449
კაცი-ლეგენდა	454
ტექსელი — ქართველთა გმირობის ეპოპეა	457
გადარჩენის ბალადა	460
უკვდავება	465
მშობლიურ მერიდიანებზე	
შეხვედრები ცაში და მიწაზე	470
ვაზი და ქალიშვილი	477
ზღვის კაცი	478
ბედნიერი ნაოსნობა, „შოთა რუსთაველი“!	484
ქართული სოფელი ყუბანის მიწაზე	488
ლხინი თემურ-ლენგის საფლავეზე	494
საქართველოს ნადი ყაზახეთში	498
ძველი ის არის, რაც დიდი ხნის წინათ იყო ახალი	501
ამ დღეთა ხუნთქვა	
მებრძოლი სულის ადამიანები	513
ფიქრთა აკილო	518
ბოლოთქმა	528

.АЛПЕНИДЗЕ ВЛАДИМИР ТАРАСОВИЧ

ДОРОГИ, ПОЛНЫЕ РАЗДУМИЙ

Очерки и статьи

(На грузинском языке)

Издательство ЦК КП Грузии.

Тбилиси — 1973

გამომცემლობის რედაქტორი მერე ვარდოსანიძე,
მხატვარი ა. თოდრია, ტექნიკური რედაქტორი ნ. ხელაშვილი,
გადაეცა წარმოებას 14/III-73 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად
1/XIII-73 წ., ქალაქის ზომა 60X90¹/₁₆. ფიზიკური ნა-
ბეჭდი ფურცელი 33, სააღრიცხვო საგამომცემლო თაბახი 29.13.
შეკვ. 874, გირაჟი 10 000 უფ 07556, ფასი 97 კაპ.

საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი ლენინის 14
Типография издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, Ленина, 14